საბანკო საქმე

პროფ. ო.ი. ლაგრუშინის რედაქციით

ქართული თარგმანის
რედაქტორი პროფ. რ.შ. კაკულია

თბილისი
1996

ავტორთა კოლექტივი:

ნ.დ.ბელოსტოცკაიას, ნ.ი.ვალენცევას, ტ.ა.ერშოვას, ვ.ს.ზახაროვის, ტ.ვ.კრივოვიაზის, ო.ი.ლავრუშინის, ი.ვ.ლარიონოვას, გ.ი.ლეტუნოვის, ი.დ.მამონოვას, ი.მ. მირკინის,ნ.ა. მოსკოვსკაიას, რ.გ.ოლხოვას, ა.ი.პოლიშჩუკის, ი.პ.სავინსკის, მ.ო.სახაროვას, ნ.ე.სოკოლინსკაიას, ვ.ი. სუროვცევას, გ.ი. ტარანკოვის, ა.შაროვის, ზ.გ.შირინსკაიას, შემადგენლობით.

87426

თარგმანი **რუსულიდან.**

საერთო რედაქცია და შესავალი **პროფ. რ.შ.კაკულიას**

მთარგმენელები: **დოც. თ.გ.გამსახურდია, ნ.ე.იმნაძე**

წინასიტყვაობა

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ისევ გამოდის "საბანკო საქმე". ამის შესაძლებლობას იძლევა საბანკო საქმიანობაში მიმდინარე არსებითი ცვლილებები, რომლებიც თანდათან აღიდგენენ თავიანთ კომერციულ სახეს. კომერციული ბანკები, სამეურნეო ორგანიზაციებს შორის მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტების გამნაწილებელი დაწესებულებებიდან გარდაიქმნებიან საბაზრო სტრუქტურებად, რომლებიც ტრადიციულ საბანკო ოპერაციებს უფრო ფართოებენ. ძველი ყაიდის დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებიც მოკლევადიანი დაკრედიტების, დაფინანსებისა და კაპიტალდაბანდებათა დაკრედიტების ორგანიზაციას იძლევიან, უკვე ვეღარ აკმაყოფილებენ ბანკირების მოთხოვნებს, რადგან საბაზრო ურთიერთობებთან დაკავშირებული საბანკო საქმიანობის ბევრ ახალ სახეობას ვერ აღწერენ.

აღსანიშნავია, რომ ბანკთაშორისი კონკურენციის პირობებში, წარმატებას ის ბანკირები აღწევენ, რომლებიც უკეთ ფლობენ საბანკო საქმიანობის თანამედროვე მეთოდებს. წინამდებარე წიგნის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველს გააცნოს საბანკო მომსახურების ახალი ტექნოლოგია. ამაშია მისი პრაქტიკული დანიშნულება. იგი შეიცავს საყურადღებო რეკომენდაციებს იმაზე, თუ როგორ გავითვალისწინოთ ბალანსის ლიკვიდობა და კლიენტის კრედიტოუნარიანობა, თუ როგორ განისაზღვროს და შემცირდეს საბანკო რისკი, საბანკო მომსახურების რა სახეობების განვითარებაა თანამედროვე პირობებში მიზანშეწონილი, როგორ დამყარდეს საზღვარგარეთის ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობები.

ამ წიგნის ავტორებმა მიზნად დაისახეს დაეხმარონ ბანკებს შეცვალონ სტერეოტიპები მუშაობის მეთოდიკაში და სტილში. ბანკირებსა და კლიენტებს შესთავაზონ კომერციის განვითარებისა და სამეწარმეო საქმიანობისადმი ახლებური მიდგომისა მაგალითები.

ახალი მოვლენების გახსნას საფუძვლად დაედო, როგორც ზოგიერთი საბჭოთა, ასევე საზღვარგარეთის კომერციული ბანკების პრაქტიკული გამოცდილება. წიგნის ავტორებს, ითვალისწინებენ რა მუშაობის სიახლეებს, პრეტენზია არა აქვთ წინამდებარე გამოცემის სრულყოფილების თაობაზე, თუმცა, იმედი აქვთ, რომ იგი აუცილებლად დაეხმარება ყველას, ვისაც სურვილი აქვს საბანკო საქმეს თანამედროვე ფორმა მიეცეს. ავტორები მადლობელი დარჩებიან, თუ მკითხველები კრიტიკული შენიშვნებითა და საქმიანი წინადადებებით გამოეხმაურებიან.

წინასიტყვაობა

ქართული გამოცემის რედაქტორის

ბანკები საბაზრო სტრუქტურების ერთ-ერთი ცენტრალური რგოლია. მათი საქმიანობის თანამედროვე დონეზე განვითარების გარეშე შეუძლებელია რეალური საბაზრო მექანიზმის შექმნა-ფუნქციონირება. საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების პროცესს თან ახლავს საბანკო სისტემის რეფორმირება. სწორედ ეს სფერო მოითხოვს სერიოზულ ყურადღებასა და ზრუნვას, რომ მან არ შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის პროცესი და ეროვნული მეურნეობის დინამიური განვითარება.

სსრ კავშირში ბანკები სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენდნენ და გამოდიოდნენ ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-საკომანდო სისტემის უმნიშვნელო სტრუქტურული რგოლად. დღეს, საბანკო ეკონომიკის ფორმირების გარდამავალ ეტაპზე ჩვენ იძულებული ვართ შევეგუოთ საბანკო საქმიანობის სფეროში არსებული სიცარიელე, რომელიც შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დროს. აუცილებელია უმოკლეს პერიოდში გავიდეთ საბანკო საქმის ორგანიზაციის თანამედროვე მსოფლიო დონეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვერ დავაღწევთ ეკონომიკურ კრიზისს.

აქედან გამომდინარე, ამ წიგნის ქართულად თარგმნა განპირობებულია იმით, რომ რუსეთის საბანკო საქმე ყველაზე ახლოსაა საქართველოს საბანკო საქმესთან და ორივე ქვეყნის ეკონომიკა ორი საუკუნის მანძილზე ერთმანეთთან ორგანულად იყო დაკავშირებული და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გარდამავალ პერიოდშიც ერთნაირი პრობლემები ახასიათებთ. ამასთან წიგნში გასაგებად და მარტივად არის გადმოცემული არა მარტო რუსეთის კომერციული ბანკების საქმიანობის არსებული პრაქტიკა, არამედ მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საბანკო გამოცდილებას და პერსპექტივაში მათ გამოყენებას რუსეთის პირობებში.

მიგვაჩნია, რომ ეს წიგნი საქართველოშიც დიდად შეუწყობს ხელს კომერციული ბანკების ფორმირება-განვითარებას, რათა რადიკალურად შეიცვალოს მათი მუშაობის სტილი და მეთოდები და მათ კლიენტებს შექმნათ კომერციისა და მეწარმეობის განვითარების ოპტიმალური პირობები.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. ამასთან, ის დიდად შეუწყობს ხელს მუშაობაში საბანკო-საფინანსო სისტემის სპეციალისტებს და ეკონომიკური რეფორმების პრობლემებით დაინტერესებულ პირებს.

რევაზ კაკულია
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

ქ.თბილისი 1996 წლის 15 იანვარი

თ ა ვ ი I

კომერციული ბანკის არსი და მისი საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები

1. თანამედროვე მოსაზრებები ბანკის არსის შესახებ

საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ბანკი, არც ისე უბრალოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. წესით, ბანკები - ფულის საცავებია. ამასთან ბანკის ასეთი და ამგვარი ცხოვრებისეული განმარტება არა თუ არ გახსნის მის არსს, არამედ სახალხო მეურნეობაში მის ნამდვილ დანიშნულებას მალავს. სიტყვა "ბანკის" ("ბანკი" - მერხი, რომელზეც ფულად-საკრედიტო ოპერაციები სრულდება) ტერმინოლოგიური დანიშნულება, ასევე თანამედროვე გამოთქმები, როგორიცაა: მონაცემთა ბანკი, მცენარეთა ბანკი, წიგნების ბანკი, რომელთაც ბანკთან, როგორც ასეთთან, არავითარი ურთიერთობა არა აქვთ, კიდევ უფრო ართულებენ საქმეს. რიგით მკითხველებს გაუჭირდებათ ბანკის მისი საქმიანობის პოზიციიდან, მის შესახებ საკითხების გარკვევა.

ბანკო დაწესებულებების საქმიანობა ისე მრავალმხრივია, რომ მათი ნამდვილი არსი, თურმე, ნამდვილად გარუსაზღვრელია, თანამედროვე საზოგადოებაში ბანკები სხვადასხვა ოპერაციებს ასრულებენ. ისინი არა მარტო ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობების ორგანიზაციას ახდენენ, არამედ მათი მეშვეობით ხორციელდება სახალხო მეურნეობის დაფინანსება, სადაზღვევო ოპერაციები, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, საშუამავლო გარიგებები და ქონების მართვა. საკრედიტო დაწესებულებები გამოდიან კონსულტანტების სახით, მონაწილეობენ სახალხო მეურნეობის პროგრამების განხილვაში, აწარმოებენ სტატისტიკურ აღრიცხვას, აქვთ დამხმარე მეურნეობები.

სანამ ბანკის არსის შესახებ კუპასუხებდეთ კითხვას, აუცილებელია გარკვაზღვროთ, თუ როგორი ამოცანებია ჩვენს წინაშე დასმული. ბოლოს და ბოლოს ბანკის არსის ცოდნა, როგორც ნებისმიერი სხვა მოვლენისა, მოითხოვს პასუხს არა იმ კითხვაზე, რითაა ის დაკავებული როგორ ოპერაციებს ასრულებს, ან ასრულებდა თავისი ისტორიული განვითარების პროცესში, არამედ იმაზე თუ, როგორი თვისებები ახასიათებს მას, როგორია მისი სპეციფიკა, როგორია მისი საფუძველი და ბოლოს, როგორია მისი შინაგანი სტრუქტურა და უპირველეს ყოვლისა, რომელი ოპერაციები უნდა შეასრულოს. ბანკის არსის ანალიზი, შესაბამისად, ჩვენგან მოითხოვს მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი საკითხების არა შემთხვევით შეკრებას, არამედ პასუხს მეთოდოლოგიის მიერ დასმულ კონკრეტულ კითხვებზე. ამ მოთხოვნების დაცვის გარეშე ბანკის არსის შესახებ საკითხმა შეიძლება დაკარგოს მიზნობრივი მიმართულება, ბანკის მიერ შესრულებული ანალიზის გადაქცეო ოპერაციების ფუჭე აღწერად, რომლებიც, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, ნათლად არ ასახავენ ცენტრალურ საკითხს: ბოლოს და ბოლოს რაში მდგომარეობს ბანკის ნამდვილი არსი.

ბანკი, როგორც დაწესებულება ან ორგანიზაცია. ბანკის შესახებ ყველაზე უფრო გავრცელებული წარმოდგენა არის მისი, როგორც დაწესებულების ორგანიზაციის განსაზღვრება "ბანკო დაწესებულებები და ორგანიზაციები", - ჩვეულებრივ ტერმინია, ის შეიცავს

როგორც სერიოზულ მეცნიერულ, ისე სასწავლო ლიტერატურაში, საბანკო კანონმდებლობაში, საბანკო დოკუმენტებში და პრესაში შეგვხვდეს. აქ და შემდგომშიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ორგანიზაცია" ხალხის გარკვეულ ერთობლიობას წარმოადგენს: "ორგანიზაცია" (ფრანგ. organisation ნიშნავს - ვაცნობებ მწობრ სახეს, ვწყობ) ..... ადამიანთა გაერთიანება, რომლებიც ერთობლივად ახდენენ რაიმე პროგრამის ან მიზნის, წესებზე და პროცედურებზე დაყრდნობით, რეალიზაციას.

რა გაერთიანებაა ეს, თავისი წესებიდან გამომდინარე, რა საქმიანობას ეწევა-ყველაფერი ეს ბანკისათვის, როგორც დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, გამოყენების თვალსაზრისით, დაფარული რჩება. უფრო მეტიც, ბანკი, როგორც ორგანიზაცია, "საქველმოქმედო ორგანიზაციის", "საზოგადოებრივი ორგანიზაციის მცნებასთან ახლოს მდგომი აღმოჩნდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ ბანკი საზოგადოებრივ მისიას ასრულებს, მაინც ამ მცნებასთან მიახლოებითია. ბანკი, როგორც ორგანიზაცია, როგორც ხალხთა გაერთიანება, ისტორიულად უფრო კერძო პირის ბეღს წარმოადგენს და მხოლოდ შემდგომში, საბანკო საქმის განვითარებასა, განსაკუთრებით მეურნეობრივი მართვის თანამედროვე პირობებში, მსხვილ, საშუალო და პატარა გაერთიანებად გადაიქცევა.

და ბოლოს, ბანკის, როგორც დაწესებულების წარმოდგენის შესახებ, ჩვენი ასოციაციები ბანკთან, როგორც სამომსახურებელო კონტორასთან, მართვის აპარატთან ახლოს აღმოჩნდებიან. სწორედ ასე და საკმაოდ ხშირად ახასიათებენ ბანკს. გავრცელებულია აზრი, რომ სოციალისტური ბანკების ფორმირება, როგორც ეკონომიკური მართვის ორგანოების, ისე განხორციელდება. ამგვარი წარმოდგენა თავისი ფესვებით იმ პერიოდს ეყრდნობა, როდესაც კერძო, კოოპერატიული ბანკები სახელმწიფო ორგანოებად გადაიქცა, როდესაც საბანკო საქმეზე სახელმწიფო მონოპოლია საბოლოოდ გაიშვლდა. ყოფილ სსრკ-ში, როგორც სხვა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, მხოლოდ სახელმწიფო წარმოშობის ბანკები არსებობდნენ. სინამდვილეში კი ბანკი, თითქოსდა სახელმწიფოს შეეზარდა, მეურნეობრივი საქმიანობის კონტროლის მხრივ სახელმწიფო მმართველობის აპარატის ნაწილი გახდა. მათი დანიშნულება იყო ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელება, წარმოებებში უყაირათობაზე, დაშვებულ ნაკლოვანებებზე რეაგირება. აქედან გამომდინარეობს ბანკის, როგორც ზედნაშენის ელემენტის სხვა განმარტება. ბანკი მართლაც ასეთ ზედნაშენად გვევლინება. დაკრედიტება ხორციელდება ზევიდან რესურსების ნორმატიული, დირექტიული განაწილების გზით, საწარმოებს შორის უნაღდო ანგარიშსწორებაც დირექტიულ ხასიათს ატარებდა. პრინციპი - "ერთი ბანკი კლიენტისათვის" საბანკო სფეროში კონკრეტული ურთიერთობის განვითარების საფუძველს არ იძლეოდა. ასეთ პირობებში, ჩვენი ძველი ბანკების ბაზისად გამოცხადების ცდები ხელოვნურ ხასიათს ატარებდნენ. ამისათვის საჭირო იყო მათი კლიენტებთან კავშირის რადიკალური ნგრევა, კომერციული ბანკების ისე განვითარება, რომ მათ შორის დირექტიული ურთიერთობები არ ყოფილიყო. მხოლოდ ამის წყალობით ბანკებსა და საწარმოებს შორის ურთიერთობები ნამდვილ ეკონომიკურ ხასიათს იძენენ, ხოლო ბანკები ბაზისი ხდება.

ბანკი, როგორც საწარმო. ამასთან დაკავშირებით ლოგიკურია ბანკის არსის განმარტება არა, როგორც ორგანიზაციისა, ან დაწესებულებისა, არამედ, როგორც საწარმოსი. სწორედ ასე ხასიათდება ის ზოგიერთ საბჭოთა გამოცემაში. ბანკისათვის შესაბამისი სოციალური ელფერის მისაცემად, იგი განისაზღვრებოდა არა როგორც წარმოება, არამედ, როგორც კაპიტალისტური წარმოება, არა უბრალოდ ბანკი, არამედ კაპიტალისტური ბანკი. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა

ბანკის არსის შეცნობაში წინ არ გვწევდა, პირიქით, მისი ჭეშმარიტი გაგებისაგან გვაშორებდა. ბანკის, როგორც კაპიტალისტური წარმოების განსაზღვრა, ჯერ-ერთი ბანკს წარმოადგენდა როგორც კაპიტალისტური მეურნეობის მოვლენას, რაც ისტორიულ პროცესს არ შეესაბამება (ბანკები, როგორც ფეოდალიზმის, ასევე მონათმფლობელური წყობილების ღრიანაც არსებობდნენ). მეორეც - შემდგომი საზოგადოებრივი წყობილების განვითარების ღრის მას არსებობას უარყოფდა. პირველ ეტაპზე სწორედ ასეთ დასკვნამდე მიდიოდა მრავალი ეკონომისტი, როდესაც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ბანკები თავისებურ "არა ბანკებად" გამოაცხადეს, რომლებიც კაპიტალისტური ბანკებისაგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ. სამწუხაროდ, საბჭოთა ბანკს აღნიშნულმა განმარტებამ ცუდი სამსახური გაუწია, რომლის განვითარებაც მისი ჭეშმარიტი არსის უარყოფის გზით მიდიოდა. ბანკისაგან, როგორც საწარმოსაგან მისი საქმიანობის მოწყვეტისას, იმის გარკვევის გარეშე, თუ რა "ამახინჯებს" ბანკს, როგორც კაპიტალისტურ დაწესებულებას, პრაქტიკულად, ჩვენ ნამდვილად გადავაქციეთ ის "არა - ბანკად". მუშაობის ისეთი მეთოდების კულტივირება დავიწყეთ, რომელიც მისთვის, როგორც ეკონომიკური ინსტიტუტისათვის, უჭვეულია.

ბანკის, როგორც კაპიტალისტური საწარმოს განსაზღვრების მეორე ნაკლიც გაჩნია: იგი ბანკის, როგორც საწარმოს საგარეულო ფესვების გამოვლენის საშუალება არ იძლეოდა. ყველაფერი დაიყვანებოდა სოციალურ იერამდე, რომელიც, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, მის ეკონომიკურ არსს ხაზს არ უსვამდა.

ბანკი, როგორც ნებისმიერი სხვა საწარმო, დამოუკიდებელ სამეურნეო სუბიექტს წარმოადგენს, იურიდიული პირის უფლებები აქვს, აწარმოებს და რეალიზაციას უკეთებს პროდუქციას, ეწევა მომსახურებას, სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპით მოქმედებს. ბანკის, როგორც საწარმოს ინტერესებიც ცოტათი თუ განსხვავდება. იგი თავისი მომსახურებით, პროდუქტით ისეთი საკითხების გადაწყვეტას ახორციელებს, რომლებიც საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან არის დაკავშირებული. იგი მიღებული მოგების საფუძველზე, როგორც ბანკის ქონების მესაკუთრეთა, ასევე მისი კოლექტივის წევრების სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს ახორციელებს.

ბანკს ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა შეუძლია განახორციელოს (რასაკვირველია, თუ ისინი ბანკის წესებიდან გამომდინარე, ქვეყნის კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგებიან). ბანკს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საწარმოს, სპეციალური ნებართვა (ლიცენზია) უნდა ჰქონდეს.

ბანკი, როგორც სავაჭრო საწარმო. ამასთან ბანკს, როგორც საწარმოს თავისი სპეციფიკა გააჩნია. მისი საქმიანობა, სხვა საწარმოების საქმიანობისაგან განსხვავდება. განსხვავება შემდეგში მდგომარეობს:

უწინარეს ყოვლისა, ბანკები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის,მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისაგან განსხვავებით, გაცვლის და არა წარმოების სფეროში მოქმედებენ. ამ გარემოებამ რიგ ავტორებს საშუალება მიეცა ბანკი სავაჭრო საწარმოებად ჩაეთვალათ. შემთხვევითი არაა საბანკო საქმიანობის სავაჭროსთან ასოცირება. სინამდვილეში, ბანკები რესურსებს, თითქოსდა "ყიდულობენ" და "ყიდიან", ამით განაწილების სფეროში ფუნქციონირებენ, საქონლის გაცვლას ხელს უწყობენ. ბანკებს თავიანთი "გამყიდველები" ჰყავთ, განსაკუთრებული "სასაქონლო მარაგი" და საკუთარი გააჩნიათ. მათი საქმიანობა ბრუნვადობაზე ბევრადა დამოკიდებული. ამით ბანკსა და სავაჭრო სფეროს შორის მსგავსება ძირითადად მთავრდება.

უფრო მეტიც, მსგავსება გარეგნულ სახეს ატარებს, რადგან ბანკი, არა საქონლით, არამედ განსაკუთრებული საქონლით ვაჭრობს. მაგალითად, ცნობილია ისეთი ოპერაციები, რომლებსაც ბანკირი ფულად ბაზარზე ვალუტის გაცვლით (ყიდვა-გაყიდვა) აწარმოებენ. ამ დროს ერთი ქვეყნის კაპიტალი (ან ოქრო) განსაზღვრული კურსით და ფასით შეისყიდება, ან გაიყიდება.

აღნაშნული ოპერაციები ემსახურება რა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, განსაკუთრებით იმ ბანკებში რომლებიც საგარეო ვაჭრობის მომსახურებით არიან დაკავშირებული, აქციების და ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვასთან ერთად, საბანკო მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირებას ახდენენ. ამასთან საბანკო "ვაჭრობის" ჩამოყალიბება არა იშლად ამის გამო, რამდენადაც კრედიტით "ვაჭრობის" შედეგად ხდება, როდესაც ბანკები რესურსებს ყიდულობენ, მოზიდულ სახსრებზე პროცენტს გადაიხდიან, (რომლებიც საწარმოების და მოსახლეობის მიერ საბანკო ანგარიშებზე, ანაბრებზეა შეტანილი) და შემდეგ მსესხებელს ამ სახსრებს "მიაყიდიან". აქ არსებითია, ვაჭრობისაგან განსხვავება: ვაჭრობის დროს საქონელი თავის მესაკუთრეს იცვლის, გამყიდველიდან მყიდველთან გადადის. დაკრედიტების დროს გასესხებული ღირებულების მესაკუთრე იგივე რჩება.

საქონლით ვაჭრობის შემთხვევაში ღირებულების შემხვედრ მოძრაობასთან გვაქვს საქმე: გამყიდველისაგან მყიდველთან საქონელი მიდის, მყიდველისაგან გამყიდველთან კი - ფული. დაკრედიტების შემთხვევაში, კრედიტის გაცემის მომენტში ღირებულების ცალმხრივ მოძრაობას აქვს ადგილი, გასესხებული ღირებულება კრედიტორისაგან სესხის აღებთან გადაადგილდება, მისი ექვივალენტის გადახდის გადავადება ხდება. ის მხოლოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ თავის საწყის იურიდიულ წერტილს უბრუნდება. განსხვავება იმაშია, რომ სავაჭრო გარიგების შემთხვევაში, გამყიდველი თავის საქონლის ექვივალენტს ფულს იღებს, ხოლო დაკრედიტების დროს კრედიტორს არა მარტო თავდაპირველი გასესხებული ღირებულება, არამედ მასთან ერთად სასესხო დამატება- პროცენტის სახით უბრუნდება.

ბანკი, როგორც საშუამავლო საწარმო. ბანკის გაცვლის სფეროში ფუნქციონირება, მის არსზე სხვა წარმოდგენასაც იძლევა. ბანკს, ხშირად, როგორც საშუამავლო ორგანიზაციას, ისე ახასიათებენ. ამის საფუძველია იმ რესურსების განსაკუთრებული განდინება, რომლებიც ერთგან დროებით ჩაწოლილია, სხვებთან კი გამოყენებას მოითხოვს. ამასთან სიტუაციის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს, რომელიც რესურსების განსაზღვრულ ნაწილს ფლობს, სურს ის შესაბამისი გარანტიებით, კონკრეტული ვადით და პროცენტით სხვა კონტრაგენტს - მეანაბრეს გადასცეს. კრედიტორის მეანაბრის ინტერესს უნდა ემთხვეოდეს და ამასთან აუცილებელი არ არის, რომ მეანაბრე მოცემულ რეგიონში იმყოფებოდეს. რასაკვირველია, თანამედროვე ფულად მეურნეობაში შემთხვევითია ინტერესების ასეთი თანხვედრა. აქ დამაკავშირებელ რგოლად შუამავალი - ბანკი გამოდის, რომელიც მოთხოვნა-მიწოდების გათვალისწინებით გარიგების განხორციელების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ინდივიდუალური კრედიტორისაგან განსხვავებით, რესურსები ბანკის "ჯიბეში" თავიანთ საწყის სახეს კარგავენ. ბანკი, შეაგროვებს რა მრავალრიცხოვან სახსრებს, მეანაბრეების ყველაზე მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შესძლებს. კრედიტორი ვადის, უზრუნველყოფის, პროცენტის მიხედვით ნებისმიერი კრედიტის არჩევის საშუალებას იძლევა. ბანკი, მოცემულ შემთხვევაში. იმ იღბლიანი "მაჭანკლის" როლში გამოდის, რომელიც ორი სუბიექტის -- კრედიტორისა და მსესხებლის ურთიერთ გაცნობას უწყობს ხელს.

რა მნიშვნელობით ხდება ბანკი შუამავალი? ვისა და ვის შორის არის იგი შუამავალი? ცნობილია, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები და საწარმოები შუამავლად გამოდიან. მაგ., ვაჭრობა - შუამავალია, რადგან ის მწარმოებელსა (სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები) და მომხმარებლების (მოსახლეობის და სხვა საწარმოების) მოთხოვნილებების შუა მდებარეობს, რადგანაც მათ სურთ სხვა მწარმოებლის პროდუქტის შეძენა. ვაჭრობა, გამყიდველსა და მყიდველს შორის თავისებური შუამავალია. ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში შუამავლის როლი შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ყველაზე განსხვავებულმა სამსახურებმა (იურიდიული, საკომისიო, საფოსტო და სხვ.), მაგრამ ამის შედეგად ისინი ბანკებად არ გადაიქცევიან. ბანკს, როგორც შუამავალს, სხვა ბუნება აქვს, რომელიც როგორც ასეთი საშუამავლო საქმიანობასთან კი არა, მისი საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობებთან არის დაკავშირებული.

აქ ანალიზისათვის სხვა მომენტიც მნიშვნელოვანია. თუ ჩავთვლით, რომ ბანკი კრედიტორს და მსესხებელს შორის შუამავალია, მაშინ როგორ ავხსნათ, რომ თავის ყოველდღიური საქმიანობის დროს ის ერთდროულად კრედიტორიცაა და მსესხებელიც, ის ხომ რესურსებს ყოველდღე გასცემს და სხვებისაგან იღებს. თუ ბანკის საშუამავლო ინტერპრეტაციის ლოგიკას გავყვებით, მაშინ შეგვიძლია ის ერთ შემთხვევაში კრედიტორად, მეორეში კი მსესხებლად ჩავთვალოთ და ეს ჭეშმარიტებასთან ახლოს იქნებოდა, რადგან აქ მისი საქმიანობის სპეციფიკა, სხვა სამეურნეო ობიექტების საქმიანობისაგან განსხვავებით, სრულად გამოჩნდებოდა.

პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ გამოდის რა ბანკი, როგორც კრედიტორი, მსესხებელი, როგორც მათ შორის შუამავალი, თავისი არსის პოზიციიდან, ის არც ერთს, არც მეორეს და არც მესამეს არ წარმოადგენს. ბაკი კრედიტორი, ბანკი, როგორც მსესხებელი, ბანკი, როგორც შუამავალი, ეს მისი საქმიანობის ფრაგმენტია და ამ გაგებით მისი არსის ნაწილია, რომელიც საზოგადოებაში მისი მდგომარეობის და საქმიანობის სპეციფიკას არ ამოწურავს. ნებისმიერ საწარმოს, კერძო პირს შეუძლია გამსესხებლად, სესხის აღებად გამოვიდეს, ნაღდი და უნაღდო ფულით ანგარიშსწორების სფეროში საშუამავლო ოპერაციები განახორციელოს, მაგრამ ამით ისინი ბანკებად არ გადაიქცევიან. ალბათ, ბანკი კრედიტორიცაა, მსესხებელიცაა და ასევე ფულად ანგარიშსწორებებში შუამავალიცაა. მით უმეტეს, ამ თვისებებით ის თავის არსს საკმაოდ წარმოაჩენს. ბანკი სამეურნეო ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენაა.

ბანკი, როგორც ბირჟის აგენტი. ჯერ კიდევ 20-იან წლებში, მიმოქცევის სფეროში ბანკის საქმიანობამ მასზე, როგორც ბირჟის აგენტზეც, წარმოდგენა შექმნა. როგორც ცნობილია, ამის საბაბი გახდა ის, რომ ბანკები ბირჟის აუცილებელ მონაწილეებს წარმოადგენდნენ. მათ შეუძლიათ საბირჟო ოპერაციების დამოუკიდებლად მოწყობა, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ოპერაციები შესრულება, თუმცა, ყოველივე ეს ბანკს, არც ისტორიულად, არც ლოგიკურად საბირჟო ორგანიზაციის ნაწილად არ აქცევს. კერძო ბანკები (საბანკო სახლები) ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოქმნამდე გაცილებით ადრე გამოჩნდნენ. ამასთან ისიც არსებითია, რომ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საბანკო ოპერაციების ნაწილს, ამასთან არა მთავარ ნაწილს წარმოადგენს. იმან, რომ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საკმაოდ სპეციფიკურია და ბანკის საკუთარი საქმიანობისაგან განსხვავებულია, საშუალება მისცა ბირჟას სპეციალური აპარატით და ამოცანებით, დამოუკიდებელი ელემენტის სახით ბაზრისაგან გამოყოფილიყო.

ბანკი, როგორც საკრედიტო საწარმო. თავის მხრივ თანდათან სულ უფრო საკრედიტო ცენტრის ფუნქციებს იძენს, რაც მისი, როგორც საკრედიტო საწარმოს განსაზღვრების საშუალებას იძლევა. თუმცა, ეს ბანკის კრედიტთან შერევის საფუძველს არ იძლევა.

კრედიტი - ეს არის გასესხებული ღირებულების უკუ მოძრაობის საბაბით კრედიტორსა და მსესხებელს შორის ურთიერთობა. საკრედიტო ურთიერთობებში მხარეებიდან რომელიღაც კრედიტორია და რომელიღაც - მსესხებელი. ყოველ ცალკე აღებულ საკრედიტო გარიგებაში, თითქოსდა ყოველთვის ორი მხარეა ფოტოგრაფირებული. ამასთან კრედიტი მათ შორის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ურთიერთობას გამოხატავს, კრედიტისგან განსხვავებით, ბანკი ამ ურთიერთობების ერთ-ერთი მხარეა, რომელსაც მართლაც შეუძლია ერთდროულად კრედიტის სახით და მსესხებლის სახით გამოვიდეს. თუმცა, ყოველ ცალკეულ მომენტში, ასევე ფოტოგრაფირებულ გარიგებებში ხან კრედიტორის, ხან კი მსესხებლის სახით გამოდის. შესაბამისად, ბანკი - თავისთავად ურთიერთობა კი არ არის, არამედ ურთიერთობის ერთ - ერთი სუბიექტია, რომელიც საკრედიტო გარიგებაში ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეებიდან ერთ-ერთის მხარეზე გამოდის. შემდეგი განსხვავება ბანკსა და კრედიტს შორის იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტი არის როგორც ფულადი, ისე სასაქონლო ურთიერთობა. ბანკში რესურსები მხოლოდ ფულადი სახითაა კონცენტრირებული: ბანკსა და კრედიტის შედარებისას მნიშვნელოვანია მათი ისტორიული ფესვების დანახვაც. ბანკი მხოლოდ მაშინ წარმოიქმნა, როდესაც ფული წარმოიშვა, იმ დროს როცა კრედიტი ფულის წარმოშობამდე ფუნქციონირებდა. ბანკი ბანკი კრედიტის განვითარების შედეგია, კრედიტი თავის მხრივ ბანკის ფუნდამენტს წარმოადგენს.

ამრიგად, ბანკის წარმოშობის პროცესის შესაცნობად მნიშვნელოვანია არა მარტო საერთო საკრედიტო ბაზის დანახვა, არამედ ისიც, რომ მათში, როგორც ღირებულების უკუ მოძრაობის,ასევე ღირებულებით ფულადი ფორმით მოძრაობის ურთიერთობებია აკუმულირებული. მართალია, ბანკის, როგორც საკრედიტო საწარმოს განსაზღვრებას მნიშვნელოვანი სპეციფიკური თვისება ახასიათებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს განსაზღვრება მისი არსის სრულ სურათს არ იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ბანკის არსის ფრაგმენტია და სწორედ ამიტომ არის დაუმთავრებელი. როგორც აღვნიშნეთ, ბანკების მეშვეობით არა მარტო დაკრედიტება, არამედ მთელი რიგი სხვა ოპერაციებიც ხორციელდება. თავისი ბუნებით, ბანკები ფულად და საკრედიტო ურთიერთობებთან არის დაკავშირებული. სწორედ მათ ბაზაზე ჩაისახა ისეთი უნიკალური წარმონაქმნი, როგორიც ბანკია. იგი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც განსაკუთრებული საწარმოების სისტემა, რომელთა პროექტსაც საკრედიტო და საემისიო საქმე წარმოადგენს. ამასთან ბანკის არსის მთავარ კომპონენტად, მის საფუძვლად, შეიძლება ფულად-საკრედიტო სისტემის ორგანიზაცია და ფულადი ნიშნების ემიტირება ჩაითვალოს. ასეთია საკითხის თეორია, რომელიც დაგვეხმარება გავიგოთ, თუ როგორი უნდა იყოს ბანკი პრაქტიკაში.

2. კომერციული ბანკის, როგორც საწარმოს სპეციფიკა

ბანკის საქმიანობის საფუძველში ძევს მისი, როგორც სპეციფიკური საწარმოს ფუნქციონირების იდეა. ამასთან, შეიძლება იყოს ყველაზე მრავალფეროვანი

ბანკის ტიპები. შესრულებული ოპერაციების ხასიათის მიხედვით, ბანკები შეიძლება იყოს საემისიო და კომერციული. პირველ შემთხვევაში, ბანკის პროდუქტს საემისიო რეგულირება წარმოადგენს. როგორც წესი, ამგვარი ოპერაცია ცენტრალურ ბანკებს ეკისრებათ. ისინი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო (ეროვნული, სახალხო) ბანკები და ასევე სხვა მსხვილი ბანკები, რომლებიც ასრულებენ მიმოქცევაში ფულის გამოშვების და ამოღების საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ

დასახული ოპერაციებს. ასეთი ბანკების მთავარ მიზანს ფულადი ერთეულის პოზიციების გამაგრება წარმოადგენს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. ჩვეულებრივ, საემისიო ბანკები სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის დაკრედიტებას არ აწარმოებენ. ეს ოპერაცია შედის კომერციული ბანკების კომპეტენციაში, რომლებიც სხვადასხვაგვარ ხერხებს გასცემენ როგორც საწარმოებისათვის, ისე მოქალაქეებისათვის.

გაცემული კრედიტების ვადების მიხედვით შეიძლება არსებობდეს ბანკები, რომლებიც უპირატესობას გრძელვადიან ან მოკლევადიან ხერხებს ანიჭებენ. ასეთი ბანკების ამოცანაა - უზრუნველყოს მსესხებელი, მოთხოვნილების უკუ საუკეთესო დამატებითი რესურსებით, რომლებიც მათ ეხმარებათ თავიანთი კომერციული საქმიანობისათვის. ბანკების კლასიფიცირება შეიძლება სამეურნეო ნიშნითაც - საწარმოო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო (დარგების ყველაზე მრავალფეროვანი კომბინაციით), საგარეო- სავაჭრო. მსოფლიო პრაქტიკაში ასევე გამოიყოფა - საშემნახველო, ლეპოზიტური ბანკი, რომელთა ძირითად ამოცანას თავისუფალი ფულადი საშუალებების აკუმულაცია, დეპოზიტების (ანაბრების) მოზიდვა წარმოადგენს და მათი გამოყენება სხვა საკრედიტო დაწესებულებების დაკრედიტებისათვის. საბანკო სისტემაში ცალკე შეიძლება წარმოდგენილი იყოს საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც სპეციალურ დავალებებს ასრულებენ - სხვადასხვა სახის იპოთეკური ბანკები, სპეციალური დანიშნულების ფონდები, ურთიერთ დაკრედიტების საზოგადოებები, ლომბარდები, ურთიერთ დახმარების სალაროები. ტერიტორიალური ნიშნით ბანკები იყოფიან: აღგილობრივ (რეგიონალურ) და რიგი რეგიონების, ქვეყნების, საერთაშორისო მოთხოვნილებების შემსრულებელ ბანკებად. რასაკვირველია, პრაქტიკაში ძნელია შეხვდე ერთგვაროვან ბანკს. საჭიროა მოიძებნოს მსხვილი საკრედიტო დაწესებულება, რომელიც იძლევა მხოლოდ მოკლევადიან კრედიტებს, კრედიტებს მხოლოდ საშრეწველო საწარმოებისათვის, ან ცალკე აღებული რეგიონის კლიენტებისათვის. თანამედროვე ფულად მეურნეობაში უფრო შესაძლებელია მოინახოს ბანკის მიერ შესრულებული ოპერაციის კომბინაცია. მისი საქმიანობის შთაბარი მიმართულების შენარჩუნებით, რაც ჩვენ უფლებას გვაძლევს გამოვყოთ მათი ცალკეული ტიპები.

საკრედიტო დაწესებულებების კლასიფიკაციის კრიტერიუმებს შორის საჭიროა საკუთრების ნიშანი გამოვყოთ. საკუთრების ხასიათის მიხედვით ბანკები შეიძლება იყვნენ: სახელმწიფო, სააქციო, კოოპერატიული, კერძო, მუნიციპალური, შერეული. სახელმწიფო ტიპის ბანკებში საბანკო კაპიტალზე საკუთრების პოზიცია სახელმწიფოებრიობის ნიშნის ფუძემდებელს წარმოადგენს. ამოსავალს ასეთი ბანკებისათვის მათი დაქვემდებარება სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებთან წარმოადგენს.(მაგ. ფულის მიმოქცევის სტაბილურობის შენარჩუნება ემისიური ბანკების სისტემით, ამა თუ იმ დარგის ან რეგიონის განვითარების დაფინანსება კომერციული ბანკების სახელმწიფო სისტემით). ქვეყანაში, სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე სხვადასხვა დარგობრივი ბანკებია შექმნილი, რომელთა დამფუძნებლები დარგობრივი სამინისტროები და უწყებები გახდნენ. მოცემული ბანკების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათი სასტარტო კაპიტალი ერთაღერთი კაპიტალი არ არის. ის უფრო სააქციო კაპიტალს წარმოადგენს, რადგან იგი ერთიანებს საკუთრების სხვადასხვა ფორმებს. თუმცა ის ხელს არ უშლის აღნიშნულ ბანკებს დარჩნენ სახელმწიფოებრივი თავისთავი საქმიანობის ხასიათით, რადგან ისინი უწინარეს ყოვლისა, მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგების განვითარებას. თანამედროვე საბანკო საქმეში საკუთრების უფრო გავრცელებული ფორმა არის სააქციონერო. სხვადასხვა ეროვიდიული და ფიზიკური პირები შეიძლება მოგვევლინონ ბანკის აქციონერებად,

მათ შორის სახელმწიფო ბანკშიც კი, სადაც სახელმწიფო საკუთრების ფორმა ჭარბობს. შეიძლება ჩავრთოთ დამფუძნებლად სხვა იურიდიული პირები, მაგალითად, სხვა ბანკები. ასეთი სახელმწიფო ბანკის კაპიტალი საქციონერო ხდება, თუმცა ეს ხელს არ უშლის ეროვნული ინტერესების განხორციელებას. როგორც ამბობენ: მუსიკას უკეთავს ის, ვინც იხდის. თავის მხრივ, მსხვილი კომერციული ბანკების შესყიდვა ეროვნული ბანკის კაპიტალში, მათთვის არა იმდენად პრესტიჟული, რამდენადაც სარფიანი საქმე აღმოჩნდება. სახელმწიფოებრივი სიახლოვე ასეთ კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს განსაზღვრული ინფორმაცია მიიღონ სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ. კრიტიკულ სიტუაციებში ფინანსური მხარდაჭერის იმედი იქონიონ.

კოოპერაციული ბანკის დამფუძნებელს შესაბამისი კოოპერაციული კავშირი წარმოადგენს. ასეთი ბანკის მეპაიეებად კოოპერატივები გამოდიან. ჩვეულებრივ, ეს უფრო პატარა ბანკების, როგორც საწყისი კაპიტალით, ასევე საქმიანობის მასშტაბებით. კოოპერატული ბანკების თანამფლობელები შეიძლება იყვნენ არა მარტო კოოპერატივები (ისინი სჭარბობენ, როგორც მეპაიეები), არამედ სხვა პირებიც, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებები. ამრიგად, ნებადართულია კერძო, მუნიციპალური და შერეული (უცხოური კაპიტალის მონაწილეობით) საკრედიტო დაწესებულებები. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა ბანკების ტიპების არა მარტო მრავალფეროვნებას, არამედ მათ თანასწორუფლებიანობასაც უზრუნველყოფს. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ბანკი ავტონომიური საწარმო იყოს.

ბანკი, როგორც ავტონომიური საწარმო. ბანკის ავტონომია უნდა იყოს ეკონომიკურად და იურიდიულად გამაგრებული. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში არა მარტო მიიღება კანონები ბანკისა და მისი საქმიანობის შესახებ, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პირველი ნიშანი. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით კანონების შინაარსს, რადგან ისინი ამ ავტონომიურობას, დამოუკიდებლობას ამაგრებენ პოლიტიკური ზეწოლისაგან, რაც საკრედიტო დაწესებულებების ეკონომიკურ მიზნებს ეწინააღმდეგება. ამასთან კიდევ უფრო მნიშვნელოვანია როგორაა სამართლებრივი ნორმები ჩაცული, ხდება თუ არა საქმეში იურიდიული კანონების რეალიზება, რადგანაც ისინი რეალურად ფუნქციონირებენ. მაგალითად, შეუძლია თუ არა სახელმწიფო ბანკს უზრუნველყოს თავისი ფულადი პოლიტიკის დამოუკიდებლობა, საზოგადოება მთავარი საერთო რეგულირების აუცილებლობა დაუმტკიცოს, ეს საკითხი, ფულის მიმოქცევის პოზიციიდან ყოველთვის ცენტრალური იყო. დღეს ის კიდევ უფრო მეტ წონას იძენს. შეიძლება ვთქვათ, საკვანძო მნიშვნელობას, რადგან მასზე არა მარტო ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციაა დამოკიდებული, არამედ მთლიანად ეკონომიკის სტაბილიზაციაც. ეს ეხება კომერციულ ბანკებსაც, რომლებიც ეკონომიკურ ავტონომიურობა იღებენ, საკუთარი რესურსებით მუშაობენ, რომლებიც ეკონომიკური ნორმატივების საზღვრებში, სახალხო მეურნეობის დაკრედიტებისათვის არის მობილიზებული, მაგრამ ცენტრალური და აღგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური მითითებისაგან დამოუკიდებლად, რაც კომერციული ბანკების ეკონომიკური მიზნების საწინააღმდეგოა.

კომერციული ბანკი - ეკონომიკური საწარმოა. საქმე იმაშია, რომ კომერციული ბანკის საქმიანობაში მთავარი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაცია არის. ბანკის პრინციპს წარმოადგენს მუშაობის სრული დაქვემდებარება საზოგადოებრივი ხარჯების ეკონომიის საყოველთაო კანონთან, პრინციპს წარმოადგენს, რომელსაც დანარჩენი მოტივები და მიზეზები უნდა ემორჩილებოდეს. ამის გარეშე ბანკი, როგორც ეკონომიკური საწარმო, შეიძლება არ გამოდგეს. მისი საქმიანობის ყველანაირი იდეოლოგიზაცია, რომელიც ეკონომიკური

ინტერესების საწინააღმდეგოდ არის მიმართული, ბანკს აუცილებლად გაღააქცევს იმ აპარატად, რომელიც თავის ჭეშმარიტ არსს კარგავს. რასაკვირველია, ეს არა მარტო ბანკს, არამედ მის კლიენტებსაც ეხება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბანკი არა საკუთარი, არამედ სხვისი რესურსებით მუშაობს. ბანკი არა თავისთვის, არამედ ყველა საწარმოსათვის და მოსახლეობისათვის სესხულობს. ამიტომ ზედმეტად ხელგაშლილობა ბანკისათვის ისევე დამღუპველია, როგორც მისი მსესხებლებისათვის, რომლებმაც სესხი უკან უნდა დააბრუნონ.

უფრო მეტიც, რისკი იმისა, რომ ბანკი, როგორც საკრედიტო დაწესებულება, არ შეღგება. მით უფრო მეტია, რაც უფრო მსხვილი მასშტაბითაა დაშვებული რესურსების არა რაციონალური გამოყენება. ყველაზე მთავარი საშიშროება ბანკისათვის სახელმწიფოსაგან მოდის, რომელიც უზარმაზარ მასშტაბებში ზედმეტ ხელგაშლილობას უშვებს, რაც იწვევს როგორც საკუთარ, ისევე თვით ბანკის ფინანსურ სიღარიბეს, სახელმწიფოს სუბსიდირებულ ხარჯებს სხვა წყაროების ხარჯზე. სახელმწიფო, რომელიც თავისი მიზნების რეალიზაციისათვის ზედმეტად ხელგაშლილად იყენებს საკრედიტო რესურსებს აუცილებლად ძირს უთხრის ბანკის, როგორც ეკონომიკურ საწარმოს, სიმტკიცეს, პრაქტიკულად მის ჭეშმარიტ არსს ხაზს გადაუსვამს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბანკი, როგორც საწარმო თავის პროდუქტს აწარმოებს. ბანკი ეკონომიკური საწარმოს როლში გამოდის, რადგანაც მისი პროდუქტი ღირებულებით ხასიათს ატარებს. ბანკის პროდუქცია, საგადასახადო საშუალებები, რომლებიც კრედიტთან ერთად ბრუნვაში შედიან. ამასთან ემისიური ბანკის პროდუქტს ფული წარმოადგენს, როგორც განსაკუთრებული საქონელი, რომელიც იცვლება სხვა საშუალო პროდუქტზე და ბოლოს, ბანკის პროდუქტად განსაზღვრული სახის მომსახურებები გამოდიან. მათ მიეკუთვნება, როგორც მომსახურების ტრადიციული სახეები - ანგარიშსწორების ორგანიზაცია (ნაღდ და უნაღდო ფორმებში), ანაბრები, დაკრედიტება, ასევე არატრადიციული - გარანტიის თავდებების კონსულტაციების მიცემის სახით და ა.შ. რასაკვირველია, მომსახურების ყველა ეს ტიპები განსაკუთრებულ ხასიათს ატარებენ ცხადია, მისი ფიზიკური შეგრძნება ყოველთვის საქმიანობაა, რომელსაც თავის საფუძვლად უდევს ზოგადოებრივი ხარჯები. საბანკო მომსახურების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არა იმდენად ფულად იერს ატარებს, რამდენადაც ღირებულების თვითგამძლიერების თვისება გააჩნია, მეანაბრეებისაგან მიღებული რესურსები საკრედიტო დაწესებულებისათვის უფრო არაა. ამიტომ ისინი ისე უნდა იყვნენ გამოყენებული, რომ არა მარტო მეანაბრეებს დაუბრუნდნენ, არამედ ანაბრებით მიიღონ საკმარისი მატება-ანაბრებზე პროცენტების გადახდევინების დროსაც მიიღება ხარჯების კომპენსაცია და მინიმალური მოგება. ბანკი ვალდებულია გამოიყენოს აკუმულირებული რესურსები. ისინი უნდა მიმართონ ხელმოკლე მეანაბრეებისათვის კრედიტის სახით, ისეთნაირად, რომ მისი მომსახურება ასე თუ ისე ეხმარებოდეს კეთილდღეობის გამოსავლებს. ეს კი ნიშნავს სბანკო საქმიანობის მეშვეობით ბრუნვაში გაშვებული ღირებულების თვითგაზრდას.

ბანკი, როგორც ეკონომიკური საწარმო - ყოველთვის მეურნე სუბიექტია. მისი დამფუძნებლები, აქციონერები, თავიანთი რესურსებს აბანდებენ, ახდენენ თავისუფალი სახსრების აკუმულირებას არა, როგორც ამბობენ, სპორტული ინტერესებისათვის, არამედ ეკონომიკური სარგებლობისათვის. ბანკი წარმოადგენს მეურნეობის ინტერესების წარმონაშობს. მისი საქმიანობა სახალხო მეურნეობის ეკონომიკურ მოთხოვნილებებს ემსახურება.

ბანკი სავაჭრო საწარმოა. რასაკვირველია, აქ ლაპარაკი არაა მის არსზე, როგორც ავლენშენეთ არსის პოზიციიდან მისი ბანკის ვაჭრობასთან გაიგივება ისევე არაბუნებრივია, როგორც კრედიტისა - საქონლით ვაჭრობასთან. აქ საკმაოდ აშკარაა განსხვავება. ამასთან მეურნეობის პრინციპების პოზიციიდან, ბანკი კარგ მაღაზიას გავს, რომელიც თავისი მომსახურებით ვაჭრობს. ჭეშმარიტი ფილოსოფია, რომლითაც ბანკი ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდეს - ესაა ფილოსოფია პროდუქციის წარმოების, მათი გაყიდვის მიზნით, მისი საქმიანობის სავაჭრო მოტივების განვითარების ფილოსოფია. საუბედუროდ, ჩვენმა ბანკებმა სწორედ ეს თვისებები დაკარგეს რესურსების განაწილების და არა გაცვლის იარაღად გაღაიქცნენ, როგორც ცნობილია, ბანკების მიერ განსაზღვრულ რეგიონში შეგროვილი რესურსები მათ მფლობელობაში არ შედიოდნენ. ცენტრალიზებულ სისტემას სახსრების ცენტრში და არა ადგილებზე აკუმულირების საშუალება გააჩნია. აღგილობრივი ბანკები მეურნეობის დაკრედიტებას ანხორციელებდნენ არა მათ მიერ შეგროვილი სახსრების ბაზაზე დამოკიდებულებით, არამედ ზემოდან გამოყოფილი დაკრედიტების ლიმიტებიდან გამომდინარე. წლების განმავლობაში საბჭოთა ბანკებმა დაკარგეს საკუთარი პროდუქციის ვაჭრობის და მომსახურების ორგანიზაციის საიდლები. შეიძინეს არა სავაჭრო ცენტრის არამედ ბარათებით განაწილებლობით ფუნქციები. სპეციფიკური პროდუქციით ვაჭრობის ფილოსოფია პრაქტიკულად გაქრა, დირექტორმა მარიამ ამით ის გააუქმა, რის გარეშეც ბანკს, როგორც ასეთს, არ შეუძლია არსებობა, ასეთია რეალობა, რის გამოც მოგვიწევს უღიდესი მუშაობა საბანკო საქმიანობის ნამდვილი მნიშვნელობის აღსადგენად.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბანკი, სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მომსახურე-კომერციული საწარმოა. სწორედ თავისი ნამდვილი დანიშნულების წყალობით მას კომერციული ბანკი დაარქვეს, მაგრამ ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ ბანკი კომერციული კრედიტით მომსახურებას ეწეოდეს (ასეთი აზრი ნამდვილად არსებობს), ბანკები თამასუქს ნამდვილად ითვალისწინებენ, ამ თამასუქებით თავიანთი საბანკო კრედიტის გაცემა შეუძლიათ. თუმცა, ეს მათ კომერციულ საწარმოებად არ გადაქცევს. პასუხი, როგორც ჩვენ წარმოგიდგენია, თვით სიტყვა კომერციაში არის ჩადებული, რომელიც ვაჭრობას ნიშნავს. რუსეთში კომერსანტს უძველესი დროიდან ვაჭარს ეძახდნენ, რომელიც განსაზღვრული პროდუქციით ვაჭრობდა. დასაწყისება, რომელიც საქმიანს ბანკმა შეიძინა, ზუსტად იმ ჭეშმარიტ აზრს ეთანხმება, რომელიც უნდა იყოს საბანკო საქმიანობაში ჩადებული.

საბანკო კომერციის პრინციპები. საბანკო სფეროში კომერცია განსაზღვრულ პრინციპებს ეყრდნობა. მათში მთავარია - შემოსავლიანობის პრინციპი, რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება. ფართოდაა ცნობილი, რომ ბანკის საქმიანობის მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს მოგების მიღება. ერთ-ერთ დოგმაზე გადაგებიდანია, ბოლოს და ბოლოს, მრავალი წლის შემდეგ, საბანკო საქმიანობის ერთი არსებითი მომენტის შეგნებამდე, რომ ბანკის საქმიანობის ძირითად მაჩვენებლად მოგების მაჩვენებელი გახდა. ბოლოს და ბოლოს ჩვენ დავიღალეთ, ბანკის როგორც ასეთის, აღორძინების გზას. თუმცა მოგების მიღება, უფრო მეტია, ვიდრე მაჩვენებელი. შემოსავლიანობა, მომგებიანობა, როგორც პრინციპი, ნიშნავს იმას, რის გარეშეც ბანკს არ შეუძლია არსებობა, რის გარეშეც მისი ეკონომიკური მომსახურების აზრი იკარგება. მაჩვენებელი შეიძლება შეიცვალოთ, სხვა მაჩვენებლით, პრინციპის შეცვლა კი არ შეიძლება, ის მუდმივ გარდაუვალ ხასიათს ატარებს.

საბანკო კომერციის მეორე პრინციპი თავსდება ფორმულაში: იაფად იყიდე, ძვირად გაყიდე. სწორედ ესაა სპეკულანტური პრინციპი. ამიტომ ბანკს საყუთვლიანად შეიძლება სასპეკულიანტო საწარმო დავარქვათ. ყველას აქვს ვაჭრობის უფლება, მაგრამ ამისათვის სპეკულაცია ცივილიზებულ სახათს უნდა ატარებდეს. მისი ამორალური თვისების ალაგმვისათვის ის ვალდებულია კანონმდებლობას ეყრდნობოდეს, მას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ნავარაუდევია, რომ კომერციის განსახორციელებლად თითოეული ბანკის ბაზრის შესახებ თანაბარი ინფორმაცია აქვს. ბირჟას, მისი ფასიანი ქაღალდის კოტირებით, ამა თუ იმ პროდუქციის ბაზრის შესახებ ინფორმაციას, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების ტენდენციას შეუძლია მისცეს ყველას თანაბარი შესაძლებლობა თავისი ბიზნესის გაკეთებისათვის. თანაბარი შესაძლებლობები უნდა იყოს შექმნილი პროდუქციის წარმოებისათვისაც. ბოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ბანკი თავის მომსახურების შეთავაზების შესაძლებლობას მიიღებს, კანონმდებლობის ჩარჩოებში მათი რეალიზების საშუალებას, შეიძლება ვილაპარაკოთ ნამდვილად ცივილიზებულ ფორმებზე, რომლის დროსაც სპეკულაცია თავის კრიმინალურ იერს კარგავს და შეწარმეობის ნორმად იქცევა. ამ პირობებში ბანკი რაც უფრო სპეკულანტური ხდება, მით უფრო მისი საქმიანობა კომერციის საწყის პრინციპს შეესაბამება, იმაზე თუ რამდენად იღბლიანად სპეკულირებს ბანკი, მისი წარმატება, მისი მოგება არის დამოკიდებული.

კომერციული ბანკისათვის სულ ერთი არაა, თუ რა ფასადა მიღწეული მოგება. საბაზრო კომერციის პრინციპი განაგებს დიდი მოგების მიღების მცირე ინვესტიციებით. საკმაოდ მნიშვნელოვანია საერთო რესურსებში ბანკის საკუთარი წილი, რომლის მეშვეობითაც ხდება შეძოსავლის ფორმირება. თითოეული ბანკისათვის ცნობილია, რომ ეფექტი მით უფრო შესამჩნევი იქნება, რაც უფრო ნაკლებია პასივებში მისი საკუთარი წილი.

კომერციის პოზიციიდან, რესურსები გამოუყენებელი არ უნდა იყოს. ყველა ფული, რესურსი მაქსიმალურად უნდა მუშაობდეს. თუმცა, რეალურია ის, რომ თანხების რაღაც ნაწილი რეზერვებში იმყოფება, სესხად ან საერთოდ არ ბრუნავს. რასაკვირველია, ბიზნესის პოზიციიდან ეს არაბუნებრივია, ამიტომ ყოველთვის სასარგებლოა იმის ცოდნა, რომ მოგება მით უფრო მეტი იქნება, რაც უფრო მეტია შესაბამისად პირველად და მეორედ რეზერვებში კრედიტების წილი.

საბანკო კომერციის მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა საბანკო საქმიანობის უსაფრთხოება. თანაბარ პირობებში ბანკის მოგება მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტია ბანკის უსაფრთხოება და ნაკლებია რისკი. მიუხედავად ამისა, ბანკი რისკიანი საწარმოა. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ კომერციული ბანკი ეს რისკია, შემდეგ მოლოდინის პერიოდი, ხოლო შემდეგ მოგება ან ზარალი. მსოფლიოში არ დარჩენილა ას პროცენტიანი გარანტიები, თითოეულმა რაც არ უნდა ღრუბლოსანი თავი დაიკარგებისაგან, მათი მოლიანად თავიდან აცილება შეუძლებელია, როგორც ამბობენ: მშიშრები ბანკის არ თამაშობენ. მაგრამ კომერციისათვის საზიანოა ბანკის თამაშის ან შემთხვევითობის პრინციპებზე დაყრდნობა, ან მოქმედება პრინციპით: გამარჯვება, ან სიკვდილი. მისი მიზანი სხვადასხვა ცვლილებების დროს უნდა იყოს განხორციელებული. აქ ბანკი კომერციის მნიშვნელოვანი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკს, როგორც ეკონომიკურ საწარმოს, თავისი კაპიტალით, მოგებით გარისკვა შეუძლია, მაგრამ არა კლიენტის კაპიტალით და მოგებით. წარმატებული (ან წარუმატებელი) კომერციის დროს ბანკი შეიძლება დაზარალდეს, მაგრამ კლიენტი, რომლის გულისთვისაც კაცმა რომ თქვას, არსებობს საკრედიტო დაწესებულება, არ უნდა დაზარალდეს. საბანკო კომერცია უნდა მოქმედებდეს პრინციპით: ყველაფერი კლიენტისათვის. უმთავრესად ეს ნიშნავს იმას, რომ ბანკი კლიენტის წინაშე სრული

პასუხისმგებელია მოგების უზრუნველყოფის საკითხებში. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს მოცემული პრინციპი არ ეთანხმება თვით ბანკის შემოსავლიანობის პრინციპს, ჩვენს მიერ განხილული ბანკის, როგორც კომერციული საწარმოს, შემოსავლიანი მეურნეობის პრინციპს. მიუხედავად ამისა, ამ პრინციპებს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. როდესაც ჩვენ ვანალიზებდით შემოსავლიანობის პრინციპს, ჩვენ ვხედავდით, რომ ეს პრინციპი სრულად შეესაბამება ბანკის მოგების ბუნებას. ბანკის მოგება ეს არის ის ფასი, რომელსაც ბანკი იხდის საზოგადოებისაგან ფულადი სახსრების სესხად აღებისათვის

მეშვეობით ახლის. ბანკის მეშვეობით მოსახლეობა კომუნალურ გადასახადებს იხდის, ანხორციელებს ტელეფონით სარგებლობისათვის, მანქანის სადგომისათვის, სადაზღვო პოლისათვის და სხვა ფულადი ოპერაციებისათვის ანგარიშსწორებას. საწარმო სხვა ბანკში არ მიდის, რადგან იცის, რომ ყველა ფინანსური პრობლემის გადაწყვეტა თავის ბანკში შეუძლია. თავის მხრივ, ბანკს სურს რა პარტნიორად ყოფნა, პაკეტური მომსახურება უნდა უზრუნველყოს, კომერციული ბანკები მომსახურების ტრადიციულ სახეობასთან ერთად (მათ შორის მრავალი სახის კრედიტის გაცემა) სავალუტო და სატრასტო ოპერაციებს ახორციელებენ, აგრეთვე თავისი კლიენტის წარმოებაში პირდაპირ ინვესტირებას ანხორციელებენ. კლიენტს არ ესაჭიროება სხვა ბანკში წასვლა, მან იცის, რომ მისი თხოვნით და სახელით სხვა რეგიონში მოლაპარაკებას მოაწყობენ და ხელშეკრულებას გააფორმებენ. საერთოდ, საწარმო, ბანკში მიდის არა კრედიტისათვის და ამა თუ იმ მომსახურების მისაღებად, რადგან ისინი შეიძლება მიიღოს ნებისმიერ სხვა ბანკში. კლიენტი მიდის თავის ბანკში იმიტომ, რომ საფინანსო დახმარებასა თუ ის მომსახურება უფრო კვალიფიციური ფორმით შეიძლება მიიღოს. ენდობა რა კრედიტორ- ბანკს, კლიენტი, პრაქტიკულად, საჭიროების შემთხვევაში იღებს რჩევას, კონსულტაციას რესურსების სწორად გამოყენების თაობაზე, მიზანშეწონილად ფულადი სახსრების დაბანდების შესახებ, მოგების გაზრდის შესახებ.

რასაკვირველია, რუსეთის ბანკს კლიენტისათვის ასეთი ფორმით დახმარების გაწევა არ შეუძლია. მოცემულ ეტაპზე მას არ შეუძლია გაუწიოს კლიენტს დახმარება, კონსულტაცია ინვესტიციების მომარაგულებებზე, პროდუქციისა და ღირგის კონიუნქტურაზე. ბანკის პერსონალის პროფესიონალური ღონე საკმარისად მაღალი არ არის. საწარმოების საქმიანობაში დარღვევების კონტროლის მოტივებზე აღზრდილები, ბანკები აკონტროლებენ ზენორმატიულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაგროვებას, დებიტორულ დავალიანებებში საბრუნავ სახსრებზე ყურადღების გადატანას კაბიტალურ ხარჯებში. ანხორციელებენ რა წვრილმან მეთვალყურეობას, ჩვენი ბანკები გადაეწევიან კომერციის მართვის, საშეურნეო კონიუქტურის ანალიზს, კონსულტანტად ყოფნას და საბოლოო ჯამში კვალიფიციურ პარტნიორობას ბიზნესის ორგანიზაციაში, ყველაფერი ეს, რასაკვირველია, კომერციული ბანკის დანამატი კი არაა, მისი უბედურებაა, რადგანაც ბანკის აპარატი სხვა ტრადიციებზე იყო აღზრდილი. უდიდესი სამუშაო გველის მანამ, ვიდრე საგრედიტო დაწესებულება შეძლებს სრულყოფილად გაშალოს მთელი თავისი შესაძლებლობები, უზრუნველყოს კლიენტის მაღალკვალიფიციური მომსახურება. ასეთი მუშაობა უდაოდ დაიწყო. მაგრამ ჩვენს ბანკებს მრავალი წელი დასჭირდებათ, რომ მიაღწიონ სახალხო შეურნეობაში კომერციული ურთიერთობების სტიმულირების უფრო მაღალ საფეხურს.

კომერციული ბანკი, როგორც კონკურენტული დაწესებულება. აქ ბანკებს შორის კონკურენციის განვითარების უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია. კონკურენციას კლიენტებზე, მათ რესურსებზე, მომსახურების გაწევაზე, საბანკო პროდუქციის ხარისხზე შეუძლია გამოიყვანოს ბანკი ამ მდგომარეობიდან, რომელშიც ის აღმოჩნდა. რასაკვირველია, კონკურენცია თავისთავად არ წარმოიქმნება. მისი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა. სავსებით ნორმალური მდგომარეობა, რომ ერთ რაიონში იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე ბანკი. ეს შეიძლება იყოს არა მარტო ახალი ფორმირება, არამედ უკვე მოქმედი ბანკის სხვა ფილიალი, რასაკვირველია, ბანკის გახსნისათვის აუცილებელი ეკონომიკური პირობები უნდა შეიქმნას. ბანკს არ შეუძლია წინდაუხედავად გახსნას ახალი ფილიალები. ბანკის ფორმირება ყოველთვის დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. ხარჯების ეკონომია - ეს არის ძირითადი პრინციპი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ახალი

საკრედიტო დაწესებულებების შექმნისას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამოთვლას, თუ რა ღირდება ბანკის დაფუძნება, როგორი ხარჯები იქნება, როგორი მოგების მიღება შეიძლება, შეძლებს თუ არა კონკურენციის გაწევას პარალელურად მოქმედი ბანკის პროდუქტზე, შეიძლება თუ არა ისეთი მომსახურების გაწევას როგორსაც კონკურენტი ბანკი ვერ გაწევს.

თანამედროვე მეურნეობაში არსებითი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ახალი ბანკის ფორმირებაზე არის, მოქნილი მართვა. ყველაზე დიდი ბანკი შეიძლება ძლევად სამართავი აღმოჩნდეს. პატარა ბანკებს (ფილიალებს, წარმომადგენლობებს) სწრაფად შეუძლიათ აღვილობრივ პირობებში ადაპტირება მოახდინონ, მცირე ღანახარჯებით დიდი მოგება მიიღონ. საერთოდ არ ღირს ბანკის იქ გახსნა. სადაც ისინი ძალიან ბევრია. თუმცა, მსხვილ ბანკს შეუძლია თავს ნება მისცეს იმოქმედოს პრინციპით: ფილიალი იქ გახსნას, სადაც ჯერ კიდევ არაა მისი ფილიალები. ამასთან შეიძლება წესად იქცეს, საკრედიტო დაწესებულებების არსებობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის თავის დამფუძნებლებს ერთი - ორი წლის განმავლობაში მოუტანს მოგებას, ბანკირი ხარბი არ უნდა იყოს, მოგება შეიძლება მერე მიიღოს. მისი ლოდინი საგანგაშო, სერვიულო მომენტია, მაგრამ ის გარდაუვალი და გამართლებულია, რადგან სამანკო საქმე ყოველთვის ითვლებოდა საკმაოდ რენტაბელურ წამოწყებად.

საერთოდ, ბანკები დიდხანს ცოცხლობენ, უკიდურეს შემთხვევაში უფრო დიდხანს ვიდრე სხვა ფირმები და წარმოებები. ეს დაკავშირებულია, ჯერ ერთი - იმასთან, რომ გაკოტრებულ ბანკებს ფირმების გაკოტრების გამოწვევაც შეუძლიათ. ბანკი, რომელიც თავისი მოვალეობის თანახმად ფულს დროულად ვერ აბრუნებს, დეპოზიტორებს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს, იწვევს კლიენტის გაკოტრებას. ამიტომ დაწესებულებებს,ფირმებს მოსახლეობას არასოდეს არ უნდოდათ თავისი ბანკის კრახი. მეორე - ეს სხვა ბანკებსაც არ სურთ. ერთ-ერთი მოგანის გაკოტრება, მეორის გაკოტრებას იწვევს. ამიტომ დაწესებულებებს, ფირმებს, მოსახლეობას თავისი ბანკის კრახი არასდროს ენდომებათ. ხშირად ერთი ბანკის კრახი მოსახლეობას აფხიზლებს. ისინი მოითხოვენ თავის ანაბრებს, ბანკებში რიგში დგებიან. პანიკა საბოლოო ჯამში არა მარტო სამანკო საქმის დესტაბილურობას იწვევს, არამედ - სხვა საკრედიტო დაწესებულებების გაკოტრებასაც. და ბოლოს, არ შეიძლება ყურად არ ვიღოთ სხვა გარემოებაც. დასუსტებული სამანკო სისტემა მთლიანობაში სახალხო მეურნეობის დასუსტებას იწვევს. საწარმოები კარგავენ საკრედიტო მხარდაჭერას, მცირდება გადახდისუნარიანობა. რასაკვირველია, ეს არავის უნდა.მოეწყვლებს როგორც უკუ კავშირის დადებითი მექანიზმი, რომელიც ბანკის შანსს გადარჩეს კონკურენტულ აქ ორი სიტყვა აკლია.

მიუხედავად ამისა, ბანკის გაკოტრება შესაძლებელია. ბანკების ისტორია - ეს არა მარტო მათი აღმაფრენის, არამედ დაცემის ისტორიაცაა, ეს არის პერიოდული კრიზისის და ბანკროტები ისტორია, შეიძლება გამოვყოთ ბანკის გაკოტრების სამი შემთხვევა- ჯერ ერთი, საკრედიტო დაწესებულებების გაკოტრების მიზეზი შეიძლება იყოს მეკალეების მიერ ვალის დაბრუნების უუნარობის შეღეგად. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ბანკ, აქტივის პასივის ხარჯზე ჩამოწერა, აკოტრების, კრედიტების მხოლოდ 1/16 ნაწილის დაკარგვაც აკოტრებს ბანკებს. მეორე - ბანკროტობა შეიძლება გამოიწვიოს მეანაბრეების მიერ დეპოზიტების გაუთვალისწინებელმა და არა ობიექტურმა მოთხოვნამ. ბანკის განკარგულებაში მცირე რეზერვები უმნიშვნელოა, ამიტომ დეპოზიტების მოხსნა მცირე ოღენობითაც კი იწვევს სამაზრო ოპერაციების შეწყვეტას, საკრედიტო დაწესებულების კრახს. მეამე - გაკოტრება წარმოიშვება დეპოზიტების ღირებულების გაღიდების შემთხვევაშიც, როდესაც შემოსავალი, აქტივების მიხედვით,

აღმოჩნდება შეუდარებლად მცირე, ვიდრე პასივზე გაღასახადები. გასაგებია, რომ ყველა ეს შემთხვევები ატარებენ კომერციულ ხასიათს, ჩვენ აქ სათვალავში არ ვიღებთ კრიმინალურ შემთხვევებს, რომლებიც იწვევს კრედიტორისა და მესხებლის ინტერესების შელახვას, ბანკის ფიზიკურ განადგურებას, მათ შორის პოლიტიკური გადწყვეტილებების მეშვეობითაც.

მთლიანობაში ბანკებს შორის კონკურენტული ბრძოლა საბანკო სისტემას აძლიერებს. კომერციული ბანკის სტაბილურობა განსაზღვრულ მექანიზმს ეყრდნობა. მაგ. კანონმდებლობით გათვალისწინებულია ბანკებზე ინსპექტირება და ზედამხედველობის სისტემა, შემოღებულია კომერციული ბანკების ბალანსების და ანგარიშების საჯაროობა. ფართოდაა ცნობილი ცენტრალური ბანკების მიერ კომერციული ბანკებისათვის სხვადასხვა ნორმატივების დაწესება (ბანკის საკუთარი კაპიტალისა და მისი ვალდებულებების შეფარდებების სახით, აუცილებელი რეზერვების სახით და ა.შ.) თანამედროვე პრაქტიკაში სულ უფრო ვრცელდება საბანკო ოპერაციების დაზღვევა, ცენტრალური ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების მხარდაჭერის სისტემების განვითარება, ყველა ეს ღონისძიება საბოლოოდ მიმართულია კომერციული ბანკის სტაბილურობაზე, ხელს უწყობს მათი საფინანსო ბაზის გამაგრებას, მათი ფუნქციების შესრულების უსაფრთხოებას.

ბანკი, როგორც უნივერსალური საწარმო. თანამედროვე ბანკი ის უნივერსალური საწარმოა, როგორც აღვნიშნეთ, კომერციული ბანკები ანხორციელებენ რა პაკეტურ მომსახურებას, ისწრაფვიან მომსახურებების განვითარებისაკენ, რაც შეიძლება მეტი სახეები საკრედიტო პოლიტიკის არეში, ეს არა მარტო მოკლევადიანი, არამედ გრძელვადიანი დაკრედიტებაა, კლიენტების დაკრედიტება, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და დარგობრივი კუთვნილებისა, მოსახლეობის და საწარმოების დაკრედიტება. ბანკები მიისწრაფიან სავალუტო ოპერაციების განვითარებისაკენ, ბირჟებში მონაწილეობის მიღებისაკენ, კლიენტის ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვისაკენ, საკონსულტაციო მომსახურებისაკენ. თანამედროვე ბანკს შეუძლია თავის კლიენტს ასეულობით სხვადასხვა ხასიათის მომსახურება გაუწიოს.

ამასთან, საბანკო საქმის განვითარების კანონზომიერება ისეთია, რომ ბანკის უნივერსალობას მის სპეციალიზაციასთან თანაარსებობა შეუძლია. ფაქტიურად მსოფლიო პრაქტიკაში საბანკო საქმის უნივერსალობა მის სპეციალიზაციასთან პარალელურად ვითარდება. კომერციულ ბანკებს მომსახურებაზე შეუძლია აქცენტების გაკეთება. მაგ. გრძელვადიან ინვესტიციებზე, საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე, სოფლის მეურნეობაზე, ქალაქის (მუნიციპალური) მოთხოვნებზე და ა.შ. ეს გამართლებულია, რადგან სპეციალიზაცია უნივერსალიზაციაზე არა ნაკლები კომერციული საქმიანობაა. აქ მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს რეგიონების ეკონომიკურმა ხასიათმა განსაზღვრულ ეტაპზე კლიენტის მოთხოვნილებებმა, საბანკო კაპიტალის შესაძლებლობებმა, ბანკის საკადრო პოტენციალის დონემ, მისი საქმიანობის მასშტაბებმა და ა.შ. მაგალითად, კომერციული ბანკის საქმიანობაში მთავარი შეიძლება ორი უკანასკნელი ფაქტორი აღმოჩნდეს. საქმე იმაშია, რომ ცოდნის პოზიციით, პირველ ხანებში ჩვენ ბანკებს არ შეუძლიათ საკმაოდ წონადი მომსახურებების სია წარმოადგინონ.

დასავლეთის ბანკების მიერ შესრულებული უღაოდ საინტერესო რიგი ოპერაციები, სამწუხაროდ, ჩვენთვის უბრალოდ უცნობია. ამრიგად, საწყის ეტაპზე ბანკებს არ შეუძლიათ გახდნენ უნივერსალურები, იმ აზრით, რომელსაც ჩვეულებრივ უნივერსალიზაცია შეიცავს მსოფლიო საბაზრო გამოცდილების პოზიციის გაგებით.

ბანკის მასშტაბები არსებით როლს თამაშობს. ასე მაგალითად, მსხვილ ბანკს ხშირად მსხვილ კლიენტებთან აქვს საქმე. უმნიშვნელო კლიენტები პატარა ბანკების ხვედრი ხდებიან. ქვეყანაში

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარება, კოოპერატიული მოძრაობა, საკუთრების განსახელმწიფოება, აუცილებლად გამოიწვევს პერიფერიებში როგორც პატარა ბანკების, ისე მსხვილი ბანკების ფილიალების ქსელის, საკრედიტო კოოპერაციის ურთიერთ კრედიტის საზოგადოებების წარმოქმნას. სპეციალიზაცია აუცილებლად ამართლებს და საშუალებას იძლევა განამტკიცოს საბანკო საქმიანობის წარმატება.

ბანკების განვითარებაში სრულიად კანონზომიერია არა მარტო სხვადასხვა ფორმებით მათი რაოდენობრივი ზრდა, არამედ შერწყმის, შთანთქმის სტრუქტურების შექმნა, რაც თან ხდევს საბანკო საქმეს. რუსეთის საბანკო სისტემა, მისი თანამედროვე სახით, გარკვეული აზრით დაუმთავრებელი სისტემაა, დაუმთავრებელი შენობაა.დიდი მუშაობა არის საჭირო მის დასამთავრებლად. ჩვენს ბანკებს სჭირდებათ ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც კომერციას უფრო დამაჯერებელს გახდის. ეს არა მარტო სახელმწიფო კომერციული ბანკებია, რომლებიც ეკონომიკური რეგიონების და დარგების განვითარების გარკვეულ პროგრამებს უჭერენ მხარს, არამედ მსხვილი საბანკო კავშირებია, რომლებიც თავიანთი წევრების ინტერესებს იცავენ.

საბანკო კომერციის განვითარებაში მნიშვნელოვანი დახმარება უნდა გასწიონ საინფორმაციო სამსახურებმა, რომლებიც ბანკებს აწვდიან კვალიფიციურ, სანდო ინფორმაციას სხვა საკრედიტო დაწესებულებებზე, კლიენტებზე, მათ კრედიტუნარიანობაზე, მენეჯმენტის დონეზე, ასევე სადაზღვევო სტრუქტურები, რომლებიც ამცირებენ ბანკის მიერ შესრულებული ოპერაციების რისკს, აუდიტური სამსახურები. ბოლოს, პერსპექტიულად უნდა ჩაითვალის ბანკების ავტომატიზებული სისტემების შექმნა, რომლებიც ერთიანი ბანკთაშორისი შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა.

3. კომერციული ბანკის სტრუქტურა და მისი საქმიანობის წარმატების ფაქტორები

კომერციული ბანკის სტრუქტურა იგულისხმება მისი ყველაზე უფრო ეფექტური საქმიანობის სწავლა. შევთანხმდეთ, რომ ამ პრობლემის სრული თეორიული გააზრება ალბათ არ არსებობს. ამ თემაზე პუბლიკაციები ჩვენს ქვეყანაში არაა. დასავლეთის ლიტერატურა მხოლოდ ფრაგმენტებს გვთავაზობს. ერთი რამ ცხადია: თუ სტრატეგია დამუშავებულია, თუ მეცნიერული წარმოდგენა საბანკო საქმიანობაზე ფორმულირებულია, მაშინ ეს გაღამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს საბანკო საქმიანობის წარმატებისათვის.

გამოვყოფთ, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დებულებას, თუ გნებავთ ცენტრალურ იდეებს, რომლებიც განსაზღვრავენ კომერციული-ბანკის განვითარებას.

ბანკის მიზნები და მისი განხორციელების ეტაპები. ბანკის მოწყობისათვის უწინარეს ყოვლისა, ნათელი უნდა იყოს მისი მიზნები: როგორი ბანკის შექმნა სურთ მომავალში, როგორი პოზიციების დაკავებას შესძლებს იგი. ამასთან, ნავარაუდევია სხვადასხვაგვარი სტრატეგიული პოზიციებია. მაგალითად: საერთაშორისო დონეზე გასვლა და მსხვილი ევროპელი ბანკის შექმნა, ან ბანკის, როგორც რუსეთის მსხვილ საკრედიტო დაწესებულების შექმნა, რომელიც განახორციელებს ოპერაციებს ევროპულ და მსოფლიო ბაზარზე და ბოლოს ბანკის ფუნქციონირება მხოლოდ რესპუბლიკურ ბაზარზე სახაზრო ნიშას შევსების პრინციპით მუშაობა.

რასაკვირველია, ბანკის პოლიტიკა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არაერთგვაროვანი იქნება. ბანკის მიზნების განსაზღვრა, როგორც საბანკო საქმიანობის აუცილებელი ატრიბუტისა,

თუ კი ის აპირებს სიბნელეში ბრმად მუშაობას, მით უფრო არ ამოწურავს საკითხს. სტრატეგია, როგორც მეცნიერება, არსებობს პრაქტიკული საქმიანობის გვერდით, რომელიც უზრუნველყოფს მის განხორციელებას, ვარაუდობს მართვის ინსტრუმენტების შემოღებას და სასიკეთო კლიმატის შექმნას. სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს საბანკო საქმიანობის საგარეო პირობებს, უნდა განსაზღვროს ის შეღეგი, რომლისკენაც ბანკი მიისწრაფის. შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგია წარმოადგენს საერთო სისტემის ნაწილს, ელემენტს, საბანკო საქმიანობის წარმატების ფაქტორს.

სინამდვილეში რას ნიშნავს შექმნა წამყვანი ევროპული ბანკი? ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია დაიკავოთ წამყვანი პოზიციები ქვეყანაში. საჭიროა განმტკიცდეს როგორც უნივერსალური ბანკი, მომსახურების ფართო პალიტრით. კომერციულმა ბანკმა, რომელსაც სურს გახდეს წამყვანი ევროპული ბანკი, თავისი საქმიანობის ორიენტირება უნდა მოახდინოს საერთაშორისო მასშტაბის მოთხოვნების მომსახურებაზე. განსაკუთრებით საბიუჯო ვაჭრობის სფეროებში და ინვესტიციებში. საფუძვლიანად და მუდმივად უნდა ესწრებოდეს ევროპულ ბაზარს, მნიშვნელოვან ბირჟებზე, ფასიან ქაღალდებზე ფასის დაწესებით. ასეთი ბანკი ვალდებულია ქონდეს საკმაო კაპიტალ შეიღგომი საერთაშორისო ექსპანსიისათვის და რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია მაღალი ტექნიკური სტანდარტები (პირველი კლასის ტექნოლოგია, საბანკო ოპერაციების ელექტრონული განხორციელება, კავშირები ბირჟებთან). ევროპული მასშტაბით ბანკი უნდა განაგებდეს თავისი ფილიალების ვრცელ ქსელს და წარმომადგენლობებს მთელს მსოფლიოში. და ბოლოს, უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელი კადრების აუცილებელი რაოდენობა, რომლებსაც უცხო ენა ეცოდინება და ექნებათ საერთაშორისო საქმიანობის გამოცდილება. ამ შემთხვევაში სტრატეგია დროის მიხედვით უნდა (როგორც საკუთარი, ისე სხვისი) ეტაპებად დაიწყოს.

ამასთან უკუ ეტაპურობა იგულისხმობს: დასწყისში რესპუბლიკის, რეგიონების ბაზრების დაპყრობა, ქვეყნის დონეზე გამოსვლა (რასაკვირველია სავალუტო ოპერაციებით) შემდეგ იმ მსხვილი ბანკების რიცხვში შესვლა, რომლებიც პროდუქტით ვაჭრობენ ევროპულ და მსოფლიო ბაზრებზე და მხოლოდ შემდეგ ფუნქციონირება, როგორც მსხვილი ევროპული ბანკისა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მსოფლიო მასშტაბის პროგნოზით, 90-იან წლებში იფუნქციონირებს 30-50 საბანკო კონცერნი, ალბათ ვერც ერთი ჩვენი კომერციული ბანკი წამყვან პოზიციებს უახლოეს დროში ვერ დაიკავებს.

კომერციული ბანკის მიზანი განისაზღვრება მისი შემოსავლის, რენტაბელობის, ბალანსის სტრუქტურის, მისი საქმიანობის მიმართულების (დეპოზიტური პოლიტიკა, პოლიტიკა ფინანსურ ბაზარზე, სესხზე პროცენტის დაკრედიტების მხრივ და ა.შ.) პოზიციიდან. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს საერთო მიზნები და კერძო მიზნები, რომელთა ფორმირება ხდება როგორც მიმდინარე კომერციული ბანკების სტრუქტურული მიზნების და ოპერატიული ამოცანების შეთავსებით კომერციული ბანკების სტრატეგიული და მიმდინარე დაგეგმვის შეთავსება უფლებას აძლევს თავიდან აიცილონ წარუმატებლობა თავიანთ საქმიანობაში, სრულად განახორციელონ თავიანთი ინტერესები კომერციის სფეროში. ნათელი სტრატეგიული ორიენტაცია ბანკს მნიშვნელოვან იმპულსს აძლევს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის.

კომერციული ბანკის სტრუქტურა. ბანკის საქმიანობის ორგანიზაციაში. საკმაო მნიშვნელობა აქვს მის სტრუქტურას. ღიდი ზანი არაა გასული მას შემდეგ, რაც ის ძველი სისტემის ანაბეჭდს ატარებდა. ყოველი ბანკი თავის მართვის აპარატის წყობის პოზიციიდან ასახავდა ერთი და იგივე სქემას, რომელიც აირეკლავდა მის მიერ შესრულებული ოპერაციების სიღარიბეს (სიმწირეს) ძირითად დაკრედიტების მართვაში და ანგარიშსწორების ორგანიზაციაში. ბანკების გაღისვლამ საბაზრო

ურთიერთობებზე აუცილებლად უნდა დაშალოს ეს ერთფეროვნება. ფუნქციონალური ნიშნით აგებულმა კომერციული ბანკის მართვის სტრუქტურამ არ შეიძლება არ გაითვალისწინოს ოპერაციების გაზრდილი ჩამონათვალი, რომელიც მისთვის ტრადიციულადაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკის სტრუქტურა შეიძლება გამოიყურებოდეს შემდეგნაირად.

ბანკის მმართველობა

საკრედიტო კომიტეტი სარევიზიო კომიტეტი

საბანკო ოპერაციების დაგეგმვის და განვითარების სამმართველო

ბანკის სამეურნეო ანგარიშიანობის ლიკვიდობის ორგანიზაციის
და საბანკო ლიკვიდობის მართვის განყოფილება.
ეკონომიკური ანალიზის და კლიენტების კრედიტუნარიანობის შემსწავლელი განყოფილება.
ბანკის კომერციული საქმიანობის საფუძლების და გეგმების დამუშავების განყოფილება.
კლიენტებთან კავშირის და მარკეტინგის განყოფილება.

დეპოზიტური ოპერაციების სამმართველო.

დეპოზიტური ოპერაციების განყოფილება.
საფონდო განყოფილება.

საკრედიტო ოპერაციების სამმართველო.

კლიენტების მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკრედიტების განყოფილება.
მოსახლეობის დაკრედიტების განყოფილება.
დაკრედიტებასთან დაკავშირებული არატრადიციული საბანკო ოპერაციების განყოფილება.

საშუამავლო და სხვა ოპერაციების სამმართველო.

სატრანსპორტო ოპერაციების და მინდობილობითი ოპერაციების განყოფილება.
საბანკო მომსახურების განყოფილება.
ფასიან ქაღალდებით ოპერაციების განყოფილება.

საერთაშორისო საბანკო ოპერაციების ორგანიზაციის სამმართველო.

სავალუტო და საკრედიტო ოპერაციების განყოფილება.

სააღრიცხვო - საოპერაციო სამმართველო.

საოპერაციო განყოფილება.

საკასო ოპერაციების განყოფილება.
საანგარიშსწორებო განყოფილება.

სამსახურები:

ადმინისტრაციულ - სამეურნეო განყოფილება.
იურიდიული განყოფილება.
კადრების განყოფილება.
ელექტრო - გამოთვლითი მანქანების დანერგვის, ექსპლუატაციის განყოფილება.
სარევიზიო განყოფილება.

ადვილი შესამჩნევია, რომ ბანკის მმართველობის რგოლების შემადგენლობაში გამოყოფილია საბანკო ოპერაციების დაგეგმვის და განვითარების სამმართველო, რომელის შემადგენლობაშიც შედის ბანკის სამეურნეო ანგარიშიანობის ორგანიზაციის და საბანკო ლიკვიდობის მართვის განყოფილება, ასევე ეკონომიკური ანალიზისა და კლიენტების კრედიტუნარიანობის შემსწავლელი განყოფილება, ბანკის კომერციის საქმიანობის საფუძვლების, გეგმების დამუშავების განყოფილება და მარკეტინგის განყოფილება.

შეიძლება ითქვას, რომ ლაპარაკია ბანკის ტვინის ცენტრზე, რომელიც ოპერაციების განვითარებას და მისი შესაძლებლობების პროგნოზებს აკეთებს. როგორც ეს სქემიდან ჩანს, მმართველობითი რგოლების შემადგენობაში შედიან სხვა სამმართველოებიც, რომლებიც ფუნქციონალურად ალადგენენ იმას, რითაც ბანკი ტრადიციულად არის დაკავებული ესენია: დეპოზიტური, საკრედიტო, საშუამავლო, საანგარიშსწორებო, საერთაშორისო და სხვა ოპერაციები. დანარჩენი ქვედანყოფები შეადგენენ ბანკის იმ რგოლებს, რომლებიც ემსახურებიან მის ძირითად კომერციულ საქმიანობას.

რასაკვირველია, მოცემული სქემა სამაგალითოა, რადგან ბანკის აპარატის სტრუქტურაზე უდიდეს გავლენას ახდენს მისი საქმიანობის მასშტაბები, სპეციალიზეციის ხარისხი. ამა თუ იმ ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობა. რიგ შემთხვევებში ბანკი არ ასრულებს ამა თუ იმ მომსახურებებს. მისი ოპერაციების მოცულობა ძალიან უმნიშვნელოა, იმისთვის, რომ მოახდინოს არა მარტო სამმართველოს, არამედ განყოფილებების ფორმირება, მაშინ ბანკის აპარატის შემადგენლობაში იქნება მომსახურების შედარებით პატარა ჯგუფები, რომლებიც საბანკო საქმიანობის შესაბამის მხარეებს ემსახურებიან. მოცემული სქემა გვიჩვენებს მიდგომას მმართველობითი რგოლების დაკომპლექტებისათვის. იმ პრინციპს, რომელზეც დაფუძნებულია ამა თუ იმ ადმინისტრაციული ქვედანყოფის ფუნქციონალური დანიშნულება. ბანკის სტრატეგიის პოზიციიდან მნიშვნელოვანია მმართველობის ისეთი ორგანიზება, რომ მან უპასუხოს გენერალურ ხაზს, რომლის ფორმირება ხდება განვითარების შესაბამის ეტაპზე.

ბანკის სტრატეგიული ორიენტაციის გეერდით, რომელიც საბანკო საქმიანობის მიღწევებს განსაზღვრავს, საჭიროა მენეჯმენტის ხარისხი და კვალიფიკაცია, ასევე მისი მარკეტინგული აქტიურობა გამოყოთ. მოცემულ ფაქტორებს, მართალია თავიანთი საკუთარი საგანი აქვთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სტრატეგიის პოზიციიდან მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. მაგალითად, როდესაც სტრატეგიულ მენეჯმენტთან გვაქვს საქმე, მას მოკლევადიანი პოზიციებიდან კი არა, არამედ გრძელვადიანი პერსპექტივების პოზიციიდან გარდაუვლად განვიხილავთ. ეს საშუალებას იძლევა არა მომენტალური შეღეგის, არამედ მომავალში მუდმივი წარმატების მისაღწევად. აქ

მოცემული კატეგორიის შინაარსზე არ უნდა გავჩერდეთ, მასზე შემდგომ თავებში იქნება ლაპარაკი. ჩვენთვის მთავარია - მათ გარდაუვალ, ამასთან არანაკლებ, ვიდრე თვით სტრატეგიის მნიშვნელობას გაუსვათ ხაზი. ერთს აღვნიშნავთ: დასავლეთის ბანკებმა უწინარეს ყოვლისა, მშვენიერი, მოწესრიგებული მენეჯმენტის და მარკეტინგის წყალობით თავიანთ განვითარებაში ხარისხიანი ნახტომის გაკეთება შეძლეს. მართვის თანამედროვე მეთოდებზე, ტექნოლოგიაზე, ბანკის გარე სტრუქტურებთან ფართო კავშირებზე ყურადღების გამახვილებამ, ჩვენ ბანკებსაც უდაოდ შეუძლიათ მისცენ მძლავრი იმპულსი განვითარებისათვის. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად შესამჩნევ მუხრუჭს საბანკო მომსახურებებში, სწორედ სამეწარმეო კულტურის უქონლობა, მართვის არაეფექტური სისტემა წარმოადგენს.

კომერციული ბანკის საკადრო პოტენციალი. კომერციული ბანკის სტრატეგია ბანკის პერსონალის გარეშე წარმოუდგენელია. ეს თემა იმდენად მრავალმხრივია, რომ სპეციალური წიგნის არსებობას იმსახურებს. სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკური ლიტერატურა აქაც მწირია. სინამდვილეში, ჩვენ ისეთი ნაშრომები არა გვაქვს, სადაც აღნიშნული პრობლემა სპეციალურად იქნებოდა განალიზებული. ძირითადად, როდესაც საბანკო კადრებზეა საუბარი. ყველაფერი მათ მომზადებაზე ან გადამზადებაზე, თანამდებობის აღწერამდე და პროფესიულ მოთხოვნებამდე, პერსონალის განვითარების გეგმამდე დაიყვანება. თუმცა, საქმე მხოლოდ ამაში არ არის. მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, განსაკუთრებით ახალ საბანკო ტექნოლოგიაზე გადასვლის პირობებში, როდესაც საბაზრო ურთიერთობებში ცოდნის განახლება, საბანკო საქმის ახალი ფილოსოფიის ათვისება ხდება, პრაქტიკაში, საკრედიტო დაწესებულებების აუცილებელ პირობად სხვა საკითხები დგება. ისინი თავისი მნიშვნელობით პროფესიული სწავლების პრობლემებს არ ჩამოუვარდებიან.

მაგალითისათვის ბანკის ხელმძღვანელობა ავიღოთ. ალბათ, ჩვენ მას ჯერ კიდევ ბევრად ვერ ვაფასებთ. ბანკის ხელმძღვანელი ნომენკლატურული თანამდებობა არ არის. ის იმდენად ადმინისტრატორი არაა, რამდენადაც ბანკირი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ესაა პროფესიონალი, რომელიც კომერციულ და ანალიტიკურ თვისებებს ფლობს. ტყუილად კი არ შეიცავს ინგლისური კომერციული ბანკის რეიტინგი ისეთ ორგანულ მაჩვენებელს რომელიც საკრედიტო დაწესებულებების ხელმძღვანელობას ახასიათებს.

მთელს მსოფლიოში ბანკზე, უწინარესყოვლისა იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ ვინ ხელმძღვანელობს მას, როგორი პიროვნებაა თავმჯდომარე, როგორია მისი პროფესიული და მორალური დონე, ბიზნესის ორგანიზების ნიჭი, საქმიანი ხალხის წრეში მისი ავტორიტეტი.

როდესაც კარგ ბანკზე ლაპარაკობენ, უწინარესყოვლისა, მხედველობაში აქვთ მაღალკვალიფიციური კადრების მქონე ბანკი. და ეს შემთხვევითი არაა. ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ თანამედროვე ბანკში (რასაკვირველია საგრძნობლად განვითარებული საკრედიტო დაწესებულებების ქსელით), კლიენტები იმიტომ კი არ მიდიან, რომ მიიღონ ესა თუ ის ფინანსური მომსახურება, არამედ იმიტომ, რომ ბანკის რჩევა მიიღონ, ბიზნესის სწორად ორგანიზების საკითხში.რასაკვირველია, მისთვის, რომ მუშაობს ამგვარი ხარისხი უზრუნველყოთ, ბანკში ისეთი ძლიერი გუნდი უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომელიც მაღალი პროფესიული ავტორიტეტის მხარის დაჭერას შეძლებს.

როგორ შევქმნათ ასეთი გუნდი? ერთიან მიზნებს როგორ დაუქვემდებაროთ მისი მუშაობა და როგორ გავხადოთ პროდუქტიული? ამ კითხვებს მეურნეობის კადრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. თითოეულ მათგანზე შეიძლება შევხდეთ ტრაქტატი. ყველა წვრილმანზე არ შევჩერდებით

და მხოლოდ უფრო პრინციპულ მხარეებს მივაქციოთ ყურადღება. კერძოდ, კადრების შერჩევის საკითხს.

ცოტა რამ საბანკო კადრების შერჩევაზე. ვფიქრობთ, რომ განათლების ცენზის საფუძველზე, თანამდებობის დაკავების შექმნილი სისტემა სერიოზულ კორექტირებას საჭიროებს. უმაღლესი განათლება (მათ შორის საბანკო) სამუშაოზე მიღებისას და მით უფრო ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავებისას, ერთადერთი კრიტერიუმი არ უნდა იყოს. ბანკის ამა თუ იმ მოხელის, რომლის ჩამოყალიბებაც ხდება საერთო ერუდიციის და პროფესიული ცოდნის მეშვეობით, უნდა მიეცეს დიდი შანსი როგორც ბანკში, ისე საზოგადოებაში უფრო მაღალი თანამდებობის დასაკავებლად. უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) დამთავრების დიპლომი მენეჯერის სავარძლის დასაკავებლად მუდმივი საშვი არ უნდა იყოს. ჯერ სპეციალისტი უნდა გახდეთ, პროფესიული ვარგისიანობაა ხალხის ხელმძღვანელობის უნარი დაამტკიცოთ. ამგვარი თვისებები თავისთავად არ მოდის. დიპლომთან ერთად აუცილებელია პრაქტიკა და გამოცდილება. ცხოვრებაში შეიძლება ისე მოხდეს, რომ თანამშრომელი, რომელსაც სპეციალური განათლება არა აქვს (სპეციალური უმაღლესი ან საშუალო საბანკო განათლება) აღმოჩნდება უფრო საჭირო, ვიდრე საბანკო განათლების დიპლომიანი სპეციალისტი.

ეს მსჯელობები არ წარმოადგენს აბსტრაქტულს, პირიქით ისინი საფუძველს გვაძლევენ გავაკეთოთ პრაქტიკული დასკვნები.

პირველი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ბანკში სამუშაოდ სავალდებულო არაა წაიყვანოთ ხალხი, რომელსაც სპეციალური განათლება აქვს. ზოგიერთი ინგლისური კომერციული ბანკის მუშაობა გვიჩვენებს, რომ ბანკში სამუშაოდ მოსული თანამშრომლები, მაგალითად ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ისტორიკოსი და სხვა განსაზღვრული სტაჟირების გავლის და სწავლების შემდეგ აღმოჩნდებიან ნაკლები დოგმატები.

გაჩნიათ რა ფართო თვალთახედვა, ისინი სრულად აღიქმამენ ამა თუ იმ პრობლემას, ამიტომ აღმოჩნდებიან უფრო პერსპექტიული თანამშრომლები. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით ჩვენ ბანკებს ვუბიძგებთ სამსახურში მიიღონ არა საბანკო პროფესიის მოხელეები. ასეთი ვარაუდი უბრალოდ აბსურდული იქნებოდა. საქმე იმაშია, რომ, ბანკებს სჭირდებათ არა უბრალო სპეციალისტები, არამედ სინამდვილეში განათლებული ხალხი, რომელთა ინტელექტუალური პოტენციალი შეძლებს გაიყვანოს საკრედიტო დაწესებულებები კომერციის უფრო მაღალ საფეხურზე.

მეორე დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ბანკში სამუშაოდ მიღება საჭიროა არა დიპლომის წარმოდგენით, არამედ პატარა გამოცდის, ტესტის საფუძველზე, რომელიც საშუალებას იძლევა გავერკვეთ პრეტენდენტის შესაძლებლობებში. ტესტში შესული კითხვები არა მარტო სუფთა საბანკო პროფესიული ხასიათისა უნდა იყოს, არამედ გამოსაცდელის განვითარების საერთო დონეს უნდა განსაზღვრავდეს. ყოველ ბანკში შეიძლება იყოს საკუთარი "საფირმო" ტესტი. აქ ეტალონი არაა საჭირო, თუმცა, ტესტი კონკურსისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომელსაც ბანკი განსაზღვრული თანამდებობის მიხედვით წინასწარ აცხადებს და რომელიც აბიტურიენტს შესაძლებლობას აძლევს წინასწარ მოემზადოს მომავალი გასაუბრებისა და ტესტირებისათვის.

მესამე დასკვნა ეხება კადრების გადამზადებას და ხელმეორედ სწავლებას, ეს იმაში მდგომარეობს, რომ ბანკმა,რომელიც თანამშრომლებს აგროვებს, უნდა იზრუნოს მათ სტაჟირებაზე და პროფესიულ ზრდაზე. ამასთან სპეციალისტების შერჩევა ხდება არა აუცილებლად განსაზღვრულ თანამდებობაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაოზე ისეთი მოხელის აყვანას, რომლის პოტენციალი შესაძლებლობანი საკმაოდ დამაჯერებლად გამოვლინდა. შემდგომი სტაჟირება ბანკის ხელმძღვანელობას უჩვენებს თუ სად შეიძლება

შესაძლებლობების სრული გამოყენება. სწავლება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით.მაგ. მსხვილ ბანკებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი სკოლები(აკადემიები) სპეციალური, მცირე ადმინისტრაციით და მასწავლებლების შტატით. მასწავლებლებს შორის შეიძლება იყვნენ საკრედიტო დაწესებულებების თანამშრომლები. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მოცემული გზა უფრო პროდუქტიულია შექმნილ ვითარებაში. სახელმწიფოს მიერ კადრების გადამზადების საკითხის გადაწყვეტის ლოდინი - ნიშნავს, როგორც ამბობენ, ზღვასთან ელოდო კარგ ამინდს, ელოდო წარმოუდგენელს. ფართო მასშტაბის ბანკების გარდა, ამას ვერავინ გააკეთებს.

მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ გარდა დეკლარაციისა, რომლის ხარჯები განათლებაზე წარმოადგენენ კაპიტალის ყველაზე სარგებლიან დაბანდებას, საჭიროა მოქმედება. ყველაფერი ძალზე უბრალოა: იმისათვის, რომ ლოზუნგი კადრები წყვეტენ ყველაფერს, გავხადოთ საცოცხლის უნარიანი, საჭიროა კადრებში ჩავდოთ ფული, თუმცა რეალობა ისეთია, რომ ჩვენს სახელმწიფოს, თანამედროვე საფინანსო მდგომარეობის გათვალისწინებით, არ შეუძლია უზრუნველყოს, მოცემული პრობლემის გადაწყვეტა. კომერციული ბანკები, რომლებიც ამ საქმეს კიდებენ ხელს, ორმაგ მოგებაში აღმოჩნდებიან: ამზადებენ კადრებს თავისთვის და უწევენ სხვებს კიდევ ერთ მომსახურებას, განათლებაში კაპიტალის დაბანდება, მოცემულ შემთხვევაშიც, ორმაგად ანაზღაურდება: საკუთარი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების შედეგად და ახალი მომსახურების გაყიდვის შედეგად. ამრიგად განათლება, ნამდვილად იქცევა უაღრესად უმაღლეს საქმედ კომერციულ საქმედ. მსხვილი ბანკისათვის რომელიც ხელმძღვანელობს განსაზღვრული სტრატეგიული ხაზით, ამის არ გამოყენება, არა ბუნებრივი იქნებოდა.

ბანკის პერსონალის მუშაობის დასაბუთება. სტრატეგიის პოზიციიდან, რომელიც მიმართულია ძლიერი ბანკის ფორმირებისაკენ, ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს. მუშაობის დასაბუთების საკითხი, ეფექტური მუშაობისათვის ბანკის პერსონალის დაინტერესება. მენეჯმენტი და მარკეტინგი, მაღალმწარმოებლივი შრომა სინამდვილეში შეიძლება მხოლოდ მაშინ შედგეს, როცა სწორად გადავწყვეტთ ამ საკითხს.

აქ ცნობილია ორი გზა: იძულება, დასაბუთება, შიში და შინაგანი რწმენა. პირველი მიმართულების შესახებ ყველაზე ერთ ისტორიას: ძალიან მდიდარმა შაჰმა, რომელიც ნავთობს და მიწებს ფლობდა, 200 ახალგაზრდა შეკრიბა და მისცა წინადადება გადაეცურათ აუზი,სადაც ალეგატორები იყვნენ. ვინც აუზს გადაცურავს, - თქვა შაჰმა, მას შეუძლია აირჩიოს ან 1 მილიონი დოლარი ან 1000 აკრი ნავთობიანი მიწა, ან თუ მოისურვებს, ჩემი ქალიშვილი შეირთოს ცოლად, რომელიც ქონების მემკვიდრეა. ვერ მოასწრო შაჰმა ამ პირობის გამოცხადება, რომ ერთი ახალგაზრდა თვალისდახამხამებაში წყალში აღმოჩნდა, და ყველა დამსწრის გასაკვირად მშვიდობიანად გასცურა აუზის მეორე მხარეს. ამოირჩიე, - უთხრა შაჰმა, - გინდა მილიონი დოლარი? - არა, უპასუხა ახალგაზრდამ. მაშინ წაიღე 1000 აკრი ჩემი მიწა, - არა, - ისევ უპასუხა ახალგაზრდამ, მაშინ წაიყვანე ცოლად ჩემი ქალიშვილი, დათანხმდა შაჰი, - არა - ჯიუტობდა ახალგაზრდა, - ბოლოსდაბოლოს რა გსურს, - შეეკითხა გაკვირვებული შაჰი. მე მინდა ვიცოდე, თუ ვინ გადამაგდო აუზში.

ნამდვილად, შიშს შეუძლია თავისი საქმის გაკეთება, განსაზღვრული შედეგის მოცემაც, მაგრამ ამასთან ერთად ის ისეთ სურვილებს ბადებს, რომლებიც არ ემთხვევა სხვის სურვილებს. თუმცა საქმე იმაშია, რომ საბოლოო შედეგის მიღწევის სურვილი საერთო უნდა იყოს.

როგორ გავაკეთოთ ისე, რომ ძალდატანების გარეშე, შიშის გარეშე ბანკის კოლექტივს საერთო სურვილი იყოს უფრო ეფექტური მუშაობის მიღწევა? მორალური სტიმულების

მეშვეობით ამ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობამ არ გაამართლა. შრომის მაღალი ნაყოფიერება არ იქნა მიღწეული. რჩება ერთი, შრომის მოტივაცია. მაღალი სარგებლის მიღების იმედით. უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც ეს პრინციპი თანმიმდევრულად გამოიყენება, შედეგიც სახეზეა. როდესაც მუშაობენ შედეგის მისაღწევად, როდესაც ყველა ამ შედეგის თანამონაწილედ გრძნობს თავს, მოგება დაუყოვნებლივ მიიღება.

ამ იდეის განხორციელებისათვის ათეული ხერხი არსებობს, მაგალითად, ბანკები ახორციელებენ თავიანი კაპიტალის აქციონირებას, პრემიების მაღალეფექტურ სისტემას ამუშავებენ, თავიანთ თანამებძოლებს აძლევენ მრავალგვარ შეღავათებს (უფასო მგზავრობა, კვება, დასვენება) და სხვა. სტრატეგიის პოზიციიდან მთავარი ეს კი არაა, მთავარია პერსონალის მაღალი ხელფასით უზრუნველყოფა. სტრატეგიის პოზიციიდან ბანკი, რომელიც მაისწრაფვის ძლიერი საკადრო პოტენციალის ფორმირებისაკენ, თანამშრომლებს უნდა უხდიდეს მაღალ ხელფასს. სხვაგან სამუშაოდ ვინ წავა, თუ კი კომერციულ ბანკში შექმნილია აუცილებელი ატმოსფერო და უზრუნველყოფილია შრომის მაღალი ანაზღაურება. როგორც ამბობენ - "სიკეთისაგან სიკეთეს არ ეძებენ". ყველა გაჩერდება ასეთ სამუშაოზე. ეცდება უკეთ იმუშაოს, იმიტომ რომ ისიც საკმაოდ დაჯილდოვდება ასეთი მუშაობისათვის. ცუდია იმ ბანკებისათვის, რომლებიც თავიანთ თანამშრომლებს ხელფასს უხდიან მათი სამუშაოს შინაარსის რეალური გაუმჯობესების გარეშე. არაფერი ისე არ ამუშებს ხალხს, როგორც მაღალი ხელფასი უსაფუძვლო სამუშაოსათვის. აქ მოქმედებას იწყებს სხვა დაუწერელი ეკონომიკური კანონი. რაც უფრო მაღალია გაუმართლებლად გადახდილი ხელფასის ნაწილი, საბოლოო ჯამში მით უფრო დაბალია შრომის ნაყოფიერება, მართალია, არავინ არის პერსონალისათვის ხელფასის გაზრდის წინააღმდეგი, მაგრამ ის უნდა თანხვდებოდეს (მოხელეს) პასუხისმგებლობას სამუშაოს მიმართ. მხოლოდ იმას უნდა მისცეს მაღალი ხელფასი, ვინც მთლიანობაში ნამდვილად ამაღლებს ბანკის მუშაობის ეფექტურობას ნამდვილად ზრდის ბანკის პროდუქტს და საკრედიტო დაწესებულების შემოსავალს

ასეთია, ჩვენი აზრით, სტრატეგიული ფაქტორები, რომლებიც საბანკო საქმიანობის წარმატებას უზრუნველყოფენ. ამ ფაქტორების გარდა არსებობენ სხვა ფაქტორებიც, მათ შეიძლება დავარქვათ ოპერატიულობა.

კომერციული ბანკების წარმატების ოპერატიული ფაქტორები. წარმატება ერთჯერად მოვლენად. ბანკი ჩვეულა არაა, ყოველდღიური დაძაბული მუშაობაა. წარმატების მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საბანკო პოლიტიკა ორიენტირებულია განსაზღვრულ ფასეულობებზე, რომელსაც აუცილებლად მივყავართ საზურველ მიზანთან. ნაწილობრივ ჩვენ მათზე უკვე ვისაუბრეთ. შესაძლებელია ისინი რაღაც ნაწილობრივ განზომილებებს არ ემორჩილებიან, თუმცა კომერციული ბანკის საქმიანობის შედეგებზე დადებითად მოქმედებენ.

ოპერატიულ ფაქტორებს შორის უნდა გამოვყოთ კომერციული ბანკების კლიენტებზე ორიენტაცია. კლიენტი ყოველთვის მეფეა და მართალია, ეს ლოზუნგი კი არა, ბანკის ქცევის ნამდვილი ფილოსოფიაა, რომელიც გაანგარიშებულია შემოსავლის მოლოდინზე. ჩვენს პირობებში ამის გაკეთება ადვილი არაა. რადგან მეურნეობა ხანგრძლივი ღროის მანძილზე იზრდებოდა ბანკის დიქტატით და არა პირიქით. მიუხედავად ამისა, იქ, სადაც ბანკს შეუძლია გაიმარჯვოს თავის თავზე და ბოლოს და ბოლოს ერთადერთ სწორ გზას დაადგეს, წარმატება გარდაუვალია.

ისე უნდა გაკეთდეს, რომ თავდაპირველად მოსახლეობას არ ეშინოდეს ბანკში წასვლისა. კანდელი მწერალი სტივენ ლიკოკი თავის მოთხრობაში "ჩემი საბანკო ეპოპეა", აღწერს იმ შემთხვევას, როდესაც ის ბანკში მივიდა თავისი დანაზოგის 50 დოლარის შესატანად. ის იმდენად

შეშინებული აღმოჩნდა კლერკებით, სარკმელებით, სეიფებით და ფულით, რომ საბოლოოდ შეცდა. თავდაპირველად ფული შეიტანა ანგარიშზე, შემდეგ კი შეუცდომით მოხსნა ანგარიშრიდან. იმ ღღიდან მე ბანკთან საქმე აღარ მქონია, - წერს ლიკოკი, - ყოველდღიური ხარჯებისათვის ფულს შარვლის ჯიბეში ვინახავ, ხოლო დანაზოგს კი ..... ძველ წინდაში. მისი ეს მოთხრობა გამოქვეყნებული იყო 1894 წელს. თუმცა მას ჩვენთვის ღღესაც აქტუალური მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მოსახლეობა არაა შეჩვეული ბანკთან ურთიერთობას. მრავალი წლის განმავლობაში დაგროვების ფილოსოფიის მიმართ ზიზღის პროპაგანდა მიდიოდა, ბანკები ხალხის ცნობიერებაში თითქოსდა მდიდრებს ეკუთვნოდათ. უბრალო ხალხს იქ არაფერი ესაქმებოდა, ბანკს ამან უდიდესი დანაკარგები მიაყენა. ცნობილია, რომ საკრედიტო დაწესებულებებს ეფექტურად არსებობა არ შეუძლიათ თუნდაც პატარა დანაზოგების შეგროვების გარეშე. კომერციულ ბანკებს მოუწევთ გადალახონ ხალხის შიში საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, დაყინებით გაუწიონ პროპაგანდა დანაზოგების შეგროვებისას, დანერგონ მომჭირნეობის და დაგროვების გრძნობა. მაქსიმუმი უბრალოება, უდიდესი ყურადღება, კეთილ განწყობილება და რეკლამა, - აი ის, რაც ჩვენს მოსახლეობას თავდაპირველად ჭირდება.

რასაკვირველია კლიენტებზე ორიენტაციას სხვა მხარეებიც გააჩნია. ისინი ჩვენ უკვე ვახსენეთ, როდესაც კლიენტებთან თანამშრომლობას შევეხეთ. ბანკებისადმი ნდობას მოიპოვებენ არა ერთ ღღეში, არამედ ყოველდღიური სტაბილური პოლიტიკით,რომელიც ორიენტირებულია საწარმოების და მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. აქცენტები, კლიენტთან ნდობითი და პარტნიორული ურთიერთობების ყოველმხრივ განვითარებაზე პრაქტიკულად უნდა ხორციელდებოდეს მოტივაციის ფილოსოფიის და ბანკის პროდუქტის გაყიდვით, რომელიც ორიენტირებულია ბაზარზე და მის ცვალებად მოთხოვნილებებზე. საბანკო საქმიანობის წარმატების მნიშვნელოვან ოპერატიულ ფაქტორებს წარმოადგენს დანახარჯების სტრატეგია, შრომის დანახარჯებზე ეკონომია, საბანკო მომსახურების ღირებულების შემცირება. საოცარია მაგრამ, ბანკებმა ხშირად არ იციან რამდენად უნდა გაყიდონ თავიანთი მომსახურებები. რასაკვირველია მომსახურებებზე ფასების პრეისკურანტი არსებობს, მაგრამ მას დუმთავრებელი ხასიათი აქვს და ხშირად არ ასახავს კომერციული ბანკის ნამდვილ დანახარჯებს. თვით ბანკს შეიძლება არ ჭონდეს მონაცემები იმის შესახებ, თუ რა უჯდება მას ესა თუ ის ოპერაცია. სამწუხაროდ, ჩვენს ბანკებს საკუთარი ხარჯების ეკონომიის გრძნობა დაკარგული აქვთ. გაქრა ისეთი ცნობები, როგორიცაა საკრედიტო მანეთის თვითღირებულება, რის გარეშეც ეფექტური პოლიტიკის გატარება შეუძლებელია. მკაცრ კონკურენტულ ბრძოლაში გადარჩენა დიდი შემოსავალი მოითხოვება, მხოლოდ ეკონომიის ბაზაზე, რესურსების მიმართ ყაირათიანი დამოკიდებულებით და ხარჯების ბრუნვადობის დაჩქარებითა არის შესაძლებელი. შესაბამისად, აქაც ბანკებმა უნდა გადალახონ არა მარტო საკუთარი თავი, არამედ შექმნან მექანიზმი, რომელიც განაპირობებს წარმოებული დანახარჯების ეკონომიას, საბანკო პროდუქტის თვითღირებულების შემცირებას.

კომერციული ბანკის წარმატებას უზრუნველყოფს შემდეგი ფაქტორები: ყოველის მომცველი ინფორმაციული სისტემების უცხოურ ბანკებთან თანამშრომლობა, საბანკო საქმის ლიცენსიფიკაცია (დარგების, საკუთრების ფორმების, მომსახურების სახეების მიხედვით) შიდა საბანკო კრედიტის ორგანიზაცია, საბანკო მომსახურეობების ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლა.

თ ა ვ ი II

საბანკო მენეჯმენტი

1. მენეჯმენტის ცნება, მისი ძირითადი პრინციპები

მენეჯმენტი - ესაა მეცნიერება, ყველაზე უფრო რაციონალური, ორგანიზაციის და მართვის სისტემის შესახებ. მენეჯმენტის შინაარსის ახსნა სხვადასხვანაირად შეიძლება. სიტყვა მენეჯმენტს ვიწრო გაგებით უკავშირებენ ადამიანთა კოლექტივის ორგანიზაციას და მართვას. ფართო გაგებით - ბანკის და მისი პერსონალის საქმიანობის ორგანიზაციას და მართვას.

მენეჯმენტის საფუძველს შეადგენს ადამიანური ფაქტორი, რომელიც მდგომარეობს მართვის სუბიექტის მიერ საკუთარი საქმის ცოდნაში, საკუთარი შრომის და კოლექტივის მუშაობის ორგანიზაციის შესაძლებლობაში, თვითგანვითარებით დაინტერესებაში და შემოქმედებით საქმიანობაში. მენეჯმენტის ცენტრალურ ფიგურად გამოდის პროფესიონალი — მმართველი, რომელსაც შეუძლია დაინახოს იმ საქმის განვითარების პერსპექტივები, რომელსაც ის ეწევა იგი დასახული მიზნის მისაღწევად რეალური სიტუაციის სწრაფი შემფასებელი და ოპტიმალური გადაწყვეტილების მპოვნელი არის. ამასთან დაკავშირების მენეჯერი უნდა ფლობდეს შემდეგ განსაზღვრულ პროფესიონალურ და პირად თვისებებს: მაღალი კომპეტენტურობა, სხარტი აზროვნება, რისკის გაწევის უნარი, შეუპოვრობა, დასახული გეგმების განხორციელების შესაძლებლობა, კოლექტივის ლიდერობა.

განვითარებულ ქვეყნებში მენეჯმენტი საწარმოს ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორთა რიცხვს მიეკუთვნება. უკანასკნელ წლებში მას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან მენეჯმენტი დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით,დამატებითი კაპიტალის ჩადების გარეშე მაღალი შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. მენეჯმენტის ძირითადი მიზანია - მართვის უფრო რაციონალური სისტემის გამოყენების გზით მოგების მიღება. ამასთან დაკავშირებით მენეჯმენტი მჭიდროდაა დაკავშირებული ბიზნესთან, სამეწარმეო საქმიანობასთან,რომლებიც განვითარებულ საბაზრო ურთიერთობის ქვეყნებში მკაცრი კონკურენციის პირობებში მიმდინარეობს. მოგების მისაღებად ან უბრალოდ განვითარების ნორმალური წინაპირობებისათვის, მართვის სისტემის მუდმივი სრულყოფისათვის, აუცილებელია თეორიულ ცოდნის სწრაფად დაეუფლება და პრაქტიკაში ცვლებად სიტუაციებში ახალი, არაორდინალური გადაწყვეტილებების პოვნა.

მისწრაფება მოგების მიღებისაკენ - მენეჯმეტის ერთადერთ მიზანს არ წარმოადგენს. თანამედროვე მენეჯმენტში იზრდება სოციალური ეთიკის როლი, რაც მენეჯმენტის საქმიანობაში საზოგადოებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აქცენტის გაკეთებას ნიშნავს. არა გამორჩენისკენ და მოგების ზრდისკენ მისწრაფება, არამედ საზოგადოებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების და მომსახურების გაფართოება, რომლებიც განსაზღვრავს სამეწარმეო საქმის სოციალურ ეთიკას. ბოლო წლებში მის მიზნებს მიეკუთვნება აგრეთვე კოლექტივის სოციალური პრობლემის გადაწყვეტა, რის გარეშეც ადამიანს არ შეუძლია თავის პოტენციალს სრულყოფილად გაუკეთოს რეალიზება, სრული ძალისხმევით იშრომოს.

მენეჯმეტს, როგორც მეცნიერებას ახასიათებს შემდეგი პრინციპები, რომლებიც საქმიანობის ყველა სფეროსათვის. არის დამახასიათებელი: კონკრეტული მიზნების მისაღწევად, მართვის სუბიექტის მოქმედებების მიმართვა, მიზნის ერთიანობა, მისი მიღწევის შედეგი და საშუალებები; მართვის პროცესის კომპლექსურობა, რომელშიც დაგეგმვა, ანალიზი, რეგულირება და კონტროლი არის ჩართული; პერსპექტიკული და მიმდინარე დაგეგმვის ერთიანობა, რომელიც მის უწყვეტობას უზრუნველყოფს; მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე, როგორც მათი განხორციელების მნიშვნელოვან ფაქტორზე კონტროლი; მთელი კოლექტივის წარმატებების და თითოეული მისი წევრის მიღწევების შემოქმედებითი აქტივობის მატერიალური და მორალური სტიმულირება; კოლექტივის თვითოეული წევრის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა, რაც მისი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების საშუალებას იძლევა; თვითოეული თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლებით, მუდმივი სწავლით, ახალი ცოდნის და საქმიანობის სფეროების დაუფლებით დაინტერესება; კოლექტივში ჯანსაღ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე ორიენტაცია; მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის მოქნილობა, რაც ფუნქციონალური და მმართველობის ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა; ბანკის თანამშრომლებისათვის მენეჯმენტის საფუძვლების ცონდა ორმხრივ მნიშვნელოვანია: უწინარეს ყოვლისა, ბანკის ეკონომისტს უნდა შეუძლოს მენეჯმენტის დონის შეფასება საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოოპერატივებში, რომლებიც ბანკის კლიენტები არიან ან სურთ გახდნენ.

საზღვარგარეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მენეჯმენტის ხარისხი საწარმოების ფინანსური მდგომარეობისა, მათი მაღალი კრედიტუნარიანობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. გფრ-ში მენეჯმენტის ცუდი ხარისხის გამო ფირმების და კერძო საწარმოების დაახლოებით 40 % გაკოტრდა. ამიტომ მენეჯმენტის დონის შეფასება კრედიტუნარიანობის ანალიზისას და მასთან საკრედიტო ურთიერთობების დამყარების რისკის ხარისხის განსაზღვრისას ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. გფრ-ის რიგ კომერციულ ბანკების პრაქტიკულ საქმიანობაში მენეჯმენტის შემდეგი სარეიტინგო შეფასება გამოიყენება: 1 ბალი-ყველა დარგებში მაღალი პროფესიონალური და პირადი კვალიფიკაცია; 3 ბალი-კარგი კვალიფიკაცია, განსაკუთრებით ცალკეულ დარგებში; 5 ბალი - საშუალო კვალიფიკაცია; 7 ბალი - შესამჩნევი სისუსტე ცალკეულ დარგებში; 10 ბალი - არა საკმარისი დონე.

ბალების ზრდა რისკის ხარისხის გადიდებას ნიშნავს. მაქსიმალური ბალის შემთხვევაში (10) პრობლემურად ითვლება ფირმასთან საკრედიტო ურთიერთობების დამყარება.

ბანკისათვის, რომელიც ფულადი ბაზრის კონიუნქტურის განუწყვეტელი ცვლილებით მუშაობს, მნიშვნელოვანია საკუთარი მენეჯმენტი, რომელიც მის წინაშე მდგომი ამოცანების უფრო წარმატებით გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

2. საბანკო მენეჯმენტის თავისებურებანი

საბანკო მენეჯმენტს გააჩნია განსაზღვრული სპეციფიკა, რომელიც მოცემული ქვეგანყოფილების საქმიანობის ხასიათით, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებით არის განპირობებული, როგორც ავღნიშნეთ ბანკი, გამოდის თავისებურ დაწესებულებად, რომელიც ბიზნესს ეწევა. მის განკარგულებაში მყოფ საკრედიტო რესურსებს საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, მოსახლეობას, სახელმწიფოს აძლევს. დამატებით ფულად საშუალებებზე მათ

მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამასთან, ბანკი სხვისი ფულით "მუშაობს". მასში წრებრუნვიდან განთავისუფლებული სხვადასხვა მესაკუთრეების, სახელმწიფო ორგანიზაციების და დაწესებულებების, საქციო დაწესებულებების და საზოგადოებების, კოოპერატივების, კერძო პირების ფულადი სახსრებია აკუმულირებული. ამის შედეგად ბანკი საზოგადოებრივი კაპიტალის განმკარგულებელი და შემნახველი ხდება, რაც განაპირობებს ბანკის ანგარიშებზე არსებული კლიენტების ფულადი საშუალებების შენახვის და ამაზე პასუხისმგებლობას. ამრიგად, ბანკი არამარტო თავისი პირადი, არამედ საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველად გამოდის: ბანკისათვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი ინტერესების ამგვარი შეხამება. ამის გარეშე ბალანსის ლიკვიდობის უზრუნველყოფა შეუძლებელია. ეს კი ფულად ბაზარზე ბანკის მდგრადობას ნიშნავს.

ამავე დროს ბანკის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელშეკრულებო ურთიერთობებს, რომლებიც პარტნიორულ ხასიათს ატარებენ. პარტნიორული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია ისეთი თვისებები, როგორიცაა ნდობა, ურთიერთსარგებლობა, გადაწყვეტილებების და მოქმედებების კოლექტიურობა. შემთხვევითი არაა, რომ ურთიერთსარგებლიანი საკრედიტო გარიგებები პირობების კოლექტიურ განხილვას, კომპრომისზე წასვლის ცოდნას გულისხმობს.

როგორ გავლენას ახდენს ინტერესების შეხამება საბანკო მენეჯმენტის შინაარსზე?

უწინარეს ყოვლისა, ის გამოხატავს მთელი საბანკო მენეჯმენტის მიზნების სპეციფიკას, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს: ფულადი ბაზრის პირობებში ბანკის, როგორც სამეურნეო სუბიექტის რენტაბელური მუშაობის უზრუნველყოფა; ბანკის ბალანსის ლიკვიდობის უზრუნველყოფა, როგორც მისი საიმედობის გარანტია, კრედიტორისა და მეანაბრის ინტერესების დაცვა; კლიენტების მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება, იმ მომსახურების მოცულობით, სტრუქტურით და ხარისხით, რომელსაც ბანკი ეწევა და რომელიც განპირობებულია ხანგრძლივი და მყარი საქმიანი ურთიერთობებით.

მოცემული კოლექტივის საწარმოო, კომერციული და სოციალური პრობლემების შეხამების წარმატებით გადაწყვეტა;

სპეციალისტების მომზადების, გადამზადების და განწილების ეფექტური სისტემის შექმნა, რაც მათი პოტენციალური შესაძლებლობების სრულად განხორციელების საშუალებას იძლევა.

აღნიშნული მიზნების შესაბამისად, საბანკო მენეჯმენტი რიგი რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სოციალური მაჩვენებლების შესრულებაზეა ორიენტირებული.

რაოდენობრივ მაჩვენებლებს საბანკო საქმიანობის მართვის ყველა სფეროსთან აქვთ ურთიერთობა. ბანკის კლიენტების და მათი ანგარიშების რაოდენობა, დეპოზიტების მოცულობები, კრედიტორული დაბანდებები, ინვესტიციები, ბანკის მიერ შესრულებული ოპერაციების და მომსახურებების მოცულობა, აი, მხოლოდ ზოგიერთი მაჩვენებლის ჩამონათვალი, რომლებიც საქმიანობის საერთო შედეგების ანალიზის და შეფასებისათვის გამოიყენებიან.

ხარისხობრივი მაჩვენებლების რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ. პირველ ჯგუფს ბანკის შემოსავლების და გასავლების მაჩვენებლები შეადგენს. მათი დახმარებით ხდება ბანკის რენტაბელობის მართვა. მეორე ჯგუფი მოიცავს სახსრების ბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლებს, ოპერაციების შესრულებაზე შრომატევადობის ხარჯების დოკუმენტების დამუშავების სიჩქარეებს. მესამე ჯგუფში ბანკის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობით, სტრუქტურით და ხარისხით კლიენტის მოთხოვნების დამაყოფილების ხარისხის მაჩვენებლები შედის. ამ ჯგუფს შეიძლება კიდევ მივაკუთვნოთ ბანკის საქმიანი მოლაპარაკების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა და ინფორმაციის დაცვა.

სოციალური მაჩვენებლები ახასიათებს კოლექტივის წევრების პროფესიონალური მომზადების განვითარებას, მათ დამოკიდებულებას შრომის მიმართ, სოციალური პრობლემების აღმოფხვრის ხარისხს.

ბანკო მენეჯმენტის სხვა თავისებურება დაკავშირებულია, იმასთან რომ ბანკის საქმიანობა, სახელმწიფოს მხრიდან, ფულადი ანაბრების და დეპოზიტების მფლობელების ინტერესების დაცვის მიზნით უფრო რეგულირებად საქმიანობად ითვლება. გარდა ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი კანონებისა, არსებობენ რიგი აუცილებელი ნორმატივები და მითითებები, რომლებიც მიმართულია საკრედიტო დაწესებულებების ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად. რას ნიშნავს ეს მართვის ორგანიზაციის მხრივ? ჯერ ერთი, დამოკიდებულად გადაწყვეტილების მიღებისას განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოების არსებობას, რომლებიც განპირობებულია აუცილებელი ნორმატივების და მითითებების ზედამხედველობის მეორე, მეწეურების აუცილებლობას ფულადი ბაზრის მუდმივად ცვალებადი კონიუნქტურის პირობებში, ბანკის ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად (დადგენილი ნორმატივების მიხედვით).

ბანკო საქმიანობის მართვის განსაკუთრებულობას წარმოადგენს მართვის სფეროს ფარგლებიც მიეკუთვნება მაკრო და მიკრო დონეებზე ფულადი ბრუნვა და საკრედიტო ურთიერთობები, ფულადი ოპერაციების შესრულებასთან მნიშვნელოვანი რისკის არსებობა. რისკი რისკი, გადაწყვეტილება, მრავალრიცხოვანი შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების შედეგია, რაც დამახასიათებელია ფულადი ბაზრისათვის, ეს კი აღნიშნავს მასთან ურთიერთობაში მყოფი ინსტიტუტების საქმიანობას. ამიტომ ბანკებში გამოიყენება ყველაზე უფრო ეფექტიანი გადაწყვეტილებების კოლექტიური მიღების პრინციპი, კრედიტორის შესაძლო ზარალისაგან დაცვის მრავალმხრივი საშუალებები. აქვე ხდება საკრედიტო ოპერაციების ანალიზის მხრივ ძირითად კანტორასა და ბანკის ფილიალს შორის, უფლებების განწილება.

კლიენტთან მუშაობა, ბანკის რიგი ოპერაციების სახელშეკრულებო ხასიათი, მოითხოვს არა მარტო მაღალ ეკონომიკურ მომზადებას, არამედ ფსიქოლოგიის, უფლებების კარგ ცოდნას, დოკუმენტაციების წარმოების უნარს, საქმიან ეტიკეტებს. ე.ი. განაპირობებს ბანკის სპეციალისტის მომზადების სპეციფიკას, ელექტრო გამომთვლელი მანქანების (ეგმ) დაპროგრამების ცოდნას, მათი სტატისტიკური ანალიზისათვის და პროგნოზირებისათვის გამოყენებას, ბანკების მოწინავე ტექნიკით აღჭურვის და კომპიუტერული უცოდინრობის აღმოფხვრას.

ბანკო მენეჯმენტის შინაარსის თავისებურებების განსაზღვრა იქიდან გამომდინარეობს, რომ ბანკების მოსახლეობის ძირითად კონტინგენტს ქალები წარმოადგენენ. ამის გამო ეფექტივის სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, ასევე საწარმოში ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნა, საკომფლიქტო სიტუაციების დაუშვებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

3. საბანკო მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებები

როგორია საბანკო მენეჯმენტის კონკრეტული მიმართულებები? ისინი ორ ძირითად სფეროდ შეიძლება დავყოთ. პირველი ჯგუფი მოიცავს საკითხებს, რომლებიც ბანკის კომპეტენციაში ქცეული ეკონომიკური პროცესების ორგანიზაციასთან და მართვასთან არის დაკავშირებული. მეორე კი დაკავშირებულია - ბანკის კოლექტივის ორგანიზაციასთან და მართვასთან. თითოეულს, ამ სფეროდან, თავის მხრივ რამდენიმე მიმართულება გააჩნია. მათ შორის ძირითადი მიმართულებების შინაარსი განვიხილოთ.

1. საბანკო მართვის უფრო საპასუხისმგებლო ნაწილს წარმოადგენს დაგეგმვა, რომლის პროცესშიც ხდება საბანკო პოლიტიკის გამოიმუშავება და პერსპექტივის განსაზღვრა. ამ სამუშაოს შემადგენელი ნაწილია კონკრეტული ბანკის განვითარების კონცეფციის ფორმირება, შესაბამისი პერიოდის მიმდინარე ამოცანების დადგენა, მათ სარეალიზაციოდ ღონისძიებების გამომუშავება. საბანკო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილებია - საკრედიტო, დეპოზიტური, საინვესტიციო, პროცენტული პოლიტიკა. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სოციალური მაჩვენებლების ცვლილებების მიხედვით, მისი საქმიანობის განხორციელების პრინციპების დასაბუთებას, პრიორიტეტების გამოყოფას და სამუშაოს ორგანიზაციის მეთოდების შერჩევას. თანამედროვე პირობებში ახლად შექმნილ კომერციულ ბანკებს არ გააჩნიათ თავიანთი საქმიანობის კარგად მოფიქრებული პოლიტიკა, არ გააჩნია ასე მაგალითად, მრავალ მათგანს არა აქვს გამომუშავებული დაკრედიტებისათვის კლიენტების არჩევის კრიტერიუმები, არ იცავენ დაკრედიტების პრინციპებს. ე.ი. "ეწყობიან" კლიენტების მოთხოვნილების საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის დროს. კომერციული ბანკების გადასვლა ეკონომიკურად დასაბუთებულ საბანკო პოლიტიკის ფორმირებაზე უკიდურეს შემთხვევაში, სამი საკითხის, ორგანიზაციული, ეკონომიკური და საინფორმაციო საკითხების გარკვევას მოითხოვს.

პირველი საკითხი, ორგანიზაციული, გარაუდობს დაგეგმვით დაკავებული ქვედანაყოფების განსაზღვრას, აგრეთვე საბანკო პოლიტიკის მექანიზმის გამომუშავებას. დაწყებული ფუძემდებლური იდეების გაჩენიდან, მათი კონკრეტულ ღონისძიებებში და ციფრობრივი მაჩვენებლებში განხორციელებით დამთავრებული.უმრავლეს მსხვილ, კაპიტალისტურ ბანკებში დაგეგმვით დაკავებულები არიან: ჯერ ერთი, ამ მიზნისათვის სპეციალურად ჩამოყალიბებული საგეგმო განყოფილება; მეორე, დროებითი კოლექტივი. ე.წ. ტვინის ცენტრი, რომელიც შემოქმედებითად მოაზროვნე ბაწკის თანამშრომლებისგან არის შექმნილი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტად. ამ სამუშაოს შესასრულებლად შეიძლება მეცნიერები, იურისტები, საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების ფინანსისტები (ბუღალტრები), საფინანსო ორგანოების მუშაკები და სხვები იყვნენ მოწვეული.

ბანკის საქმიანობის დაგეგმვა ფულადი ბაზრის კონიუნქტურასა და თვით ბანკის ღრმა ანალიზის შესაძლებლობებს ეფუძნება.

შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებისას ბანკის ანალიტიკური სამუშაოს შემადგენელ ნაწილს საბანკო მარკეტინგი წარმოადგენს. საბაზრო საქმიანობაში მარკეტინგი ნიშნავს: მოცემულ რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნილებების და წინადადებების ანალიზს; ისეთი მომსახურებების დაკმაყოფილების დროს, როგორიცაა დაკრედიტება, ინვესტირება, კონსულტაციები, უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზებას, ლიზინგური ოპერაციების ჩატარებას და ა.შ.; მოცემული ბანკის მნიშვნელობის შეფასებას; სხვა ბანკების მიერ შესაბამისი ოპერაციების განხორციელებისას დანახარჯების ნორმების შედარებას, რეკლამის გაკეთებას.

მარკეტინგი, უწინარეს ყოვლისა, ბანკის რეალური და პოტენციონალური კლიენტების წრის (მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად) გამოვლენას გარაუდობს. საზღვარგარეთის პრაქტიკაში, მრავალი კომერციული ბანკები, რომლებიც ტერიტორიალურ ბანკებს წარმოადგენენ მომსახურების მხრივ, თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გავიდნენ და მთელს ქვეყანაში თავის ბანკის ფილიალები შექმნეს.

მარკეტინგი ესაა - ბანკის მიერ, მის მომსახურეობაში მყოფ ტერიტორიაზე არსებული იმ მომსახურების საჭიროების კარგი ცოდნა, რომლებიც საწარმოებს (ორგანიზაციებს) ესაჭიროებათ

ყველაზე შესაბამისი მომსახურეობის რაოდენობრივი პარამეტრების და მათ ხარისხზე კლიენტების მოთხოვნების ცოდნა.

ამ მიზნებისათვის კომერციულ ბანკს შეუძლია ჩაატაროს კლიენტების ანკეტირება. ბანკის მიერ დამუშავებულ ანკეტაში, რეალური და მომავალი კლიენტებისათვის ჩამოთვლილი უნდა იყოს ის მომსახურების სხვადასხვა სახეები, რომლებიც კლიენტებს ესაჭიროება.

ამავე დროს ბანკი საკრედიტო რესურსების მოცულობის და სტრუქტურის მხრივ სწავლობს იმის შესაძლებლობებს: ბალანსის ლიკვიდობას, ჩასატარებელი ოპერაციების ხარჯების დონეს, ბანკის ტექნიკურ აღჭურვილობას, კადრების კვალიფიკაციას. ასეთი ანალიზის საფუძველზე ბანკი იმ პოლიტიკის ფორმირებას ახდენს, რომელიც საქმიანობის ყველა სფეროსათვის (საკრედიტო, დეპოზიტური, საინვესტიციო, საანგარიშსწორებო და ა.შ.). არის მისაღები. ამასთან გათვალისწინებულია სხვა ბანკებთან კონკურენციის შესაძლებლობები.

ბანკო მარკეტინგის განხორციელება გულისხმობს განშტოებული საინფორმაციო სამსახურის შექმნას, ბანკის მაღალ ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც ბაზრის კონიუნქტურის ანალიზის და ორგანიზირების, რეკლამის ორგანიზების პროცესში ეგმ-ის გამოყენების საშუალებას იძლევა.

2. საბანკო მენეჯმენტის მნიშვნელოვან მიმართულებას აქტივების მართვა მიეკუთვნება. ის ახორციელებს ბანკის პოლიტიკას, რომელიც შესაბამისი პერიოდისათვისაა გათვალისწინებული. აქტივების მართვის პროცესში ისმება ორმაგ ერთიანი ამოცანა: ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ფარგლებში მომგებიანი მუშაობის უზრუნველყოფა. მხოლოდ შექმნილი სიტუაციების სისტემატური ანალიზის საფუძველზე, აქტივების სტრუქტურის შეცვლისაკენ მიზანმიმართული მოქმედებით შეიძლება ამ ამოცანის გადაწყვეტა. ცნობილია, რომ ბანკებისათვის სხვადასხვა აქტივებს ურთიერთგანსხვავებული მოგება მოაქვთ და მასთან ერთად რისკის სხვადასხვა ხარისხი გააჩნიათ. ამიტომ ბანკებმა უნდა მოახდინონ თანხების შეტანის, მათი მომგებიანობის და რისკის ხარისხის შესაბამისად აქტივების კლასიფიკაცია. აქტივებით მართვის მეთოდები უმეტესად ბანკის მიერ შესაბამის პერიოდის გადაწყვეტილებების თავისებურებებით განისაზღვრება. ამასთან მჭიდრო კავშირის არსებობა აქტივების მოთავსებისა პასივების სტრუქტურებთან დამოკიდებულებით, აქტივების მართვის თეორიის გამომუშავების და მისი რეალიზაციის მეთოდიკას ვარაუდობს. თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების ფულადი ბაზრების აქტივების მართვა ხორციელდება ეკონომიკურ - მათემატიკური მოდელის საფუძველზე, რომელიც გარაუდობს აქტივების განაწილებისა და პასივების მდგომარეობას შორის, რენტაბელობის და ლიკვიდობის მოცემულ ნორმატივზე განსაზღვრული დამოკიდებულების დამყარებას. ამასთან სხვადასხვა ეკონომიურ სიტუაციებზე ალტერნატიული ვარიანტების დამუშავება ხდება.

3. მენეჯმენტის დამოუკიდებელ მიმდინარეობას წარმოადგენს პასივების მართვა, რომლის პროცესში ხდება შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

- არ იქნეს დაშვებული ბანკში ისეთი თანხების არსებობა, რომლებსაც მოგება არ მოაქვთ, გარდა მათი იმ ნაწილისა, რომელიც აუცილებელი რეზერვების ფორმირებას უზრუნველყოფს;
- ბანკის მიერ კლიენტების მიმართ შესაბამისი ვალდებულებების შესასრულებლად და აქტიური ოპერაციების განვითარებისათვის გამოიძებნოს აუცილებელი საკრედიტო რესურსები;
- "იაფი" რესურსების ხარჯზე ბანკის მიერ მოგების მიღების უზრუნველყოფა.

თითოეულ ამ ამოცანას გადაწყვეტის განსაკუთრებული ხერხები და მეთოდები გააჩნია, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დეპოზიტურ პროცენტს, მის დიფერენციაციას ანაბრის ტიპის შესაბამისად თუმცა, ბანკის პასიური ოპერაციების განვითარება, რომელიც არა იმდენათ

მათი მოცულობების გაღიდებას, რამდენადაც მათი საჭიროების ნაირფეროვნებას ნიშნავს, თავდაპირველად გულისხმობს ფულადი და ფინანსური ბაზრის არსებობას, საკუთრების პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას, ფულადი მიმოქცევის შეგრადობას.

4. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბანკის საკუთარი სახსრების მართვას მისი ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. ბანკის აქტიური ოპერაციების გაფართოებისას და დეპოზიტების მოცულობის ზრდისას ბანკის საკუთარი კაპიტალის აუცილებლობა წარმოიქმნება საკუთარი კაპიტალის მართვა მისი კრიტერიუმების საკმარისობის დასაბუთებას გარაუღობს. ასევე იმ მაჩვენებლების მორჩევას, რომლებიც საკმარისობის შეფასების საშუალებას იძლევა. საკუთარი კაპიტალის მართვის ეფექტურ ინსტრუმენტად გვევლინება. მის მიერ გამოშვებული აქციების დივიდენდებზე ბანკის პოლიტიკა გამოდის. დივიდენდების ზრდა აქციებზე ფასის მატებას და შესაბამისად დამატებითი აქციების გაყიდვის და საკუთარი კაპიტალის ზრდის შესაძლებლობას იწვევს.

5. ბანკის მუშაობის რენტაბელობის მართვა ითვალისწინებს კონტროლს მის შემოსავლებზე და გასავლებზე, ზღვრული სახსრების მოზიდვაზე, დანახარჯების ზღვარზე, დაკრედიტებიდან და ინვესტიციებიდან შემოსავლების ზღვარზე, ფინანსური შეღეგების სტაბილურობის უზრუნველყოფაზე, დანაკარგების რისკზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საეჭვო და წამგებიანი ოპერაციების ანალიზს. ბანკის საქმიანობაში სპეკულაციური ოპერაციების ზრდის მიზეზებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის მიერ მიღებულ მოგების სიდიდეზე.

6. საბანკო საქმიანობაში რისკების მართვას მენეჯმენტ-რისკს უწოდებენ. საბანკო საქმიანობაში სხვადასხვა ოპერაციების შესრულებასა არსებობს: კრედიტის და მისი პროცენტების დაბრუნების რისკი, მომწოდებლების მიერ სახსრების დროულად მიღების რისკი, მოგების მიღების რისკი, ლიკვიდობის რისკი და ა.შ. რისკის გარეშე მეწარმეობა არ არსებობს. ამიტომ დგება საკითხი რისკის მართვის შესახებ. რისკების მართვის პროცესში გადასაწყვეტი ამოცანებია: ა) რისკის წარმოშობის შესაძლებელი შემთხვევების გამოცნობა; ბ) სავარაუდო ზარალის მასშტაბების შეფასება; გ) გაფრთხილების საშუალებების ან მისი ანაზღაურების წყაროების მოძებნა.

რისკის მართვა აგებულია წარსულში ზარალის ყველა შემთხვევის შესწავლაზე, მოცემული კონკრეტული კლიენტებისათვის მათი წარმოშობის შესაძლებლობის პროგნოზირებაზე, შესაძლებელი ზარალის ანაზღაურების ან გაფრთხილების მეთოდების წინასწარ დასაბუთებაზე.

საკითხის ამგვარად დასმა ჩვენთვის პრაქტიკულად ახალია და ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამასთან დაკავშირებით, საბანკო საქმიანობაში შესაძლო რისკების პროგნოზირებასა და შეფასების მეთოდური მითითებების დამუშავება პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს.

რისკის მართვის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბანკის საქმიანობის ორგანიზაციასთან ბანკის მუშაკის მუშაობის პასუხისმგებლობის და ეკონომიკური სტიმულირების სისტემასთან. საზღვარგარეთის პრაქტიკაში ცალკეული საკრედიტო ოპერაციების ჩატარებისას გადაწყვეტილების მიღების უსაფუძვლო რისკის შესამცირებლად გამოიყენება კომპეტენციების განაწილების პრინციპი. ბანკის ფილიალს არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება განსაკუთრებით რისკიანი ოპერაციების ჩატარების შესახებ ან საწარმოთა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახსრებით დაკრედიტებაზე. ასეთ გადაწყვეტილებებს უმეტესად მართვის კოლექტიური ორგანო იღებს.

7. მენეჯმენტის შინაარსი ასევე შრომითი კოლექტივის მართვის კონცეფციის დამუშავებას მოიცავს. საზღვარგარეთის პრაქტიკაში მენეჯმენტის ორი მეთოდია ცნობილი: პირველი - იაპონური - ბანკის საქმიანობის საბოლოო მაღალი შედეგების მიღწევისათვის კოლექტივის როლის - აღიარებას ეყრდნობა. მეორე - ამერიკული - ორიენტირებულია პიროვნებაზე, რომელიც მთელი კოლექტივის საქმიანობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ორი ამოსავალი იდეის მისადაგებით მართვის მთელი სისტემა აიგება: გადაწყვეტილებების მიღება, პასუხისმგებლობა, კონტროლის ორგანიზება, ხელმძღვანელის თანამშრომლებზე დამოკიდებულება, შრომის ანაზღაურების სისტემა, მართვის ხარისხის შეფასება, მენეჯერების მომზადება და ა.შ.

კოლექტივის მართვის მთავარი ამოცანა დამოკიდებულია მენეჯერის უნარზე შექმნას პირობები ყველა წევრის მიერ თავიანთი პოტენციალური შესაძლებლობების რეალიზაციისათვის ხალხში ჩახედოს ამა თუ იმ ამოცანის შესრულების ენთუზიაზმი. საზღვარგარეთ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფინანსური ურთიერთობების წარმატების 75% მენეჯერის კოლექტივთან ურთიერთობის უნარითაა განპირობებული ე.ი. მისი პირადი თვისებებით, ხალხის ხელმძღვანელობის უნარით. კოლექტივის ხელმძღვანელობაში მნიშვნელოვანია სამი ფაქტორი: მენეჯერის უნარი კოლექტივის მუშაობის ორგანიზებაში, თვითოეულ თანამშრომელთან ურთიერთობის უნარი და აგრეთვე განსაზღვრული ამოცანის გადასაწყვეტად აღმოსანიზე ზემოქმედების აუცილებელი ინსტრუმენტის მოძებნის უნარი.

მენეჯერის უნარი კოლექტივის მუშაობის ორგანიზებაში ეყრდნობა მის შესაძლებლობებს. კოლექტივის წევრებს შორის მკაფიოდ გაანაწილოს ვალდებულებები, დასახოს კონკრეტული ამოცანები გამოხატოს, ისინი განსაზღვრული მაჩვენებლებით (რაოდენობრივი და ხარისხობრივი), გაითვალისწინოს ვალ შესაბამისი დავალების შესასრულებელად, უზრუნველყოს საინფორმაციო ბაზით და ტექნიკური საშუალებებითგასაზღვროს დავალების შესრულების რიგითობა აქტუალობისა და მნიშვნელოვნობის კლასიფიკაციიდან გამომდინარე მენეჯერის კოლექტივის წევრებთან ურთიერთობის უნარი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მენეჯერის პირად თვისებებზე, მის მიერ თვითოეული თანამშრომლის ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნაზე, იმის შეგნებაზე, რომ კოლექტივის მუშაობის შედეგი ხელმძღვანელის და ხელქვეითების ურთიერთობებზეა დამოკიდებული.

განვითარებული ქვეყნების საქმიან სამყაროში შემდეგი პრინციპი არსებობს: საწარმოებში ძალაუფლება შემსრულებლებს ეკუთვნის. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დარწმუნების ძალას, თავაზიანი საუბრის ტონს, გარემოს, სადაც საქმიანი საუბარი მიმდინარეობს, მოსაუბრის ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებას. ხელმძღვანელის ხელქვეითებთან დამოკიდებულების სტილი შეიძლება ორი სახეობისა იყოს: პირველი ეფუძნება ღირექტიულ მითითებებს, რომლებსაც ახსნა-განმარტებები ახლავს. მეორე კი ეფუძნება ინიციატივის გამოვლენისათვის გადაწყვეტილებების მიღების ფართო უფლებების მინიჭებას.

შესაბამისი სახის ყოფაქცევის არჩევა დამოკიდებულია თანამშრომლების კომპეტენტურობაზე და იმაზე, თუ რამდენად არიან ისინი დაინტერესებული საკუთარი შრომის შედეგების ამაღლებით. საერანგეთში გამოიყოფენ სპეციალისტების ოთხ სახეობას, რაც ხელმძღვანელის ყოფა-ქცევის ერთ-ერთი სახეობის ამორჩევის საშუალებას იძლევა.

1. არაკომპეტენტური და შრომის შედეგებით არ დაინტერესებული, ხელმძღვანელობის ღირექტიულ-იძულებით იმეთოდებს იყენებენ;

2.არაკომპეტენტური, მაგრამ შრომის შედეგებით დაინტერესებული (ახალგაზრდა სპეციალისტი) მუდმივად ხელმძღვანელობას მოითხოვს;

3. კომპეტენტური, მაგრამ არ დაინტერესებული - დაინტერესების სისტემის შექმნის აუცილებლობას მოითხოვს;

4. კომპეტენური და დაინტერესებული - ინიციატივის გამოსავლენად ფართო უფლების მინიჭებას მოითხოვს.

მენეჯერისათვის ყველაზე საპასუხისმგებლო და რთული ამოცანაა, აუცილებელი ინსტრუმენტის მოძებნის შესაძლებლობა, რაც რომ მთელ კოლექტივს და მის ცალკეულ წევრებს ეფექტური შრომისათვის ენთუზიაზმი ჩაუნერგავს. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს მენეჯერის უნარს ყურადღება გაამახვილოს თითოეული თანამშრომლის მიღწევებზე, შესაძლებლობებზე, მიღწეული შედეგების გამო გამოხატოს მადლიერება, შექმნას მატერიალური და მორალური სტიმული.

ყოველივე ეს კადრების მომზადების და გადამზადების სპეციალურ სისტემას მოითხოვს. მენეჯერების მომზადების სისტემაში უნდა გათვალისწინებულ იყოს არა მარტო პროფესიონალური მომზადება, არამედ კოლექტივის მართვის მეთოდების საქმიანი ურთიერთობის ხელშემძღვანელობის დაეუფლება. ასეთი მიდგომა გულისხმობს უმაღლეს სასწავლებლებში საბანკო სისტემის სპეციალისტების მომზადების პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას. მასში უნდა აისახოს ისეთი ახალი დისციპლინები როგორიცაა: საბაზრო ეკონომიკის მართვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, დაზღვევა, სამეწარმეო საქმიანობის კანონმდებლობა, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება, საბანკო საქმე, ეთიკა და ფსიქოლოგია. მენეჯერობის შესწავლა ცოდნის პასიური დაუფლებისათვის კი არა, არამედ საბაზრო საქმეში სამეწარმეო საქმიანობის საწყისი საფუძვლების ათვისებისათვის უნდა იქნეს მიმართული. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქმიანი თამაშები ეგმ-ის გამოყენებით..

მენეჯერების დაწყებითი მომზადების დროს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქოლოგიაში და საქმიანი ხალხის ურთიერთობებში პრაქტიკულ მეცადინეობებს.რადგან საბანკო ბიზნესში მარტო მუშაობა შეუძლებელია, ამიტომ აშშ მენეჯერების მომზადება გულისხმობს შეუთავსებელი ადამიანების ურთიერთობების შესწავლას. ამისათვის, ხდება ყველა მონაწილის ტესტირება და სპეციალური პროგრამების შედგენა.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებული მენეჯერების დაწყებითი სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად ბანკების და მათი ასოციაციების ფინანსური და ტექნიკური დახმარებაა საჭირო. ასევე საჭიროა შემკვეთების აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროგრამების მომზადებაში, ლაბორატორიული სამუშაოების სასწავლო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის შექმნაში, საქმიან თამაშებში, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების ამოცანების შედგენაში, საწარმო პრაქტიკის მოწყობაში. მენეჯერების გადამზადების სისტემა ბანკებმა და მათმა ასოციაციებმა უნდა განახორციელონ და დაფინანსონ. აქ მხედველობაშია საბანკო ბიზნესის მუდმივ მოქმედი სკოლა, სადაც მენეჯერის დონის მიხედვით ეკონომიკაში და საბანკო საქმეში დიფერენცირებული სწავლება უნდა განხორციელდეს.

და ბოლოს, მენეჯერის კვალიფიკაციის ამაღლება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული, თვითმომზადებაზე, რომელიც თვითგანვითარებას და სრულყოფას ეუწყობა. იგი გულისხმობს სწავლების მიმართულების და ფორმების არჩევაში ინიციატივის გამოვლენას, დასახული მიზნისაკენ სწრაფვას.

ბანკის საქმიანობის საბოლოო შედეგებზე პროფესიონალური კომპეტენტურობის და მენეჯერის პირად თვისებების გავლენის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მენეჯერების სპეციალური სისტემის შექმნა, სადაც ასახული იქნება თითოეული მათგანის სარეიტინგო შეფასება. ეს ყველაზე უფრო ღირსეული თანამშრომლების დაწინაურების საშუალებას იძლევა და ყველა მენეჯერს შემოქმედებითი ზრდისაკენ და მმართველობითი ხელოვნების განვითარებისათვის სტიმულს აძლევს.

თ ა ვ ი III
საბანკო მარკეტინგი

1. საბანკო მარკეტინგის ცნება.

მარკეტინგი ეს არის კომპანიების და ფირმების მართვის და ორგანიზაციის სისტემა, რომელიც ყოველმხრივ ითვალისწინებს ბაზარზე მომხდარ პროცესებს,საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საბანკო სისტემაში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მომხდარი ცვლილებები კომერციული ბანკების მიერ მარკეტინგის ხერხების და წესების ათვისების აუცილებლობით აიხსნება. ამ ცვლილებათა შორის საჭიროა გამოვყოთ საბანკო საქმიანობის უნივერსალიზაცია, მისი გასვლა ტრადიციული ოპერაციების საზღვრებს გარეთ, საზღვარგარეთის ბანკებთან კონკურენციის გაძლიერება, ბანკების მიერ არა საბანკო დაწესებულებების სახით კონკურენტების შეძენა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შედეგად ბანკებიდან ანაბრების გადინება. საბანკო სფეროში შეაღწიეს სადაზღვევო, საბროკერო, საშემნახველო, სატრასტო კომპანიებმა, საპენსიო ფონდებმა, სავაჭრო-სამრეწველო კორპორაციებმა, რასაც კომერციული ბანკების შემოსავლიანობის შემცირება და მისი ოპერაციების რისკის ზრდა მოჰყვა. საკონკურენტო ბრძოლაში თავის გადასარჩენად ბანკებმა მომსახურების ახალი სახეობების ათვისება დაიწყეს, პირველ ადგილას აყენებენ არა მარტო აქციონერების ინტერესებს, არამედ ცალკეული კლიენტებისათვის ბრძოლას. ამის გამო საზღვარგარეთელი ეკონომისტები მარკეტინგის განმარტებას განსაზღვრავენ, როგორც კონკრეტული ტექნიკური ხერხების შეხამებას - ბანკის მოსამსახურის ახლებურ აზროვნებასთან.

ბანკის მოსამსახურის ახლებური აზროვნება ეფუძნება ხუთ პრინციპს: მოთმინება, მოსმენის უნარი, კლიენტებისათვის მისაღები გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების სიმარტივე და ხელმისაწვდომობა, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, ბაზრის შესწავლის ერთიანი მეთოდოლოგიის ათვისება. ყველა ეს პრინციპი კლიენტზეა ორიენტირებული, ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას მის ინტერესებს ითვალისწინებენ. სწორედ ძველი კლიენტების შენარჩუნების და კლიენტურის გაფართოების ამოცანა გასაზღვრავს დამატებითი განყოფილებების გახსნის მიზანშეწონილობას, ახალი მომსახურეობის ათვისებას. საბანკო მომსახურეობები თავისი ხასიათის მიხედვით საკრედიტო, საოპერაციო, ინვესტიციურ და სხვა ოპერაციებად იყოფიან.

ჩვენ ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პერიოდში კომერციულ ბანკებს, ანგარიშების მფლობელების (მეანაბრეების) დავალებით შეუძლიათ შესაბამისი საფასურით გარდა ტრადიციული საკრედიტო მომსახურეობისა, როგორიცაა საანგარიშსწორებო, ფულადი და სხვა ოპერაციები შეასრულონ: ფაქტორინგული, ლიზინგური, ნდობითი, საკონსულტაციო, საინფორმაციო და სხვა მომსახურეობები. მეანაბრის დავალებით საანგარიშსწორებო მომსახურეობები ჩვენი საბანკო დაწესებულებებისათვის ტრადიციულია. უკანასკნელ პერიოდში საანგარიშსწორებო ოპერაციების უფასო მომსახურეობა განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენდა. 1934 წელს საინკასო ამონაგების გადაანგარიშების ოპერაციებისათვის და სხვა საკომისიოები და ანარიცხები გაუქმდა. ეს აიხსნებოდა საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე პროცენტების დარიცხვაზე უარით, ამ ანგარიშებზე თანხების შენახვა აუცილებელ ხასიათს ატარებდა. ეს სახსრები ბანკის მიერ უფასო საკრედიტო რესურსების სახით

გამოიყენებოდა. ბანკისათვის სასესხო ოპერაციებზე პროცენტებს მოჰქონდათ დიდი შემოსავალი, რომელიც უნაღდო ანგარიშების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ბანკების საქმიანობის კომერციალიზაცია აუცილებელს ხდიან საანგარიშსწორებო და საგადასახადო ოპერაციების ფასიან საფუძველზე დაბრუნებას. უნდა გავითვალისწინოთ ამ უკანასკნელთა შედარებითი გაძვირება გამომთვლელი ცენტრების მიერ ჩატარებული ფასიანი მომსახურებების გამო, აგრეთვე საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე პროცენტების დარიცხვის ნებართვის მიცემის გამო. ჩვენი პრაქტიკისაგან განსხვავებით ამერიკის მრავალი კომერციული ბანკები მოკითხვამდე ანგარიშების წარმოებისათვის საკომისიოს იღებენ. პრაქტიკულად ეს გადასახადი მხოლოდ ხახელშეკრულებო, მოკითხვამდე ანგარიშის სტაბილური ნაშთის არსებობისას უქმდება.

ბანკის მომსახურების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფაქტორინგულ ოპერაციებს ფაქტორინგი შიგა ბაზარზე სპეციალიზებული დაწესებულების საქმიანობის განსაკუთრებული ფორმაა, რომლის დროსაც მისი კლიენტი, მყიდველი საწარმოსაგან ფულადი სახსრების ამოღება ხდება. ფაქტორინგული განყოფილებები ბანკებთანაა შექმნილი. პრაქტიკაში გვხდება ბრუნვით და ბრუნვის გარეშე ფაქტორინგი. პირველ შემთხვევაში საანგარიშსწორებო საბუთებში მითითებულ თანხას, რომელიც გადამხდელის მიერ ხელშეკრულებო ვადაში გადახდილი არაა. ბანკი გადაუხდის მიმწოდებელს ე.ი. მისივე კლიენტს. მეორე შემთხვევაში ბანკის მიერ გადაუხდელი საანგარიშსწორებო საბუთის ყიდვის შემდეგ, მომწოდებელი ამ ვალის დროულად გადახდაზე პასუხს არ აგებს.

ლიზინგური მომსახურებანი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკს შეუძლია იყოს, როგორც არენდის გამცემი, ასევე არენდის გამცემსა და არენდის მიმღებს შორის შუამავალი. პირველ ეტაპზე ბანკებთან შექმნილ ლიზინგურ განყოფილებებს შეუძლიათ შეაცილონ სხვადასხვა ქვეგანყოფილებებიდან მომსახურებების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები, გააადვილონ კრედიტის მიღება არენდის გასაცემი წარმოების საშუალებების შესაძენად, რითაც ლიზინგური გარიგება და ბანკის რეპუტაცია გარანტირებული იქნება. თუ ბანკი გამოდის შუამავლის როლში, მაშინ მომსახურებები მოიცავს ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა არენდის გამცემის და არენდის მიმღების მოძებნა, ლიზინგური ოპერაციების პირობების და ეგმ-სათვის პროგრამების დამუშავება როგორც ბანკისათვის, ასევე გარიგების მონაწილეებისათვის საუკეთესო ვარიანტის ამორჩევის საშუალებას იძლევა; მოლაპარაკების დაწყებამდე გადახადების ზედა და ქვედა ზღვარის განსაზღვრა; არენდის ამღების ქცევის ალბათობის მოდელირება; გადასახადებზე და ანგარიშებზე კონსულტაციების გასაწევად სპეციალისტების მოწვევა; იურიდიული დოკუმენტების მომზადება; შინაგანი ინვესტორების თანხების მოზიდვა; არენდის ამღებისაგან არენდის გადასახადების მიღება; არენდის ამღების კრედიტუნარიანობაზე კონსულტაციების გაწევა.

ბანკის ნდობითი მომსახურებები ფასიან ქაღალდებთან, დეპოზიტურ ოპერაციებთან და ქონების მართვასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ნდობითი მომსახურების პირველი სახესხვაობა მოიცავს სასესხო ობლიგაციების, აქციების განლაგების მომსახურეობას, აქციებზე ან ობლიგაციებზე საკუთრების გადაცემისას სააგენტოს ფუნქციებს, კუპონების გადახდას, ფასიანი ქაღალდების გადახდას. ამგვარად, ასეთი მომსახურების განვითარება ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნასთანაა დაკავშირებული. თუ ქვეყანაში, არაა ბირჟები, ოპერაციების ჩატარებას მომართული მექანიზმით, ბანკები საქციო საზოგადოებებს და მყიდველებს შორის, საწარმოებსა და მოქალაქეებს შორის აქტიური შუამავლები შეიძლება გახდნენ.

ქონებაზე უკეთეს პირობას განვითარებისათვის ნდობითი მომსახურებების მეორე სახესხვაობა ბანკი ემსახურება კლიენტს ფულადი თანხების სტაბილური ნაწილის განსაზღვრისთვის, რომელიც შესაძლებელია გადაიქცეს ვადიან დეპოზიტად. ამისათვის კომერციულ ბანკს გააჩნია სტატისტიკური ინფორმაცია მოთხოვნამდე ანგარიშებზე ნაშთის შესახებ. ნაშთის სტაბილური ნაწილის გაანგარიშების მეთოდიკის საფუძველი შეიძლება იყოს ნორმალური განაწილების პარამეტრები. ნდობითი მომსახურებების მესამე სახესხვაობაა კლიენტის სიკვდილის შემდეგ მისი ქონების მართვა, მეურვეობის ფუნქციები, ქონების გაყიდვის შესახებ კონსულტაციის გაწევა. ამგვარი სახის ნდობითი მომსახურებების განვითარებას ჯერ კიდევ საკმარისი საფუძველი არ გააჩნია, რადგან ის პირად საკუთრებასთანაა დაკავშირებული.

რეალური მოთხოვნილება საინფორმაციო მომსახურებების განვითარებისათვის უკვე არსებობს. ამისათვის საჭიროა შიგასაბანკო და ბანკთაშორისო საინფორმაციო განყოფილებების შექმნა, აგრეთვე საინფორმაციო სისტემის კომპიუტერიზაცია. საინფორმაციო მომსახურებები შეიძლება დაკავშირებული იყოს კომერციული ბანკის კლიენტების კრედიტუნარიანობის შესახებ ინფორმაციის შეკრებასთან და წარდგენასთან საბანკო მომსახურებების ბაზართან, აქტიურ და პასიურ ოპერაციებზე კომერციული ბანკების პროცენტებთან. კრედიტუნარიანობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნილება დაკავშირებულია დაკრედიტების შეკანიზმის გარდაქმნასთან, ფაქტორინგული ოპერაციების განვითარებასთან, სარისკო და კომერციულ დაკრედიტებასთან.

საწყის პერიოდში კომერციული ბანკის საკონსულტაციო მომსახურებები მოიცავს კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასის ასაბაღლებლად კონსულტაციების გაწევას, ლიზინგური ოპერაციების პირობების და ინოვაციური დაკრედიტების მეთოდიკის შემუშავებას, კონკრეტული ეკონომიკური სიტუაციისათვის დაკრედიტების მისაღებ ვარიანტების შედგენას.

პერსპექტივაში ბანკის კონსულტაციები ვარიანტების შერჩევასთან, თანხების ხელსაყრელ მოთავსებასთან, საწარმოს ლიკვიდური რესურსების ოპტიმალურ მართვასთან, ფინანსურ დაგეგმვასთან, ცალკეული ოპერაციების რისკსა და მოგებასთან, შემოსავლების და ხარჯახადელების რაციონალურ კომბინირებასთან იქნება დაკავშირებული.

2. საბანკო მარკეტინგის ხერხები.

საბანკო მარკეტინგის ძირითადი ხერხებია: კლიენტებთან ურთიერთობა, აქციონერებისათვის რენტაბელური საქმიანობის და დივიდენდების უზრუნველყოფა, კლიენტებისათვის უპირატესობის უზრუნველყოფა მოცემული ბანკის მომსახურებების გამოყენებისას, სხვა საკრედიტო და არასაკრედიტო დაწესებულებების მომსახურებასთან შედარებით, მომსახურების გაყიდვისაზე ბანკის თანამშრომლების მატერიალურ დაინტერესება.

კლიენტებთან ურთიერთობის მიხედვით საბანკო მარკეტინგი შეიძლება იყოს აქტიური და პასიური. აქტიური მარკეტინგია: - პირდაპირი მარკეტინგი ე.ი. აქციური რეკლამა, რომელიც ფოსტას, ტელეფონს და ტელევიზიას იყენებს; - ტელემარკეტინგი, რომელიც ეკონომიკურად უფრო ეფექტურია ვიდრე ახალი განყოფილებების შექმნა. - განვითარების ღონეებს და კონფერენციების ჩატარება, სადაც კლიენტები ბანკის მომსახურების ხარისხს და სტრუქტურას შეაფასებენ; - მოსახლეობის ფართო ფენების გამოკითხვა, მათ შორის ჭუჩაში გამოკითხვის ორგანიზება; - ფოკუს-ჯგუფები, რომლებიც განსაზღვრული პრობლემების განსახილველად

ბანკების მიერ ორგანიზებულ სადისკუსიო ჯგუფებს წარმოადგენენ; - პოტენციალურ კლიენტთან პერსონალური ურთიერთობა, მისი მოთხოვნების შესწავლა (მაგ. საბანკო მუშაობის პროცესში).

პასიური მარკეტინგი - პუბლიკაციები პრესაში ბანკის მდგომარეობის შესახებ, მისი ცალკეული ოპერაციების მომსახურეობებიდან მოგების შესახებ და ა.შ.

საბანკო მარკეტინგის ხერხებს მიეკუთვნება ბანკის მოსამსახურეების მატერიალური დაინტერესება მომსახურეობების გაყიდვით, ამის მიღწევა შრომის ანაზღაურების სისტემის მეშვეობით შეიძლება. მაგალითად: ფრანგულ კომერციულ ბანკში Credit Lione შრომის ანაზღაურება 3 ელემენტისაგან შედგება: დამატებითი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, ფიქსირებული ხელფასი და პრემია, ძალიან კარგი მუშაობისათვის. მოსამსახურის მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებელს, კლიენტურასთან დაკავშირებით, წარმოადგენს კლიენტების რიცხვი, ანაბრების მოცულობა და მათი მეშვეობით ბანკში მიღებული შემოსავალი. ამ შემოსავლის სიდიდე შემღეგნაირად განისაზღვრება: ყოველღღე კადრების განყოფილებაში შედის ინფორმაცია ბანკის თანამშრომლის მიერ შესრულებული ოპერაციების რაოდენობაზე, ყოველ ოპერაციაზე დამუშავებულია ტარიფები, რომელიც მის შემოსავლიანობას ასახავს. მოცემულ პერიოდში საერთო შემოსავალი განისაზღვრება ოპერაციების რაოდენობისა და ტარიფების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. აგრეთვე განისაზღვრება ქულათა რაოდენობა, რომელიც სპეციალურად დამუშავებული სკალის მიხედვით ეწიჭება მოსამსახურეს. ამ ქულებით განისაზღვრება სამუშაოს ხარისხზე დამატებითი ანაზღაურება, რომელსაც როგორც წესი ყოველი მეოთხე მუშაკი იღებს. მაღალი ქულების დაგროვებისათვის გაიცემა პრემია" ძალიან კარგი მუშაობისათვის", ბანკის თანამშრომელი, რომელსაც მოგება არ მოაქვს შეიძლება სამუშაოდ ადმინისტრაციულ განყოფილებაში იქნეს გადაყვანილი.

3. საბანკო მარკეტინგის შემადგენელი ნაწილები.

საბანკო მარკეტინგის შემადგენელ ნაწილებად შეიძლება ჩაითვალოს: 1. ბაზრის გასაცნობად საჭირო ინფორმაცია; 2. საქონლის შესწავლა და მისი ფასის განსაზღვრა; 3. მომსახურების გასაღების ორგანიზაცია;

ინფორმაციის შეგროვების მიზანს მოცემული კომერციული ბანკის რეალურად ათვისებული და პოტენციალური ბაზრის განსაზღვრა, ამ ბაზრის მოთხოვნილებების შესწავლა წარმოადგენს. ბაზრის დასახასიათებლად განისაზღვრება ბანკის კუთვნილი საერთო წილი, მათ შორის სესხებისა და დეპოზიტების ბაზრის წილი. ასევე მომსახურების ცალკეული სახეების ბაზრის წილი; მოცემული კომერციული ბანკის ბაზრისა და სხვა კონკურენტი, ერთგვაროვანი საკრედიტო დაწესებულებების ბაზრების შედარება ხდება. ბაზრის დეტალური შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის სეგმენტაციას.

ბანკის სეგმენტაციის საფუძველს წარმოადგენს საბანკო მომსახურეობების ხასიათი (საკრედიტო, საოპერაციო, საინვესტიციო და სხვა), კლიენტურული მაჩვენებლები (იურიდიული და სხვა ფიზიკური პირები, კორპორაციები, კორესპოდენტი ბანკები, მთავრობა). ასევე გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ფსიქოკულტურული და ქცევითი სეგმენტაციები გამოიყენება. საწარმოების ბაზრის სეგმენტაციისათვის ითვალისწინებენ საწარმოების ზომას, საქმიანობის

სფეროს, მოსამსახურეთა რიცხვს, ხელმძღვანელის დონეს, მოთხოვნილების ხასიათს (პერიოდულია თუ მეორადია).

გეოგრაფიული სეგმენტაციის ერთეულების სახით შეიძლება გამოვიღნენ ქვეყნები, დიდი გეოგრაფიული უბნები, ეკონომიკური რაიონები; ქვეყნის, ქალაქის და გარეუბნის ადმინისტრაციული ერთეულები. გეოგრაფიული სეგმენტაცია გამოიყენება საწარმოების და ფიზიკური პირების ბაზრის შესწავლისათვის.

დემოგრაფიული სეგმენტაცია - დაკავშირებულია ფიზიკური პირების ბაზართან. ეს სეგმენტაცია ეფუძნება: მოსახლეობის სოციალურ პროფესიონალურ დაყოფას (მეწარმეები, მუშები, მოსამსახურეები, თავისუფალი პროფესიის ადამიანები), უმაღლესი და საშუალო რგოლის ხელმძღვანელები (მოსამსახურეები, პერსონალი) წლოვანების, სქესის, ოჯახური მდგომარეობის, ოჯახის სიდიდის, შემოსავლის, განათლების დონის მიხედვით. ბანკი გამოყოფს მისათვის საინტერესო მოსახლეობის ჯგუფს და მუშაობს მათთან ანაბრების მაქსიმალურ მოზიდვისათვის, კრედიტების საუკეთესოდ განლაგებისათვის და ა.შ. დემოგრაფიულ სეგმენტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ვახიანი ქალალდების ბაზრის განვითარებისათვის, რადგან ამ პირობებში კომერციული ბანკის ძირითად მეანაბრეებს მოსახლეობა წარმოადგენს.

ფსიქოკულტურული სეგმენტაცია - ითვალისწინებს ფიზიკური პირის ქცევას ბანკის მიერ შეთავაზებული განსაზღვრული მომსახურების მიმართ. ეს ქცევა, როგორც სოციალურ ჯგუფებზე ასე პიროვნებების ცალკეულ თავისებურებებზე დამოკიდებული. ამასთან სპეციალური მაჩვენებლება მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს ეროვანებს.

ქცევითი სეგმენტაცია - ბანკის კლიენტის დროის შესწავლის საფუძველზე - ბანკში [illegible] ანგარიშებზე ოპერაციების მდგომარეობით მზიდვა ფრანგმა ბანკირებმა ქცევის [illegible] მოსახლეობის შემდეგნაირი კლასიფიკაცია მოახდინეს: 1. დღევანდელი დღით [illegible] ადამიანები; 2. აკუმულირებლები, 3. გამომყენებლები ანუ რეალისტები. ქცევა [illegible], მაგრამ მატერიალური ფასეულობებისადმი პატივისცემით გაწყობილნი, ანაბრებს, [illegible] მოგლენის ცენტრისაგან მოიწვრთნენ;

ბაზრის შესახებ ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე კომერციული ბანკი თავის [illegible] ამუშავებს. ბანკისეული შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს ბანკის [illegible] ბაზრების ძველი კლიენტებისათვის მაგალითად, შეღწევის სტრატეგია, ძველ ბაზრებზე [illegible] მომსახურების ახალი კლიენტებისათვის მაგალითად განვითარების სტრატეგია (ძველ [illegible] ბაზრების გაფართოების სტრატეგია (ახალი მომსახურების გაყიდვა ახალ [illegible] სტრატეგიის ბოლო ტიპი ბანკისათვის ძალზე სარისკოა.

ბანკის მარკეტინგის მიერ შესრულებული ნაწილი ბანკირის ფასის განსაზღვრებას და მასთან ფასების ხასიათის შესწავლას ეხება. [illegible]

დარიცხულ პროცენტებზე. უნდა გავარჩიოთ რესურსების საბაზრო და რეალური ფასი. რეალური ფასი ნორმით კორექტირებულ აუცილებელ რეზერვების საბაზრო ფასს წარმოადგენს.

$$\text{საკრედიტო რესურსების რეალური ფასი} = \frac{\text{რესურსების საშუალო საბაზრო ფასი}}{\text{100 - საკრედიტო რესურსების რეგულირების ფონდში ანარიცხების ნორმა}} \times 100$$

სახელშეკრულებო დანამატს სხვანაირად საკრედიტო მარჟა ეწოდება. მისი სიდიდე განისაზღვრება ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორიცაა კრედიტის სახეობა და ვადა, კლიენტების კრედიტუნარიანობა, მათთან ბანკის საქმიანი კავშირების ხანგრძლივობა, ინფლაციის ტემპები, საბიუჯეტო დეფიციტის ზომები, ეკონომიკური ციკლის ფაზა, ცენტრალურ ბანკში რეფინანსირების შესაძლებლობანი, დეპოზიტური გარანტიების ზომები.

პროცენტული მარჟის დასადგენად კომერციული ბანკი შეისწავლის სესხების მიზედვით პროცენტული განაკვეთების დინამიკას. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ დინამიკა შეიძლება დამახინჯდეს ინფლაციის ტემპების გავლენით, რომლებიც განსაზღვრავენ სახელშეკრულებო დამატების სიდიდეს. ამის გამო ანსხვავებენ კრედიტის ნომინალურ პროცენტულ განაკვეთებს.

$$\text{კრედიტზე რეალური საპროცენტო განაკვეთი (PCp)} = \text{კრედიტზე ნორმალური საპროცენტო განაკვეთი (PCn)} - \text{ინფლაციის ტემპი (L)}$$

	საბაზრო პერიოდი, %	საანგარიშო პერიოდი, %
PCn	10	8
L	7	4
PCp	3	4

საპროცენტო მარჟის ტენდენციის საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა კრედიტის რეალური საპროცენტო განაკვეთების დინამიკაზე ორიენტირება. საპროცენტო პოლიტიკის დამუშავებისას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ საპროცენტო მარჟა (M), რომელიც საკმარისია მოცემული კომერციული ბანკისათვის. მას საფუძვლად შეიძლება დავდოთ საბანკო მომსახურების შინაგანი ღირებულებების კოეფიციენტი, რომელსაც საზღვარგარეთის კომერციული ბანკები იყენებენ და რომელიც გამოიანგარიშება ბალანსის მონაცემების საფუძველზე.

$$M = \frac{\text{ბანკის საერთო ხარჯები სასესო ოპერაციების ხარჯების ჩათვლით} - \text{სხვა შემოსავლები} + \text{საკმარისი მოგება}}{\text{შემოსავლის მომტანი აქტივი}}$$

საოპერაციო მომსახურებების ფასის დადგენის საფუძვლად მათი შრომატევადობაა გათვალისწინებული.

ამ სახეობის ბანკის ოპერაციები (მაგ. ნაღდი ფულის გაცემის, გადასახადების გადარიცხვის) კატეგორიებების შესაბამისად იყოფა ფაზებად, რომლებსაც ის შეეხება.

საოპერაციო განყოფილებაში, საერთო დროის დანახარჯებში მოცემულ ოპერაციაზე დროის დანახარჯების წილი განყოფილების ადმინისტრაციულ-სამეურნეო დანახარჯებზე მრავლდება, ასეთ გზით მოცემულ ოპერაციებზე პირდაპირ დანახარჯებს შეადგენს. პირდაპირი დანახარჯების, ასევე დანახარჯების და მოგების ერთობლიობა მოცემული საოპერაციო მომსახურებების ფასს წარმოადგენს. ის შეიძლება გაიზარდოს საარგარიშსწორებო ოპერაციებში საკრედიტო რესურსების მოზიდვის გამო და ბანკისათვის განსაზღვრული რისკის არსებობით.

კონსალტინგური მომსახურებაზე საკომისიოები დამოკიდებულია იმაზე, ბანკი შუამავალია თუ ინვესტორის წამცემი. ფაქტორინგული მომსახურებების ფასი მისი შრომატევადობით, ბანკის რისკით განისაზღვრება. უკანასკნელი დამოკიდებულია ბანკის მიმწოდებელ-კლიენტის კრედიტუნარიანობაზე (უკუ ფაქტორინგი) ან გადამხდელის კრედიტუნარიანობაზე (ფაქტორინგი რეგრესის გარეშე). საკომისიო საანგარიშსწორებო ღონისძიებებში ნაჩვენები თანხები პროცენტებით განისაზღვრება.

მარკეტინგის მესამე განყოფილება ორიენტირებას უკეთებს ბანკის მომსახურებას გასაღების პირობების შესასწავლად. ამ პირობების რიცხვს მიეკუთვნება ბანკის განყოფილებების და ფილიალების სწორი განლაგება, საკრედიტო დაწესებულებების ტიპის შერჩევა, ბანკის შინაგანი მოწყობა, პერსონალის ვალდებულებები და ა.შ. განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფუნქციონირებს, ავტომატიზირებული ბანკების შემდეგი ტიპები: -საბანკო განყოფილებები, რომელთა მოლარე ავტომატები ჭუჭაში არის განლაგებული; -განყოფილებები, რომელთა ავტომატებიც საკონსულტაციო ტელეფონების გვერდით განყოფილებაში არის განლაგებული; - განყოფილებები, რომელთა ავტომატების ფუნქციები გაფართოებულია (ავტომატები არა მარტო გასცემენ ნაღდ ფულს, არამედ კლიენტის პირადი ანგარიშიდან ამონაწერსაც აკეთებენ, ფულს ახურდავებენ, მომსახურებებს ყიდიან); - ბორბლებიანი მოძრავი განყოფილებები, რომელშიც ბანკის მოხელეც არის და ავტომატიც. ამ განყოფილებების მიზანია - რეკლამა. - განყოფილებები, რომლებიც 3 რგოლს შეიცავს: ავტომატების ზონა, ტრადიციული სალაროს ზონა და კლიენტის საკონსულტაციო ზონა; - განყოფილება მომსახურებების გასაღებისათვის, რომლის მოხელეები რეალურ და პოტენციონალურ კლიენტებს გვერდს უვლიან; - სატელეფონო განყოფილებები მოსახურებების გასაღებისათვის; - განყოფილებები, რომლებიც ფიზიკურ პირებს ძალიან წინასწარი ჩაწერით ემსახურებიან - საბანკო სუპერმარკეტი, რომელიც ყველა სპეციალისტებს განაგებს და აერთიანებს მომსახურეობის ყველა სახეობას; - ელექტრონული განყოფილებები, სადაც კლიენტების მომსახურება მთლიანად ავტომატიზირებულია;

მარკეტინგი ბანკის ყველა ქვეგანყოფილებების მუშაობის საფუძველს წარმოადგენს. კომერციული განყოფილება, რომელიც მარკეტინგს მართავს გონებრივი ცენტრია. ის ბაზარს ეუფალოდ სწავლობს, ინფორმაციებს აგროვებს, აანალიზებს მას და ბაზრის ათვისების სტრატეგიას გამოიმუშავებს.

თ ა ვ ი IV

კომერციული ბანკის ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა

1. ბანკის ბალანსის ლიკვიდობა და მისი გადახდისუნარიანობის ცნება

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში, საერთაშორისო საბანკო ტერმინოლოგიისაგან განსხვავებით, ზოგჯერ ერთმანეთში ერევათ ორი ცნება - ბანკის ბალანსის ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა, რასაც შემდგომში საკრედიტო დაწესებულებების გადახდისუნარიანობის და ლიკვიდობის მხარდაჭერის მეთოდების და საშუალებების გაიგივებასთან მივყავართ. თუ პირველი უმეტეს წილად თვით ბანკის საქმეა და ის კონკრეტულ პირობებში, დამოუკიდებლად ირჩევს, დადგენილი ნორმების დონეზე ოავის ლიკვიდობის მხარდასაჭერად ამა თუ იმ საშუალებებს, მეორე როგორც წესი, სახელმწიფოს ანუ ცენტრალური ბანკის ფუნქციებს მიეკუთვნება.

ლიკვიდური სახსრები. ტერმინი ლიკვიდობა (ლათინურიდან Liguidus თხევადი, გამდინარე) პირდაპირი გაგებით რეალიზაციის, გაყიდვის სიადვილეს, მატერიალური ფასეულობის ფულად სახსრებად გადაქცევას ნიშნავს. როგორც წესი გამდინარეობას ნიშნით სითხეს მიეკუთვნება, ასევე ბანკის აქტივები მათი ფულად ეორმად (ნაღდი ფული ან სახსრები ანგარიშწორების ანგარიოზე) გადაქცევის სიადვილის მიხედვით, განისაზღვრებაან როგორც ლიკვიდური ან არალიკვიდური საშუალებები. ბანკის აქტივები მისი ლიკვიდობის ხარისხით შეიძლება 3 ჯგუფად დავყოთ: 1. ლიკვიდული სახსრები, რომლებიც იმყოფებიან დაუყოვნებლივ მზადყოფნაში ან ძირველხარისხოვანი ლიკვიდური საშუალებები. მათ რიცხვშია სალარო, სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშზე, პირველხარისხოვანი თამასუქები და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. 2. ბანკის განკარგულებაში არსებული ლიკვიდური საშუალებები, რომლებიც შეიძლება ფულად საშუალებებად გადაიქცეს. აქ ეკუთვნის კრედიტებზე და სხვა გადახდებზე ბანკის სახარგებლოდ უახლოეს 30 დღეში შესრულების კადებით. პირველზე რეკომენდებული პირობითად რეალიზებული ფასიანი ქაღალდები, სხვა საწარმოებსა და ბანკებში მონწილეობის მსგავსად) და სხვა ფასეულობები (არამატერიალური აქტივების ჩათვლით). 3. არალიკვიდური აქტივები, როგორიცაა გადაუხდელებული სესხები და ეამეული გადები, ბანკის კაპიტალში შენატანები, ნაგებობები, რომლებიც ძირითად ფონდებს მიეკუთვნება.

გამოთავისუფლების ვადებსა და ბანკის ვალდებულებების მიხედვით მოსალოდნელი გადასახდელების თანხებსა და ვადებს შორის.

ბანკის ბალანსის ლიკვიდობაზე გავლენას ახდენს მისი აქტივების სტრუქტურა: რაც უფრო მეტია პირველი კლასის ლიკვიდური სახსრების წილი აქტივების საერთო ჯამში, მით უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდობა. საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში აქტივების ყველაზე ლიკვიდურ ნაწილად ითვლება თანხები სალაროში, რომელსაც მიეკუთვნება არა მარტო ნაღდი ფული სალაროში, არამედ ის ფულადი სახსრები, რომლებიც ცენტრალურ ბანკში საკრედიტო ინსტიტუტის მიმდინარე ანგარიშზე ირიცხება. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ლიკვიდურ სტატიებად ითვლება პირველხარისხოვანი მოკლევადიანი კომერციული თამასუქები, რომელთა რედისკონტი ბანკს შეუძლია ცენტრალურ ბანკში, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ფასიანი ქაღალდებით. ნაკლებად ლიკვიდურია საბანკო ინვესტიციები, გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები, რადგან მოკლე ვადაში მათი რეალიზაცია ყოველთვის არ ხერხდება. როგორც ძნელად ლიკვიდური აქტივები განიხილებიან გრძელვადიანი სესხები და დაბანდებებანი უძრავ ქონებაში.

ამის გარდა, ბანკის ლიკვიდობა დამოკიდებულია ცალკეული აქტიური ოპერაციების რიკის ხარისხზე: ბანკის ბალანსში რაც მეტია სარისკო აქტივების წილი, მით დაბალია მისი ლიკვიდობა. ასე მაგალითად, პრაქტიკაში მიღებულია, რომ საიმედო აქტივებს ნაღდი ფული მიეკუთვნება, ხოლო მაღალხარისხიან აქტივებს ბანკების გრძელვადიანი დაბანდებანი.

ბანკების მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხი არსებით გავლენას ახდენს სესხების ღროულ დაბრუნებაზე და ამით ბანკის ბალანსის ლიკვიდობაზე, რაც მეტია ბანკის საკრედიტო პორტფელში მაღალრისკიანი სესხების ხვედრითი წონა, მით უფრო დაბალია მისი ლიკვიდობა. ლიკვიდობა ბალანსის პასივების სტრუქტურაზეა დამოკიდებული. თუ მოთხოვნამდე ანაბრების ვადებით მეანბრეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ფული ნებისმიერ მომენტში, მაშინე ვადიანი ანაბრები ბანკის განკარგულებაში იმყოფება. უფრო მეტად - მცირე ხნით და შესაბამისად სხვა თანაბარი პირობისას მოთხოვნამდე ანაბრების ხვედრითი წონის გადიდება და ვადიანი ანაბრების წილის შემცირება ბანკის ლიკვიდობას ამცირებს. დეპოზიტების და სესხების საიმედობა, რომლებიც ბანკს სხვა საკრედიტო დაწესებულებებიდან აქვს მიღებული, ასევე გავლენას ახდენს ბალანსის ლიკვიდობის დონეზე.

ამრიგად, ბანკი ითვლება ლიკვიდურად, თუ მისი ფულადი სახსრების ჯამი, რომლის სწრაფი მობილიზირება ბანკს სხვა წყაროებიდან შეუძლია, პასივის მიხედვით ვალდებულებების ღროულად შეასრულოს საშუალებას იძლევა. აუცილებელია ავღნიშნოთ,რომ თავისი სტაბილურობის შესანარჩუნებლად ბანკს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ლიკვიდური რეზერვი გუთვალისწინებელ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ფულადი ბაზრის და კლიენტის ან პარტნიორ-ბანკის ფინანსური მდგომარეობით.

ბანკის ბალანსის ლიკვიდობის შეფასება ხდება სპეციალური მაჩვენებლების გაანგარიშებით, რომლებიც აქტივებისა და პასივების თანაფარდობას, აქტივების სტრუქტურას ასახავენ. საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში, ამ მიზნებისათვის უფრო ხშირად ლიკვიდობის კოეფიციენტები გამოიყენება. რომლებიც წარმოადგენენ თანაფარდობას საკრედიტო დაწესებულებების ბალანსის აქტივის სხვადასხვა სტატიებისა და პასივის განსაზღვრულ სტატიების, ან პირიქით პასივებისა და აქტივების თანაფარდობას წარმოადგენენ. სხვადასხვა ქვეყნებში ლიკვიდობის მაჩვენებლებს განსხვავებული დასახელებები გააჩნიათ. მათ გამოთვლის

არაერთგაროვანი მეთოდიკა აქვთ, რაც არსებულ პრაქტიკასთან და ტრადიციებთანაა დაკავშირებული. ჩვეულებრივ, ლიკვიდობის შესაფასებლად მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ლიკვიდობის მაჩვენებლების კოეფიციენტები გამოიყენება. მათი გამოთვლა ხდება მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივების ან საშუალოვადიანი აქტივების თანაფარდობით, პასივების ვადების შესაბამისად. საბაზრო ეკონომიკის მთელ რიგ ქვეყნებში, ბანკები ვალდებულნი არიან ლიკვიდობის კოეფიციენტის განსაზღვრული დონე შეინარჩუნონ, რომელიც ლიკვიდობის ნორმად იწოდება.

ზოგ ქვეყნებში ლიკვიდობის ნორმა საბანკო და საგალუტო კონტროლის ორგანოების მიერ დგინდება. ზოგან კი საბანკო კანონმდებლობებით. მათი სიდიდე განისაზღვრება დაგროვილი გამოცდილების და ადგილობრივი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, კლიენტურის სპეციფიკით, შესრულებული ოპერაციების თავისებურებით, ახალ ბაზარზე გასვლის შესაძლებლობით და საბანკო მომსახურებების განვითარებით.

ბანკის ლიკვიდობა საფუძვლად უდევს ბანკის გადახდისუნარიანობას. გადახდისუნარიანობა განისაზღვრება, როგორც ბანკის უნარი საჭირო ვადებში და სრული თანხით პასუხი აგოს საკუთარ ვალდებულებებზე. თუმცა, ის არა მარტო ბალანსის ლიკვიდობაზე, არამედ რიგ სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორებია: პოლიტიკური ან ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში ან რეგიონში, ფულადი ბაზრის მდგომარეობა, ცენტრალურ ბანკში რეფინანსირების შესაძლებლობა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, საგირავნო და საბანკო კანონმდებლობის არსებობა და სრულყოფილება, ბანკის საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოფა, კლიენტების და პარტნიორ ბანკების საიმედობა, მენეჯმენტის დონეზე ბანკში, მოცემული საკრედიტო დაწესებულებების სააბანკო მომსახურებების სპეციალიზაცია და მრავალფეროვნება და სხვა ფაქტორები. ამავე დროს მითითებული ფაქტორები პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენენ ბანკის ბალანსის ლიკვიდობაზე, და განსაზღვრულ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. ნათქვამის ილუსტრირება შეიძლება სქემის სახით მოვახდინოთ. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ცენტრალური ბანკები (სქემა 1) კომერციული ბანკების გადახდისუნარიანობას არეგულირებენ ბანკის ვალდებულების განსაზღვრის მეშვეობით, მათ შორის: ერთი მეანაბრის დავალიანების ზღვრული ოდენობის განსაზღვრით, მსხვილი კრედიტების გაცემაზე განსაკუთრებული კონტროლის შემოღებით, კომერციული ბანკების რეფინანსირების სისტემების შექმნით და მოზიდული სახსრების ნაწილის აუცილებელი რეზერვებით, საპროცენტო პოლიტიკის და ღია ბაზარზე ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების განხორციელებით. ამაჟამად, ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებშიც რეგულირდება კომერციული ბანკების გადახდისუნარიანობა. კომერციული ბანკები თავიანთ გადახდისუნარიანობას ამოცნობის მეთოდის დახმარებით, ლიკვიდობის და გადამხდისუნარიანობის დაკარგვის რისკის შეფასებით და კონტროლით მართავენ. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის გამოცდილება კომერციული ბანკების ლიკვიდობის და გადამხდისუნარიანობის რეგულირების საკითხებში.

წარსულში მეცნიერებისა და ბანკირების მიერ შექმნილი და დაგროვილი ინტელექტუალური სიმდიდრე არ უნდა მიეცეს დავიწყებას. უფრო მეტიც, მათი გამოყენება დღევანდელობის თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია: რაც უფრო კარგად ვიცით წარსული, მით უფრო ნათლად ვხედავთ მომავალს.



სქემა 1. ბანკის ლიკვიდობაზე და გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები

2. რუსეთის გამოცდილება კომერციული ბანკების ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის მართვის სფეროში

ბანკის ლიკვიდობის პრობლემები და მათი საქმიანობის რეგულირება რევოლუციამდელ რუსეთში. რუსეთის იმპერიაში ბანკების წარმოშობიდან 100 წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, მე-XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისამდე საბანკო საქმეში სახელმწიფო იყო მონოპოლისტი. ასეთ მონოპოლიას საფუძვლად ედო ის, რომ ყველა ბანკი ქვეყანაში სახელმწიფო საკუთარების ობიექტს წარმოადგენდა, რამაც საშუალება მისცა მათ რუსეთის სახალხო მეურნეობაში თავისუფალი ფულადი დანაზოგები მოეზიდათ, ამა თუ იმ დარგში სერიოზული მეტოქეების არ არსებობის პირობებში. მოზიდულ სახსრებს, რომლებსაც ძირითადად მოკლევადიანი ხასიათი ჰქონდა, სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებები იყენებდნენ ზაზინისათვის და მეწარმეებისათვის გრძელვადიანი რესურსების გასაცემად, რომლებიც მუდმივ დეფიციტს განიცდიდნენ. ამასთან, ბანკებისათვის დამახასიათებელი იყო ვალებისა და თანხების მიხედვით სახელმწიფო რესურსების დაბანდებების დაბალანსების დუუცველობა. ამგვარ სიტუაციას ცალკეული სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებების გაკოტრება იწვევდა, რის გამოც მთავრობა იძულებული იყო დრო და დრო მოეხდინა მათი რეორგანიზაცია, სხვა სახელმწიფო ბანკებთან შერწყმის გზით და ლიკვიდირებული დაწესებულებების ბაზაზე ახალი ბანკი დაეფუძნებინა.

რუსი ეკონომისტები თავიანთ ნაშრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბანკების ლიკვიდობის მუდმივი დაცვის აუცილებლობას, რისთვისაც ამ მიზნების მიღწევის საშუალებებსაც იძლეოდნენ. ჯერ კიდევ 1811 წელს ადმირალმა გრაფ ნ.ს. მორდვინოვმა დაწერა ამ დროისთვის ცნობილი ნაშრომი: იწერება რუსულად ის რუსეთის კერძო საკციობანკების ერთ-ერთი პირველი პროექტების დაწვრილებით აღწერილობას შეიცავს. მასში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბანკის ლიკვიდობის პრობლემას, რომლის შესანარჩუნებლადაც შემოთავაზებული იყო შემდეგი: "ყველა ანაბარი - წერდა ნ.გორდინოვი ბანკის პროექტის 23-ე პარაგრაფში - გულდასმით უნდა გადაირჩეს ბანკთან მათი მოკლე ან გრძელვადიანობის დამოკიდებულების მიხედვით.

ასეთი სახის ანაბრები, რომლებიც შეიძლება რამდენიმე თვის შემდეგ გამოთხოვილ იქნეს უკან მხოლოდ მოკლევადიანი თამასუქის სასესხო წერილების, კანონიერი მოწმობებისა და საქონლის ქვეშ გაცემული სესხების დაფარვით.

გრძელვადიანი კაპიტალი შეიძლება გამოშვებულ იქნეს გრძელვადიანი ვალდებულებების ხარჯზე... მუდმივი კაპიტალები (ბანკის საკუთარი სახსრები) შესაძლებელია სესხად გაიცეს უძრავი ქონების გირავნობით 8-დან 20 წლამდე".

საკრედიტო რესურსების და დაბანდებების ვადებისა და თანხების მიხედვით გაწონასწორების შესაძლებლობების შესახებ მსგავსი იდეები სახელმწიფო ბანკების მუშაობაში ნაკლებად იყო გათვალისწინებული განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში. ეს თავის თავში მალავდა მთელი სახელმწიფო საკრედიტო სისტემისა და ფულადი მეურნეობის სტაბილურობისათვის მზარდ საშიშროებას. გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, კაპიტალისტურ სამეწარმეო საქმიანობაზე აკრძალვის გაუქმებამ და მასთან დაკავშირებული საკუთრების კერძო კაპიტალისტური ფორმების სწრაფმა განვითარებამ ტრანსპორტზე, ვაჭრობაში, მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, საქციო საზოგადოებების, ფახიანი ქაღალდების ბაზრის

წარმოქმნამ, ყველაფერმა ამან ძირი გამოუთხარა სახელმწიფო ბანკების მონოპოლიას თავისუფალი ფულადი რესურსების გამოყენებაში. რუსეთში სახაზინო საკრედიტო დაწესებულებებიდან მეანაბრეების მიერ მასობრივად დაიწყო ფულადი სახსრების გატანა (რომლებმაც წინდაუხედავად შეამცირეს დეპოზიტებზე პროცენტი) და ეს სახსრები მიმართული იქნა ახალი საწარმოების აქციებისა და ობლიგაციების შესაძენად.

სახაზინო ბანკები, რომლებიც აღრე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ბანკების ლიკვიდობას, მთავრობის და ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით წარუმატებლად ცდილობდნენ დროულად შეესრულებინათ მეანაბრეების წინაშე აღებული ვალდებულებები, მათ შორის სახელმწიფო ფულად ნიშნებისა და საკუთარ ფასიანი ქაღალდების მკვეთრი ემისიის ანგარიშზე. სახელმწიფო საკრედიტო სისტემის უმყარობა იმდენად ძლიერი იყო, რომ მთავრობა იძულებული გახდა ღაეხურა არსებული ბანკები და ჩაეტარებინა საკრედიტო სისტემის ძირეული რეორგანიზაცია. პრინციპულად ახალი საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების პირობებში, რომლის განმასხვავებელ ნიშნებს წარმოადგენდა მრავალრგოლიანობა, სხვადასხვა ტიპის საკრედიტო დაწესებულებების ფუნქციონირება (საკუთრების ფორმით, საქმიანობის სფეროთი და ხასიათით, საკუთარი სახსრების ფორმირებების წესით). აგრეთვე მხედველობაში მიიღეს 50-იანი წლების მიწურულს არსებული სანაკო კრიზისის გამოცდილება, სახელმწიფო საბჭომ და ფინანსთა სამინისტრომ გააძლიერეს ყურადღება ბანკების ლიკვიდობის პრობლემებზე.

სახელმწიფო საბჭომ 1872 წლის 31 მაისს საქციო კომერციული ბანკებისათვის მიიღო საგანგებო კანონი, რომელიც განსაზღვრავდა მათი მუშაობისა და ორგანიზაციის ზოგად წესებს, ბანკის ლიკვიდობის მოთხოვნების ჩათვლით. კანონი აგრეთვე ითვალისწინებდა იმეთ ზოგად ღებულებებს, როგორიცაა: ძირითადი, ბანკში ნამდვილად შეტანილი კაპიტალი არ უნდა ყოფილიყო 500 ათას მანეთზე ნაკლები, აქციები კი არანაკლებ 250 ათას მან-სა. ყველა ვალდებულებების ჯამის ერთი მეათედი განისაზღვრებოდა ანაზღაურებულ ძირითად კაპიტალზე. საბანკო კრედიტი (სესხების გაცემა, უზრუნველყოფის ღირებულების ან მიმდინარე ანგარიშის ნაშთის ზევით) არ უნდა ყოფილიყო ძირითადი და დამატებითი კაპიტალების 10%-ზე მეტი. საქციო კომერციულ ბანკებს ეკრძალებოდათ ერთი პირის ხელმოწერით თამასუქების აღრიცხვა უძრავი ქონების უზრუნველყოფით ან უზრუნველყოფის გარეშე.

სსრ კავშირის საკრედიტო სისტემის ისტორიაში კერძო ბანკებისათვის გამოცემული საგანგებო კანონი უმნიშვნელოვანეს პოზიტიურ ფაქტს წარმოადგენდა. ამ კანონის მიღებამ ბანკების ორგანიზაცია და ფუნქციონირება მოაწესრიგა, მათ შორის გააძლიერა მათი ყურადღება საკუთარი ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად. ამასთან შემდგომმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ახალმა კანონმა ვერ უზრუნველყო ბანკების გლობალური გაკოტრების შეჩერება, რომელსაც აღგილი ჰქონდა მისი მიღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. თანაც ამას ხელშეწყობა დაედო, არა მარტო საერთო ეკონომიკური მიზეზები, ეკონომიკური კრიზისი, უმრაობა, არამედ ბანკების მიერ საკრედიტო ოპერაციების არასწორი წარმოება, რამაც მათი რისკის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. თანამედროვეების შეფასებით გაკოტრების ყველაზე უფრო გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენდა ბანკების მიერ ერთ მსესხებელზე მსხვილი კრედიტების გაცემა.

აი რატომ იყო 1872 წლის კანონი შესწორებული და შევსებული 1883 წლის 5 აპრილის კანონით. ბანკების ლიკვიდობის ამაღლების მიზნით ის ითვალისწინებდა წესს, რომლის შესაბამისადაც ნაღდი ფულის თანხები ბანკის სალაროში სახელმწიფო ბანკის მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ სახსრებთან ერთად უნდა ყოფილიყო, ბანკის ვალდებულებების

არანაკლებ 10%-ისა. გარდა ამისა ბანკების ვალდებულებათა თანხა ძირითად და დამატებით კაპიტალზე 5-ჯერ მეტი უნდა იყოს.

ყოველი კლიენტისათვის გახსნილი კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაღდებული საწესდებო კაპიტალის 10% -ზე მეტს.

ბანკების ლიკვიდობაზე მოთხოვნა არსებითად ამცირებდა მათი ოპერაციების რისკის ღონეს. რადგან ეს საკრედიტო დაწესებულებათა საქმიანობის აღნიშნული შეზღუდვის გზით მიიღწეოდა, ამ უკანასკნელს ხშირად სურდა დაერღვია საბანკო კანონმდებლობათა ესა თუ ის დებულება.

მე-19 საუკუნის ბოლოს რუს ეკონომისტებს შორის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი იყო გავრცელებული საკრედიტო რესურსებისა და მათი დაბანდების ვადებისა და თანხების გაწონასწორების აუცილებლობის შესახებ. უმრავლესობა ასეთ გაწონასწორებას საბანკო ოპერაციების წარმოების აუცილებელ წესად თვლიდა. ცალკეული ოპონენტების აზრი ხატოვნად გამოთქვა წმ. ვლადიმირმა, უნივერსიტეტის პროფესორმა ა.ი.ანტონოვიჩმა, რომელიც 1890 წელს წერდა: "ეს მოსაზრება ბევრს საკრედიტო კეთილმოწყობის მეცნიერებაში აქსიომად მიაჩნია.სინდვილეში კი ის მნიშვნელოვანწილად მცდარია. უწინარეს ყოვლისა, ის სრულიად მიუღებელია სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებისავის, თუმცა 1859 წელს ჩვენი სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებების გაუქმება გამოწვეული იყო იმით, რომ ეს დაწესებულებები იღებდნენ ანაბრებს მოკლე ვადით, ხოლო გასცემდნენ მათ გრძელვადიან სესხებად. სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებს არ უნდა ეშინოდეთ სესხების მოულოდნელი მოთხოვნისა, რადგან ერთის მხრივ, ერთი ბანკის მოთხოვნები შეიძლება შეივსოს სხვა ადგილებიდან ანაბრების მეტობით, მეორეს მხრივ, კი შენატანების საერთო მოთხოვნების დროს სახელმწიფოს შეუძლია ფინანსური წყაროებიდან დააკმაყოფილოს მოთხოვნები. ამიტომ ეს მოსაზრება (ანუ აღნიშნული გაწონასწორების აუცილებლობა - ავტ.შენიშვნა) მიუღებელია კერძო ბანკებისათვის, როდესაც მათ სახიფათო მომენტში შეიძლება სახელმწიფო დაეხმაროს. შემდეგ პროფესორმა ა.ი.ანტონოვიჩმა გააკეთა ასეთი დასკვნა. "ბანკების აქტივების და პასივების სრული შესაბამისობის აუცილებლობის თეორია მხოლოდ იმ კერძო ბანკებისათვის არის საყვედრო მისაღები, რომლებიც დამოუკიდებლად, სხვა ბანკებთან კავშირის გარეშე მოქმედებენ. ცალკეულ კერძო ბანკებს არ შეუძლიათ რისკი გასწიონ მოკლევადიანი ანაბრების მიღებისა და გრძელვადიანი სესხების გაცემის შესახებ. ამიტომ შეიქმნა ეს თეორია კერძო ბანკების განვითარების თაობაზე".

საკრედიტო სისტემის საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირების დროს ამგვარი შეხედულება არ შეიძლება უღავო ყოფილიყო. პერიოდულად წარმოიქმნებოდა კრიზისები, უძრაობა, რომლებიც მკვეთრად ზრდიდნენ ფულად სახსრებზე, მოთხოვნილებებს და ღრმად აშიშვლებდნენ ბანკების ლიკვიდობის პრობლემებს. ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პირობებში ბანკების ლიკვიდობის მხარდაჭერა ბიუჯეტურ მეთოდებზე არ ითვალისწინებდა მოცემული ღონისძიების ინფლაციურ შედეგებს, რაც ფინანსური სისტემისათვის ახალ საშიშროებას შეიცავდა.

რუსეთის საკრედიტო სისტემის განვითარებამ მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გვიჩვენა, რომ ის პატარა და საშუალო ბანკები, რომლებმაც საკრედიტო რესურსების და დაბანდებების გაწონასწორების საკითხებში დიდუპკელი გაუფრთხილებლობა გამოიჩინეს, პირველ რიგში, იმ მსხვილი ბანკების ლუკმა ხდებოდნენ, რომლებსაც უფრო მყარი მდგომარეობა გააჩნდათ. კერძოდ, ბანკ- მონოპოლიებს, რომლებიც ფლობდნენ ძლიერ საკუთარ კაპიტალს, რომელიც მოზიდული იყო სამაშულო და უცხოური ფილიალების ფართო ქსელის საკრედიტო

რესურსებიდან, კანონიერად ექმნებოდათ შედარებით ხელსაყრელი პირობები ლიკვიდობის მოთხოვნის დასაცავად, შეეძლოთ გაეცათ უმსხვილესი სესხები ერთ მსხვილ მსესხებელზე, ანაზღაურებული კაპიტალის 10%-ის ფარგლებში, რაც პატარა და საშუალო ბანკების შესაძლებლობებს აღემატებოდა.

ბანკების ლიკვიდობა და სახჭოთა ბანკების გაღახდისუნარიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება 20-იან წლებში. ბანკების უნარი თავიანთი ვალდებულებების თანდროულობის უზრუნველყოფის შესახებ 20-იანი წლების პირველ ნახევარის საკრედიტო პოლიტიკის ცენტრში იყო. საბჭოთა ბანკების ლიკვიდობა მათი აქტივების და პასივების თანაბარებით მიიღწეოდა, ხოლო მათი გადახდისუნარიანობის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდებოდა ბანკის ვალდებულებების სიდიდესა და საკუთარ სახსრებს შორის პროპორციების დადგენის გზით, ერთი კლიენტისათვის კრედიტის ერთჯერადი გაცემის შეზღუდვით და სხვა საშუალებებით.

ბანკების ვალდებულებათა შეზღუდვა. საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობა 1921 წლიდან 1928 წლამდე როგორც წესი, შეზღუდული იყო მათი საკუთარი კაპიტალის ოდენობით. სახკომსაბჭოს 1923 წლის 18 იანვრის დეკრეტის შესაბამისად შეიქმნა კომუნალური ბანკი, რომელთა წესდებაში აღინიშნა,რომ: "ბანკის მიერ მიღებული საერთო თანხების ჯამი (ანაბრებზე და მიმდინარე ანგარიშებზე არსებული თანხები,ჩეკებზე აღრიცხული თამასუქები და ბანკის მიერ აღებული ყველა სხვა ფულადი ვალდებულებები) 10-ჯერ მეტად არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკუთარ კაპიტალს, როგორც ძირითადს ისე დამატებითს". ანალოგიურ მოთხოვნას შეიცავდა ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის, ელექტროფიკაციის საქციო ბანკის "ელექტრობანკის" წესდებებიც. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებების მიერ მიღებული ვალდებულებების ჯამი, თავდებების ჩათვლით, მათ საკუთარ კაპიტალზე 20-ჯერ მეტი არ უნდა ყოფილიყო. სტატისტიკური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველა დარგობრივი ბანკი 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის მათთვის დადგენილი ოპერაციებიდან შორს იყო. 20-იანი წლების ბოლოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტების საკრედიტო დაგეგმვაზე გადასვლამ,გეგმის და ბაზრის ურთიერთდაპირისპირებამ დარგობრივი ბანკების საქმიანობის რეგულირების სრული ცვლილება გამოიწვია.

ცალკეული მსესხებლების დავალიანებათა შეზღუდვა. 20-იან წლებში დაკრედიტების ორგანიზაციისას სერიოზული ყურადღება ეთმობოდა ცალკეული მსესხებლების კრედიტის საზღვრებს. საწარმოების და ორგანიზაციების კრედიტუნარიანობის გათვალისწინებით მათზე კრედიტის გახსნა განისაზღვრებოდა შემდეგი წესით: ერთ კლიენტზე სესხის გაცემის შაზღუდვით, კონტოკორენტულ ანგარიშზე კრედიტის მაქსიმალური ოდენობის დაწესებით; ვალუტის სესხის შეზღუდვით; კრედიტის უზრუნველყოფის გამოკლებული სადაზღვევო შეღავათ. სახელმწიფო ბანკის საქმიანობის დასაწყისში დებულება (1921 წლის 13 ოქტომბერი) ითვალისწინებდა მაზნობრივი საწარმოო კრედიტის მაქსიმალური სიდიდის განსაზღვრის მოთხოვნას, რომელიც შეიძლებოდა გახსნათ ცალკეული მსესხებელისათვის კონტოკორენტული ანგარიშის ფორმით, მოთხოვნამდე ვადით: ეს წესი, დავალიანების ლიმიტის სახით რეალიზებული, შემდგომში მარტივ და სპეციალურ სესხო ანგარიშებზე იყო გავრცელებული.

20-იან წლებში ბანკებისა და კლიენტების ლიკვიდობის ინტერესების დაცვის მიზნით საკრედიტო დაწესებულებების წესდებით და დებულებებით იზღუდებოდა ერთი კლიენტისათვის კრედიტის გაცემა. მაგალითად, კომუნალური ბანკის წესდებაში გათვალისწინებული იყო, რომ

კრედიტი, რომელიც თითოეულ კლიენტს ცალ-ცალკე ეხსნებოდა, არ შეიძლება ყოფილიყო მისი ძირითადი კაპიტალის ერთ მეათედზე მეტი. საქციო "ელექტრობანკის" წესდებაში ეს მოთხოვნა რამდენადმე განსხვავებული სახით იყო წარმოდგენილი: ერთი კლიენტისათვის გახსნილი კრედიტის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ ძირითადი კაპიტალის ერთი მეათედ ნაწილს, რომელიც გამოყოფილია შესაბამისად გრძელვადიანი ან მოკლევადიანი დაკრედიტებისათვის.

სასესხო კრედიტის საზოგადოების წესდებით თავისებურად განისაზღვრებოდა საკრედიტო რისკი ცალკეული მსესხებლის მიმართ. ყველაზე დიდი ზღვარი, რომლის ზევითაც საზოგადოების არც ერთი წევრისათვის არ უნდა გაეხსნათ კრედიტი, ქმნდა ზღვარზე 25- ჯერ მეტი არ უნდა ყოფილიყო. დარგობრივი ბანკების მიერ სახალხო მეურნეობების დაკრედიტების დროს კრედიტის ოდენობა განისაზღვრებოდა მისი უზრუნველყოფის სიდიდით, სადაზღვევო შეღავათის გემოკლნებით. ეს წესი გავრცელებული იყო ყველა ბანკებზე და კრედიტის თითქმის ყველა სახეობაზე. სესხი საქონლის გირაოს ქვეშ გაიცემოდა მათი ღირებულების თანხის არანაკლებ 75%-სა, ფასიან ქაღალდებზე 60-75 %-მდე, უცხოურ ვალუტაზე და ძვირფას ლითონებზე კი მათი ფიქსირებული ღირებულების 90 %-მდე.

ბანკის ბალანსის აქტივებისა და პასივების გაწონასწორება. საკრედიტო ურთიერთობებათა ორგანიზაციისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რესურსებისა და დაბანდებების ვადების მიხედვით შესაბამისობას. მაგალითად, 1925 წლის 17 იანვარს მიღებული კომუნალური მეურნეობების და საბინაო მშენებლობის ცენტრალური ბანკის წესდებაში გათვალისწინებული იყო გრძელვადიანი სესხების გაცემა სპეციალურად ამ მიზნებისათვის განკუთვნილი სახსრებიდან, რომლებიც იქმნებოდა ბანკის საკუთარი კაპიტალის არანაკლებ ნახევრის გამოყოფით: განსაკუთრებული პირობის გრძელვადიანი ანაბრებით, სახელმწიფო ხაზინის სახსრებიდან ასიგნებებით, ბანკებისათვის სპეციალურად გამოყოფილი სახსრებით, რომელიც მიმართულია მუშებისათვის კოოპერატიული ბინების მშენებლობისათვის ხელშესაწყობად, ობლიგაციური სესხების გამოშვებით, სპეციალური კაპიტალის შექმნით.

1924 წლის 15 თებერვალს მიღებული სსრკ-ის ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის წესდებაშიც მითითებული იყო, რომ გრძელვადიანი სესხები გამოიყოფა: მხოლოდ სპეციალურ კაპიტალების ხარჯზე, რომლებიც იქმნება ბანკის მოგების ანარიცხებიდან, სესხის ობლიგაციების გამოშვებით, სახელშეკრულებო სპეციალური დანიშნულებით ანაბრების მიღებით, ბიუჯეტის ასიგნებებით, ძირითადი კაპიტალის არანაკლებ ნახევრის ანგარიშიდან გრძელვადიან სესხებზე დიდი მოთხოვნებისა და რესურსების მოკლევადიანი ხასიათის გამო, რომლებიც იმ პერიოდისათვის ქვეყნის ფულად ბაზარზე წარმოდგენილი, დარგობრივი ბანკების ძირითადი კაპიტალების გრძელვადიან დაბანდებებში მინიმალური მონაწილეობის რეგლამენტირების აუცილებლობა წარმოიშვა. კომუნალური ბანკების გრძელვადიანი ოპერაციებისათვის განკუთვნილი ძირითადი კაპიტალის წილი, გათვალისწინებული იყო არა ნაკლებ ერთი მეოთხედისა (1923 წელს) ცენტრალური კომუნალური ბანკისათვის - არა ნაკლები 50 %-სა (1925 წელს), "ელექტრობანკისათვის"- არანაკლები 30 %-სა (1924 წელს), ცენტრალური სასოფლო- სამეურნეო ბანკისათვის თავდაპირველად ეს წილი განსაზღვრული იყო არანაკლებ 50 %-სა, ხოლო 1929 წელს 100 %-მდე გაიზარდა.

20-იანი წლების ეკონომიკურ ლიტერატურაში ხაზგასმული იყო, რომ ლიკვიდობის პრობლემა დგას საბჭოთა ბანკების წინაშე, მაგრამ ის საერთო სამეურნეო კონიუნქტურაზე იყო დაფუძნებული.

აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ საბჭოთა ბანკების ლიკვიდობა მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებაზე და არა ბალანსის ცალკეული სტატიების ლიკვიდობაზეა აგებული, ანუ ეს პრინციპი მთელი საკრედიტო სისტემისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო. ასეთი დასკვნა მართებული იქნებოდა იმ კონკრეტულ ისტორიული პირობებისათვის, როდესაც ფინანსური და საკრედიტო რესურსების ცენტრალიზაციამ ბანკების სამაზრო მეთოდებით მართვაზე უარის თქმა გამოიწვია.

ღარგობრივი ბანკების ჩარჩოებში, გრძელვადიანი და მოკლევადიანი წყაროების მკაცრმა კავშირმა მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმების ცალ-ცალკე შედგენა გამოიწვია.

კომერციული ბანკების საგადასახადო სიძნელეებისა და ბალანსის ლიკვიდობის დარღვევის მიზეზები. რუსეთის იმპერიისა და ნეპის პერიოდის ბანკების მასალების ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა საკრედიტო დაწესებულებების საგადასახადო სიძნელეების ყველაზე უფრო ტიპიური მიზეზები და მათი ბალანსების ლიკვიდობის დარღვევები, რასაც ბანკი გალატაკებამდე მიჰყავდა. უწინარეს ყოვლისა მათ რიცხვში უნდა აღინიშნოს ბანკის სარეზერვო კაპიტალისა და სპეციალური დანიშნულების კაპიტალების (სადაზღვევო ფონდის) არასწორი განთავსება. ეს კი ითხოვდა დიდ საშიშროებას, თუ კაპიტალი გამოყენებული იქნებოდა დაკრედიტების მიზნებისათვის, მაშინ გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოშობისას ამ კაპიტალის ხარჯზე ბანკი ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას ვერ შეძლებდა. 1902 წელს რუსეთის იმპერიის საბანკო კანონმდებლობა კომერციულ ბანკებს უკრძალავდა სარეზერვო კაპიტალის ბრუნვაში გაშვებას უკრძალავდა. დაწესდა განსაკუთრებული წესი სპეციალური დანიშნულების კაპიტალის გამოყენებისაზე: მათი განთავსება შეიძლებოდა მხოლოდ პირველი კლასის ლიკვიდურ აქტივებში. ბანკების საგადასახდელო სიძნელეების შემდეგი მიზეზი გირაოს შეფასება და გირაოს ღირებულების გაღიდებაში მდგომარეობდა. ამას ძირითადად იპოთეკური ბანკები ახორციელებდნენ იმიტომ, რომ ისინი გირაოს ღირებულებიდან გამომდინარე ობლიგაციების სახით იძლეოდნენ კრედიტს. ამასთან რაც უფრო დიდი ღირებულების იყო გირაო, მით უფრო ძვირი ობლიგაციების გამოშვებას შეძლებდა. იპოთეკური ბანკების შემოსავლებისაკენ სწრაფვა იწვევდა ზედმეტი რაოდენობის ობლიგაციების ემისიას, რაც თავის მხრივ იწვევდა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მათი კურსის დაცემას. შეცდომები გირაოს შეფასებისას საგადასახადო სიძნელეებს იწვევდა, რადგანაც ბანკებს დაგირავებული ფასეულობის კრედიტის ფასად გაყიდვა არ შეეძლოთ. ბანკის ბალანსის ლიკვიდობის დარღვევა და საგადასახდელო სიძნელეები კლიენტურის დასუსტებას იწვევდნენ. მსესხებლის კრედიტოუნარიანობის არასწორი შეფასება ან კლიენტის მიმართ დაბალი მოთხოვნები იმის საშუალებას არ აძლევდა ბანკს, რომ დროულად ამოეცნოთ საკრედიტო რისკი და გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად დროულად მიეღო შესაბამისი ზომები.

საგადასახდელო სიძნელეებს ისიც ქმნიდა, რომ ბანკები მოუმზადებელი კაღრებით იწყებდნენ ახალ ოპერაციებს. გარდა ამისა, რუსეთის იმპერიის ბანკებში არსებული ფიქტიური, ძირითადი კაპიტალის ფორმირების პრაქტიკა, მათი გაკოტრების ერთ-ერთი მიზეზი იყო.

კომერციულ ბანკებს საგადასახდელო სიძნელეებს ერთი პირისგან მიღებული მსხვილი დეპოზიტებიც უქმნიდა, იმ შემთხვევაში თუ ამ პიროვნების ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდებოდა. ეს ბანკების გაკოტრების მიზეზი გახლდათ. 1902 წელს მსხვილ დეპოზიტების მიღებასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში შეტანილი იქნა შეზღუდვები: აკრძალული იქნა ერთი პირისაგან იმ რაოდენობის დეპოზიტის მიღება, რომელიც ერთი მეათედით აღემატებოდა ბანკის საკუთარ კაპიტალს.

- აღნიშნული მიზეზის გარდა საგადასახდელო სიძნელეებს იწვევდა აღრიცხვის უზუსტობა, სბანკო ბოროტმოქმედება, შეცდომები მართვაში, სუსტი კადრები, გამგეობის ხშირი ცვლა და ბანკის საბჭოს წევრებს შორის მოვალეობათა განაწილების არარსებობა. აღნიშნულ მიზეზებს ადგილი ჰქონდა მთელი ქვეყნის სბანკო პრაქტიკაშიც. ეს საშუალებას იძლევა საკრედიტო დაწესებულებების არგადახდების "ბუმი" ვივარაუდოთ, თუ ცენტრალური. ბანკები კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებით დაკრედიტებიდან, მათი რეფინანსირების სისტემაზე გადავლენ.

3. ბანკების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები.

თანამედროვე პირობებში ბანკების კომერციული საქმიანობა გართულებულია ფულადი ბაზრის არ არსებობით, საკრედიტო დაწესებულებების მუშაობის ახალი მეთოდებისათვის კლიენტისა და სპეციალისტების მოუმზადებლობით, ცენტრალური ბანკის საპროცენტო პოლიტიკის არ არსებობით, არასრულყოფილი სადაზღვევო სისტემით და გირავნობის უფლებების უქონლობით. ამ პირობებში ბანკების მყარი მუშაობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბალანსის ლიკვიდობის მოთხოვნების დაცვას და მიის შენარჩუნების მეთოდებს. მეორეს მხრივ, მაკროეკონომიკური ინტერესების მოთხოვნიდან ბანკის საქმიანობა და გადახდისუნარიანობა სახელმწიფო რეგულირებით ივსება. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და რესპუბლიკების ცენტრალური ბანკები ადგენდნენ ლიკვიდობის მაჩვენებლებსა და ნორმებს ახორციელებენ, ამ მოთხოვნების დაცვაზე და კაპიტალის საკმარისობაზე კონტროლს, ბანკების მოვალეობების და ერთი პირის დავალიანების შეზღუდვით, მართავდნენ სახელმწიფო ბანკების საკრედიტო და სხვა ოპერაციებს იმიტომ, რომ მათ საქმიანობამ საწარმოები, ორგანიზაციები და მოსახლეობა მატერიალურად არ დაზარალოს, სანდო მეურნეობის უზრუნველყოფა და კრედიტება დაწესებულებაში ინფლაციური პროცესების განვითარება არ გამოიწვიოს.

ბანკების ლიკვიდობის მაჩვენებლები და კრიტერიუმები. კომერციული და კოოპერატიული ბანკების ბალანსების ლიკვიდობის შესანარჩუნებლად სახელმწიფო ბანკმა 1989 წელს შემდეგი მაჩვენებლები დაადგინა: ბანკების მოვალეობების შეზღუდვის კოეფიციენტი (K1) მოსახლეობის შენატანების შეზღუდვის კოეფიციენტი (K2), ბანკის ბალანსის მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (K4), ბანკის ბალანსის საშუალოვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი (K5) განვიხილოთ თითოეული ეს მაჩვენებელი და მათი კრიტერიალური დონე დაწვრილებით.

ბანკის ვალდებულებების შეზღუდვა. თავისი ეკონომიკური შინაარსით ბანკის საკუთარი კაპიტალის და მისი ვალდებულებების შეფარდება (K1), ნიშნავს ბანკის მიერ აღებული ვალდებულებების სიდიდესა და მის საკუთარ კაპიტალს შორის დამოკიდებულებათა დადგენას, რაც უფრო მეტია საკუთარი კაპიტალის სიდიდე, მით უფრო დიდია ვალდებულებები. ცენტრალურ ბანკს ყოველ კონკრეტულ პერიოდში, მის წინაშე მდგარი ამოცანებიდან და ბაზრის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლია შეცვალოს მათი თანაფარდობა და ამით გააფართოვოს ან შეზღუდოს ბანკის საკრედიტო, სხვა აქტიური და საკასო ოპერაციები.

მაჩვენებელი (K1) განისაზღვრება, როგორც ბანკის საკუთარი სახსრების ვალდებულებების თანხებთან დამოკიდებულება. ამასთან საკუთარ სახსრებს მიეკუთვნება: საწესდებო ფონდს, სარეზერვო ფონდს, ამორტიზაციის ფონდს, განაწილებული მოგების სახსრებს მინუს მოგებისა და ზარალის ხარჯზე განაღურებული სახსრები, შენობა- ნაგებობების ღირებულება, დებიტორული

ვალიანების (სადებეტო სალდო), ბანკის სხვა საწარმოებში მონაწილეობა, ბანკის ანგარიშსწორება ბანკის კაპიტალური დაბანდებების ხაზით.

ბანკის ვალდებულებები ძირითადად შედგება სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ანგარიშსწორების ანგარიშზე, ასევე საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთების თანხებისგან; კაპიტალური დაბანდებების დასაფინანსებლად საწარმოების და ორგანიზაციების საკუთარი სახსრებს მინუს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებელი თანხები; ორგანიზაციებისა და კოოპერატივების ანაბრებისა და დეპოზიტებისაგან; მოსახლეობის ანაბრებისაგან, ანგარიშსწორების სახსრებისაგან; სხვა ბანკების სესხებისაგან (ბანკის მიერ 50 %-ზე გაცემული ვალდებობის გარანტიები).

კომერციული და კოოპერატიული ბანკებისათვის სსრკ სახელმწიფო ბანკის მიერ 1989 წელს დადგენილ იქნა სხვადასხვა კრიტერიალური დონის K1. კომერციული ბანკებისათვის ის არ უნდა აღემატებოდეს 1/20-ზე ნაკლები, ხოლო კოოპერატიული ბანკებისათვის 1/12-ზე ნაკლები. შესაბამისად, კომერციული ბანკების ვალდებულებებმა 20-ჯერ მეტად არ უნდა გადააჭარბოს მათ საკუთარ სახსრებს, ხოლო კოოპერატიულ ბანკებში არ უნდა იყოს 12-ჯერ მეტი. თუ პირველი მაჩვენებელი (K1) ბანკის ვალდებულებების საერთო სიდიდეს აწესებს სუბიექტებთან შედარების პირველ, მაშინ მეორე მაჩვენებელი (K2) მოწოდებული იყო შეეზღუდა მოსახლეობის შეტანები. ამ მიზნით სახელმწიფო ბანკმა შემოიღო K2 მაჩვენებელი, რომელიც გამოიანგარიშება მოსახლეობის ანაბრების ნაშთის ბანკის საკუთარ სახსრებთან შეფარდებით. K2 მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 1-ზე მეტი, ანუ კომერციული და კოოპერატიულ ბანკებს შეეძლოთ მიეღოთ მოსახლეობისაგან ანაბრები საკუთარი რესურსების ფარგლებში და არა განუსაზღვრელად.

ლიკვიდობის კოეფიციენტები. ბანკის ბალანსის ყველა ლიკვიდური აქტივების მოთხოვნამდე ვალდებულებებიან პერიოდული შედარება ანუ ბალანსის მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელი (K4) განსაზღვრავს, თუ მოთხოვნამდე ვალდებულების რა ნაწილი უნდა იქნეს ბანკის მიერ დროდროულად დაფარული. ბანკის ბალანსის ლიკვიდური აქტივები შემდეგ ძირითად მუხლებს შეიცავს: ფულადი სახსრები ბანკის სალაროში და ფულადი სახსრები გზაში, სახსრების ნაშთი ანგარიშებზე ქვეყნის საკრედიტო დაწესებულებებთან ანგარიშსწორებისათვის, ბანკის საკუთრებაში არსებული სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, კრედიტი და სხვა სახის გადასახადებლები, რომელთა დაფარვამდე 1 თვე დარჩა. ბანკის ვალდებულებები მოთხოვნამდე ანგარიშებზე შედგება: სახელმწიფო, კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშსწორების ანგარიშებზე სახსრების ნაშთისაგან, საბიუჯეტო, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშებზე არსებული სახსრების ნაშთისაგან, მოსახლეობის ანაბრების, დეპოზიტების ნაშთისაგან ერთ თვემდე დაფარვის ვადით, გარანტიებისა და ვალდებობისაგან, რომლებიც გაცემულია ბანკის მიერ ერთ თვემდე შესრულების ვადით და სხვა.

სახელმწიფო ბანკის მიერ დაწესებული იქნა, რომ K4 მაჩვენებლის მნიშვნელობა 0,3 დაბალი არ უნდა იყოს. ამრიგად, ცენტრალური ბანკი კომერციული და კოოპერატიული ბანკებისაგან მოითხოვს აქტივების და პასივების ისეთ დაბანდებას, რომ ბანკის მოთხოვნამდე ვალდებულებების არანაკლებ 30 %, მისი ლიკვიდური აქტივებით დაიფაროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მოთხოვნის შესრულება ბანკის კლიენტებისათვის ნაღდი ფულის დაუბრკოლებლად გაცემისათვის, თუ მათ ამ თანხის მიღების უფლება აქვთ. იმ კომერციული და კოოპერატიული ბანკებისათვის,

რომლებიც თავისი კლიენტების საანგარიშსწორებო-საკასო ოპერაციებს არაწარმოებენ,
კრიტერიალური დონე 0,15 დაბალი არ უნდა იყოს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ასე
ბანკების ლიკვიდური აქტივების აბსოლუტური თანხა სხვა თანაბარ პირობებში მცირეა. K4-
მაჩვენებლის დაცვა ნიშნავს, რომ ბანკს შეუძლია მიმდინარე ოპერაციებზე დროულად მოახდინ
გადახდები (უახლოეს თვეებში).

ამასთან, რესურსების განთავსებისას აუცილებელია დაცული იქნეს სახსრების მოზიდვასა
მათი განთავსების ვადებს შორის შესაბამისობა, ბანკმა მთელი სახალხო მეურნეობის, ცალკეულ
საწარმოების, ორგანიზაციების, მოსახლეობის ინტერესების დასაცავად თავისი პოლიტიკა ი
უნდა აწყოს, რომ არა მარტო უახლოეს დროში არამედ პერსპექტივაშიც შეუფერხებლ
შეასრულოს თავისი ვალდებულებები. ბანკის ლიკვიდობის დარღვევის ნათელი მაგალითია ის, რ
თუ საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოკლევადიანი რესურსები გრძელვადიანი დაკრედიტებ
მიზნით გამოიყენება, ბანკის მიერ თავისი ვალდებულებების გადახდის დროს, მაშინ კრედიტებ
არ იქნება უკან დაბრუნებული. ამის გამო, ბანკი გაკოცდის საგადასახადო სიძნელეებს. ასეთ
სიტუაციების თავიდან ასაცილებლად საბანკო პრაქტიკაში დამკვიდრდა აქტივების და პასივებ
ვადების მიხედვით შესაბამისობის და დაბალანსების მკაცრი მოთხოვნა. ამ მიზანს ისახავ
ლიკვიდობის საშუალო ვადიანი მაჩვენებელი (K5),, რომელიც იძლევა ერთ წელზე მეტი ვადი
ბანკის აქტივების თანაფარდობას ბანკის საკუთარი სახსრების დეპოზიტურ არგარიშებსა და ერ
წელზე მეტი ვადის კრედიტებზე გაცემულ ვალდებულებათა თანხების ჯამთან. K5 მაჩვენებელი ა
შეიძლება ყოფილიყო 1,0-ზე მეტი, ე.ი. გრძელვადიანი კრედიტების თანხა არ უნდა აღემატებოდე
საკუთარი სახსრების თანხებს და ბანკის მიერ მოზიდულ სხვა გრძელვადიან სახსრებს.

სსრკ სახელმწიფო ბანკის მმართველობა კომერციულ-კოოპერატიული ბანკების
ადგილმდებარეობის მიხედვით აკონტროლებდა მათ მიერ ლიკვიდობის მაჩვენებლების დაცვას
ასეთი კონტროლის საფუძველს წარმოადგენდა ბანკების ბალანსები და K4, K5 ფაქტიური
მაჩვენებლების გაანგარიშებები. სახელმწიფო ბანკის მაკონტროლებელი დაწესებულება
წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, 10 დღის განმავლობაში აღგენდა მოკლე დასკვნას ბანკ
საქმიანობაზე, შესრულებული გაანგარიშების სისწორეზე.

ცენტრალური ბანკის დაწესებულება ბალანსის ლიკვიდობის მაჩვენებლების (ეკონომიკური
ნორმატივების) დარღვევის შემთხვევაში, კომერციული და კოოპერატიული ბანკებისაგან
წერილობით ითხოვს, ერთი თვის განმავლობაში გაატარონ ფინანსური გაჯანსაღების
ღონისძიებანი, ლიკვიდობის მაჩვენებლები ნორმატივთან შესაბამისობაში მოიყვანონ. ამ
კომერციული, კოოპერატიული ბანკების მიმართ, რომლებიც ხისტემატურად არღვევენ
ლიკვიდობის დადგენილ ნორმებს, ცენტრალური ბანკის დაწესებულებამ შეიძლება ეკონომიკურ
სანქციები გამოიყენოს, ქვეყნის საბანკო სისტემის საკრედიტო რესურსების რეგულირების
ფონდში სახსრების დეპონირების ნორმატივები გაზარდოს, გაუდიდოს რეფინანსირების
განაკვეთი არა უმეტეს 20 %-სა. ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირებიდან და სსრკ
ცენტრალური ბანკის შესახებ კანონიდან გამომდინარე რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაწესა
კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების გარკვეულწილად განსხვავებული წესი,
რომელიც 1991 წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდა. ლიკვიდობის აუცილებელი დონის
უზრუნველყოფისათვის შემოიღეს შემდეგი მაჩვენებლები და კომერციული ბანკების ბალანსის
ლიკვიდობის ნორმები.

ბანკის კაპიტალებულებების შეზღუდვა – H3; გამოიანგარიშება ბანკის კაპიტალის შეფარდებით
ბანკის ვალდებულებებთან.

$$H3 = K : O,$$

სადაც O – ბანკის ვალდებულებები;

K – ბანკის კაპიტალი.

H1 და K1 მაჩვენებლების განსხვავება მდგომარეობს ბანკების ტიპების კრიტერიალური
მნიშვნელობის მიხედვით დიფერენციაში. 1991 წელს H3 მინიმალური მნიშვნელობა, რომელიც
სავალდებულო იყო სპეციალიზებული ბანკების ბაზაზე შექმნილ კომერციული ბანკებისათვის, იყო
0,15, ხოლო კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც დაბურული ტიპის
საქციო საზოგადოებები ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები – 1:20; სხვა
კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც მოქმედებდნენ ღია ტიპის საქციო საზოგადოების სახით,
იყო 1:10. რსფსრ ცენტრალურმა ბანკმა დაადგინა მთელი რიგი შემფასებელი მაჩვენებლები,
რომლის გამოთვლა ბალანსის ლიკვიდობის აუცილებელი დონის შესანარჩუნებლად, ბანკების
აქტიური და პასიური ოპერაციების, რეგულირების საშუალებას იძლევა.

ესენი შორის:

კრედიტების ანაბრებით უზრუნველყოფა (H4). ეს მაჩვენებელი H4 გამოიანგარიშება,
კრედიტების ჯამის (Kp) შეფარდებით საანგარიშსწორებო, მიმდინარე ანგარიშების, ანაბრების,
ანაბრების ჯამთან (C): $H4 = Kp : C$, სპეციბანკების ბაზაზე შექმნილ კომერციულ ბანკებს,
რომელთა შესრულება მიეცათ მაჩვენებლის H4 მნიშვნელობა 1,5-ის ტოლად, ხოლო სხვა კომერციულმა
ბანკებმა – 0,7 ტოლად შეინარჩუნონ კრედიტების ანაბრებთან თანაფარდობა გვიჩვენებს, თუ
რამდენად შემოსავლიანია და ამავე დროს ყველაზე უფრო რისკიანი აქტივები იფარება ანაბრებით.
ამერიკულ საბანკო პრაქტიკაში სახსნო პოლიტიკის აქტივობას ანაბრების ლიკვიდური
უზრუნველყოფა (H5) განსაზღვრავს. ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება ლიკვიდური
აქტივების თანხებს (LA) შეფარდებით საანგარიშსწორებო, მიმდინარე ანგარიშების, ანაბრების და
ანაბრების თანხებთან (C): $H5 = LA : C$. საბელმწიფო ბანკის მეთოდიკით ანალოგიურად
ამ მაჩვენებლით ლიკვიდური აქტივები სპეციალიზებულ ბანკების ბაზაზე შექმნილი კომერციული
ბანკებისათვის მაჩვენებლის მნიშვნელობა რეკომენდირებულია შეირჩეს 0,2 ტოლად
კომერციული ბანკებისათვის 0,5 ტოლად;

ლიკვიდური აქტივების წილი აქტივებში (H6) საერთო თანხაში. ეს წილი განისაზღვრება
ლიკვიდური (LA) შეფარდებით, აქტივების (A) საერთო თანხასთან მიწის კრედიტები და სხვა
განსახლებები შესრულების 30 დღემდე ვადით: $H6 = LA : A$. H6 მაჩვენებლის მნიშვნელობა,
სპეციალიზირებული ბანკების ბაზაზე შექმნილმა კომერციულმა ბანკებმა რეკომენდირებულია 0,5
ტოლად, დანარჩენმა კომერციულმა ბანკებმა კი 0,5 ტოლად შეინარჩუნონ.

რსფსრ-ს ცენტრალურმა ბანკმა დაწესა ასევე მოკლევადიანი (H7) და საშუალო ვადიანი (H8)
ლიკვიდობის კოეფიციენტები. H7 კოეფიციენტის გაანგარიშება სახელმწიფო ბანკის
მეთოდიკისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მოქალაქეების ანგარიშებზე არსებული
სახსრების ნაშთი, მოთხოვნამდე ვალდებულებებში არ შეიტანება. რსფსრ-ში ლიკვიდობის

ნორმები ბანკების ტიპების მიხედვითაა დიფერენცირებული. 1991 წელს H7 კოეფიციენტის მინიმალური მნიშვნელობა სპეციალიზებული ბანკების ბაზაზე შექმნილი ბანკებისათვის 0,2 ოდენობით, ხოლო დანარჩენი ბანკებისათვის - 0,3 ოდენობით იყო დადგენილი. ამასთან, განსაზღვრული იყო, რომ გარანტიები და თავდებები, რომლებიც ვალდებულებების ფულად ფორმაში შესრულებას ითვალისწინებენ, ბანკების მიერ შესაძლებელია გაიცეს იმ ოდენობით, რაც მის კაპიტალს არ აღემატება.

რსფსრ-ს ცენტრალური ბანკისათვის H8 გამოანგარიშების მეთოდიკა, ყოფილი სსრკ-ს ბანკების მეთოდიკისაგან განსხვავდება იმით, რომ გრძელვადიან პასივების თანხას მიეკუთვნება ბაზარზე მოძრავი სასესხო ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა 1 წლამდეა. საშუალოვადიანი ლიკვიდობის ნორმაც ბანკების ტიპების მიხედვითაა დიფერენცირებული: სპეციალიზებული ბანკების ბაზაზე შექმნილი კომერციული ბანკებისათვის - მხოლოდ იმ კრედიტების მიმართ, რომლებიც დამოუკიდებელი ბანკის სახით რეგისტრაციის შემდეგ არის გაცემული 1,5 დონეზე, ხოლო დანარჩენი კომერციული ბანკებისათვის 1,0 დონეზე უნდა იქნეს შენარჩუნებული.

კომერციული ბანკების ბალანსის ლიკვიდობის სათანადო დონეზე შენარჩუნებისათვის და მათი მუშაობის ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის რსფსრ-ს ცენტრალურმა ბანკმა შემოიღო კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლები. კაპიტალის საკმარისობა განისაზღვრება ბანკების საწესდებო კაპიტალის მინიმალურად დასაშვები ოდენობის დაღგენის გზით და მისი მთელი კაპიტალის (აქტივების თანხებთან ერთად) შეფარდებით.

საწესდებო კაპიტალის მინიმალური სიდიდე ასეთია:

- კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ან დახურული ტიპის სააქციო საზოგადოების სახით მოქმედებენ - 5, 0 მლნ. მანეთი;

-კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც ღია ტიპის სააქციო საზოგადოების სახით მოქმედებენ - 25,0 მლნ.მანეთი;

-მცირე საწარმოების, კოოპერატივების და სხვა ასეთი დაწესებულებების ან მოსახლეობის მიერ ბანკების დაფუძნების ცალკეულ შემთხვევაში - 0,5 მლნ.მანეთი.

კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობის შეფასებისას, აქტივების ნაწილის დაკარგვის რისკის თვალსაზრისით, ისინი რსფსრ-ს ცენტრალური ბანკების მიერ 6 ჯგუფად არის დაყოფილი. ამასთან, აქტივების ცალკეულ კატეგორიებს და ჯგუფებს ენიჭებათ შესაბამისი გამაწონასწორებელი კოეფიციენტები, რომლებიც მათი დანაკარგის რისკის ხარისხს ასახავენ. აქტივების თანხის ასეთი დაჯგუფების და კორექტირების საფუძველზე გაიანგარიშება ბანკის კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელი. მათ შორის ძირითადი ადგილი უჭირავს მაღალი რისკის (H1) კაპიტალდაბანდების უზრუნველყოფის მაჩვენებელს, რომელიც გამოიანგარიშება, როგორც ბანკის კაპიტალის (K) შეფარდება აქტივების თანხების ჯამთან, საშუალო რისკის (Ap) გათვალისწინებით.

$$H1 = K : Ap ,$$

1991 წელს დაწესდა H1 მინიმალური დასაშვები მნიშვნელობა 0,04 ოდენობით.

გარდა მოცემული დირექტიული მაჩვენებლისა კომერციული ბანკის კაპიტალის საკმარისობის შესაფასებლად, რსფსრ-ს ცენტრალური ბანკის მეთოდიკით ორი შეფასებითი მაჩვენებლის გამოყენებაა გათვალისწინებული, რომლებიც კაპიტალის მაღალრისკიან აქტივებთან შეფარდებას ასახავენ. მათი საბალანსო თანხის ჯამი კორექტირებულია რისკის პროცენტით. მათ შორის

$$H2 = K : Anp ,$$

სადაც K - ბანკის კაპიტალია;

Anp - 3-6 ჯგუფების აქტივებია.

ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა რეკომენდირებულია დაცული იქნეს 0,-ის ფარგლებში. კომერციული ბანკების კაპიტალის საკმარისობის თვალსაზრისით, აქტიური ოპერაციების რეგულირებისათვის გვთავაზობენ ანალოგიური მაჩვენებლის გამოანგარიშების 4 და 5 ჯგუფის ..... აქტივებთან H^x2:

$$H^x2 = K : Anp ,$$

რომლის კრიტერიალური მნიშვნელობა უნდა იყოს 0,15 ფარგლებში.

ბანკების გაღახდისუნარიანობის სახელმწიფო რეგულირების მეთოდები. ბანკის ლიკვიდობის მაჩვენებლების განხილული მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა სხვა მეთოდებით და საშუალებებითაც შეიძლება, რომლებსაც ქვეყნის ცენტრალური და დამოუკიდებელი კომერციული, კოოპერატიული ბანკები იყენებენ. ნაბეჭდსაუკუნოვანმა საბანკო გამოცდილებამ საშუალება მოგვცა დავასკვნა ცენტრალური ბანკის მიერ, სხვა საკრედიტო დაწესებულებებზე კლასიკური ზემოქმედების ბერკეტები, მათი გაღახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად და ფულად-საკრედიტო ოპერაციების რეგულირებისათვის. ეს უწინარეს ყოვლისა, ერთი მსესხებლის დავალიანების რისკის სახსრების სარეზერვო სისტემაა, რომელიც კომერციულ და სხვა ბანკებს ავალდებულებს ... ანარიცხების საერთო თანხის განსაზღვრული წილი ცენტრალურ ბანკში შეინახონ.

ეს არის აგრეთვე რეფინანსირებისა და საპროცენტო განაკვეთების ან ცენტრალურ ბანკში სავალდებულო თამასუქების განაღდების სისტემა, ცენტრალური ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ბანკის კაპიტალის უტყუარობაზე კონტროლი.

როგორც უნგრეთის ცენტრალური ბანკების გამოცდილებამ გვიჩვენა, ბანკების საქმიანობის რენტაბელობისა და ლიკვიდობის შენარჩუნების ყველაზე ძლიერი მეთოდი არის რეფინანსირების სისტემა ან კომერციული ბანკების რესურსების განმტკიცება ცენტრალური (საემისიო) ბანკის ხარჯებით. კრედიტების უმეტესი ნაწილი, რომლებიც კომერციული ბანკების მიერ გაიცემა, რეფინანსირების ხარჯზე იფარება. ეს ნორმატივების მეშვეობით ხორციელდება. რეფინირების ზომა ზღვარი განისაზღვრება, როგორც მაქსიმალურად დასაშვები თანაფარდობა რეფინანსირების ოდენობის ჯამსა და ბანკის კაპიტალს შორის.

დაწვრილებით განვიხილოთ სახელმწიფო ბანკის მიერ ბანკების გაღახდისუნარიანობის რეგულირების ცალკეული მეთოდები.

ერთ მსესხებელზე რისკის მაქსიმალური სიდიდე. ბანკის უნარი, შესაძლებლობა დროულად და სრულად მოახდინოს მისი ვალდებულებების ანაზღაურება, დამოკიდებულია არა მარტო საკრედიტო დაწესებულებების მუშაობაზე, არამედ მათი მსესხებლების ფინანსურ მდგომარეობაზე. კრედიტების განთავსებისას ბანკები უნდა გამოდიოდნენ საწარმოების და ორგანიზაციების გაღახდისუნარიანობისაგან, მაგრამ ამასთან, მათ არ უნდა გამორიცხონ ერთი ან რამდენიმე მსესხებლის მხრიდან გადაუხდელობის შემთხვევათა შესაძლებლობაც. იმეთ სიტუაციაში, რომელსაც ერთ მსესხებელს ბანკის სესხით დავალიანების დაფარვა დროულად არ შეუძლია დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ გადაუხდელობამ ბანკის საკუთარი ვალდებულებების რეალიზებისას გართულებები არ გამოიწვიოს. როგორც ბანკების გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთი რისკების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა, ერთ მსესხებელზე კრედიტის შეზღუდული

გაცემა. მხოლოდ ერთი კლიენტის დიდი კრედიტის ვადაგადაცილებამ, შეიძლება ბანკის ლიკვიდობა სწრაფად მოშალოს.

კრედიტის მაქსიმალური სიდიდე (K3) ცენტრალური ბანკის მიერ არის დადგენილი , როგორც ერთ მსესხებელზე ერთობლივი სასესხო დავალიანების (სალდიტო სალდო სესხის ანგარიშის მიხედვით პლუს 50 % ბალანსგარეშე ვალდებულებებისა, რომლებიც ამ მსესხებელზე არის გაცემული) შეფარდება ბანკის საკუთარ სახსრებთან კომერციული და კოოპერატიული ბანკებისათვის K3 მნიშვნელობა 0,5 არ უნდა აღემატებოდეს. ბანკის ორგანიზაცია - მეპაიეებისათვის ან ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ბანკთან დაკავშირებული არიან მართვის ერთიან ორგანოებში მონაწილეობით, კრედიტების გაცემისას, ერთ მსესხებელზე გაცემული თანხა, ბანკის საკუთარი სახსრების 30 % არ უნდა აღემატებოდეს.

ბანკის გადახდისუნარიანობის დაცვის მიზნით შემოღებულია ცნება "მსხვილი კრედიტი" და მის საერთო თანხაზე განსაკუთრებული კონტროლის სისტემა. მსხვილი კრედიტის ქვეშ იგულისხმება მსესხებლის ერთობლივი დავალიანების სიდიდე პლუს ამ მსესხებელზე გაცემული გარანტიების და ვალდებულებების 50%, რომელიც ბანკის საკუთარ სახსრებს 15 % აჭარბებს. მსხვილი კრედიტები შეიძლება გაიცეს მხოლოდ კომერციული, კოოპერატიული ბანკის საბჭოს ერთხმელოვანი გადაწყვეტილებით. მსხვილი კრედიტების საერთო თანხა საანგარიშგებო თვის ბოლოს ბანკის საკუთარი სახსრების თანხას 8 - ჯერ და მეტად არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო ზუთი უმსხვილესი კრედიტის თანხა, ბალანს გარეშე ოპერაციების გათვალისწინებით, ბანკის საკუთარ სახსრებს 3-ჯერ მეტად არ უნდა აღემატებოდეს.

რუსეთის ფედერაციის ცენტრალურმა ბანკმა დაადგინა ერთ მსესხებელზე (119) მაქსიმალური რისკი, რომელიც გამოითვლება, როგორც შეფარდება მსესხებლის მიერ კრედიტორის გაცემული ერთობლივი ვალდებულებებისა და მის მიერ გაცემული ბალანსგარეშე ვალდებულებათა თანხის (P) 50 %-ის შეფარდება ბანკის კაპიტალთან (K): **H9 = P : K.** საჭიროა ხაზი გაუსვათ იმას, რომ სასესხების დავალიანების ერთობლივი თანხის გამოანგარიშებისას უნდა გამოირიცხოს: საბელმწიფო ფასიანი ქალალდების გარანტიის ქვეშ გაცემული სესხების დავალიანებათა ნაშთის 90 %, რეალური მატერიალური ფასეულობის გარაუ ქვეშ გაცემული სესხების მიხედვით დავალიანების ნაშთის 75 %; სამი გადახდისუნარიანი პირის გარანტიის ქვეშ გაცემული სესხის დავალიანების ნაშთის 70 %; დაზღვეული კრედიტების 80 %; იმ თამასუქების გარაუ ქვეშ გაცემული სესხების დავალიანების თანხის 60 %, რომლებზეაც გაცემულია ბანკის გარანტია; გადამზდელების მიერ აქცეპტირებული გადასაყვანი თამასუქების გარაუ ქვეშ გაცემული სესხების დავალიანების 50 %; თამასუქების ოპერაციების აღრიცხვის საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულების 40 %; საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული აქციების გირაუ ქვეშ გაცემული სესხების დავალიანებათა 40 %; H9 მაჩვენებლის მაქსიმალურად დასაშვები მნიშვნელობა ბანკების ტიპის მიხედვით არის დიფერენცირებული: სპეციალიზებული ბანკების ბაზაზე შექმნილი - 1,0; კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც 1990-1991 წლებშია შექმნილი - 0,75. დანარჩენი კომერციული ბანკებისათვის - 0,5. ამასთან დადგენილია, რომ ერთ მსესხებელზე ბანკის რისკის თანხა არ უნდა აღემატებოდეს აქციების თანხის 10 %-ს.

ბანკის მიერ გაცემულ მსხვილ კრედიტზე (ბანკის კაპიტალის 20 %) კონტროლია დაწესებული, თუმცა არსებობს, განსხვავება მსხვილ კრედიტების დასაშვები თანხის ზღვრულ ოდენობასა და ბანკის საკუთარ სახსრებს შორის თანაფარდობაში: იმ კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც

ქალაქია სპეციალიზებული ბაზაზე არა უმეტეს 15 მაგი ოდენობისა; იმ კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც მოქმედებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით არა უმეტეს 10 მაგი ოდენობისა, დანარჩენი კომერციული ბანკებისათვის არა უმეტეს 8 მაგი ოდენობისა.

საბანკო სისტემის საკრედიტო რესურსების რეგულირების ფონდი. კომერციული, კოოპერატიული ბანკების საკრედიტო საქმიანობის რეგულირების მიზნით და მათი ლიკვიდობის შესანარჩუნებლად, სახელმწიფო ბანკმა ბანკების მიერ მოზიდული რესურსების და დეპოზიტების ნაწილის ხარჯზე საკრედიტო რესურსების რეგულირების ფონდი შექმნა. კომერციულმა და კოოპერატიულმა ბანკებმა სახელმწიფო ბანკში სარეზერვო ანგარიშზე, მოზიდული სახსრების 10 %-ის დეპონირება უნდა მოახდინონ. ამ ანგარიშზე შემოსავალი არ ირიცხება. სახსრების ნაწილრომლებიც დეპონირებას ექვემდებარებიან, ყოველი თვის 1 რიცხვში მოზიდული სახსრების საშუალოდან გამოანგარიშება. ამასთან ამ უკანასკნელს მიეკუთვნება საბიუჯეტო, სახელმწიფო, კოოპერატიული, ერთობლივი, საზოგადოებრივი დაწესებულებების და ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა ანგარიშების მიხედვით, ასევე მოქალაქეთა ანაბრები, კოოპერატივების ანაბრები და დეპოზიტები, ძირითად და ინვესტიციური საქმიანობის ანგარიშებზე სახსრები (ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშსწორებათა ჩათვლით) მიმდინარე, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების პასიური ნაშთები. სხვა ბანკებისაგან მიღებული სესხების გათვალისწინება არ ხდება.

მიმდინარე თვეში მოზიდული სახსრების გადიდების ან შემცირების შემთხვევებში თანხა, რომელიც ექვემდებარება ქვეყნის სახბანკო სისტემის საკრედიტო სახსრების რეგულირების ფონდში გადარიცხვას, შესაბამისად იზრდება ან მცირდება.

სახბანკის დაწესებულებები, კომერციული, კოოპერატიული ბანკების, ადგილმდებარეობის მიხედვით, ამოწმებენ სახბანკის სარეზერვო ანგარიშში ჩარიცხული სახსრების გაანგარიშებათა სისწორეს, წარმოდგენილი ბალანსების და შესრულებული სამუშაოების გაანგარიშების საფუძველზე. თუ გასულ თვეში მოზიდული სახსრების სიდიდე მცირდება, სახბანკის ტერიტორიული ბანკი (სამართველო) კომერციული, კოოპერატიული ბანკის განცხადების საფუძველზე სამი დღის განმავლობაში უბრუნებს მას შესაბამის თანხას. კომერციული ან კოოპერატიული ბანკის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, სახბანკის სარეზერვო ანგარიშზე ჩარიცხული სახსრები მის საკორესპონდენტო ანგარიშზე გადაირიცხება, მათი ვალდებულების შესაბამისად ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

1991 წელს რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა დაადგინა სავალდებულო რეზერვების მაქსიმალური სიდიდე 2 % -ის ოდენობით.

4. კომერციული ბანკების ბალანსის ლიკვიდობის დაუბალანსირებლობის და გადახდისუნარიანობის რისკების მართვა

ათწლის 60 წლის განმავლობაში ბანკები თავიანთ საქმიანობაში რისკს ვერ გრძნობდნენ. ეს იმასთან იყო დაკავშირებული, რომ დწყებული 30-იანი წლებიდან საბანკო სისტემა საკუთრების სახელმწიფოებრივი ფორმის ეფუძნებოდა, ძირითადად სახელმწიფო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან მუშაობდა. სახალხო მეურნეობაში სახელმწიფოებრიობის სიდიდე იმას ნიშნავდა, რომ საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე მსესხებლების ვალდებულებებზე საბოლოო

ჯამში სახელმწიფო სამინისტროების, უწყებების სახით აგებდა პასუხს. ეს სქემა გამოიყენებოდა კოლმეურნეობების დაკრედიტების დროსაც. კოლმეურნეობის ბანკების სესხების მიხედვით ვადაგადაცილებული და განვადებული დავალიანების დაფარვა ხორციელდებოდა ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე. დახურული ეკონომიკის და არაკონკურენტიანი ერთეული ფასეულის პირობებში, ბანკებს რისკისგან იცავდა სახელმწიფოს განუსაზღვრელი გადახდისუნარიანობა და ლიკვიდობა. გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად საკრედიტო დაწესებულებებს არ უწევდათ მუშაობა.

ამის შედეგად, საბჭოთა საკრედიტო დაწესებულების შიდა სამეურნეო საქმიანობაში საბანკო რისკის შეფასების და გაკონტროლების გამოცდილება და ჩვევები დაიკარგა.

20-იანი წლების ბოლოდან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბალანსი არ ქვეყნდებოდა. სახბანკის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებაში ბალანსის უქონლობა, სადაც საბალანსო ანგარიშების მიხედვით ყოველდღიურად ბრუნვის და ნაშთის უწყისები დგებოდა, რაც ბანკის თანამშრომლებს საშუალებას არ იძლევდათ აქტიური და პასიური ოპერაციებს შორის ურთიერთკავშირი დაენახათ, შეეგრძნოთ რესურსების ნაკადების "პულსი" ვადების და მათი შესაბამისი განთავსების მიხედვით. "ქაღალდის" ლიმიტებთან მუშაობამ კი, პირიქით, ბანკების საკრედიტო რესურსების განუსაზღვრელობის წარმოდგენა შეუქმნა. ქვეყანაში საკრედიტო რესურსების ერთიანი ქვაბის შექმნამ, ანაბრების მულტიპლიკაციამ, კოლექტიურმა უპასუხისმგებლობამ სახელმწიფო ბანკის ქვედანყოფებში პასივებზე ზრუნვა შეწყვიტა. ამ ქვედანყოფების საქმიანობა ფაქტობრივად დაყვანილ იქნა კრედიტების "ფონდირებამდე".

ახალმა ეკონომიკურმა მექანიზმმა, რომელიც ამოქმედდა სსრ კავშირში სახელმწიფო საწარმოების შესახებ, კოოპერაციის შესახებ კანონებისა და საკუთრების ფორმებში ცვლილებების ბაზაზე, მოითხოვა საბანკო სფეროში ადექვატური ცვლილებები. სპეციალიზებული კომერციული და კოოპერირებული ბანკების წარმოშობამ, რომელიც საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე იყო დაფუძნებული, გამოიწვია საკრედიტო რესურსების დეცენტრალიზაცია, საკრედიტო საქმიანობის საემისიო საქმიანობისაგან გამოყოფა, რამაც არსებითად გარდაქმნა სახბანკის და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების იერსახე. სახაზრო ურთიერთობების ელემენტების გამოჩენამ ბანკების პერსონალური საქმიანობის რისკთან დაკავშირება გამოიწვია.

ბალანსის მოუწესრიგებლობისა და გადახდისუნარიანობის რისკის მართვის სისტემა ორიენტირებული იყო, კომერციული და კოოპერაციული ბანკების მიერ ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ნორმების დაცვაზე ქვეყნის ცენტრალური ბანკის მოთხოვნათა შესრულებაზე. კომერციული ბანკების ბალანსების ლიკვიდობის დაუბალანსებლობისა და გადახდისუნარიანობის შესაცნობად საჭირო გახდა ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლების დონის ყოველდღიური კონტროლის სპეციალური სისტემის შექმნა და იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მათ ცვლილებებზე მოქმედებენ. ამისათვის მიზანშეწონილი გახდა მონაცემების ბაზის შექმნა, რომელიც საშუალებას იძლეოდა ოპერატიულად მიეღოთ ყველა აუცილებელი ინფორმაცია ანალიზური სამუშაოს შესასრულებლად, რის საფუძველზეც ბანკის პოლიტიკის ფორმირება მოხდებოდა. მონაცემების წყაროების ფორმირებისათვის ჩვენს მიერ განიხილება საკრედიტო და დეპოზიტური ხელშეკრულებები, სხვა ბანკებისაგან მიღებული სესხებზე ხელშეკრულებები, იმ გადატვირთულ საქონელზე, რომლის გადახდის ვადა არ დამდგარა, კრედიტზე გეგმიური მოთხოვნილებები, ყოველდღიური ცნობა ნაშთების ბრუნვაზე საბალანსო ანგარიშების მიხედვით, პირადი ანგარიშების ყოველდღიური უწყისის მონაცემები ბალანსგარეშე ანგარიშებზე, მონაცემები კრედიტის ბრუნვადობაზე და ა.შ.

ჩვენი აზრით, კომერციული ბანკების აქტიური და პასიური ოპერაციების გაწონასწორების სტრატეგიის გატარების მიზნით, შეიძლება გამოყენებულ იქნას, ვადების მიხედვით, კრედიტების და პასივების განაწილების ანალიზის სისტემა, რომელიც მონაცემების ბაზას ეფუძნება. კერძოდ, ანალიზი 30 დღის განმავლობაში ცალკეული კლიენტების და სესხების მიხედვით (საკრედიტო ხელშეკრულების და კრედიტის ბრუნვადობის საფუძველზე) მომავალ პერიოდში გასანაღდებელი და გასაცემი კრედიტების ანალიზის დამუშავების მეთოდი, საშუალებას იძლევა გავაკონტროლო რესურსების გამონთავისუფლება ან მათზე მოთხოვნილებების წარმოქმნა. ასეთი ანალიზი შეიძლება ატარებდეს ყოველდღიურად საკრედიტო ხელშეკრულებების იმ მონაცემთა გათვალისწინებითაც, რომლებიც დამუშავების სტადიაში იმყოფება. ანალიზის შედეგები გამოიყენებიან კომერციული ბანკების მიერ რესურსების ყიდვის ან გაყიდვის საკითხების ოპერატიული გადაწყვეტისათვის.

სასესხო დაფარვის ვადების მიხედვით განთავსების ანალიზი, რომელიც სასესხო ანგარიშების მიხედვით დავალიანებათა ნაშთების დაჯგუფების გზით წარმოებს, ვადიანი ვალდებულებების ან კრედიტების ბრუნვადობის ექვსი ჯგუფის გათვალისწინებით (1 თვემდე, 1-დან 3 თვემდე, 3-დან 6 თვემდე, 6-დან 12 თვემდე, 1 წლიდან 3 წლამდე, 3 წლის ზემოთ), საფუძვლად უდევს ბანკის ბალანსის მიმდინარე ლიკვიდობის დონის პროგნოზირებას, მის საკრედიტო პოლიტიკაში "ხვრელი" აღგილების გამოვლენას. ვადების მიხედვით პასივების განაწილების ანალიზის მეთოდი საშუალებას იძლევა: ბანკის ვალდებულების მართვის, ლიკვიდობის კოეფიციენტების დონის მიხედვით შეიცვალოს და პროგრამირება გაუკეთდეს მათ სტრუქტურას, რესურსების აკუმულაციის სფეროში გატარდეს გაწონასწორების პოლიტიკა, გადახდის უნარიანობაზე მოახდინოს გავლენა. ამავე მიზნებისათვის არის შექმნილი კლიენტების ანგარიშსწორების ანგარიშების ანალიზის მეთოდები და ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე სავადასახადო ბრუნვის ინტენსივობის ანალიზის მეთოდები. ასეთი ანალიზის შედეგები უდევს საფუძვლად ბანკის პასივების და აქტივების სტრუქტურების არგუმენტირებულ დაჯგუფებას.

კომერციული ბანკის გადახდისუნარიანობის და ლიკვიდობის მართვა იწვევს რისკის დონის მიხედვით საკრედიტო დაბანდებების განთავსების, სესხების ღირებულების უზრუნველყოფის ფორმების, პასივების დონის კონტროლის აუცილებლობას. ბანკის საკრედიტო დაბანდებანი შეიძლება რიგი კრედიტერიუმების გათვალისწინებით (კლიენტის გადახდისუნარიანობის ღონე, კრედიტის ღირებულების უზრუნველყოფის ფორმა, სესხების დაზღვევის შესაძლებლობა, ბანკის ეკონომისტის მიერ კლიენტის საიმედობის შეფასება და სხვა) ოთხ ჯგუფად დავყოთ: მაღალ საიმედონი, საიმედონი, საკმაოდ საიმედონი, მაღალრისკიანი კრედიტები. კომერციული ბანკის საკრედიტო დაბანდებების საერთო თანხაში კრედიტების ყველა ჯგუფის წილი და მათი ცვლილება ლიკვიდობის კოეფიციენტის დონის პროგნოზირებას ემსახურება. ბანკების ხვედრითი წონა საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრებაა ან მისი ცვლილებების შესაძლებლობას გვიჩვენებს. ცალკეულ მსესხებლის მიხედვით სესხების დაჯგუფება საშუალებას იძლევა ყოველდღიურად მოხდეს K3 დონის კონტროლი და ანალიზი გაუკეთდეს ბანკის მიერ დამოუკიდებლად ან საბანკო კონსორციუმებში მონაწილეობის გზით მსხვილი კრედიტების შემდგომი გაცემის შესაძლებლობას.

მონაცემთა ბაზის საფუძველზე ყოველდღიურად იხსნება გადახდისუნარიანობის და ლიკვიდობის მაჩვენებლების მნიშვნელობა (K1, K2, K3, K4, K5) და წარმოებს გადახდისუნარიანობის და ლიკვიდობის ნორმების გათვალისწინებით საბანკო ოპერაციების განხორციელების პერსპექტივების ანალიზი. ეს იძლევა საკითხების ურთიერთდაკავშირების საშუალებას, როგორიცაა: სახსრების განთავსება, რესურსების მოზიდვა, ბანკის საკუთარი

სახსრების გადიდება, სხვა დაწესებულებებსა და ბანკებში მისი გამონაწილების გაფართოე
დამატებითი შემოსავლების წყაროების გამონახვა და კომერციული ბანკის ახალი ოპერაციებ
განვითარება (მისი ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის მოთხოვნის დაცვით). განხილულ
ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გათვალისწინებული იქნეს კომერციული ბანკების ლიკვიდობი
და გადახდისუნარიანობის სხვადასხვაგვარი ცვლილებები, რათა დროულად განხორციელდ
აუცილებელი ღონისძიებები მათი სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად.

კომერციული ბანკების ბალანსის ლიკვიდობის დაუბალანსირებლობისა
გადახდისუუნარიანობის რისკის შეფასება სხვადასხვა ხერხებით შეიძლება. ამ მიზნებისათვ
გამოიყენება ადიტურ-მულტიპლიკატიური მეთოდი, რომელიც ასახავს ცალკეულ ფაქტორ
ცვლილებების გავლენის შესფასებას K1 და K4 ცვლილებებზე. მოცემული მეთოდის არსი გამოიხატ
იმაში, რომ ზედა სინთეზური მაჩვენებელი, ამ შემთხვევაში K1 ან K4 თანდათან განიფენება ანალიზ
მაჩვენებლებში, რომლებიც მათი ცვლილების მიზეზს წარმოადგენენ. K1 მიმართ ასეთი მაჩვენებლებ
ბანკის საკუთარი სახსრების სტრუქტურა და ბანკის ვალდებულებების სტრუქტურა, ამასთან ბან
ბალანსის თანხასთან მიმართებაში. K4-ის ცვლილებებზე მოქმედ ანალიზურ მაჩვენებლად გამოდ
ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა და მისი ცვლილება. ეს მეთოდი საშუალებას იძლ
კომპლექსურად, თვალსათლივ და ოპერატიულად შეკფასოდ ყოველი ფაქტორის ცვლილებ
ზემოქმედება K1 და K4 სინთეზური მაჩვენებლების ცვლილებაზე. ასეთი ანალიზი ავლენს ღრმ
დაფარულ პროცესებს, იძლევა იმ ტენდენციათა დახასიათებას, რომლებმაც სხვა უცვლელ პირობებ
შეიძლება გამოიწვიოს კომერციული ბანკების ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის ღონის დაც
ასეთი ანალიზი, ბანკის პოლიტიკაში კორექტივების შეტანის გზით, საშუალებას იძლევა თავიდან იქ
აცილებული არა სასურველი შედეგები.

კომერციული ბანკის ბალანსის ლიკვიდობის დაუბალანსირებლობისა და გადახდისუუნარობ
რისკის შემცირება მიიღწევა ისეთი პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც ითვალისწინებს ზემო
მითითებულ მიმართულების და ჩატარებული მარკეტინგის ანალიზის შედეგებს. იმ შემთხვევაშ
როდესაც ბანკი აღმოჩნდება თავის ლიკვიდობის ზღვარზე და ეს შესაძლებელია მის პოლიტიკა
დაშვებული შეცდომებით ან სხვა მიზეზებით, ის იძულებულია მიიღოს სასწრაფო ზომებ
რომლებსაც მიეკუთვნება: მოთხოვნამდე ვალდებულების შემცირება, პასივების გადაჯგუფ
ვადების მიხედვით, ლიკვიდური აქტივების გაზრდა, მათ შორის კრედიტების საკმარისი ოდენობ
განაღდების გზით, ბალანსის დასუფთავება ცალკეული საქმიანობის დამოუკიდებელ ბალანს
გამყოფის გზით,საკუთარი სახსრების გაზრდა, სხვა ბანკებიდან სესხების მიღება და ა.
საკრედიტო ინსტიტუტების მიერ თავიანთი ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობ
შესანარჩუნებლად მიღებული სასწრაფო ზომები, როგორც წესი, დაკავშირებულია ბან
ხარჯების ზრდასთან და მათი მოგების შემცირებასთან. ბალანსის დაუბალანსებლობისა
გადახდისუუნარობის რისკის მართვა ბანკების შესაძლო დანაკარგებს ამცირებს და მომავალ
ქმნის მათი საქმიანობისათვის მყარ საფუძველს.

კომერციული და კოოპერატიული ბანკების სესხები სხვა საკრედიტო დაწესებულებებიდ
კომერციული ან კოოპერაციული ბანკების ბალანსის გადახდისუნარიანობის შენარჩუნების მი
ვალდებულებების დაუბრკოლებლად შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებ
წარმოადგენს სხვა საკრედიტო ინსტიტუტებიდან კრედიტების მიღება. კრედიტის გაცემის შესახ
გადაწყვეტილება მიიღება კომერციული (კოოპერატიული) ბანკების ფინანსური მდგომარეობ

კლიენტზე, კრედიტის დაფარვის პერსპექტივების, საკუთარი რესურსების ფაქტიური ფორმების
გათვალისწინებით და ბანკის მიერ საანგარიშსწორებო, მიმდინარე, დეპოზიტურ და სხვა
ანგარიშებზე დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოოპერატივების სახსრების მოზიდვით.
სახსრების გაცემა ხორციელდება იმ პირობებით და თანხებით, რომელიც გათვალისწინებულია
ბანკის შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებაში. საკრედიტო ხელშეკრულება მხარეების
კონკრეტ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას, კრედიტის ვადას, სიდიდეს, სესხების გაცემისა
და განაღდების წესს, საპროცენტო განაკვეთის დონეს, მისი ცვლილების პირობებს,კრედიტის
ხელშეკრულების (გირაოთი, თავდებით, გარანტიებით) და სხვა პარამეტრებს შეიცავს.

რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის გამგეობის მიერ დგინდება კომერციული (კოოპერაციული)
ბანკებისათვის გასაცემი კრედიტის საპროცენტო განაკვეთები. სპეციალიზებული ბანკების მიერ
გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთები, განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე,
მაგრამ ის არ შეიძლება იყოს ცენტრალიზებულ რესურსებზე გაღასახდელის 20 %-ზე მეტი.

კომერციული და კოოპერაციული ბანკები სხვა საკრედიტო დაწესებულებებს აძლევენ
კრედიტებს ხელშეკრულებათა საფუძველზე. საბანკო გაერთიანება-კონსორციუმის შექმნის
შემთხვევაშიც მათი დაკრედიტების შესაძლებლობები იზრდება.

5. კომერციული ბანკის ღონეზე ლიკვიდობისა და შემოსავლიანობის მართვის მექანიზმი

კომერციული ბანკის ყოველდღიური მუშაობა ლიკვიდობის მართვაში მიმართულია ბანკის
ოპერაციებზე, რომლის პირობაა კლიენტების მიმართ ვალდებულებათა შეუფერებელი
შესრულება. ორგანიზაციული მხრიდან ის გულისხმობს ბალანსის აქტივებისა და პასივების
ცალკეული ჯგუფებისა და მუხლების თანაფარდობას, რომლებიც განსაზღვრულ მაჩვენებლებშია
დოკუმენტირებული. ასეთი მაჩვენებლები იყოფა საგარეო და საშინაო მაჩვენებლებად.

საგარეოს მიეკუთვნებიან მაჩვენებლები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
ცენტრალური ბანკის მიერ დგინდება. ის წარმოადგენს კომერციული ბანკის საქმიანობის
სახელმწიფოებრივ მართვის ფორმას. რაც შეეხება საშინაო მაჩვენებლებს, სახელმწიფობრივი
ფუნქციების შესაბამისად, ისინი განსაზღვრავენ უფრო საერთო პროპორციებს, რომლებიც
აუცილებელია ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. მაგ: მიმდინარე ლიკვიდობის
მაჩვენებელი (K4) ავლენს ლიკვიდური სახსრების საერთო თანხის შეფარდებას მოთხოვნამდე
ანგარიშზე ბანკების ვალდებულებებთან. მისი მნიშვნელობა იმ ბანკებისათვის, რომლებიც
ოპერაციების საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებას ეწევიან, არის 0,3, რაც ნიშნავს იმას, რომ
ანგარიშების 30 %, რომლებიც შეესაბამებიან მოთხოვნამდე ანგარიშებზე ნაშთების თანხას,
აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს უფრო ლიკვიდურ ფორმაში: ბანკის სალაროში ფულის
ნაშთების სახით, საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთების ფორმით, სახელმწიფოს სესხის
ობლიგაციების სახით, არა უმეტეს 1 თვის ვადით გაცემული კრედიტების სახით და სხვ. ყველა ამ
ანგარიშების კონკრეტული ზუსტი წონა მათ საერთო მოცულობაში თვით კომერციული ბანკის
მიერ განისაზღვრება. ამასთან, ის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოყალიბდეს. ლიკვიდური
ანგარიშების ცალკეულ სახეობათა შორის პროპორციები განისაზღვრება კომერციული ბანკის მიერ
დამოუკიდებლად, საქმიანობაში ჩამოყალიბებული ტრადიციებისა და სპეციფიკის

გათვალისწინებით, აგრეთვე კლიენტურის საქმიანობის თავისებურებებით, მათი დაფიქსირება ხდება ლიკვიდობის შინაგანი მაჩვენებლების ფორმით და წარმოადგენენ ბანკის სპეციალისტების და შესაბამისი სამსახურების ოპერატიული მუშაობის ორიენტირს.

მითითებული მაჩვენებლების დამუშავებისას, აგრეთვე ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებულ სამუშაოებში გაითვალისწინება ფაქტორთა კომპლექსი, რომლებიც შეიძლება დავაჯგუფოთ 4 ძირითად ჯგუფად:

1. შემთხვევითი და საგანგებო ჯგუფი, რომელიც ბანკის კლიენტების საქმიანობის თავისებურებების მიზეზით წარმოიქმნება;

2. სეზონური ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და გაღამუშავებასთან;

3. ციკლური ჯგუფი, რომელიც ქმნის საქმიანი აქტივობის ცვლილებებს;

4. გრძელვადიანი ჯგუფი, რომელიც გამოწვეულია მოხმარებაში მომხდარი ძვრებით, საინვესტიციო პროცესით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებით.

მოცემული მაჩვენებლები ასრულებენ თავისებური "შემზღუდველების" როლს, რომლებიც კომერციული ბანკების საქმიანობის შესაბამის მიმართულებას უზრუნველყოფენ. მათი დაცვა კომერციული ბანკების უშუალო საქმიანობას არ წარმოადგენს. მართვის მიზნობრივი ფუნქცია პროცესის შინაარსით განისაზღვრება. რადგან ბანკი წარმოადგენს კომერციული დაწესებულებას და მისი საქმიანობის საბოლოო მიზანია მოგების მიღება. ამით მიიღწევა ბანკის "თვითშენარჩუნება", როგორც დაწესებულების, რომელიც საბაზრო გარემოში ფუნქციონირებს.

სამრეწველო საქმიანობის (შესრულებული ოპერაციების) მომგებიანობის უზრუნველყოფა კომერციული ბანკისავის, იმედ როგორც სხვა ნებისმიერი დაწესებულებისათვის, ლიკვიდობის საერთო საფუძველს შეადგენს. ამასთან, მისი როგორც დაწესებულების მუშაობის თავისებურება, რომლის საქმიანობა დაფუძნებულია კლიენტების სახსრების გამოყენებასთან, ლიკვიდობის სპეციფიკური მაჩვენებლების გამოყენების აუცილებლობას კარნახობს. კომერციული ბანკის საერთო და სპეციფიკური ლიკვიდობა ერთმანეთს ავსებენ, თუმცა მათი საქმიანობის მიმართულება ურთიერთსაწინააღმდეგოა. მაქსიმალური, სპეციფიკური ლიკვიდობა მიიღწევა სალაროებში და საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთების სხვა აქტივებით შეცვლებით, მაქსიმალურად გადიდებით, მაგრამ სწორედ ამ შემთხვევაში ბანკის მოგება მინიმალურია. მოგების მაქსიმუმამდე აყვანა მოითხოვს არა სახსრების შენახვას, არამედ მათ გამოყენებას, სესხების გასაცემად და ინვესტიციების განსახორციელებლად. რადგან ამისათვის, აუცილებელია ნაღდი ფული სალაროში და ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშზე მინიმუმამდე დავიყვანოთ, მაშინ მოგების მაქსიმალიზაცია საფრთხის ქვეშ დააყენებს კლიენტების წინაშე ბანკის ვალდებულებების შესრულებას. აქედან გამომდინარე ლიკვიდობის ბანკო მართვის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოქნილად იქნეს შეხამებული საერთო და სპეციფიკური ლიკვიდობის ურთიერთ საწინააღმდეგო მოთხოვნები. კომერციული ბანკის მიერ ლიკვიდობ ს მართვის მიზნობრივი ფუნქცია გამოიხატება მოგების მაქსიმიზაციაში,რომლის დროსაც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული ბანკის მიერ დადგენილი და განსაზღვრული ეკონომიკური ნორმატივები.

ასეთი სამუშაოს შესრულება შეუძლებელია ოპერატიულ-საინფორმაციო უზრუნველყოფას მოითხოვს. ბანკი უნდა ფლობდეს ოპერატიულ ინფორმაციას საკუთარ ლიკვიდურ სახსრებზე, მოსალოდნელ შემოსავლებსა და მიმდინარე გადასახადებზე. ასეთი ინფორმაცია წინასწარ შეიძლება წარმოვადგინოთ შემოსავლების და გასავლების გრაფიკის სახით, შესაბამის პერიოდში (დეკადა,

თვე და ა.შ.) აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე. ის მოცემული პერიოდის საკრედიტო ვალდებულებების პაკეტის განხილვის საფუძველს წარმოადგენს.

საბანკო მართვის მექანიზმს, რომლის რეალიზაციასაც უზრუნველყოფს მითითებული ინსტრუმენტალური ფუნქცია, არსებითი თავისებურებანი გააჩნია. მოგების მაქსიმიზაცია ტრადიციულად, ისევე როგორც ნებისმიერ დაწესებულებაში შემოსავლების გაზრდით და დანახარჯების შემცირებით ხდება. თუმცა ამ მაჩვენებლების შინაარსი კომერციული ბანკებისათვის სპეციფიკურია.

მათ შემადგენლობაში შედის არა საბანკო "ამონაგების" საერთო (მთლიანი) ბრუნვა, არამედ მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მოგების ფორმირებას და გამოყენებას უზრუნველყოფს. ბრუნვის ძირითადი ელემენტია სესხების გაცემის და დაფარვის რეგულირება, სასესხო ოპერაციების მოძრაობის კანონების შესაბამისად. ბანკის ერთობლივი მოცულობა გასესხებული სახსრების სიდიდეზე და მათ "ფასებზეა", ე.ი. საპროცენტო განაკვეთზეა დამოკიდებული. ამ ფაქტორის მოქმედება, საბანკო კონიუნქტურის გავლენის გარდა, ლიკვიდობის უზრუნველყოფის სპეციფიკურ მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული.

კომერციული ბანკის საკრედიტო დაბანდებების სიდიდე საკუთარი და მოზიდული სახსრების მოცულობით განისაზღვრება. თუმცა საქმიანობის პრინციპების შესაბამისად, ამ სახსრების მთელი თანხა (მათი შემადგენლობიდან რომ გამოვრიცხოთ შენობები, დანადგარები და სხვა მატერიალური რესურსებიც კი), არ შეიძლება გამოყენებული იქნეს დაკრედიტებისათვის. ამიტომ, ბანკის ამოცანას წარმოადგენს ეფექტიანი რესურსების მოცულობის განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება მიმართულნი იქნეს საკრედიტო დაბანდებების განსახორციელებლად. მათი მოცულობის გამოსაანგარიშებლად შემოთავაზებულია შემდეგი ფორმულა:

$$KPe = Yf + Occ + D + Op + Onp - HA - 0,1(D + Op) - 0,3Op,$$

სადაც: **KPe** - ეფექტური საკრედიტო რესურსები;
Yf - საწესდებო ფონდი;
Occ - ბანკების საკუთარი სახსრების ნაშთი;
D - დეპოზიტები;
Op - ბანკში, კლიენტების საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშზე ნაშთები;
Onp - დანარჩენი მოზიდული სახსრები;
HA - ბანკის შენობებში, დანადგარებსა და სხვა ნაკლებად ლიკვიდურ აქტივებში დაბანდებული რესურსები.

მოყვანილი ფორმულის შესაბამისად ეფექტური რესურსების მოცულობა განისაზღვრება, რადგანაც სხვაობა ბანკის ბალანსის პასივების საერთო თანხას (იმ სახსრების გამოკლებით, რომლებიც დაბანდებულია აქტივებში - შენობები და სხვა, რომლებიც ფასიანი ქაღალდების და უძრავი ქონების ბაზრის განვითარებლობის პირობებში არ შეიძლება გამონაკისუფლდნენ და მიმართული იქნენ საკრედიტო რესურსებში) და მოზიდული სახსრების ნაშთებს შორის, რომელიც მიემართება კრედიტების რეგულირების ფონდში (10% დეპოზიტის ნაშთისა - 0,1 (D+Op)), ასევე ლიკვიდურ აქტივებში განსათავსებელი, რომელთა გამოყენება ხელსის გაცემის მიზნით (0,3Op) გამორიცხულია.

თავისი საქმიანობის დასაწყისში კომერციული ბანკის მიერ ლიკვიდობის მართვის მიზნობრივი ფუნქციის რეალიზაცია მდგომარეობს რესურსების აღქვატურ განთავსებაში, ხოლო რეალურად ფუნქციონირებადი ბანკისათვის თავისუფალი რესურსების მოცულობის დადგენსა და განაწილებაში, ან რესურსების დეფიციტის სიდიდეებსა და დაფარვის წყაროების დადგენაში. თავისუფალი რესურსების მოცულობა (KPc), ასევე რესურსების დეფიციტი (KPd) განისაზღვრება, როგორც ეფექტური რესურსების თანხისა და ბანკის ფაქტიურ საკრედიტო დაბანდებებს (KBf) შორის სხვაობა:

$$KPc(KP\ d) = LPe - KBs\ ,$$

დროის ფაქტორის გათვალისწინებით თავისუფალი რესურსების განთავსება მათი გამოყენების შესაძლებელი პერიოდით ხდება. ამისათვის აუცილებელია რესურსების და საკრედიტო დაბანდებების განაწილება მათი გამოყენების ვადების მიხედვით.

ცხრილი 1

კომერციული ბანკების მიერ გამოსაყენებლად შესაძლებელი საკრედიტო რესურსების მოცულობა

გამოყენების ვადა	სახსრების ნაშთი	
	მლნ.მან.	ჯამთან %
1. მოთხოვნისთანავე დაბრუნება	300	60
2. 1 წლამდე	60	12
3. 2 წლამდე	30	6
4. 3 წლამდე	30	6
5. 5 წლამდე	20	4
6. 5 წლის ზემოდ	10	2
7. უვადო	50	10
ჯამი:	500	100

საკრედიტო რესურსების გამოყენების ვადების მიხედვით განაწილება ასახავს ბანკის ბალანსის პასივების სტრუქტურას. წარდგენის შემდეგ დასაბრუნებელ რესურსებში შეიტანება კლიენტების ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშზე არსებული ნაშთები, რომელთა გამოყენების ვადა არაა რეგლამენტირებული (დეპოზიტები, რომელთა შენახვის ვადები ხელშეკრულებით განისაზღვრება, საშუალებას იძლევა დადგინდეს რესურსების გამოყენების კონკრეტული ვადები). უვადო რესურსების ჯგუფს შეადგენენ ბანკის საკუთარი სახსრები - მისი საწესდებო კაპიტალი.

მოცემული ცხრილის მონაცემების შედეგების შეჯერება გვიჩვენებს, რომ თავისუფალი საკრედიტო რესურსების საერთო მოცულობა 40 მლნ. მანეთს შეადგენს. შესაბამისად, ეფექტიანი საკრედიტო რესურსები 8 %-ით ვერ იქნა გამოყენებული. ამასთან რესურსების და დაბანდებების თანხების უბრალო სხვაობა სრულ წარმოდგენას არ იძლევა საკრედიტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დონეზე. ცხრილების მონაცემებიდან ჩანს, რომ თუ 1 წლამდე ვადით რესურსების ცხრილი 2 კომერციული ბანკის საკრედიტო დაბანდებები

დაფარვის ვადები	სესხების მიხედვით დავალიანების ნაშთები	
	მლნ.მან.	ჯამთან %
1. მოთხოვნამდე და 1 თვემდე	200	43,5
2. 6 თვემდე	100	21,7
3. 1 წლამდე	60	13,0
4. 2 წლამდე	40	8,7
5. 3 წლამდე	20	4,4
6. 5 წლამდე	10	2,2
7. 5 წლის ზემოდ	30	6,5
ჯამი:	460	100

და საკრედიტო დაბანდებების თანხა ტოლია და შეადგენს 360 მლნ.მანეთს. (პირველი ცხრილის 1 და 2 სტრიქონები და მეორე ცხრილის 1, 2, 3 სტრიქონები), მაშინ, როდესაც 5 წლამდე ვადის რესურსები შეადგენს 10 მლნ.მანეთს. რესურსები არაა ბოლომდე გამოყენებული (ეს არის პირველი ცხრილის 3, 4, 5 სტრიქონებისა და მეორე ცხრილის 4, 5, 6 სტრიქონების სხვაობა), ხოლო 5 წელზე მეტი ვადით 40 მილ.მან. (პირველი ცხრილის 5, 7 სტრიქონები და მეორე ცხრილის 7 სტრიქონი) 40 მლნ.მანეთის ოდენობით არ არის ბოლომდე გამოყენებული.

საკრედიტო რესურსების (Ekp) ეფექტურობის გამოსაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$Ekp = (KB \times T) : (KPe \times T)\ ,$$

სადაც T - არის სესხის გაცემის პერიოდი.

პირველ და მეორე ცხრილებში მოცემული მონაცემების საფუძველზე, ზემოთ მოტანილი ფორმულით გამოთვლილი ეფექტიანობის კოეფიციენტის მნიშვნელობაა 0,702. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დროის ფაქტორის გათვალისწინებით რესურსების გამოუყენებლობის ხარისხი აჭრდება 8 %-მდე. ამის უკან იმალება მოგების რეალური დანაკარგები - პროცენტული განაკვეთები გრძელვადიან სახსრებზე უფრო მაღალია, ვიდრე მოკლევადიანზე.

საბანკო სესხების საპროცენტო განაკვეთების სიდიდე განისაზღვრება ფულადი ბაზრის ცვლილებების მიხედვით: ფულის მიწოდება - მოთხოვნას შორის თანაფარდობის ცვლილებით. ოუმცა აქ, თავისებურება გამოიხატება საპროცენტო განაკვეთის დონის განსაზღვაში იმ პირობებში, როდესაც მოთხოვნილება და მოწოდება ფულად ბაზარზე ერთმანეთს ფარავს. ამასთან, კომერციული ბანკის მიერ გასაცემი კრედიტის ფასი საბაზო საპროცენტო განაკვეთის დონეს და საპროცენტო მარჟის სიდიდეს ასახავს. საბაზო საპროცენტო განაკვეთი იქმნება იმ პროცენტების დონის შესაბამისად, რომელსაც კომერციული ბანკი პასიურ ოპერაციებზე იხდის. საერთო საბაზო საპროცენტო განაკვეთი (GWCo) განისაზღვრება ოპერაციათა მთელ წრეზე შემდეგი ფორმულით:

$$GWCo = (KPe \times WCno) : KPe$$

სადაც **WCno** - პასივების შესაბამის სახეობებზე საპროცენტო განაკვეთებია.

საერთო საბაზო საპროცენტო განაკვეთს ანალიზური დანიშნულება აქვს და საკრედიტო მიწოდების პაკეტის შესაფასებლად გამოიყენება. კომერციული სესხების გაცემის საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა გამოყენებულ იქნეს ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა "კრედიტის საბაზო ფასი" (GZk) სესხის გამოყენების პერიოდში (T) დროის ფაქტორის გათვალისწინებით დგინდება.

$$GZk = (KPeT \times WCno) : KBT .$$

მაგალითად, საწარმოო ბანკისაგან ოთხი წლის ვადით ითხოვს კრედიტს 12 მლნ.მანეთის ოდენობით, კრედიტის დაფარვა ხორციელდება მეორე წლიდან, ყოველკვარტალურად. თანაბარ ნაწილებად. დაფარვის ვადაა - კვარტლის ბოლო სამუშაო დღე. თუ რესურსებზე პირველ წელს, პირობითად 8% , მეორე და მესამე წელს - 12 % გაღახდა ხდება, მაშინ კრედიტის საბაზო ფასი შეადგენს:

$$GWk = \frac{12 \times 8 + 10 \times 10 + 6 \times 10 + 2 \times 12}{12 + 10 + 6 + 2} = 9,3\ \%$$

კრედიტის რეალური ფასის მისაღებად მისი საბაზო ფასს მარჟის სიდიდე ემატება. მისი სიდიდის გამოანგარიშების საფუძველს წარმოადგენს შემოსავლის მინიმალურად აუცილებელი მოცულობა (HOD) ის გამოიანგარიშება ბანკის დანახარჯების თანხების (LG) და აუცილებელი მოგების (W) თანხების შესაბამისად. დანახარჯებში შედის ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯებიც: საკრედიტო რესურსებზე გადასახადი, შენობა-ნაგებობების ამორტიზაციის ხარჯები, დაცვის ხარჯები, სამეურნეო-საოპერაციო ხარჯები და სხვა. მოცულობის განსაზღვრის დროს განსაკუთრებული მეთოდიკის გამოყენება არაა საჭირო.

მოგების თანხის განსაზღვრის მეთოდიკის საფუძველს წარმოადგენს შემოსავლის სიდიდე, რომელიც მოდის ბანკის საკუთარ კაპიტალზე, სააქციო ბანკისათვის დივიდენდის სიდიდე. მისი დონე არ შეიძლება იყოს პასიურ ოპერაციებზე საბაზო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულება ნომინალურზე დაბალი იქნება. ძირითადი კაპიტალის ასეთი გაუფასურება ძირს უთხრის ბანკის რეპუტაციას და აღიქმება, როგორც საერთო ლიკვიდობის გაუარესება. საკუთარ კაპიტალზე შემოსავლის ნორმების დადგენისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი შემოსავლის დონე. საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობის საშუალო ნორმის დადგენა საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოგების მასა, რომელიც დივიდენდის გადახდაზეა მიმართული (MWd). ის აუცილებელი მოგების საერთო თანხის გამოანგარიშების საფუძველს წარმოადგენს, ამისათვის მოგების მასას, რომელიც გამოიყენება დივიდენდების გადასახდელად, საჭიროა დავუმატოთ:

- ბანკის სარეზერვო ფონდში ანარიცხები (PF), რომელიც წარმოადგენს მოგების საერთო მასის 20%.

- ბიუჯეტში გადასახადები (WIG) (რუსეთის კანონმდებლობით მოგების 32 %);

- ბანკის ეკონომიკური სტიმულირების ფონდების (FEC) მინიმალურად აუცილებელი სიდიდე.

ამასთან დაკავშირებით ბანკის შემოსავლის მინიმალურად აუცილებელი მოცულობა გამოითვლება ფორმულით:

$$HOD = LG + MWd + PF + WIG + FEC .$$

საპროცენტო მარჟის სიდიდის განსაზღვრისათვის შემოსავლის გამოთვლილ სიდიდეს უნდა შევუკავშიროთ საკრედიტო ანაბრების მოცულობაც:

$$WM = (HOD : KB) \times 100) .$$

კლიენტებისათვის სესხის გაცემა ხორციელდება მოთხოვნილი კრედიტის საბაზო ფასის და საპროცენტო მარჟის (WM) გათვალისწინებით. მაგალითად, ამ ფორმულების თანახმად გამოთვლილი მარჟა გამოიხატება 3,3 %-ით, მაშინ კრედიტის რეალური ფასი, რომლის საბაზო ღირებულება გამოთვლილი იყო ზემოთ 12,6 % შეადგენს. საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად. კრედიტის ფაქტიური ფასი შეიძლება იყოს ბანკის მიერ გამოანგარიშებულ რეალურ ფასზე მაღალი ან დაბალი. ბოლო შემთხვევაში კომერციული ბანკი იძულებულია მიიღოს დამატებითი ზომები ლიკვიდობის მართვისათვის: გაითანაბროს რეზერვები დანახარჯების შესამცირებლად, გარდაქმნას პასიური ოპერაციების სტრუქტურა, გაზარდოს საკრედიტო დაბანდების მოცულობა, რაც საერთო ლიკვიდობის საჭირო ღონის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა აქტიური ოპერაციებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში.

თ ა ვ ი V

საგადასახდელო ბრუნვის ორგანიზაცია და ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობები

ბანკებს უწოდებენ სისხლძარღვთა სისტემას, რომელიც მთელ სახალხო მეურნეობას მოიცავს, უფრო ზუსტად, ასეთ სისტემას ფულადი ანგარიშსწორება წარმოადგენს. ანგარიშსწორების პროცესში ფული ყველა მიმართულებით მიედინება, სამეურნეო ორგანიზმის ყველა უჯრედს აღწევს. ამასთან ხდება საქონლის ფულზე გადაცვლა, რაც საბაზრო მეურნეობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

1. უნაღდო საგადასახდელო ბრუნვის ორგანიზაცია

ფულის მიმოქცევის ძირითად ნაწილს (80-90 %) უნაღდო საგადასახდელო ბრუნვა წარმოადგენს, რომლის დროსაც ფულის მოძრაობა ხდება საკრედიტო დაწესებულებებში ანგარიშებზე გადარიცხვების სახით და ურთიერთ მოთხოვნათა ჩათვლით. ეს სამეურნეო ურთიერთობების ისეთ სფეროებს უწევს შუამავლობას, როგორიცაა: პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების რეალიზაცია; ეროვნული შემოსავლის განაწილება და გადანაწილება, საბანკო კრედიტების მიღება და დაბრუნება; მოსახლეობის ფულადი შემოსავლების გადახდა და გამოყენება. ამ ურთიერთობების მონაწილეები არიან გაერთიანებები, საწარმოები, ორგანიზაციები, კოოპერატივები, საბანკო და საფინანსო ორგანოები, მოსახლეობა.

უნაღდო საგადასახდელო ბრუნვა გაივლის საბანკო დაწესებულებას. საგარეკონომიკურ საქმიანობაში უნაღდო ანგარიშსწორებას ახორციელებს საგარეო ეკონომიკური ბანკი და სხვა ბანკები, რომლებსაც სათანადო ლიცენზია აქვთ მიღებული. შემნახველი ბანკების მეშვეობით მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ძირითადი ნაწილის უნაღდო ბრუნვა ხორციელდება.

ცენტრალური ბანკი ყველა ბანკისა და მათი კლიენტებისათვის აუცილებელ ნორმატიულ აქტებს გამოსცემს, რომლებიც ანგარიშსწორების წესებს განსაზღვრავენ. ამ წესების ერთგვარი გამოყენება უზრუნველყოფს ქვეყნის მთელ ეკონომიკურ სივრცეში ანგარიშების შეუფერხებლობას, რაიმე რეგიონალური ან სხვა თავისებურებების დაღვენა თრომბოზისა და სისხლძარღვების დაცობის ტოლფასია. სისხლი ანუ ფული დენას ამ ჭურჭელში შეწყვეტს.

ყოველ საწარმოს (ორგანიზაციას, დაწესებულებას) ეხსნება ანგარიშები, ამ ანგარიშებზე არსებული სახსრების აღრიცხვისათვის და ანგარიშსწორების განსახორციელებლად. ამასთან, გამოიყენება სპეციალური საანგარიშსწორებო დოკუმენტები, რომლებიც მხოლოდ შაგასაბანკო ბრუნვაში შეიძლება იმყოფებოდეს. მათი როგორც ნაღდი ფულის გამოყენება არ შეიძლება.

მოქალაქეების პირად საკუთრებაში მყოფი სახსრები უნაღდო ბრუნვაში მონაწილეობენ, უნაღდო გადარიცხვები ხორციელდება საწარმოების და ორგანიზაციების ანგარიშებიდან, რომლებიდანაც მოქალაქეებისათვის ფულად შემოსავლების გაღახდა ხდება. უნაღდო ანგარიშსწორების გზით მოსახლეობის ხარჯების გადახდა შეიძლება ბანკებში არსებული ანაბრების ანგარიშებიდანაც მოხდეს. ასეთ შემთხვევაში ფულადი ნიშნების უნაღდო

ორიენტაციით შეცვლა მთლიანობაში მთელ ფულად ბრუნვის ეკონომიას ახდენს, რადგან ნაღდი ფულის რაოდენობა მცირდება. უდიდესი ეფექტი მიიღწევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსახლეობის შემოსავლები, რომლებიც უნაღდო ფორმას იღებენ, ასევე ნაღდი ფულის ბრუნვაში კი გადარიცხვის გზით გამოიყენება.

უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა ანგარიშსწორების ორგანიზაციის პრინციპების ერთობლიობას, მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და მეთოდებს წარმოადგენს. ანგარიშსწორების ორგანიზაციის პრინციპები ყველაზე მეტად მყარი და ნაკლებად ცვალებადი არიან. მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს ანგარიშსწორებები, ეკონომიკის მექანიზმის განვითარებისა და სრულყოფის შესაბამისად იცვლებიან. თავის მხრივ ანგარიშსწორების ფორმები და საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს ამ მოთხოვნებს და მათ ცვლილებებს შეეგუონ.

უნაღდო ანგარიშსწორების პრინციპები. პირველი პრინციპი იქედან გამომდინარეობს, რომ საკრედიტო დაწესებულებები ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ფული ბანკში გახსნილ ანგარიშებზე შეინახონ და უნაღდო ანგარიშსწორება ბანკის მეშვეობით მოახდინონ.

მეორე უნაღდო ანგარიშსწორების ღროს ფული გადახდის ფუნქციას ასრულებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფულის მოძრაობა შედარებით დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს, ფულის მოძრაობა შეიძლება ასახავდეს მატერიალური ფასეულობების მოძრაობაზე აღრე ან გვიან მოხდეს. იმისათვის, რომ ანგარიშებზე სახსრების ბრუნვამ მაქსიმალურად უტყუარად ასახოს სამეურნეო პროცესში მიმდინარე ანგარიშსწორების შემდგომი პრინციპი გვაუწყებს, რომ გადახდები, როგორც წესი, პროდუქციის გადატვირთვის, მომსახურების გაწევის, სამუშაოს შესრულების შემდეგ ხორციელდება. თუმცა ეს არ გამორიცხავს საავანსო და წინასწარ გადახდებს, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების და ფულის მიმღების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე დაშვება. სხვა ურთიერთობებზე (სადაზღვევო, კრედიტის დაბრუნების და სხვა) ფულის გადახდა ხდება მითითებულ ვადებში ან ვალებით შესრულების ვადების დადგომის მიხედვით.

ანგარიშსწორების ბოლო პრინციპი გადამხდელის ანგარიშებზე სახსრების არსებობასთან ან იმ ოდენობაში, თუ მას უფლება აქვს კრედიტზე. საკუთარი რესურსების და კრედიტზე უფლების არსებობისას, საანგარიშსწორებო დოკუმენტები მოთავსდეს სპეციალურ კართოტეკაზე და მათი გადახდა ხდება სახსრების ანგარიშზე ჩარიცხვის მიხედვით და გადახდისუნარიანობის კონტროლის გათვალისწინებით. ასეთი რიგითობა ცნობს ყველა გადახდებულების მიხედვით ანგარიშსწორების ერთი და იგივე მნიშვნელობას. თუმცა ეს რიგითობა იმსჯელებითაა, რადგან ხდება ანგარიშსწორების კონტროლის ქვეშ.

ანგარიშსწორებული სახსრების გამოყენებაში საწარმოების დამოკიდებულების გარდა ხელს უშლის გადახდისუნარიანობის რაგინობის სრული გაუქმება და რაგინობაზე კონტროლისაგან განთავისუფლება. ყველა გაანგარიშებები მხოლოდ ანგარიშის მფლობელი საწარმოების ინიციატივით უნდა მოხდეს.

ნაღდი ანგარიშსწორების ურიცხვის პრინციპს წარმოადგენს გადამხდელის თანხმობა მისი ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერაზე. გადამხდელი თანხმობას იძლევა საგადასახდო დოკუმენტების გამოწერის გზით ან დოკუმენტების აქცეპტით, რომლებიც სახსრების მიმღების მიერ გამოწერილი. ცალკეულ შემთხვევებში საქონლებზე და მომსახურებაზე ანგარიშსწორებო დოკუმენტებით ანგარიშსწორება გადამხდელის თანხმობის (აქცეპტის) გარეშე ხდება, რაც მათ სახსრების მიმღებების მიმართ არა თანასწორუფლებიან მდგომარეობაში

აყეთეს. ამიტომ უაქცეპტო წესით სახსრების ჩამოწერა დაუსაბუთებლად მიგვაჩნია. სხვაგვარ მდგომარეობაა გადასახადების ნარჩენების და ბიუჯეტში სხვა სავალდებულო გადასახდელების ამოღებასთან დაკავშირებით. გადასახადებზე და სხვა აუცილებელ გადასახადელებზე საერთო სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით საგადასახადო ინსპექციები ანგარიშებიდან მათ ჩამოწერას უდაო წესით ახდენენ. სახსრების გამოწერა უდაო წესით წარმოებს, სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი დოკუმენტების საფუძველზე. გარდა ამისა, კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სახსრების უდაოდ ჩამოწერის შემთხვევები.მაგალითად, ზოგიერთი ჯარიმები, ამოღების განკარგულებით.

უნაღდო ანგარიშსწორებაზე მოთხოვნები. უნაღდო ანგარიშების ორგანიზაცია განსაზღვრულ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. უწინარეს ყოვლისა, ხელს უწყობდეს სახსრების ნორმალურ ბრუნვას, უზრუნველყოს პროდუქციის შეუფერხებელი რეალიზაცია. ეს მოთხოვნა იქიდან გამომდინარეობს, რომ წარმოების და გასაღების დამამთავრებელი ეტაპი, აგრეთვე სრული სამეურნეო ანგარიშვალდებულების და თვითდაფინანსების განხორციელების განუყოფელი პირობაა, მოიხმარების მიერ ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, პროდუქციის (სამუშაოს მოწოდების) ღირებულების გადახდა. უნაღდო ანგარიშსწორების დროს მყიდველის მიერ პროდუქციის სარგებლიანობისა მის წარმოებაზე გაწეული ხარჯების ღირებულება აღიარება ხდება. უნაღდო ანგარიშსწორებისაგან ერთ-ერთი მოთხოვნას მათი დროულობა წარმოადგენს. ხელშეკრულების თანახმად მყიდველი საწარმოვალდებულია თავის დროზე გადაახადოს მიწოდებული პროდუქციის (სამუშაოების, მოწოდების) ღირებულება. გადამხდელის გადახდისუნარიანობა, უწინარეს ყოვლისა, მას სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა შესაბამისი შემოსავლების მიღებასთან არის დაკავშირებული. საბანკო კრედიტი დროული ანგარიშსწორების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. მის საწარმოებს დროებითი ფინანსური სიძნელეების გადალახვის საშუალებას აძლევს. ანგარიშსწორების დროულობა საწარმოს სახსრებს გადაგადაცილებულ დებიტორულ დავალიანებაზე უინვესტიციებისაგან იცავს. საერთოდ, ანგარიშსწორებანი ისეთნაირად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ პროდუქციის მიღებასა და მისი ღირებულების გადახდას შორის განსხვავებულ დროში მინიმალური უნდა იყოს. რაც უფრო მეტია ასეთი განსხვავება, მით უფრო დიდხანს სარგებლობს მოიხმარებელი ამ სახსრებით, რომელიც მას არ ეკუთვნის, ხოლო მომწოდებლის კრედიტზე მოთხოვნა იზრდება.

გადამხდელები დადგენილ ვალებში გადახდების განხორციელებაზე პასუხს აგებენ გადახდების დაგვიანებისათვის ისინი ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე 0,04 % ჯარიმას იხდიან ე.ი. წელიწადში 14,4 %-ს რიგ შემთხვევაში, ჯარიმის სახით გადახდილი თანხები უფრო ნაკლებია, ვიდრე საწარმოს მიერ ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის გადახდილი თანხა. ამიტომ მათ გადაგადაცილებული დავალიანებისათვის ჯარიმის გადახდა ურჩევნიათ . ამის შედეგად მომწოდებლები ძნელ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, წარმოიშვება გადაუხდელობის ჯაჭვი. ეს რომ არ დაუშვათ სამართლიანი იქნებოდა ჯარიმის ამ დონეზე გაანგარიშება (მაგ. 0 ჯერ გადიდება), რომ გადამხდელების დაინტერესება ეკონომიკურად გამოუსადეგარი გახადოთ. არსებული ვადაგადაცილებული დებიტორულ-საკრედიტო დავალიანება, არსებითად "არალეგალური" კომერციული კრედიტი არის. ეტყობა, დადგა დრო თამაშაქის შემოქცევის გაუქმების ორგანიზაცია, რათა ასეთი კრედიტი ლეგალიზებული გაეხადოთ. როგორც ცნობილია საწარმოებისათვის კანონით დაშვებულია კრედიტით პროდუქციის მიწოდება და მომსახურებების გაწევა.

ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენის დ.სოროსის მიერ ანგარიშსწორების დროულობის შესახებ საინტერესო და ჭკუის სასწავლი დაკვირვებაა ჩატარებული. ის თანამედროვე უნგრეთს ადარებს იქ ბრუნვაში არსებულ ფულის რაოდენობაზე და ვადაგადაცილებულ კრედიტებზე არსებობს შესაძლებლობა ძალის გამოყენება არ შეიძლება. უბრალო "საწარმოები ერთმანეთს არ ემორჩილებიან... კრედიტორები ყარაულობენ მეკვლე საწარმოების ანგარიშებზე როდის შემოვა სახსრები, რადგან თვით მეკვლე საწარმოც ვიღაცის კრედიტორია და ისიც ელოდება თანხის შემოსვლას. ეს მოვლენა მთელ ეკონომიკურ სისტემაზე გავრცელდა... ყველაფერი ეს იმ შემთხვევაში შეიძლებოდა თუ საწარმოებს დაეძალებინათ განეცხადებინათ გაკოტრების შესახებ. კრედიტორები, რომლებიც მშვიდად ცხოვრობენ მანამ, სანამ მათ თანხებს ჩაურიცხავენ, ამ შემთხვევაში თავიანთ ფულს დაკარგავდნენ და მაშინ ისინი კარგად დაფიქრდებოდნენ, სანამ სხვას კრედიტით გასცემდნენ" 1. მიუხედავად ეკონომიკური მდგომარეობის განსხვავებისა ასეთი სიტუაცია ჩვენი ქვეყნისათვისაც არის დამახასიათებელი.

კონტროლი ანგარიშსწორების პროცესში გადახდის საშუალების ფუნქციაში ფული ფუნქციების არამექანიკურ მოძრაობას კი არ შეამდგომლობს, არამედ მაკონტროლებელი ხასიათს ატარებს. ამიტომ მნიშვნელოვან მოთხოვნას, რომელსაც უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, არის მისი დახმარებით ვალდებულებების პირობების დაცვაზე, კონტროლის განხორციელება (ვალდებულების ხელშეკრულებები, იჯარა). თითოეული მონაწილესთვის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემაში კონტროლის აუცილებლობა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებით. მომწოდებლისათვის ეს ხელშეკრულების შესაბამისად წარმოებული და გადაცვირთული პროდუქციისათვის ფულადი სახსრების დროულად მიღება, მყიდველისათვის-მიწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულება. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია დროულობას და ბიუჯეტში გადასახადების სისწორეს აკონტროლებს. ბანკი – კრედიტების დაბრუნებას.

საბანკო ორგანოებს უფლება არა აქვთ კლიენტის ფულადი სახსრების გამოყენების მიმართულება განსაზღვრონ და გააკონტროლონ, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას გადასახდელების რიგისობაზე კონტროლი წარმოადგენს, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. სხვა შემთხვევებში ბანკების საქმიანობა ანგარიშსწორების დადგენილი წესების დაცვის კონტროლამდე დაიყვანება. უწინარეს ყოვლისა, ასეთი კონტროლის მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ უმეტეს წილად ის წინასწარ განსაზღვრავს ანგარიშსწორების ტარების და იმ მხარეების ინტერესების დასაცავად ხორციელდება, რომლებიც ანგარიშსწორებაში მონაწილეობენ. ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება. ზოგიერთ საწარმოში ხელშეკრულებო დისციპლინას ზრდვენენ და ამ მიზეზის გამო ალბენ უარს მათ მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდაზე. ასეთი საწარმოებისათვის ბანკს ანგარიშსწორების ისეთი რეჟიმის შემოღება შეუძლია, რომლის დროსაც საანგარიშსწორებო დოკუმენტებზე, მხოლოდ მყიდველის წინასწარი თანხმობის საფუძველზე აწარმოებს გადახდა. ეს ნორმა დებულებათაგან სახსრების შემცირებას აყოვნებს და მათ სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვაში უბიძგებს იმიტომ, რომ ბანკმა ჩამოქმედების აღნიშნული ზომა გაუქმოს.

ზოგიერთ ბანკს გადასახდელად ე.წ. უსაქონლო დოკუმენტებს წარუდგენენ, ე.ი. ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც გამოწერილია საქონლის გაღტვირთვის გარეშე. ასეთი ფაქტის აღმოჩენისას ბანკი საანგარიშსწორებო დოკუმენტებში მითითებული თანხის 4% ჯარიმის სახით ანგარიშობს. თუ ასეთი შემთხვევები რამდენჯერმე განმეორდა, ბანკს შეუძლია საანგარიშსწორებო დოკუმენტების დასაქონლების წინასწარ შემოწმების წესი შემოიღოს. ეს ნიშნავს, რომ მაღა

წარდგენისას ბანკში ამავე დროს წარმდგენილი უნდა იქნეს დოკუმენტები, რომლებიც საქონლის გადმოტვირთვას (გამოშვებას) ადასტურებენ. საქონლის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ორგანოების მითითებით, ბანკის უზარისხო საქონლის მიმწოდებელი საწარმოს საანგარიშსწორებო დოკუმენტების შესასრულებლად მიღებას წყვეტს.

ამასთან, ბანკებს კლიენტის წინაშე მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ. თუ მაგალითად, ბანკი საგადასახადო დოკუმენტის მიღებიდან მეორე დღეს ფულს ანგარიშზე არ ჩარიცხავს, მაშინ ის ანგარიშის მფლობელს ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, საბუთებში აღნიშნული თანხის 0,5 % ოდენობით, უხდის ჯარიმას. ასეთივე ჯარიმაა დადგენილი, ბანკის მიერ გადამხდელის ანგარიშიდან, მისი მითითებით სახსრების ჩამოწერის დაყოვნებისათვის, ასევე, თუ ჩამოწერა ან ჩარიცხვა სწორად არ იყო წარმოებული.

ბანკებს შეუძლიათ გამოიცხადონ გამსესხებელი გადახდისუუნაროდ, თუ ის თავის ვალდებულებებს, კრედიტის ძირითად დაბრუნებაზე და სხვა ანგარიშების მიხედვით, არ ასრულებს. ამის შესახებ ეცნობება საქონლო-მატერიალური ფასეულობის ძირითად მიმწოდებელს, სამეურნეო სამმართველოს ზემდგომ ორგანოს (თუ კი ასეთი არსებობს) და სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელ კომიტეტს, სადაც აღრიცხვაზეა აყვანილი ეს საწარმო. თუ ეს საქციო საზოგადოებაა, ასევე მის დამფუძნებელს (მონაწილეებს) შეატყობინებენ ასევე საწარმოების ოპერატიული მართვა გადაეცემა ადმინისტრაციას, რომელიც ბანკ- კრედიტორის მონაწილეობით ინიშნება. უკანასკნელი ზომების სახით საწარმოების რეორგანიზაცია ხდება და ის გადახდისუუნაროდ გამოცხადდება.

2. უნაღდო ანგარიშსწორების ძირითადი ფორმები

სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორება ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული ფორმით ხორციელდება. ამასთან ანგრეტული ფორმა მიმწოდებლის და მყიდველის შორის დადებულ ხელშეკრულებაშია მითითებული.

ბანკში, ფულის გადამხდელისათვის მიმღებისათვის საანგარიშსწორებო დოკუმენტების სახეობას და დოკუმენტბრუნვის ორგანიზაციას. უნაღდო გაანგარიშების შემდეგი ძირითადი ფორმებით განსაზღვრავენ: საგადასახდელო მოთხოვნებით, საგადასახდელო დავალება, საანგარიშსწორებო ჩეკები და აკრედიტივები.

ანგარიშსწორება საგადასახდელო მოთხოვნებით. საგადასახდელო მოთხოვნა ეს არის საანგარიშსწორებო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სახსრების მიმღების მოთხოვნებს, გადამხდელის მიმართ, ბანკის მეშვეობით განსაზღვრული თანხის გადახდაზე. ქვემოთ საგადასახდელო მოთხოვნებით ანგარიშსწორების სქემა მოცემულია (სქემა 2). საგადასახდელო მოთხოვნები ყველაზე უფრო მიზანშეწონილია საქონელებზე და მომსახურეობაზე ანგარიშსწორებისას. ისინი მიმწოდებლისათვის მოსახერხებელია, რადგან ბანკი საგადასახდელო მოთხოვნების ინკასირების ახდენს, მყიდველისათვის ფულის გადახდევინების თვალყურს ადევნებს. მყიდველს შესაძლებლობა აქვს საბუთებით გააკონტროლოს მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო პირობების დაცვა და უარი თქვას აქცეპტზე, თუ ეს პირობები დარღვეულია.



სქემა 2.

არსებობს აქცეპტი წინასწარი ან შემდგომი. წინასწარი აქცაპტის დროს ბანკი გადამხდელის ანგარიშიდან სახსრებს ჩამოწერს, თუ კი ის დადგენილ დროში აქცეპტზე უარს არ მიიღებს. ამრიგად, საბიუჯეტო და სხვა ანგარიშებიდან სახსრების არაკანონიერ ჩამოწერას თავიდან ვიცილებთ. მაგრამ, ამის გამო ფულის მოძრაობა რამოდენიმე დღით იფიქება. შემდგომი აქცეპტის დროს ბანკი სახსრებს დაუყონებლივ ჩამოწერს, მაგრამ შემდეგ აღადგენს მათ ანგარიშზე, თუ კი გადამხდელი დადგენილ დროში აქცეპტზე უარს განაცხადებს. აქ სახსრების ჩამოწერა, ე.ი. მათი ძირითადი მასის მოძრაობა დაჩქარებულია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ უარი აქცეპტზე გადასახადელების საერთო მოცულობიდან მხოლოდ რამდენიმე პროცენტს შეადგენს. სახსრების დაბრუნება და ამით გამოწვეული მოძრაობის დაყოვნება უმნიშვნელოა. საგადასახდელო მოთხოვნით ანგარიშსწორების ნაკლოვანებებია: საბუთების ხანგრძლივი ბრუნვა და თუ გადამხდელს არ აქვს სახსრები, გადაუხდელობის წარმოშობის შესაძლებლობა.

ანგარიშსწორება საგადასახდელო დავალებებით. საგადასახდელო დავალება წარმოადგენს საანგარიშო დოკუმენტს, რომელიც შეიცავს გადამხდელის დავალებას ბანკის მიმართ. მიმღების ანგარიშზე, მისი ანგარიშიდან განსაზღვრული თანხის გადარიცხვის შესახებ. საბუთების წრებრუნვა შემდეგნაირია (სქემა 3).

საგადასახდელო დავალებებს ყველაზე უფრო ფართოდ კოლმეურნეობებში, მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვაზე ანგარიშსწორებისას და სხვა სასაქონლო ანგარიშსწორებისას იყენებენ. აგრეთვე მათი დახმარებით საქონლებზე და მომსახურებაზე წანასწარი გადახდები, საფინანსო გადასახადები, უსაქონლო გადასახდელების უმეტესი ნაწილი ხორციელდება. მაგ. ბიუჯეტში გადახდები ანგარიშსწორების დავალებებით გადახდებს აჩქარებს,



სქემა 3

მაგრამ მიმწოდებლები ხშირად მათ გამოყენებაში არ არიან დაინტერესებულნი, რადგან მყიდველებზე დამოკიდებული ხდებიან, რომლებსაც შეუძლიათ მათი გამოწერა დააყოვნონ.

ანგარიშსწორება ჩეკებით. საგადასახდელო ჩეკი - ესაა საბუთი, რომელიც ბანკის მიმართ, ჩეკის გამცემის დავალებას შეიცავს, მისი ანგარიშიდან განსაზღვრული თანხის ჩეკის მიმღების ანგარიშზე გადარიცხვის შესახებ. საჩეკო ფორმით ანგარიშსწორებისას საბუთების წრებრუნვა ნაჩვენებია 4 სქემაზე.



სქემა 4.

შენიშვნა: 1. ჩეკის გამოწერა (5) მყიდველის წარმომადგენელის მიერ, მომწოდებლისაგან (4), საქონლის მიღებისთანავე ხდება. 2. იმ საწარმოებთან, რომლებიც ბანკების და მომხმარებლის წინაშე დავალებებს დროულად ასრულებენ, ბანკს შეუძლია სახსრების დეპონირების გარეშე საჩეკო წიგნების გაცემაზე გააფორმოს შეთანხმება და ბანკის ანგარიშზე ჩეკების მიხედვით გადახდების გარანტია უზრუნველყოს. იმ შემთხვევაში როდესაც ჩეკის მომცემს სახსრები არ აქვს, ამის გათვალისწინებით, ოპერაცია 2 არ ჩატარდება, ოპერაცია 9 სახეს იცვლის.

საჭიროა განვასხვავოთ საანგარიშსწორებო ჩეკები ფულადი ჩეკებისაგან, რომლის მეშვეობითაც ბანკიდან ნაღდი ფული გაიცემა. საანგარიშსწორებო ჩეკებზე ნაღდი ფულის, ხურდის, გაცემა არ შეიძლება. ჩეკები გამოიყენება იმ საქონლებზე ანგარიშებისას, რომელთა მიღება - ჩაბარების საბუთების საფუძველზე და ასევე ტრანსპორტით მომსახურებისას ხდება. ეს ანგარიშსწორების ერთ-ერთი გარანტირებული ფორმაა. ჩეკებით გადახდა საბანკო კრედიტით ან სპეციალურად შექმნილი დეპოზიტიდან ხდება.

ანგარიშსწორების საკრედიტივო ფორმა. აკრედიტივი ესაა მყიდველის ბანკის მომწოდებლის ბანკის მიმართ დავალება, გაფორმებულ საქონელზე ან გაწეულ მომსახურეობებზე მოახდინოს მომწოდებლის ანგარიშების გადახდა, რომელიც მყიდველის საკრედიტივო განაცხადში არის გათვალისწინებული. ანგარიშსწორების საკრედიტივო ფორმით დოკუმენტების ბრუნვის ასეთი სახე აქვს: ანგარიშსწორების საკრედიტივო ფორმის დროს საბუთების წრებრუნვა.



სქემა 5

შენიშვნა: გადამხდელ საწარმოებთან, რომლებიც ბანკების ვალდებულებებს დროულად ასრულებენ, ბანკის დაწესებულებას სახსრების დეპონირების გარეშე შეუძლია აკრედიტივის გასახსნელად ხელშეკრულების გაფორმება. ამ დროს ბანკი, საწარმოს ანგარიშზე სახსრების დროებით უქონლობის შემთხვევაში, გარანტიას იძლევა, სალებეტო ავიზოთი აკრედიტივის თანხების გადახდაზე, ბანკის სახსრების ხარჯზე. ამის გათვალისწინებით მე-2 ოპერაცია არ აწარმოება, ხოლო მე-9 ოპერაცია სახეს იცვლის.

აკრედიტივი საქონლებზე, სხვა ქალაქური ანგარიშსწორებისას ძირითადად ერთჯერადი მიწოდების დროს გამოიყენება. ანგარიშსწორების საკრედიტივო ფორმის ნაკლოვანება საქონლის ბრუნვის დაყოვნება. როგორც სქემიდან ჩანს საქონლის გადატვირთვა მხოლოდ აკრედიტივის მიღების შემდეგ ხდება.

ანგარიშსწორების ისეთი საგარანტიო ფორმები, როგორიცაა ჩეკები და აკრედიტივები, მომწოდებლისათვის ხელსაყრელია რომ არაწესიერი გადამხდელის მიმართ იქნეს გამოყენებული, ან კიდევ ისეთი მყიდველების მიმართ, რომელთა გადახდისუნარიანობაც მართვის უცნობია. რაც

შეუხება გადამხდელებს, აკრედიტივის წარსადგენად ცალკეულ ანგარიშებზე საკუთარი სახსრებ
დეპონირება ან საწყო წიგნის ყიდვა აბრკოლებს მათ ფულად ბრუნვას და დროებითი ფინანსუ
სიძნელეები შეუძლია გამოიწვიოს. ეს, რომ არ დავუშვათ აღნიშნული მიზნისათვ
მიზანშეწონილია მივმართოთ მოკლევადიანი კრედიტების მიღებას.

ანგარიშსწორების საშუალებები. ანგარიშსწორების ყველაზე უფრო გავრცელებუ
ფორმას ურთიერთ მოთხოვნების ჩათვლები და საგეგმო გადასახადები მიეკუთვნე
ჩათვლები შეიძლება მუდმივ და ერთჯერად ხასიათს ატარებდეს. ორ საწარმოს ან რამდენი
საწარმოს შორის ჩათვლის ჩასატარებლად მონაწილეს ცალკე ანგარიში ეხსნებ
რომლიდანაც გადასახადები ხორციელდება და რომლებზეც შემოსავლები ჩაირიცხება. ო
გადასახადები გადააჭარბებენ, კრედიტორული სალდო წარმოიქმნება, რომლის თან
ანგარიშსწორების ანგარიშზე ირიცხება.სადებიტო სალდოს თანხა, რომელ
შემოსავლებზე გადასახდელების გადაჭარბების შედეგად წარმოიშვება, ანგარიშსწორებ
ანგარიშიდან ან საბანკო კრედიტის ხარჯზე გადაიხდება. კრედიტის გამოყენება ჩათვლი
სალდოს გადასახდელად, უფრო ეკონომიკურია ვიდრე მათი წარმართვა თითოეულ
საანგარიშსწორებო საბუთების ცალ-ცალკე გადახდაზე რადგან ნაკლები კრედიტი იქნებ
საჭირო ურთიერთ ჩათვლის განსახორციელებლად.

ჩვენს მეურნეობაში ჩასათვლელი ოპერაციების განვითარებისათვის ფართო შესაძლებლობებ
არსებობს, თუმცა ისინი ჯერ კიდევ არასაკმარისად გამოიყენებიან. დაისვა საკითხ
მუდმივმოქმედი, ურთიერთ მოთხოვნების ჩათვლის ეფექტური სისტემის დამუშავების.გეგმიურ
გადახდები იმ საწარმოებს შორის გამოიყენება, რომლებსაც პროდუქციის მიწოდების მჭრივ
მუდმივი და შედარებით თანაბარი ურთიერთობანი აქვთ. მაგალითის სახით შეიძლება
მეტალურგიული ქარხნისათვის რკინის მადანის მიწოდება მოვიყვანოთ. ამ შემთხვევაში
გადახდელის მიერ არა ცალ-ცალკე, თითოეულ მოწოდებაზე, არამედ პერიოდულად ხდება
თანხების გადახდა. მაგალითად, ერთჯერ 3-5 დღეში, ყოველი თვის ბოლოს ანგარიშები
ზუსტდება. ანგარიშსწორების ეს წესი მათ საგრძნობლად ამარტივებს, საანგარიშსწორებო
საბუთების რაოდენობ ს, ფულადი სახსრების მოძრაობას, პროდუქციის მოძრაობასთან
მაქსიმალურად ახლოვებს.

სახსრების ჩამოწერის და ჩარიცხვის ყველა ჩატარებულ ოპერაციებზე ბანკები ანგარიშების
მფლობელებს ინფორმაციას აწვდიან. რეგულარულად აძლევენ მათ ანგარიშებიდან ამონაწერებს.

გადახდების წესი, ფორმები და ვადები ფინანსების მდგომარეობაზე და საწარმოების
გადახდისუნარიანობაზე უშუალო გავლენას ახდენს. უნაღდო ანგარიშსწორება სამეურნეო
ხელშეკრულების შესრულების დამამთავრებელ სტადიას წარმოადგენს. აგრეთვე,
სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობის გამოვლენის
ერთ-ერთი ფორმაა. საწარმოები მატერიალურად არიან დაინტერესებულნი წარმოებული
პროდუქციის ნორმალურ, შეუფერხებელ რეალიზაციაში.

რეალიზების მოძრაობაში შექმნილი პროდუქტი, რომლის განუყოფელ ნაწილს უნაღდო
ანგარიშსწორებები წარმოადგენენ, ასევე, საწარმოების მატერიალური პასუხისმგებლობა
სახელშეკრულებო და სხვა ვალდებულებების დარღვევისათვის, უნაღდო ანგარიშსწორების
ფორმებში ვლინდება.

3. ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობები

ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობები მოიცავენ ორ ბანკს შორის
თანამშრომლობის ყველა შესაძლო ფორმათა ერთობლიობას. საქმე ეხება ისეთ ფორმებს,
რომლებიც კორექტულ, პატიოსან, შეთანხმებულ ურთიერთობებს ეფუძნება (correspondere –
ლათინურად თანახმა). ბანკები ერთმანეთზე სხვაგვარად ურთიერთმოქმედებენ. ისინი კონკურენტებს
წარმოადგენენ, კრედიტების მიზიდვის საქმეში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ამასთან, ერთმანეთს
კრედიტებს აძლევენ. ბანკებს შეუძლიათ აგრეთვე კორესპონდენტები იყვნენ ე.ი. ერთდროულად
რიგების შეცვლით რიგრიგობით ერთმანეთის მიმართ კლიენტების სახით გამოვიღნენ. ორ ბანკს
შორის საკორესპონდენტო ურთიერთობები დროის მიხედვით შედარებით უბრალო ამოსავალი
პუნქტიდან კომპლექსურ თანამშრომლობამდე ვითარდება.

საკორესპონდენტო ურთიერთობის აუცილებლობა იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როცა
ბანკს თავის კლიენტებისათვის რაიმე მომსახურების გაწევა არ შეუძლია ან, როცა მეორე ბანკი
ამას უფრო სწრაფად, იაფად და უკეთ გააკეთებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა
ავირჩიოთ ბანკი-კორესპონდენტები. სავალდებულო არაა, რომ ისინი ბევრნი იყვნენ. მთავარია,
რომ ისინი საქმიანობის ხასიათის იმ ოპერაციებს ავსებდნენ, რომელსაც ბანკი თავის
კლიენტებისათვის ასრულებს. საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარების შემდეგ პირველ
რიგში ანგარიშსწორებების ჩასატარებლად, ანგარიშების გახსნა წარმოადგენს. თუ შინაგან
ანგარიშსწორებებზე ვილაპარაკებთ, მაშინ აქ რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ყველაზე
გავრცელებული წესია, როდესაც კომერციული ბანკები საკორესპონდენტო ანგარიშებს
ურთიერთსებულებში და ცენტრალურ ბანკებში ხსნიან. ისინი ერთმანეთთან საფოსტალოთაშორისო
ბრუნვების (სბ) ერთიანი სისტემით არიან დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ანგარიშები
ეროვნულ ხასიათს ატარებენ, რადგან ქვეყნის ტერიტორიეზე ნებისმიერი ბანკი, ე.ი. ყველა
ასეთი კლიენტი სბ სისტემით ნებისმიერ სხვა ბანკთან (კლიენტთან) ახდენენ ანგარიშსწორებას,
ანუ ცენტრალური ბანკის დაწესებულებაში ერთი საკორესპონდენტო ანგარიში საკმარისია.

კომერციულ ბანკებს შორის ანგარიშსწორება საანგარიშო ცენტრების საშუალებით
ხორციელდება. აუცილებლობის შემთხვევაში ასეთი ცენტრები რესპუბლიკურ, სამხარეო, საქალაქო,
საოლქთაშორისო დონეზე იქმნება. მათი ჩამოყალიბება, როგორც ცენტრალური ბანკის
დაწესებულებებში, ასევე გამოთვლითი ცენტრების ბაზაზე ხდება. საანგარიშო ცენტრების
სტრუქტურა, მათი შექმნილი ორგანოს მიერ. ე.ი.ცენტრალური ბანკის მიერ განისაზღვრება.
საანგარიშსწორებო ცენტრებს, ბანკთაშორის ანგარიშების მიხედვით, სპეციალური ნორმები
უნიშნებათ. ეს მათი აღვილად მოძებნისათვის და ეგმ-ზე დამუშავებისათვის ხდება. ბანკი,
საკორესპონდენტო ანგარიშის გასახსნელად, საანგარიშსწორებო ცენტრში განცხადებას, დაღებული
წესის მიხედვით რეგისტრირებულ წესდების ასლს, აგრეთვე ნოტარიალურად დამოწმებულ
ხელმოწერილ ნიმუშებს და ბეჭდის ანაბეჭდს წარადგენს. შემდეგ საანგარისწორებო ცენტრსა და
კომერციულ ბანკს შორის საკორესპონდენტო ცელშეკრულება დაიდება. ასეთი ხელშეკრულების
შესაბამისად, საკორესპონდენტო ანგარიშების მიხედვით, საანგარიშსწორებო ცენტრი ფულად-
საანგარისწორებო ოპერაციებს ანხორციელებს. ასევე კომერციულ ბანკს სატელეგრაფო კოდით და
მითითებული ოპერაციის წარმოებისათვის სხვა აუცილებელი მასალებით უზრუნველყოფს,

ბანკების ფილიალების და წარმომადგენლობების აღგილმდებარეობის მიხედვით
საკორესპონდენტო სუბანგარიშების გახსნა ხდება. ამისათვის ცენტრალური ბანკის იმ

დაწესებულებების თანხმობაა საჭირო, რომელიც მოცემულ კომერციულ ბანკზე მეთვალყურეობას ანხორციელებს.

საკორესპონდენტო ანგარიშებზე ოპერაციები მათზე არსებული სახსრების ფარგლებში წარმოებს. საკრედიტო სალდოს არსებობა ნორმალური მოვლენაა რომელიც ანგარიშზე შემოსავლების, გასავლებზე გადამეტებით წარმოიშვება. ბანკებს, სახსრების დროებით უკმარისობის შემთხვევაში, ბანკთაშორისი კრედიტის მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. ამ კრედიტის თანხა საკორესპონდენტო ანგარიშზე ირიცხება, რაც გადახდების შეუფერხებლად გაგრძელების საშუალებას იძლევა. თუ ბანკი კრედიტის მიღებაზე დროულად არ იზრუნებს ან ვერ შეძლებს მის მონახვას, საკორესპონდენტო ანგარიშზე შეიძლება სალებეტო სალდო წარმოიქმნას, რის საფუძველსაც შემოსავლების გადახდებზე გარდამეტი წარმოადგენს. არსებითად ეს ნიშნავს, იმას, რომ საანგარიშსწორებო ცენტრმა ბანკი სალებეტო სალდოს თანხით დაკრედიტა. ასეთი დაკრედიტება იძულებით ხასიათს ატარებს, რადგან ამ დროს საკრედიტო ხელშეკრულება არ ფორმდება, სადაც დაკრედიტების პირობები გათვალისწინებული იქნებოდა. ამიტომ საანგარიშსწორებო ცენტრი საკორესპონდენტო ანგარიშიდან შემდგომ გადახდის შეწყვეტს, ხოლო ყველა შემოსავლებს სალებეტო სალდოს გასანაღდებლად მიმართავს, გარდა ამისა, ყოველ დღეზე თანხას 0,1 % ახლვეინებენ.

კომერციულ ბანკის ფილიალების საკორესპონდენტო სებანგარიშებიდან გადახდები მათზე სახსრების ნაშთებისაგან დამოუკიდებლად წარმოებს. მაგრამ ბანკი სულ უნდა აქცევდეს ყურადღებას იმას, რომ მთელ მის სისტემაში შემოსავლებზე გადახდების გადამეტებას (სალებეტო სალდო) არ წარმოიშვას. ბანკის ფილიალების მომსახურე საანგარიშსწორებო ცენტრები საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრების პირობების შესახებ ცენტრს აცნობენ, სადაც ამ ბანკებს ანგარიში აქვთ გახსნილი. ეს საოპერაციო დღის დამთავრების და საბუღალტრო ბალანსის შედგენის შემდეგ ხდება. სალებეტო სალდოს წარმოქმნისას ოპერაციები წყდება. საკორესპონდენტო ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის ოპერაციები, როგორც თვით კომერციული ბანკში ასევე მისი ყველა ფილიალებში წყდება. ბანკის მიმართ, რომელმაც საკორესპონდენტო ანგარიშებზე სალებეტო სალდო დაუშვა. დადგენილი ეკონომიკური ნორმატივების და ბალანსის ლიკვიდობის მაჩვენებლების დაცვაზე კონტროლი ძლიერდება. ერთი ბანკის ფილიალებს შორის ანგარიშსწორება ამ ბანკის მიერ დადგენილი წესით ხდება. შეიძლება სპეციალური საბალანსო ანგარიში № 980 იქნეს გამოყენებული, რომლის დახასიათებაა: "ერთი ბანკის დაქვემდებარეაში მყოფ საწარმოთა შორის ანგარიშსწორება". ბანკის ერთ დაწესებულებაში ანგარიშების მქონე კლიენტებს შორის ანგარიშსწორებები, ამ დაწესებულების მიერ საკორესპონდენტო და შიგასაბანკო ანგარიშსწორების გარეშე ხორციელდება, კლიენტების ანგარიშებიდან სახსრების ჩამოწერის და ჩარიცხვის გზით. ყოველი ქვეყნის ცენტრალური ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს პირდაპირი მონაწილეობა საგადასახადო სისტემის ორგანიზაციაში ან მის ფუნქციონირებაზე ზედამხედველობა. ჩვენს ქვეყანაში ცენტრალური ბანკი უშუალოდ საგადასახადო ბრუნვას უწევს ორგანიზაციას. მაგალითად, უნგრეთის ეროვნული ბანკი თვალყურს ადევნებს ანგარიშსწორების ავტომატიური სისტემების საქმიანობას, რომლებიც მათი მონაწილეების - კომერციული ბანკების მიერ არის "ორგანიზებული". ერთი ან რამდენიმე ქვეყნისათვის საგადასახადო სისტემა შეიძლება ერთიანი იყოს (მაგალითად, SWIFT) მაგრამ შესაძლებელია გადასახადების წარმოება, რეგიონალურ დონეებზეც მათი ცენტრში დამთავრებით. გერმანიაში ბანკთაშორისი ანგარიშები

ცენტრალის მეშვეობით ხორციელდება, რომლის ფუნქციასაც მიწის ბანკები ასრულებენ, ურთიერთობებში ბანკო დაწესებულებები ყოველდღე საგადასახადო დოკუმენტებს ერთმანეთში ცვლიან. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ გაცვლა წყდება და ურთიერთმოთხოვნათა ბალანსი ხორციელდება. მასზე სალდოს გამოანგარიშება შესაბამის ცენტრალურ მიწის ბანკში ხდება.

ჩვენს ქვეყანაშიც ბანკთაშორისო ანგარიშსწორების ალტერნატიული ვარიანტი არსებობს. კომერციულ ბანკებს, კლიენტებისათვის ანგარიშსწორების და ურთიერთმო თხოვნათა ბალანსის ოპერაციების ჩასატარებლად თავისი საანგარიშსწორებო ცენტრების ჩამოყალიბება შეუძლიათ. ასეთ მომჭედელ ან სპეციალურად შექმნილი გამოთვლითი ცენტრი ამ მიზნისათვის გამოიყენება. ბანკის სხვა ქალაქური დაწესებულებები ერთიერთ მოთხოვნათა ბალანსის მონაწილეთა რიცხვში შედიან იყვნენ ჩართული. კომერციულ ბანკებს, თავისი კლიენტების ანგარიშსწორებისათვის, სხვა ბანკებში საკორესპონდენტო სებანგარიშების გახსნა შეუძლიათ. საკორესპონდენტო ურთიერთობებზე ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია: სამეურნეო ორგანოების წრე, ვის შეძლებაც ანგარიშსწორებებში მიიღებენ მონაწილეობას; ანგარიშსწორების მიზედვი დოკუმენტების და ოპერაციების ჩამონათვალი და მათ შესასრულებლად საჭირო საბუთები; გადახდის პირობები, ორივე ბანკის საკონტროლო ფუნქციები და მათ შორის ინფორმაციის ბალანსის წესი.

სებანგარიშებზე ოპერაცია ერთი ბანკის მიერ მეორის დავალებით და მისივე ხარჯზე ხორციელდება. ე.ი. ეს ოპერაციები ლოკალურ ხასიათს ატარებენ, ამიტომ დავუშვათ 100 ბანკთან საკორესპონდენტო ურთიერთობებისათვის 100 ანგარიში უნდა გაიხსნას. აქ დაღებითია ის, რომ ანგარიშები დაჩქარებულია, რადგან საანგარიშო ცენტრების გვერდის ავლით ხორციელდება.

საგადასახადო სისტემა, მის ორგანიზაციაზე დამოუკიდებლად უნდა პასუხობდეს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა საიმედობა, სიჩქარე და გადასახადების მიღების ვადების წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობა. სხვადასხვა სისტემები შეიძლება პარალელურად არსებობდნენ და ერთმანეთს ავსებდნენ.

4. უცხოურ ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობები

კომერციული ბანკის მიერ საზღვარგარეთის ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობების დასამყარებლად თავდაპირველად საჭიროა ცენტრალურ ბანკში გენერალური ლიცენზიის მიღება. ასეთი ლიცენზია კომერციულ ბანკს, უცხოური ვალუტით, სრული ან შეზღუდული საბანკო ოპერაციების შესრულების უფლებას აძლევს, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთ. პრაქტიკულად, ბევრ ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარება ძნელია. მაგალითად, რუსეთის საგარეო ეკონომიკურ ბანკს ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობები 134 ქვეყნის 8 ათას ბანკთან გააჩნია, დოიჩე ბანკს - 184 ქვეყნის 4 ათას ბანკთან. თუმცა, აქ ასეთი ფართო საკორესპონდენტო ქსელი ათეული წლების განმავლობაში მუშაობის შედეგად შეექმნა, ხოლო ბანკებმა, რომლებიც სულ ახლახან შეიქმნა საკმარისია ურთიერთობა დაამყარონ ყველა ქვეყანაში 2-3 ბანკთან, რომლებიც საუკეთესო მომსახურეობას უზრუნველყოფენ.

სანამ საკორესპონდენტო ურთიერთობის დასამყარებლად დაიწყება მუშაობა, საჭიროა განსაზღვროს, თქვენ რომელი ქვეყნის ბანკი გჭირდებათ. საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა ქვეყნების

საბანკო სისტემა თავისი ხასიათის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ასე მაგალითად, დასავლეთ ევროპაში ჭარბობს უნივერსალური ბანკები, რომლებიც ოპერაციების ფართო წრეს ანხორციელებენ. აშშ-ში და იაპონიაში. პირიქით, უფრო მეტია სპეციალიზირებული და საინვესტიციო ბანკები, რომლებმაც თავიანთი საქმიანობა ოპერაციების ცალკეულ სახეობის მიხედვით წარმართეს. საბანკო ალმანახის მიხედვით შეიძლება კონკრეტული ბანკის ამორჩევა. თქვენს შეკითხვას ამა თუ იმ ბანკის საიმედობის შესახებ საერთაშორისო სააგენტოები მაგ. ნიუ-იორკის და ლონდონის რეიტინგის მიხედვით უპასუხებენ. შემდეგ კი ეჭვი არ შეგეპაროთ იმაში, რომ თქვენს მიერ ამორჩეული ბანკი თქვენს საიმედობაშიც დარწმუნებას მოისურვებს. ამიტომ მხოლოდ წერილი, წინადადებით მათთან საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარების შესახებ, საკმარისი არ იქნება. წერილს წესების, გენერალური ლიცენზიის ასლების, ბანკის საქმიანობის ანგარიში უნდა დაურთოთ. მზად უნდა იყოთ ამისათვის, რომ ბანკი თქვენს შესახებ ყველაფრის გაგებას მოისურვებს. მოკლეთ, ნუ იძუნწებთ თქვენს შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ თქვენ საზღვარგარეთის ბანკი საიმედო პარტნიორად ჩაგთვლით, ის პირველი ნაბიჯის სახით ანგარიშის გახსნაზე დაგეთანხმებათ. ამისაგან საიდუმლო კოდის შესახებ მიიღწევა ურთიერთ შეთანხმება, რომელიც მესამე მხარეების მიერ ანგარიშების ბოროტად გამოყენებას გამორიცხავს. გარდა ამისა, ბანკები ერთმანეთს პასუხისმგებელი თანამდებობის პირების სიას და მათი ხელმოწერების ნიმუშებს აცნობებენ. გასახსნელი ანგარიშები ორი ტიპის არსებობს: მომსახურე ბანკში ანგარიშს "ლორო" ეწოდება. ბანკში, რომლებშიც იხსნება საკორესპონდენტო ანგარიში - "ნოსტრო". დამახსოვრება ადვილი რომ იყოს: "ლორო" ანგარიში -ნიშნავს "თქვენი ანგარიში ჩვენთანაა". "ნოსტრო" ანგარიში კი " ჩვენი ანგარიში თქვენთანაა". ის რაც ერთი ბანკისათვის "ლორო" ანგარიშს წარმოადგენს, მეორე ბანკისათვის "ნოსტრო" ანგარიშია და პირიქით.

ძირითადი ჩანაწერები "ლორო" ანგარიშზე კეთდება. ეს ჩანაწერები გაღახდების დროულობის და პროცენტების დარიცხვის უზრუნველყოფისთვის გადამწყვეტია. ოპერაციები "ნოსტრო" ანგარიშზე სარკისებრი ბუჰალტერიის მეთოდით ტარდება. ანგარიშების გახსნის შემდეგ განისაზღვრება ოპერაციების წრე, რომლებსაც კორესპონდენტი ბანკები ერთმანეთისათვის შეასრულებენ. ამასთან, როგორც წესი, ურთიერთობები თანდათან ვითარდება, ღაწყებული გარიგებების შეზღუდული მოცულობით. თავდაპირველად საკორესპონდენტო ურთიერთობები ბანკის კლიენტების მომსახურებისათვის გამოიყენება, პირველ რიგში - საბუთებიანი და უსაბუთო ოპერაციების საფუძველზე საგადასახადო ბრუნვის წარმოებისათვის. ჩვენი ქვეყნის საწარმოების საზღვარგარეთის კონტრაგენტებთან ანგარიშსწორებისათვის საბუთებიანი ოპერაციებია დამახასიათებელი. ე.ი. გადახდები ხდება საბუთების საფუძველზე, რომლებიც საქონლის გადაზიდვის ფაქტს, მის ღირებულებას, დაზღვევას და მდგომარეობას ადასტურებენ. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება: საზღვაო კონოსამენტები, საავიაციო და რკინიგზის ზედნადებები, სადაზღვევო პოლუსები ანგარიშ-ფაქტურები, მოწმობები საქონლის წარმოებაზე, ხარისხის სერთიფიკატები, ცნობები ტვირთის წონაზე. აღნიშნული ანგარიშსწორებები ფასიანია და დოკუმენტალური ინკასოს და აკრედიტივის ფორმით იწარმოება. როგორც წესი, ბანკები ერთმანეთში მომსახურებების ტარიფების კატალოგებს წინასწარ ცვლიან.

განსაზღვრულ ეტაპზე საკორესპონდენტო ურთიერთობები უფრო მაღალ საფეხურისაკენ მიიწევს, ბანკთაშორის ოპერაციებს მოიცავს. აქ შეიძლება ვალუტების ყიდვა-გაყიდვის, ფულად ბაზარზე ვაჭრობის, ერთმანეთისათვის განსაზღვრული ღროით ფულადი სახსრების მიცემის ოპერაციები ღავასახელოთ. ასევე ბანკთაშორის ოპერაციებს ანაბრების მოზიღვა და განლაგება

მიეკუთვნება. ფასიანი ქაღალდების შენახვა, საკრედიტო კლირინგული ანგარიშსწორებები, ვალუტის ყიდვა-გაყიდვა, თვით ბანკების ან მათი კლიენტების მოთხოვნილებიდან გამომდინარე ხდება. ეს ოპერაციები წინასწარი ან შემდგომი გადახდის წესით იწარმოება. ამ ორ მოცემულ ოპერაციას შორის თანაფარდობა ბანკთა შორის ნდობის ხარისხზეა დამოკიდებული. ფულად ბაზარზე ვაჭრობა განსაზღვრული ვადით ან ყოველ ღღე ხდება, არსებითად, ის შეიძლება საკრედიტო ოპერაციებს მიეკუთვნოთ. ანაბრების განაწილებისას ბანკი მიისწრაფის მათზე რაც შეიძლება მეტი შემოსავლის მიღებისაკენ.

საზღვარგარეთის ბანკში იხსნება მიმდინარე ანგარიში კლირინგული ოპერაციების ჩასატარებლად, რომელზეც რამდენიმე ბანკთან დებეტით და კრედიტით ოპერაციები იწარმოება.

ბანკებს შორის ასეთი ანგარიშის გასახსნელად განსაკუთრებული ნდობითი ურთიერთობები უნდა არსებობდეს. ისინი განსაკუთრებულ კონტროლს საჭიროებენ, რადგან ბანკი, რომელსაც კლირინგული ანგარიში მიპყავს, თავისი სახსრების შესაძლო მნიშვნელოვანი დაბანდების გამო, დიდ რისკს ეწევა. საკუთარი საკრედიტო ოპერაციები ღროებითი ფინანსური დაბრკოლებების გადასალახად და სხვა მიზნებისათვის იწარმოება.

საკორესპონდენტო ურთიერთობები ურთიერთნდობაზეა დამყარებული, ამიტომ ამ ურთიერთობების მონაწილე პასუხისმგებელი პირების ერთმანეთთან ვიზიტების დიდი როლი ენიჭება. რასაკვირველია, ამისათვის უცხო ენების ცოდნაა საჭირო. გარკვეული ღროის შემდეგ მაზანშეწონილია სხვა ბანკების თანამშრომლების ღროებით მიღება ინფორმაციისა და სწავლების მიზნით. კარგად მომზადებულ თანამშრომლებს შეუძლიათ სწრაფად განსაზღვრონ საბანკო გარიგებების რისკები და უკეთ მოუარონ მათ.

ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობებში რისკის 3 სახეს ანსხვავებენ: ქვეყნის რისკი, ბანკის ფინანსური საიმედობის რისკი და ოპერაციების სახეობის რისკი. ქვეყნის რისკი დაკავშირებულია მის პოლიტიკურ სტრუქტურასთან, სავალუტო რეზერვის არსებობასთან, ვალუტის კონვენტირების ხასიათთან და ა.შ. კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე, სახელმწიფო კრედიტუნარიანობა შეიძლება დამოუკიდებლობის საზომად გამოდგეს, რადგან კარგი კრედიტუნარიანობისას მეკალეს შეუძლია თავისი კრედიტორი ამოირჩიოს და მასთან პირობების შესახებ მოლაპარაკებები აწარმოოს.

სხვადასხვა კრიტერიუმით შეფასების საფუძველზე არსებობს ქვეყნების კლასიფიკაცია ამის გათვალისწინებით ქვეყნებისა და ოპერაციების სახეობების მიხედვით ლიმიტები დგინდება, ხანდახან თითოეული ბანკისთვის რეიტინგი განისაზღვრება, ხოლო თანამშრომლების უფლებამოსილებანი ოპერაციების სახეობების მიხედვით დიფერენცირდება. დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ დამტკიცებულ ბანკ-კორესპოდენტების ბალანსების კვალიფიცირებულ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს რისკების სწორი შეფასებისათვის.

ბალანსის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოგების და დანაკარგების ანგარიშის განხილვას. საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარების ერთ-ერთ კრიტერიუმს, რომლის დავიწყებაც არ ღირს ბანკისთვის, სარგებლის მიღება წარმოადგენს. ეს სარგებელი შეეფარდება ბანკთაშორისი ურთიერთობების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ჩვენი ბანკების მიერ საზღვარგარეთის ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ეხლა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ბანკებისათვის მნიშვნელოვანია ჰყავდეთ საიმედო პარტნიორები.

სხვადასხვა ქვეყნების საბანკო სისტემის ინტეგრაციის ერთ-ერთი საშუალებაა ბანკთაშორისი საკორესპოდენტო ურთიერთობების დამყარება. თუ წარმოვიდგენთ საზღვარგარეთ ყველა ქვეყნების საკორესპოდენტო ანგარიშების ქსელს, მივიღებთ ურთიერთ გადახლართულ ოპერაციებს. ინტეგრაციის უფრო მაღალ საფეხურს, საზღვარგარეთ ბანკების ან ფილიალების ორგანიზაცია წარმოადგენს. ხშირად ამას წინ უძღვის სხვა ქვეყნებში წარმომადგენლობების გახსნა.

1991 წლის დასასრულს ქვეყნის ცენტრალურ ბანკში 76 საზღვარგარეთის ბანკის წარმომადგენლობა იყო აკრედიტირებული. საგარეო ეკონომიკურ ბანკს საზღვარგარეთ ერთი განყოფილება და 10 წარმომადგენლობა ჰქონდა. შედარებისათვის ავღნიშნავთ, რომ ბანკი სხვა ქვეყანაში ფლობს განყოფილების, სადაც ყველა თანამშრომლების 29% მუშაობს. ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავება მთელი რიგი გარემოებებით განისაზღვრება, ერთ-ერთი მათგანია ჩვენი ვალუტის არაკონვერტირება. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ მიუბრუნდეთ ცნობილი ბანკირის ვილპელმ კრიტსიანის შეხედულებას: ქვეყნის ვალუტას, მის ფასს და საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე მის როლს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერისა და ხელისუფლების საკუთარი ღირსების გრძნობის ფორმირებისათვის. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ეკონომიკის დოლარიზაციამდე კი არ უნდა მივიყვანოთ საქმე, არამედ მანეთის მსყიდველობითი უნარიანობის გამტკიცებამდე, ქვეყნის შიგნით მის ერთადერთ საგადასახადო საშუალებად აღიარებამდე. ჩვენი აზრით, ეს მთავარი გზაა საზღვარგარეთის ბანკების ნდობის მოსაპოვებლად, ანუ ბანკთაშორისო ურთიერთობების ფართო განვითარებისათვის.

თ ა ვ ი VI

კომერციული ბანკების რესურსები. ბანკების პასიური ოპერაციები

1. კომერციული ბანკების რესურსები

უპირველეს ყოვლისა, კომერციული ბანკები გამოდიან, როგორც სპეციფიკური დაწესებულებები, რომლებიც ერთის მხრივ, მეურნეობის დროებით თავისუფალ სახსრებს იზიდავენ, ხოლო მეორეს მხრივ, ამ მოზიდული სახრების მეშვეობით საწარმოების, ორგანიზაციების და მოსახლეობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ "საბანკო რესურსები" უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე "დაკრედიტების რესურსები", რადგან "საბანკო რესურსები" არა მარტო დაკრედიტების მიზნებისათვის გაიცემა, არამედ ბანკების სხვა აქტიური ან პასიური ოპერაციების განხორციელებისათვის. საბანკო-საკრედიტო ლექსიკონში საბანკო რესურსების შემდეგი განმარტებაა მოცემული: "საბანკო რესურსები იმ სახსრების ერთობლიობაა, რომლებიც ბანკების განკარგულებაში იმყოფებიან და მათ მიერ საკრედიტო და სხვა აქტიური ოპერაციებისათვის გამოიყენებიან". მოცემული განმარტების ყველა ღირსების მიუხედავად, მისი ნაკლია ის, რომ მასში საბანკო რესურსების წყაროებს ყურადღება სულ არ ექცევა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემის ფუნქციონირების პირობებში საბანკო საქმეზე განსაკუთრებული სახელმწიფო მონოპოლია არსებობს და ყველა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები კანონმდებლობით ვალდებული იყვნენ თავიანთი რესურსები სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში შეენახათ და ანგარიშსწორებანი ამ დაწესებულებების მეშვეობით განეხორციელებინათ. ბანკები, საწარმოების და დაწესებულებების რესურსებს პრაქტიკულად უფასოდ იღებდნენ, რადგან მხოლოდ კოოპერატიულ საწარმოებს პატარა პროცენტს (წლიურ 0,5 %) ურიცხავდნენ. ამ პირობებში წარმოიშვა ისეთი ეკონომიკური ცნება, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი სასესხო ფონდი. ის განისაზღვრებოდა, როგორც სახელმწიფოს მიერ საბანკო სისტემის მეშვეობით მობილიზირებული ფულადი სახსრები, რომლებიც სახალხო მეურნეობის დაკრედიტებისათვის გამოიყენებოდა.

ამგვარად, ბანკების რესურსები მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების ობიექტს წარმოადგენდნენ, თუმცა შეიძლებოდა მათი კოოპერატიულ დაწესებულებებისათვის და ძალიან მცირე ოდენობით მოქალაქეებისათვის პირად სარგებლობისათვის გაცემა.

ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემის პირობებში კავშირი საკრედიტო რესურსებისა და საკრედიტო დაბანდებებს შორის უზრუნველყოფილი იყო, ერთის მხრივ, ღირებულების მოძრაობით სასაქონლო ბრუნვის ფორმით - მეორეს მხრივ იმით, რომ სახელმწიფოს სასესხო ფონდი არა სასაქონლო გაცვლით ურთიერთობებს ასახავდა, არამედ უფრო განმანაწილებლობით ურთიერთობებს და სახელმწიფოს განმანაწილებლობით ურთიერთობების ერთიან სისტემაში ორგანულად ერთვებოდა. უკვე სახელმწიფო ბანკების საკრედიტო გეგმების შედგენის პროცესში და მათი სახალხო მეურნეობის გეგმებთან დაკავშირების

დროს მეურნეობის დარგებისათვის და საწარმოებისათვის გამოყოფილი კრედიტების ოდენობა მომარაგების ორგანოების მიერ გასანაწილებელი წარმოების საშუალებების მოცულობასთან იყო დაკავშირებული, ხოლო ბანკის მიერ გაცემული ნაღდი ფულის სიდიდე (საკასო გეგმა) - საცალო ვაჭრობისათვის (ისევ მომარაგების სისტემით) განსაზღვრული სახალხო მოხმარების საქონლების ლიმიტებთან იყო დაკავშირებული. შემდეგ, დარეგიტების პროცესში, ბანკების განყოფილებები ყურადღებას აქცევდნენ შეესაბამებოდა თუ არა სესხების სიდიდეები რეალურად შემოსული საწარმოების საშუალებებს (იგივე მომარაგების ორგანოების განკარგულებების მიხედვით) და მათი რიგი გაფართოებული კვლავწარმოების საწარმოებში გადაგზავნას.

ამრიგად, თუ რიგ საწარმოებს კრედიტს აძლევდნენ, მაგალითად მანქანათმშენებლობის ქარხანას, მაშინ ამ კრედიტს ფარავდა მეტალურგიული კომბინატი, რომელიც მიცემულ ქარხანას ლითონს უგზავნიდა.

ასეთ პირობებში სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებისათვის საკრედიტო რესურსების მოცულობას, მათი სტრუქტურას, ზომებისა და ვადების მიხედვით საკრედიტო დაბანდებებთან დაბალანსებას ფაქტიურად მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომ, შემთხვევით არ იყო ის, რომ ჩვენს ქვეყანაში საკრედიტო რესურსების და საკრედიტო დაბანდების დაბალანსება მხოლოდ მთელი სახალხო მეურნეობის დონეზე ხორციელდებოდა. საბანკო პრაქტიკაში, ბალანსის ლიკვიდობაზე რაიმე კონტროლი არ არსებობდა.

ბოლოს, საწარმოების, განსაკუთრებით კოლმეურნეობების, სესხების ჩამოწერა ხშირად ხდებოდა. ამ პირობებში ზღვარი ფინანსებსა და კრედიტებს შორის ფაქტიურად აშლებოდა და შესაბამისად, ფინანსურ და საკრედიტო რესურსებს შორის, მით უმეტეს, რომ ისინი ერთი და იგივე ბანკის ანგარიშებზე ინახებოდნენ. ამრიგად,სახელმწიფო ბანკებისათვის საკრედიტო რესურსების მოცულობა განისაზღვრებოდა, უწინარეს ყოვლისა, სრული სახალხო მეურნეობისათვის აუცილებელი კრედიტის მოცულობით. ხოლო დანარჩენი რესურსები, რომლებიც ბანკის განკარგულებაში იმყოფებოდა შეიძლებოდა საფინანსო რესურსებად ჩათვლილიყო. თუმცა უმეტესი საქონლის წარმოებაზე მკაცრი მონოპოლიის პირობებში ასეთ სისტემას მანამდე შეუძლია ფუნქციონირება, სანამ სახალხო მეურნეობის ყველა ეკონომიკური პროპორციები გაწონასწორებულია და სანამ ყველა საწარმოები მომარაგების გეგმებთან მკაცრ შესაბამისობაში საჭირო ასორტიმენტის და ხარისხის პროდუქციას იღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმდინარე და სააღრიშსწორებო ანგარიშებზე წარმოიქმნებოდა ისეთი ფულადი სახსრები, რომელთა დახარჯვასაც ისინი ვერ შეძლებდნენ. ამ დროს, სახელმწიფო საწარმოებში, ზედმეთი, უმეტეს შემთხვევაში უკანასკნელი წარმოების საშუალებები გროვდებოდა. სახელმწიფო სესხი ფონდის ცენტრალიზებული განაწილებლობითი ხასიათი ბანკების რესურსების სტრუქტურაზეც პირდაპირ გავლენას ახდენდა.

როგორც ცნობილია, ბანკის რესურსები საკუთარ და მოზიდულ რესურსებად იყოფა. სახელმწიფო ბანკის საკუთარი რესურსების შემადგენლობაში ბანკების საწესდებო, სარეზერვო, ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის და საბანკო საქმის განვითარების ფონდები შედიოდნენ. ორი ძირითადი ფონდის საწესდებო და სარეზერვო ფონდის სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე იქმნებოდა. მათი სიდიდე პრაქტიკულად საბანკო ოპერაციების ოდენობაზე, სახელმწიფო ბანკების სამეურნეო ანგარიშიანობის ინტერესებზე არავითარ გავლენას არ ახდენდა. შემთხვევითი არ იყო ის, რომ ამ ფონდების სიდიდე, ტრილიონ მანეთის ფულადი ბრუნვით, რომლებიც სახელმწიფო ბანკებს გაივლიდა. საკმაოდ

ემნიშვნელო იყო. ასე მაგალითად, 1985 წელს სახელმწიფო ბანკის საწესდებო და სარეზერვო ფონდები თითოეული 3 მლრდ მანეთს, ხოლო მშენბანკის თითოეული 500 მლნ. მანეთს შეადგენდა.

სახელმწიფო ბანკების მოზიდულ რესურსების შემადგენლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. დაწყებული 1930-32 წლების საკრედიტო რეფორმიდან, რომლის დროსაც შეიქმნა ბანკების ცენტრალიზებული სახელმწიფო სისტემა, საბიუჯეტო სახსრების ხვედრითი წილი ამ სისტეის მოზიდული რესურსების შემადგენლობაში უფრო იზრდებოდა. 60-იან წლებში ისინი ბანკის რესურსების თითქმის ნახევარს შეადგენდნენ. სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის სახსრები გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც წინა წლებთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავლები ხარჯებზე მეტი იყო და ბანკების ანგარიშებზე ბიუჯეტის შემოსავლების მიღების მომენტიდან მათი დახარჯვის მომენტამდე არსებობდა. ამრიგად, ამ რესურსების სიდიდე უმეტესად ფინანსური სისტემის მდგომარეობაზეა დამოუკიდებელი. 1986-1991 წლებში ჩვენს ქვეყანაში, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გამო, საფინანსო სისტემა სახელმწიფო ბანკებიდან დეფიციტის დასაფარავად სესხს იღებდა. სააღრიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე სახსრებს სახელმწიფო ბანკების რესურსების შემადგენლობაში მეორე ადგილი ეკავათ. ამ რესურსების შემადგენლობაში შედიოდა: სახელმწიფო გაერთიანებების, საწარმოების და ორგანიზაციების ფულადი რესურსები, რომლებიც მეურნეობაში სახსრების წრებრუნვის მეშვეობით იქმნებოდნენ; ამორტიზაციის ფონდები, რომლებიც კაპიტალ დაბანდებებისათვის და კაპიტალური რემონტისათვის გამოიყენებოდა; პარტიული და სახოგადოებრივი ორგანიზაციების, სხვადასხვა სახოგადოებრივი ფონდების ფულადი რეზერვები, სოცდაზღვევის ორგანოების, ლომბარდების, ურთიერთდამხმარე სალაროების დროებით თავისუფალი სახსრები.

საბანკო რესურსების შემდეგ სახეობას წარმოადგენს მოსამსახურეების ფულადი დანაზოგები, რომლებიც გამოდიან როგორც ინდივიდუალური მოხმარების ფონდის ნაწილი და რომლებიც შემნახველ სალაროებში ან სახელმწიფო ბანკში (1988 წლამდე შემსალაროები სსრკ-ს სახელმწიფო ბანკის სისტემაში შედიოდნენ) ანაბრების სახით იყვნენ მოთავსებულნი.

საბანკო სისტემის რეორგანიზაციის შემდეგ სახელმწიფო ბანკებში და შემნახველ სალაროებში მოსახლეობის სახსრების სიდიდემ 350 მლნ.მანეთს გადააჭარბა.

საბანკო რესურსებს მიეკუთვნებოდა ასევე საზღვარგარეთის სახელმწიფოების და ბანკების კრედიტები, სახელმწიფო ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშებზე საზღვარგარეთის ბანკების სახსრები.

ბოლოს სპეციალურ საბანკო რესურსს ემისიური რესურსი წარმოადგენდა. მისი საკრედიტო რესურსის სახით წარმოქმნის და გამოყენების შესაძლებლობა დაკავშირებულია მოსახლეობის ფულად შემოსავლებზე, რომლებიც ნაღდი ფულის სახით იყო მიღებული, მაშინვე არ იხარჯებოდა. ამიტომ, ერთი წლის განმავლობაში ბანკის სალაროებიდან ნაღდი ფულის გაცემის გადამეტება ამ სალაროებში შემოსულობებზე ნიშნავს, რომ მოსახლეობა თითქოს - და სახელმწიფოს, ბანკის სახით აკრედიტებდა, თავისი შემოსავლების ნაწილს დაუსაქონლებით.

ეკონომიკის საბაზრო მოდელზე გადასვლა, საბანკო საქმეზე სახელმწიფოს მონოპოლიის ლიკვიდაცია, ორ რგოლიანი საბანკო სისტემის შექმნა საბანკო რესურსების ხასიათს ძირეულად ცვლის.

საერთო სახელმწიფოებრივი სასესხო ფონდის სიდიდე მკვეთრად მცირდება და მისი მუშაობის სფერო საბანკო სისტემის პირველ რგოლში -სახელმწიფო ბანკში რესპუბლიკების

ცენტრალურ სახელმწიფო ბანკებში და მათ ფილიალებში იყრის თავს სააზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო კოოპერატიული შერეული (საკუთრების მიხედვით) საწარმოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მოსახლეობას თავისი ფულადი სახსრების შესანახად უფლება ეძლევათ კომერციული ბანკების ამორჩევისა. სახელმწიფო საწარმოების და ორგანიზაციების რესურსების უფასო გამოყენება გაუქმებულია.

ამრიგად, წარმოიქმნება საკრედიტო რესურსების ბაზარი, რომელიც ორგანულად შედის ფულადი ურთიერთობის სისტემაში. სახელმწიფო სესხის ფონდი ქვეყანაში საკრედიტო რესურსების ბაზრის ნაწილი ხდება. კომერციული ბანკების საქმიანობის სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის ბალანსების ლიკვიდობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ხოლო ღრიისა და ვადების მიხედვით ლიკვიდობის უზრუნველყოფა საკრედიტო რესურსებისა და საკრედიტო დაბანდებების მკაცრ გაწონასწორებას მოითხოვს.

კომერციული ბანკის საქმიანობის მასშტაბები, და შესაბამისად მიღებული შემოსავლების სიდიდე სასესხო რესურსების ბაზარზე შეძენილი რესურსების სიდიდეზე უკვე მკაცრად არის დამოკიდებული აქედან, საკრედიტო რესურსების ბაზარზე რესურსების მოზიდვისათვის ბანკებს შორის საკონკურენტო ბრძოლა წარმოიშვა.

საკრედიტო რესურსების ბაზრის წარმოებასთან ერთად ფასიანი ქაღალდების ბაზარი იქმნება. საბანკო საქმიანობის ახალ ფორმებში ბანკები ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებში, ლიზინგურ, ფაქტორინგულ ოპერაციებში ჩართული აღმოჩნდნენ. ამან გამოიწვია ის, რომ საბანკო რესურსების შემადგენლობაში უკვე არა მარტო ფულადი სახსრები, არამედ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები და ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები და ა.შ.) შეიძლება შედიოდნენ. რადგან სახელმწიფო ბანკი სხვა ბანკებისათვის სარეზერვო ან "ბანკების ბანკი" ხდება, ამიტომ კომერციულ ბანკებს რესურსების ნაწილი შეუძლიათ მისგან მიიღონ, თავის მხრივ კომერციული ბანკები რესურსების ნაწილს რეზერვის სახით მას გადასცემენ.

კომერციული ბანკების ადგილზე სასესხო რესურსების ბაზარზე შეიძლება № 6 სქემის მეშვეობით ვიმსჯელოთ.

ამრიგად, კომერციული ბანკები სპეციფიკური კომერციული საწარმოები ხდებიან, რომლებიც სპეციალიზირდებიან საშუამავლო საქმიანობაზე, რომელიც ერთი მხრივ, საკრედიტო რესურსების თავისუფალ ბაზარზე რესურსების ყიდვასთან, ხოლო მეორე მხრივ, გასაჭირში მყოფ საწარმოებისათვის საკრედიტო რესურსების მიყიდვასთან არის დაკავშირებული, ამ პირობებში ბანკებისათვის, როგორც აქტიური, ისე პასიური ოპერაციები ერთნაირად მნიშვნელოვანია პასიურ ოპერაციებზე საბანკო რესურსების ოდენობა და შესაბამისად კომერციული ბანკების საქმიანობის მასშტაბები არის დამოკიდებული. თავის მხრივ, თუ ბანკები აქტიურ საკრედიტო პოლიტიკას არ გაატარებენ ანუ თავის რესურსებს მომგებიანად არ განალაგებენ, მაშინ მათი კლიენტები შეიძლება სხვა ბანკებში გადავიდნენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩამოვაყალიბოთ კომერციული ბანკების რესურსების განსაზღვრება. კომერციული ბანკის რესურსები ეს მათი საკუთარი კაპიტალი და ფონდებია, ასევე ბანკის პასიური და აქტიურ-პასიური ოპერაციების შედეგად მოზიდული სახსრებია (პასივის აქტივზე გადამეტების ნაწილში) და ის სახსრები, რომლებიც ბანკების აქტიურ ოპერაციებისათვის გამოიყენება.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა კომერციული ბანკების სტრუქტურის სერიოზულ შეცვლას იწვევს. კომერციული ბანკების საკუთარ რესურსებად, უწინარეს ყოვლისა, გამოდის



საკრედიტო რესურსების ბაზარი და მასზე კომერციული ბანკების ადგილი
სქემა 6.

საქციონერო და სარეზერვო კაპიტალი, რომელიც წარმოიშვება ბანკების აქციების ფასიან ქაღალდების ბაზარზე განლაგებით, ასევე სპეციალური ფონდები, რომლებიც მათი წესდების შესაბამისად მოგებიდან ანარიცხების გზით წარმოიქმნებიან.

მოზიდულ რესურსებს შორის ახალი სახეობანი ჩნდება: სახელმწიფო ბანკებიდან და სხვა საკრედიტო დაწესებულებებიდან მიღებული სესხები; საკორესპონდენტო და ბანკთაშორისო დეპოზიტურ ანგარიშებზე შენახული სახსრები; ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული სახსრები; ბანკების მიერ ობლიგაციების შედეგად მიღებული სახსრები; ლიზინგური ოპერაციების შესასრულებლად შეძენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი. ამასთანავე რესურსების ტრადიციული სახეობანიც შენარჩუნებულია. საწარმოების და ორგანიზაციების საბანკო ანგარიშებზე მოზიდული სახსრები, რომელთა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახსრები, რომლებიც მოზიდულია ვადიან დეპოზიტებზე, მოსახლეობის ანაბრებზე სახსრები (თუმცა მათი ხასიათი რამდენადმე იცვლება, რადგან ანაბრებზე ამჟამად არა მარტო ინდივიდუალური მოხმარების ფონდის ნაწილი ინახება, არამედ იმ პიროვნებების სამრეწველო ფონდების ნაწილიც, რომლებიც ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან); ბიუჯეტური სახსრები, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებსაც წარმოადგენენ (იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ ბანკს განსაზღვრული რეგიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულება ევალება); საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციებიდან, ფონდებიდან, დაზღვევის ორგანოებიდან და დაწესებულებებიდან საკრედიტო დაწესებულებიდან, საკრედიტო ამხანაგობებიდან და საკრედიტო კოოპერატივებიდან, ლომბარდებიდან, ურთიერთდამხმარე სალაროებიდან მოზიდული სახსრები. 1991 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომერციული ბანკების საკუთარი სახსრების ხარჯზე მათი პასივის 16,8 % ფორმირება ხდება; 76,1 % მოდის მოზიდულ სახსრებზე და 7,1 % ბანკთაშორის ოპერაციებთან დაკავშირებულ რეგულირების მუხლებს უკავია.

ცალკეული კომერციული ბანკების საბანკო რესურსების სტრუქტურა მათი სპეციალიზაციის ხარისხზე ან პირიქით უნივერსალიზაციაზე მათი საქმიანობის თავისებურებაზე, სასესხო რესურსების ბაზრის მდგომარეობაზე არის დამოკიდებული. ასე მაგალითად, უნივერსალური კომერციული ბანკები, რომლებიც უმეტესად მოკლევადიანი დაკრედიტების ოპერაციებს, ახორციელებენ მოზიდული რესურსების ძირითად სახედ მოკლევადიან დეპოზიტებს იყენებენ, ხოლო საინვესტიციო ბანკები ფასიანი ქაღალდებს ყიდულობენ, სახელმწიფოს სპეციალური მიზნობრივი ფონდები, საქციო კომპანიები და საწარმოები კაპიტალდაბანდებებისათვის არიან განკუთვნილნი. ისიც არ არის გამორიცხული, რომ კომერციული ბანკები საქმიანობის განვითარების და გაფართოების საფუძველზე თავის რესურსებს თვითონ შეიქმნიან და მისცემენ საიმედო კლიენტებს სანდო კრედიტებს, მათ ანგარიშებზე სესხების თანხების ჩარიცხვის გზით. ამასთან, რასაკვირველია, ბანკის ლიკვიდობის ბალანსი არ უნდა დაირღვეს.

2. კომერციული ბანკების პასიური ოპერაციები

ვინაიდან საბანკო რესურსები, უწინარეს ყოვლისა, პასიური ოპერაციების შედეგად წარმოიშვებიან, აუცილებელია ამ ოპერაციების დახასიათება. საფინანსო-საკრედიტო ლექსიკონის განმარტებით ბანკების პასიური ოპერაციები - ესაა "ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც ბანკები თავიანთ რესურსებს საკრედიტო და სხვა აქტიური ოპერაციების ჩასატარებლად ჩამოაყალიბებენ"

ასეთი განმარტება, ჩვენის აზრით, არა სწორი, რადგან ერთი საბანკო ოპერაციის მეორის მეშვეობით განსაზღვრა, არა კანონზომიერია.

ამგვარად, აქტიური ოპერაციებიც შეიძლებოდა განგვესაზღვრა, როგორც "საბანკო რესურსების განლაგების ოპერაციები, რომლებიც ბანკების პასიური ოპერაციების დახმარებით ჩამოყალიბდებიან".

ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ საბანკო ოპერაციების კლასიფიკაცია საჭიროა ამ ოპერაციების შედეგად ბანკის ბალანსში მიმდინარე ცვლილებების პოზიციიდან. ნამდვილად, საბანკო ოპერაციების ჩატარების შედეგად აქტიურ და პასიურ ანგარიშებზე სახსრები ან იზრდება, ან მცირდება, ამასთან აქტიურ და პასიურ ანგარიშებზე შეიძლება არ შეიცვალოს. ასე მაგალითად, საკრედიტო რესურსების სიდიდე არ იზრდება, თუ გაცემული საბანკო სესხი გამოიყენება ადრე გაცემულ კრედიტზე დავალიანების დასაფარავად. რესურსების სიდიდე იმ შემთხვევაშიც არ იზრდება, თუ საწარმოსათვის შემოსული სახსრები დაუყოვნებლივ იქნება მიმართული ადრე მიღებული კრედიტის დასაფარავად. ზემოდ თქმულიდან გამომდინარე, ბანკის პასიური ოპერაციები შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ: ბანკის პასიური ოპერაციები ეს ის ოპერაციებია, რომელთა შედეგადაც ხდება პასიურ ანგარიშებზე ან აქტიურ-პასიურ ანგარიშებზე არსებული სახსრების ზრდა, პასივის აქტივზე გადმოტების ფორმით, აქტიურ ანგარიშებზე სახსრების ექვივალენტური ზრდის გარეშე.

კომერციული ბანკების პასიური ოპერაციები შეიძლება შემდეგი ფორმით განხორციელდეს: - ბანკების მოგებიდან ანარიცხებით, ფონდების ფორმირების ან ზრდისათვის; - სხვა იურიდიული პირებისაგან მიღებული კრედიტებით; - დეპოზიტურ ოპერაციებით.

პასიური ოპერაციების პირველი ჯგუფი საკუთარი სახსრების ფორმირებასა და განვითარებასთან არის დაკავშირებული. ამჟამად მოგებიდან ანარიცხები კომერციული ბანკების შემდეგ ფონდებში ხორციელდება: საწესდებო (010 ანგ.), სარეზერვო (011 ანგ.), სპეციალურ (012 ანგ.), ძირითად ფონდებში (013 ანგ.), ამორტიზაციის (014 ანგ.), სოციალური განვითარების (016 ანგ.), შრომის ანაზღაურების (017 ანგ.), კომერციული ბანკის სადაზღვევო რეზერვები (891 ანგ.). 1991 წლის 1 იანვრისათვის, კომერციული ბანკების საკუთარი სახსრებში საწესდებო ფონდის ხვედრითი წილი 85,1 % შეადგენდა, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების - 2,1 %, სხვა ფონდების - 4,6 %. საწესდებო ფონდის გარდა, სხვა ფონდების ძალიან პატარა ხვედრითი წილი, ჩვენს ქვეყანაში კომერციული ბანკების განვითარების მცირე პერიოდით აიხსნება.

პასიური ოპერაციების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება კრედიტები, რომლებსაც კომერციული ბანკები სხვა იურიდიული პირებისაგან იღებენ. უწინარეს ყოვლისა, მათ შემადგენლობაში მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები შედიან, რომლებსაც ერთი ბანკები მეორეს აძლევენ. ისინი კომერციული ბანკების ანგარიშების გეგმაში № 823 ანგარიშზე აისახებიან. ჩვეულებრივ ეს სესხები ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ოპერატიული რეგულირებისათვის გამოიყენება, აგრეთვე მოულოდნელი, ხელსაყრელი მსესხებლისათვის სესხების გასაცემად.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში ბანკების პასიური ოპერაციების მესამე ჯგუფი - დეპოზიტური ოპერაციებია. სრამდივილეში კომერციული ბანკის საქმიანობის შინაარსს სწორედ ისინი ხსნიან. კომერციული ბანკები საკრედიტო რესურსების თავისუფალ ბაზარზე რესურსების შეძენის დროს შუამავლის როლში გამოდიან. დეპოზიტური ოპერაციები ეს ბანკების ოპერაციებია, იურიდიული და ფიზიკური პირების სახსრების, ანაბრის სახით, გარკვეული ვადით ან მოთხოვნამდე შოსაზიდად. ეკონომისტებს შორის გავრცელებულია აზრი, რომ დეპოზიტებს ის სახსრები მიეკუთვნებიან,

რომლებიც ვადიან ანაბრების ანგარიშებზეა მოთავსებული. თუმცა, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ეს აზრი მსოფლიო საბაზრო პრაქტიკას არ შეესაბამება.

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის საშემნახველო ანაბრები საანაბრო ოპერაციების პირობების და ვადების მიხედვით კლასიფიცირდებიან და მოიცავენ: ვადიან, ვადიან დამატებითი შენატანებს; მომგებიანს; ფულად-ნივთობრივ მომგებიანს; ახალგაზრდულ- პრემიალურს; მიმდინარე ანგარიშებზე; მოთხოვნამდე; დეპოზიტურ სერთიფიკატებს.

ფასიანი ქაღალდები, როგორც დეპოზიტების საზეობა იყოფიან: - საწარმოების და ორგანიზაციების, კოოპერატივების, საქციო საზოგადოების და კომპანიების აქციებად და ობლიგაციებად, რომლებიც მოცემულ ბანკს ეკუთვნის; - აქციებად და ობლიგაციებად, რომლებიც შენახულებია და სესხების უზრუნველსაყოფად არის მიღებული; - საზღვარგარეთულ ოპერაციებზე ფასეულობები და დოკუმენტები (აკრედიტივები უცხოურ ვალუტებში).

ყველა ბანკის უნდა მიაჩნდეს, რომ დეპოზიტური ოპერაციების მიზნები ბანკის კომერციული ინტერესების დასაცავად და ბანკის ბალანსის ლიკვიდობის გასაუმჯობესებლად არის მიმართული. ამის გამო, საჭიროა ძირითადი წესების ცოდნა, რომლებიც დეპოზიტური ოპერაციების საფუძვლებში არის ჩადებული. ჯერ ერთი, დეპოზიტური ორგანიზაციები ისეთნაირად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ხელი შეუწყონ საბანკო მოგების მიღებას, თან მომავალში მოგების მისაღებად პირობები შექმნას. მეორე, ორგანიზაციის პროცესში დეპოზიტური ოპერაციების სუბიექტების მრავალფეროვნება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და უნდა მოხდეს დეპოზიტების სხვადასხვა ფორმების შეთავსება. მესამე, საბანკო ოპერაციების განხორციელებისას დეპოზიტურ ოპერაციებსა და სესხების გაცემის ოპერაციებს შორის დეპოზიტების და საკრედიტო დაბანდებების თანხებისა და ვადების მიზედვით ურთიერთკავშირი და ურთიერთშეთანხმებულობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. მეოთხე, განსაკუთრებული ყურადღება დეპოზიტური ოპერაციების ორგანიზაციის პროცესში ეთმობა ვადიან დეპოზიტებს, რომლებიც უმეტესად ბანკის ბალანსის ლიკვიდობის მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. მეზუთე, დეპოზიტური ოპერაციების ორგანიზებისას ბანკი უნდა მიისწრაფოდეს, რომ დეპოზიტურ ანგარიშზე სახსრების რეზერვი მინიმალური იყოს. მეექვსე, საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები საბანკო მომსახურების განვითარებისათვის კლიენტების მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლებისათვის, რაც ხელს უწყობს დეპოზიტების მოზიდვას.

ვადიან დეპოზიტებს მიეკუთვნება ფულადი სახსრები, რომლებიც ბანკების ანგარიშებზე ინახება განსაზღვრული დროით, რომელიც მათი გახსნისას კლიენტსა და ბანკს შორის შეთანხმებით დადგინდება. მათ რიცხვში შედიან დეპოზიტები, რომლებიც 144, 190, 713, 714, 900 ანგარიშებზე ინახება. თუმცა, პრაქტიკაში რიგი დეპოზიტები შეიძლება პირობითად ვადიანებს მივაკუთვნოთ. მათზე უშუალო ვადა ანგარიშის გახსნის მომენტში არ დადგინდება, მაგრამ მისი განსაზღვრა შეიძლება, ანგარიშებზე შენახული ფულადი სახსრების მიზნობრივი დანიშნულებიდან. ასე მაგალითად, სახსრები კაპიტალური დაბანდებების დაფინანსების და დაკრედიტებისათვის ანგარიშებზე ინახება მათი გახსნიდან დაფინანსების ან დაკრედიტების (მაგ. დეპოზიტები, რომლებიც 74, 730, 733, 935 ანგარიშებზე იმყოფებიან) დაწყებამდე. ვადიანებს უნდა მივაკუთვნოთ სხვა ბანკებში დეპოზიტური ოპერაციების განხორციელების შედეგად მიღებული დეპოზიტები (823 ანგ.).

ერთ წელზე მეტი ვადით დეპოზიტების მრავალსახეობაა დეპოზიტური სერთიფიკატები. ჩვეულებრივი ვადიანი დეპოზიტებისგან განსხვავებით, რომელთა დროსაც არ ფორმდება შენატანების დამადასტურებელი საბუთები, ვადიანი დეპოზიტების ეს ნაირსახეობა ფორმდება

სპეციალური საბუთით, რომელიც წარმოადგენს დეპოზიტურ სერთიფიკატს - საკრედიტო დაწესებულებების წერილობით საბუთს ფულადი სახსრების დეპონირების შესახებ, რაც მეანაბრეს დეპოზიტის მიღების უფლებას აძლევს. დეპოზიტურ სერთიფიკატებზე ანაბრის ამოღების ვადა და განუთვნილი პროცენტის სიდიდეა მითითებული. მხოლოდ რამდენიმე კომერციულ ბანკის მიერ (მემბანკი, ავტობანკი) დეპოზიტური სერთიფიკატები გამოიყენება. მათ თავისებურებას წარმოადგენს: რთული პროცენტების გამოყენება თანხების გამოსაანგარიშებლად, რომელსაც ანაბრის ვადის შესაბამისად მეანაბრეები იღებენ. როგორც დეპოზიტების, ასევე მათზე პროცენტების გადასახადისაგან განთავისუფლებით, დეპოზიტურმა სერთიფიკატებმა მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში ფართო გამოყენება მოიპოვა. რიგ ქვეყნებში პრაქტიკაშია მიმოქცევთი ვადიანი სერთიფიკატების გამოშვება, რომლებიც შეიძლება არა მარტო ბანკს მიეყიდოს არამედ დეპოზიტური ოპერაციების სხვა ობიექტებს გადაეცეს, გადასაცემი წარწერის მეშვეობით.

ამრიგად, დიდი ბრიტანეთში, გერმანიაში, აშშ-ი, იაპონიაში ფუნქციონირებს დეპოზიტური სერთიფიკატების ბაზარი. ჩვენი ქვეყნის საბანკო პრაქტიკაში ხანგრძლივი ინფლაციური პროცესთან დაკავშირებით დეპოზიტურ სერთიფიკატზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის დადგენისას, დეპოზიტურმა სერთიფიკატებმა შეიძლება განვითარება მოიპოვოს, მხოლოდ რიგ შემთხვევაში როცა ის, როგორც გადახდის საშუალება ფულის ნიშნებს შეცვლის.

მოთხოვნამდე დეპოზიტები - ეს არის დროის გარკვეულ შუალედში ბანკში პასიურ და აქტიურ პასიურ ანგარიშებზე (პასივის აქტივზე გადამეტების ნაწილში) დადებული ფულადი სახსრები, რომელთა ბანკის ანგარიშებზე ყოფნის ვადის დადგენა სახსრების შემოსავლის მომენტში შეუძლებელია. მათ სახელმწიფო ბიუჯეტის და საბიუჯეტო ორგანიზაციების სახსრები (13 + (173-183) ანგ.); უცხოურ ოპერაციებზე (073 ანგ.), სახელმწიფო ორგანიზაციების (34+170+171+172+174+175+178+179-18 ანგარიშები), სასოფლო- სამეურნეო საწარმოების (40 ანგ.), მოიჯარეების (64 ანგ.); სამომხმარებლო კოოპერაციის (400+176+186 ანგ.) და კოოპერატივების (461+465+466+60 ანგ.), საზოგადოებების (467 ანგ.), მცირე საწარმოების და მოქალაქეების, რომლებიც ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან (468+715 ანგ.), პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (70+177+69), ბანკის სხვა ორგანიზაციებთან ანგარიშსწორებები (720+722+723+725 (n-a) + 729n), ფაქტორინგული ოპერაციებით მოზიდული სახსრები (307 (n-a), სბ 83 ანგარიშიდან 86 (n-a) ანგარიშამდე, კრედიტორები (811+810+904n+932n ანგ.).

საწარმოების, საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე, სხვადასხვა დანიშნულების ფონდების ანგარიშებზე სახსრების მოძრაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ანგარიშებზე, შემოსავლების და გასავლების განსხვავების გამო, ფულადი რესურსების სტაბილური ნაშთი მუდმივად არსებობს. ვინაიდან საწარმოების ფონდების ცვლებარუნვა მეორდება, ასევე მიმწოდებლებთან და მყიდველებთან საწარმოების ხელშეკრულების განახლება მუდმივი ხდება. ამიტომ, მთელი რიგი წლების განმავლობაში საბანკო ანგარიშებზე სახსრების მოძრაობის დინამიკა სტაბილურია. ჩვენს ქვეყანაში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის პირობებში სახელმწიფო ბანკების მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშებზე სახსრების აუცილებელი შენახვის პრინციპი არსებობდა. ამის გამო, სახელმწიფო ბანკების საკრედიტო რესურსების სტრუქტურაში მოთხოვნამდე ანგარიშებზე სახსრები ბიუჯეტური სახსრების შემდეგ, მეორე ადგილს იკავებდნენ. საბაზრო ურთიერთობების პირობებზე გადასვლისას საწარმოებმა და

ორგანიზაციებმა იმ კომერციული ბანკების არჩევის უფლება მიიღეს, სადაც ისინი შეძლებდნენ თავიანთი ფულადი რესურსების შენახვას. მათ იმ დეპოზიტის სახეობის არჩევის უფლებაც მიიღეს, რომელსაც თავიანთი საქმიანობისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევენ.

რადგან ბანკები, როგორც წესი, ვადიან დეპოზიტებზე უფრო მაღალ პროცენტს იხდიან, ვიდრე მოთხოვნამდე დეპოზიტებზე (რიგ ქვეყნებში მოთხოვნამდე ანაბრებზე საერთოდ არ იხდიან პროცენტს) ამიტომ, როგორც ბანკი, ასევე საწარმო, ვადიან დეპოზიტზე სახსრების შენახვაშია დაინტერესებული. თუმცა, ამჟამად ნელ-ნელა ტრანსფორმირებას უკეთებენ თავიანთ ფულად სახსრებს, რომლებიც მოთხოვნამდე ანგარიშებზე ვადიან დეპოზიტებში ინახებიან. ამის მიზეზია საწარმოების ხელმძღვანელობის ინერცია, რომლებიც მრავალი წლების მანძილზე მხოლოდ თავიანთი ანგარიშსწორების ანგარიშების მდგომარეობაზე ზრუნვას შეეჩვივნენ. ამის მიზეზია აგრეთვე სახსრების გამოანგარიშების მეთოდიკის არ არსებობა, რომელთა ანგარიშსწორების ანგარიშიდან ვადიანი დეპოზიტების ანგარიშზე გადაყვანაც შეიძლება. გარდა ამისა, დეპოზიტურ ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთების გაზრდული დიფერენციაციის არ არსებობა, ვადიან დეპოზიტურ ანგარიშებზე მსხვილი სახსრების ხანგრძლივი ვადით მოზიდვის სტიმულს არ იძლეოდა. ამიტომ, კომერციულ ბანკებს განსაზღვრული გადასახადის გადახდის შემდეგ შეეძლოთ მოთხოვნამდე დეპოზიტურ ანგარიშებზე შენახული სახსრების ნაწილის გამოანგარიშება, რომლებიც ვადიან დეპოზიტურ ანგარიშებზე უნდა იქნეს გადატანილი. ასევე გამოიანგარიშებოდა დამატებითი მოგების თანხა, რომელსაც საწარმოო სახსრების ამგვარი გადაადგილებით მიიღებდა. გაანგარიშება ბანკში საწარმოების ანგარიშსწორების ანგარიშებზე საგადასახადო ბრუნვის მონაცემების გამოყენებით, შემდეგი ფორმულით წარმოებს:

$$D_{\text{მუდმ.სახს.}} = (Ocp : Kob) \times 100\ \%\ ,$$

სადაც **D მუდმ.სახს** – იმ სახსრების ნაწილია, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში ანგარიშსწორების, მიმდინარე ანგარიშებზე ინახება და რომლებიც დეპოზიტურ ანგარიშებზე შეიძლება იქნას გადაყვანილი;

Ocp - წლის განმავლობაში საანგარიშსწორებო ან მიმდინარე ანგარიშზე საკრედიტო ბრუნვა;

Kob - წლის განმავლობაში საანგარიშსწორებო ან მიმდინარე ანგარიშზე სახსრების საშუალო ნაშთი.

თუ კომერციულ ბანკს მუდმივი კლიენტურა ჰყავს, მაშინ მის დეპოზიტურ ანგარიშებზე, სადაც ინახება მოკლევადიანი საკრედიტო რესურსები (ისევე, როგორც საწარმოების ანგარიშსწორების ანგარიშებზე), წლის განმავლობაში ფულადი სახსრების სტაბილური ნაშთი წარმოიშვება (ან შეიძლება უფრო მეტი დროის განმავლობაში, რომელიც მიზანშეწონილია გრძელვადიანი დაკრედიტებისას იქნეს გამოყენებული). საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში ამ ნაშთის სიდიდის დასადგენად მოკლევადიანი რესურსების გრძელვადიან რესურსებში ტრანსფორმაციის კოეფიციენტის გაანგარიშება

გამოიყენება. ჩვენს ქვეყანაში კომერციულმა ბანკებმა გაანგარიშებისათვის შემდეგი ფორმულა უნდა გამოიყენონ:

$$Km = (1-(Do : Ko)) \times 100\ \%\ ,$$

სადაც **Ko** - ბანკის დაწესებულებებში დეპოზიტურ ანგარიშებზე შემოსული სახსრების საკრედიტო ბრუნვაა 1 წლის ვადით, მოთხოვნამდე ანგარიშების ჩათვლით;

Do - ბანკების დაწესებულებების სასესხო ანგარიშებიდან მოკლევადიანი სესხების გაცემაზე და სხვა მოკლევადიან დაბანდებებზე (1 წლის ვადით) დებიტორული ბრუნვა;

Km - ტრანსფორმაციის კოეფიციენტი.

გაანგარიშებებისათვის მონაცემების ბაზის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბანკის დაწესებულებების ბალანსის და ბალანსგარეშე ანგარიშების ბრუნვის უწყისი.

ამრიგად, თქვენი წარმატება დეპოზიტურ ანგარიშებზე არსებული სახსრების მუდმივ ანალიზე, კლიენტებთან მუდმივ თანამშრომლობაზე არის დამოკიდებული. გახსოვდეთ, საჭიროა დააინტერესოთ კლიენტები, რომ დეპოზიტურ ანგარიშებზე რესურსები შეინახონ. ამასთან, არა მარტო ანგარიშებზე პროცენტებით, არამედ კარგი "მომსახურებით" უნდა დააინტერესოთ.

თავი VII

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი

1.საკრედიტო პოტენციალი, როგორც ცნება და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა

საკითხი კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის შესახებ ბანკში მობილიზებული ფულადი სახსრების დაკრედიტებისათვის ან სხვა საბანკო ოპერაციებისათვის გამოყენების ეკონომიკურად დასაბუთებულ საზღვრებს მოიცავს. უწინარეს ყოვლისა, მოცემულ საკითხს გააჩნია თეორიული ასპექტი. ფულის მიმოქცევის ორგანიზაციის თვალსაზრისითაც მას დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. მეურნეობაში თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და კონცენტრაცია კომერციული ბანკების საქმიანობის პრიორიტეტული ფუნქცია და ეკონომიკური ბაზისია. ბანკში ფულადი სახსრების მობილიზაციაზე და კონცენტრაციაზე დამოკიდებულია იმ სახსრების რაოდენობაც, რომლებიც ძირითადად კრედიტის, ასევე სხვა აქტიური ოპერაციების მეშვეობით კლავწარმოების პროცესში ერთვებიან. ბანკის ამოცანაა დიდი რაოდენობის თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და მათი აქციებში განაწილება.

ამასთან, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბანკში მობილიზებული ყველა სახსრები თავისუფალი არაა. ეს მდგომარეობა ბადებს ბანკის საკრედიტო პოტენციალის ცნებას, რომელიც რიგი ობიექტური მიზეზებით არის ეკონომიკურად განპირობებული.

კომერციული ბანკი, სესხულობს რა თავისუფალ სახსრებს, მისი კლიენტებისაგან იმ წუთში ამ სახსრების დროულ დაბრუნებაზე თავის თავზე ვალდებულებას იღებს .საიმედობის პრინციპი და ლიკვიდობა - კომერციული ბანკის აუცილებელი პირობაა. "საზოგადოებას საბანკო სისტემის გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობის ან მდგრადობის ეჭვის ქვეშ დაყენების მიზეზი არ უნდა ჰქონდეს, ხოლო მეანაბრეებს ნებისმიერი ინდივიდუალური ბანკის საიმედობის სრული რწმენა უნდა გაჩნდეთ".

ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერმა კომერციულმა ბანკმა თვითოეული ერთეული მის მიერ მიზიდული სახსრებისაგან, ლიკვიდობის და საიმედობის რეზერვი უნდა შექმნას. კომერციული ბანკები თავიანთი ძირითადი ფუნქციის წყალობით, მეურნეობაში ფულადი სახსრების განუწყვეტელი ფორმირების და გამოყენების ცენტრში იმყოფებიან.

ბანკის საშუამავლო მექანიზმი, თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციის და კრედიტის ფორმით განაწილების პროცესში გარკვეულ წილად ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებს. ერთი მხრივ, კომერციული ბანკის შესაძლებლობას კრედიტის გაცემის გზით ფული მიეღოს ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი კრედიტის მეშვეობით სახსრების წინასწარი დაგროვების გარეშე, კლავწარმოების სუბიექტების შესაძლებლობებს აფართოებენ. მეორე მხრივ, მეურნეობა აუცილებელ და არა ზედმეტი რაოდენობის ფულად შემოსავალს საჭიროებს. თუ კი ბრუნვაში ფულის რაოდენობა უფრო სწრაფი ტემპებით გაიზარდა, ვიდრე საქონლის წარმოება და მომსახურება, მაშინ ადგილი ექნება ინფლაციას, რაც ეკონომიკის განვითარებაზე ყოველ მხრივ უარყოფითად მოქმედებს. ამასთან, ფულის რაოდენობა წარმოების

მოთხოვნებს არ უნდა ჩამორჩეს. ბანკის უუნარობამ დააკმაყოფილოს კლიენტის დასაბუთებული მოთხოვნები, შეიძლება იგი სარფიანი ოპერაციის დაკარგვამდე, საბოლოო ჯამში ბანკის, როგორც სიცოცხლისუნარიანი კომერციული საწარმოს გაკოტრებამდე მიიყვანოს.

შესაბამისად, ბანკებს საზოგადოების ფულით დაკმაყოფილების პროცესთან პირდაპირი კავშირი აქვთ. კლავწარმოების რეალური პროცესის შესაბამისად, კომერციული ბანკების საქმიან აქტივობაზე ფულადი ნაკადების რეალობაა დამოკიდებული. ამასთან, დაკავშირებით კომერციული ბანკების ინტერესები საზოგადოების ინტერესებთან მჭიდროდ არის გადახლართული. ამიტომ საზოგადოება ემისიური, ცენტრალური ბანკის სახით, მუდმივად არეგულირებს კომერციული ბანკების შესაძლებლობებს, მის მიერ მობილიზებული სახსრების გამოყენების პროცესში, მაკროეკონომიკურ ღონეზე ფულადი ბრუნვის და საბანკო სისტემის ლიკვიდობის პოზიციიდან გამომდინარე.

თანამედროვე საბანკო სისტემაში, თეორიულად, უნაღდო ბრუნვის განვითარების წყალობით არსებობს თავდაპირველად შექმნილი დეპოზიტის ერთი ბანკიდან მეორეში უსასრულოდ გადატანის შესაძლებლობა, რასთანაც არის დაკავშირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული კრედიტის უსასრულო ზრდა. საზღვარგარეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ პროცესმა დეპოზიტის მულტიპლიკაციის (ე.ი. ერთი ბანკიდან მეორეში სახსრების ჯაჭვური გადატანა) და კრედიტის ექსპანსიის სახელწოდება მიიღო. საბანკო სისტემაში დეპოზიტების და კრედიტებს პირდაპირ შეზღუდვას აუცილებელი რეზერვი ემსახურება, რომელსაც ცენტრალური ბანკი აწესებს. № 3 ცხრილში მოცემულ მაგალითში ნათლად ჩანს მულტიპლიკაციის პროცესი და მისი აუცილებელი რეზერვით შეზღუდვა.

მოცემულ ცხრილში "ა" ბანკში პირველსაწყისი დეპოზიტი 1000 ერთეულს შეადგენდა, ხოლო აუცილებელი რეზერვის ნორმა 20 %-ის ტოლია. ამ შემთხვევაში "ა" ბანკი ვერ შეძლებს მასში შექმნილი დეპოზიტის მთელ თანხაზე კრედიტი გასცეს, რადგან რეზერვების აუცილებელ ნორმის გათვალისწინებით მან დეპოზიტის ნაწილი ცენტრალური ბანკის ცალკეულ ანგარიშზე უნდა მოათავსოს. ეს ნაწილი 200 ერთეულის ტოლია, (1000 x 20 %) ბანკში მობილიზებული 1000 ერთეული დეპოზიტური სახსრებიდან, კრედიტის სახით 800 ერთეული (1000 ერთ.- 200 ერთ.) გაიცემა.

ცხრილი 3

ბანკები	დეპოზიტი	კრედიტი (მწკრივი 2 - მწკრივი 4)	რეზერვი (მწკრივი 2 x 20%):100
1	2	3	4
ბანკი „ა"	1000	800	200
ბანკი „ბ"	800	640	160
ბანკი „გ"	640	512	128
ბანკი „დ" და ა.შ.	512	409,6	102,4
ს უ ლ	5000	4000	1000

„ა" ბანკის მიერ კლიენტებისათვის კრედიტის სახით გაცემული 800 ერთეული თეორიულად და პრაქტიკულად ამავე ან სხვა ბანკში დეპოზიტად შეიძლება გადაიქცეს. მაგ., თუ კრედიტის თანხა მიმართულია იმ მიმწოდებლის ანგარიშების გადასახდელად, რომელიც "ბ" ბანკის კლიენტია, მაშინ კრედიტი "ა" ბანკში შემოდის "ბ" ბანკის ანგარიშზე, რეალიზაციიდან

ამონაგების სახით და ამით "ბ" ბანკში დეპოზიტს ქმნის. "ბ" ბანკში შექმნილი დეპოზიტის ნაწილი (300 ერთეული), ასევე შეიძლება კრედიტად გარდაიქმნეს, რომელიც აუცილებელი რეზერვის გათვალისწინებით ((800 ერთეული x 20 %) : 100 %)=160 ერთეულს), უკვე 640 ერთეულს შეადგენს (800 ერთ. - 160 ერთ.).

თუ ამ პროცესს ბოლომდე წარმოვიდგენთ (ე.ი. დეპოზიტების და კრედიტების სრულ გამოყენებამდე), მაშინ დეპოზიტის საწყისი თანხა 1000 ერთეულში აუცილებელი რეზერვების 20 % დონით ყველა ბანკებში 5000 ერთეულამდე იზრდება, ხოლო კრედიტის საწყისი თანხა 800 ერთეულისა - 2000 ერთეულამდე იზრდება.

თუ წარმოვიდგენთ, რომ სავალდებულო რეზერვი არ არის, მაშინ თეორიულად დეპოზიტის მულტიპლიკაციას და კრედიტის ექსპანსიები ∞ -ის ტოლია. პირიქით 100 %-იანი აუცილებელი რეზერვის პირობებში, დეპოზიტის მულტიპლიკაცია 0-ის ტოლია. დეპოზიტის (ან კრედიტის) მულტიპლიცირების მაქსიმალური თანხის ან ზღვარის მათემატიკური ფორმულა შემდეგნაირია:

$$D = Do \times 1/R ,$$

სადაც **D** – დეპოზიტის მაქსიმალური თანხაა, რომელიც საბანკო სისტემაში შეიძლება შეიქმნას;

Do – საწყისი დეპოზიტი;

R – დეპოზიტის ერთეულზე ლიკვიდობის რეზერვი (მაგ. თუ ლიკვიდობის რეზერვი - 20 % მაშინ R= 0,2).

ჩვენს მაგალითში, მულტიპლიკაციის კოეფიციენტი 5 ან 500 ერთეულის ტოლია (**D = 1000 x 1/0,2**), ხოლო კრედიტის მულტიპლიკაციის კოეფიციენტი 4 ან 400 ერთეულის ტოლია; (**K = 800 x 1/0,2**) მულტიპლიკაციის დონე, აუცილებელი რეზერვის დონის მიხედვით მცირდება, შესაბამისად კი მცირდება საბანკო სისტემის მიერ საკრედიტო პოტენციალის სახსრების გამოყენების შესაძლებლობები. "ა" ბანკში მობილიზებული თანხიდან - 1000 ერთეულიდან საკრედიტო პოტენციალი 800 ერთეულს (1000 - 200 ერთ.) შეადგენს, "ბ" ბანკში - 640 ერთეულს და ა.შ.

დეპოზიტის მულტიპლიკაციის კონცეფცია და კრედიტის ექსპანსიები ფულადი ბრუნვის ორგანიზაციის პოზიციიდან ხსნის შემდეგ ეკონომიკურ აუცილებლობას: იღებს რა დეპოზიტს ყველა კომერციული ბანკი ვალდებულია მისი გარკვეული ნაწილი ლიკვიდობის რეზერვის სახით ჰქონდეს შენახული, რათა კლიენტის მიმართ თავისი ვალდებულების შესრულების საშუალება ჰქონდეს. ამრიგად, ბანკში მობილიზებული ფულადი სახსრების წყაროების ერთობლიობა კრედიტის გასაცემად და სხვა (ბანკისათვის მომგებიანი) აქტიური ოპერაციების შესასრულებლად არ შეიძლება მთლიანად თავისუფალი იყოს. საზღვარგარეთის პრაქტიკაში ლიკვიდობის საერთო რეზერვი პირველად და მეორად რეზერვად იყოფა.

ლიკვიდობის პირველადი რეზერვი, როგორც ბანკის ლიკვიდობის მთავარი წყარო ისე განიხილება. ამასთან საბალანსო ანგარიშებში პირველადი რეზერვის როლში ფიგურირებდნენ აქტივები, რომლებიც "ნაღდი ფული და სხვა ბანკების დავალიანების" მუხლში აისახებიან. ესენია: სახსრები, სავალდებულო სარეზერვო ანგარიშებზე, სხვა კომერციულ ბანკებში სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშებზე ანაბრები, ნაღდი ფული სეიფში და ჩეკები, ასევე სხვა

საგადასახადო დოკუმენტები ინკასირების პროცესში. პირველადი რეზერვების წილის შეფასება ხდება ნაღდი აქტივების ანაბრების თანხებთან ან ყველა აქტივების თანხებთან შედარებით.

ლიკვიდობის მეორადი რეზერვებია - მაღალლიკვიდური შემოსავლიანი აქტივები, რომლებიც მინიმალურ ვადაში და დანაკარგის უმნიშვნელო რისკით შეიძლება ნაღდ საშუალებებად გადაქციოთ. მათ მიეკუთვნება ის აქტივები, რომლებიც ჩვეულებრივ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელს და ზოგიერთ შემთხვევაში სასესხო ანგარიშებზე სახსრებს წარმოადგენენ. მეორადი რეზერვების ძირითადი დანიშნულებაა იყოს პირველადი რეზერვების შევსების წყარო. აშშ-ს კომერციული ბანკები მეორადი რეზერვების სახსრების წილის შესაფასებლად, 5 წლამდე დაფარვის ვადით ფასიანი ქაღალდების თანხას, ბანკის აქტივების საერთო თანხას უფარდებენ.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალს ასახავს, ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდისა და ლიკვიდობის რეზერვის სხვაობა. კომერციული ბანკის ლიკვიდობის საერთო რეზერვი ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ აუცილებელ რეზერვის ნორმაზე და ბანკის მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრულ ლიკვიდობის რეზერვის დონეზე დამოკიდებული.

ასე მაგალითად ინკომბანკის 1991 წლის 1 იანვრის ბალანსით, ლიკვიდობის რეზერვის სტრუქტურას 4 ცხრილში მოცემული მონაცემები ახასიათებენ.

ცხრილი 4

№	ბალანსის აქტივის მუხლების დახასიათება	ბალანსის აქტივში საერთო თანხის ხვედრითი წილი, %
1	სალარო	0,01
2	სახ. ბანკში საკორესპონდენტო ანგარიში	5,4
3	საგარეო-ეკონომიკურ ბანკში სავალუტო ანგარიში	0,01
4	საკრედიტო რესურსების რეგულირების ფონდის სახსრები	4,2
5	სახელმწიფო სესხის ობლიგაციები	1,2
6	ლიკვიდური სახსრების საერთო რეზერვი (1 + 2 + 3 + 4 + 5)	10,82

წარმოდგენილი მონაცემები ლიკვიდობის რეზერვის, განსაკუთრებით სალაროს ნაღდი ფულის მიხედვით საკმაოდ დაბალ დონეზე მიუთითებს. ამიტომ, ბანკში მობილიზებულ სახსრების საერთო თანხიდან ბანკის მაღალი საკრედიტო პოტენციალია - 89,18 % (1000-10,82 %).

ლიკვიდობის რეზერვის საბანკო რეგულირების მნიშვნელოვანი კომპონენტია ნაღდი ფულის უნარიანი მართვა, სალაროს მინიმალურად დასაშვებ დონეზე შენარჩუნების მიზნით და ამავე დროს ოპერაციების მომგებიანობის უზრუნველყოფისათვის. ნაღდი ფულის მართვა ბანკის მიერ მრავალი გამოანგარიშების შესრულებას და მაკონტროლებელი ორგანოებისათვის ანგარიშების შედგენას გულისხმობს.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის საერთო დონეზე ობიექტურ ზემოქმედებას ახდენს ფაქტების შემდეგი ერთობლიობა: ბანკში მობილიზებული სახსრების წყაროების საერთო სიდიდე; ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი აუცილებელი რეზერვების დონე; აუცილებელი რეზერვის გამოყენების რეჟიმი, როდესაც ამ რეზერვების კომერციული ბანკის მიმდინარე ლიკვიდობის შესანარჩუნებლად გამოიყენება დასაშვებია; საერთო თანხა და ბანკის ვალდებულებების სტრუქტურა;

ბანკის საკრედიტო პოტენციალის სახსრების ეფექტურობა მიიღება თუ ერთდროულად: ლიკვიდობის აუცილებელი მინიმუმია უზრუნველყოფილი; საკრედიტო პოტენციალის სახსრების მთელი ერთობლიობა გამოიყენება; საკრედიტო პოტენციალზე მაქსიმალურად მაღალი მოგება მიიღწევა;

საკრედიტო პოტენციალის სახსრების სტრუქტურა. ბანკის აქტივებში საკრედიტო სახსრების პოტენციალის სახსრების სტაბილური მიმართულების შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ამ სახსრების წყაროების, საბანკო ანალიზს ენიჭება. ტრადიციულად, ბანკის საკრედიტო პოტენციალის ყველა წყაროები საკუთარი და ნასესხები სახსრები არის. ძირითადი ადგილი ნასესხებ სახსრებს უჭირავს, რომლებიც ეკონომიკური ხასიათიდან გამომდინარე დეპოზიტების, საშემნახველო ანაბრებისა და ფულადი ბაზრის სახსრების (ბანკთაშორისი სესხები და ფასიანი ქაღალდები) სახით გამოდიან.

საბანკო საქმიანობის ლიკვიდობის პრინციპი განსაზღვრავს საკრედიტო პოტენციალის ნასესხები სახსრების მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებად დაყოფას. ამავე დროს საკრედიტო პოტენციალის სტრუქტურაში საჭიროა ნასესხები სახსრების სუბიექტებიც გავარჩიოთ. მთლიანობაში, საკრედიტო პოტენციალის ნასესხები სახსრების სტრუქტურა, მათი ძირითადი სახეების მიხედვით და ვადიანობის გათვალისწინებით შეიძლება თვალნათლივ წარმოვიდგინოთ 7 სქემაზე.

ლიკვიდობის პრინციპის გათვალისწინებით კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის ყველა სახსრები, მათი სტაბილურობის ხარისხის მიხედვით უნდა დავყოთ. ამასთან დაკავშირებით, საკრედიტო პოტენციალში შეიძლება გამოვყოთ: მთლიანად სტაბილური სახსრები, სტაბილური სახსრები, არასტაბილური სახსრები.

საკრედიტო პოტენციალის პირველ ჯგუფში, მთლიანად სტაბილურ სახსრების შემადგენლობაში შედის: ბანკის საკუთარი სახსრები; განსაზღვრული ვადით დეპონირებული სახსრები; სხვა ბანკებიდან მიღებული საკრედიტო სახსრები:

სტაბილური სახსრები - ეს ბანკის კომინტენტების წარდგინებით დეპონირებული სახსრებია, რომელთა დინამიკაც, ბრუნვადობა ბანკის მიერ არის შესწავლილი და ამ სახსრების საშუალო თანხაა დადგენილი. ამ თანხით ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია ამ სახსრების განსაზღვრულ აქტივებში გამოყენება.

არასტაბილური სახსრები იმ დეპოზიტურ სახსრებს ქმნიან, რომლებიც პერიოდულად ჩნდებიან და რომელთა დინამიკაც ძნელი გასათვალისწინებელია.

საკრედიტო პოტენციალის სახსრების სტრუქტურის რეგულარული ანალიზი ბანკს საშუალებას აძლევს სახსრების ბრუნვის განსაზღვრული კანონზომიერებანი გამოავლინოს. მოცემული კანონზომიერებანი საკრედიტო პოტენციალის განწილების და ბანკის ლიკვიდობის სწორი პოლიტიკის გამომუშავებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული.



სქემა 7.

2. საკრედიტო პოტენციალის სახსრების ფორმირების და განაწილების საბანკო პოლიტიკა

კომერციული ბანკის საქმიანი პოლიტიკა რეალურ ეკონომიკურ წინაპირობებს საკრედიტო პოტენციალის წყაროებს ეფუძნება. მისი წარმატებით განსახორციელებლ ბანკისათვის აუცილებელია ყველა იმ ფაქტორების აღრიცხვა, რომლებიც საკრედიტ პოტენციალის სახსრების მიზიდვაზე ახდენენ გავლენას. ამასთან დაკავშირებით, განვიხილო ძირითადი ფაქტორები, რომლებიც საკრედიტო პოტენციალის სახსრების ფორმირების მხრ ბანკის პოლიტიკის ეფექტურობაზე ზეგავლენას ახდენენ.

საკრედიტო პოტენციალის წყაროების ზრდის ძირითად ფორმებს მიკუთვნება: - საბანკ კომიტენტების რიცხვის გადიდება; - ბანკის წევრების და კომიტენტების სახსრების ზრდა; - ბანკ საორგანიზაციო ქსელის გაზრდა; - ბანკის წევრების და კომიტენტების სახსრების მიზნობრივ გაერთიანება. მაგალითად, საბინაო მშენებლობის საერთო ფონდის შექმნა.

სამეურნეო საწარმოების და ორგანიზაციების სახსრები საკრედიტო პოტენციალ ფორმირების ძირითადი ფაქტორებია. საწარმოების სახსრების აკუმულაციისათვის რეალურ შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება, ერთის მხრივ, და იგივე საწარმოების ფულად სახსრებ მოთხოვნები - მეორეს მხრივ, საბანკო საქმიანი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტებ საზღვარგარეთის პრაქტიკაში ბანკის იმ კომიტენტებს ეძლევათ უპირატესობა, რომლებიც მთელ სამეურნეო საქმიანობას მოცემული ბანკის მეშვეობით ახორციელებენ და მთელი ფულად სახსრების დეპონირებას ამ ბანკში ახდენენ.

ბანკებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუდმივი კომიტენტების რიცხვის ზრდას რადგან ამ შემთხვევაში ბანკის დეპოზიტები და ლიკვიდობა სტაბილურად იზრდება.

ლიკვიდობის დაცვის მხრივ აშშ-ს კომერციული ბანკების პრაქტიკის ანალიზისას ვ.ა. პონომარიოვ აღნიშნავს: "რესურსების მოზიდვის საქმის კარგი ორგანიზაციის დროს აქტივების ზოგიერთი მუხლის მოზიდულ დეპოზიტებთან რაოდენობრივ თანაფარდობას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს სინამდვილეში, აქტივების სახსრების საშუალოვადიანი და გრძელვადიანი დაბანდებების, მოზიდულ დეპოზიტებთან დაბალი პროცენტული თანაფარდობა უფრო ცოტას ნიშნავს, ვიდრე მაღალი თანაფარდობა, თუ მეორე შემთხვევაში კონკრეტული წყაროებიდან დიდი ხნის ჩამოყალიბებული ტრადიციული კავშირების ბაზაზე დეპოზიტების სტაბილურობა უზრუნველყოფილია.

ბანკს თავისი კომიტენტების საქმიანობა კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი. სისტემატურად უნდა გაანალიზოს მისი საქმიანობის ისეთი მაჩვენებელი როგორიცაა: - ბალანსის ლიკვიდობა; - სახსრების გამოყენების რენტაბელობა. კერძოდ, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობა, როგორც სახსრების ლიკვიდობის ხარისხის რეალური, ეკონომიკური კრიტერიუმი; - წარმოების გეგმები და მათი საბაზრო კონიუნქტურის პირობებთან შესაბამისობა; -საწარმოების ტექნიკური დონე და მისი განვითარების პერსპექტივები; - საექსპორტოდ წარმოებული საქონლის ხვედრითი წონა; - საბანკო პოლიტიკაში საკრედიტო პოტენციალის სახსრების ფორმირების მხრივ მოსახლეობის სახსრებს განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს. მოსახლეობის დანაზოგებზე ზემოქმედებას ახდენენ შემდეგი ძირითადი ფაქტორები: 1. ფულადი შემოსავლების სიდიდე და დანაზოგებისაკენ მიდრეკილება; 2. ფართო საბანკო ქსელის და ეფექტური ლოტირების გზით დანაზოგების შეძენის ორგანიზაცია; 3. მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ხარისხი; 4. საინფორმაციო

მომსახურების ორგანიზაცია; 5. ბანკის განყოფილების ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც მოსახლეობასთან მუშაობს; 6. კომიტენტების კარგად ცოდნა, მათი რეგიონალური განაწილება, საფინანსო ძალები, მოთხოვნების ინტენსივობა და ბანკში დეპონირებული სახსრების გამოყენება, ვალდებულებების შესრულების საიმედობა, უზრუნველყოფილი შესაძლებლობები და სხვა ფაქტორები, რომელთა საფუძველზე მოსახლეობის სახსრების მოზიდვებზე და უკუქცევაზე რეალური წარმოდგენა შეიძლება შეიქმნას.

კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალის სახსრების წყაროებში განსაკუთრებული ადგილი ცენტრალური ბანკის კრედიტებს უჭირავს. ამ წყაროების, სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ: - ჯერ ერთი, ცენტრალური ბანკის კრედიტები არის ემისიის სახსრები, ფულადი მასის მოცულობის რეგულირებისა და საბანკო სისტემის ლიკვიდობის ძირითადი ინსტრუმენტი; - მეორე, ცენტრალური ბანკის მიერ, რეფინანსირების წესით კომერციული ბანკებისათვის გაიცემა კრედიტები.

რეფინანსირების სისტემა გულისხმობს, რომ თავდაპირველად კომერციული ბანკები, როგორც წესი, განსაკუთრებული მიზნით, თავიანთ კომიტენტებს, საკრედიტო პოტენციალის ხარჯზე, კრედიტებს აძლევენ და რასაც მთელი მეურნეობისათვის და ფულადი ბრუნვის გამარტივებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის, კრედიტის გაცემის მიზანია, კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის წყაროების იმ ნაწილის ანაზღაურება, რეფინანსირება, რომელიც ბანკების კომიტენტების ზემოთ მითითებულ კრედიტებშია ჩადებული. კომერციული ბანკების მიერ, ცენტრალური ბანკების კრედიტების გამოყენების შესაძლებლობა, მეურნეობის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, ქვეყნის ფულად საკრედიტო პოლიტიკით განისაზღვრება. თუ ცენტრალურ ბანკს ფულადი მასის შემცირება სურს, მაშინ კრედიტის რესტრიქციის პოლიტიკას ატარებს, მათ შორის, კომერციული ბანკებისათვის გათვალისწინებული კრედიტების შემცირების ხარჯზე. და პირიქით, თუ გათვალისწინებულია ფულადი მასის, კრედიტის ექსპანსიის ხარჯზე ზრდა, საწარმოების საქმიანი აქტიურობის განვითარებას უპირატესობა ეძლევა, მათ შორის ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გაცემული კრედიტის ხარჯზე.

ამჟამად, სახელმწიფო ბანკი ჯერ კიდევ ანაწილებს საკრედიტო რესურსებს ყოფილ სპეციალიზებულ ბანკებზე, რაც რესურსების მართვის საბაზრო მეთოდებს არ პასუხობს. ამასთან 1990-1991 წლებში სახელმწიფო ბანკის და რესპუბლიკების ცენტრალური ბანკების მიერ კომერციული ბანკებისათვის რეფინანსირების წესით კრედიტების გაცემა გათვალისწინებული იყო შემდეგი პირობების დაცვით: ა) კრედიტების გაცემა კომერციული ბანკების კომიტენტებისათვის პრიორიტეტული მიმართულებით იმპორტული მოწყობილობის ღირებულების გადასახდელად, სახალხო მეურნეობის საქონლის წარმოებისათვის და ნედლეულის ღირებულების გადასახდელად, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობისათვის; ბ) ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და კრედიტის დაფარვის პერსპექტივები; გ) კომერციული ბანკის საკუთარი საკრედიტო რესურსების მობილიზაცია და სხვა ბანკებისათვის ბანკთაშორისი კრედიტის არ გაცემა; დ) კრედიტის გამოყენების მიმართულების ეკონომიკური დასაბუთება; ე) ცენტრალური ბანკებისათვის კლიენტის ქონებაზე უფლების დათმობა; ვ) კლიენტის ქონება, კომერციული ბანკის მიერ კრედიტის უზრუნველყოფისათვის უნდა იყოს მიღებული; ზ)

საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, სადაც კრედიტის სიდიდე და ვადა, გაცემის და დაფარვის რიგი, საპროცენტო განაკვეთი და გირაოზე ვალდებულება უნდა იყოს გათვალისწინებული.

ბანკთაშორისი კრედიტი იმ სახსრების მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც საკრედიტო პოტენციალის სტაბილურობას იცავს.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში ბანკთაშორისი დაკრედიტება, როგორც წესი, ხორციელდება ბანკის მიმდინარე ლიკვიდობის დასაცავად და სახსრების დაბანდების უზრუნველსაყოფად; ძირითად მოკლევადიან ხასიათს ატარებს; სახსრების გაცემის ოპერატიული ხერხია.

ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარებას უზრუნველყოფს კარგი საინფორმაციო ბაზა, რომელიც ბანკების ფინანსურ მდგომარეობას, მათ გადახდისუნარიანობას და ლიკვიდობას ახასიათებს, პრაქტიკაში აუცილებელია ბალანსების გამოყენება.

ბანკების საკრედიტო პოტენციალის სახსრები ჟალიბებს ფულის და კრედიტის ბაზარს, სადაც ბანკები ისევე, როგორც ყველა სხვა ბაზარზე გასცემენ და იღებენ კრედიტებს. საკრედიტო ბაზარზეც, კრედიტის მოთხოვნა მიწოდების ნათელი სურათი უნდა იყოს.

ამ მიზნებისათვის ბანკში იმ ძირითად ფაქტორებზე ხორციელდება კონტროლი, რომლებიც კრედიტის მოთხოვნა - მიწოდებაზე ზემოქმედებენ. ესენია: 1. კრედიტის მოთხოვნა - მიწოდების მატარებელი. 2. ვადიანობის მიხედვით კრედიტის მოთხოვნა - მიწოდების მოცულობა. 3. პროცენტის დონის პირობები და სიდიდე ან კრედიტის ფასი, მისი ვადიანობის მიხედვით. 4. საკრედიტო ბაზარზე მოძრაობის ძირითადი ტენდენციები, განსაკუთრებით ცენტრალური ბანკების ზემოქმედება. 5. ცალკეულ საკრედიტო ბაზრებზე საპროცენტო დონეების თანაფარდობა, მათი კანონზომიერებანი. 6. რისკის დაზღვევის სისტემა, რომელიც საკრედიტო ბაზარზე, კრედიტის აღების ან გაცემის დროს შეიძლება გამოვლინდეს.

თუ კომერციულ ბანკს საკრედიტო ბაზრის ნათელი სურათი გააჩნია, მაშინ ის ამით საკრედიტო ბაზარზე თავისთვის ბანკთაშორისი კრედიტის მიღების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ეს არალიკვიდობის რისკის გარეშე, საკუთარი ვალდებულებების წარმოშობის მომენტში ხდება. გარდა ამისა, საკრედიტო ბაზარი ბანკს საშუალებას აძლევს, დაიცვას თავისი სახსრების მაღალი ლიკვიდობა ბაზარზე მათი გაყიდვით.

სახსრების საკრედიტო პოტენციალის განაწილების საბანკო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სახსრების წყაროების სტრუქტურის, ბანკის აქტივების სტრუქტურასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაა. ასე, მაგ.: "აშშ-ში ლიკვიდობის დაკნინებული კოეფიციენტი არ არის. ბანკის ხელმძღვანელობის ამოცანაა მისი განსაზღვრება და მხარდაჭერა, ამასთან ამოსავალი წერტილია ის, რომ მოზიდული დეპოზიტების ტიპი, მათი წარმოშობის წყაროები და სტაბილურობა, ლიკვიდობის განსაზღვრის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

საბანკო ფუნქციის სპეციფიკურობა და ფულადი ნაკადების ცირკულაციის დინამიკა რეალურ შესაძლებლობას ქმნის იმისათვის. რომ ბანკმა თავის საქმიანობაში საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადიანი ტრანსფორმაციის განხორციელება შესძლოს. ბანკის სახსრების ვადიანი ტრანსფორმაცია ხდება, მაშინ, როცა ბანკი კრედიტის განსაზღვრულ თანხას, საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადაზე უფრო მეტი ხნით გასცემს.

საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადიანი სტრუქტურის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა იმასთან არის დაკავშირებული, რომ მოთხოვნამდე დეპოზიტების სახსრების ბანკში კონცენტრირდებიან სხვადასხვა დეპოზიტებისაგან, რომლებიც მათ სხვადასხვა დინამიკით გამოიყენებენ. თუ რა დონემდე შეუძლია ბანკს მოახდინოს ვადიანი სახსრების სტრუქტურის

შეცვლა საკრედიტო პოტენციალის სახსრების ფორმირების და განაწილების დამტკიცებულ საქმიან პოლიტიკაზეა დამოკიდებული. ტრანსფორმაციის მომენტში სახსრების წყაროების და აქტივების ლიკვიდობის დონე საბანკო ანალიზზეა დამოკიდებული.

საზღვარგარეთის გამოცდილება იმას ადასტურებს, რომ საკრედიტო პოტენციალის ტრანსფორმაცია საბანკო ლიკვიდობის პრობლემის გართულების ერთ-ერთი ძირითად მიზანს წარმოადგენს. ვადიანი ტრანსფორმაციის რისკის ხარისხის შესაფასებლად მიზანშეწონილია ბალანსში აქტიური და პასიური ოპერაციების ვადების ასახვა დარეგულირდეს და კომერციული ბანკების ბალანსების პოზიციების უნიფიცირება მოხდეს. ამასთან, საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადიანი სტრუქტურის ანალიზი და მათი განაწილება მიზანშეწონილია შემდეგი ფორმით ჩატარდეს.

ცხრილი 5

ბანკის ოპერაციების ვადიანობა	ფულადი ნაკადების მიმართულება და თარიღი		
	სახსრების წყაროები	სახსრების განაწილება	გაწყვეტა
1	2	3	2-3
3 თვემდე			
3-დან 6 თვემდე			
6-დან 12 თვემდე			
1 წლიდან 2 წლამდე			
2 წლიდან 5 წლამდე			
5 წლის ზემოდ			

საკრედიტო პოტენციალის სახსრების მოზღვავების და უკუქცევის მნიშვნელოვანი ფაქტორია ბანკის ლიკვიდობის პოლიტიკაში ხარისხობრივი და რაოდენობრივი წონასწორობა. მოცემულ ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევენ მოცემული წონასწორობის ანალიზი ჩავატაროთ და ამით შევაფასოთ საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადიანი ტრანსფორმაციის არალიკვიდობის რისკის ხარისხი. ვადიანი ტრანსფორმაციის ხარისხის უმარტივესი მაჩვენებელი შეიძლება მოკლევადიანი აქტივების საერთო მოცულობასა და მოკლევადიანი წყაროებს შორის, და გრძელვადიან აქტივების სიდიდესა და ბანკის საკრედიტო პოტენციალის სახსრების გრძელვადიან წყაროებს შორის საპროცენტო თანაფარდობა იყოს.

თ ა ვ ი VIII

მსესხებლის კრედიტუნარიანობა და მისი განსაზღვრის მეთოდიკა

1. კომერციული ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის ცნება

მსესხებლის კრედიტუნარიანობა ნიშნავს იურიდიული ან ფიზიკური პირის შესაძლებლობას სრულად და დროულად განთავისუფლდეს თავისი სავალო ვალდებულებებისაგან.1930-1932 წლებში საკრედიტო რეფორმამდე სბანკო პრაქტიკაში კრედიტუნარიანობას განმარტავდნენ, როგორც პიროვნების სურვილს, ნდობის შესაძლებლობასთან გაერთიანებულს, წესიერად შეასრულოს აღებული ვალდებულებები.

მსოფლიო სბანკო პრაქტიკაში კლიენტის კრედიტუნარიანობა ერთ-ერთ ძირითად ობიექტს წარმოადგენდა და წარმოადგენს საკრედიტო ურთიერთობათა მიზანშეწონილობის და ფორმირების განსაზღვრისას. ვალის დაბრუნების უნარი კლიენტის მორალურ თვისებებთან, ოსტატობასთან და საქმიანობასთან, უძრავ ქონებაში კაპიტალის დაბანდების ხარისხთან, სესხების დასაფარავად სახსრების გამომუშავების შესაძლებლობასთან, წარმოება - მიმოქცევის პროცესში სხვა ვალდებულებებთან არის დაკავშირებული.

ჯერ კიდევ მე-14 საუკუნის ბოლოს ნ.ხ. ბუნგე თავის ნაშრომში, "კრედიტის თეორია". მოჰყავს ფრანგი ბანკირის ლოს გამონათქვამი: "ვნდობით რა, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ მათ (კლიენტების, მსესხებლების) პატიოსნებას, მათ ოსტატობას - ის ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენ მოტყუებული არ ვიქნებით: - ის ჩვენ გვაძლევს იმედს, რომ ისინი ანგარიშსწორებისას არ მოგვატყუებენ; მათი საქმიანობით განისაზღვრება იმ პროცენტის იმედი, რომელსაც ჩვენ ველოდებით".

ჩვენი ქვეყნის ეკონომისტებიც მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებისას პირველ ადგილზე კლიენტის მორალურ თვისებებს აყენებდნენ. კერძოდ, ი.გ. ალადუროვი წერდა: "კრედიტის პირველ და უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს აუცილებლობა, რომ პიროვნება, რომელიც ჩვენთან დაკრედიტების საშუალებას ეძებს, ჩვენში ნდობას ზნეობრივი თვისებებით იმ მხრივ იწვევს, რომ მასზე გაცემული ფასეულობა დათქმულ დროს განსაზღვრული თანხით დაბრუნდეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ნ.ხ. ბუნგე კრედიტუნარიანობას კაპიტალის უდიდეს უძრაობას უკავშირებდა და უძრავ ქონებაში სახსრების ჩადებას ვალის დაბრუნების გარანტიად თვლიდა, მაშინ ბევრ ეკონომისტს სხვანაირი პოზიცია ეკავა. ისინი კრედიტოუნარიანობის საფუძვლად განიხილავდნენ მსესხებლის შესაძლებლობას ფონდების ნორმალური წრებრუნვის პროცესში სესხის დასაფარავად სახსრები გამოემუშავებინათ. მაგალითად, ვ.პ.კოსინსკი ხაზს უსვამს, რომ "კრედიტუნარიანობა იცვლება იმ პირობებით, რომლებიც გარანტიას იძლევიან, რომ კაპიტალი კი არ დაიღუპება, არამედ აღდგება".

ამრიგად, მსესხებლის კრედიტუნარიანობა ეყრდნობა კლიენტის მორალურ თვისებებს და მის უნარს ავანსირებული სახსრები კვლავწარმოს ვალის დასაფარავად.

მსესხებლის კრედიტუნარიანობა, მისი გადახდისუნარიანობისაგან განსხვავებით, განვლილი პერიოდის, ან რომელიმე თარიღისათვის არგადახდებს კი არ აფიქსირებს, არამედ უახლოეს

პერსპექტივაში მის გადამხდელუნარიანობის პროგნოზს აკეთებს. ის იმ მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე შეფასდება, რომლებიც საბრუნავი სახსრების განთავსების, წყაროებს და მსესხებლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს ასახავენ. მაჩვენებლების ამორჩევა ეკონომიკის ტიპზე, სააზრო ურთიერთობების განვითარების ხარისხზე, ბალანსისა და ანგარიშსწორების სხვა ფორმების, დარგობრივ თავისებურებებზე და საკუთრების ფორმებზეა დამოკიდებული.

ეკონომიკის ცენტრალიზებული-გეგმური მართვის პირობებში, ბანკი კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას, "კარგად" და "ცუდად" მომუშავეებად დაყოფისას, ე.ი. მათი კრედიტუნარიანობის განსაზღვრისას ძირითადად გეგმის შესასრულებელი მაჩვენებლებით ხელმძღვანელობდა. ამავე დროს, საბრუნავი სახსრების განწილების ხასიათსაც ითვალისწინებდა. სამწუხაროდ, კლიენტის ფინანსური მდგომარეობის კრიტერიუმი ხშირად მოცემული სახის სამეწარმეო საქმიანობის, სასოფლო-სამეურნეო აუცილებლობის განვითარების კრიტერიუმს უთმობდა ადგილს. მაშინ, როდესაც დაკრედიტების რეჟიმის და შესაძლებლობის საკითხი წყდებოდა.

2. საზღვარგარეთის კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები

განვითარებული სააზრო ეკონომიკის ქვეყნების ბანკები, კლიენტების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად, დიდი რაოდენობის მაჩვენებლების რთულ სისტემას იყენებენ. ეს სისტემა დიფერენცირებულია მსესხებლის (ფირმა, კერძო პირი, საქმიანობის სახე) ხასიათიდან გამომდინარე. შესაძლებელია, როგორც სალდოს, ასევე კლიენტის ანგარიშგების საბრუნავ მაჩვენებლებზე იყოს დაფუძნებული. ასე, მაგალითად, რიგი ამერიკელი ეკონომისტები კრედიტუნარიანობის შეფასებისას ისეთ სისტემას აღწერენ, რომელიც ანგარიშგების სალდოს მაჩვენებლებზე არის აგებული. ამერიკელი კომერციული ბანკები ძირითადი მაჩვენებლის ოთხ ჯგუფს იყენებენ. ესენია: ფირმის ლიკვიდობა, კაპიტალის ბრუნვადობა, სახსრების მოზიდვა და მომგებიანობა.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ლიკვიდობისა (Kl) და დაფარვის (Kn) კოეფიციენტები. Kl – წარმოადგენს ყველაზე უფრო ლიკვიდური სახსრების და მოკლევადიანი სავალო ვალდებულებების თანაფარდობას. ლიკვიდური სახსრები ფულადი სახსრებისაგან და მოკლევადიანი ხასიათის დებიტორული დავალიანებისაგან შედგება, სასესხო ვალდებულებები შემდეგი სახის ვალდებულებებისაგან შედგება: მოკლევადიანი (უახლოეს ვადებში დასაფარავი) სესხები, თამასუქები, აუნაზღაურებელი მოთხოვნები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები. Kl პროგნოზს უკეთებს კლიენტის შესაძლებლობას ოპერატიულად, დაწესებულ ვადაში. უახლოეს პერსპექტივაში დაფაროს ბანკის ვალი, საბრუნავი კაპიტალის სტრუქტურის შეფასების საფუძველზე, რაც უფრო მაღალია Kl მით უფრო მაღალია კრედიტუნარიანობა. Kn არის საბრუნავი კაპიტალის და მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებების თანაფარდობა. საბრუნავი კაპიტალი, გარდა ფულადი სახსრებისა და დებიტორული დავალიანებისა, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგების ღირებულებასაც შეიცავს. Kn გვიჩვენებს დაკრედიტების ზღვარს, ვალის დასაფარავად კლიენტის ყველა სახის სახსრების საკმარისობას. თუ Kn 1-ზე ნაკლებია, მაშინ დაკრედიტების საზღვრები დარღვეულია, მსესხებლისათვის კრედიტის გაცემა აღარ შეიძლება, ის არ არის კრედიტუნარიანი.

კაპიტალის ბრუნვადობის მაჩვენებელი მეორე ჯგუფს მიეკუთვნება და ასახავს საბრუნავი აქტივების ხარისხს და Kn ზრდის შესაფასებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული. მაგალითად, ამ კოეფიციენტის მნიშვნელობის გაღიდებისას მარაგების ზრდის და ერთდროულად მათი ბრუნვადობის შენელების ხარჯზე, არ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მსესხებლის კრედიტუნარიანობის ამაღლებაზე.

მოზიდვის კოეფიციენტები (Knr) შეფასების მაჩვენებლების მესამე ჯგუფს ქმნიან და გამოიანგარიშება ყველა სავალო ვალდებულებების აქტივებთან ან ძირითადი კაპიტალის საერთო თანხასთან შეფარდებით. ისინი სასესხო სახსრებისადმი ფირმის დამოკიდებულებას გვიჩვენებენ, რაც უფრო მაღალია მოზიდვის კოეფიციენტი, მით უფრო ნაკლებია მსესხებლის კრედიტუნარიანობა.

მაჩვენებელთა მესამე ჯგუფთან მჭიდროდაა დაკავშირებული მეოთხე ჯგუფის მაჩვენებლები, რომლებიც ფირმის მოგების ანახიათებენ. მათ მიეკუთვნება: შემოსავლის ნორმა, შემოსავლებში მოგების წილის ნორმა, მოგების ნორმა, აქციაზე მოგების ნორმა. თუ ფირმის სასესხო სახსრებზე დამოკიდებულება იზრდება, მაშინ კრედიტუნარიანობის შემცირება, როლშელიც შეფასებულია Knr-ის საფუძველზე, შეიძლება კომპენსირებული იქნას მოგების ზრდით.

ამრიგად, დასახელებული მაჩვენებლები ურთიერთდაკავშირებულია და ქმნიან ერთიან სისტემას. გარდა ძირითადი მაჩვენებლებისა, ფირმის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებული იყოს დამატებითი მაჩვენებელი. მაგალითად, საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოფის მაჩვენებლები და რენტაბელობა.

საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოფის გამოთვლა ხდება დავალიანების და საკუთარი სახსრების თანაფარდობით. ამერიკული საწარმოებისათვის ამ მაჩვენებლის საშუალო დონე 1980 წელს 47,2 %, 1985 წელს 58,2 %, 1987 - 87,1 %, 1988 - 75,9 % შეადგინა, ამ პერიოდში საფრანგეთის საწარმოებში აღნიშნულმა თანაფარდობამ შესაბამისად 224 %; 240 %; 198,6 % და 161,1 % შეადგინა.

საფრანგეთის კომერციული ბანკების კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასება 3 ბლოკს მოიცავს: 1. საწარმოების შეფასება, მისი ბალანსის და სხვა ანგარიშგებათა ანალიზი; 2. კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასება, ცალკეული ბანკების მიერ მიღებული მეთოდიკით; 3. კრედიტუნარიანობის შესაფასებლად საფრანგ. ის ბანკების კართოტეკების მონაცემების გამოყენება.

საწარმოს შეფასების დროს ბანკს შემდეგი საკითხები აინტერესებს: - საწარმოს საქმიანობის ხასიათი და მისი ფუნქციონირების ხანგრძლივობა; - წარმოების ფაქტორები: ა) შრომითი რესურსები. ხელმძღვანელების, მმართველების და პერსონალის ჭრილში განათლება, კომპეტენტურობა და წლოვანება, მისი მემკვიდრის არსებობა, მმართველების სამუშაო ადგილებზე გადაადგილების სიხშირე, პერსონალის სტრუქტურა, მოცდენის მაჩვენებლები, შრომის ანაზღაურებისა და დამატებული ღირებულების თანაფარდობა (თანაფარდობა 70 %-ის ფარგლებში უნდა იყოს); ბ) საწარმოო რესურსები, (ამორტიზაციის და ამორტიზებული სახსრების თანაფარდობა, ინვენსტიციის დონე); გ) ფინანსური რესურსები; დ) ეკონომიკური გარემო, გამოსაშვები პროდუქცია სასიცოცხლო ციკლის რომელ სტადიაზე იმყოფება, საწარმო არის თუ არა მონოპოლიური მწარმოებელი, კონკურენციის პირობები, საწარმოს ძირითადი პროდუქციის ბაზრის განვითარების სტადია, ფირმის კომერციული პოლიტიკა, მარკეტინგის ხერხებისა და საშუალებების ათვისების ხასიათი.

კომერციული ბანკის ბალანსი მოიცავს: აქტივისა და პასივის მუხლებს და საქმიანობის შედეგების ანგარიშს. ბალანსის აქტივში ანალიზის დროს სამ შემადგენელ ნაწილს გამოყოფენ: იმობილიზებულ აქტივებს (ძირითადი ფონდები), საბრუნავ სახსრებს (მარაგები, დებიტორები და სხვა) და ნაღდ ფულს (სალაროში, ფული ანგარიშზე ბანკში, ფასიანი ქაღალდები) ბალანსის პასივი

იყოფა მუდმივ რესურსებად, კრედიტორულ დავალიანებად და ნაღდ ფულად (ოვერდრაფტი, ვალუტის განაღდება).

საქმიანობის შედეგების ანგარიშების საფუძველზე განისაზღვრება ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლები.

ბალანსი და ანგარიშგების სხვა ფორმები გამოიყენება ჯერ ერთი, სალდირებული მაჩვენებლების თანაფარდობის შესაფასებლად და მეორე, საბრუნავი მაჩვენებლების საფუძველზე კრედიტუნარიანობის კოეფიციენტების გამოსათვლელად.

ცხრილი 6

მაჩვენებელი	განსაზღვრის მეთოდი
რეალიზაციიდან ამონაგები, საერთო კომერციული შემოსავალი ან კომერციული მარჟა, (BD)	**რეალიზაციიდან ამონაგები** მინუს შეძენილი საქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება და მზა ნაწარმი
დამატებული ღირებულება (DS)	**BD** მინუს საექსპლუატაციო ხარჯები (ადმინისტრაციული და სუბმოიჯარადების)
საერთო საექსპლუატაციო შემოსავალი (BAD)	**DS** მინუს ხარჯები ხელფასზე, გადახდები ხელფასიდან და შვებულების ანაზღაურება
საერთო საექსპლუატაციო შედეგი (BEP)	**BED** მინუს პროცენტები კრედიტზე, პლუს სხვა საწარმოებში დაბანდებული სახსრებიდან შემოსავალი და მინუს რისკის ფონდში ანარიცხები
მოგება, რომელიც თვითდაფინანსებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული (CF)	**BEP** მინუს საწარმოს თანამშრომლებს შორის განაწილებული მოგება და მინუს მოგებიდან გადასახადი
სუფთა მოგება (W)	**CF** პლუს ან მინუს შემოსავლები (ხარჯები), მინუს უძრავი ქონების ამორტიზაცია

ანალიზის საგანს შეადგენს ისეთი პროპორციები, როგორიცაა გრძელვადიანი დავალიანებისა და საკუთარი სახსრების თანაფარდობა, სტაბილური საკუთარი რესურსების და აქტივების თანხების თანაფარდობა, ხარჯებისა და ზარალის დინამიკა წარმოების ზრდის ტემპებთან შედარებით და ა.შ. ფირმის ანგარიშების მონაცემების შედარება ხდება ნაირი ბალანსის მონაცემებთან, რაც ერთგვაროვანი საწარმოების ბალანსების საფუძველზე დგება. ბალანსის მონაცემების ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საბანკო რისკის განსაზღვრა.

ნაღდი ფულის მდგომარეობის მაჩვენებლების შეფასება ხდება საწარმოების განვითარების დონის, მისი რენტაბელობის და საბრუნავი თანხების მოთხოვნილების ხარისხის გათვალისწინებით. ამ კრიტერიუმის შესწავლა ხდება საწყობში ნედლეულის და მზა ნაწარმის ნაშთის ბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლით. აგრეთვე მომწოდებლებთან ანგარიშსწორების სიჩქარის მაჩვენებლებით.

კომერციული ბანკის მიერ კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების კერძო მეთოდიკის ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება მოვიყვანოთ ბანკი Credit Lione მეთოდიკა. ეს მეთოდიკა აგებულია კლიენტის საბრუნავ მონაცემებზე, რომელსაც მოიცავს შედეგების ანგარიში. ეს მეთოდიკა წარმოადგენს შეფასების სისტემას, რომელიც ხუთ კოეფიციენტზეა აგებული:

რეალიზაციაც არ გამოიწვევს საწარმოო პროცესის შეფერხებას (მზა პროდუქცია და საქონელი; მარაგები, რომლებიც წარმოების მოთხოვნილებებს აჭარბებს. საბარტერო გარიგებებისათვის გათვალისწინებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები).

სასტარტო პერიოდში სახელმწიფო და საქციო საწარმოების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად შემოთავაზებულია გამოყენებული იქნეს სამი ფინანსური მაჩვენებელი, რომლებიც გასული წლის ბალანსების საშუალო ალდოს მონაცემების საფუძველზე განგარიშებული: ლიკვიდობის კოეფიციენტი (Kl) დაფარვის კოეფიციენტი (Kn) და საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი (Wcc).

ლიკვიდობის კოეფიციენტი მსესხებლის მიერ სამეურნეო ბრუნვიდან ფულადი სახსრების ოპერატიულად გამონთავისუფლების და ვალის ვალდებულებათა დაფარვის შესაძლებლობის შესაფასებლად არის განკუთვნილი:

$$Kl = \frac{\text{ლიკვიდური სახსრები}}{\text{ვადიანი სასესხო ვალდებულებები}}$$

ლიკვიდური სახსრების შემადგენლობას დარგობრივი თავისებურებები გააჩნია.

ლიკვიდური სახსრების შემადგენლობა

ცხრილი 8

დარგები	კლასი	ლიკვიდური სახსრები სტრუქტურა
მრეწველობა	I	სახსრები ანგარიშსწორების, დეპოზიტურ და სხვა ანგარიშებზე ბანკში; სახსრები სალაროში: აქციები, რომლებზეც თუნდაც ერთი წლის მანძილზე გაიცა დივიდენდები; პირველი კლასის თამასუქგამცემთა თამასუქები
	II	გადატვირთული საქონელი, რომელთა განაღდების ვადა არ დამდგარა; ანგარიშსწორება დებიტორებთან; საკუთარი სისტემის შუა-მოსამსახურეებთან მოკლევადიანი ხასიათის ანგარიშსწორებები
	III	მზა პროდუქცია, რომელიც ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს ან რომელიც სახალხო მოხმარების საქონლის წარმოადგენს
ვაჭრობა	I	სახსრები ანგარიშსწორების, დეპოზიტურ და სხვა ანგარიშებზე ბანკში; სახსრები სალაროში; აქციები, რომლებზეც თუნდაც ერთი წლის მანძილზე გაიცა დივიდენდები; პირველი კლასის თამასუქგამცემთა თამასუქები
	II	გადატვირთული საქონელი, რომელთა განაღდების ვადა არ დამდგარა; სხვა დებიტორები; საკუთარი სისტემის საწარმოებთან მოკლევადიანი ხასიათის ურთიერთანგარიშსწორებებისას აქტივის გადმეტება პასივზე
	III	სასაქონლო მარაგები; ტარა

მომარაგება – გასაღების ორგანიზაცია	I	სახსრები ანგარიშსწორების, დეპოზიტურ და სხვა ანგარიშებზე ბანკში; სახსრები სალაროში; აქციები, რომლებზეც თუნდაც ერთი წლის მანძილზე გაიცა დივიდენდები; პირველი კლასის თამასუქგამცემთა თამასუქები
	II	გადატვირთული საქონელი, რომელთა განაღდების ვადა არ დამდგარა; სხვა დებიტორები; საკუთარი სისტემის საწარმოებთან მოკლევადიანი ხასიათის ურთიერთანგარიშსწორებები
	III	სასაქონლო მარაგები; ტარა; ტრანზიტით გადატვირთული საქონელი, რომლებზეც სანგარიშსწორებო საბუთები ბანკში ინკასოზე არაა წარდგენილი; გასაქირავებელი საგნები
სასოფლო-სამეურნეო საწარმოები	I	სახსრები ანგარიშსწორების, დეპოზიტურ, სავალუტო და სხვა ანგარიშებზე ბანკში; სახსრები სალაროში; აქციები, რომლებზეც თუნდაც ერთი წლის მანძილზე გაიცა დივიდენდები; პირველი კლასის თამასუქგამცემთა თამასუქები
	II	ანგარიშსწორება დამამზადებელ ორგანიზაციებთან; გადატვირთული საქონელი, რომელზეც განაღდების ვადა არ დამდგარა; დებიტორები;
	III	მზა პროდუქცია ნატურალური გაცემების გამოკლებით; საქონელი
საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების	I	სახსრები ანგარიშსწორების, დეპოზიტურ და სხვა ანგარიშებზე ბანკში; სახსრები სალაროში; აქციები, რომლებზეც თუნდაც ერთი წლის მანძილზე გაიცა დივიდენდები; პირველი კლასის თამასუქგამცემთა თამასუქები
	II	გადატვირთული საქონლის ნაშთი 95 %-ის ოდენობით; დებიტორული დავალიანება;, უიმედო ვალებისაგან გასუფთავებული

Kl-ის გამოანგარიშებისას გათვალისწინებული მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებების შემადგენლობაში შედის: მოკლევადიანი სესხებით დავალიანება, გრძელვადიანი სესხებით დავალიანება საანგარიშგებო წელს დაფარვის ნაწილში, კრედიტორული დავალიანება, ბიუჯეტის ვალის ჩათვლით, მუშა-მოსამსახურეების ხელფასზე გარდამავალი დავალიანება.

დაფარვის კოეფიციენტი გამოიყენება კლიენტის დაკრედიტების ზღვარის შესაფასებლად. თუ Kn 1-ზე ნაკლებია, საჭიროა შეწყდეს სესხის გაცემა ან მოთხოვნილ იქნას საგარანტიო წერილი.

$$Kn = \frac{\text{1 და 11 კლასის ბალანსის ლიკვიდური სახსრები}}{\text{მოკლევადიანი ვალის ვალდებულებები}} + \frac{\text{მიხედვით ყველა მატერიალურ ფასეულობათა მარაგების ნაშთები}}{\text{მოკლევადიანი ვალის ვალდებულებები}}$$

114 -115 გვ-ზი ვალი!

სამედიცინო, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და სხვა) ძირითად მაჩვენებლებს წარმოადგენენ.

მოქმედი მცირე საწარმოების და კოოპერატივების კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები

ცხრილი 10

მაჩვენებელი	მრიცხველი	მნიშვნელი
ლიკვიდობის კოეფიციენტი (Kl)	I და II კლასის ლიკვიდური სახსრები: ანგარიშსწორების ანგარიშზე და სალაროში ფულადი სახსრების ნაშთები; ფინანსურად მდგრადი თამასუქგამცემების თამასუქები; საქციო საზოგადოებათა აქციები, რომლებზეც დივიდენდები გაიცემა; მყიდველისა და მიმწოდებლის დავალიანება, რომლებიც 3 თვეს არ აღემატება	ყველა სასეხსო ვალდებულებების სიდიდე: მოკლევადიან და გრძელვადიან ვალებზე, გამოთვლილი ვალის სიდიდე, კოოპერატივის ან მცირე საწარმოს დავალიანება მიმწოდებლებისა და მყიდველების, ბიუჯეტის, მუშა-მოსამსახურების მიმართ
დაფარვის კოეფიციენტი (Kn)	I, II და III კლასის ლიკვიდური სახსრები: III კლასი - ნედლეულისა და სხვა მარაგების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, მზა პროდუქციის, დაუმთავრებელი წარმოების, საკუთარი ძირითადი ფონდების ღირებულება, ოჯარით გაცემული შენობის საწყისს და ახალ ღირებულებებს შორის სხვაობა, თუ ამ სხვაობის დაბრუნება გათვალისწინებულია საიჯარო ხელშეკრულებით	კოოპერატივის ან მცირე საწარმოს სასეხსო ვალდებულებები
საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი (Wcc)	საკუთარი სახსრები: საპაიო შენატანები, საეციფონდების ნაშთები, გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი და საბრუნავი სახსრების საერთო სიდიდე
ხელშეკრულებით ვალდებულების მიწოდების უზრუნველყოფის მაჩვენებელი (WD1)	გამოიანგარიშება ფაქტიური მონაცემებით ახლადშექმნილი საწარმოების WD1 და WD2-ის მსგავსად	—
ხელშეკრულებით საქონლის გასაღების უზრუნველყოფის მაჩვენებელი (WD2)	გამოიანგარიშება ფაქტიური მონაცემებით ახლადშექმნილი საწარმოების WD1 და WD2-ის მსგავსად	—
შემოსავლის თანაბარი განაწილების მაჩვენებელი (P)	გამოიანგარიშება ფაქტიური მონაცემებით ახლადშექმნილი საწარმოების P მაჩვენებლის მსგავსად	—

4. მსესხებლის კრედიტუნარიანობის კლასის განსაზღვრის მეთოდიკა

კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასის განსაზღვრის საფუძველს მაჩვენებელთა კრიტერიული ღირებულება და მისი რეიტინგი წარმოადგენს; ჩვენს ქვეყანაში,საბრუნავი სახსრების ორგანიზაციის თავისებურებანი მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული ლიკვიდობისა და დაფარვის კოეფიციენტების კრიტერიული დონის პირდაპირი გამოყენების საშუალებას არ იძლევა. კომერციული ბანკების მუშაობის საწყის პერიოდში კრიტერიული დონორების სკალის შექმნა შესაძლებელია კოეფიციენტების საშუალო სიდიდეს ეყრდნობოდეს, რომელიც ერთგვაროვანი საწარმოების (ერთი დარგის ან ქვედარგის) ფაქტური მონაცემების მიხედვით არის გამოანგარიშებული.

საშუალო სიდიდეთა დონის კოეფიციენტები და მაჩვენებლები, მსესხებლის II კლასზე მიკუთვნების საფუძველია, ხოლო საშუალო სიდიდეების ზევით I კლასზე და საშუალო სიდიდეზე ქვევით - II კლასზე. მაგალითის სახით სახელმწიფო და მხვილი საქციო საწარმოებისათვის შეიძლება შემდეგი მოდელი მოვიყვანოთ.

ცხრილი 11

დარგის დასახელება	K_l			K_n			W_{cc}		
	Iკლასი	IIკლასი	IIIკლასი	Iკლასი	IIკლასი	IIIკლასი	Iკლასი	IIკლასი	IIIკლასი
I დარგის საწარმო	0,6 მეტი	0,6-0,4	0,4 ნაკლები	1,5 მეტი	1,5-1,3	1,3-1,0	50% მეტი	50-30%	30% ნაკლები
II დარგის საწარმო	0,4 მეტი	0,4-0,25	0,25 ნაკლები	2,0 მეტი	2,0-1,5	1,5-1,0	35% მეტი	35-25%	25% ნაკლები
III დარგის საწარმო	0,45 მეტი	0,45-0,3	0,3 ნაკლები	1,8 მეტი	1,8-1,3	1,3-1,0	60% მეტი	60-45%	45% ნაკლები

თითოეული მსესხებლისათვის რეიტინგი ან მაჩვენებლის მნიშვნელობა განისაზღვრება ეკონომისტის მიერ მოცემული კომერციული ბანკის პოლიტიკით, კლიენტების თავისებურებებით, ბალანსის ლიკვიდობით, სესხზო ბაზარზე არსებული მდგომარეობით. მაგალითად, მოკლევადიანი რესურსების დიდი წილი, სესხების მიხედვით ვადა - გადაცილებული დავალიანებები და მიმწოდებლების არგადახდები, ლიკვიდობის კოეფიციენტის როლს ამაღლებს, რომლის მიხედვითაც ფულადი სახსრების ოპერატულად გამოთავისუფლების საშუალება შეფასება ხდება. მუდმივი მარაგების დაკრედიტებაში ბანკის რესურსების ჩაბმა, საკუთარი სახსრების მოცულობის შემცირება ამაღლებს საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის რეიტინგის მაჩვენებელს. კრედიტის ეკონომიკური საზღვრების დარღვევა კლიენტების გადაკრედიტება პირველ ადგილზე აყენებს კრედიტუნარიანობის შეფასებისას დაფარვის კოეფიციენტის ღირებულ.

კრედიტუნარიანობის საერთო შეფასება ქულებით ხდება. ეს ქულები კრედიტუნარიანობის კლასზე ყველა მაჩვენებლის რეიტინგის ჯამს წარმოადგენს. I კლასი მიენიჭება 100-150 ქულით, II კლასი - 151 - 200 ქულით, III კლასი - 251-300 ქულით.

ქულათა ჯამის განსაზღვრის მაგალითი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 12

მაჩვენებლები	მაჩვენებლების რეიტინგი, %	1 ვარიანტი		2 ვარიანტი		3 ვარიანტი		4 ვარიანტი		5 ვარიანტი		6 ვარიანტი		
		კლასი	ქულები	კლასი	ქულები	კლასი	ქულები	კლასი	ქულები	კლასი	ქულები	მაჩვენებლების რეიტინგი, %	კლასი	ქულები
K_l	40	I	40	II	80	III	40	III	120	I	40	20	III	60
K_n	30	I	30	II	60	III	30	III	90	II	60	10	III	30
W_{cc}	30	I	30	II	60	III	30	III	60	III	90	70	II	140
სულ	X	I	100	II	200	III	100	III	270	III	190	X	II	230

კოეფიციენტებით და მაჩვენებლებით, რომელთა ყველა მნიშვნელობა I კლასს შეესაბამება ქულების რაოდენობა 100-ის ტოლია, II - კლასის - 200 და III კლასის 300 (1,2 და 3 ვარიანტები). ამიტომ გაზრახულია, შუალედური სიდიდის 100 (ე.ი. 100-150 ქულებად) მიახლოებული ქულებით I კლასის მინიჭება, 200 (ე.ი. 151-250 ქულებით) მიახლოებული ქულებით II კლასის მინიჭება და 300 (ე.ი. 251-300 ქულებით) მიახლოებული ქულებით III კლასის მინიჭება.

მე-4 ვარიანტში Kl და Kn ფაქტიური მაჩვენებლები III კლასის მინიჭების საშუალებას იძლევა, ხოლო Wcc II კლასის, საერთო ჯამში მესხებელს 270 ქულა აქვს, რაც III კლასს შეესაბამება.

მაჩვენებლების რეიტინგის შეცვლამ თითოეული მათგანის კლასის შენარჩუნებით, შეიძლება კრედიტუნარიანობის საერთო კლასის შეცვლამდე მიგვიყვანოს. მაგ., მე-4 და მე-6 ვარიანტითKl, Kn და Wcc ერთი და იგივე კლასი აქვთ, მაგრამ სხვადასხვა რეიტინგი ენიჭებათ. ამიტომ მე-4 ვარიანტით მსესხებელს III კლასი, ხოლო მე-6 ვარიანტით - II კლასი ენიჭება.

კომერციული ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად რეკომენდებულია არა მარტო ძირითადი, არამედ დამატებითი მაჩვენებლების გამოყენება. მათ რიცხვში შეიძლება იყოს ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც ანგარიშსწორებებში მარაგების ან სახსრების ბრუნვას,

ლიკვიდური აქტივების წილს საბრუნავი სახსრების საერთო თანხაში ან I კლასის შესაბამის ლიკვიდურ აქტივებში და დავალიანებებში, განვლილ პერიოდში გადახდისუუნარობის დონეს, საწარმოო პოტენციალს, ეფექტურობას, პარტნიორების (მაგ., დამკვეთის კრედიტუნარიანობას) შემოსავლიანობას, მომგებიანობას, მშენებლობის საშუალო ხანგრძლივობას, შემოსავლის თანაბრად განაწილებას ახასიათებენ.

მაჩვენებლების ერთი და იგივე დონე და ქულების ჯამი სხვადასხვა ფაქტორების გავლენით მიიღწევა. მაგ., ნორმირებული აქტივების ხარჯზე ლიკვიდური სახსრების საერთო ოდენობის გადიდება ყოველთვის არ ქმნის სესხის დაბრუნების მყარ გარანტიას. მზა პროდუქციის ნაშთების ზრდა, რომელიც ფართო მომხმარებლის უქონლობით ან სატრანსპორტო სიძნელეებით არის გამოწვეული, სესხის დროული დაბრუნების გარანტიას არ იძლევა. Kl და Kn ზრდა შეიძლება სასესხო ვალდებულებების შემცირებით აიხსნას. მაგ., თუ ნედლეულის მიწოდების ჩაშლის გამო, მოკლევადიანი სესხებით დავალიანებები შემცირდა, მაშინ კოეფიციენტის ზრდა არ უნდა იყოს შეფასებული, როგორც კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გამაგრება. კომერციული ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების აუცილებელი ელემენტია, იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც შესაბამისი კოეფიციენტების და მაჩვენებლების დონის ცვლილებას იწვევენ. ანალიზის ძირითადი მიმართულებების სახით შეიძლება გამოვყოთ: - მთლიანობაში ლიკვიდური სახსრების და მისი ელემენტების ლიკვიდობის და დაფარვის კოეფიციენტებზე გავლენის ანალიზი; - ნორმირებული აქტივების გავლენით დაფარვის კოეფიციენტის ცვლილებების შეფასება; - სასესხო ვალდებულებათა სტრუქტურის ცვლილების, მისი ლიკვიდობის და დაფარვის კოეფიციენტზე ზეგავლენის შესწავლა; - იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდას ან შემცირებას იწვევენ; - კლიენტის საკუთარი სახსრების საკმარისობის პოზიციიდან, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის მაჩვენებლის შეფასება.

კრედიტუნარიანობის კოეფიციენტების და მაჩვენებლების დონის ცვლილების ფაქტორების ანალიზი კრედიტუნარიანობის კლასის უფრო ზუსტად განსაზღვრის და მოცემული კლასისათვის პირობების დამუშავების საშუალებას იძლევა.

რეკომენდებული არ არის ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასის გადიდება, ან მოცემული კლასის მიხედვით დაკრედიტების პირობების დათქმა, მაშინ, როცა: ლიკვიდობის კოეფიციენტი გაუმჯობესებულია, მხოლოდ დებიტორული დავალიანების ან მზა პროდუქციის ნაშთის ხარჯზე; - დაფარვის კოეფიციენტი იზრდება სარეალიზაციო ნედლეულის ნაშთის და დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის ნაშთის ხარჯზე, რომლის გასაღება ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი არ არის; - ლიკვიდური სახსრების სტრუქტურის გაუარესება; - ფაქტიურად არსებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ოდენობა, რომელიც მათზე მუდმივ მინიმალურ მოთხოვნილებაზე ნაკლებია; - საბრუნავი სახსრების მუდმივი მინიმალური მოთხოვნა შეიძლება გამოითვალოს ნორმალური განწყობის საფუძველზე; - მცირე სამრეწველო სტრუქტურების საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდა საწარმოს სარისკო საქმიანობასთან დაკავშირებული ფონდების ხარჯზე. - ბანკის ვალის ვალდებულებათა შემცირება დასაკრედიტებელი ნედლეულის მიუწოდებლობის მიზეზით.

თ ა ვ ი IX

დაკრედიტების სისტემა და მისი თანამედროვე ფორმები

1. დაკრედიტების თანამედროვე სისტემის ზოგადი თვისებები

საწარმოებისა და მოსახლეობის დაკრედიტება საბანკო მომსახურების ტრადიციულ სახეობებს მიეკუთვნება. შემთხვევითი არ არის, რომ ბანკს საკრედიტო საწარმოს (დაწესებულებას, ინსტიტუტს) უწოდებენ. ბანკების აქტივების უმეტესი ნაწილი კლასიკურად საკრედიტო ოპერაციებს წარმოადგენს.

1991 წლის დასაწყისისათვის მოსკოვში განთავსებული თითოეული კომერციული და კოოპერატიული ბანკის სახსრების 72 %-ზე მეტი სხვადასხვა სახის კრედიტებზე მოდიოდა. ამასთან, მათი შემოსავლის 85 % მიღებული იქნა გაცემული სესხებისათვის გადასახდელების სახით, რადგან ბანკები ერთდროულად "იღებენ" როგორც რესურსებს, ასევე სესხებს, მოსკოვის 81 კომერციული და კოოპერატიული ბანკის ბარჯების სტრუქტურაში დეპოზიტებსა და ანაბრებზე, აგრეთვე ბანკთაშორისო კრედიტზე სასესხო პროცენტების გადასახადების ბარჯებმა 88,9 % შეადგინა.

საბანკო კრედიტების კლასიფიკაცია. საბანკო სესხები, რომლებიც გამიზნულია მსესხებლებისათვის გასაცემად, შეიძლება დაიყოს მრავალგვარი ნიშნით. ჯერ ერთი, ვინ იღებს სესხს, როგორი ხასიათისა მსესხებელი. სესხის მიღებიდან გამომდინარე მსესხებლად გამოდიან: სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები; კოოპერატივები; მოიჯარეები; ინდივიდუალური მეწარმეები; სხვა ბანკები; დანარჩენი მეურნეობები, ხელისუფლების ორგანოების ჩათვლით (ადგილობრივი, საქალაქო და სხვა), ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებანი და ორგანიზაციები.

სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების სესხებმა ბანკთა ჯგუფის მიხედვით 1991 წლის დასაწყისისათვის მთელი ბანკების სესხების 80 %-ზე მეტი შეადგინა. კოოპერატივებმა დაახლოებით 1/6 ნაწილი მიიღეს; მოსახლეობამ კი 1 %-ით ნაკლები. მოსახლეობაზე გაცემულ კრედიტებს სამომხმარებლო კრედიტებს უწოდებენ, რადგან იგი ფიზიკური პირის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად - პირადი სარგებლობის ნივთების შესაძენად, საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად გამოიყენება. თანამედროვე ფულად მეურნეობაში გარკვეული განვითარებას პოულობენ ბანკთაშორისი კრედიტები. ყოველ ბანკზე საშუალოდ მის მიერ განთავსებული სახსრების დაახლოებით 3 % მოდის; მთლიანად კი ქვეყნის კომერციულ და კოოპერატიულ ბანკებში მთელი საკრედიტო დაბანდებათა 8 % ბანკთაშორისი კრედიტია. ვადიანობის მიხედვით საბანკო კრედიტი იყოფა: მოკლევადიან, გრძელვადიან, საშუალო ვადიან კრედიტად.

მოკლევადიანი სესხები - ეს ისეთი სესხებია, რომელთა გამოყენების ვადა ერთ წელს არ აღემატება. ისინი გაიცემა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაზე, დანახარჯებზე, ფასეულობებზე ანგარიშსწორებაში, განწილებით ოპერაციებზე.

გრძელვადიან სესხებს მიეკუთვნება ის კრედიტები, რომელთა ვადა 3 წელს აჭარბებს. ეს სესხები გამოიყენება ძირითადი ფონდების, საბრუნავი საშუალებების, ფინანსური აქტივების ფორმირებისათვის.

საშუალო ვადიანი სესხები წარმოადგენს კრედიტებს, რომელთა გამოყენების ვადა 1-დან 3 წლამდეა. მოცემული სესხები გრძელვადიან კრედიტების ანალოგიურ მოთხოვნებს ემსაცხურება.

საკრედიტო დაბანდებათა თანამედროვე სტრუქტურაში ჭარბობს მოკლევადიანი სესხები. 1991 წლის დასაწყისისათვის კომერციული და კოოპერატიული ბანკების ანაბრების საერთო თანხამ (ბანკთაშორისი კრედიტების გარდა) 82,3 % შეადგინა, გრძელვადიანმა და მოკლევადიან სესხებზე საშუალო ვადიანმა კრედიტებმა - 17,6 %. თანამედროვე ეტაპზე საკრედიტო დაბანდებათა საერთო მოცულობაში მოკლევადიანი კრედიტების ხვედრითი წილი დაკავშირებულია კომერციული ბანკების სახსრების განთავსებასთან მოკლე ვადების სესხებში, რაც გამოწვეულია ქვეყანაში ეკონომიკურ არასტაბილურობითა და მაღალი ინფლაციური პროცესით. მთლიანობაში გრძელვადიანმა და მოკლევადიანმა დაკრედიტებამ ქვეყანაში ვერ ჰპოვა ფარო განვითარება. ამჟამად, კომერციული და კოოპერატიული ბანკების დახლოებით 40 % განცემს გრძელვადიან სესხებს.

დაკრედიტების თანამედროვე სისტემაზე გადასვლის თავისებურებები. დაწესებულების, საწარმოების, მოსახლეობის დაკრედიტების თანამედროვე სისტემა უკვე არ განსხვავდება იმ დირექტიულობისაგან, რომელიც არც თუ ეს შორეულ წარსულისათვის იყო დამახასიათებელი. ის წარმოადგენს უფრო ლიბერალურ სქემას, რომლის დროსაც კლიენტი ბანკზე მიმაგრებული კი არ არის, არამედ თავად ირჩევს საკრედიტო დაწესებულებას, რომლის მომსახურების გამოყენებაც სურს, კლიენტს ასევე მინიჭებული აქვს უფლება გახსნას სასესხო ანგარიშები არა ერთ, არამედ რამდენიმე ბანკში. დაკრედიტების სქემის ლიბერალიზაცია, უდაოდ აფართოებს კლიენტის შესაძლებლობებს, მათ შორის კრედიტის მიღებაში, რაც ბანკთაშორისი კონკურენციის განვითარებისათვის ჰქმნის პირობებს.

საერთოდ, ასეთ ჩამოყალიბებული დაკრედიტების სისტემა წარმოადგენს განახლებულ სისტემას, რომელშიც თანაარსებობენ დაკრედიტების როგორც ძველი, ისე ახალი ფორმები. დაკრედიტების მოქმედი სისტემა წარმოადგენს გარდამავალ სისტემას, რომელიც შეიცავს როგორც ძველი სქემის ნარჩენებს, ისე სამომავლო ურთიერთობისათვის უფრო შესაფერის ახალ ელემენტებს. ასე მაგალითად, თანამედროვე პრაქტიკაში, ერთის მხრივ შეიძლება შევხვდეთ საწარმოებს, რომლებიც იყენებენ სესხებს დაკრედიტების ტრადიციული სახით. სესხებს აღრე დადგენილი სახელმწიფო ბანკის ინსტრუქციების შესაბამისი წესით აფორმებენ, მეორეს მხრივ, საწარმოების დიდი ნაწილი დაკრედიტების დირექტიული სქემით უკვე არ კმაყოფილდება. კომერციული ბანკები მათ სესხებს ახალი პირობებით, არა ტრადიციული ფორმით აძლევენ.

დაკრედიტების გარდამავალი სისტემა, არსებითად კვლავ აწარმოებს გადამავალი პერიოდის ეკონომიკის მართვას ცენტრალიზაციიდან დეცენტრალიზაციისაკენ, საფუძვლს უყრის მეწარმეობის განვითარებას. როგორც მეურნეობაში, ისე საბანკო სფეროში. დაკრედიტების მექანიზმს ახალი თვისებები შეიძინა, მაგრამ ოგრძნობა მისდამი თავშეკავება. ამ პროცესის დამამუხრუჭებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ახალი ფორმების არ ცოდნა, ძველი ტრადიციული ფორმებისადმი ჯერ კიდევ არაკომერციული ბანკების მარადიული ერთგულება. ასევე მათი სუსტი ტექნიკური აღჭურვილობა, ეკონომიკური რისკის რეგულირებაში გამოცდილების უქონლობა, საერთოში კი, სახალხო მეურნეობაში მიმდინარე სუსტი კომერცია.

საწარმოების და ორგანიზაციების დაკრედიტების გარდამავალი სქემა, ასახავს რა გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს, მაინც ინარჩუნებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას: იგი აგებულია დაკრედიტების უნიფიცირებული სქემის პრინციპზე. როგორც ცნობილია, მრავალი წლის მანძილზე საბჭოთა პრაქტიკა აღიარებდა დაკრედიტების

სისტემის დარგობრივი თავისებურებათა მიხედვით მნიშვნელოვანი დიფერენციაციის აუცილებლობას. სახელმწიფო ბანკის მიერ დამუშავებული იყო ინსტრუქციები ცალკე სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, სავაჭრო და მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების დაკრედიტებისათვის. ეს სისტემები თვისობრივად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ მოქმედი ინსტრუქციების განსხვავებულობის მიუხედავად სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების დაკრედიტების პრინციპული სქემის დახლოება თანდათან მოხდა. თუმცა დაკრედიტების ობიექტები, სასესხო ანგარიშების ფორმები, კრედიტების დაფარვის სისტემა კვლავ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ გენერალური ხაზი უნიფიცირებაზე საკმაოდ ხელოვნურად გამოიკვეთება. ერთიანი მექანიზმის ჩარჩოებში დაიწყო დაკრედიტება ყველა სამრეწველო საწარმოებისა (გარდა აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა) ასევე ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის საწარმოების, დამამზადებელი ორგანიზაციების. გაჩრა ინსტრუქცია არასვზონური სამრეწველო საწარმოების წილობრივ საწყისებზე დაკრედიტების; კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კრედიტების მიღება ერთიანი სქემით დაიწყეს.

დაკრედიტების სისტემის უნიფიცირების საფუძველი გამსხვილებული ობიექტის დაკრედიტება გახდა. იგი ეყრდნობა განსაზღვრულ პრინციპულ დებულებებს.

1. უწინარეს ყოვლისა, დაკრედიტება დაკავშირებულია არა ობიექტების მრავალრიცხოვნობაზე, არამედ ობიექტების ერთობლიობაზე, რომელიც მოიცავს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს, საწარმოო ხარჯებს, ასევე გადატვირთულ საქონელს. დაკრედიტების სქემის დანერგვის წყალობით, მხოლოდ მრეწველობაში, დაკრედიტების 14 ობიექტის ნაცვლად 3 ობიექტი დარჩა.

2. საწარმოო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა მარაგების დაგროვებისათვის და ხარჯების განსახორციელებლად გამოიყენება არა მრავალრიცხოვანი სასესხო ანგარიშები, არამედ ერთი სასესხო ანგარიში.

3. კრედიტის გეგმური სიდიდის სახით განისაზღვრება დაკრედიტების საზღვარი (ზღვრული თანხა) დაკრედიტება ხორციელდება მატერიალური მარაგების გეგმური ნაშთებისა და საწარმოო ხარჯების ფარგლებში, ან მარაგების ზღვრული დონის ნორმატივებით.

რასაკვირველია, დაკრედიტების ერთიანი მიდგომის დანერგვა გამსხვილებული ობიექტის ბაზაზე დადებით პროცესს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საბანკო რეფორმის მიმდინარეობაში გადახრა მოხდა, რადგან ყველა საწარმომ (მრეწველობის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, დამამზადებელი ორგანიზაციების ძირითადმა ნაწილმა,) დაიწყეს დაკრედიტება ერთიანი სქემით - მხოლოდ გამსხვილებულ ობიექტებზე. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ყველა მსესხებელი საწარმოები ერთნაირ რუხ ფარატინაში "ჩაცმული" აღმოჩნდნენ, თუმცა ამისი არავითარი აუცილებლობა არ იყო. რიგ საწარმოებს სჭირდებოდათ კრედიტი ერთ, კერძო ობიექტზე და არ ერთობლივ ან გამსხვილებულ ობიექტზე.

თანამედროვე პრაქტიკამ ეს ნეგატიური მომენტი მნიშვნელოვან წილად გადაიტანა. ჯერ ერთი, გამოჩნდა სესხები, რომლებიც გამოხატავდნენ სამეურნეო ორგანიზაციების არა ერთობლივს, არამედ კერძო მოთხოვნებს; მეორე, იქ სადაც აუცილებელი იყო, შენარჩუნებული იქნა განსაზღვრული დარგობრივი თავისებურებანი. ამრიგად, შეიქმნა მრავალ ვარიანტიანი დაკრედიტების სისტემა, რომელსაც საწარმოები და ბანკები სარგებლობენ რა თავიანთი უფლებით, იყენებენ იმ ფორმას, რომელიც მათი აზრით უფრო მოსახერხებელი და ხელსაყრელია, ამიტომ თანამედროვე სისტემაში წარმატებით თანაარსებობენ როგორც კრედიტები გამსხვილებულ ობიექტზე, ისე მარტივ სასესხო ანგარიშზე, როგორც მუდმივად ბრუნვაში მყოფნი მსესხებლის

კრედიტები, ისე ერთჯერადი კრედიტები, რომლებიც საგადასახადო ბრუნვაში დროებით გრძელვას ფარავენ. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ საწარმოების და ორგანიზაციების დაკრედიტების თანამედროვე მოდელი ადრე არსებული სქემისაგან მომგებიანად განსხვავდება.

დაკრედიტების თანამედროვე სისტემის ძირითადი სპეციფიკური დებულებები.

1. დაკრედიტების სისტემა ბანკის, როგორც საწარმოს რესურსებს ეყრდნობა. თითქოს, ეს ბუნებრივი მდგომარეობაა, თუმცა ამისაგან განსხვავებით ადრე მოქმედი სქემა მხოლოდ ქმნიდა იმის ილუზიას, რომ საკრედიტო დაწესებულება მუშაობს მისთვის ზემოდან გამოყოფილი საკრედიტო რესურსებით. სინამდვილეში ყველა რესურსი, რომლებიც ბანკის ფილიალებში იყო აკუმულირებული ცენტრალიზებულად გადაეცემოდა სსრკ-ს სახბანკის გამგეობას, საიდანაც წარმოებდა მათი დაშვება ისევე ადგილებზე დაკრედიტების ლიმიტის სახით. ამ ლიმიტის ჩარჩოებში ხორციელდებოდა ამა თუ იმ რეგიონის კლიენტურის დაკრედიტება. ბანკის განყოფილებები არ იყვნენ დაინტერესებულნი სახსრების შეგროვებით, რადგან მათი აქტივები პასივებზე არ იყო დამოკიდებული. დაკრედიტების თანამედროვე სისტემა აგებულია სხვა საფუძველზე: გაცემული კრედიტების მოცულობა მთლიანად არის დამოკიდებული მოზიდულ სახსრებზე. ეს ეხება წარმოდგენილი კრედიტების მასშტაბებს, რაც ტოლია იმ მოგების სიდიდისა, რომელიც საკრედიტო დაწესებულებებში რჩება.

2. შექმნილი საკრედიტო მექანიზმი თანდათან უფრო კომერციულ ხასიათს ატარებს, ამის გამო, ვაჭრობის, ეკონომიის მოტივები განსაკუთრებულ აზრს იძენენ. მნიშვნელოვანია, არა მარტო დაკრედიტება, ფულადი რესურსებით საწარმოების დროებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რასაც ადგილი ჰქონდა რეფორმამდელი სისტემის დროსაც, არამედ პრიორიტეტებიც, რომლებიც საკრედიტო დაწესებულების რენტაბელობის ამაღლების საფუძველს გვაძლევენ. სწორედ აქ ვლინდება კომერციის ის პრინციპი, რომელზეც ზემოთ მოვიხსენიებდით "იაფად ვიყიდოთ - ძვირად გავყიდოთ".

ეს ეხება როგორც დეპოზიტებს და კლიენტების კრედიტებს, ისე ბანკთაშორის კრედიტებს. მათი მოცულობა მხოლოდ მოსკოვის ბანკებში 1990 წელს გაიზარდა 3,5-ჯერ. ამიტომ მთელი რიგი კომერციული ბანკები არა მარტო ყიდულობენ, მოცემულ კრედიტებს (რაც უფრო დამახასიათებელია მოსკოვის რეგიონისათვის), არამედ ერთდროულად ყიდის მათ სხვა ბანკებზე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სახსრების ყიდვის შესაძლებლობა მთლიანად არ არის გამოყენებული. კომერციული ბანკების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახსრების მობილიზაციის შესაძლებლობები მათ მიერ სანახევროდ გამოიყენება. მიუხედავად ამისა, რესურსებით ვაჭრობის ფაქტი და მთლიანობაში დაკრედიტების სისტემაში "სავაჭრო" აქცენტი აუცილებლად უნდა დახასიათდეს, როგორც დადებითი მოვლენა, რომლებიც უფრო შეესაბამება თვით ბანკის, როგორც კომერციული დაწესებულების არსს, ისე ეკონომიკის ბაზარზე გადასვლის პროცესს.

3. დაკრედიტების თანამედროვე სისტემის თავისებურება მდგომარეობს არა მარტო რესურსებისადმი დამოკიდებულებაში, არამედ ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ ეკონომიკურ ნორმატივებში. ჯერ კიდე 2-3 წლის წინ ერთ-ერთ ნორმატივს, რომელიც განსაზღვრავდა ბანკის მიერ კლიენტების დაკრედიტების საზღვრებს, წარმოადგენდა ზემოთ მოხსენიებული დაკრედიტების ლიმიტი. კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი, ადგილობრივი ბანკების მიერ გაცემული, საერთოდ არ იყო ლიმიტირებული, (რიგი საბანკო სესხები, მათ შორის გაცემული მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის, დამამზადებელ ორგანიზაციებზე და ა.შ. ულიმიტოდ გაიცემოდა) ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი თანამედროვე ეკონომიკური ნორმატივები,

როგორც აღნიშნული იყო, რეგლამენტირებას **ახლენენ** მოზიდული სახსრების მაქსიმალურად დასაშვები მოცულობის, მინიმალური რეზერვის **ხელიდის**, გასაცემი კრედიტის ზღვრულ თანხას, მათი გაცემის ვადების, საკრედიტო მექანიზმს **უკვე**დებარებენ კომერციული ბანკის ბალანსის ლიკვიდობას.

4. დაკრედიტების თანამედროვე სისტემის **მნიშვნ**ელოვან თავისებურებას წარმოადგენს მისი სახელშეკრულებო საფუძველი. დაკრედიტებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი წყდება უშუალოდ ბანკსა და მსესხებელს შორის. **ხელშეკ**რულების თანახმად თითოეული მხარე განსაზღვრულ ვალდებულებებს კისრულობს. უფლებამოსილია გააკონტროლოს სახელშეკრულებო პირობები. უნდა ითქვას, რომ **საკრედიტო** ხელშეკრულებები ადრეც იდებოდა, მაგრამ მათი ეკონომიკური მნიშვნელობა **სუსტად** ვლინდებოდა, მას შემდეგ, რაც გაჩნდა კომერციული სტიმულები და როცა ბანკმაც და **საწარმო**მაც იგრძნეს კონტრაქტის გაწყვეტით მიყენებული ზარალი, საკრედიტო ხელშეკრულება გახდა ძალა, რომელიც ამაგრებს როგორც კრედიტორის, ისე მსესხებლის პასუხისმგებლობას.

5. დაკრედიტების დღევანდელი სისტემის **არსებით** მაჩვენებელს წარმოადგენს მისი გადასვლა ობიექტის დაკრედიტებიდან სუბიექტის **დაკრედიტებაზე**. როგორც ცნობილია, ადრე მოქმედი დაკრედიტების სქემა უპირატესობას დაკრედიტების **ობიექტს** ანიჭებდა, როგორც წესი, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგი, საწარმოო **ხარჯ**ების არსებობა კლიენტს კრედიტის მიღების უფლებას აძლევდა. სესხის დაბრუნების შესაძლებლობების სპეციალური ანალიზი არ ტარდებოდა. მიაჩნდათ, რომ კლიენტისათვის მთავარი იყო გეგმის **შეს**რულება, რომელიც თითქოსდა ავტომატურად აძლევდა სესხის დაბრუნების გარანტიას. ამასთან არ **იყო** გათვალისწინებული თუ საკუთარი სახსრების რა წილი იყო ჩადებული სასაქონლო-მატერიალური **ფას**ეულობების დაგროვებაში. (პრაქტიკულად საკუთარი სახსრების წილი მატერიალური **მარ**აგების დაკრედიტებაში მცირდებოდა). უფრო დაკვირვებული ანალიზი იმისა, თუ დაკრედიტების **სუბიექტებს** რამდენად შესწევთ სესხის დაბრუნების უნარი მსესხებლის ბალანსის ლიკვიდობის **ხარისხის** და დაკრედიტების ფორმის ამორჩევა, მსესხებელთან საკრედიტო ურთიერთობის **დამყარებას** (მისი კრედიტუნარიანობის გათვალისწინების) მთლიანად გადაწყვეტა საკრედიტო ურთიერთობებში შესვლა მსესხებელთან ჩამოყალიბებული საკრედიტო მექანიზმის შესამჩნევ უპირატესობებს **წარმო**ადგენს.

6. დაკრედიტების ახალი სისტემა ეყრდნობა **ტრადი**ციულ, საერთო და სპეციალურ პრინციპებს, მათ შორის ვადიანობას და უზრუნველყოფას. **ასევე**, **შეღ**ებულობაში მისაღებია კრედიტის ფასიანი ხასიათი. **ამასთან** ამ პრინციპების შინაარსი **მნიშვნ**ელოვნად შეიცვალა, კერძოდ, შეიცვალა იხეთ საერთო პრინციპი, როგორიცაა დაკრედიტების **დიფერენციულობა**. ცნობილია, რომ **ჯერ** კიდევ რამდენიმე წლის წინ არსებობდა კარგად და **ცუდად** მოშუშავე საწარმოების კატეგორია, რომელთა დაკრედიტებისათვის გამოიყენებოდა დიფერენცირებული რეჟიმი. საწარმოს შეფასების **საფუძველს** წარმოადგენდა მის მიერ ძირითადი **საგეგმო მაჩვენებლების** შესრულება. ამჟამად შექმნილი სისტემა, როგორც აღნიშნული იყო, ითვალისწინებს **კლიენტის** კრედიტუნარიანობას, კრედიტის დროულად დაბრუნებლობის რისკს ამცირებს. პირველადა, **რომ მსესხებლის** გადახდისუნარიან გამოცხადების შემთხვევაში კომერციულ ბანკს უფლება აქვს **დაიცვას ბანკი**-კრედიტორის მონაწილეობით შექმნილი ადმინისტრაციის ოპერატიული სამართველოსათვის მისი გადაცემის საკითხი, ასევე მისი რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხი.

ცვლილებები შეეხო კრედიტის **უზრუნველყოფის** პრინციპსაც, იმ **ს**ესხებთან ურთიერთობებსაც, რომლებსაც არა აქვთ **უშუალო** მატერიალური უზრუნველყოფა (ასეთად

ჩაითვლება სასაქონლო—მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ანაზღაურებული ნაშთი. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთი მატერიალური უზრუნველყოფის არსებობა ჯერ კიდევ არ გარწმუნებს იმაში, რომ სესხები ვადაზე დაბრუნდება. ერთია შეწერებული ბრუნვადობის მატერიალური ძარაგები, რომლებიც ძნელად საღდება, სულ სხვაა ადვილად სარეალიზაციო აქტივები, მთლიანად მსესხებლის ქონება. მატერიალურ მარაგებში კრედიტის უზრუნველყოფა, რიგ ეკონომისტებს საფუძველს აძლევდა გამოეტანათ დასკვნა, ასზე რომ კრედიტების ამგვარი უზრუნველყოფა არასაიმედოა, მაშინ როდესაც ის კრედიტების, რომლებიც სასაქონლო—მატერიალური ფასეულობებით არ არიან უზრუნველყოფილი, (ისინი მარაგებში კი არა ბრუნვაში არიან) პირიქით, ყველაზე საიმედოა. რასაკვირველია, **ამ**ამედროვე პირობებში, როცა სასაქონლო დეფიციტის ტოტალური ბუნება, ძნელია იღაპარაკო რეალიზაციის პრობლემაზე, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ დეფიციტი აღმოთფხვრება და საკონელი გამოჩნდება. ეს კი ნიშნავს, რომ დადგება მისი გახალების პრობლემა. ამიტომ არაუზრუნველყოფილი სესხები ისეთ **გაგებით** როგორც ეს უწინდელ პრაქტიკაში რასებობდა, აღარ იქნება ბანკის შესამჩნევი ძღვლვარების საბაბი. დაბრუნების პოზიციიდან ის სესხები აღმოჩნდებიან ნაკლებად საიმედონი, რომლებსაც არა აქვთ საკმარისი გარანტიები.

7. საწარმოების დაკრედიტების თანამედროვე სისტემის მაჩვენებელს ემსახურება სწორედ ასეთ ფორმებზე გადასვლა, რომლებიც უმეტესწილად საბანკო სესხების დაბრუნების გარანტიას იძლევიან კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის მხრივ, მსოფლიო პრაქტიკის პოზიციიდან უფრო საიმედოა გირავნობის უფლება (მათ შორის იპოთეკა, გირავნობა, ფასიანი ქაღალდების გირაო) თავდებობა და გარანტიები, მთლიანად დაზღვევის სისტემა. საკრედიტო მექანიზმი, რომელიც ორგანულად შეიცავს მოცემულ ფორმებს, ბანკს საშუალებას აძლევს გაამაგროს თავისი დამოუკიდებლობა და ამით შეამციროს საკრედიტო რისკი.

ძირიგად, შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ მნიშვნელოვან წილად შეცვლილი დაკრედიტების სისტემა საშუალებას იძლევა შეფასდეს იგი როგორც საბაზრო ურთიერთობებისა და ცენტრალურობიდან დეცენტრალურობამდე გადასვლის ეკონომიკის მართვის მეთოდების მოდელი.

2. საწარმოების მოკლევადიანი დაკრედიტების პრინციპული სქემა.

დაკრედიტების მეთოდების ამორჩევის **კრიტერიუმები**. დაკრედიტების მეთოდები დაკრედიტების მექანიზმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. კრედიტის ბრუნვადობა განისაზღვრება, ჯერ ერთი, ფასეულობათა შეძენისულობით ანდა ხარჯვით, რომელიც ხორციელდება დანახარჯთა დაფარვით, მიმდინარე გადახდელებით, ე.ი. უშუალოდ წარმოებიდ და მიმოქცევის პროცესით. მეორე, ის შეიძლება დაკავშირებული იყოს უზრუნველყოფის ნაშთის ცვლილებასთან (მაგალითად, დასაკრედიტებელი ფასეულობების ან დანახარჯების), რომელიც დახასიელებული პროცესის შედეგს წარმოადგენს. ამის შესაბამისად ანსხვავებენ ბრუნვისა და ნაშთის მიხედვით დაკრედიტებას. ავრეთვე ბრუნვა—სალდოს მეთოდს. კრედიტის უკუ ძოძრაობის, ეს თავისებურებანი დაკრედიტების მეთოდის ცალკეული ელემენტებიო რეალიზდება. მათ მიეკუთვნება. სასესხო ანგარიშის სახე, კრედიტის გაცემის წესი, მისი დაფარვის საშუალებები დაკრედიტების პრინციპების დასაცავად საბანკო კონტროლის ორგანიზაცია.

ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ – მბრძანებლური სისტემის პირობებში საკრედიტო მექანიზმში განსაზღვრულ ელემენტს წარმოადგენდა პირდაპირი საბანკო კრედიტი, კრედიტის

მიზნობრივი გამოყენების პრინციპი და დაკრედიტების ობიექტი, რომელიც საკუთარი და ნასესხები საშუალებების გამოყენების მკაცრად ფიქსირებულ საზღვრებს ეყრდნობა.

სისტემის შემქმნელი ეს ელემენტები განსაზღვრავდნენ დაკრედიტების მექანიზმის ორგანიზაციის ყველა რგოლს, კერძოდ კი დაკრედიტების მეთოდების ამორჩევის კრიტერიუმებს.

დაკრედიტების ცალკეული მეთოდების გამოყენების სფერო დაკავშირებული იყო, ჯერ ერთი, კრედიტის მიზნობრივი გამოყენების პრინციპის განვითარებასთან, ამან გამოიწვია ყველა სტადიის კრედიტის გაშუალედება და კრედიტების ობიექტების გამსხვილება. ბრუნვის მახედვით დაკრედიტების მეთოდის გამოყენება ყველა ობიექტის ან გამსხვილებული ობიექტის დავალიანების ელემენტების ერთიან სასესხო ანგარიშზე კონცენტრირების საშუალებას იძლეოდა. ასეთი მდგომარეობა იმით აიხსნებოდა, რომ ბრუნვის მიხედვით დაკრედიტებისას სესხების ავანირება ფონდების წრებრუნვის დასაწყისში ხდება და იფარება მისი მთლიანად დაშთავრების შემდეგ.

მეორე, დაკრედიტების მეთოდის ამორჩევა დამოკიდებული იყო ბანკის მიერ დასაკრედიტებელი ობიექტის ხასიათზე. დაკრედიტების განსაკუთრებული პირობები - სესხების მიზნობრივ გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის აუცილებლობა, უპირატესობას ანიჭებდა ნაშთის მიხედვით დაკრედიტებას, რომელიც კომპენსაციის ხასიათს ატარებს, სესხის გაცემაზე წინასწარი კონტროლის განხორციელების საშუალებას იძლევა.

მესამე, ბრუნვის მიხედვით დაკრედიტება დაკავშირებული იყო საკუთარი და ნასესხები საბრუნავი სახსრების გამიჯნვის ისეთ პრინციპთან, როგორიც არის კრედიტის წილობრივი მონაწილეობა სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების ნაშთების ნორმატივების ფორმირებაში, ეს იმით აიხსნება, რომ წილობრივ საწყისებზე დაკრედიტების მიზანს წარმოადგენდა საბრუნავი სახსრების ფონდების საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით მანევრირება. მანევრირება კი მესხებლის ბრუნვაში მყოფი სახსრებისა და მათზე ფაქტობრივი, ყოველდღიურად ცვალებადი მოთხოვნილების შესაბამისად ხორციელდებოდა. ბრუნვის მიხედვით დაკრედიტებისას კრედიტის რეგულარული გაცემა და დაფარვა წარმოებისა და ბრუნვის პროცესთან ერთად უზრუნველყოფდნენ დავალიანების ღონის სისტემატიურ ცვლილებას, მსესხებლის მოთხოვნის შესაბამისად. ამიტომ წილობრივ საწყისებზე საკუთარი და ნასესხები სახსრების ნორმატივის ფორმირებისას ბრუნვის მიხედვით დაკრედიტება აუცილებლად გაითვალისწინებოდა.

მეოთხე, საგადასახადო ბრუნვის ინტენსიურობის ზრდამ, მისი უწყვეტობის საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბის ხელშეწყობამ და სამეურნეო სისტემის ადმინისტრაციულ მბრძანებლური მეთოდის მართვამ დროებითი ფინანსური სიძნელეების გამო მიმდინარე გადახდებისათვის სახსრების მოთხოვნების, კრედიტის ხარჯზე, ავტომატიური დაფარვა გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ ინტენსიური საგადასახადო ბრუნვისას ხშირად შეინიშნება მომავალ გადასახადების მოცულობისა და შემოსული ფულადი სახსრების შეუსაბამობის შემთხვევებ ბრუნვის მიხედვით დაკრედიტება, რომლის დროსაც სესხების გაცემა ხდება, საანგარიშსწორებო დოკუმენტების შემოსვლის რაოდენობით უზრუნველყოფს საბრუნავი სახსრების მიმოქცევის უწყვეტობას.

დასახელებულმა კრიტერიუმებმა ბრუნვის მიხედვით დაკრედიტების გაფართოების ტენდენცია განსაზღვრეს. ამ მეთოდით გაცემულმა სესხებმა (სპეციალური სასესხო სპეციალური საანგარიშსწორებო ანგარიშებიდან) 1966 წლის დასაწყისისათვის სახ. ბანკ მოკლევადიანი საკრედიტო ანაბრების საერთო სიდიდიდან 73,5 % შეადგინა, 1971 წ. - 89,3 1976 წ. - 76,7, 1981 წ.- 59,6, 1985 წ. - 54,8 %.

დაკრედიტების ობიექტისა და საკრედიტო ურთიერთობების სუბიექტის (მსესხებელი) გამსხვილების, ასევე, საბანკო ურთიერთობებზე გადასვლა, მსესხებლის კრედიტუნარიანობის საფუძველზე დაკრედიტების ორგანიზაციას მოითხოვს. ასეთი მიდგომა ნიშნავს დაკრედიტების მექანიზმში ობიექტის ამორჩევიდან, საკრედიტო გარიგებების სუბიექტის შეფასებაზე აქცენტის გადატანას. მსესხებლის კრედიტუნარიანობა, დაკრედიტების მექანიზმის სისტემა შემქმნელ ელემენტად გადაიქცევა. იგი განსაზღვრავს დაკრედიტების ობიექტის ხასიათს, გამსხვილების და დაკრედიტების პირობებს და დაკრედიტების მეთოდის არჩევანს ე.ი. სასესხო ანგარიშის სახეობას, სესხის გაცემის და დაფარვის წესს, კონტროლის შინაარს, დავალიანების ღონის რეგულირების საშუალებებს. დაკრედიტების მექანიზმში აქცენტის ასეთი არევა შემდეგნაირად აიხსნება.

დაკრედიტების ობიექტების გამსხვილების პროცესმა, ერთეულიდან გაერთიანებულ ობიექტზე, საწარმოების დაკრედიტებიდან სამრეწველო ობიექტების დაკრედიტებაზე გადასვლამ, შეზღუდა საკრედიტო რესურსების დაბანდების ობიექტის საბანკო კონტროლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე კონტროლი.

დაკრედიტების მექანიზმის ახლებური აგების აუცილებლობას ადასტურებს აგრეთვე ბაზარზე გადასვლა და მასთან დაკავშირებული საბანკო საქმიანობის კომერციალიზაცია. საკრედიტო გარიგების მონაწილეებს შორის პარტნიორული ურთიერთობები დაკრედიტების ობიექტის მიმართ კრედიტორის დიქტატს გამორიცხავს. ბანკისათვის ყველაზე უფრო შემოსავლიანი, რისკიანი საკრედიტო ოპერაციები არა მარტო საკრედიტო საწარმოს ეფექტურობას, არამედ კლიენტის კრედიტუნარიანობასაც მოითხოვენ.

კომერციული ბანკის ერთ-ერთი დიდშემოსავლიანი ოპერაცია არის ფაქტორინგი. ბანკის საკომისიოს ოღენობა საგადასახდელო მოთხოვნის ყიდვისას უნდა შეესაბამებოდეს გადამხდელის კრედიტუნარიანობას, რათა შერბილდეს ოპერაციის რისკი.

დაბოლოს, შეიძლება ფაქტორების მესამე ჯგუფიც გამოვყოთ, რომლებიც მსესხებლის კრედიტუნარიანობის საფუძველზე დაკრედიტების მექანიზმის აგების აუცილებლობას განსაზღვრავს. ეს არის მცირე საწარმოო სტრუქტურებთან (კოოპერატივების, მცირე საწარმოები, პიროვნებები, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწევიან, ერთობლივი საწარმოები და ა.შ.) საკრედიტო კავშირების განვითარება.

ასევე საჭიროა ხაზგასმული იქნეს, რომ მსესხებლის კრედიტუნარიანობა კომერციული ბანკის ბალანსის ლიკვიდობის შენარჩუნების მეთოდს წარმოადგენს.

ბრუნვის მიხედვით დაკრედიტება მისი ძველი ფორმით სესხის გაცემაში ავტომატიზმის მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავდა, ამიტომ პირველი რაც ბაზარზე გადასვლას მოჰყვა, ეს იყო ბრუნვის მიხედვით დაკრედიტების სფეროს შემცირება. იგი შენარჩუნებული იქნა მხოლოდ სავაჭრო და მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებთან ურთიერთობებში. დარგებისათვის გაცემულმა სესხების ზვედრითმა წონამ 1988 წლის დასწყისისათვის მოკლევადიანი საკრედიტო დაბანდების 28 % შეადგინა. სესხების ძირითადი ნაწილის გაცემა დაიწყო მიმაგრებულ ობიექტზე ბრუნვითი - სალდოს მეთოდის საფუძველზე. ეს მეთოდი წარმოადგენს გარდამავალ ფორმას, რომელსაც გააჩნია ბრუნვის მიხედვით დაკრედიტებისა და ნაშთის მიხედვით დაკრედიტების თვისებები. ამ მეთოდის ორგანიზაციის პრაქტიკის მთავარ თვისებად გამოიკვეთა კრედიტის გეგმიური ზომით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დავალიანების შეზღუდვის ღონის შემოღება. კომერციულმა ბანკებმა, დაკრედიტების მყარი ლიმიტებით, ნაშთების მიხედვით დაკრედიტების ფართოდ გამოყენება დაიწყეს. საბანკო საქმიანობის კომერციალიზაციის

პირობებში კრედიტუნარიანობის კლასის მიხედვით დაკრედიტების მეთოდის ამორჩევა მიჩანაწერობილია. ყველაზე უფრო შელავათიანი დაკრედიტება პირველი კლასის მსესხებლისათვის არის რეკომენდირებული. მაგალითად, ასეთი მოდელი შეიძლება იყოს ბრუნვის მიხედვით დაკრედიტება კონტოკორენტის საშუალებით უზრუნველყოფის შემოწმების გარეშე კრედიტის გეგმიური ხიდიდის განსაზღვრულად გადამეტების ჯგუფებით.

მეორე კლასის მსესხებლები ბრუნვის მიხედვით უფრო მკაცრი პირობების დაკრედიტდებიან. მაგალითად, თუ ერთობლივი ობიექტის, დაკრედიტება ხდება რომელიც მოიცავს ფონდების წვრბრუნვის ყველა სტადიას, მაშინ მისაღებია სპეციალური სასესხო ანგარიში რეალიზაციიდან ამონაგების მასზე ჩარიცხვით და კრედიტის გეგმიური ხიდიდის დავალიანების შეზღუდვით. მესამე კლასის მსესხებლების დაკრედიტების ძირითად ფორმას შეიძლება წარმოადგენდეს მიზნობრივი სესხები, რომლებიც მის ტექნიკურ გადაიარაღებას და ფინანსიური სიმტკიცის ზრდას, ასევე მიმდინარე სამრეწველო საქმიანობას უზრუნველყოფენ. ნაშთის მიხედვით მიზნობრივი დაკრედიტება გირაოთი და დასაკრედიტებელი ღონისძიებების ან ბანკის საკრედიტო ოპერაციების დაზღვევით უნდა განხორციელდეს.

სასესხო ანგარიშების ფორმების მრავალფეროვნება და მათი ერთმანეთისაგან განსხვავება. დაკრედიტების მეთოდის ამორჩევის ფაქტორების მრავალმხრივობა საბოლოოდ თავს იჩენს საბანკო კრედიტების გაცემასა და დაბრუნებაში. თანამედროვე პირობებში კრედიტები ძირითადად გაიცემა სასესხო ანგარიშით, სპეციალური სასესხო ანგარიშით, ცალკე სასესხო ანგარიშით და კონტოკორენტით. ამ ანგარიშების საერთო ნიშანს წარმოადგენს დავალიანების წარმოქმნისა და დაფარვის აღრიცხვა; ყოველი ახალი სესხის გაცემა და მსესხებლის სესხის თანხა ქოველთვის ფიქსირდება სასესხო ანგარიშის დებეტში, ხოლო დავალიანების დაფარვა გატარდება კრედიტში.

სასესხო ანგარიშებს შორის განსხვავება განისაზღვრება დაკრედიტების თავისებურებებით ნაშთისა და ბრუნვის მიხედვით მარტივი სასესხო ანგარიშით დაკრედიტება, როგორც წესი, ნაშთის მიხედვით დაკრედიტებას წარმოადგენს. სპეციალურ სასესხო ანგარიშით და კონტოკორენტით დაკრედიტება ეს არის ბრუნვის მიხედვით დაკრედიტება. ცალკეული სასესხო ანგარიშით დაკრედიტებისას ბრუნვა—სასაქონლოს მეთოდი გამოიყენება. ამ დროს ხარჯის დაკრედიტების ორგანიზაციული და ტექნიკური მხარეები ერთნაირი არ არის.

მარტივი სასესხო ანგარიშებით ფულადი სახსრები გაიცემა საწარმოო დანახარჯების დასაფარავად და სასაქონლო—მატერიალურ ფასეულობების ფაქტიურად დაგროვებულ მარაგების (ნაშთების) სხვა მიხედვით სხვა მდგომარეობა წარმოიშვება სპეციალური სასესხო ანგარიშით დაკრედიტებისას. აქ სესხები გაიცემა შეძენილი საანგარიშო დოკუმენტების გაფორმების გზით საქონლისა და მომსახურებისათვის. ორგანიზაციული ანაშენულობით კი იქითკენ მივყავართ, რომ მსესხებელმა, რომელსაც მარტივი სასესხო ანგარიში აქვს გახსნილი, კრედიტი მარაგების დაგროვების მიხედვით უნდა მოითხოვოს. თუ რა სიდიდისა იგება. კრედიტი ამის განსაზღვრისათვის ბანკში უნდა გაიგზავნოს მაჩვენებლები ნორმატიული გაღახდილი ნართების მიხედვით დაკრედიტებული სასაქონლო—მატერიალური ფასეულობების შესახებ მხოლოდ ასეთი მონაცემების საფუძველზე ბანკს შეუძლია დაადგინოს სესხზე მოთხოვნილება, მატერიალური ფასეულობების ნაშთიების სიდიდე, რომელიც დაკრედიტების ექვემდებარება.

კრედიტის გაფორმება მეშვიდეგნაირად ხდება. დავუშვათ ბანკმა განსაზღვრა, რომ საწარმოზე უნდა გაიცეს 110 ათასი მანეთის კრედიტი. მაშინ ის მოცემულ თანხას ასახავს სასესხო ანგარიშის დებეტზე და ანგარიშსწორების ანგარიშის კრედიტებზე.

D ანგარიშსწორების ანგარიში K	D უბრალო სასესხო ანგარიში K
110 ათ.მან.	110 ათ.მან.

შევნიშნავთ, რომ მარტივი სასესხო ანგარიშიდან კრედიტის გაცემას, რაღაცნაირად წესი, თან ახლავს მისი თანხის ჩარიცხვა ანგარიშსწორების ანგარიშზე. ამ ხარჯების საკომპენსაციოდ, რომლებიც მსესხებელმა უკვე ჩაიხდინა თავისი რესურსების ხარჯზე. თუმცა, პრაქტიკაში გვხვდება მარტივი სასესხო ანგარიშიდან კრედიტის გაცემა, იმ საანგარიშსწორებო დოკუმენტების ანალიზის წესით, რომლებიც დასაკრედიტებელ ფასეულობათა შემოსულობაზე მიუთითებენ. ამ შემთხვევაში კრედიტის გაცემა იმ სქემის ანალოგიური ხდება, რომელიც სპეციალური სასესხო ანგარიშით დაკრედიტებისათვის არის დამახასიათებელი.

სპეციალური და ცალკეული სასესხო ანგარიშებით დაკრედიტებისას, ასევე კონტოკორენტით სესხის გაცემის მომენტში არ მოწმდება შესაბამისობაშია თუ არა კრედიტის მოცულობა დასაკრედიტებელი სასაქონლო—მატერიალური ფასეულობების სტანდარტულ საჭიროებასთან. ანაზღაურების სტანდარტული არ არის ბანკში სესხის მისაღებად განაცხადების წარდგენა. ასევე, არ არის საჭირო დასაკრედიტებელი საქონლის ნაშთების მონაცემთა წარდგენა. კრედიტის საგადასახდელო ხასიათის გამო (წარმოდგენის ფორმით) სპეციალური სასესხო ანგარიში და კონტოკორენტი ხელს უწყობს დამატებითი ფულადი სახსრებით საწარმოს მოთხოვნების დროულად დაკმაყოფილებას.

ეკონომიკური მხარის გარდა სპეციალურ სასესხო ანგარიშით დაკრედიტება ტექნიკური ნიშნებითაც ხასიათდება (მარტივი სასესხო ანგარიშით გაცემულ კრედიტებთან შედარებით). საჭირო არ არის ბანკში ვადიანი ვალდებულებების წარდგენა კრედიტის მოცულობისა და შეთანხმებულ ვადაში დაფარვის შესახებ. რამდენიმე ვადიანი ვალდებულების ნაცვლად საწარმო ბანკის წინასწარშეთანხმებით ავზავნის ერთ საერთო ვალდებულებას, დაკრედიტების ყველა პირობისა და წესის შესრულების შესაბამ.

სასესხო ანგარიშების ზოგიერთი თავისებურება ვლინდება მსესხებელთა ანგარიშსწორების ანგარიშებთან ურთიერთმოქმედებაში. მარტივი სასესხო ანგარიშებიდან გაცემული კრედიტის დაფარვა წარმოებს უმეტესად სამეურნეო ოპერაციების მიმდინარე ან ანგარიშსწორების ანგარიშებთან ან ფულადი სახსრების შესაბამისი ჩამოწერით. სხვაგვარად მიმდინარეობს ეს პროცესი საბრუნავი სასესხო ანგარიშებით დაკრედიტების გამოყენებისას. ხშირად ფულადი სახსრები, სასესხო დავალიანების დასაფარავად ანგარიშსწორების ანგარიშის კუთვნილ ავლით გამოიყენება. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება დაბრუნების სხვა საშუალებაც. საწარმოებში კრედიტი შეიძლება დაფარული აქნეს მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშიდან ფულადი სახსრების სისტემატური და ეპიზოდური ჩამოწერის გზით.

ცალკეული სახის სასესხო ანგარიშებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები დავახასიათოთ იმის მიხედვით, თუ ამა თუ იმ მსესხებელს ანგარიშზე სესხისა რა ოდენობა გააჩნია. მაგალითად, საწარმოს იძლევა მარტივი სასესხო ანგარიში შეიძლება შეიძლება ჰქონდეს, რამდენი დაკრედიტების ობიექტები გააჩნია, ხოლო სპეციალური სასესხო ანგარიში და ცალკე სასესხო ანგარიში ან კონტოკორენტი მხოლოდ ერთი. ჩვეულებრივ, საწარმოების უნაღდო ბრუნვის უმეტესი ნაწილი სპეციალურ სასესხო ანგარიშზე კონცენტრირდება და აისახება მათ მიერ აღებული კრედიტებით, ბანკის საერთო დავალიანებაში.

ასევე არსებობს ზოგიერთი განსხვავება მარტივი და სპეციალური სასესხო ანგარიშების ჯგუფებს შორისაც. მარტივი სასესხო ანგარიშები შეიძლება ფორმების მიხედვით არ გავდნენ ერთმანეთს. ასე მაგალითად, მიმდინარე გადასახადების სესხის მიღებისას, საწარმოს არ სჭირდება ბანკში განაცხადისა და წერილობითი შუამდგომლობის წარდგენა, იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერია კრედიტზე მოთხოვნა და ვადიანი ვალდებულებები, საბანკო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება სპეციალური სასესხო ანგარიშები, რომლებიც საბრუნავი საშუალებების რომელიმე ერთი ელემენტის წოუბრუნვას (მაგალითად, ნედლეული და ძირითადი მასალები) ემსახურება. ასეთ შემთხვევაში, სპეციალურ სასესხო ანგარიშზე გაითვალისწინება კრედიტები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულ მარაგების შესაქმნელად და მათი მუდმივი მარაგების ნაწილის ფორმირებისათვის. არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სპეციალური სასესხო ანგარიში და კონტოკორენტი.

საწარმოს ყველა სამეურნეო ოპერაცია, რომელიც კონტოკორენტით არის დაკრედიტებული, თავს იყრის სასესხო ანგარიშზე, რომელიც ერთიან აქტიურ - პასიურ ანგარიშს წარმოადგენს (ამ შემთხვევაში, საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიში, როგორც დამოუკიდებელ პირადი ანგარიში იხურება) შესაბამისად, ბრუნვები კონტოკორენტზე უფრო ფართოა, ვიდრე სპეციალურ სასესხო ანგარიშით დაკრედიტებისას.

კრედიტის გაცემის ორგანიზაცია და მისი სიდიდის განსაზღვრა. კრედიტის გაცემა შეიძლება განვიხილოთ არა მარტო სასესხო ანგარიშის ფორმით, არამედ კრედიტის მიმართულების პოზიციიდანაც. ჩვენ უკვე განვიხილეთ შემთხვევები, როცა კრედიტის თანხა ჩაირიცხება უშუალოდ მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე, საიდანაც ფულადი სახსრები მისი შეხედულებისამებრ იხარჯება. აგრეთვე პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად (მათ შორის საქონელსა და მომსახურებაზე) საანგარიშსწორებო დოკუმენტების გასანღდებლად.

ამასთან საბანკო კრედიტები შეიძლება გაიცეს სხვა კრედიტების დასაფარავად. ახალი სესხები, მაგალითად, გამოიყენება: ა) ვადიანი სესხების დასაფარავად, დაფარვის ვადა განსაზღვრულ მომენტში დგება; ბ) ვადაგადაცილებული სესხების დასაფარავად; გ) იმ არაუზრუნველყოფილი კრედიტების დასაფარავად, რომლებიც უზრუნველყოფის შემოწმებით არის გამოვლენილი. უკანასკნელ დროს, სესხის დაფარვას მოქმედება განსაზღვრული რიგითობა, რომლის შესაბამისად ახალი სესხი თავდაპირველად არაუზრუნველყოფილი სესხის დავალიანების დასაფარავად მიიმართებოდა, შემდეგ კი - ვადაგადაცილებულისა და მოცემული დღისათვის ვადიანი დავალიანების დასაფარავად, ხოლო დარჩენილი თანხა ჩაირიცხებოდა ანგარიშსწორების ანგარიშზე.

მაგალითად, საწარმოს ერგებოდა კრედიტი 110 ათასი მანეთი. მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე პრეტენზიათა არ არსებობის პირობებში, ამ სესხის მთელი თანხა ჩაირიცხებოდა ანგარიშსწორების ანგარიშზე.თუმცა, ამ დღეს საწარმოს სხვა სახის საბანკო სესხზე აღმოაჩნდა არაუზრუნველყოფილი დავალიანება 20 ათასი მანეთი, ამასთან წარმოიშვა ვადაგადაცილებული დავალიანება 40 ათასი მანეთის ოდენობით.

ამასთანავე პრაქტიკაში არის ისეთი მაგალითები, როცა დირექტიული რიგითობა არ წესდება და ბანკის მიერ კრედიტების დაფარვა მისი კლიენტის შეხედულებისამებრ ხორციელდება.

კრედიტის გაცემა შეიძლება მისი მოცულობის პოზიციიდანაც განვიხილოთ. აქ ასეთი ვარიანტები არსებობს:

კრედიტი გაიცემა სრული თანხით (ჩაირიცხება კლიენტის ანგარიშებზე, შემდეგ კი იხარჯება აუცილებლობის მიხედვით).

კრედიტის მიღების უფლება თანდათან რეალიზდება (დამატებითი ფულადი სახსრების მოთხოვნილებების წარმოშობის მიხედვით).

საწარმოს უფლება აქვს განსაზღვრული თანხის კრედიტზე, მაგრამ მის მიღებაზე ღრუბით უარს ამბობს (მაგალითად რათა გადაიხადოს ზედმეტი პროცენტები).

გაცემული კრედიტების მასშტაბები ბევრადაა დამოკიდებული იმ საწყის წესებზე, რომლითაც ხელმძღვანელობს ბანკი. ჩვეულებრივ პრაქტიკაში შემდეგი წესები გამოიყენება:

1. კრედიტის სიდიდე საგადასახდელო ბრუნვისას ფაქტიური გარღვევის თანხით განისაზღვრება. ასეთი სიტუაცია იქმნება იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ მომენტში თავმოყრილი გადასახადები საწარმოს განკარგულებაში არსებულ თავისუფალ ფულად სახსრებზე მეტი აღმოჩნდება. საგადასახდელო ბრუნვაში გარღვევა შეიძლება იყოს საბრუნავი საშუალებების წრებრუნვაში ცვლილებათა შედეგიც, როგორც ცალკეული ობიექტის ბრუნვის მიზეზით (მაგალითად, ცალკე ნედლეული ან საწვავი, დამზმარე მასალები ან მზა პროდუქცია), ასევე ერთობლივი ობიექტის (ნედლეულის, საწვავის, მზა პროდუქციის საწარმოო ხარჯების) და ბოლოს, სესხები გაიცემა საგადასახდელო ბრუნვაში მსესხებლის, როგორც საბრუნავი,ისე ძირითადი სახსრების მერყეობით გამოწვეული გარღვევების გამო.

2. საბანკო კრედიტის პარამეტრები გაიანგარიშება სავარაუდო გადახდების თანხის მიხედვით, როგორც წინა ვარიანტში, სესხები გაიცემა აქ 100 %-იანი გარღვევისას, დროებით ფინანსიური სიძნელეების მქონე კლიენტისადმი ნდობის აღსანიშნავად.

3. რამდენადმე სხვა მდგომარეობა წარმოიშვება მაშინ, როცა ბანკი აკრედიტებს რალურად დაგროვებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს. მოცემულ შემთხვევაში კრედიტის თანხა განისაზღვრება დაკრედიტებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების შესახებ კლიენტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე; კრედიტის ოდენობას წარმოადგენს მათ განაღდებულ ნაშთებს (საწყობში, გზაში, გაუფორმებელი გადატვირთვების ჩათვლით საკრედიტო ფასეულობების საერთო ნაშთებიდან საწარმოს განკარგულებაში მყოფი წყაროების გამოკლებით, კერძოდ, საკრედიტო დავალიანების სხვადასხვა სახეები და საკუთარი საბრუნავი სახსრები). კრედიტის გაცემისას სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე შეუვსებელი ნორმატივიც გაითვალისწინება, აგრეთვე დაკრედიტების საერთო საზღვრები, რომლებიც მოცემული კლიენტის დაკრედიტების ლიმიტით რეგლამენტირებულია.

4. საწარმოს მიერ გაწეული დანახარჯების დაკრედიტებისას კრედიტის თანხას შეადგენს გეგმიურ პერიოდში გასაკლებია და ანაზღაურებული თანხების სხვაობა. მაგალითად:

	(ათ. მან.)
გაწეული ხარჯები წლის დასაწყისიდან (იანვარ-იკლისი)	19,3
ჩაოწერილია ხარჯები პროდუქციის თვითღირებულებაზე წლის დასაწყისიდან	12,0
ფაქტიური სეზონური ხარჯები, რომლებიც პროდუქციის გამოსაუვლიანობით არ იფარება	7,3
საწარმოს გეგმური დანახარჯები, პროდუქციის თვითღირებულების ჩამოწერის გამოკლებით	7,1
მიმწოდებლის დავალიანება, რომელიც საწარმოო ხარჯებს მიეკუთვნება	0,1
საკუთარი საბრუნავი სახსრები	7,0
გეგმის ფარგლებში გადახდილი ხარჯები	0,2

კრედიტის უზრუნველყოფად მიღებული დანახარჯებ
შეადგენენ 6,8 ათ.მან. (7,0 ათ. 0,2 ათ.) 10,2 ათ.მანეთი კრედიტ
ღების უფლების შემთხვევაში და ხესხის დავალიანებ
შესაბამისად (10,2 ათ.მანეთი) დამატებითი კრედიტი შეიძლებ
გაცემულ იქნას 1,8 ათ.მანეთის ოდენობით.

5. სეზონური მოთხოვნების დაკრედიტებისას კრედიტი
სიდიდეს წარმოადგენს ის თანხა, რომელიც მიიღება ხარჯებ
შემოსავლებზე სეზონური გადამეტების თანხით. დავუშვათ, რო
შემოსავლებზე ხარჯების სეზონური გადამეტება წლიურ
ღირებულების 110 ათ.მან. დავალიანება აღრე აღებულ კრედიტებ
– 60 ათ. მან. ამ შემთხვევაში ბანკს შეუძლია კლიენტზე მიცე
ხესხი (კრედიტის მიღების უფლების საზღვრებში – 40 ათ.მან.
დამატებითი 15 ათ. მანეთი (75 ათ.– 60 ათ.).

6. ყველაზე მეტად გავრცელებული კრედიტი, მაგალითა
მრეწველობაში, გადატვირთული საქონლის ქვეშ კრედიტია. სა
კრედიტის თანხად გვევლინება გადატვირთული საქონლის ფას
მათი ნაბალანსო ღირებულებით. პრაქტიკულად ბანკს შეუძლი
გასცეს მოცემული ხელხები პროდუქციის წარმოებასა და
გადატვირთვაზე გეგმიური დანახარჯების მიხედვითაც.
შემთხვევაში გადატვირთული პროდუქციის ღირებულებაში
რომლებიც საანგარიშსწორებო დოკუმენტებშია ნაჩვენები, არ
როგორც დასაკრედიტებელი, ისე დაუკრედიტებელი ელემენტები
დასაკრედიტებელ ელემენტებს მიეკუთვნება: პროდუქციის გეგმურ
თვითღირებულება, სატრანსპორტო ხარჯები, შეფუთვასა და ტარაზ
გაწეული ხარჯები, ხოლო დაუკრედიტებელს მოგება
დამატებული ღირებულების გადასახადი და აკრედიტებს
ხორციელდება დათმობის გამოკლებით (დაუკრედიტებელ
ელემენტების ღირებულება).

დათმობის სიდიდე შემდეგნაირად გამოითანგარიშება
პროდუქციის რეალიზაციის გეგმა გასაცემი ფასებით, ასევე
მატერიალურ-ტექნიკური ნაკეთობის ღირებულება, რომელიც მყიდველებ
მიერ გადახდილია, მაგრამ სასაქონლო პროდუქციაში არ შეყვანებ
– 2400; რეალიზაციიდან მოგება – 180; დამატებული
ღირებულების გადასახადი – 10; სატრანსპორტო ხარჯების,
შეფუთვისა და ტარის ღირებულება, რომელიც რეალიზაციის
გეგმაში არ შედის; დაუკრედიტებელ ელემენტებზე დათმობის
სიდიდე.

((180 ათ.მან. + 10 ათ.მან.) : (2400 ათ.მან. + 30000 ათ.მან.)) x 100 8%

გაანგარიშების საფუძველზე ბანკი აკრედიტებს საანგარიშსწორებო
თანხების ნაშთის 92 % ით. თუ მათი ღირებულება შეადგენდა 100
ათ.მან. ეს ნიშნავს, რომ საწარმოს შეუძლია მიიღოს ხესხი 92
ათ.მანეთის ფარგლებში.

7. კრედიტის სიდიდის განსაზღვრის უნივერსალურ მეთოდს
წარმოადგენს მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში მიღებული წესი, როცა
ხესხები გაიცემა არა სრული თანხით, არამედ განსაზღვრული
ნაწილის გამოკლებით. (მოთხოვნილი კრედიტის სიდიდის
პროცენტებში), რომლებიც ბანკის მიერ არაა დაკრედიტებული
დაუკრედიტებელი ნაწილის სიდიდე განისაზღვრება ბანკის მიერ
დამოუკიდებლად მისი გამოცდილების, კლიენტის
კრედიტუნარიანობის დონის, ეკონომიკური რისკის გათვალისწინებით.

3. კონტოკორენტული კრედიტი და მოკლევადიანი დაკრედიტების სხვა ფორმები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაკრედიტების ყველაზე უფრო დამახასიათებელ ფორმას, როგორც აღნიშნული იყო, პირველი კლასის მსესხებლების კონტოკორენტული კრედიტი წარმოადგენს. ეს ნიშნავს იმას, რომ საწარმოს გაეხსნება მხოლოდ ერთადერთი ანგარიში. მიცემულ შემთხვევაში ანგარიშსწორების ანგარიში იხურება.

ცოტა რამ კონტოკორენტის ისტორიიდან. კონტოკორენტი თანამედროვე პრაქტიკის გამოგონება არ არის. მას იყენებდნენ ჯერ კიდევ რუსული კომერციული ბანკები. საუკუნის დასაწყისში კონტოკორენტი გამოიყენებოდა ფასიანი ქაღალდების, საქონლის და თამასუქების გირაოსთან შეთანაწყობით. დამახასიათებელია, რომ ბალანსის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად კონტოკორენტულ კრედიტს ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ბალანსის აქტივში არსებული ნაღდი ფული ან ფასეულობა, რომლებიც პირველი კლასის ლიკვიდურ აქტივებთან არის გათანაბრებული.

მიუხედავად კონტოკორენტული ანგარიშის მიზნობრივი დანიშნულებისა, მისი ფუნქციონირება დაფუძნებული იყო საერთო პრინციპებზე. ჯერ ერთი, იდებოდა კონტოკორენტული ხელშეკრულება. ხშირად თვით ტერმინი "კონტოკორენტი" ხელშეკრულების აღნიშვნელობით გამოიყენებოდა. მეორე, ხელშეკრულებაში აღინიშნებოდა სალდოს გამოყვანის ვადა - "ანგარიშის დახურვა". მესამე, ვალდებულებები ცალკეულ გარიგებებზე წყდებოდა და იცვლებოდა ვალდებულებით სალდოს ანგარიშით (მოცემული პრინციპი არ ვრცელდებოდა თამასუქზე. თუ თამასუქი გაპროტესტებული იყო, მაშინ ბანკს უფლება ჰქონდა თამასუქის ვალუტა ჩაეწერა კონტოკორენტული ანგარიშის დებეტზე).

ბანკსა და კლიენტს შორის დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო კონტოკორენტული ანგარიშის გაფორმების ვადა. ხელშეკრულება განსაზღვრავდა საპროცენტო განაკვეთსაც. თანაც უმეტეს შემთხვევაში მისი სიდიდე წესდებოდა ცენტრალური სახელმწიფო ბანკის განაღდების განაკვეთის დონის მიხედვით. განაკვეთი განსხვავდებოდა სადებეტო და საკრედიტო ოპერაციების მიხედვით. კომერციის კანონები მოითხოვდნენ, რომ საკრედიტო ოპერაციებში საპროცენტო განაკვეთი უფრო დაბალი ყოფილიყო, ვიდრე სადებეტო ოპერაციებზე.

პროცენტის გარდა, კონტოკორენტის ოპერაციებიდან ან სბანკო მომსახურებაზე საკომისიო ირიცხებოდა. გამოიყენებოდა საკომისიოს დარიცხვის რამდენიმე მეთოდი: 1). ყოველ ცალკეულ ოპერაციაზე, ბანკის რისკის დონის გათვალისწინებით. 2). ბრუნვის თანხიდან; 3). სალდებეტო სალდოს მატების თანხიდან; 4). საბრუნავი საკომისიოების ცალკეული ოპერაციების საკომისიოებთან შეთანხმებით.

კონტოკორენტი სსრკ-ს ბანკების პრაქტიკულ საქმიანობაში საკრედიტო რეფორმის გატარებაში და გატარების პერიოდში გამოიყენებოდა. სსრკ-ის სახბანკის 1929 წლის 12 ივნისის წესდებით ნებადართულ იყო კონტოკორენტული ანგარიშიდან 6 თვემდე ვადის კრედიტის გაცემა. კრედიტი გაიცემოდა ფასიანი ქაღალდების, ძვირფასი ლითონების, უცხოურ ვალუტის საქონლისა და სასაქონლო დოკუმენტების გირაოს ქვეშ. დაკრედიტების ლიმიტი განისაზღვრებოდა პროცენტებში გირაოს ღირებულებასთან.

სსრ კავშირის ცაკ-ისა და სმს-ს 1930 წლის 23 ივნისის დადგენილებით "კონტოკორენტის ხელშეკრულების შესახებ" კონტოკორენტის ხელშეკრულების გაფორმების უფლება ჰქონდათ: ა)

საკრედიტო დაწესებულებებს, როგორც ერთმანეთთან, ისე მათ კლიენტებთან; ბ
განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებს ერთმანეთთან და სხვა კონტრაგენტებთან გ) კერძო
პირებს ერთმანეთთან.

საკრედიტო რეფორმის დასაწყისში კონტოკორენტი პრაქტიკულად გადაიქცა ბრუნვის
მიხედვით დაკრედიტების ერთადერთ ფორმად. კონტოკორენტით ოპერაციები ლიმიტების
საფუძველზე რეგულირდებოდა, რომლებიც ან მაქსიმალურ სალდოს ან მაქსიმალურ
საკრედიტო სალდოს განსაზღვრავდნენ. ლიმიტებს აღგენდნენ კლიენტებს ფინანსური გეგმების
საფუძველზე. კონტოკორენტული ოპერაციების შედეგები განიხილებოდა კვარტალების მიხედვით.
ბანკს უფლება ჰქონდა დავალიანება უდავოდ ამოეღო მევალის ქონების რეალიზაციის ანგარიშიდან.

კონტოკორენტით დაკრედიტების გამოყენება არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო. ცნობილია,
რომ 1966-1984 წ. კოლმეურნეობათა ერთი ნაწილის დაკრედიტება ხდებოდა ერთიანი აქტიურ-
პასიური ანგარიშის მიხედვით, რომელიც ატარებდა სპეციალურ ანგარიშსწორების (მიმდინარე)
ანგარიშის სახელწოდებას. ამ ანგარიშზე აისახებოდა კოლმეურნეობის მთელი საგადასახდელო
ბრუნვა, რომელიც დაკავშირებული იყო მის საწარმოო საქმიანობასთან, კონტოკორენტის
მოცემული ტიპის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მისი ანგარიშიდან ხდებოდა არა
მარტო ტრადიციული ოპერაციები საქონელზე, მომსახურებაზე, გადახდები ბიუჯეტებში, არამედ
კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშზე სახსრების სახით გადარიცხვა. კოლმეურნეობათა საწარმოო-
საფინანსო გეგმის საფუძველზე განისაზღვრებოდა გასაცემი კრედიტის ლიმიტი და გეგმური
სიდიდე. პირველი, კვარტალისათვის აღგენდნენ ანგარიშსწორების ანგარიშზე სადებეტო ბრუნვის
საზღვრებს; მეორე - კვარტალის ბოლოს კი დავალიანების მაქსიმალურ დონეს. კვარტალის
განმავლობაში დავალიანება შეიძლება კრედიტის გეგმიურ ოდენობაზე მეტი ყოფილიყო. ეს
გადაჭარბი თანხა კვარტლის ბოლოს მიექვთვნებოდა ვადაგადაცილებული სესხების ანგარიშს და
იფარებოდა ანგარიშსწორების ანგარიშიდან გადასახადების შემცირების გზით
(ვადაგადაცილებული დავალიანების ალდოს მიხედვით მცირდებოდა გაცემის ლიმიტები).
დაკრედიტების ასეთი წესის ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ბანკის რესურსების
ხარჯზე იფარებოდა მსესხებლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ნაკლოვანებები, რადგანაც
კოლმეურნეობების უმეტესობა დაბალრენტაბელური და ზარალიანი იყო.

მთლიანად კონტოკორენტი აღიქმებოდა, როგორც დახმარების სახე, რომელიც უნდა გაწიოს სუსტ
მეურნეობებს. თუმცა, მსოფლიო პრაქტიკაში დაკრედიტების ასეთი ფორმა მხოლოდ პირველი კლასის
მსესხებლებისათვის გამოიყენება. გამოყენებული დაკრედიტების სქემის ნაკლი იმაში მდგომარეობდა,
რომ იგი არ აწყობდა მაღალ რენტაბელურ მეურნეობებს. სპეციალურ ანგარიშსწორების ანგარიშზე
ოპერაციების მკაცრი რეგლამენტაცია კრედიტზე გეგმური მოთხოვნილებების შემცირების მიზნით არ
აწყობდათ ფინანსურად მყარ კოლმეურნეობებს. მთლიანად დაკრედიტების მოცემული წესი არ
ითვალისწინებდა კოლმეურნეობების საკუთარი საბრუნავი სახსრების მდგომარეობას, რაც იწვევდა
დაკრედიტების ვადიანობის პრინციპის დარღვევას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში კონტოკორენტი, როგორც წესი, ყველაზე
უფრო მსხვილ ფირმებს ეხსნებათ, მიმდინარე საწარმოო საქმიანობისათვის. ინვესტიციის
დაფინანსება ამ ანგარიშიდან არ ხდება. დაკრედიტების ლიმიტი (საკრედიტო ხაზი) განისაზღვრება
მსესხებლის საკუთარი კაპიტალის სიდიდის გათვალისწინებით, მისი საქმიანობის მასშტაბებით
და ბანკთან მტკიცე კავშირებით. კონტოკორენტით დაკრედიტების წესი დიფერენცირებულია
მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესაბამისად. მაგალითად, მსხვილი საწარმოები იღებენ

სესხს უზრუნველყოფის გარეშე, ხოლო წვრილი საწარმოები — ფასიანი ქაღალდების
ჩრუნველყოფით. ამასთან, პირველი კლასის მსესხებელს ბანკმა შეიძლება დაკრედიტების
ლიმიტის მოკლევადიანი გაზრდის უფლება მისცეს დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების
გარეშე. თუმცა ასეთი კრედიტის გაცემისთვის საკომისიოს გადაახდევინებს.

ისე, როგორც რუსეთის კომერციული ბანკების პრაქტიკაში პროცენტები ერიცხებათ
ალდოს გამოყვანისას, ე.წ. ანგარიშის დახურვის დროს. კუთვნილი კრედიტის გადასახდელი
ასახება კონტოკორენტის დებეტზე, ე.ი. ზრდის ბანკის მიმართ კლიენტის ვალს.

კომერციული ბანკები განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, განსაკუთრებით
ინგლისური, იყენებენ კრედიტის გაცემას ოვერდრაფტის ფორმით, რომელიც შეიძლება
განვიხილოთ როგორც კონტოკორენტის განსაკუთრებული ფორმა. ოვერდრაფტის დროს
კლიენტს ანგარიშსწორების ანგარიშზე მოკლე პერიოდის განმავლობაში უფლება აქვს ჰქონდეს,
კონტოკორენტისაგან განსხვავებით, დავალიანება. წარმოების საერთო პრინციპები სსრ კავშირისა
და სხვა ქვეყნების პრაქტიკაში მისი გამოყენების გათვალისწინებით, აგრეთვე თანამედროვე
პერიოდის თავისებურებების გათვალისწინებით ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებული იქნეს
კონტოკორენტული კრედიტის შემდეგი მოდელი.

უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ კონტოკორენტით დაკრედიტების
პირობები. ეს აუცილებელია გაკეთდეს კოეფიციენტებისა და მაჩვენებლების ანალიზის
საფუძველზე, რომლებიც გაანგარიშებულებია მსესხებლის კვარტალური და წლიური ანგარიშების
მიხედვით და შემდეგ ავსახოთ ისინი საკრედიტო ხელშეკრულებაში. პირობების სახით ბანკს
უფლება აქვს შემოიღოს კლიენტის მიმართ მოთხოვნილება და შეცვალოს ლიკვიდური სახსრების
სტრუქტურა, უზრუნველყოფის საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდა,საბრუნავი სახსრების და
კრედიტის გეგმური ბრუნვადობის დაცვა სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების მარაგების
შემცირება და ა.შ. ამ და სხვა პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში კლიენტისათვის უფრო
მეტად აქტუალურია სანქციის სახით შემოღებულ იქნეს კონტოკორენტული დაკრედიტების
უფრო მკაცრი რეჟიმი, დაკრედიტების მეთოდი.

კონტოკორენტული დაკრედიტება შეესაბამება ცალკეული ანგარიშებიდან მოკლევადიან და
გრძელვადიანი მიზნობრივი სესხების გაცემას. მიზნობრივი სესხების გაცემა და დაფარვა
კონტოკორენტულ ანგარიშთან მაკორესპოდირებელია.

კონტოკორენტით დაკრედიტების საფუძველს წარმოადგენს კრედიტის გეგმური სიდიდე. ის
განისაზღვრება დაკრედიტების გამსხვილებული ობიექტის ბაზად და წარმოადგენს საბრუნავ
სახსრებზე მოთხოვნილებასა და მათზე არსებულ წყაროებს შორის სხვაობას. მოთხოვნა აიგება
წარმოებულია ქტივების ნაშთებისაგან, გადატვირთული საქონლისაგან, რომლის გადახდის ვადა
ჯერ არ დამდგარა და დებიტორული დავალიანებებისაგან. ეს სხვაობა გამოითვლება კლიენტის
მიერ მთელი წლის განმავლობაში კვარტალური დაყოფის, საბრუნავი სახსრების ბალანსის
საფუძველზე. ბალანსის შედგენისას ითვალისწინებენ საკრედიტო ხელშეკრულებაში ასახული
კრედიტორების პირობებს, რომლებიც მიმართულია მსესხებლის კრედიტუნარიანობის
ასამაღლებლად. როგორც აღნიშნული იყო, აქტივების ნაშთების დაგეგმვისას ყურადღება ექცევა
ბანკის მოთხოვნას მათი ცალკეულ ელემენტებს სიდიდის შემცირებაზე, გადატვირთულ საქონელზე
და დებიტორული დავალიანებაზე, ხანგრძლივი გადაუხდელობის ლიკვიდაციაზე, საკუთარი
საბრუნავი სახსრების სიდიდის ზრდაზე.

გეგმური კრედიტის სიდიდის გამოყენების რეჟიმი შეიძლება შეცვალოს კრედიტუნარიანობ
და კრედიტის მოთხოვნის ხასიათის მაჩვენებლების ანალიზის შემდეგ. პირველი ვარიან
გამოიყენება, როდესაც პრაქტიკულად შენიშვნები არ არის კრედიტუნარიანობის კოეფიციენტებ
აქ კრედიტის გეგმური სიდიდე მკაცრად ზღუდავს დავალიანების დონეს და გამოიყენება მხოლოდ
დონის ცვლილებებზე დაკვირვებისათვის. სხვა შემთხვევებში, აგრეთვე ხელშეკრულების პირობებ
შეუსრულებლობისას, როგორც სანქცია, გამოიყენება მეორე ვარიანტი, რომლის დროს
ნებადართულია კრედიტის საგეგმო ოდენობის გადაჭარბება, მხოლოდ განსაზღვრული პირობებით

შეიძლება მოხდეს ისე, რომ მომავალი წლისათვის დაიგეგმოს საბრუნავი სახსრებ
წყაროების გარდამეტება მათ განთავსებაზე. ამ შემთხვევაში ბანკისათვის მიზანშეწონილ
კლიენტს გაუწიოს რეკომენდაცია თავისუფალ სახსრების სტაბიულური ნაშთის ვადიან დეპოზიტ
მოსათავსებლად, ხოლო სესხის თანხებზე გაუთვალისწინებელი მოთხოვნილების წარმოქმნისა
ის დააკრედიტოს ოვერდრაფტის ფორმით. ამ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, შეიძლებ
ნებადართული იქნეს ანგარიშსწორების ანგარიშზე სალდო.

კონტოკორენტით დაკრედიტების პროცესზე კონტროლი. ბანკის კონტროლი ფულად
კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფაზე შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზებით და უწინარეს
ყოვლისა, საბრუნავი სახსრების გეგმური და ფაქტიური ბალანსის შედარების მეშვეობით. ეს
შესადარებელი ანალიზი კეთდება კლიენტის კვარტალური ანგარიშგების მონაცემის საფუძველზე. ი
შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ ასრულებს პირველი კლასით დაკრედიტების პირობებს, ბანკი იღებს
გადაწყვეტილებას მისი დაკრედიტების შემდგომ რეჟიმზე. კერძოდ, წყდება საკითხი კრედიტის გეგმურ
სიდიდის გადაჭარბების, სასესხო პროცენტის უფრო მაღალი დონის დაწესების, სანგარიშსწორებო
დოკუმენტების, შემოსული ამონაგების ფარგლებში, განაღდების შესაძლებლობებზე.

კონტროლის მეორე ხერხია კონტოკორენტის დავალიანების ყოველკვარტალური
კონტოკორენტის გეგმურ ოდენობასთან შეპირისპირება. ეს ნიშნავს, რომ რიგი აქტივებისა და
გადატვირთული საქონლის ნაშთების დაგეგმვა ხორციელდება გასულ წლებში მათი საშუალო
სიდიდის ბაზაზე (ასეთ პირობებში გაითვალისწინება წარმოების მოცულობის ტემპების ზრდაც).
ამ მეთოდის დრო, ვიდრე მოხდება კრედიტის გეგმური ოდენობის ფაქტიურ დავალიანებასთან
შედარება, შეიძლება მასში შევიტანოთ განსაზღვრული კორექტივები. საქმე იმაშია, რომ კრედიტორული
დავალიანების და სხვა წყაროების დაგეგმვა განსხვავდება დიდი დაშვებებით. დაგეგმვის უზუსტობა
ღრმავდება გარდამავალ პერიოდში ბაზრის არასტაბილურობით. თუ კვარტალში საშუალოდ საკრედიტო
დავალიანების ფაქტიური ოდენობა დაგეგმილ სიდიდეზე უფრო მეტია, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ
შესაბამის გადახრაზე მიზანშეწონილია შემცირდეს კრედიტის გეგმური სიდიდეც. თუ შეინიშნება უკუ
სურათი (საკრედიტო დავალიანების საშუალო სიდიდე მცირდება), მაშინ კრედიტის გეგმური სიდიდე
საჭიროა გავზარდოთ. კონტოკორენტით დაკრედიტების შემდგომი რეჟიმი დამოკიდებული იქნება
გადახრების მასშტაბებზე. თუ სესხებით, საშუალო კვარტალური, ფაქტიური დავალიანება 20 %-ზე მეტად
აღემატება გეგმურ სიდიდეს, მაშინ შესაძლოა შემოღებულ იქნეს კრედიტის გეგმური საზღვრები შიდა
კვარტალში და კვარტალის ბოლოს.

დაკრედიტების შენარჩუნების და კერძოდ, ვადიანობის კონტროლის მესამე საშუალებად
შეიძლება რეკომენდებული იქნეს კრედიტის ფაქტიური და საგეგმო ბრუნვის სიჩქარის
ყოველკვარტალური შედარება. ამ სიჩქარის შენელებისას შემოღებულია საჯარიმო დამატებანი
ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტზე.

სესხების ბრუნვის სიჩქარე გამოითვლება ფორმულით:

$$Cok = (Kop \times D) : Ok ,$$

სადაც **Kop** - ბანკის სესხებზე დავალიანების საშუალო ნაშთები;

Ok - ბრუნვა სესხების დაფარვის;

D - პერიოდში დღეთა რიცხვი.

ბრუნვის სიჩქარე იგეგმება კვარტლისათვის.

$$Cok(გეგ.) = \frac{\text{კრედიტის გეგმური ოდენობა კვარტალზე}}{\text{დავალიანების დასაფარავად გეგმური ბრუნვა კვარტალში}} \text{ X კვარტალში სამუშაო დღეთა რაოდენობა}$$

კრედიტის გეგმური სიდიდე შეიძლება ავიღოთ საბრუნავი სახსრების გეგმური ბალანსიდან. სესხის დასაფარავი გეგმური ბრუნვა შედგება კვარტალში რეალიზაციის საგეგმო მოცულობისგან და სხვა გეგმური შემოსულობებისაგან. როდესაც მსესხებელს გააჩნია ცალკული სასესხო ანგარიშები, რომლის მიხედვითაც დავალიანებები კონტოკორენტით იფარება, ფორმულის მრიცხველი იზრდება მიზნობრივი სესხების დავალიანების გეგმური დონით.

სესხების ფაქტიური ბრუნვადობის გეგმურისაგან გადახრა განისაზღვრება აბსოლუტური სიდიდით და პროცენტებში. პროცენტებში ეს გადახრა გამოიყენება პროცენტის ძირითად განაკვეთზე საჯარიმო დანამატის ან შეღავათიანი ფასდაკლების განსაზღვრისათვის. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ საჯარიმო დანამატის და შეღავათიანი ფასდაკლების განაკვეთები სახელშეკრულებო პროცენტთან კონტიკორენტით სესხების ბრუნვადობის გათვალისწინებით.

ცხრილი 13

	ცვლილებები სესხის ბრუნვადობაში							
	შენელება				დაჩქარება			
	3-ზე მეტი	2-დან 3-მდე	1-დან 2-მდე	0-დან 1-მდე	0-დან 3-მდე	3-დან 5-მდე	5-დან 10-მდე	10-ზე მეტი
კონტოკორეტულ ანგარიშზე სესხების ფაქტიური ბრუნვადობის ცვლილება გეგმურთან შედარებით, %								
დანამატი ან ფასდაკლება ძირითადი საპროცენტო განაკვეთებას პუნქტებში	4-5	3	2	1	0,5	1	2	3

მთლიანობაში კრედიტზე გადასახდელები, რომელიც კონტოკორენტიდან გაიცემა, შეღგება საკრედიტო რესურსებზე საშუალო გადასახდელის, ბანკის დანახარჯებისა და რისკის დასაფარავი მოგების ჯამისაგან აგრეთვე სესხების ბრუნვადობის შენელებისათვის საჯარიმო დანახარჯების გადასახდელებისაგან. კონტოკორენტულ ანგარიშზე სადებეტო სალდოს გადასახდელი, როგორც აღინიშნა, მსესხებლის სასარგებლოდ საკრედიტო სალდოზე დარიცხული პროცენტზე მეტია. კონტოკორენტის სესხზე პროცენტი აქტიური საკრედიტო ოპერაციების საპროცენტო განაკვეთებზე უფრო მაღალი უნდა იყოს იმის გამო, რომ დაკრედიტების ეს მეთოდი უფრო სარისკო ხასიათისაა.

კონტოკორენტის დავალიანების მატერიალური უზრუნველყოფის ყოველთვიური შემოწმება მიზანშეწონილია შემოღებულ იქნეს როგორც სანქცია, თუ საბრუნავი საშუალებების გეგმური და ფაქტიური ბალანსის შედარებითი ანალიზისას პროგნოზირებულია მესეხებლის კრედიტუნარიანობის გაუარესება. ერთობლივი მატერიალური უზრუნველყოფის შემადგენლობაში რთავენ ნორმირებულ აქტივებსა და გადატვირთულ საქონელს.

საწარმოთა დაკრედიტება სპეციალური სასესხო ანგარიშებით. კონტოკორენტული მოკლევადიანი კრედიტის გარდა საწარმოებმა კრედიტი შეიძლება მიიღონ სპეციალური სასესხო ანგარიშებიდან კონტოკორენტულთან მათი მსგავსება უწინარეს ყოვლისა,იმაში გამოიხატება, რომ კლიენტს ეძლევა მხოლოდ ერთი სპეციალური სასესხო ანგარიში. ისევე როგორც კონტოკორენტულ კრედიტზე, სესხის გაცემა სპეციალური სასესხო ანგარიშიდან საქონლების და მომსახურების ანაზღაურების წესით გადახდით ხასიათს ატარებს. აქ არის ისეთი ცნებაც, როგორიცაა კრედიტის გეგმური სიდიდე.

ამასთან, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება სპეცსასესხო ანგარიშიდან და კონტოკორენტით დაკრედიტება. დაკრედიტების მასშტაბები სპეციალურ სასესხო ანგარიშზე გაცილებით ვიწროა, ვიდრე კონტოკორენტით დაკრედიტებისას, რაგი ოპერაციები მასზე არ აისახება (კერძოდ, მოგებიდან გადასახდელები) განსხვავებულია სახსრების მოცულობაც, რომლებიც მიმართულია კრედიტის ასანაზღაურებლად. შემთხვევითი არ არის, რომ სპეციალური სასესხო ანგარიშიდან დაკრედიტებისას საწარმოს შენარჩუნებული აქვს ანგარიშსწორების ანგარიში.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალური სასესხო ანგარიშები, რომლებიც სამეურნეო ორგანიზაციის დაკრედიტებისას გამოიყენება, ასევე ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ნაწილობრივ ამ განსხვავებებზე ჩვენ ზემოდ შევჩერდით. აქ მხოლოდ დამატებით ავღნიშნავთ, რომ ისინი უფრო მეტად განისაზღვრებიან დარგობრივი თავისებურებით, რის გამოც მათ დაკრედიტების სხვადასხვა ობიექტები გააჩნიათ. მრეწველობაში ესაა უმეტესად მატერიალური მარაგები, დანახარჯები და გადატვირთული საქონელი. სოფლის მეურნეობაში - მემცენარეობისა და მეცხოველეობის ხარჯები, მატერიალური ფასეულობები. ვაჭრობაში,მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში — საქონელი ვაჭრობაში. ამიტომ კრედიტის გეგმური სიდიდის გაანგარიშება სხვანაირად გამოიყურება.

კრედიტზე გეგმური მოთხოვნა - ესაა საწარმოს უფლება ისარგებლოს ბანკის სესხებით განსაზღვრული გეგმური მოცულობით. ესაა დაკრედიტების ლიმიტის ნაირსახეობა, მაგრამ მისგან განსხვავებით კრედიტის გეგმური სიდიდე ყოველთვის არ წარმოადგენს მყარად ფიქსირებულ სიდიდეს: ხან და ხან ის შეიძლება აჭამაღლოთ (ადრე მიღებული დებულებით დგინდებოდა, როგორც საწარმოების მიმართ გავრცელებული შეღავათები, რომლებსაც არ გააჩნდათ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზეგეგმური მარაგები და სესხები ვადაგადაცილებული დავალიანებები). კრედიტზე გეგმურ მოთხოვნილებებს გვაგონებს ადრე გამოყენებული

დაკრედიტების საკონტროლო ციფრი. ამასთან კრედიტის გეგმური სიდიდე საკონტროლო ციფრისგანაც განსხვავდება. განსხვავება, ჯერ ერთი, იმაში მდგომარეობს, რომ საკონტროლო ციფრი დაკრედიტების ვადიანობის პრინციპის დაცვისას შეიძლება სისტემატურად იზრდებოდეს. ზრდის ზანგრძლივობა შეზღუდული არ არის. კრედიტის გეგმიური სიდიდე დასაშვებია გაიზარდოს მხოლოდ 1-3 თვის ვადაში. მხოლოდ როგორც შეღავათი წარმოებათა განსაზღვრული წრისათვის (აქ და შემდეგში ჩვენ კომენტარას ვუკეთებთ იმ მდგომარეობას, რომლიც დადგენილი იყო სახბანკის მიერ, მის ინსტრუქციებში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების წარმოებების დაკრედიტებისას და რომლებიც ღღემდე ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას მხოლოდ, როგორც ბანკის კლიენტების მოკლევადიანი დაკრედიტების ვარიანტებს).

მეორე განსხვავება იმასთან არის დაკავშირებული, რომ კრედიტის გეგმური სიდიდის გადიდება შეიძლება მხოლოდ სამი მიზეზით იყოს შესაძლებელი: 1. როდესაც ზეგეგმიური მარაგები დასაბუთებულად გაიზარდა და შემუშავებულია ღონისძიებები მათ შესამცირებლად; 2.როდესაც დამატებით კრედიტზე მოთხოვნა დაკავშირებულია გადატვირთული საქონლის ზრდაზე, რომლის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა; 3. როდესაც შემცირდა საკრედიტო დავალიანება იმ სიდიდეებთან შედარებით, რომლებიც ჩადებული იყო კრედიტის გეგმიური მოთხოვნის ანგარიშში. ამ შემთხვევაში წარმოება ნაწილობრივ კარგავს თავის მოთხოვნის დაფარვის წყაროს, საჭირო ხდება კრედიტის დამატებითი, ზეგეგმური მოთხოვნა.

სპეციალურ სასესხო ანგარიშიდან კრედიტის გაცემისა და ანაზღაურების წესები ერთმანეთისაგან განსხვავდება. განსაზღვრული ნაირსახეობა გამოყენებულია მრეწველობაში. ამასთან სპეციალური სასესხო ანგარიშის ბრუნვა შემდეგნაირად გამოიყურება:

დ ე ბ ე ტ ი	კ რ ე დ ი ტ ი
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადახდა, მათ შორის არა მარტო ძირითადი, საქმიანობიდან არამედ კაპიტალური რემონტის ხელფასისთვის საჭიროსახსრების გაცემა. ბრუნვის გადასახადის გადასახდელთა გადარიცხვა. მოგებისა და ამორტიზაციების ხვედრითი წონის სახსრების ჩარიცხვა ანგარიშსწორების ანგარიშზე.	პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების ჩარიცხვა.

რამდენადმე სხვაგვარი ვითარება იქმნება ცალკეულ სასესხო ანგარიშზე:

ცალკეული სასესხო ანგარიში

დ ე ბ ე ტ ი	კ რ ე დ ი ტ ი
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანაზღაურება ანგარიშსწორების ანგარიშზე სახსრების უქონლობისას..... ხელფასისთვის სახსრების გაცემა ანგარიშსწორების ანგარიშზე სახსრების უქონლობისას	კრედიტის ყოველდღიური ანაზღაურება საოპერაციო დღის დასასრულს, თავისუფალი სახსრების იმ ნაშთის ხარჯზე, რომელიც ანგარიშსწორების ანგარიშზე დარჩა ყველა პრეტენზიის გაღახდის შემდეგ

ცალკეული სასესხო ანგარიში კრედიტის გაცემისას ბრუნვათა მსგავსების შემთხვევაში ხასიათდება არსებითი თავისებურებებით: 1) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ანაზღაურება და ხელფასის გაცემა წარმოებს მხოლოდ მაშინ, როცა საწარმოს არ ყოფნის სახსრები ანგარიშსწორების ანგარიშზე; 2) ბრუნვის გადასახადის გადახდა სასესხო ანგარიშიდან არ წარმოებს. სრულიად სხვაგვარი სურათიაკრედიტის დაფარვის დროს, არა ამონაგები მიდის უშუალოდ სასესხო ანგარიშის კრედიტში, არამედ მხოლოდ ფულადი სახსრების ის თავისუფალი ნაშთი, რომელიც რჩება ანგარიშსწორების ანგარიშზე ყველა პრეტენზიის გასტუმრების შემდეგ. მთლიანობაში ამ ორ მეთოდს შორის განსხვავება შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ.

ცხრილი 14

საწარმოების და ორგანიზაციების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და დანახარჯების ცალკეული სასესხო და სპეციალური სასესხო ანგარიშზე დაკრედიტების პრაქტიკის შედარებითი დახასიათება

ცალკეული სასესხო ანგარიში	სპეციალური სასესხო ანგარიში
გადასახადების ხასიათის მიხედვით	
საგადასახდელო დოკუმენტების ანაზღაურება ანგარიშსწორების ანგარიშზე თავისუფალი ფულადი სახსრების უქონლობისა .	საგადასახდელო დოკუმენტების ანაზღაურება ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულადი თანხების არსებობის მიუხედავად
შესრულებული ოპერაციების მოცულობის მიხედვით	
კრედიტი აშუალედებს მხოლოდ გადასახდელების ნაწილს, რომლებიც მსესხებლის საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფილი არ არის	კრედიტი აშუალედებს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და დანახარჯების მთელ ბრუნვას
სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და დანახარჯთა გადახდის ელემენტების მიხედვით	
ხელფასი არ გაიცემა, მრეწველობაში მხოლოდ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანაზღაურება ხდება	ნაწილობრივ ან მთლიანად წარმოებს ხელფასზე გადასახდელების ანაზღაურებ.
გეგმური რეგულირების წესის მიხედვით	
დაკრედიტება ხორციელდება კრედიტის გეგმური სიდიდის საზღვრებში (გ.რდა დამამზადებელი ორგანიზაციებისა)	დასაშვებია კრედიტის გეგმური სიდიდის გადაჭარბება (საკონტროლო ციფრებთან მიახლოებით, მაგრამ მისგან განსხვავებით 1-ლი რიცხვისათვის ყოველგვარი გადაჭარბება ანალიზს ექვემდებარება, გაუმართლებელ გადაჭარბების შემთხვევაში მისი მთლიანი ამოღება ხდება)

კრედიტის დაფარვის წესის მიხედვით	
კრედიტი დაიფარება თავისუფალი რესურსებით ანგარიშსწორების ანგარიშიდან (მაგალითად მრეწველობაში მოსალოდნელი გადასახდელებისას კრედიტი შეიძლება არც დაიფაროს); სოფლის მეურნეობაში პროდუქციის მოსავლიანობის გადიდებისას, დანახარჯებთან შედარებით, კრედიტი იფარება ვადიანი ვალდებულებების დაბრუნების კონკრეტული ვადების ჩვენებით	კრედიტი იფარება უშუალოდ ანგარიშსწორების ანგარიშზე პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების ჩარიცხვის გზით
ანგარიშსწორების ანგარიშთან კავშირების მიხედვით	
კავშირი წარმოიშვება კრედიტის დაფარვისას სახსრები ჩამოიწერება ანგარიშსწორების ანგარიშიდან	კავშირი თავს იჩენს კრედიტის გაცემისას (შემოსავლების ნაწილი ჩაირიცხება ანგარიშსწორების ანგარიშზე)

სპეციალური სასესხო ანგარიშის ფორმათა მიუხედავად, როგორც დამამთავრებელი ეტაპი, ბანკი აწარმოებს კრედიტის უზრუნველყოფის შემოწმებას. ასეთი შემოწმება წარმოებს ბანკის შეხედულებით თვეში ერთჯერ, ან კვარტალში ერთჯერ. შემოწმება ტარდება ბალანსის მონაცემების, მატერიალური მარაგებისა და საწარმოო დანახარჯების მონაცემთა საფუძველზე.

მარტივი სასესხო ანგარიშიდან გაცემული ცალკეული სესხები. თუ დავუშვებთ, რომ საწარმოს სურს დაკრედიტება მარტივი სასესხო ანგარიშებიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ მას უნდა ჰქონდეს იმდენი სასესხო ანგარიში, რამდენიც დაკრედიტების ობიექტია. კრედიტებს ცალკეული ჯგუფის მიხედვით შეადგენენ სესხები, რომლებიც გაიცემა სხვადასხვა სახის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაგროვების გამო, ამა თუ იმ სამრეწველო დანახარჯების განხორციელებისას, სახსრების დანახარჯებში განაწილებისას, მიმდინარე გადასახდელებისას და სხვა. თითოეული მათგანის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მხარის განხილვას ალბათ აზრი არა აქვს, რადგან ჩვენ უკვე ავხსენით უფრო პრინციპული საკითხები - საერთო მიდგომა და კრედიტის გაცემის და დაფარვის ვარიანტები, მისი სიდიდის განსაზღვრა და სესხების დაბრუნების უზრუნველყოფის თანამედროვე ფორმები.

ისღა დაგვრჩენია კიდევ ერთხელ გაუსვათ ხაზი, რომ თანამედროვე სისტემა უშვებს დაკრედიტების მრავალვარიანტობას, ყოველი კომერციული ბანკის და კლიენტის უფლება, ამოირჩიოს თავისი სქემა, თუმცა მეორეს მხრივ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამორჩევა შეიძლება ატარებდეს თავისუფალ ხასიათს. ბანკის და კლიენტის ინტერესებში არის საგადასახდელო ბრუნვა ისეთნაირად გაანალიზოს, რომ სასესხო ანგარიშის ფორმა მის ხასიათს სრულად უპასუხებდეს. მიუხედავად ამისა, საჭიროა ცალკეულ კრედიტებზე მოკლედ შევჩერდეთ.

თანამედროვე პრაქტიკაში, მარტივი სასესხო ანგარიშის ჩარჩოებში გამოიყენება ნდობის კრედიტები. ეს განსაკუთრებული კრედიტია. თავის დროზე (1967 წლის შემდეგ) ის გამოიყენებოდა როგორც მხოლოდ კარგად მოშუშავე ღონისებულებებზე გაცემული კრედიტი. ფაქტიურად მოცემული სესხი გამოდიოდა როგორც შეღავათი, შემოღებული იმ საწარმოებისათვის, რომლებიც გეგმას ასრულებდნენ დაგროვებაზე, პროდუქციის რეალიზაციაზე და საკუთარ

საბრუნავ სახსრებს ინარჩუნებდნენ. კრედიტი გაიცემოდა კლიენტის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, მისი განცხადების (განსაკუთრებული საბანკო ფორმით) და სასწრაფო ვალდებულების საფუძველზე. კლიენტის ცოდნის გათვალისწინებით, მისდამი ნდობის ხარისხით, თანამედროვე კომერციულ ბანკს შეუძლია შეცვალოს მისთვის ამა თუ იმ დოკუმენტის აუცილებლობა ნდობითი კრედიტი - ესაა უნივერსალური კრედიტი. მას შეუძლია დააკმაყოფილოს წარმოებების უკიდურესად განსხვავებული მოთხოვნილებანი, რაც გამოწვეულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაგროვებით, ხელფასის გადასახდელად თავისუფალი ფულადი სახსრების უქონლობით, ბიუჯეტში გადასახდელებით და ა.შ. მთლიანად მოცემული კრედიტი აკმაყოფილებს მსესხებლის მოთხოვნილებებს მიმდინარე გადასახდელებში, რომლებიც გამოწვეულია მისი მოკლევადიანი მოთხოვნებით. ასეთი კრედიტის ვადა - 60-90 დღემდეა.

საბლანკო კრედიტი - ეს არის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე უზრუნველყოფის გარეშე და ფასიანი ქაღალდებით გაცემული კრედიტი. საბლანკო კრედიტების ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ნდობის კრედიტი (იმ შემთხვევებში, როდესაც მას არა აქვს უზრუნველყოფა), რადგან ის, როგორც სუფთა საბლანკო კრედიტიც, თანამედროვე პრაქტიკაში გაიცემა მხოლოდ ისეთ კლიენტებზე, რომლებსაც ბანკებთან ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა აქვთ და რომლებიც მაღალ გადამხდელუნარიანად ითვლებიან.

მსოფლიო პრაქტიკაში არის კრედიტის ისეთი ნაირსახეობაც, როგორიცაა რევოლვერული კრედიტი - ესაა ავტომატურად განახლებადი კრედიტი. მის გასაცემად (დავალიანებით დაღვენილი ლიმიტის ჩარჩოებში და ანაზღაურების ვადით) კრედიტორსა და მსესხებელს შორის დამატებითი მოლაპარაკებები საჭირო არ არის.

4. ბანკების ოპერაციები გრძელვადიან დაკრედიტებაზე

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისა ბანკების აქტიური ოპერაციების ერთ-ერთ თანამედროვე ტენდენციას წარმოადგენს დაკრედიტების ვადების გაგრძელება. გრძელვადიანი დაკრედიტება შეიცავს გრძელვადიანი დაბანდებების ბანკების შექმნის მეთოდებს, ამ დაბანდებების გაცემის ორგანიზაციის და სესხების ანაზღაურებისათვის საჭირო განყოფილებების სტრუქტურების, მეთოდებისა და ფორმების განვითარებას.

გრძელვადიანი დაკრედიტების ორგანიზაცია, განწილებითი ეკონომიკის პირობებში და კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების საფონდო მეთოდი ეფუძნებოდა ინვესტიციური მიზნისათვის ფულის მიღების მოჩვენებითობას. სამეურნეო საქმიანობის სუბიექტები სახელმწიფო ბანკების სისტემაში კრედიტებს იღებდნენ გაფორმებული საპროექტო-ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის გეგმითა და ზოგიერთი სხვა დოკუმენტების მეშვეობით დაფინანსების 5 და უფრო მეტი წლით, მათზე წლიური თანხის 0,5-დან 2 %-მდე გადახდით, როცა ინფლაციის დონე 5-6 %-ია. კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობების ვადაგადაცილებული ვალების რეგულარული ჩამოაწერა ხდებოდა. სააგარაკო და საბინაო მშენებლობა მიმდინარეობდა იპოტეკური წესების, პრინციპების გაუთვალისწინებლად. უფრო მეტიც, არასრულყოფილი საგირავნო სამართალისა და დაზღვევის გამარტივებული სქემის პირობებშიც კი, რომლებიც მოიცავდნენ მოკლევადიანი დაკრედიტების სისტემას, არ იყო გათვალისწინებული გრძელვადიანი დაკრედიტების მექანიზმი.

საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა, პრივატიზაციის განხორციელება, გრძელვადიანი დაკრედიტების სისტემის განვითარების იმედს იძლევა. საბაზრო მეურნეობა ყველა კაპიტალდაბანდებას არ იღებს. მას შეუძლია ამოირჩიოს თავისი საქმიანობის სფერო. თუმცა თანამედროვე გარდამავალ პერიოდში გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის სასიკეთო დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა. 1991 წელს გრძელვადიანი სესხების გაცემის მოცულობა შემცირდა. დღეს უმეტეს კომერციულ ბანკების ბაზაზე, ბალანსზე ერიცხებოდა აღრე გაცემული სესხების დავალიანებებიდან მხოლოდ ნაშთი. კომერციული ბანკები უარს ამბობენ დაფინანსების წინანდელ მიდგომებზე. საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზაციის ახალი სისტემა კი სრულყოფილად ჯერ კიდევ არა არის დამუშავებული. რამდენადმე ნაჩქარევად უქმდება საკრედიტო დაბანდებათა დაფინანსებისა და დაკრედიტების განყოფილებები.

ამასთანავე ბანკების ეკონომიკური საქმიანობა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ გრძელვადიანი დაკრედიტების ოპერაციების გარეშე. ცალკეული ბანკები და მათი განყოფილებები, რომლებიც გრძელვადიან სესხებს იძლევიან იღებენ კომერციულ-ინოვაციურ, უნივერსალურ, ინვესტიციურ ფორმას, მათ შორის იპოტეზური ბანკებისაც.

1988 წელს წარმოიშვა ახალი ტიპის პირველი კომერციული ბანკები, რომელთა უმრავლესობა თავიანთი საქმიანობის დასაწყისში ინოვაციურ საქმიანობას ანიჭებდა უპირატესობას.

1991 წლის 4 ნოემბერს სახელმწიფო-კომერციული მრეწველობაში რუსეთის ცენტრალურ ბანკში რეგისტრაციაში გატარდა როგორც საინვესტიციო კომერციულ სამრეწველო-სამშენებლო ბანკი (სკსბ). ცენტრალურმა ბანკმა ახალ ბანკს უპროცენტო კრედიტი მისცა თავის სპეციალურად შექმნილი საინვესტიციო ფონდიდან, საბიუჯეტო დაფინანსების უფლება მიანიჭა. ამ ფონდის საწყისი სიდიდე 7 მლრდ მანეთით განისაზღვრება. ბანკი იქმნება როგორც ჰოლდინგური კომპანია, ზოგიერთი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ბანკების მონაწილეობით.

კომერციული ბანკის პრაქტიკული ინვესტიციური საქმიანობა შეზღუდულია. ჩვეულებრივად საინვესტიციო სესხები გაიცემა ბანკების აქციონერებზე მოკლევადიანი სესხების 1-2 წლამდე პროლონგირების (განვადების) მეთოდით.

გრძელვადიანი კრედიტის ორგანიზაცია გულისხმობს კრედიტორების სუბიექტების და ობიექტების გამოყოფას, სესხების გაცემის და ანაზღაურების წესს.

დაკრედიტების სუბიექტებად გამოდიან: სახელმწიფო დაწესებულებები,ერძობლივი საწარმოები, მცირე საწარმოები და კოოპერატივები, ინდივიდუალური მსესხებლები.

კრედიტის გაცემის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს დაკრედიტების ობიექტის განსაზღვრა. სბკბკო სისტემის რეორგანიზაციის წინ იყო გრძელვადიანი დაკრედიტების 50-ზე მეტი ობიექტები, მათ შორის ახალი საწარმოების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება. მსოფლიო პრაქტიკაში გრძელვადიანი დაკრედიტების ერთ- ერთი ძირითად ობიექტებად გამოდის იპოთეკა. იპოთეკური კრედიტი გაიცემა უძრავი ქონების მიწის, სამრეწველო და საბინაო ნაგებობების გირაოს გარანტიით. დაკრედიტების ობიექტებიდან შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი ჯგუფი: - სამრეწველო სესხები; - სესხები სამომხმარებლო მიზნებისათვის.

საწარმოო კრედიტების გაცემის შედეგად ფული შედის და იდება სამრეწველო კაპიტალურ დაბანდებებში. ასეთი სესხების ახალ სახედ გვევლინება ინოვატორული კრედიტები ან სესხები სიახლის დანერგვაზე. ინოვატორების დაკრედიტების ობიექტს წარმოადგენენ: კომპიუტერული ტექნიკა, სამედიცინო მოწყობილობა, ფართო მოხმარების საქონელი და სხვა.

სამრეწველო-კრედიტების გაცემის საკითხის გადაწყვეტისას ბანკმა უნდა გაანალიზოს დასაკრედიტებელ საწარმოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები, პროდუქციის რეალიზაციის

შესაძლებლობები და შემოსავლების მოსალოდნელი ზრდა, გაღაწყვეტილება მიიღება განსაზღვრული რისკის ხარჯზე. ბანკს შეუძლია ისეთი ღონისძიებების დაკრედიტება, რომლებსაც გააჩნიათ ანაზღაურების რეალური უნარი და კრედიტის დაბრუნების რეალური წყაროები. დაკრედიტების ახალი წესი დაკავშირებულია თვით ბანკის ბრუნვასთან და არა ფულის დაბანდების ეფექტური მიმართულებების გეგმიურ ორგანიზებასთან.

გრძელვადიანი დაკრედიტების სტრატეგიის არჩევის ინფორმაცია უნდა ანალიზდებოდეს დაკრედიტებისა და ინვესტიციების განყოფილებებში, დეპოზიტების განყოფილების მონაცემების საფუძველზე. საბანკო საქმიანობის სწორი მსვლელობის საფუძველს წარმოადგენს აქტიური ოპერაციების ვადების შეთანხმება ბანკის პასივების ვადებთან. თუ ბანკი თავის სახსრებს მოკლე ვადებით იღებს, მას არ შეუძლია გასცეს გრძელვადიანი სესხები, თუნდაც ისინი ორმაგი სიდიდით იყვნენ უზრუნველყოფილი.

კაპიტალდაბანდებებში ფულად სახსრების წყაროების განსაზღვრის საკითხი რთულ ეკონომიკურ, ხანდახან კი სოციალურ-პოლიტიკურ საკითხსაც წარმოადგენს, ინვესტიციურ პროცესში გრძელვადიანი კრედიტები ფულადი სახსრების სხვა წყაროებთან კომბინაციაში ჩართულია კაპიტალურ დაბანდებებზე - საკუთარი და საბიუჯეტო სახსრებით, სახსრებით რომლებიც მობილიზირებულებია აქციების და ობლიგაციების გამოშვების შედეგად. განსხვავებით საბიუჯეტო სახსრებისაგან, საბანკო კრედიტი საშუალებას იძლევა ამაღლდეს საინვესტიციო ღონისძიებების ეფექტურობა და ზოგჯერ შეიძლება იყოს უფრო სწრაფი და მოსახერხებელი მეთოდი ფულადი სახსრების ხანგრძლივი ვადებით მობილიზაციის, ვიდრე აქციების გამოშვება და ობლიგაციების სესხების განაწილება. გრძელვადიანი კრედიტების გაცემის სიდიდე მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში უკანასკნელ წლებში დამოკიდებულია დაწესებულებების თვითდაფინანსების შესაძლებლობებზე. საბჭოთა პრაქტიკაში ცნობილი წარმოების განვითარების ფონდი განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. თვითდაფინანსების მაჩვენებლებთან ხშირად გამოდის "კეშ-ფლოუს" მაჩვენებელი, რაც ნიშნავს "საფინანსო ზედმეტობას". ეს მაჩვენებელი სხვადასხვა მეთოდიკაში არაერთგვაროვნად გამოითვლება. იგი ჩვეულებრივ ახასიათებს სუფთა მოგების თანხას, ჩამოწერებს და გაღარიცხვებს რეზერვებში და მოიცავს იმ სახსრებს, რომლებსაც წარმოება იყენებს ინვესტიციებისა და ვალების დასაფარავად. მოცემული მაჩვენებელი, შემოსავლის აბსოლიტური სიდიდე, კარგად ახასიათებს დაწესებულების სამეურნეო- საფინანსო მდგომარეობას. თვითდაფინანსების მაჩვენებელი შეიძლება გამოვთვალოთ შემდეგი სქემით: საბალანსო მოგება მინუს გაღასახდელები, პლუს ამორტიზაცია, პლუს/მინუს ფულადი სახსრების გაღარიცხვა ფონდებში და ფონდებიდან მიღება,- მინუს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის ზრდის ხარჯზე კრედიტზე დავალიანების ნაშთი.

ფრანგულ ბანკებში თვლიან, რომ გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტების თანხა არ უნდა აღემატებოდეს თვითდაფინანსების 3-4 წლიურ შესაძლებლობას:

$$\frac{\text{საშუალოვადიანი + გრძელვადიანი კრედიტები}}{\text{"კეშ-ფლოუ"}} = 300 - 400\ \%$$

$$\frac{\text{გრძელვადიან და საშუალოვადიან კრედიტზე დავალიანება}}{\text{"კეშ-ფლოუ"}} = 50\ \%$$

სესხების დაბრუნების გარანტიის სისტემის გამო გრძელვადიანი სამომხმარებლო კრედიტების გაცემისას რისკი მცირდება.

გრძელვადიან კრედიტებზე ვალდებულებების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება მიჩნეულ იქნას გირაო. კრედიტორს ამ შემთხვევაში უფლება აქვს მევალის მიერ გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაკმაყოფილდეს დაგირავებული ქონების ღირებულებით უპირატესად სხვა კრედიტორების მიმართ. გირაო ძალას ინარჩუნებს საკუთრების უფლების სხვა პირთან გადასვლისას. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, წარმოადგენს თუ არა ქონება გირაოს ბანკის სესხების მიხედვით. გირაოთი გაცემული გრძელვადიანი კრედიტების ძირითადი სახეებია: მძრავი ქონების გირაოს ქვეშ; უძრავი ქონების გირაოს ქვეშ.

სესხების მოძრავი ქონების გირაოთი გაცემა ისტორიულად კომერციული ბანკების აქტიურ სალომბარდო ოპერაციებს მიეკუთვნებოდა. იმის გამო, რომ საპროცენტო ქაღალდების საბაზრო ფასი ნომინალურისაგან მუდმივად გაიხსნება, ბანკებმა, რომლებიც სალომბარდო ოპერაციებს აწარმოებენ, აუცილებლად უნდა ზუსტად გამოთვალონ გირაოს ფასეულობით გასაცემი სესხის სიდიდე, რათა დაბრუნების დროს გირაოს ღირებულება გაცემულ თანხაზე დაბალი არ აღმოჩნდეს.

1990 წლის 14 ნოემბერს შემნახველი ბანკის მიერ მიღებული ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ კრედიტების გაცემის პირველი წესები ითვალისწინებდნენ კრედიტის და გირაოს შესაბამის თანხებს. დავუშვათ, რომ გაცემული იქნა სესხი ფასიანი ქაღალდების ნომინალის 100 %-ის ოდენობით. თუ მაგალითად ფასიანი ქაღალდების ღირებულება 80 % დაეცემოდა, მაშინ ბანკს დიდი დანაკარგები ჰქონდა. ამ შემთხვევაში კრედიტი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გირაოს შესაბამისი წილით ასევე შესაძლებელია მიღებულ იქნეს დაკრედიტების დამატებითი პირობები და სესხი ერთბაშად კი არ გაიცეს, არამედ ნაწილ-ნაწილ კლიენტის მოთხოვნილების მიხედვით. ძრავი ქონების გირაოს ქვეშ დაკრედიტება დაკავშირებულია იპოთეკურ კრედიტთან, კომერციული ბანკების იპოთეკურ საკრედიტო ოპერაციებში გარიგება ფორმდება გირავნობის საგნით უძრავი ქონების ქვეშ. უძრავი ქონების გირავნობის ფურცელი, რომელიც საიპოტეკო კრედიტის ძირითად უზრუნველყოფას წარმოადგენს, უნდა შეიცავდეს პუნქტებს, რომლებიც საერთოა საკრედიტო ხელშეკრულებისათვის, ე.ი. სესხის თანხის და პროცენტის გაღახდის ვალდებულებებს. დამატებითი პირობები ითვალისწინებს გადასახადების გადახდის რეგულირებას, საკუთრების რემონტს და საკუთრების გამოყენებაზე ვალდებულებებს.

პრაქტიკულად ყველა ზედნადები შეიძლება წარმოვიდგინოთ განვადების დასაფარავი სესხის სახით. იპოთეკით მსესხებელი ვალდებულია დაფაროს სესხის თანხა პროცენტებით, ყოველთვიურად შესატანი გადასახდელების სახით. მაგალითად, 20 წლის ვადაში დასაფარი იპოთეკა ყოველთვიურად 240 გადასახადს ვარაუდობს. ყოველთვიური გადახდები შეიძლება იყოს მუდმივი,შეიძლება გაიზარდოს, რაც მათი სიდიდის ინფლაციის დონესთან კორექტირების საშუალებას იძლევა.

საიპოთეკო კრედიტის საერთო პრინციპები სხვადასხვა მიმართულებით რეალიზდება: - მსესხებელთან ქონების დატოვება საკუთრების უფლების შეზღუდვით; - სესხის სიდიდის განსაზღვრა გირაოს წილის სახით; - ერთი და იგივე ქონების გირაოს ქვეშ დამატებითი საიპოთეკო სესხის მიღება; - დაზღვევის გათვალისწინებით სესხების გაცემა; - დავალიანების ვადაზე დაუფარავობის გამო უძრავი ქონების დაკარგვით ან სხვა პირზე გადაცემით.

თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკები თავშეკავებით უდგებიან გრძელვადიანი კრედიტების გაცემას, გაღიღიან სამუშაოების ერთდროულ დაფინანსებაზე, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთო ტექნოლოგიური მიმართულებით და რეალიზაციის ვადებით. ასეთი მიდგომა ეფუძნება კომერციული და ინოვაციური პროგრამების ერთიან პროგრამაში გაერთიანებას, ზოგიერთი პროექტები დაფინანსებიდან ინოვაციურ დაკრედიტებაზე გადადიან.

პერსპექტივაში ბანკების მონაწილეობა მსხვილი ღონისძიებების დაფინანსებაში შეიძლება რეალურად განვითარდეს სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სხვა დარგების მხარდაჭერისათვის სამთავრობო პროგრამების ბაზაზე, ხოლო გადაუხდელობის რისკის თავიდან აცილება და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა შესაძლებელია მცირე საწარმოებისა და კოოპერატივების თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპების გამოყენების ბაზაზე.

5. კონსორციული სესხები

ეკონომიკის საბაზრო საფუძვლების გამყარება და დანერგვა დაკავშირებულია საკრედიტო ურთიერთობის განვითარებასთან, კრედიტის მიღების ახალი ფორმების გამოყენებასთან, საბანკო თანამშრომლობის უფრო ნაირფეროვან ფორმებთან. სამეურნეო პრაქტიკა გვაიძულებს საბანკო - საქმიანობა სხვადასხვა სფეროებში გაერთიანებას, მათ შორის კონსორციალური გარიგებების ორგანიზაციისათვისაც. სახალხო მეურნეობის დარგების მოდერნიზაციის და ტექნიკური გადაიარაღების, მსხვილმასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება ისეთ დარგებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ეკოლოგია, ნედლეულის მოპოვება, სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებათა დანერგვა, ტრადიციული წყაროს, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების შემცირება უღიღეს საკრედიტო რესურსებს მოითხოვს, მათ შორის ვალუტასაც.

საინვესტიციო სფეროს მოთხოვნილებები არ შეიძლება დაკმაყოფილდეს ცალკეული კომერციული ბანკების მიერ, მათი საკუთარი სახსრების შეზღუდულობის და გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის საკრედიტო რესურსების მოზიდვის სირთულის გამო.

ცალკეული კომერციული ბანკის მიერ მსხვილი გრძელვადიანი კრედიტების გაცემის შესაძლებლობა შეზღუდულია ბანკის ლიკვიდობით, გასაცემი სესხების ზღვრული ოდენობის მოქმედი ნორმატივებით.

საინვესტიციო პროცესების დაკრედიტებისას მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მომენტია საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია ხანგრძლივი პერიოდისათვის ლიკვიდური სახსრების გაყინვასთან, მსესხებლის კრედიტუნარიანობასთან მის შესაძლებლობასთან დროულად განაზორციელოს დასაკრედიტებელი პროექტი.

ყველა ეს პრობლემა გადაწყდება საბანკო გაერთიანების - კონსორციუმის შექმნისას, რათა საინვესტიციო მიზნებისათვის გაცემული იქნეს გრძელვადიანი სესხები. კონსორციალური კრედიტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოკლევადიანი დაკრედიტების დროსაც, თუ კრედიტის მოცულობა ან საკრედიტო რისკი საკმაოდ მაღალია ერთი ბანკისათვის. კონსორციალური კრედიტები გაიცემა ბანკი მონაწილეების რესურსების გაერთიანების ხარჯზე და ამით სესხების დანაკარგების რისკები ყოველი ბანკისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში შეზღუდულია.

კონსორციალურ გარიგებაში მონაწილეობა შეუძლიათ არა მარტო რამდენიმე ბანკს, არამედ რამდენიმე მსესხებელსაც, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საკრედიტო ღონისძიებებში.

მაგალითად, შეუძლებელია განხორციელდეს ძირითადი წარმოების მოდერნიზაცია ქარხანა - მომოჯნავეების საამქროების მოდერნიზაციის გარეშე. ამ შემთხვევაში კონსორციალურ კრედიტზე მოთხოვნილება მოიცავს წარმოების რამდენიმე რგოლს და შესაბამის სპეციალურ დამუშავებას და გაფორმებას მოითხოვს.

კონსორციალური კრედიტები კრედიტის დამოუკიდებელ ფორმას არ წარმოადგენენ და იგივე პრინციპებს ეყრდნობიან რომელსაც საბანკო სესხების სხვა სახეები: იცვლება მხოლოდ საკრედიტო რესურსების აკუმულაციის მექანიზმი და კრედიტის გაცემის ტექნიკა.

საბანკო კონსორციუმები იყოფიან დროებითად, რომლებიც, როგორც წესი, იქმნებიან ერთი, ჩვეულებრივ ძალიან მსხვილი გარიგების დასაფინანსებლად და მუდმივებად, რომლებიც იქნებიან ბანკების მიერ პარიტეტულ საწყისებზე. უკანასკნელნი ძირითადად გამოიყენებიან სავალუტო სასესხო კაპიტალების ბაზარზე ოპერაციების ჩასატარებლად. თუმცა კონსორციუმი და კონსორციული გარიგება დროში შეზღუდულია, მაგრამ ბანკებს შორის კავშირები შეიძლება განახლდეს შემდგომი ანალოგიური გარიგებებისათვის და პრაქტიკაში შეიმჩნევა ხანგრძლივი საბანკო თანამშრომლობა. საბაზრო ურთიერთობების განვითარების მიხედვით ჩვენს ქვეყანაში საბანკო კონსორციუმები წარმოადგენენ სტაბილურ ბანკების გაერთიანებებს, ერთობლივად არა მარტო საკრედიტო, არამედ საგარანტიო ოპერაციების შესასრულებლად და ასევე ფულად ბაზარზე ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების შესასრულებლად.

განსაკუთრებული აღგილი უჭირავთ კონსორციუმებს, რომლებიც ორგანიზებულია რუსეთისა სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებისათვის და საკრედიტო-საანგარიშო ოპერაციების განხორციელებისათვის.

ძირითადი წილი სავალუტო კრედიტებისა, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო იღებს,მოზიდულია კონსორციულ საფუძელზე. სავალუტო კრედიტების გასაცემად კომერციული ბანკები ასევე იწყებენ კონსორციული ფორმების გამოყენებას.

საბანკო კონსორციუმის შექმნა ეფუძნება სამოქალაქო კოდექსს, რომელიც საზოგადოებაში მოქმედებს და ნორმატიულ აქტებს, რომლებიც კომერციული ბანკების საქმიანობას არეგულირებენ. თითოეული კონსორციუმის საქმიანობა ხორციელდება ერთი ან რამდენიმე ბანკის ხელმძღვანელობით. ერთობლივი ხელმძღვანელობისას მაინც გამოიყოფა წამყვანი ბანკი. ის აწარმოებს მოლაპარაკებებს კლიენტურასთან, საწყის სტადიაზე სწავლობს წინადადებებს პროექტით დასაკრედიტებლად და რისკიანი ოპერაციების ჩატარებასთან დაკავშირებულ რისკებს, ათანხმებს საკითხებს, რომლებიც წარმოიშვებიან კონსორციუმის წევრებსა და კლიენტებს შორის მოსალოდნელი გარიგების გამო, უზრუნველყოფს ოპერაციების ჩასატარებლად აუცილებელი თანხების მობილიზაციას, რომელთა გამოც ის არის შექმნილი. კონსორციული გარიგებების ფინანსური პირობები საკვანძოა და თანხმდება მხარეების მოლაპარაკების საწყის ეტაპზე.

ორგანიზატორ-ბანკად როგორც წესი, გამოდის ბანკი საკმაო მსხვილი პასივებით, რომელსაც მსხვილმასშტაბიანი ოპერაციების ჩატარების განსაზღვრული გამოცდილება აქვს. საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებთან ფართო მოწესრიგებულ კავშირებს ფლობს კვალიფიცირებული კადრებით და საბანკო სისტემაში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით. ბანკების მიერ კონსორციუმში მიღების პირობას ემსახურება თანხმობა მონაწილეობის მინიმალურ ოდენობაზე. რომელიც დამოკიდებულია გასაცემი კრედიტის მოცულობაზე და აღნიშნულ ოპერაციების რისკის ხარისხზე. რაც უფრო მნიშვნელოვანია რისკი წარმოდგენილ დაკრედიტების პროექტზე, მით უფრო მეტი ბანკის მოწვევა ხდება კონსორციებში მონაწილეობისათვის და ამით მცირდება

რისკი თვითეული ბანკისათვის. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ სააბანკო კონსორციებ
გაღუხდელობის რისკის შესამცირებლად შეიძლება არა მარტო სრულყონ დაკრედიტების მექანიზმ
არამედ მოსთხოვონ მსესხებლს განსაზღვრული გარანტიები, მისი გადამხდელუუნარობის რისკ
ზემდგომ ორგანიზაციებზე ბანკებზე, სახელმწიფო ინსტიტუტებზე, მთავრობაზე გადატანით
გადწყვიტონ გაცემული სესხების რეფინანსირების და კრედიტების დაზღვევის საკითხები.

კონსორციული გარიგებების დაკრედიტების სტანდარტული ფორმები არ არსებობ
კონსორციუმის შექმნისას ბანკები ხელმძღვანელობენ მომქმედ კანონმდებლობებით, ხოლ
საკრედიტო ურთიერთობების გაფორმებისას ხელმძღვანელობენ კომერციულ
მიზანშეწონილობით. კონსორციული გარიგების ორგანიზაციისას საერთო მიდგომებ
დაკრედიტების სფეროში წარმოადგიენენ: მსესხებლის და დასაფინანსებელი პროექტი
საიმედოობა; დაკრედიტებაში მონაწილეობაში სხვა ბანკების თანხმობის მიღების შესაძლებლობ
სესხის ვადის გაცემის წესის და დაფარვის მკაფიო განსაზღვრა; მსესხებლის საფინანს
საქმიანობისა და საინვესტიციო გეგმების საგულდაგულო ანალიზი; შესაძლებელი რისკები და მათ
დაზღვევის მეთოდები. ჩამოთვლილი ფაქტორებით გგანისაზღვრება სესხის სახეობ
(საშუალოვადიანი; გრძელვადიანი), პროცენტი კრედიტზე (საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნა
მოწოდების, კრედიტის ვადისა და სიდიდის, მოცემულ ოპერაციაზე რისკის ხარისხი
გათვალისწინებით), კონსირციუმის მეშვეობით კრედიტის გაცემის ტექნიკა.

წევრი ბანკების სამართლებრივი დამოკიდებულების წყაროა. ვალდებულებები, რომლებიც
კონსორციული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე წარმოიშვებიან. მასში აღინიშნებ
კონსორციუმის შექმნა, მისი მონაწილეები და მიზანი. განისაზღვრება კონსორციულ
მონაწილეობა-კუტები, საკუთრების თანაფარდობა, წარმომადგენლობა და კონსორციუმი
ხელმძღვანელობა. მონაწილეების ვალდებულებები და უფლებები ქონებრივი პასუხისმგებლობ
ფორმები, კონსორციული გარიგების ფინანსური პირობები, კონსორციუმის წევრებ
ვალდებულებები, კონსორციუმის ხელმძღვანელი ბანკის მიმართ კონსორციუმ
ორგანიზაციასთან დაკავშირებით თანხების, პროცენტებისა და საკომისიოების შეტანა
ხელშეკრულებაში მხედველობაში მიიღება კონსორციალური გარიგების დასრულების პირობა

საკრედიტო ურთიერთობები კონსორციუმსა და მსესხებელს შორის საკრედიტო
შეთანხმებებით რეგულირდება. შეთანხმება შეიცავს ძირითად ეკონომიკურ პირობებს
ოპერაციების იურიდიულ ასპექტს. შეთანხმებაში მითითებულია: მიზანი, კრედიტი
მიმართულება,ვადა, თანხა, კრედიტის ვალუტა, საპროცენტო განაკვეთის დადგენის პირობა
შეიცავს კრედიტორის ვალდებულებებს კრედიტის დროულ გაცემისა, ხოლო მსესხებლისათვის
ვალის დროულსა და სრულად ანაზღაურებაზე. შეთანხმდება დაკრედიტების მექანიზმი, კრედიტი
გამოყენებისა და დაფარვის წესი, პროცენტების გადახდის ვადები.

საბანკო კონსორციუმის მიერ კრედიტის გაცემის ტექნიკას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე
ვარიანტი: - საკრედიტო გარიგება ხორციელდება მხოლოდ განსაზღვრულ ბანკში საკრედიტო
რესურსების აკუმულირებით; - კრედიტის საერთო თანხის გარანტია გაიცემა წამყვანი ბანკის
ბანკების ჯგუფების მიერ და დაკრედიტება ხდება კრედიტზე მოთხოვნილების მიხედვით.

ბანკი მონაწილეების მიერ საკრედიტო რესურსების კუტების გარანტირება იცვლება, სხვ
ბანკების მიერ კონსორციალურ ოპერაციებში მონაწილეების მოწვევის ხარჯზე.

საკრედიტო შეთანხმების მიღწევის შემდეგ ბანკი-კონსორციუმის ხელმძღვანელი მონაწილე
ბანკების სახსრების აკუმულირებას ახდენს და გაღასცემს მათ მსესხებლის საკრედიტო

შეთანხმებაში გათვალისწინებული წესით. თუ კონსორციუმის წევრები და მსესხებელი ქვეყნის
სხვადასხვა რეგიონში იმყოფება კონსორციალური კრედიტის მართვაზე პრობლემები
წარმოიშვება. ამიტომ კონსორციუმს შეუძლია გამოიყენოს მსესხებლის ბანკი ან ბანკი მონაწილის
ერთ-ერთ ფილიალი, რომელიც მოცემულ რეგიონში მდებარეობს, კონსორციული გარიგების
დასაფინანსებლად, სახსრების მიზნობრივი გამოყენებაზე და კრედიტის ვადაში დაფარვაზე
კონტროლის ორგანიზაციისათვის.

გაცემული კონსორციული კრედიტები ფორმდება სასწრაფო ვალდებულებებით. მსოფლიო
პრაქტიკაში ბანკების საგარანტიო ფუნქციების გამოყენების გარდა, ვალდებულებები შეიძლება
გამოიღეს ლიკვიდური ფასიანი ქაღალდის სახითაც, რომელიც შეიძლება ბელაზლა აღირიცხოს.
ვალდებულებების დაფარვის ვადების დადგომისას მსესხებელი უბრუნებს კრედიტორებს არა
მარტო სესხებს და პროცენტს, არამედ ანაზღაურებს ყველა დანახარჯებს, რომლებიც
დაკავშირებულია საკრედიტო ოპერაციების დროულ ორგანიზაციასთან და განხორციელებასთან,
რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. კრედიტის დაბრუნება, პროცენტების გადახდა,
საკომისიოების, რომლებიც საკრედიტო ოპერაციებზე ბანკი მონაწილეების დანახარჯებს
ფარავენ, ხორციელდება პროპორციულად მათი როლისა და მონაწილეობის თანხის წილისა
კონსორციულ ოპერაციებში.

ბანკი-კონსორციუმის ხელმძღვანელი იღებს სპეციალურ ჯილდოს კონსორციუმის
ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისათვის, გარდა პროცენტებისა და საკომისიოებისა, რომლებიც
ფარავენ მის უშუალო დანახარჯებს. ეს დანახარჯები შეიძლება იყოს მნიშვნელოანი, რადგან
კონსორციუმის ორგანიზაცია ხშირად მოითხოვს სპეციალური ქვეგანყოფილებების შექმნას, მათ
შორის ტექნიკური განყოფილების, რომელიც კონსორციული ოპერაციებით არის დაკავებული.
კონსორციუმის კუთვნილი კრედიტის, პროცენტების და სხვა გადასახდელების სრული დაფარვის
შემდეგ ის წყვეტს თავის ფუნქციას. თუმცა შემდგომში ერთობლივი საქმიანობის აუცილებლობის
შემთხვევაში მონაწილე ბანკების კონსორციუმი შეიძლება განახლებული იქნას.

განსაზღვრული მსგავსება კონსორციულ კრედიტთან გააჩნია პარალელურ კრედიტს, რომლის
დროსაც რამდენიმე ბანკი შეთანხმდება ერთი მსახსებლის დაკრედიტებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში
თითოეული ბანკი მსესხებელთან დამოუკიდებლად ეწევა მოლაპარაკებას, აფორმებს საკრედიტო
ხელშეკრულებას და მსესხებელს აძლევს კრედიტის განსაზღვრულ ნაწილს, რომელიც სხვა
ბანკების დაკრედიტების პირობებთან არის შეთანხმებული.

კონსორციული ან პარალელური კრედიტის თავისებურ ფორმად ჯგუფდება ბანკების
ერთობლივი გარანტიები ან თავდებობანი კლიენტის გარანტიებზე. თუ კლიენტი არ ასრულებს
თავის ვალდებულებებს პარტნიორების მიმართ, მაშინ ბანკები თავის თავზე იღებენ მათ
ანაზღაურებას, აფორმებენ ამ გარიგებას როგორც კრედიტს და იღებენ თანხას მოთხოვნილების
სახეობიდან, ვადიდან და კრედიტის თანხიდან გამომდინარე.

ჩვენს ქვეყანაში კონსორციული კრედიტის განვითარებას ამუხრუჭებს საკანონმდებლო
აქტებში და ნორმებში კონსორციული გარიგებების საბანკო რეგულირების დებულების და ასევე
საბანკო კონსორციუმებზე დებულებების (კონსორციუმების შექმნის პირობები, მათი ტიპების
განსაზღვრა, მონაწილეების შემადგენლობა, საქმიანობის სფეროს განწილება კონსორციუმის
მონაწილეებს შორის) არ არსებობა. არ არის დამუშავებული მექანიზმი კონსორციული
კრედიტისათვის საკრედიტო რესურსების ერთ ბანკში აკუმულიაციისა. არ არის დამუშავებული
მექანიზმი ერთ ბანკში კონსორციული საკრედიტო სახსრების აკუმულაციის, რაც ეწინააღმდეგება

კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების ნორმატივებს, რადგან არ ეწყობა ბანკთაშორისი ოპერაციების აღრიცხვის ფორმები. არ არსებობს ნორმატივები, რომლებიც კონსორციუმების საქმიანობას არეგულირებენ.

ეკონომიკის არასტაბილურობა, გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის რესურსების არ არსებობა და უზარმაზარი საკრედიტო რისკები კომერციულ ბანკებს აიძულებენ გამოიყენონ კონსორციული კრედიტები ძირითადად მოკლევადიანი და საშუალოვადიანი დაბანდებებისათვის. საბანკო კონსორციუმების შექმნას, მსხვილი საინვესტიციო ღონისძიებების დასაკრედიტებლად, აფერხებს ცენტრალური ბანკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსების შეზღუდულობა, რაც ამცირებს მრავალ კომერციული ბანკებისათვის მათი მიღების საშუალებას. მეორეს მხრივ, მოკლევადიან კრედიტებზე და საკრედიტო რესურსებზე აქტიური მოთხოვნილება, საპროცენტო განაკეთების სპეკულაციური ზრდა კომერციული ბანკებისათვის გრძელვადიან დაბანდებებს სულ უფრო ნაკლებად მიმზიდველს ხდის.

ჩვენს ქვეყანაში საბანკო სისტემის ჩამოყალიბების გაჭიანურებული პერიოდი, ძალიან დიდი რაოდენობის კომერციული ბანკების შექმნა და მათ საქმიანობაზე ცენტრალური ბანკისა და აუდიტორული სამსახურის მხრიდან სუსტი კონტროლი ბანკების ბალანსების გამოუქვეყნებლობას, ართულებენ ბანკთაშორის კონსორციალურ გარიგებებში თანამშრომლობას. რადგან არ ქმნიან იმის რწმენას, რომ პარტნიორებს თავიანთი ვალდებულებების შესრულების უნარი გააჩნიათ.

მრავალი კომერციული ბანკი აიღებს რა ლიცენზიას საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე, უნდა ესწრაფოდეს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონსორციულ კრედიტებში, გამოიყენოს ისინი როგორც პრესტიჟული პროექტის დაკრედიტების შესაძლებლობა, ახალი პარტნიორების მოსაძებნად, საქმიანი კონტაქტების დამყარებისათვის და საერთაშორისო ბაზარზე თავისი მნიშვნელობის ამაღლებისათვის.

განსაზღვრული გამოცდილების დაგროვებით რეალური გახდება საერთაშორისო საბანკო კონსორციებისა და სამამულო ბანკების ორგანიზაცია. აქ მნიშვნელოვანია გამოყენებული იქნეს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული საბანკო ანგარიშგება,ბალანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს. ანგარიშგება საშუალებას მოგვცემს შეფასდეს კომერციული ბანკის საქმიანობა მსოფლიოში ცნობილი ნებისმიერი აუდიტორული კომპანიის მიერ. საზღვარგარეთის ბანკების მონაწილეობა კონსორციებში, რომლებიც ორგანიზებულია სამამულო კომერციული ბანკების მიერ, შეეხება საიმედო გარანტიების მიღების პრობლემას. ამის გამო კრედიტის სახელმწიფო დაზღვევის სისტემის შექმნის აუცილებლობა წარმოიშვება ისევე, როგორც ეს არსებობს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში: გერმანიაში - "ჰერმესი", საფრანგეთში - "კოფუასე", იტალიაში "საჩე" და ა.შ. ფართო გავრცელება საერთაშორისო კონსორციული კრედიტებისა სამამულო კომერციული ბანკების აქტიური მონაწილეობით ხელს შეუწყობს საგალუტო ბაზრის განვითარებას ქვეყნის შიგნით, ხოლო პერსპექტივაში მანეთის კონვერტირებას.

თ ა ვ ი X

კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმები

1. კრედიტის დაბრუნებიობის უზრუნველყოფის ფორმების არსი

კრედიტის დაბრუნება წარმოადგენს რა საკრედიტო ურთიერთობების ძირითად თვისებას, რომელიც განსხვავებულია ეკონომიკური ურთიერთობების სხვა სახეობებისაგან, პრაქტიკაში თავის გამოხატულებას პოულობს განსაზღვრულ მექანიზმში. ეს მექანიზმი ეფუძნება, ერთის მხრივ, ეკონომიკურ პროცესებს, რომელიც საფუძვლად უდევს კრედიტის დაბრუნების უნარიანობას, მეორეს მხრივ - კრედიტორისა და მსესხებლის სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელებიც საკრედიტო გარიგებაში მათი ადგილის მიხედვით განისაზღვრება.

კრედიტის დაბრუნების ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს კლავწარმოების პროცესი, მონაწილე ფონდების ბრუნვა და წრებრუნვა, ასევე კრედიტის ფუნქციონირების კანონები. თუმცა კრედიტის დაბრუნების ობიექტური, ეკონომიკური საფუძველი ამ პროცესის ავტომატიზაციას არ ნიშნავს. მხოლოდ სასესხო ღირებულების მიზნობრივი მართვა საშუალებას იძლევა უზრუნველყოთ მისი დაცვა, გაცემული და დაბრუნებული ღირებულებების ექვივალენტობა.

რადგან საკრედიტო გარიგებაში ორივე სუბიექტი - კრედიტორი და მსესხებელი მონაწილეობს კრედიტის დაბრუნების ორგანიზაციის მექანიზმი ითვალისწინებს თვითოეული მათგანის ადგილს ამ პროცესის განხორციელებაში. კრედიტორი გასცემს რა კრედიტს, გამოდის საკრედიტო პროცესის ორგანიზატორად, თავისი ინტერესების დამცველად. ობიექტური, ეკონომიკური საფუძვლიდან გამომდინარე, ის ირჩევს სასესხო რესურსების დაბანდების ისეთ სფეროს, სესხის ისეთ რაოდენობრივ პარამეტრებს, მისი დაფარვის მეთოდებს, საკრედიტო გარიგების პირობებს, რომლებიც შექმნან წინა პირობას გაცემული სესხის ღირებულების დროული და სრული დაბრუნებისათვის. თუმცა, მოცემული ღირებულების უკუ მოძრაობა დამოკიდებულია მსესხებლის კრედიტოუნარიანობაზე, რომელსაც ავი ბრუნვაში იყენებს, ფულადი ბაზრის საერთო ეკონომიკურ კონიუნქტურაზე.

საკრედიტო გარიგება ითვალისწინებს სესხის მიმღების ვალდებულების დაბრუნის შესაბამისი ვალი. კონკრეტული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ვალდებულების არსებობა (სხვადასხვა ფორმაში) ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმის გარანტიას, რომ სესხი დროულად დაბრუნდება. ეკონომიკაში ინფლაციური პროცესების წარმოშობამ შეიძლება გამოიწვიოს გაცემული სესხის თანხის გაუფასურება, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება კი კრედიტის დაბრუნებას ვადების დარღვევას იწვევს, ამიტომ ბანკების საქმიანობის საერთაშორისო გამოცდილებამ გამოიმუშავა კრედიტის დაბრუნების ორგანიზაციის მექანიზმი, რომელშიც ჩართულია არა მარტო საკრედიტო სესხის დაფარვის წესი, რეალური ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, არა მარტო მისი საკრედიტო ხელშეკრულებით ფორმირებული გამაგრება, არამედ სასესხო ღირებულების უკუმოძრაობის თანადროულობის და სისრულის უზრუნველყოფის ფორმები.

კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმებში უნდა ვიგულისხმოთ არსებული ვალის დაფარვის კონკრეტულ წყაროს იურიდიულად გაფორმება. მისი გამოყენებაზე კრედიტორის

იურიდიული გაფორმებული უფლება, მოცემული ქარის საკმარისობაზე ბანკის კონტროლის ორგანიზაცია.

თუ სესხის დაფარვის მექანიზმი, მისი საკრედიტო ხელშეკრულებებში გამაგრება კრედიტის დაბრუნების წინაპირობაა, მაშინ კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმის განსაზღვრა, ამ დაბრუნების გარანტიას წარმოადგენს. ასეთი გარანტია საჭიროა გადასახადის გადახდის მაღალი ხარისხის რისკის დროს. კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმები კრედიტორს გარანტიას აძლევს მისი სასესხო ფონდის მობილურობაც შეინარჩუნოს.

საბანკო პრაქტიკაში სესხების დაფარვის წყაროებად გვევლინება ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან ასევე მსესხებლის ქონება. პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები საბანკო სესხების დაფარვის ძირითადი სფეროა. თუმცა ის ყოველთვის არ არის კრედიტის დაბრუნების გარანტიის რეალური ფორმა. ის კრედიტის დაბრუნების რეალურ გარანტიას წარმოადგენს მხოლოდ ფინანსურად მდგრადი საწარმოებისათვის. მათ მიეკუთვნება საწარმოები, რომლებსაც რენტაბელობის მაღალი დონე და საკუთარი კაპიტალით მაღალი უზრუნველყოფა აქვს. ასეთ საწარმოებში ფულადი სახსრების არა მარტო სისტემატური შემოსვლა ხდება, არამედ მოგების წარმოქმნასას ფულადი სახსრების მოძატებაც, ასევე საკუთარი კაპიტალის შევსება.

ფინანსურად მდგრადი საწარმოებისათვის, რომლებიც ბანკის პირველი კლასის კლიენტებს წარმოადგენენ, სესხის დაფარვა შემოსასვლელი ამონაგების ხარჯზე, რომელიც იურიდიულად გამაგრებულია საკრედიტო ხელშეკრულებაში, სავსებით საკმარისია. ასეთ შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის ნდობითი ურთიერთობების ჩამოყალიბება ხდება, რომელიც გულისხმობს მსესხებლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებას. დამატებითი გარანტიების წარდგენას გარეშე სახსრების დაფრავის საქმეში ბანკისა და კლიენტის ურთიერთკავშირის ასეთი რეჟიმი გამორიცხავს სესხის უზრუნველყოფის შემოწმებას, რომელიც სესხის დროული დაბრუნების გარანტიის თვალსაზრისით პრაქტიკულად არაფერს იძლევა.

ცნობილია, რომ სასესხო დავალიანების უზრუნველყოფის შემოწმება ხელს შეუწყობს დავალიანების უზრუნველყოფასთან შესაბამისობაში მიყვანას, მაგრამ სესხების დროული დაბრუნების გარანტიას არ იძლევა. უფრო მეტიც, რაც უფრო გულდასმით და ღრმად ხორციელდება იგი მით უფრო მეტია სხვა თანაბარ პირობებში უგარანტიო დავალიანების გამოვლენის ალბათობა და შესაბამისად, გაღაგადაცილებული სესხის წარმოშობის შესაძლებლობა.პირველი კლასის მსესხებლების მიმართ აღნიშნული ოპერაციის, რომელიც ტექნიკურ დატვირთვას ქმნის, არა აქვს ეკონომიკური აზრი, რის გამოც საზღვარგარეთის საბანკო პრაქტიკაში კრედიტის უზრუნველყოფის შემოწმება ამ შემთხვევაში არ ხდება. სესხის დაფარვის მთავარ წყაროს წარმოადგენს შემოსასვლელი ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან, შესასრულებელი სამუშაოდან და მომსახურეობიდან.

ამონაგების სესხის დასაფარავად გამოყენების ორგანიზაციული საშუალებები სხვადასხვაა. როგორც აღნიშნული იყო, პირველი კლასის მსესხებლები ხშირად იღებენ კრედიტებს კონტოკორენტულ ანგარიშით, ამ შემთხვევაში შემოსული ფულადი სახსრები გადაირიცხება მოცემულ ანგარიშზე, რაც სესხის დაფარვას აღასტურებს. მაღალი რენტაბელობა და საკუთარი კაპიტალით მაღალი უზრუნველყოფა ეკონომიკურ გარანტად გამოდის, ემსახურება კრედიტის სრულ დაბრუნებას, თუ ამის აუცილებლობა წარმოიშვება.

საწარმოებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან პირველი კლასის მსესხებლებს (კრედიტუნარიანობა პირველ კლასზე ქვემოდ), წარმოიშვება აუცილებლობა რომ იყოს კრედიტის

დაფარვის დამატებითი და რეალური გარანტიები, მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: ქონების და უფლების გირავ, მოთხოვნების და უფლებების დათმობა, საკუთარებაზე უფლების გადაცემა, გარანტიები და თავდებობები;

კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის მოცემული ფორმები სპეციალური დოკუმენტებით ფორმდება. ამ დოკუმენტებს აქვს იურიდიული ძალა და განსაზღვრავს კრედიტორისათვის იმ წესებს, რომლითაც დაფარება სესხები იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ვალდებულების შესრულების შესაძლო არ ექნება სახსრები.

კრედიტორისათვის (ბანკისათვის) გარანტიის სისტემის შექმნა კრედიტის ვადაზე დაბრუნების ხელშეწყობა ანალიზ კომერციულობისა და მცირე საწარმოების განვითარებასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მათი კრედიტუნარიანობა ხშირ შემთხვევაში ძნელი შესაფასებელია, ამიტომ საკრედიტო კავშირების დამყარების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სესხების დაბრუნების დამატებითი უზრუნველყოფის ფორმების გამოყენება. მაგრამ მაინც საძნელე ამ გზაზე მდგომარეობს საგარანტიო კანონმდებლობის გამოუცდელობაში, ქვეყანაში სადაზღვევო საქმის განუვითარებლობაში.

მოცემულ სიტუაციაში ფირმერული ბანკები იძულებული არიან გამოამუშავონ ინიციატივა და გამომგონებლობა. აი რატომაც,რომ კრედიტის დაბრუნების ორგანიზაციის საქმეში სახელშეკრულებო გამოცდილების დაუფლება მნიშვნელოვან პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს.

2. გირაო და საგირავნო სამართალი

კლიენტის ქონების გირაო სანაცვლო კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. ქონების გირაო იმ საგირავნო ვალდებულებიდან გამომდინარეობს, რომელსაც მსესხებელი აძლევს კრედიტორს და რომელიც ამ უკანასკნელის უფლებას ადასტურებს საგადასახდელო ვალდებულების შეუსრულებლობისას დაგირავებული ქონების ღირებულებიდან დაიკმაყოფილოს უპირატესი პრეტენზიები. ამ უფლების რეალიზაციისათვის კრედიტორს არ ესაჭიროება ალიარა მსესხებლის მიმართ სასამართლო სარჩელი.

ეკონომიკური და სამართლებრივი კუთხით გირაოს ნივთებსა და კრედიტის უზრუნველყოფას შორის განსაზღვრული ერთიანობა არსებობს. გირაო ეყრდნობა რეალური უზრუნველყოფის არსებობას: მატერიალურ ფასეულობებს, საწარმოშსწორების დოკუმენტებს, ფასიან ქაღალდებს, სავალუტო ფასეულობებს. გირაოს საგნები და კრედიტის უზრუნველყოფა, როგორც წესი, დაკავშირებულებია დაგირავებული სახსრების დაბანდების სფეროსთან, დაკრედიტების ობიექტთან. არსებობს ერთიანი მოთხოვნა გირაოს ნივთის ხარისხთან და კრედიტის უზრუნველყოფასთან. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ფასეულობა, რომელსაც გააჩნია სწრაფი რეალიზაციის უნარი. გამოირიცხება საგირავნოდ ერთი და იგივე ფასეულობების წარდგენა, როგორც ერთი და იგივე ობიექტისა ორმაგი დაკრედიტებისა.

თუ დაკრედიტების ობიექტს მატერიალური ფასეულობები წარმოადგენს, მაშინ უზრუნველყოფის და გირაოს სახით შეიძლება გამოვიდნენ მხოლოდ მათი გადახდილი ნაშთები. ე.ი. მოცემული სუბიექტის საკუთრება. გირაოსა და უზრუნველყოფისათვის საერთო მათი ერთიანი შესაძლებლობა მათი სახით გააჩნდეთ როგორც ფასეულობების ცალკეული სახეები, ასე სხვადასხვა ელემენტების ერთობლიობა (ერთობლივი ობიექტი - შერეული გირაო).

სამართლებრივი თვალთახედვით ფასეულობების გირაო და კრედიტის უზრუნველყოფა არ ცვლის ამ ფასეულობებზე მესხებლის საკუთრების უფლებებს. ამასთანავე რაოდენობრივად და ხარისხობრივად გირაოს საგანი და უზრუნველყოფა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ჯერ ერთი, გირაო, რომელსაც თან ახლავს საგირაო ვალდებულება დაგირავებული ქონების განკარგულების განსაკუთრებულ უფლება აძლევს ბანკს: მას შეუძლია ის გადაიტანოს შესანახად საკუთარ საწყობებში ან შესანახად ჩაბარის მსესხებელს. მსესხებელს რიგ შემთხვევებში არა აქვს უფლება დაგირავებული საქონელი ბანკის ნებართვის გარეშე გამოიყენოს მატერიალური ფასეულობის კრედიტის უზრუნველყოფისათვის მიკუთვნება არ იწვევს ცვლილებას მისი განკარგულებაზე.

მეორე, გირაოს საგნად შეიძლება გამოვიდეს როგორც დაკრედიტებული ფასეულობა, ასევე მსესხებლის პირადი ქონება: მაგალითად, უცხოური ბანკების მიერ სასოფლო- სამეურნეო საწარმოების და ფერმერების გრძელვადიანი სამრეწველო საჭიროებისათვის დაკრედიტებისას გირაოს სახით იყენებენ მსესხებლის მოძრავ და უძრავ ქონებას. კონტოკორენტული ანგარიშით დაკრედიტების დროს გირაოს საგნად მსესხებლის სხვა ქონებასთან ერთად შეიძლება მივაკუთვნოთ სავალუტო ფასეულობები და ა.შ. ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ დროს დაწესებულებების და ორგანიზაციის დაკრედიტებისათვის გირაო მოიცავდა მხოლოდ იმ ფასეულობებს, რომლებიც კრედიტის უზრუნველყოფას ემსახურებოდნენ.

მესამე, ფასეულობათა გირაო ორგანულად არის დაკავშირებული მასზე მესხებლის საკუთრების უფლებასთან, იმ დროს, როდესაც კრედიტის უზრუნველყოფა შეიძლება ასახავდეს იმ შემადგენელი ელემენტებით, რომლებიც მსესხებლის საკუთრების წარმოადგენს (პირდაპირი უზრუნველყოფა) და არ წარმოადგენს (ირიბი უზრუნველყოფა).

მეოთხე, გირაოს აქვს თავის სფეროში, როგორც წესი, რეალურად არსებული ღირებულება, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ფორმებით: სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობები, თამასუქები, ფასიანი ქაღალდები, სავალუტო ფასეულობები და ა.შ. უზრუნველყოფა შეიცავს როგორც რეალურ ფასეულობებს, ისე საწარმოს ხარჯებს დაუმთავრებელი წარმოება, მომავალი პერიოდის ხარჯებს. რიგ შემთხვევებში წარმოების ხარჯები რეალურ ფასეულობებად არ გარდაიქმნებიან (მაგალითად, სოფლის მეურნეობაში მოსავლის განაღდურებისას). ამიტომ საზღვარგარეთის პრაქტიკაში ასეთი შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი გირაო: მოძრავი ან უძრავი ქონება.

მეხუთე, გირაო უზრუნველყოფისაგან რაოდენობრივადაც განსხვავდება. თუ უზრუნველყოფის თანხა კრედიტის მოცულობის ტოლია, მაშინ გირაოს სიდიდე გაცემულ კრედიტზე ყოველთვის მეტია, რაც უფრო დიდია მარჟა, მით უფრო მაღალია კრედიტის უზრუნველყოფა ის 90-95 % შეადგენს. მარჟის კონკრეტული სიდიდე დამოკიდებულია უზრუნველყოფის ხარისხზე და ეკონომიკის კონიუნქტურაზე.

გირაოსი და უზრუნველყოფის ზემოთ აღნიშნული განსხვავებები კრედიტის დაბრუნების რეალურ გარანტიებს ქმნიან.

გირაოს გამოყენება საკრედიტო ურთიერთობების ორგანიზაციის პრაქტიკაში ვარაუდობს მისი გამოყენების სპეციალური მექანიზმის არსებობას. გირაოს ობიექტზე დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ გირაოს რამდენიმე სახეობას.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში არსებობს გირაო შემდეგი ნაირსახეობა:

1. კლიენტის ქონების გირაო;

1.1. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გირაო;

1.2. დებიტორული ანგარიშების გირაო;

1.3. ფასიანი ქაღალდების გირაო;

1.4. თამასუქების გირაო;

1.5. დეპოზიტების გირაო, რომლებიც იმავე ბანკში ირიცხებიან;

1.6. იპოთეკა (უძრავი ქონების გირაო);

1.7. შერეული გირაო;

2. უფლებების გირაო.

ზემოდ მოყვანილი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, გირაოს და საგირაო უფლების ობიექტად ითვლება კლიენტის სხვადასხვა ქონება ან მისი გირაოზე უფლება. საგირაო უფლებას უწოდებენ ქონებრივს.

სამართლებრივი კუთხით საგირაო უფლების სტრუქტურა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად.



სქემა 8

მოყვანილი სქემა მოითხოვს ახსნას ჯერ ერთი, რას წარმოადგენს გირაოს საგანი, მეორე, აუცილებელია თუ არა კრედიტორისათვის გირაოს ქონების გადაცემა. მესამე, როგორია მსესხებლის განკარგულების რეჟიმი დაგირავებული ფასეულობის მიხედვით.

გირაოს საგნად შეიძლება გამოდგეს მსესხებლის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი ან სხვა ქონება, რომლის იძულებითი ამოღება კანონმდებლობით დასაშვებია. ამავე დროს ეს ქონება რომ გირაოს შავკუთვნოთ უნდა პასუხებდეს ორ კრიტერიუმს: მისაღებობას და საკმარისობას. მითითებული კრიტერიუმები ქონების სხვადასხვა სახეობების მიმართ სხვადასხვა გამოხატულებას პოულობენ, გირაოსათვის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მისაღებლობა განისაზღვრება ორი ასპექტით: - ფასეულობების ხარისხით; - იმ შესაძლებლობით, რომელიც კრედიტორს გააჩნია მათ შენახვაზე კონტროლის განსახორციელებლად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარისხის კრიტერიუმებს წარმოადგენენ: რეალიზაციის სისწრაფე, ფასების შედარებითი სტაბილურობა, დაზღვევის შესაძლებლობა, შენახვის ხანგრძლივობა, ამიტომ მალფუჭებადი პროდუქტები, როგორც წესი, გირაოსათვის არ გამოიყენება. მნიშვნელოვანია არა მარტო ხარისხის კრიტერიის განსაზღვრა, მასთან

შესაბამისობაში ფასეულობების ამორჩევა, არამედ მისი დაცვის უზრუნველყოფაც. ფასეულობების გირაოს მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს კრედიტის დაბრუნების გარანტია. ამასთან დაკავშირებით საგირაო ფასეულობების შესახვის უზრუნველსაყოფად, გადაცემა ყველაზე უფრო საიმედო საშუალებას წარმოადგენს, მათი კრედიტორისათვის, ე.ი. ბანკისათვის გადაცემა. ამ შემთხვევაში მსესხებელი საგირაო ქონების ზიარ მესაკუთრედ რჩება. მას არ შეუძლია დაგირავებული ფასეულობების გამოყენება. ამ სახეობას ეწოდება გირავნობა. დაგირავების შემთხვევაში კრედიტორი იძენს დაგირავებული საქონლის გამოყენების უფლებას.

ამავე დროს მასზე გადადის ვალდებულება, დაგირავებული საქონელი წესისა და რიგის მიხედვით შეინახოს და პასუხი აგოს მისი დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში. თუ ბანკს სასაწყობო ნაგებობა არ გააჩნია გირაოს ამ სახეობას სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობების მიმართ გამოყენების შეზღუდული სფერო გააჩნია. დაგირავების საგანი შეიძლება იყოს სავალუტო ფასეულობები, ფასიანი ლითონები, ხელოვნების ნიმუშები, სამკაულები.

ამასთანავე საგირავნო უფლება ითვალისწინებს საგირაო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შენახვის შესაძლებლობას, როგორც ნეიტრალურ საწყობებში, ასევე მსესხებლის საწყობებში. ამ შემთხვევაში საქონლის გირაო განხორციელდება კრედიტორზე (ბანკზე) საწყობის ქვითრის გადაცემით. ხშირად საწყობის ქვითარი ფორმდება ბანკის სახელზე, რომელიც ფასეულობებზე შენახვის და ქვითრის გამოწერის კონტროლს ახორციელებს. ამ შემთხვევაში ბანკი საწყობიდან ტვირთის გამოტანის უფლების მხოლოდ მისი გაყიდვის შემდეგ იძლევა და ამონაგებს სესხის დასაფარავად იყენებს. მსესხებლის საწყობებში ტვირთის შენახვისას მის შენახვაზე კონტროლს ახორციელებს როგორც საწყობში მომუშავე, რომელიც ბანკის მიერ არის ამ მიზნისათვის დაქირავებული, ასევე თვითონ ბანკი.

იმ შემთხვევაში როდესაც დაგირავებული ფასეულობები ნეიტრალური ორგანიზაციის ან მსესხებლის საწყობებში შესანახად რჩება შესაძლებელია ამ გირაოზე განკარგულების სხვადასხვა რეჟიმის განხორციელება. მყარი გირაოს დროს ნავარაუდევია დაგირავებული ფასეულობების ფასის და შემადგენლობის უცვლელობა. აქ მსესხებელს მოცემული ფასეულობის დახარჯვის უფლება არა აქვს მიუხედავად იმისა, მის საწყობებში ინახება იგი, თუ სპეციალიზირებული ორგანიზაციის საწყობებში. თუმცა გირაოს ამ სახეობას როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, გამოყენების შეზღუდული სფერო გააჩნია. იგი გაანგარიშებულია ფასეულობებზე, რომლებიც მიმდინარე მოხმარებისათვის არ არის განკუთვნილი. გირაოს უფრო გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს საქონლის გირაო ბრუნვაში და საქონლის გირაო გადამუშავებაში.

საქონლის გირაო ბრუნვაში ჩვენს ქვეყანაში ადრე გამოიყენებოდა, საზღვარგარეთის პრაქტიკაში კი სავაჭრო ორგანიზაციების დაკრედიტებისას ამჟამადაც გამოიყენება. სავაჭრო ორგანიზაციებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ ფასეულობების მარაგი მათ გასაყიდად. ამ შემთხვევაში გირაოს საგანი მსესხებლის არა მარტო მფლობელობაში იმყოფება, არამედ მსესხებლის განკარგულებაში, ისე, რომ შეუძლია მისი გამოყენება. ამ სახის გირაოს დროს ორგანიზაციას შეუძლია შეცვალოს დაგირავებული ფასეულობები, მაგრამ საქონლის გამოყენების პირობას წარმოადგენს დახარჯული ფასეულობების აუცილებელი განახლება თანხაში. საქონლის გირაომ ბრუნვაში ასევე მიიღო დასახელება გირაო ცვალებადი შემადგენლობით. რადგან საქონლის გაყიდვის მომენტსა და სასაქონლო მარაგის განახლების მომენტს შორის შესაძლებელია შეუთანხმებლობა, საგირაო ვალდებულება ყოველთვის არ იძლევა გარანტიას კრედიტის დაბრუნებაზე. ასეთი გარანტია ვრცელდება მხოლოდ რეალურად არსებულ სასაქონლო მარაგებზე.

საქონლის გირაოსთან ბრუნვაში შინაარსით ახლოა საქონლის გირაო გადამუშავებაში. ის გამოიყენება სარეწველო საწარმოების დაკრედიტებისათვის, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. ამ სახეობის გირაოს თავისებურებას წარმოადგენს მსესხებლის ყველა დაგირავებული ნედლეულის და მასალების წარმოებაში გამოყენებაზე, გირაოს ობიექტია აგრეთვე ნახევარფაბრიკატები და მზა პროდუქცია. ამასთან დასაშვებია გადასამუშავებელი ფასეულობების საწყობიდან ფაბრიკის ან ქარხნის სამქროში გადადგილება.

ბანკის მიერ ფასეულობების გადამუშავება დასაშვებია თუ დამტკიცდება, რომ გადამუშავების შედეგად უფრო მაღალი ღირებულების პროდუქტი მიიღება ვიდრე მანამდე იყო. დასამტკიცებლად წარმოადგენენ საეციალურ გაანგარიშებას, რომელიც გვიჩვენებს დაგირავებული ნედლეულის და მასალების რაოდენობას და ღირებულებას, მის გადამუშავების პერიოდს, გადამუშავებული პროდუქციის საშუალო ოდენობას, შენახვის ადგილს. თუმცა ამ შემთხვევაში ბანკს არ შეუძლია განახორციელოს სათანადო კონტროლი დაგირავებული ფასეულობების შენახვაზე, ამგვარად სხვადასხვა სახეობის მატერიალურ ფასეულობებს (ან მათ საანგარიშსწორებო დოკუმენტებს) კრედიტის დაბრუნების გარანტიის სხვადასხვა ხარისხი გააჩნიათ. ყველაზე მეტი გარანტია გირაოს და მყარ გირაოს აქვს, იმ შემთხვევაში, თუ დაგირავებული ფასეულობები საერთო მოხმარების საწყობებში ბანკის კონტროლის ქვეშ იმყოფება გირაოს დანარჩენ სახეობებს კრედიტის დაბრუნების პირობითი გარანტიები გააჩნიათ, ამიტომ საზღვარგარეთის კომერციული ბანკების პრაქტიკაში გირაოს ეს სახეობები გამოიყენება იმ კლიენტების მიმართ, რომლებმაც ნდობა მოიხვეჭეს, ე.ი. საკრედიტო გარიგებებში საიმედო პარტნიორები არიან.

რადგან საბაზრო ეკონომიკაში საქონლის რეალიზაციის მიხედვით კონიუნქტურა შეიძლება ოპერატიულად შეიცვალოს, დაგირავებული ფასეულობების თანხა ყოველთვის მეტია გაცემული კრედიტის თანხაზე. ამ მდგომარეობას განაზღვრავს ცნება გირაოს ობიექტისა "საკმარისობა". სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაკრედიტებისას კრედიტის მაქსიმალური თანხა ჩვეულებრივ გირაოს საგნების ღირებულების 85 % არ აღემატება. ასეთ სხვაობა ბანკს კრედიტის დაბრუნების დამატებით გარანტას უქმნის გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ქვეშ გაცემული კრედიტების გარდა, საზღვარგარეთის ბანკები ფართოდ იყენებენ სესხის გაცემის დებიტორული ანგარიშებს, ფასიანი ქაღალდების და თამასუქების გირაოს ქვეშ საღებიტორო ანგარიშების მისაღებობა გირაოსათვის ხორციელდება ისეთ კრიტერიუმებით როგორიც არის სარეალიზაციო საქონლის ხარისხი და მყიდველის ფინანსური მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით ბანკები აანალიზებენ იმ პაჩვენებლების დინამიკას, რომლებიც ახასიათებს მყიდველისათვის კონკრეტული ფასეულობების ღებიტორულ ვალიანების დინამიკას, სტრუქტურას და ხანგრძლივობას. ყოველი გადამხდელისათვის კრედიტის მაქსიმალური თანხა დებიტორული ანგარიშებით მათი ღირებულების 50-90 %. არ შეიძლება აჭარბებდეს.

ფასიანი ქაღალდების ხარისხის კრიტერიუმად მათი გირაოდ მისაღებად გამოიყენება სწრაფი რეალიზაციის შესაძლებლობა და ემიტენტის ფინანსური მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით ყველაზე (ხარისხით) მაღალი რეიტინგი (საზღვარგარეთის პრაქტიკაში) აქვთ სასწრაფო ბრუნვადობის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს. მათი დაკრედიტებისას კრედიტის მაქსიმალურმა თანხამ შეიძლება მიაღწიოს ფასიანი ქაღალდების ღირებულების 95 %-ს. გირაოდ სხვა ფასიანი ქაღალდების (მაგალითად, ფირმების მიერ გამოშვებული აქციები) გამოყენებისას თუ კრედიტის მოცულობა 80-85 % შეადგენს, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა იმ აქციებთან, რომლებსაც

მსესხებელი საწარმო უშვებს, არამედ იმ აქციებთან, რომლებიც მან შეიძინა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რადგან კრედიტის დაბანდება ფასიან ქაღალდებში არის მისი რეალური ქონება.

ჩვენს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფება. ფასიანი ქაღალდების სახეობებიდან ყველაზე მეტი განვითარება მოიპოვეს სახელმწიფო ფასიანმა ქაღალდებმა. თუმცა სახელმწიფოს რთული ფინანსური მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა, რომ ისინი სწრაფბრუნვად ფასიან ქაღალდებს მივაკუთვნოთ. ამასთან დაკავშირებით ისინი გირაოდ შეიძლება გამოყენებული იქნან, მაგრამ გასაცემი კრედიტის მოცულობის შემცირებით. გირაოს ყველაზე უფრო პერსპექტიული სახეობაა აქციები, რომლებიც ბანკების და დაწესებულებების მიერაა გამოშვებული. თუმცა არა ყველა ბანკისა და დაწესებულების მიერ გამოშვებული. აუცილებელია მათი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინება (გადამხდელუნარიანობა და ლიკვიდობა) და განვითარების პერსპექტივები.

გირაოს საგნებს ასევე მიეკუთვნება თამასუქები. ჩვენს ქვეყანაში გირაოს ეს სახეობა კომერციული დაკრედიტების განვითარების გამო პერსპექტივაში საკმაოდ ფართოდ იქნება გამოყენებული. მთავარი მოთხოვნა თამასუქის მიმართ, როგორც გირაოს საგანთან რეალური სასაქონლო გარიგების აუცილებლობის ასახვაში მდგომარეობს. აუცილებელია გავითვალისწინოთ ასევე თამასუქის გადახდის ვადა, საქონლების ხარისხი და ასორტიმენტი, რომლებიც ნაწილ-ნაწილ გაიყიდება, ამიტომ ბანკს უფლება აქვს ერთი თამასუქის მეორეთი შეცვლა მოითხოვოს. კრედიტი თამასუქით, ჩვენს ქვეყანაში, ძირითადად სპეციალური მიმდინარე ანგარიშიდან (ონკოლიდან) გაიცემა. კრედიტის მაქსიმალური თანხა უზრუნველყოფის ღირებულების 75-90 % შეადგენს.

გირაოს გამოყენების ზოგიერთი თავისებურება არსებობს იპოთეკური კრედიტების გაცემისას, რომლებმაც ფართო განვითარება ჰპოვეს მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში. ამ შემთხვევაში ჩნდება გირაოს ისეთი სახეობა როგორიცაა იპოთეკა, ე.ი. უძრავი ქონების გირაო (შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები, მიწები) იპოთეკისათვის დამახასიათებელია შემდეგი თვისებები: მეკალისათვის ქონების გადაცემა. დამატებითი იპოთეკური სესხების ერთი და იგივე ქონების გირაოთი მიღების საშუალება, გირაოს აუცილებელი რეგისტრაცია მიწის წიგნებში, რომლებსაც აწარმოებს სახელმწიფო კომუნალური დაწესებულებები, გირაოს საგნის შენახვის კონტროლის სიმარტივე.

მოძრავი (ავტომობილი და ა.შ.) და უძრავი ქონების გირაო ასევე გამოიყენება მოსახლეობაზე გრძელვადიანი სესხების გაცემისას. სახლის, ავტომანქანის და ა.შ. შესაბამისად, მშენებლობისათვის ან მიწათმოწყობისათვის (ფერმერებისათვის) იპოთეკური ან სხვა გრძელვადიანი კრედიტის გაცემისას მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს გირაოს ღირებულება. შეფასების წარმატება, როგორც საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს დამოკიდებულია შემფასებლის ნიჭიერებაზე, გამოცდილებაზე და კომპეტენტურობაზე. ამ საკითხს ბანკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

საკუთრების სხვადასხვა ფორმის განვითარების პირობებში, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის პოლიტიკის რეალიზაციისას იპოთეკის როლი გაიზრდება წარმოებებზე, ორგანიზაციებზე, კოოპერატივებზე და მოსახლეობაზეა გაცემული კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფად თუმცა იპოთეკის გამოყენება საგირაო კანონის მარეგულირებელი კანონმდებლობის გარეშე ვარაუდობს ორგანიზაციების, განსაზღვრას, რომლებიც იპოთეკის გარკვეული პირობების რეგისტრაციას მოახდენენ, ასევე შესძლებენ კლიენტის ქონების შეფასებას.

საგირაო უფლება შეიძლება გავრცელდეს დეპოზიციურ ანაბრებზეც, რომლებიც იმავე კრედიტის გამცემ ბანკში იმყოფება. ასეთ ანაბრებს, როგორც წესი, გააჩნიათ მიზნობრივი ხასიათი. მაგალითად, სამეურნეო ორგანიზაცია კაპიტალური დაბანდებებისათვის ან სოციალური სფეროს

ობიექტების მშენებლობისათვის (საცხოვრებელი სახლები, პროფილაქტორიუმები, საბავშვო ბაღები, სპორტული კომპლექსები) ახდენს ფულადი რესურსების დაგროვებას. ბანკში მიმდინარე სამრეწველო საჭიროებებისათვის კრედიტის მიღებისას საწარმომ გირაოს სახით შეიძლება გამოიყენოს გირაოს შესაბამისი თანხით შექმნილი დეპოზიტები. თუ დეპოზიტი ფორმდება სერტიფიკატით, მაშინ ის ბარდება ბანკს შესანახად. სესხის ანაზღაურების დაყოვნებისას, შემოსული ამონაგების ხარჯზე, ბანკი უზრუნველყოფს კრედიტის დაბრუნებას დეპოზიტური ანაბრის ხარჯზე. ეს ყველაზე უფრო მარტივი და საიმედო სესხია, რომელიც კრედიტის დაბრუნების გარანტიას იძლევა.

ერთობლივი (მატერიალური მარაგებზე და სამრეწველო ხარჯებზე ერთობლივი კრედიტი) ან გამსხვილებული ობიექტის (კრედიტი კონტოკორენტული ანგარიშით) დაკრედიტებამ შეიძლება მოითხოვოს შერეული გირაოს გამოყენება, რომელიც შეიცავს საქონელს საწყობში, სასაქონლო დოკუმენტებს (დებიტორული ანგარიშები), თამასუქებს. ამ შემთხვევაში შერეული გირაოს შემადგენელ ელემენტების მიმართ მოთხოვნილება იგივე რჩება, რაც ზემოდ იყო აღწერილი. რსფსრ-ს სახბანკის 1921 წლის 13 ოქტომბრის წესდების შესაბამისად კრედიტს მაქსიმალური თანხა არ უნდა აღემატებოდეს გირაოში მიღებული ერთობლივი უზრუნველყოფის ღირებულების 75 %-ს. საზღვარგარეთის პრაქტიკაში გირაოს საგნად გამოდის არა მარტო ქონება,რომელიც კლიენტს ეკუთვნის, არამედ უფლება შენობებზე; ნაგებობებზე, მიწაზე, რომელსაც ის იჯარით იღებს. ამის შედეგად არსებობს გირაოს დამოუკიდებელი სახეობა -უფლებების გირაო. ჩვენი ქვეყნისათვის გირაოს ეს სახეობა შეიძლება პერსპექტიული იყოს, თუ გავითვალისწინებთ საიჯარო და კერძო საკუთრების განვითარებას. თუმცა მისი გამოყენება ითვალისწინებს სპეციალური კანონმდებლობის მიღებას, რომელიც განსაზღვრავს საგირაო უფლების საფუძვლებს.

მთლიანად, თუ გირაოს განვიხილავთ როგორც კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ფორმას, საჭიროა ხაზი გაესვას, რომ ასეთ გარანტიას ბადებს მსესხებლისა კრედიტორის მიმართ იურიდიულად მიმაგრებული ქონებრივი პასუხისმგებლობა. ამით იქმნება კრედიტორის ინტერესის სამართლებრივი დაცვა. დაგირავებისას ეკონომიკურად კრედიტის დაბრუნების გარანტიას უზრუნველყოფს: ჯერ ერთი, კონკრეტული ფასეულობები და უფლებები, რომლებიც წარმოადგენენ გირაოს საგანს (უძრავი და მოძრავი ქონება, მსესხებლის უფლება უძრავ ქონებაზე); მეორე - კლიენტის, ხანდახან კი რამდენიმე პირის საერთო ქონება, მაგალითად, თამასუქების გირაოს შემთხვევაში ბანკი უპირატესობას ანიჭებს გადასაცემ თამასუქებს, რომლებზეც არსებობს იმ პირთა სოლიდური პასუხისმგებლობა, რომლებმაც გააკეთეს გადასაცემი წარწერა. ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გაცემული კრედიტის დაბრუნების გარანტიად გვევლინება მათი გამომშვები ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა.

ამრიგად, საგირაო უფლების ეფექტურობა განისაზღვრება არა მარტო კრედიტორის ინტერესების სამართლებრივი დაცვით და გირაოს საგნების ხარისხით, არამედ მსესხებლის საერთო ფინანსური მდგომარეობითაც. ეს ნიშნავს იმას, რომ მსესხებლის ქონების გირაო არ გამორიცხავს მის კრედიტოუნარიანობის გათვალისწინებს.

მიუხედავად ამისა, უნდა ავღნიშნოთ, რომ კლიენტის საგირაო ქონების გამოყენება კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმის სახით რიგ უხერხულობას შეიცავს. მსესხებლისათვის, რომელმაც კრედიტორს გირაოდ უნდა მისცეს განსაზღვრული საგანი, წარმოიშვება აუცილებლობა ის საგანი ამოიღოს თავისი გამოყენების სფეროდან. თუმცა მსესხებლისათვის არაა ხელსაყრელი დაკარგოს უფლება მოძრავ ქონებაზე (ნედლეული, მზა პროდუქცია,სატრანსპორტო

საშუალებები და ა.შ.) ამიტომ ქონების ეს სახეობები, როგორც წესი, გირაოს საგნებს არ წარმოადგენენ. გირაოსათვის გამოიყენება მხოლოდ ფასიანი ქაღალდები და თამასუქები. მეორე მხრივ, მსესხებლის განკარგულებაში ფასეულობების დატოვება, რაც შეიძლება გათვალისწინებული იქნას გირაოს შესახებ ხელშეკრულებაში კრედიტორისათვის გარკვეულ რისკს წარმოადგენს და მათ შენახვაზე კონტროლის აუცილებლობას ქმნის. გამონაკლისს წარმოადგენს იპოთეკა.

კრედიტის მისაღებად გირაოს სახით დებიტორული ანგარიშების გამოყენება ის უხერხულობაა, რომელსაც თან უნდა ახლდეს გირაოს ფაქტზე მისი მყიდველის ინფორმაცია. მრავალი კლიენტი ამჯობინებს თავისი ფინანსური მდგომარეობა არ გაამჟღავნოს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საზღვარგარეთის პრაქტიკაში გირაოს გამოყენებას შეზღუდული სფერო აქვს. მას მიმართავენ მსესხებლის უძრავი ქონების (იპოთეკა), დეპოზიტური ანაბრების, ფასიანი ქაღალდების, თამასუქების, სავალუტო ფასეულობების და ზოგიერთი ფასიანი ნივთების (ძვირფასი ლითონები, მონეტები, სამკაულები, ხელოვნების ნიმუშები) არსებობისას.

3. მოთხოვნების დათმობა და საკუთრების უფლებების გადაცემა

გფრ-ის პრაქტიკაში კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმის სახით ყველაზე ხშირად მოთხოვნების დათმობას (ცესია) და საკუთრების უფლების გადაცემას იყენებენ.

დათმობა (ცესია) - ესაა მსესხებლის (ცედენტის) დოკუმენტი, რომელშიც ის უთმობს თავის მოთხოვნებს (დებიტორულ დავალიანებას) კრედიტორს (ბანკს) კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის სახით.

ცესიის უფლებრივი სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:



სქემა 9

ხელშეკრულება ცესიის შესახებ საკრედიტო ხელშეკრულებას ემატება, რომელიც კლიენტის მიერ ბანკისაგან მიღებული სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად ქმნის კანონიერ საფუძველს. ხელშეკრულება ცესიაზე ითვალისწინებს ბანკისათვის დათმობილი მოთხოვნით ფულადი სახსრების გადაცემას. დათმობილი მოთხოვნის ღირებულება უნდა იყოს საკმარისი, იმისათვის, რომ დაიფაროს სასესხო დავალიანება. ბანკს უფლება აქვს მიღებული ამონაგები გამოიყენოს მხოლოდ გაცემული კრედიტის და მასზე გადასახდელების ასანაზღაურებლად. თუ დათმობის მოთხოვნით შემოდის ფულადი სახსრების თანხა, რომელიც გადაჭარბებს დავალიანებას სესხზე, მაშინ სხვაობა ცედენტს უბრუნდება.

პრაქტიკაში გამოიყენება ცესიის ორი სახე: ღია და ფარული. ღია ცესიის დროს ცედენტი (მეორე მხარე) აცნობებს მეკალისათვის (ცედენტის მყიდველისათვის) მოთხოვნის შეტყობინებას დათმობის შესახებ ამ შემთხვევაში მეკალი თავის დავალიანებას ბანკის მიმართ და არა ბანკის (ცედენტის) მსესხებლის წინაშე ანაზღაურებს. ფარული ცესიის შემთხვევაში ბანკი მესამე პირს მოთხოვნების დათმობაზე არ აცნობებს, მეკალე უხდის ცედენტს, ის კი ვალდებულია გადასცეს მიღებული თანხა ბანკს. მსესხებლები უპირატესობას ანიჭებენ ფარულ ცესიას, რათა თავიანთი ავტორიტეტი არ შეარყიონ. მაგრამ ბანკისათვის ფარული ცესია დიდ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან, ჯერ ერთი, თანხები დათმობილ მოთხოვნებზე ხშირად ხვდებიან მსესხებლის იმ ანგარიშზე, რომლებიც ხნავ ბანკშია . მეორე - მსესხებელს აქვს შესაძლებლობა რამდენჯერმე დაუთმოს მოთხოვნა. მესამე - მსესხებელს შეუძლია დაუთმოს უკვე არ არსებული მოთხოვნები.

გფრ-ის ბანკები, გარდა ინდივიდუალური მოთხოვნების დათმობისა, საერთო და გლობალურ ცესიას იყენებენ.

საერთო ცესია ნიშნავს, რომ მსესხებელი ვალდებულებას იღებს ბანკის წინაშე საქონლის მიწოდებაზე რეგულარულად დაუთმოს მოთხოვნები განსხვავებული თანხით. გაუწიოს მომსახურებები ამასთან, ბანკს უფლება ფულადი სახსრების მიღებაზე წარმოდგენილი კრედიტის ანაზღაურებლად წარმოიქმნება საერთო ცესიაზე არა ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, არამედ ბანკში დებიტორების მოთხოვნების ან სიების გადაცემის მომენტიდან. გლობალური ცესიის შემთხვევაში მსესხებელმა ბანკს უნდა დაუთმოს კონკრეტულ კლიენტებთან არსებული მოთხოვნები და განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში კვლავ წარმოქმნილი მოთხოვნები . მოთხოვნების დათმობის ამ სახეობას უპირატესობას ანიჭებენ, კრედიტის დაბრუნების რისკის შემცირების მიზნით, უზრუნველყოფის ასეთი ფორმის გამოყენებისას, ბანკი მოითხოვს მოთხოვნების დათმობა გაცილებით მეტ თანხაზე მოხდეს, ვიდრე გაცემული კრედიტის სიდიდეა. საერთო და გლობალური ცესიის დროს კრედიტის მაქსიმალური თანხა დათმობილი მოთხოვნების ღირებულების 20-90 % შეადგენს.

იმისათვის, რომ მოძრავი ქონება მსესხებელმა გამოიყენოს და ამავე დროს იყოს კრედიტის დაბრუნების გარანტია კრედიტორის ვალის უზრუნველსაყოფად, მასზე საკუთრების უფლების გადაცემა გამოიყენება. კრედიტორისათვის საკუთრების უფლების გადაცემის კანონიერი სტრუქტურა მოცემულია შემდეგი სქემაში (სქემა10).

გირაოსაგან განსხვავებით კრედიტორისათვის სესხის უზრუნველსაყოფად საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში კლიენტის მოძრავი ქონება რჩება მის განკარგულებაში. ეს ხდება მაშინ, როცა ფასეულობების კრედიტორზე გადაცემა შეუძლებელია ან მიზანშეწონილი არ არის და როდესაც მსესხებელს არ შეუძლია უარი თქვას სესხის უზრუნველყოფის ობიექტის გამოყენებაზე. მსესხებელი მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებელია მის განკარგულებაში



სქემა 10

დარჩენილ ფასეულობებზე, არა აქვს უფლება იყოს მასზე დამოუკიდებლად განკარგულებელი. სესხების უზრუნველყოფის ობიექტის სახით შეიძლება გამოვიდნენ, როგორც ცალკეული საგნები (ავტომანქანა), ისე საგნების ჯგუფიც, რომლებიც ერთ-ერთ საწყობში ან საამქროში იმყოფებიან (საქონელი, მასალების მარაგები, ნახევარფაბრიკატები).

ბანკი ვალის დასაფარავად საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა დარწმუნდეს, რომ მსესხებელი ნამდვილად არის კონკრეტული ფასეულობების მესაკუთრე. ოუმცა ეს შემოწმება არ ამცირებს დიდ რისკს, რომელიც საკუთრების უფლების გადაცემას თან ახლავს. კრედიტორი ბევრადაა დამოკიდებული მსესხებლის პატიოსნებაზე, რომელთანაც იმყოფება სესხის უზრუნველყოფის ობიექტი. რისკის შემცირების მიზნით ბანკები ფრთხილად უდგებიან უზრუნველყოფის სიდიდის განსაზღვრას, რის გამოც კრედიტის მაქსიმალური თანხა მათი ღირებულების 20-50 %-ს შეადგენს.

4. გარანტიები და თავდებობა

კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმებს, ასევე გარანტიები და თავდებობები წარმოადგენენ. მათ გააჩნიათ როგორც გირაოს, კრედიტორის იურიდიული და ეკონომიკური ინტერესების დაცვის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში მსესხებელზე ქონებრივ პასუხისმგებლობას, როგორც წესი, მესამე პირი იღებს. არსებობს გარანტიების რამდენიმე სახეობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: გარანტიული ვალდებულების სუბიექტით; გარანტიის გაფორმების წესით; სახსრების წყაროთი, რომლებიც გადასახადების გარანტიისათვის გამოიყენება.

საგარანტიო ვალდებულების სუბიექტის სახით შეიძლება გამოვიდნენ ფინანსურად მყარი საწარმოები ან სპეციალური დაწესებულებები, რომლებსაც გააჩნიათ სახსრები: ბანკები, ნაკლებად თვით მსესხებელი საწარმოები.

აშშ-ში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მსესხებელ საწარმოებს სესხის მისაღებად ბანკში განსაზღვრული თანხის დეპოზიტი უნდა გაეფორმებინათ. ჩვეულებრივ გამოიყენებოდა პრინციპი: "10 + 10", ეს ნიშნავს, რომ სესხის მიმღები სესხის მიღებამდე ქმნიდა დასაშვები თანხის 10 %-ის სიდიდის დეპოზიტს. მეორე 10%-ი მას შეჰქონდა დეპოზიტურ ანგარიშზე მისი გაცემის შემდეგ.

ამრიგად, კრედიტის დროული დაფარვის გარანტიად გამოიყენებოდა მსესხებელი საწარმოოს საკუთარი დეპოზიტი მიღებული სესხის 20 %-ის ოდენობით. თუმცა ამ შემთხვევაში გარანტია უფლებას იძლევა მხოლოდ ნაწილობრივ დაიცვას კრედიტორის ინტერესები. ასეთი პრაქტიკა შესაძლებელი იყო ჩვენს ქვეყანაშიც გავრცელებულიყო, თუ კი ბანკიდან კრედიტის მიმღებ კლიენტს დავალდებულებდით საანგარიშსწორებო ან დეპოზიტურ ანგარიშებზე თავისუფალი ფულადი სახსრებიც იმავე ბანკში მოათავსოს.

გარანტიის სხვა სახეობაა ის გარანტია, რომელსაც წარმოადგენს ფინანსურად მდგრადი ორგანიზაცია ან დაწესებულება. აქ გარანტიის წყაროდ გვევლინება ამ ორგანიზაციის საკუთარი სახსრები. სულ ახლახან დაწესებულებების დაკრედიტებისას, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი საბრუნავი სახსრების უკმარისობა, გამოიყენებოდა ზემდგომი ორგანიზაციიდან საგარანტიო წერილის მიღება. სესხებზე ვადაგადაცილებული გადასახდელების წარმოშობისას, მათი ანაზღაურება ხორციელდებოდა ზედგომი ორგანიზაციის ანგარიშიდან. თუ ბანკისათვის ღირებულება გარანტიით ხელს უწყობდა კრედიტის დროულ დაბრუნებას, მაშინ საწარმოსათვის ასეთ გარანტიებს ხშირად უარყოფითი მხარე გააჩნდა: ისინი გამოიწვევდნენ კმაყოფაზე მყოფის კრძნობას და საფინანსო საქმიანობის შედეგებზე საწარმოების პასუხისმგებლობის შემცირებას. ამჟამად გარანტიებს ფასიან საფუძველზე იძლევიან სადაზღვევო საზოგადოებები (გაერთიანებები). ამასთან გარანტიის გაცემის საფუძველია ორგანიზაციის ან დაწესებულების შემოწმება.

გარანტიების გაცემა შეუძლიათ ფინანსურად მყარ საწარმოებსაც, რომლებთანაც მსესხებელ-საწარმოს გააჩნია სისტემატური კავშირები (მაგალითად, მოცემული საწარმოს მომწოდებელი ან მყიდველი). თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია ინფორმაცია გარანტი საწარმოს კრედიტუნარიანობის შესახებ თუ მითითებულ საწარმოს ემსახურება იგივე ბანკი, რომელიც მსესხებელს ემსახურება, ასეთი ამოცანა უბრალოდ წყდება. რთულია, თუ გარანტ საწარმოს სხვა ბანკი ემსახურება. ამიტომ ამ მიზნისათვისაც მნიშვნელოვანია გაგაჩნდეს ერთიანი ცენტრი, რომელსაც ექნება ინფორმაცია ქვეყნის ნებისმიერი საწარმოს და ორგანიზაციის კრედიტუნარიანობის შესახებ.

აშშ-ში გარანტიებს იძლევიან ასევე სპეციალური სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, რომლებსაც მიზნობრივი ფონდები გააჩნიათ. ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს მცირე საწარმოების საქმიანობის ის ადმინისტრაცია, რომელსაც გააჩნია მათი განვითარების მიზნობრივი პროგრამა. ამ ორგანიზაციებზე სესხების 90 % გაიცემა მითითებული ადმინისტრაციის გარანტიით. ამასთან კრედიტისათვის გადაიხდევინება შეღავათიანი გასამრჯელო, კერძოდ საპროცენტო განაკვეთი 1-1,5 %-ზე ქვევით იმასთან შედარებით, რომელსაც იღებენ უგარანტიოდ გაცემულ კრედიტზე. მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად სახელმწიფო ფონდი შიზანშეწონილია ჩვენს ქვეყანაშიც შეიქმნას; ის შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მცირე ბიზნესის განვითარების საგარანტიო წყაროდ. ძირითადი წყარო საბანკო კრედიტი იქნებოდა.

გარანტიები შეიძლება ბანკებმაც გასცენ. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება საბანკო გარანტიები საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის და საერთაშორისო კრედიტების მისაღებად. აღნიშნული გარანტიები გაიცემა, როგორც სპეციალური დოკუმენტის სახით (საგარანტიო წერილი), ისე თამასუქზე (ავალზე) წარწერით.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გამოიყენება ერთი ბანკის მიერ მეორე ბანკისათვის გარანტიების გაცემა მეორე ბანკის მიერ პირველი ბანკის კლიენტისათვის კრედიტის გაცემის დროს. ასეთი სიტუაცია წარმოიშვება მაშინ, როდესაც ბანკს თავისი კლიენტისათვის კრედიტის გასაცემად თავისუფალი რესურსები არა აქვს, ან კრედიტის დიდი თანხის გაცემა მისი ბალანსის

ლიკვიდობას არღვევს. გარანტიების გაცემისას ბანკი არ კარგავს კავშირს კლიენტთან, თუმცა, მას არც აძლევს კრედიტს, ამავე დროს გააჩნია განსაზღვრული შემოსავალი.

ბანკის ლიკვიდობის რისკის თავიდან აცილების მიზნით, გარანტიული ოპერაციების განვითარების გამო, რსფსრ-ს ცენტრალურმა ბანკმა შეზღუდა საერთო თანხა, რომლებიც გაიცვლებოდა კომერციული ბანკების მიერ მისი საკუთარი სახსრების მოცულობის გარანტიით. კომერციულ ბანკს, სხვა ბანკის მიერ გარანტიის მიღებისას უფლება აქვს მიმართოს ცენტრალური ბანკის დაწესებულებას, სადაც გაწსნილია ბანკის საკორესპონდენტო ანგარიში, რომელიც გარანტიას იძლევა, თხოვნით დაადასტუროს ამ ბანკის გადამხდელუნარიანობა. ცენტრალურ ბანკს შეუძლია ბანკის გადამხდელუნარიანობა დაადასტუროს ან არ დაადასტუროს.

თავდებობა ასევე არის კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმა, ის გამოიყენება ბანკის, როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებთან ურთიერთმოქმედებისას. იურიდიულ პირებთან გამოყენებული თავდებობა, გარანტიისაგან განსხვავებით, ბანკსა და თავდებს შორის წერილობითი ხელშეკრულებით ფორმდება. მასთან შესაბამისად უკანასკნელი ვალდებულებას იღებს მსესხებლის ვალი კრედიტორს აუნაზღაუროს გარკვეული დროის განმავლობაში. ხელშეკრულებაში შეიძლება განსაზღვრული იქნას მაქსიმალური თანხა, რომლის ანაზღაურების გარანტიასაც თავდები იძლევა. კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ასეთი ფორმის გამოყენება მოითხოვს თავდების კრედიტუნარიანობის საგულდაგულო ანალიზს. თავდებობამ ფართო გამოყენება მოიპოვა მოსახლეობისათვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემისას. საზღვარგარეთის პრაქტიკაში თავდებად შეუძლია გამოსვლა ფიზიკურ პირს, რომელსაც მუდმივი სამუშაო, მუდმივი შემოსავალი და განსაზღვრული ქონება (სახლი, ავტომანქანა, აგარაკი, მიწის ნაკვეთი) აქვს. თავდებობა ფორმდება სანოტარო კანტორის მეშვეობით და ასახავს საწარმოს იურიდიულ პასუხისმგებლობას მეორე პირის მაგიერ, მის მიერ ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში.

საგარანტიო წერილების და თავდებობის მიღებისას, ასევე ავალის გაფორმებისას ბანკებმა საგულდაგულოდ უნდა შეამოწმონ ხელმოწერების უტყუარობა და იმ პირების უფლებამოსილება, ვინც ხელს აწერს. ამ მიზნისათვის ბანკთაშორის პრაქტიკაში არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება უფლებამოსილების პირობის (ხელმოწერების) წიგნი, სადაც დაფიქსირებულია იმ პირთა წრე, რომლებსაც საგადასახადო დოკუმენტებზე ხელის მოწერის უფლება აქვთ და მათი ხელმოწერის ნიმუშები.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში სესხის დროული დაფარვის უპირატესი და ხელმისაწვდომი ფორმაა გარანტიის მიღება. თუმცა, მას ახლავს განსაზღვრული სიძნელეებიც. საგირაო უფლების არაფორმალური გამოყენებისათვის აუცილებელია შესაბამისი წინაპირობები. მთავარ წინაპირობას წარმოადგენს საკუთრების ურთიერთობების განვითარება, რომელიც განპირობებულია საწარმოებისა და ორგანიზაციების ქონებრივი უფლებების და ვალდებულებების წარმოშობით. იმ პირობებში როდესაც კერძო საკუთრების დიდი ნაწილი სახელმწიფოს კუთვნილებაა, მოქმედი გირაოს უფლება ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმისათვის საგირაო კანონმდებლობის მიღების აუცილებლობა მოითხოვს სააქციო და საფონდო ბირჟების საქმიანობის განვითარებას აუქციონების, სპეციალისტების განსაკუთრებული შტატის არსებობას, რომლებიც შეძლებენ სავალო ქონების შეფასებას (მოძრავი და უძრავი). ამჟამად ეს წინაპირობები ჩასახვის სტადიაშია. ამიტომ კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ძირითად ფორმად გამოიყენება გარანტიები, რომლისაც სადაზღვევო საზოგადოებები, ბანკები და სხვა ორგანიზაციები იძლევიან. მაგრამ,

რადგან საგარეო გარანტია მოითხოვს ფინანსურად მყარი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობას, თავდების (გარანტის) საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის სპეციალურ კონტროლს, კრედიტის უზრუნველყოფის მოცემული ფორმა უპირატესი არ შეიძლება იყოს.

ჩვენს ქვეყანაში კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმის განვითარების პერსპექტივები, რომლებიც საზღვარგარეთის პრაქტიკაში გამოიყენება აუცილებელია დავუკავშიროთ რისკის შეფასებას, რომელსაც თითეული მათგანი შეიცავს.

საინტერესოა გფრ-ის გამოცდილება დაბრუნების უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმების ეფექტურობის შეფასების სამქულიანი სისტემის გამოყენებაზე და მასთან კრედიტების მაქსიმალური საზღვრის შესაბამისობაში მოყვანა. ქვემოდ მოყვანილია ნაკრები ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია ამ ფორმების დიფერენციული შეფასება (ქულებში).

ცხრილი 15

№№	კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმა	ქულების რაოდენობა	კრედიტის მაქსიმალური თანხა %-ში უზრუნველსოფასთან
1	იპოთეკა	3	60-80
2	ანაბრების გირაო, რომლებიც კრედიტის გამცემ ბანკებში იმყოფება	3	100
3	თავდებობა (გარანტიები)	2	თავდებობის (გარანტიის) კრედიტუნარიანობის მიხედვით - 100-მდე
4	ფასიანი ქაღალდების გირაო	2	ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც მყარი პროცენტი მოაქვთ, – 70-80; აქციები – 50-60
5	საქონლის მიწოდებაზე ან მომსახურებაზე მოთხოვნების დათმობა	1	20-40
6	საკუთრების უფლების გადაცემა	1	20-50

ქულების ყველაზე მეტი რიცხვი, რაც მაღალ ეფექტიანობაზე მიგვანიშნებს, გააჩნიათ იპოთეკასა და დეპოზიტური ანაბრების გირაოს. ამ შემთხვევებში შეიმჩნევა კრედიტის თანხის შედარებით მაქსიმალურად დიდი ოდენობა, მის უზრუნველყოფასთან მიმართებაში. ამასთან, იპოთეკის შეფასების სირთულეები ამცირებს კრედიტის მაქსიმალურ დონეს. ქულებში უფრო დაბალი შეფასება დაიმსახურეს თავდებობამ (გარანტიამ) და ფასიანი ქაღალდების გირაომ. თავდებობის არსებობის დროს კრედიტის მაქსიმალურმა თანხამ, როცა თავდებობა მაღალი კრედიტუნარიანია, შეიძლება 100 %-ს მიაღწიოს. თუ თავდების კრედიტუნარიანობა საეჭვოა, რისკის ხარისხი იზრდება, და ამიტომ ბანკს უფლება აქვს შეამციროს გასაცემი კრედიტის თანხა, ამ თანხასთან შედარებით, რომელიც მითითებულია თავდებობის შესახებ ხელშეკრულებაში, ან საგარანტიო წერილში. ყველაზე დაბალი ქულა დაბრუნების რისკის ზრდისა, გააჩნია მოთხოვნების დათმობისა და საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით.

5. საწარმოთა კლასიფიკაცია რისკის დონის მიხედვით ფინანსური მდგომარეობისა და კრედიტის უზრუნველყოფის ხარისხის გათვალისწინებით

კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმის გამოყენების სფერო ამ ფორმების ეფექტიანობის ხარისხის გათვალისწინებით დამოკიდებულია რეალურ ეკონომიკურ სიტუაციაზე, რომელიც მრავალი ფაქტორის გავლენით ფორმირდება. ამ ფაქტორებიდან მიიაჩარია მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და კრედიტის უზრუნველყოფის ხარისხი.

განვიხილოთ კრედიტორის კრედიტის დაუბრუნებლობის რისკისაგან დაცვის ამა თუ იმ ხერხის შერჩევის კონკრეტული პრაქტიკა გფრ-ის მაგალითზე. გფრ-ის ეკონომიკურ ცხოვრებაში მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა განისაზღვრება რენტაბელობის დონითა და საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის წილით. ამის შესაბამისად გამოიყოფა საწარმოთა სამი ჯგუფი, კრედიტის დროულად დაუბრუნებლობის რისკის ხარისხის დონეთა სხვადასხვაობასა, რომელთაც გააჩნიათ: 1 - უნაკლო ფინანსური მდგომარეობა, ე.ი. საკუთარი სახსრების სოლიდური ბაზა და რენტაბელობის მაღალი ნორმა; 2 - დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა; 3 - არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, ე.ი. საკუთარი სახსრების დაბალი ხვედრითი წონა და რენტაბელობის დაბალი დონე;

უზრუნველყოფის არსებობისა და ხარისხის მიხედვით ყველა საწარმო რისკის 4 ჯგუფად იყოფა, რომელსაც გააჩნიათ: 1 - უნაკლო უზრუნველყოფა; 2 - საკმაო, მაგრამ უზრუნველყოფის არახელსაყრელი სტრუქტურა; 3 - ძნელადშესაფასებელი უზრუნველყოფა; 4 - უზრუნველყოფის არადამაკმაყოფილებლობა.

უდავოა, რომ საწარმოების ამა თუ იმ ჯგუფზე მიკუთვნება, მოყვანილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ბანკისათვის დროულად დაუბრუნებელ კრედიტზე რისკის ხარისხი იცვლება. შესაბამისად იქმნება კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის აუცილებლობის ესა თუ ის ფორმა. საწარმოების რისკის ხარისხის მიხედვით შესაძლო კლასიფიკაცია ორივე ფაქტორის სხვადასხვა შეთანწყობით, რომლებიც მათზე გავლენას ახდენენ, შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ცხრილით:

ცხრილი 16

დაბრუნების ურუნველყოფა	ფინანსური მდგომარეობა		
	უნაკლო ფინანსური მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა	არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა
უნაკლო ურუნველყოფა	I	I	I
უზრუნველყოფის საკმარისი, მაგრამ არახელსაყრელი სტრუქტურა	I	II	III
ძნელად შესაფასებელი უზურნველყოფა	I	III	IV
არასაკმარისი უზურნველყოფა	I	IV	V

რენტაბელობის დონის და საკუთარი რესურსების არსებობის კუთხით შეიძლება გამოვყოთ საწარმოების 3 ჯგუფი, რომლებსაც შემდეგი ფინანსური მდგომარეობა აქვთ: 1 - უმწიკვლო ე.ი. საკუთარი სახსრების წილისა და რენტაბელობის დონე საშუალო დარგობრივ მაჩვენებელზე ზემოთ არის; 2 - დამაკმაყოფილებელი, ე.ი. შესაბამისი მაჩვენებლები - საშუალო დარგობრივ დონეზე არიან; 3 - არადამაკმაყოფილებელი, ე.ი. მოცემული მაჩვენებლები - საშუალო დარგობრივ დონეზე დაბლა არიან.

უზრუნველყოფის არსებობიდან და ხარისხიდან გამომდინარე გამოიყოფა 4 ჯგუფი, მათ შორის სამი ჯგუფი არასაკმარისი უზრუნველყოფით.

პირველ სამ ჯგუფს მიეკუთვნებიან საწარმოები, რომლებსაც გააჩნიათ: 1 - უნაკლო უზრუნველყოფა, რომელიც მის შემადგენლობაში დეპოზიტური ანაბრების სიჭარბით, ადვილად სარეალიზაციო ფასიანი ქაღალდებით, გადატვირთული საქონლით (დებიტორული ანგარიშებით), სავალუტო ფასეულობებით, მზა პროდუქციით, და საქონლით ხასიათდება; 2 - საკმარისი, მაგრამ არახელსაყრელი უზრუნველყოფის სტრუქტურით, რაც მეორე და მესამე კლასის ლიკვიდური სახსრების სიჭარბეს ნიშნავს; 3 - უზრუნველყოფის ძნელად შესაფასებელი სტრუქტურა, რაც წარმოების ხარჯების მნიშვნელოვანი თანხების არსებობას (სოფლის მეურნეობაში), დაუმთავრებელ წარმოებას და მოძველი პერიოდების ხარჯებს (მრეწველობა), ე.ი. მესამე კლასის ლიკვიდური სახსრების სტრუქტურის გაუარესებას ნიშნავს.

ვინაიდან ცხოვრებაში ეს ფაქტორები კომპლექსურად მოქმედებენ, ვარაუდობენ, რომ დადებითი ფაქტორების გავლენა უარყოფითის მოქმედებას ნიველირებას უკეთებს, შესაძლოა სხვაც - ერთი ფაქტორის უარყოფითი გავლენა გამართლებული იქნება სხვისი მოქმედებით. კრედიტის დაბრუნების რისკის პრობლემის განხილვისას კონკრეტულად ფაქტორების ეს ურთიერთკავშირი შეიძლება საწარმოების ტიპების შემდეგი კლასიფიკაციით იქნეს წარმოდგენილი. ყველაზე ცოტა რისკი კრედიტის დაუბრუნებლობისა აქვთ საწარმოებს, რომლებიც პირველ ტიპს მიეკუთვნებიან. ესაა საწარმოები, რომლესაც გააჩნიათ უნაკლო ფინანსური მდგომარეობა, უზრუნველყოფის არსებობისა და ხარისხისაგან დამოუკიდებლად. ან საწარმოები მათი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად უნაკლო უზრუნველყოფით.

სინამდვილეში კრედიტის დაბრუნების ძირითად წყაროს, როგორც წესი, წარმოადგენს რეალიზაციიდან ამონაგები და ლიკვიდური აქტივები, მათ შორის ისიც, რაც კრედიტის უზრუნველყოფას ემსახურება. შესაბამისად, კრედიტის დაუბრუნებლობის რისკი მინიმალურია, ან შეიძლება საერთოდ არ არის. თუ არსებობს ორივე ფაქტორი, ან უკიდურეს შემთხვევაში ერთი მაინც. სწორედ მეორე შემთხვევაში ნიველირება ხდება ერთ-ერთი ფაქტორის უარყოფითი მოქმედების მეორის დადებითი გავლენის შედეგად. ამ ტიპის საწარმოების მიმართ (იმათ გარდა, ვისაც არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა აქვს) კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფის ძირითად ფორმად მიზანშეწონილია ჩავთვალოთ რეალიზაციიდან ამონაგები, გარანტიის იურიდიულად გაფორმების გარეშე. საწარმოების ამ ჯგუფისათვის კრედიტის დაბრუნების შეკანშში აიგება ნდობაზე, რომელიც ეფუძნება მსესხებლის მყარ ფინანსურ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში ბანკი მნიშვნელობას არ ანიჭებს უზრუნველყოფის არც საკმარისობას, არც ხარისხს.

არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობის საწარმოების დაკრედიტება, რომლებიც მიეკუთვნება პირველ ტიპს უნაკლო უზრუნველყოფის გამო, მიზანშეწონილია შესაბამის უასეულობათა გირავნობით განხორციელდეს. ამ შემთხვევაში კრედიტის დაუბრუნებლობის რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი.

მეორე, მესამე და მეოთხე ტიპებს მიკუთვნებული საწარმოები განსაზღვრული რისკის არსებობისას მთლიანობაში წარმოადგენენ კრედიტუნარიანებს; მათ კრედიტის დაბრუნების ეკონომიკური წინაპირობები გააჩნიათ, რომლებიც იურიდიულად განმტკიცებულია. მაგრამ კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმები დიფერენცირებული უნდა იყოს.

მეოთხე ტიპის საწარმოებისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს მატერიალური ფასეულობების გირაო უზრუნველყოფის ხარისხის გათვალისწინებით.

მესამე ტიპის საწარმოებისთვის დამახასიათებელია, როგორც ფასეულობების გირაოს გამოყენება, ისე გარანტიები, შეიძლება ორივე ფორმა. ფორმის ამორჩევა დამოკიდებული იქნება რეალურ ეკონომიკურ სიტუაციაზე: უზრუნველყოფის შემადგენლობის შეფასებასა და კლიენტის ფინანსურ მდგომარეობაზე. მეოთხე ტიპის საწარმოების დაკრედიტება საჭიროა ან ფინანსურად მყარი ორგანიზაციის გარანტიით (რადგან მათ გააჩნიათ არასაკმაო საკუთარი წყაროები, სესხების ასანაზღაურებლად) ან კრედიტის დაუბრუნებლობის რისკზე სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებით. ამავე დროს ლოგიკურია სესხების გამოყენებაზე საპროცენტო განაკვეთი ამაღლდეს. ამ საწარმოებს გააჩნიათ კრედიტის თავის დროზე დაუბრუნებლობის მაღალი რისკი. ამის გამო, ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს მათი ფინანსური მდგომარეობისა და უზრუნველყოფის შემადგენლობის ანალიზს და ბოლოს,საწარმოების მეხუთე ტიპი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და ურთიერთობას ბანკის მხრიდან მაღალი რისკის ხარისხის გამო. თუმცა, საწარმოების ეს ტიპი ასევე არაერთგვაროვანია. მათ ერთ ნაწილს, წარმოების რეორგანიზაციის და მენეჯმენტის არსებობისას,ასევე ბანკის ფინანსური მხარდაჭერისას, შეუძლია გამოასწოროს თავისი რეპუტაცია. ამ საწარმოებს ბანკი არ ტოვებს დახმარების გარეშე, უწევს მათ დახმარებას, თავდებობის (გარანტიის) პირობით. საწარმოების მეორე ჯგუფი შეიძლება ჩავთვალოთ უიმედოდ, მათთან საკრედიტო ურთიერთობების დამყარება რეკომენდებული არ არის.

კრედიტის დაუბრუნებლობის შეფასების და დაცვის წარმოდგენილი სისტემა გაანგარიშებულია გარდამავალი პერიოდისათვის, როდესაც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საბაზრო მექანიზმის ბევრი ელემენტი: პირველი არის განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მხოლოდ ახლად არის დაწყებული პრივატიზაციის პროცესი, არ არსებობს გირაოზე კანონმდებლობა და მათ შორის, იპოთეკაზეც და ა.შ. პრაქტიკაში ამ სისტემის გამოყენება შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი მაგალითებით, რომელიც ახასიათებს დაწესებულებების მიხედვით რისკის ორი ფაქტორის სხვადასხვაგვარ შეხამებას: ფინანსური მდგომარეობისა და უზრუნველყოფის ხარისხის:

1 მაგალითი. საწარმო კრედიტს იღებს კომერციულ ბანკში მატერიალური მარაგებისა და საწარმოო ხარჯების ერთობლიობით. ამ საწარმოს ძირითადი პოზიციები 1 ივლისისათვის ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	(ათ. მან.)
1. კრედიტის დავალიანება ერთობლივი მატერიალური მარაგებისა და საწარმოო ხარჯების ქვეშ	1300
2. ერთობლივი უზრუნველყოფა	1400
მათ შორის:	
ნორმირებულ ფასეულობათა ზენორმატიული განაღდებული ნაშთები	100
გადატვირთული საქონელი	1250
რიშზე დეპონირებული სახსრების ნაშთი	50
3. უზრუნველყოფის ზედმეტობა	100

4. რენტაბელობა - საშუალო დარგობრივ დონეზე	15 %
5. საკუთარი სახსრების ხვედრითი წონა აქტივების საერთო თანხაში (მარეგულირებელი მუხლების გათვალისწინებით) საშუალო დარგობრივზე დაბალია.	12 %

დასკვნა:

1. სესხის დავალიანება სრული თანხით შეესაბამება მატერიალურ უზრუნველყოფას, რომელიც გაფორმებულია საკრედიტო ხელშეკრულებაში, როგორც ფასეულობათა გირაო.

2. კრედიტის უზრუნველყოფის სტრუქტურა ხასიათდება სწრაფად რეალიზებადი აქტივების სიჭარბით (96,1 %) და მაღალ ლიკვიდური სახსრებით (3,9 %), რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს, როგორც უმაღლო უზრუნველყოფა.

3. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

4. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება კრედიტის დაუბრუნებლობის მინიმალური რისკი.

მე-2 მაგალითი. საწარმოს დაკრედიტება წარმოებს ერთობლივი ობიექტით. მისი პოზიციები შემდეგია:

	(ათ. მან.)
1. მოკლევადიანი სესხის დავალიანება	1300
2. ერთობლივი უზრუნველყოფა	1400
მათ შორის:	
ნორმირებული ფასეულობების (საწარმოო მარაგების) ზენორმატიული ანაზღაურებული ნაშთი	1200
გადატვირთული საქონელი	200
3. უზრუნველყოფის ზედმეტობა	100
4. რენტაბელობა (საშუალო დარგობრივზე დაბალი)	8,3 %

დასკვნა:

1. სესხის დავალიანებას სრული თანხით შეესაბამება მატერიალური უზრუნველყოფა.

2. უზრუნველყოფის სტრუქტურა ახასიათებს მას, როგორც არასაკმარისად სასურველს, რადგან 92,3 % შეადგენს საწარმოო მარაგების ზენორმატიული ნაშთები

3. ფინანსური მდგომარეობა - არადამაკმაყოფილებელია.

4. კრედიტის დაუბრუნებლობის რისკი საკმაოდ მაღალია - რისკის III ჯგუფი.

მე-3 მაგალითი. სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, რომელიც ბანკიდან მთლიან ობიექტზე იღებს სესხს, გააჩნია შემდეგი პოზიციები:

	(ათ. მან.)
1. მოკლევადიანი სესხის დავალიანება	1300
2. უზრუნველყოფა	1400
მათ შორის:	
დაუმთავრებელი წარმოების ზენორმატიული ნაშთები	800
წარმოების მარაგების ზენორმატიული ნაშთები	300

გადატვირთული საქონელი
3. უზრუნველყოფის ზედმეტობა 300
4. რენტაბელობა - საშუალო დარგობრივზე დაბალი 100
5. აქტივების საერთო თანხაში საკუთარი სახსრების ხვედრითი წონა 2,3 %
8,5 %

დასკვნები:

1. მატერიალური უზრუნველყოფა საკმარისია.
2. უზრუნველყოფის სტრუქტურა ძნელი შესაფასებელია, რადგან მნიშვნელოვანია დაუმთავრებელი წარმოების ხვედრითი წონა- 61,5 %
3. ფინანსური მდგომარეობა - არადამაკმაყოფილებელია.
4. კრედიტის დაუბრუნებლობის რისკი მაღალი - IV ჯგუფი.

შე-4 მაგალითი. საწარმომ მიიღო მოკლევადიანი კრედიტი მიმდინარე საწარმოო საჭიროებებზე (ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელ ნაკეთობათა ანაზღაურება) მისი პოზიციები შემდეგია:

	(ათ.მან.)
1. სესხის დავალიანება	1300
2. უზრუნველყოფა	1000
მათ შორის:	
საწარმოო მარაგების ზენორმატიული ნაშთები	800
გადატვირთული საქონელი	200
3. უზრუნველყოფის დანაკლისი	300
4. რენტაბელობა (საშუალო დარგობრივზე დაბალი)	8,3 %
5. საკუთარი სახსრების ხვედრითი წონა აქტივების საერთო ჯამში (საშუალო დარგობრივზე დაბალი)	12 %

დასკვნები:

1. ადგილი აქვს სესხზე დავალიანების არასაკმარის მატერიალურ უზრუნველყოფას.
2. უზრუნველყოფის სტრუქტურა - არასაკმარისად ხელსაყრელია; საწარმოო მარაგებში ზენორმატიული ნაშთების წილი ძალზე დიდია (61,5 %).
3. ფინანსური მდგომარეობა - არადამაკმაყოფილებელი.
4. კრედიტის დაუბრუნებლობის რისკი - დიდია V ჯგუფი.

პრივატიზაციისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის პრინციპის განვითარებისა და გირაოს შესახებ კანონის მიღებისას, სადაც აღიარებული იქნება აქციონერთა შესაძლებლობები კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფისათვის ფართოვდება,

მაშინ რეალურ უზრუნველყოფას დაემატება: დეპოზიტური ანაბრები, ხანგრძლივად არაგაუფასურებადი აქციონერთა, ფასეულობათა გირაო, თავდებობა (საწარმოს მაღალი კრედიტუნარიანობისას). ნაკლებად სასურველი უზრუნველყოფა მოიცავს კრედიტორისათვის საკუთრებაზე უფლებების გადაცემას, თავდებობას (თავმდებლის დამაკმაყოფილებელ კრედიტუნარიანობისას), აქციონერთა, ხანგრძლივი დროით, ფასიან ქაღალდებს, არასაკმარისი

მაღალი ბრუნვადობით. ძნელად შესაფასებელი უზრუნველყოფა მოიცავს: ფასეულობების გირაოს (მსესხებლის განკარგულებით და შენახვით), აქციონერთა (შეფასების სიძნელეები და კრედიტის დიდი თანხა), ფასიან ქაღალდებს (სახელმწიფო ობლიგაციები, ხანგრძლივი ვადით), თავდებობას (თავმდების დაბალი კრედიტუნარიანობისას).

დაკრედიტების ვადიანობის ფორმები. საკრედიტო ურთიერთობების სფეროში პრივილეგიების ზედაპირზე დაკრედიტების ვადიანობა წარმოადგენს სესხის გამოყენების პერიოდის განსაზღვრას და ბანკის უფლებას ამ პერიოდის დამთავრების შემდეგ დავალიანების გადახდევინებაზე. თუმცა, ვადიანობის პრინციპის უფრო ღრმა განმარტება დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საფუძველთან, ასევე ამოსავალ კრიტერიუმებზე სესხის დაფარვის მეთოდების საწყისი კრიტერიუმების ამორჩევასთან. როგორც ცნობილია, დაკრედიტების ვადიანობის ეკონომიკურ საფუძვლად ფონდების წრებრუნვა გვევლინება. პირდაპირი საბანკო დაკრედიტების დროს ვადიანობას საფუძვლად უდევს დაკრედიტების ობიექტი. ცალკეული ობიექტებისათვის დაკრედიტების ვადებისა და ფონდების ცალკეული ელემენტების მოძრაობის კავშირი. ნაშთის მიხედვით დაკრედიტების დროს ვადიანობის ამ ფორმის არსი შემდეგში მდგომარეობს.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დაკრედიტებისას, სესხების დაფარვა მათი შემცირების გეგმის შესაბამისად წარმოებს. მსესხებელი, ბანკში წარადგენს დასაკრედიტებელ მატერიალურ- ფასეულობათა მოძრაობის გეგმას.

ცხრილი 17

დასაკრედიტებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობის გეგმა (ათ. მან.)

ვარიანტი	კვარტლის დასაწყისში – ზენორმატიულად გადახდილი ნაშთი	მოძრაობა პირველ თვეში			მოძრაობა მეორე თვეში			მოძრაობა მესამე თვეში		
		შემოსავალი	გასავალი	ნაშთი პირველი თვის ბოლოს	შემოსავალი	გასავალი	ნაშთი მეორე თვის ბოლოს	შემოსავალი	გასავალი	ნაშთი კვარტლის ბოლოს
	20	40	10	50	50	20	80	50	30	100
I ვარიანტი	100	40	30	110	30	20	120	50	10	130
II ვარიანტი	100	10	20	90	–	30	60	–	40	20
III ვარიანტი	100	10	20	90	–	10	80	–	10	70
მათ შორის: დაკრედიტების მიხედვით 50 ათ. მან.										

ამ გეგმის საფუძველზე სესხების ანაზღაურების ვადები განისაზღვრება. ანსხვავებენ ვადის ორ ნაირსახეობას - პირობითს და კონკრეტულს. საკრედიტო ფასეულობების ნაშთების ზრდის და სტაბილიზაციის დროს, ასევე, როდესაც მათ შემცირებას არაუზრუნველყოფილი დავალიანების შექმნა არ უნდა გამოეწვია. ანაზღაურების პირობითი ვადა შეადგენ კვარტალის პირველი თვის 25 რიცხვია. თუ ანაზღაურების ვადა I კვარტალში საკრედიტო ფასეულობების გეგმიური მოძრაობის საფუძველზე განისაზღვრება, მაშინ ასეთ პირობით ვადას 25 აპრილი წარმოადგენს. პირობითი ვადის დადგომამდე მსესხებელმა მეორე კვარტალისათვის მოძრაობის გეგმა უნდა წარადგინოს, საიდანაც ვხედავთ, თუ როგორ იცვლება დასაკრედიტებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთები - იზრდება თუ მცირდება.

თუ ნაშთი აგრძელებს ზრდას, (ცხრილის I ვარიანტი) ან რჩება ძველ დონეზე, ანაზღაურების პირობითი ვადა ახალ პირობით ვადაზე, მოცემულ მაგალითში 25 ივლისს, გადაფორმდება. ვადების გადაფორმება ერთი სასწრაფო ვალდებულებების მეორეთი შეცვლით ხორციელდება, თუ დაგეგმილია საკრედიტო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების შემცირება დავალიანების დონესთან შედარებით, მაშინ დადგინდება კრედიტის დაბრუნების კონკრეტული ვადები რადგან ამ შემთხვევაში სამეურნეო ბრუნვიდან ფულადი სახსრები გამონთავისუფლდება.

ასევე ცხრილში მოყვანილი III ვარიანტიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომლის დროსაც მხოლოდ ნაწილია დაკრედიტებული. თუ დაგეგმილია ამ ნაშთის შემცირება, მაგრამ მისი სიდიდე კვარტალის განმავლობაში მთლიანად უზრუნველყოფს დავალიანებას, მაშინ საჭიროა ანაზღაურების პირობითი ვადა 25 აპრილი, ახალ ვადაზე - 25 ივლისზე, გადაფორმდეს.

ასეთივე პრინციპი დევს წარმოების დანახარჯების დასაბრუნებელი სესხის ვადების განსაზღვრის საფუძველშიც. მაგალითად, სეზონურ დანახარჯებზე სესხის ანაზღაურების კონკრეტული ვადის დადგენის შემთხვევაში, საწარმოს გეგმიური მოცდენის პერიოდში, გამოდის კალენდარული წლის დასაწყისიდან. დანახარჯების გეგმიური თანხიდან და მათი ანაზღაურების სიდიდიდან. უკანასკნელი დამოკიდებულია გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე და დასაკრედიტებელი ზეკნადები ხარჯების სიდიდეზე, რომლებიც ჩართულია ერთეული პროდუქციის თვითღირებულებაში შედის. ხარჯების აუნაზღაურებელი ნაწილი განსაზღვრავს კრედიტში მოთხოვნილებას.

პრაქტიკამ აჩვენა აღწერილი სესხის ანაზღაურების წესების არარაციონალური მხარეები. სესხის გაფორმების მომენტში ძნელია მომავალი, მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების მომავალი მერყეობის გათვალისწინება. ნედლეულის შემოსავლის და ხარჯის ურთიერთშეფარდება, პროდუქციის გამოშვების რიტმულობა და ა.შ. ეს მოუქნელობა ანაზღაურებაში მათი გადაძლევის მრავალრიცხოვან მცდელობას იწვევდა: საგადასახადო კალენდრების დაშუშავება, სესხების დაფარვის გადავადება.

როდესაც დაკრედიტების ერთეულ ობიექტად გამოდიოდნენ გადატვირთული საქონელი, სესხები საანგარიშსწორებო დოკუმენტებით გზაში გაიცემოდა დოკუმენტბრუნვის ვადის მიხედვით. 1954-57 წლებში დაწესებული იყო ე.წ. "ნორმალური" ვადა, რომლის განსაზღვრისას არ იყო გაითვალისწინებული მრავალი ფაქტორი, რომლებიც მის ხანგრძლივობაზე ახდენენ გავლენას. ეს იწვევდა არა სრულ ან ზედმეტ დაკრედიტებას. ამიტომ საკრედიტო ურთიერთობების განვითარების უმეტეს პერიოდში დავალიანების ანაზღაურება ფაქტიურ ვადებს ეფუძნებოდა, ე.ი. შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის დაკრედიტების დრო, ფაქტიური დოკუმენტის ვადის ტოლი იყო. იგი განისაზღვრებოდა იმის მიხედვით,

წარმოადგენდა თუ არა გადმოტვირთვა სხვა ქალაქურ, თუ ერთქალაქური იყო. აღნიშნულ ვადაში შედიოდა დრო,რომელიც აუცილებელი იყო ორივე ბანკის მიერ დოკუმენტების დასამუშავებლად. ორივე ბანკს შორის (ორ ბოლოში) ხოლო წინასწარი აქცეპტის დროს ასევე მეიდველის დოკუმენტების აქცეპტის ვადა შედიოდა. სხვაქალაქური გადატვირთვებისას დოკუმენტების ბრუნვის ფაქტიური ვადა იწურებოდა. ე.ი. დოკუმენტი ამოიღებოდა უზრუნველყოფიდან, მისი გადახდისას (სრული ან ნაწილობრივი), შემოსული ცნობების გადაუხდელობის მიზეზებზე ან აქცეპტზე უარისას. ერთქალაქური გადატვირთვების დროს კრედიტის ვადა გაიანგარიშებოდა ანგარიშსწორების დროის გათვალისწინებით, რაც დაკავშირებული იყო აქცეპტის წესთან და დოკუმენტბრუნვის ხანგრძლივობაზე. გადამხდელის ალგილმდებარეობაზე დამოკიდებულებით.

ერთეული ობიექტის ბრუნვის მიხედვით დაკრედიტებისას კრედიტის ვადიანობის ფორმას ბანკების პრაქტიკულ საქმიანობაში გეგმიური გადასახდელი წარმოადგენდა. მისი სიდიდის განსაზღვრის საფუძველია დასაკრედიტებელი მატერიალური ფასეულობების ხარჯვა. ეკონომიკურად ეს გამართლებული იყო ფასეულობათა მარაგების შემცირებით (მათი ხარჯვის მიხედვით), რაც ნიშნავდა სამეურნეო ბრუნვიდან სახსრების გამოთავისუფლებას, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ადრე მიღებული სესხების ასანაზღაურებლად. ფასეულობების გასავლებში იგულისხმება არა მარტო მათი წარმოებაში გამოყენება, არამედ სხვა ორგანიზაციებზე გადაცემაც. მაგალითად, გეგმური გადასახდელების, ნედლეულის და საყიდი ნაწვარფაბრიკატების სპეციალური სასესხო ანგარიშით დაკრედიტებისას მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებისთვის ხორციელდებოდა შემდეგნაირად:

(ათ.მან.)

1. სპეციალური სასესხო ანგარიშით საკრედიტო სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების ხარჯი საწარმოს გეგმის მიხედვით კვარტალში (თვეში)	650
2. მომავალ კვარტალში (თვეში) სამუშაო დღეების რიცხვი	65
3. ყოველდღიური გეგმიური გადასახდელები (1 ხაზი : 2 ხაზზე)	10

გეგმიური გადასახდელების დადებით მხარეს წარმოადგენს ფონდების ბრუნვადობის გეგმიური ვადების დაცვაზე ზემოქმედება. თუმცა, ამ ზემოქმედების ეფექტურობა ამცირებდა მოცემული ვადის გაგრძელებაზე გეგმური გადასახდელის გადარიცხვებს. დავალიანების განაღდების მოცემული წესის ნაკლი იმაში გამოსახატება, რომ ფინანსური გასაჭირისას, ასევე ფონდების ბრუნვადობის დაჩქარების შემთხვევაში, მსესხებელი არ უზრუნველყოფდა სესხის სრულ დაბრუნებას, შესაბამისად მათი ბრუნვადობის დასრულების გამო. დაკრედიტების რამდენიმე ერთეული ობიექტის ერთ სასესხო ანგარიშზე კონცენტრაციისას, როდესაც კრედიტით არის გაშუალედებული ფონდების წრებრუნვის უმეტესი ან ყველა სტადია, ჩვენ საბანკო პრაქტიკაში, კრედიტის ვადიანობა უზრუნველყოფილი იყო და უზრუნველყოფილი იქნება სასესხო ანგარიშზე ამონაგების ჩარიცხვით. ასეთი მექანიზმისას სესხის დაბრუნება დაკავშირებულია ფონდების წრებრუნვის სრულ დამთავრებასთან და წყაროს გამოჩენასთან დავალიანების დასაფარავად. ამონაგების წყარო, რომელიც შემოსულია საწარმოების და ორგანიზაციების სპეცსასესხო ანგარიშების კრედიტზე (დამამზადებლების გარდა), რეგულარულად გადაირიცხებოდა ანგარიშსწორების ანგარიშზე. ეს განკუთვნილი იყო იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რომლებიც ანგარიშსწორების ანგარიშიდან იყო გადახდილი.

ამონაგების გაყოფა ორ ნაწილად - დავალიანების გასანაღდებლად დარჩენილი და ანგარიშსწორების ანგარიშზე გადარიცხული, განსაზღვრება დაკრედიტების ობიექტით, ასევე სპეციალურ სასესხო და საანგარიშსწორებო ანგარიშებს შორის საგადასახადო ბრუნვის განაწილებით.

კრედიტის ვადიანობის ფორმება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში არ შეიძლება არ იყოს დაკავშირებული ფონდების ღრებრუნვასთან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს მკაცრი რეგლამენტაცია კლიენტების დავალიანების მეთოდების. მეთოდის ამორჩევა ხდება საკრედიტო გარიგების მონაწილეების მიერ სახელშეკრულებო საფუძველზე.ამორჩევისას საჭიროა ბანკების წინა გამოცდილების გათვალისწინება, რომელმაც გამოავლინა ღალებითი და უარყოფითი მხარეები კრედიტის ვადიანობის ყველა განხილული ფორმის.

აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის გარემოებაც, რომ წინა პირობებში მსესხებელი ვალის დაბრუნებაში არ იყო დაინტერესებული. დაფარვის ცალკეული წესების ნაკლოვანებები შეიძლება არც გამოვლინდეს საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

ამავე დროს, სათამასუქო და სარისკო საბანკო დაკრედიტების პერსპექტივა, სამომხმარებლო და კომერციული კრედიტისა, განვითარების პერსპექტივა მოითხოვს ვადიანობის ფორმების დამუშავებისას, გავითვალისწინოთ მსესხებლის კრედიტუნარიანობაც, როგორც ვალის დაბრუნების საფუძველი. თუ პირველი კლასის მსესხებლები შეძლებენ დაფარონ დავალიანება ფონდების ღრებრუნვის ფაქტიური დამთავრების ან სახსრების შემოსვლის შედეგად, მაშინ სხვა კლიენტების მიმართ საჭიროა სესხების განაღდების ვადებზე (ვადიანი ვალდებულებები, გეგმიური გადასახდებულები) გამოყენებული იქნას მკაცრი რეგლამენტაცია.

სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, ადგილობრივი მეურნეობის, დამამზადებელი ორგანიზაციების დაკრედიტების მექანიზმში მატერიალური მარაგების და საწარმოო ხარჯების ერთობლიობით, ასევე საკუთრი და მომარაგება- გასაღების ორგანიზაციების საქონლის და სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთობლიობით, დავალიანების განაღდება ფონდების ღრებრუნვის ფაქტიურ დასრულს ეფუძნება. პირველი სესხის ღროს ის, როგორც წესი, საოპერაციო დღის ბოლოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე თავისუფალი სახსრების ხარჯზე წარმოებს. მეორე სესხის ღროს-ხელსასესხო ანგარიშზე ამონაგების ნარიცხვის გზით. ასეთი წესი არ უპასუხებს კომერციული ბანკების ინტერესებს, რომლებიც საკუთარი ვადიანი რესურსების საზღვრებში მუშაობენ. სესხების განაღდების ვადებით უფრო მკაცრი რეგლამენტაცია სახოფლო-სამეურნეო საწარმოებთან ურთიერთობების წესებით იყო გათვალისწინებული. ეს დასაბუთებულია, რადგან სახოფლო-სამეურნეო საწარმოები ხშირად უფრო ნაკლებ კრედიტუნარიანებია, ვიდრე ის მსესხებლები, რომლებიც სხვა დარგებს მიეკუთვნებიან. განხორციელდა პირდაპირი კავშირი ფონდების ღრებრუნვის გეგმური ვადების დასრულებასა და მატერიალური ფასეულობის და წარმოების ხარჯების ქვეშ გაცემული სესხების დაფარვის შორის, საკუთარი ხაბრუნავი სახსრების ნორმატივის გათვალისწინებით, აგრეთვე იმ სესხების, რომლებიც გაცემულია ერთიან ობიექტებზე. დავალიანების განაღდება ხდება ანგარიშსწორების ანგარიშიდან ვადიანი ვალდებულებების საფუძველზე. სახოფლო-სამეურნეო საწარმოებში ვადიანი ვალდებულებები ამოირჩევა პროდუქციის ხარჯებზე დადგენილი გარდაქმნის შესაბამისად. დასაფარი სესხების სიდიდის და

ვადების განსაზღვრის მეთოდი, რომლებიც გაცემულია ერთეულ ობიექტებზე, საკრედიტო მარაგების და ხარჯების მოძრაობის გეგმის ემყარება.

ბაზრის პირობებში პრანციპულად ახალი ფაქტორებიც ჩნდება, რომლებიც მოითხოვენ ვალის გადახდის, კომერციული ბანკის რესურსების შეზღუდვის. თუ ბანკმა ვერ შესძლო საკმაო სიდიდის საკრედიტო რესურსების მობილიზება და ითხოვს სესხის ვადაზე ადრე დაფარვას, მაშინ ის კლიენტის წინაშე ხელშეკრულების დარღვევისათვის მატერიალური პასუხისმგებელი უნდა იყოს, ეს აწყვეს ბანკის დაინტერესება+საკრედიტო რესურსების ბრუნვადობის დაჩქარებაზე, ამასთან გამოიყენება საპროცენტო განაკვეთების სკალა, რომელიც ითვალისწინებს კრედიტზე პროცენტის ფასიდაკლებას, კრედიტის ბრუნვადობის დაჩქარებისას გეგმასთან ან საბაზო პერიოდთან შედარებით. ამ ბრუნვადობის შესწავლებისათვის საჭიროა დანამატების გამოყენება.

ამრიგად, დაკრედიტების ვადიანობის ფორმების სახით, შეიძლება გამოვყოთ სასესხო ანგარიშზე ამონაგების ნარიცხვა, ანგარიშსწორების ანგარიშიდან გეგმიური გადასახდელებია დაფარვა ვადიანი ვალდებულებების საფუძველზე, დაფარვა ნორმატიული ვალების ნაზღვრებში, დაფარვა უზრუნველყოფის ნაშთის ფაქტორივი ცვლილებების შესაბამისად, დაფარვა საოპერაციო ღღის ბოლოს ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული სახსრების თავისუფალი ნაშთის ანგარიშზე. დავალიანების განაღდების წესების ამორჩევის კრიტერიუმად შეიძლება დავასახელოთ კრედიტით ფონდების ღრებრუნვის გაშუალეების ხარისხი და ბანკის რისკი, რომელიც დაკავშირებულია სესხების დაბრუნებასთან, დაკრედიტების სხვადასხვა ობიექტების და მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე დამოკიდებულებით.

კრედიტით უზრუნველყოფის შინაარსი და შეფარდების მიზანი. კრედიტის მატერიალური ფასეულობებით უზრუნველყოფის პრანციპი დადგენილი იყო 1930-1932 წ.წ. საკრედიტო რეფორმით, პირდაპირ საბანკო დაკრედიტებაზე გადასვლის გამო. პირველ ეტაპზე ამ პრანციპის განვითარება დაკავშირებული იყო გირავის ფორმების ცვლილებასთან: მყარი გირაოდან გადასვლა ამ საქონლის გირაოზე, რომელიც ბრუნვაშია, ან გადამუშავებაშია. ეს ნიშნავდა კრედიტის უზრუნველყოფის ხარისხის ზოგიერთ ცვლილებას. თუმცა, უზრუნველყოფად გვევლინებოდნენ მსესხებლის მატერიალური ფასეულობები, ფონდების ღრებრუნვის ყველა სტადიის უშუალო დაკრედიტებაზე გადასვლამ განსაზღვრა უზრუნველყოფის ხარისხის შემდგომი განვითარება. სესხების გაცემა სასაქონლო ღოკუმენტების ქვეშ, აგრეთვე, მიზნობრივი საწარმოო კრედიტების გაცემა ჯერ კიდევ საკრედიტო რეფორმამდე, ნიშნავდა დავალიანების უზრუნველყოფას გადატვირთული საქონლით, ე.ი. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით, რომელიც მოძრაობის პროცესშია მწარმოებლიდან მომხმარებლამდე, აგრეთვე, მომავალში პროდუქციის გამოსავალიანობა. თუ საკრედიტო რეფორმამდე ძირითადად ვითარდებოდა წარმოების ჭეშმარიტი დანახარჯების დაკრედიტება, 60-იანი წლების შუახანებიდან დაიწყო წარმოების არაჭეშმარიტი დანახარჯების დაკრედიტება: გასაშვები დანახარჯები, ხარჯები რომლებიც დაკავშირებულია ახალი პროდუქციის გამოშვებასთან და ახალი ტექნოლოგიური პროექტების ათვისებასთან, ახალი მანქანების გამოშვებასთან, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოსთან. ყოველივე ამის შედეგად, ამაღლდა იმ სესხების ხვედრითი წონა, რომლებიც პროდუქციის მომავალი გამოსავალიანობით იყო უზრუნველყოფილი.

კრედიტის უზრუნველყოფის ხარისხი უარესდებოდა იმ სესხების სფეროს გაფართოებით, რომლებიც დაკავშირებული არ იყო პირდაპირ მატერიალურ უზრუნველყოფასთან (საგადასახდელო სესხები, კრედიტები, რომლებიც განაპირობებენ გადანაწილებით ოპერაციებს, სესხები საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დროებით დასაფარავად). ამ სესხებს შეუძლიათ ატარონ, როგორც საბანკო ხასიათი, ისე გაიწიონ მსესხებლის ან სახალხო მეურნეობის სხვა უბნების უზრუნველყოფა, მაგრამ ამ შემთხვევაში კრედიტით უზრუნველყოფას წარმოადგენს არა ობიექტების ერთობლიობა, რომელიც წარმოიშვა კვლავწარმოების პროცესში, არამედ თვით ეს პროცესი, სახსრების მუდმივი ბრუნვა და წრებრუნვა.

სესხების უზრუნველყოფაზე კონტროლის განვითარება ხასიათდებოდა უზრუნველყოფის წანასწარ შემოწმებით და ოპერატიული მონაცემებით უზრუნველყოფის შემოწმებაზე თანდათანობით უარის თქმით. შესამოწმებელი პერიოდების გახანგრძლივებაზე, ადგილზე უზრუნველყოფის შემოწმების შემცირებაზე, ცალკეული ობიექტების შემოწმებიდან ჯგუფის სახეობის სესხების უზრუნველყოფის ერთდროულ შემოწმებაზე გადასვლა. ხოლო შემდეგ ერთობლივი (გამსხვილებული) ობიექტის შემოწმება.

სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკების კომერციულ ბანკებად გარდაქმნის მოშენტისათვის, უზრუნველყოფის შემოწმების ძირითადი სახეობა გახდა ბალანსით უზრუნველყოფის შემოწმება. ამის მიზანი იყო დავალიანების, საკრედიტო ფასეულობებით და ხარჯებთან შესაბამისობაში მოყვანა. ხდება დავალიანების შეფარდება უზრუნველყოფასთან; განისაზღვრება უზრუნველყოფის სიჭარბეზე (მეტობა) ან ნაკლებობა; სიჭარბის არსებობას წარმოადგენს დამატებითი სესხების გაცემის საფუძველს, ხოლო ნაკლებობა - დავალიანების დასაფარავად წარდგენის საფუძველი.

დაკრედიტების ობიექტების გამსხვილების პროცესმა გამოიწვია ის, რომ უზრუნველყოფა ხშირად ერთობლივ ხასიათს ატარებს.

ეკონომიკის ცენტრალიზებული გეგმიური მართვის პირობებში, როცა დაკრედიტების მექანიზმი აგებული იყო დაკრედიტების ობიექტზე, უზრუნველყოფის შემოწმება წარმოადგენდა სესხის დაბრუნებაზე კონტროლის მთავარ რგოლს, ოღონდ, სიმშვიდე ასეთ სიტუაციაში მოჩვენებითი იყო. მაგალითად, კლიენტის საკუთარი სახსრებით ცუდი უზრუნველყოფა და ამის გამო კრედიტის ხარჯზე მუდმივი მარაგის შექმნა, იწვევდა ბანკის სესხების გაყინვას. ცნობილია, რომ დიდი ზეგეგმური მარაგების დაგროვება ბანკის მიერ მხოლოდ ნაწილობრივ დაკრედიტებულია, ითვლებოდა ბანკის არგადახდების ძირითად მიზეზად. სესხის დაბრუნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უზრუნველყოფის ხარისხს, კლიენტის ბალანსის ლიკვიდობას, კრედიტის ეკონომიკური საზღვრების დაცვას. სწორედ ეს წარმოადგენს დაკრედიტების მექანიზმზე გადასვლის ერთ-ერთ მიზეზს, მექანიზმი კი აგებულია კლიენტის კრედიტუნარიანობაზე.

უზრუნველყოფის შემოწმება სესხის დაბრუნების თაობაზე კონტროლის მთავარი მიმართულებიდან, დამატებით მიმართულებად გადაიქცევა. კრედიტის დაბრუნების გარანტიის საფუძველს წარმოადგენს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება და ამის საფუძველზე დაკრედიტების პირობების დამუშავება. ამის გარდა, ბანკისათვის ვალის დასაბრუნებლად, დიდი მნიშვნელობა აქვს გარანტიების და თავდებობას, რომლებიც წარდგენილია კრედიტუნარიანი იურიდიული პირების მიერ.

დავალიანების უზრუნველყოფის შემოწმება

დარგი	უზრუნველყოფის ხასიათი	ბანკის ოპერაციები გამოვლენის დროს	დავალიანების
1	2	3	4
მრეწველობა არასეზონური დარგები	კრედიტის ერთობლივი უზრუნველყოფა მატერიალური ფასეულობების ბრუნვის და ხელფასზე დანახარჯების მიხედვით	სესხები გაიცემა დაკრედიტების საკონტროლო ციფრების შეუსაბამობის სახლრებში	წარედგინება გადასახდელად თვის ბოლო ღღეს საკონტროლო ციფრის სახლვრებზე გადამეტების შემთხვევაში
სეზონური დარგები: მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობა	სასოფლო--სამეურნეო ნედლეულის მარაგები და მათი გადმუშავების პროდუქტები	კრედიტი გაიცემა სესხის უზრუნველყოფის სიჭარბის სრული თანხით	ამოიღება მთლიანი თანხით
ხე-ტყის მრეწველობა	დავალიანების ერთობლივი უზრუნველყოფა სპეციალურ სესხთა ანგარიშზე, რომელშიც შედის ხე-ტყის მარაგების და მისი დაცურების ხარჯები		
დამამზადებელი ორგანიზაციები	დავალიანების ერთობლივი უზრუნველყოფა სპეციალურ სესხთა ანგარიშზე, რომელიც შეიცავს სახოფლო-სამეურნეო ნედლეულის მარაგებს, ვალდებულებებს საავანსო კრედიტზე და გადატვირთულ საქონელს		
სოფლის მეურნეობა საბჭოთა მეურნეობები	დავალიანების უზრუნველყოფა სპეციალურ სასესხო ანგარიშზე კრედიტის გეგმური სიდიდის სახლრებში	გაცემული სესხი მცირდება საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის სიჭარბის თანხით	ამოიღება მთლიანი თანხით

1	2	3	4
კლიენტურა	ხაბრუნავ ხახრებზე ფაქტობრივი ნარჩატუში ღობის ხვნა, შეპარიხპირებული ხაბრუნავი ხახრების დაფარვის წყვილებით	ხესხი გაიცემა კრედიტის გამოუყენებელი გეგმური ხისდიდის ხაზღვრებში	ამოიღება მთლიანი თანხით
ჯიჭრობა	ხაკლიალური ხასხხი ანგარიშის ღაგალიანების ერთობლივი უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს ხაქონლი მარაგებს, გარდა დაკრედიტებული გეგმური ხესხებით და ხაანგარიშწორებო დოკუმენტები გზაში ქვეშ დაკრედიტებული	ხესხი გაიცემა კრედიტის გამოუყენებელი გეგმური ხისდიდის ხაზღვრებში	ამოიღება მთლიანი თანხით
მომარაგება-გაყიდვების ორგანიზაცია	ხაკლიალური ხასხხი ანგარიშის ღაგალიანების ერთობლივი უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს ხაქონლი მარაგებს, გარდა დაკრედიტებული გეგმური ხესხებით და ხაანგარიშწორებო დოკუმენტები გზაში ქვეშ დაკრედიტებული	ხესხი გაიცემა დაკრედიტების ოთხუეული ციფრის ხაზღვრებში	ამოიღება მთლიანი თანხით თვის უკანასკნელ ხამუშაო დღეს

თ ა ვ ი XI

კომერციული ბანკის ლიზინგური ოპერაციები

1. ლიზინგის წარმოშობისა და განვითარების ისტორია

პროდუქციის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის მჭიდრო კავშირურთიერთობათა საუკუკელზე მათი დაფიანსებისა და დაკრედიტების პრინციპულად ახალი წყაროები წარმოიქმნება და ვითარდება. ასეთ ახალ წყაროდ წარმოგვიდგება ლიზინგი.

ლიზინგის იდეა ახალი არ არის, ისტორიკოსებისა და ეკონომისტების აზრით ლიზინგური გარიგების დაიებული ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დიდი ხნით ადრე შემორების ქრისტეს ხახლიწოდება. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ არისტოტელე შეხვდა ლიზინგის იდეის ტრაქტატში "ხიმდიდრე მდგომარეობს გამოყენებაში და არა საკუთრების უფლებაში", რომელიც დაწერილია დაახლოებით 350 წელს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ევროპაში უკვე მე-11 საუკუნეში აწარმოებდნენ გარიგების, რომლებიც ჰგავდნენ ლიზინგურ ოპერაციებს: ევროპელები კრებს და ხატრო გემების მეც. იბერძლებს იმ დროს ძალიან ძვირად ღირდა ცხენის აძლევდნენ. ხათხინაობის დამთავრებისას "თუკის ფასკელობები" უბრუნდებოდა მათ მფლობელებს, რომლებიც შემდეგ ისევ გაიცემდნენ მათ ოქარით.

ევროპაკური ლექსიკონის შესაბამისი ტერმინის "ლიზინგ"-ს (ინგლისურიდან lease – გაქირავება) ეკავშირებენ საუკეთესო კომპანია "ზელის" ოპერაციებს, რომლის ხელმძღვანელობამ 1877 წელს მიიღო გადაწყვეტილება კი არ გაეყიდათ თავისი ტექნიკური აპარატები, არამედ ოქარით გაეცა. თუმცა პირველი ხაზოგადოება, რომლის საქმიანობის საფუძველი ლიზინგური ოპერაციები გახდა შექმნილი იყო 1952 წელს ხან-ფრანცისკოში ეს იყო ამერიკული კომპანია "ოუნიტედ სტეიტს ლიზინგ კორპორეიშენ" და ამგვარად, აშშ გახდა ახალი ბიზნესის ხამშობლო. 60-იანი წლების შუაში ამ ქვეყანაში ლიზინგური ოპერაციები 1 მილიარდ დოლარს შეადგენდნენ, ხოლო 80-იანი წლების ბოლოს მათ 110 მილიარდ დოლარს გადაჭარბეს. კ.ი. მეოთხედ საუკუნეში 100 ჯერ მეტად გაიზარდნენ. ოქარის ოპერაციების ასეთ სწრაფი ზრდა გამოწვეულია განსაზღვრული უპირატესობით, რომლებსაც პარტნიორები ლიზინგური გარიგებით იღებდნენ. ამჟამად, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, წარმოების ტექნიკური გადაიარაღების, ხამეურნეო ხუბიექტები ლიზინგურ ოპერაციებს ანიჭებენ უპირატესობას.

აშშ-ში ლიზინგი ეკონომიკური ბიზნესის ერთ-ერთ ძირითად ხახედ გადაიქცა. ახალი ლიზინგური კომპანიების სწრაფი ზრდა, რომლებიც თავიანთ მომხახურებას და ლიზინგური ხელშეკრულებების პირობების მრავალფეროვნებით მოლოდაკია შესთავაზეს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში მწარმოებლებს მიერ ანუკიტაციური ხახრების შეძენის სხვადასხვანაირი კრიტერიუმის განხაზღვრის. მოგვიანებით ლიზინგურმა კომპანიებმა "ხაეთანიო-ლიზინგური ხაზოგადოებების" ხახელი მიიღეს. მათ დაიწყეს ოქარის გაცემის გზით, მწარმოებლებისათვის მათი პროდუქციის გასაღების გზების უზრუნველყოფა. ასეთ გარიგებებსა და მასთან დაკავშირებულ რისკების დაეთანხმა.

ევროპელი ექსპერტები პირველი ხაეთანიო-ლიზინგური ხაზოგადოებები 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდნენ. თუმცა, ლიზინგური ოპერაციების

განვითარება შეფერხებული იყო მათი სტატუსის განუსაზღვრელობის გამო, სამოქალაქო, სავაჭრო და საგადასახადო კანონმდებლობის პოზიციიდან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საგადასახადო კანონმდებლობაში ლიზინგურ ხელშეკრულებათა სტატუსის სამართლებრივმა განმტკიცებამ პოვა გამოხატულება, მათი ზრდა ხასიათდება მაღალი ტემპებით.

60-იანი წლების დასაწყისში ლიზინგურმა ბიზნესმა აზიის კონტინენტზედაც პპოვა განვითარება.

ამჟამად, ლიზინგური მომსახურების მსოფლიო ბაზრის ძირითადი ნაწილი თავმოყრილია სამკუთხედში -" აშშ-დასავლეთ ევროპა-იაპონია". დასავლეთ ევროპაში ლიზინგის გამცემად გამოდიან უპირატესად სპეციალიზებული ლიზინგური კომპანიები, მათ უმეტეს შემთხვევაში 70-80 % ბანკები აკონტროლებენ ან მიიჩნევენ თავიანთ ქალიშვილ საზოგადოებებად.

იაპონიისათვის დამახასიათებელია ლიზინგური ოპერაციის გაფართოება მომსახურებების დაფიანსებიდან "მომსახურებების პაკეტის" წარდგენამდე, რომელიც მოიცავს ყიდვა- გაყიდვის ლიზინგისა და სეხნების კომბინაციებს. ასეთმა მომსახურებამ კომპლექსური ლიზინგის სახელწოდება მიიღო.

ლიზინგური მომსახურებების საერთაშორისო ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე დინამიურია. ექსპერტების შეფასებით 1988 წლის დასაწყისისათვის ლიზინგის პირობებით 250 მილიარდი დოლარის ძირითადი ფონდები იქნა რეალიზებული. მაშინ, როდესაც 1979 წელს მან შეადგინა მხოლოდ 50 მილიარდი დოლარი.

კაპიტალურ დაბანდებათა მთლიან თანხაში მანქანებსა და მოწყობილობებში ლიზინგის წილზე მოდიოდა: აშშ-ში - 25-30 %, ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში 13-17 %, იტალიაში, ჰოლანდიაში - 12-14 % , ავსტრიაში, დანიაში, ნორვეგიაში - 8-10%, იაპონიაში - 8-10 %.

ლიზინგის ევროპული ბაზარი მიუხედავად მისი სწრაფი განვითარებისა, ტემპებით რამდენადმე ჩამორჩება აშშ-ს, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსა და ავსტრალიას. ავსტრალიაში, თითქმის, 33 % საერთო სამრეწველო კაპიტალური დაბანდებებისა ლიზინგის საფუძველზე წარმოებს. აშშ-ში ელექტრონული გამოთვლელი მანქანების, პოლიგრაფიული და ენერგეტიკული მოწყობილობების ლიზინგის პირობებით შეძენა ხდება. ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობისათვის ლიზინგის წილი 58 % შეადგენს, სამგზავრო თვითმფრინავებისათვის და ჩარხებისათვის 50 %-ს. ყველაზე მეტი გამოყენება ლიზინგმა მიიღო სწრაფად ცვლადი ტექნოლოგიის დარგებში და გამოთვლით ტექნიკაში, მანქანათმშენებლობაში, კავშირგაბმულობის საშუალებათა წარმოებაში, ელექტრონულ მოწყობილობაში და ა.შ.

საერთაშორისო ლიზინგური ინსტიტუტების შექმნა თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელია . ასე მაგალითად, ევროპული ლიზინგური საზოგადოებების გაერთიანება (შტაბ-ბინა ბრიუსელში) 17 ევროპული სახელმწიფოს საზოგადოებებსა და კავშირებს მოიცავს.

რიგ სახელმწიფოებში სამთავრობო ორგანოები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად ლიზინგს ისე იყენებენ, როგორც განსაკუთრებულ ფორმას. ასე მაგალითად, იაპონიაში მცირე საწარმოებისათვის სპეციალურად არის შექმნილი ლიზინგური მომსახურებების უზრუნველმყოფელი ორგანოების სისტემა. კერძოდ, 1966 წელს დაარსებული ლიზინგ მოწყობილობის სისტემაში კრედიტორების სახით მონაწილეობენ საკონსალური და საპრეფექტო მთავრობები.

აქამდე ჩვენს ქვეყანაში ლიზინგი შედარებით მცირე მოცულობით, მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობაში, გამოიყენებოდა. მიუხედავად ამისა, დაახლოებით 2,5 ათასი დაწესებულების და ორგანიზაციის შემოწმებამ, ГООМЗ-ის პეტერბურგის განყოფილებამ ჩატარა მომხარაგების რიგი

ინფორმაციული ორგანიზების განყოფილებებთან ერთად, გვიჩვენა, რომ მოთხოვნილების 50 % ანაზღაურების, მოწყობილობების და სხვა ტექნიკის ოპერაციის პირობებით მოხმარების აუცილებლობას ქმნის. სპეციალიზებული, ლიზინგური ერთობლივი საწარმოების შექმნამ განაცალა. რიგ ქვეყნებში("კოლუმბი", "ანტერლიზერლიზინგი") და ლიზინგური კომპანიების ("რიჩია", ჰალდვალიზინგი") და კომერციული ბანკების ამ ოპერაციების შესრულებაში აქტიური ჩართვით ხასიათდება ლიზინგური მომსახურების ბაზარი. ასე მაგალითად, 1990 წლის III კვარტალში კომერციული ბანკების ლიზინგური ოპერაციების მოცულობამ 55,1 მილიარდი მანეთი შეადგინა.

თუმცა, ბევრი კომერციული ბანკი ლიზინგურ ხელშეკრულებებში გარიგების მაღალ ტექნოლოგიანი საქონლის (ეგმ, ვიდეოტექნიკა, ავტოსატრანსპორტო საშუალებებიX გაყიდვაზე ექსპლუატაციაზე მალევ. შეიმჩნევა სხვა ტენდენციაც. კომერციული ბანკები ლიზინგს მაკეთებენ სხვა მომსახურებების ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ლიზინგზე ოპერაციების თავისებურებების ანალიზთან ლიზინგური ოპერაცია, თავისი კონსტრუქციით, ერთ-ერთ ყველაზე კარგი რთული საფინანსო ოპერაციის წარმოადგენს.

2. ლიზინგის ცნება და ლიზინგის ძირითადი სახეობანი

ლიზინგური გარიგების არსი. მსოფლიო პრაქტიკაში ტერმინი "ლიზინგი" გამოიყენება გარიგებების სხვადასხვა სახეების აღსანიშნავად, რომლებიც ვადის მიხედვით ხანგრძლივი ვადით ქონების საქონლის ოპარიზე დაფუძნებული. მასზე, როგორც წესი, ოპარის ხელშეკრულება ვრცელდება, ანსხვავებენ სამ სახეობას: - მოკლევადიანი ოპარა (რენტინგი) - ვადით ერთი ღღიდან ერთ წლამდე; - საშუალოვადიანი ოპარა (პაირინგი) - ერთი წლიდან 3 წლამდე; - გრძელვადიანი ოპარა (ლიზინგი) - 3-დან 20 წლამდე და მეტი ხნით.

ამიტომ, ლიზინგი საერთოდ გულისხმობენ მანქანების და მოწყობილობების გრძელვადიან ოპარას, ან ოპარის ხელშეკრულებას მანქანებზე და მოწყობილობებზე, რომლებიც ნაწილია ოპარის გამცემის მიერ მოპარებისათვის, მისი სამრეწველო გამოყენების მიზნით, მასზე ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში ოპარის გამცემზე საკუთრების უფლების შენარჩუნებით. ამრიგად ამასა, ლიზინგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ძირითად ფონდებში დაბანდებების დაფინანსების სპეციფიკური ფორმა, განხორციელებული სპეციალიზებული (ლიზინგური) კომპანიის შუამავლობით, რომელიც მეზობე პირისათვის იძენს ქონებას და გასცემს მას ოპარით გრძელვადიანი პერიოდით. ლიზინგური კომპანია ფაქტიურად აკრედიტებს მოპარეს. ამატომ, ლიზინგს ზოგიერთ ქვეყნებში ყიდვა- გაყიდვის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით "კრედიტ-ოპარას" უწოდებენ, რომლის მიხედვითაც საქონელზე საკუთრების უფლება გაღლის გამყიდველიდან მყიდველზე, ლიზინგის დღის საკუთრება ოპარის ვადაზე შენარჩუნებულია ოპარის გამცემის მიერ, ხოლო ლიზინგის მიმღები მას მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის იძენს. ლიზინგური ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღებს შეუძლია შეიძინოს გარიგების ობიექტი შეთანხმებული ფასით, გააგრძელოს სალიზინგო ხელშეკრულება ან დაუბრუნოს მოწყობილობა მფლობელს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.

ეკონომიკური კუთხით ლიზინგი ჰგავს კრედიტს, რომელიც მოწყობილობის საყიდლად გაიცემა, ძირითადი ფონდების კაპიტალიზაციის სწრაფად დაჩქარებულ ვადაში შეკვეთ ვადასახადება. ამასთან ბანკი კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად დასაკრედიტებული

ობიექტის საკუთრებაზე სესხის სრულ დაფარვამდე ანარიცხების უფლების. ლიზინგის დრო მოიჯარე მხოლოდ ხელშეკრულების ვადის გასვლის და საჯარო ქონების სრული ღირებულების გადახდის შემდეგ ხდება იჯარით აღებული ქონების მფლობელი. თუმცა, ასეთი მსგავსებ დამახასიათებელია მხოლოდ ფინანსური ლიზინგისათვის. ლიზინგის სხვა სახეობა, ოპერატიულ ლიზინგი, უფრო მოწყობილობების კლასიკურ იჯარას ჰგავს.

ლიზინგური გარიგება თავისი იურიდიული ფორმით გრძელვადიანი იჯარის ანუსტიტუციურ ფასეულობების თავისებურ ჩანს წარმოადგენს. ლიზინგური ოპერაციების შკითი განსაზღვრა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ლიზინგურ გარიგებად არ იცნობა, თ დაღგენილი კანონის ყველა წესით არ იქნება გაფორმებული, მაშინ გარიგების ყველა მონაწილე ფინანსური სისწორეები მოელის.

ლიზინგური ოპერაციების ძირითადი ელემენტები. ლიზინგური გარიგების საფუძველ შეადგენენ: - გარიგების ობიექტი; - გარიგების სუბიექტი (ლიზინგური ხელშეკრულების მხარეები - ლიზინგური ხელშეკრულების ვადა (ლიზის პერიოდი); - ლიზინგური გადასახდელები; ლიზინგით გაცემული მომსახურება.

ლიზინგის ობიექტი. ლიზინგური გარიგების ობიექტი შეიძლება იყოს მატერიალური ფასეულობების ნებისმიერი სახეობა, თუ იგი საწარმოო ციკლში არ ნადგურდება. საჯარო ობიექტის ხასიათის მიხედვით ანსხვავებენ მოძრავი და უძრავი ქონების ლიზინგს.

ლიზინგის სუბიექტი. ლიზინგური გარიგების სუბიექტები წარმოადგენენ მხარეებს, რომლებსაც გარიგების ობიექტთან უშუალო ურთიერთობა აქვთ. ამასთან ისინი შეიძლება დავყოთ პირდაპირ და ირიბ მონაწილეებად.

ლიზინგური გარიგების პირდაპირ მონაწილეებს მიეკუთვნებიან:

ლიზინგური ფირმები და კომპანიები (ლიზინგის ან იჯარის გამცემი) საწარმოო (სამრეწველო და სახოფლო-სამეურნეო), სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებები და მოსახლეობა (ლიზინგის გამცემები ან მოიჯარეები).

გარიგების ობიექტის მომწოდებლები - საწარმოო (სამრეწველო) და სავაჭრო კომპანიები;

ლიზინგური გარიგების ირიბ მონაწილეებს წარმოადგენენ კომერციული და საინვესტიციო ბანკები, რომლებიც ლიზინგის გამცემებს აკრედიტებენ და გამოღიან გარიგებების გარანტიებს, სადაზღვევო კომპანიები, საბროკერო და სხვა საშუამავლო ფირმები.

ნ ყველა ფირმას, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ერთიერთობებს იჯარის სახეობებისაგან დამოუკიდებლად (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი). თავისი საქმიანობის ხასიათით ისინი იყოფიან ვაჭრობაეციალიზებულად და უნივერსალებად.

ჩვეულებრივ ვაჭრობაეციალიზებულ კომპანიებს საქმე აქვთ საქონლის (მსუბუქი ავტომობილები, კონტეინერები) ერთ სახეობასთან ან სტანდარტული სახეობის საქონლის ერთ ჯგუფთან (სამშენებლო მოწყობილობები, მოწყობილობები საოფისო საწარმოებისათვის). ამ ფირმებს, როგორც წესი, გააჩნიათ მანქანების საკუთარი პარკი ან მოწყობილობების მარაგები და კლიენტის პირველივე მოთხოვნისთანავე გასცემენ მათ მომხმარებელზე (მოჯარეზე). ძირითადად ლიზინგური კომპანიები თვითონ ახორციელებენ ტექნიკური მომსახურების და თვლს აღევნებენ, რომ არ დაირღვეს "დახანულის" მისი ნორმალური საექსპლოატაციო მდგომარეობა.

უნივერსალური ლიზინგური ფირმები სხვადასხვა სახეობის მანქანებსა და მოწყობილობებს გადასცემენ იჯარით. ასეთი მოიჯარეს აძლევენ უფლებას ამოირჩიოს მომწოდებელი მისთვის აუცილებელი მოწყობილობებისათვის, მოთხოვნის განსაგებისა და გარიგების ობიექტის მიღების.

იჯარის საგნის ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს ახორციელებს ან მომწოდებელი ან თვით ლიზინგის მიმღები. ამრიგად, ლიზინგის გამცემი ფაქტიურად ასრულებს დაწესებულების ფუნქციას, რომელიც საფინანსო გარიგებების ორგანიზაციას ახორციელებს.

ლიზინგური ფირმები იშვიათ შემთხვევაში ითვლებიან დამოუკიდებლებად, ე.ი. სხვა კომპანიების მიმართ სათანადო კავშირების არ მქონედ. უმეტესად ისინი გვევლინებიან, როგორც სამრეწველო-სავაჭრო ფირმების, ბანკებისა და სადაზღვევო საზოგადოებების ფილიალები ან შვილობილები. უმეტეს შემთხვევაში ლიზინგური კომპანიები პირველი კატეგორიის ფირმებს ან ბანკებს მიეკუთვნებიან და მათი კონტროლის ქვეშ არიან.

აშშ-ს კომერციულმა ბანკებმა ლიზინგურ ოპერაციებში უშუალო მონაწილეობის მიღება 60-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს. ლიზინგური ბიზნესის გაფართოებამ შემდგომ წლებში საფუძველი დაუდო 1971 წ. ფედერალური სისტემის მართვის ფედერალური საბჭოს გადაწყვეტილების მიღებას, რაც ბანკებს საშუალებას აძლევდა დაწესებულიყო შვილობილი ფირმები, ჯერ მცირე საკუთრებების და მოწყობილობების, შემდეგ კი უძრავი ქონების იჯარით გასაცემად.

ბანკების დაწერგეს ლიზინგური მომსახურებების ბაზარზე აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ ლიზინგი ბიზნესის კაპიტალმოცულობით სახეობას წარმოადგენს, ხოლო ბანკები - ძირითადი ფულადი რესურსების მფლობელებს. მეორე, ლიზინგური მომსახურებები თავსათავ ეკონომიკური ბუნებით მჭიდროდ არიან დაკავშირებული საბანკო კრედიტებთან. ამ უკანასკნელს თავისებურ ალტერნატივად ევლინებიან. ფინანსურ ბაზარზე კონკურენცია ბანკებს ამ ოპერაციების აქტიური გაფართოებისაკენ უბიძგებს. ამასთან, ბანკები დამოუკიდებელ ლიზინგურ ფირმებსაც აკონტროლებენ და მათზე კრედიტების გასცემენ. ლიზინგური სახოგადოებებს კრედიტებით ისინი ლიზინგის მიმღებს სასაქონლო- კრედიტის ფორმით ირიბად აფინანსებენ.

ლიზინგური ოპერაციების განმახორციელებელი ფირმების მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან სამრეწველო და საშენებლო ფირმები, რომლებიც ჩასაბარებლად იყენებენ საკუთარი გასაღების აპარატს. ლიზინგური ფირმების მესამე კატეგორია სხვადასხვა შუამავალ და სავაჭრო ფირმებს მოიცავს.

ლიზინგის ვადა. ლიზის პერიოდის ქვეშ იგულისხმება ლიზინგური ხელშეკრულების მოქმედების ვადა. რადგან ლიზინგი წარმოადგენს გრძელვადიანი იჯარის განსაკუთრებულ ფორმას, ამიტომ მაღალი ღირებულების და გარიგების ობიექტების სამსახურის ხანგრძლივობის ვადა ლიზის პერიოდის ხანგრძლივობაზე არის დამოკიდებული.

ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები ლიზინგური ხელშეკრულების ვადის დადგენისას ითვალისწინებენ შემდეგ მომენტებს:

მოწყობილობის მომსახურების ვადა, განსაზღვრული მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით. ლიზინგური კონტრაქტის ვადა არ შეიძლება აჭარბებდეს მოწყობილობის ექსპლუატაციის შესაძლებელ ვადას. ხელშეკრულების ვადა შეიძლება შემოიფარგლოს კანონმდებლობით. მაგალითად, ავსტრიაში ქვედა ზღვარი 40 %-ის ღირებულებაზე იმყოფება; ხოლო ზედა შეადგენს - 90 %.

მოწყობილობების ამორტიზაციის პერიოდის სამეურნეო ორგანიზებით აღებენ. საფინანსო ლიზინგზე, ჩვეულებრივ, ხელშეკრულების ვადა ამორტიზაციის პერიოდს ემთხვევა.

გარიგების უფრო მოქნილია ან იყოს ანალოგის გამოვლინების ცდილი. ამ ფაქტორის მხედველობაში მიღება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ დარგებში, რომლებიც გამოსაშვები პროდუქციის განახლების მიკლე ვადებში ახორციელებენ.

ინფლაციური პროცესების დინამიკა. ლიზინგის გამცემისათვის ხელსაყრელი არ არ
ხელშეკრულება სწრაფად მზარდი ინფლაციისას, ხანგრძლივი ვადით დაფიქსირებული საოჯარ
გადასახდელებით გაიფორმოს. და პირიქით, ფასების შემცირების ტენდენციისას, ლიზინგი
გამცემი მაისწრაფის უფრო ხანგრძლივი დროის შეთანხმებისაკენ.

სასესხო კაპიტალების ბაზრის კონიუნქტურა და მისი განვითარების ტენდენციებ
ლიზინგური კომპანიები ფართოდ იყენებენ საბანკო კრედიტებს. საპროცენტო განაკვეთების დონ
გრძელვადიან კრედიტებზე, რომლებიც წარმოადგენენ ლიზინგური პროცენტის საფუძველ
ახლენს უშუალო გავლენას ლიზინგური შეთანხმების ხანგრძლივობაზე.

ლიზინგის ღირებულება. ლიზინგური ოპერაციების პრაქტიკაში ყველაზე უფრო რთულ მომენტ
წარმოადგენს ლიზინგური (საოჯარო) გადასახდელებით იმ თანხების განსაზღვრა, რომლებიც
ლიზინგოდიმცემს ერგება. მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ოპერაციის, ხარჯიდან გადასახდელები
თანხა დადგინდება საოჯარო საქონლის ბაზრის კონიუნქტურით. გრძელვადიანი ოპერაციის (ლიზინგის
ლიზინგური გადასახდელების საფუძველში ჩადებ შეთანხმებული ანგარიშები, რა
დაკვშირებულია გრიგების ობიექტის ღირებულებასთან და ლიზინგური კონტრაქტის ხანგრძლივ
ვადასთან. მრავალი ექონომისტი ამსთან აღნიშნავს, რომ ლიზინგსა და კრედიტორებს შორის მსგავსებას
მიუხედავად, ლიზინგის პირობების დაშვებაც და მისი დოკუმენტური გაფორმება უფრო რთულ საქმეს
წარმოადგენს. იგი სპეციალურ მომზადებას და ცოდნას მოითხოვს.

ნებისმიერი ლიზინგური გადასახდელის შემადგენლობაში შეიძლება შემდეგი ძირითადი
ელემენტები: - ამორტიზაცია; - გადასახდელები რესურსებისათვის, რომლებიც მოზიდულია
ლიზინგის გამცემის მიერ გრიგებით განსახორციელებლად; - ლიზინგური მარჟა, რომელშიც
ჩაიგულისხმება ლიზინგის გამცემის შემოსავალი მის მიერ გაწეული მომსახურებებზე (1-3 %); -
სარისკო პრემია, რომლის სიდიდე დამოკიდებულია ლიზინგის გამცემის მიერ გაწეული
სხვადასხვა რისკების დონეზე.

რესურსებზე გადასახდელი, ლიზინგური მარჟა და სარისკო პრემია შეადგენენ ლიზინგურ
პროცენტს. საოჯარო გადასახდელების თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანუიტეტების
(კონკრეტულ სესხზე ყოველწლიური გადასახდელები) ფორმულა, რომელიც გამოხატავს ყველა
პირობის (კონტრაქტის თანხები და ვადები, ლიზინგური პროცენტის დონე, გადასახდელების
პერიოდულობა) ურთიერთდაკავშირებულ მოქმედებას მათ სიდიდეზე. ამ ფორმულის ასეთი სახე აქვს:

$$P = A \times \frac{L : T}{1 - 1 : (T + L : T)^{T \times W}}$$

სადაც:

P - საოჯარო გადასახდელების თანხა;

A - ამორტიზაციის თანხა ან საოჯარო ქონების ღირებულება;

W - კონტრაქტის ვადა;

L - ლიზინგური პროცენტი;

T - საოჯარო გადასახდელების პერიოდულობა;

მოცემული ფორმულის გამოყენებით ვარკვევთ გრაფიკს, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი საოჯარო გადასახდელის თანხა უცვლელი

რჩება. მაგალითად, საოჯარო მოწყობილობის ღირებულებისას 15000 ერთეულით, ხელშეკრულების ვადით 5 წელი განკუთით 9 % გადასახდელების კვარტალური პერიოდულობით (სამ თვეში ერთხელ) მათი თანხა მუდმივად 956,3 ერთეულის ტოლი იქნება (15,000 X 0,063 75)..

$$15000 \times (0{,}09 : 4) : (1 - 1 : (1 + 0{,}09 : 4))^{5 + 4} = 1500 \times 0{,}06375 = 956{,}3 \text{ ერთ.}$$

ლიზინგური ხელშეკრულების დადებისას, როგორც წესი, საოჯარო ქონების ღირებულების ხარჯი ამორტიზაცია არ გათვალისწინება. ეს დამოკიდებულია ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობაზე. ასე მაგალითად, აშშ ფედერალური კანონის თანახმად, საანგარიშო ხალაკვდაცო ღირებულება (ნარჩენი ღირებულება) ცვლის გამოანგარიშებას ამ შემთხვევაში არ გამოიქვითება, თუ ის არ აღემატება საწყისი ღირებულების 10 %-ს.

ამასთანავე, ცვეთის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს მოწყობილობის საწყის და ლიკვიდაციურ ღირებულებას შორის სხვაობას.

გადასახდელი თანხის განსაზღვრისათვის, რომელიც შესწორებულია კლიენტის მიერ ნარჩენი ღირებულების არჩეულ სიდიდეზე, გამოიყენება დისკონტური მამრავლის ფორმულა:

$$1 : (1 + OC \times 1 : (1 + L : T)^{TW}$$

სადაც: **OC** - ნარჩენი ღირებულება.

თუ ჩვენს მაგალითში ნარჩენი ღირებულების სიდიდეს ავიღებთ 5 %-ს (0,05), მაშინ დისკონტური მამრავლის სიდიდე გამოიხატება 0,9689.

$$1 : (1 + 0{,}05 \times 1 : (1 + 0{,}09 : 4)^{5 \times 4} = 1 : 1{,}03204 = 0{,}9689$$

თუ პირველი საოჯარო გადასახდელი ავანსით ხორციელდება ე.ი. მოიჯარის მიერ მოწყობილობის მიღების ოქმის ხელმოწერის მომენტში, შესაბამისად, არა ბოლოს არამედ პროცენტული პერიოდის დასაწყისში პროცენტის ყოველკვარტალური გადახდით, მაშინ გადასახდელი თანხების გაანგარიშება კიდევ ერთხელ განსწორდება ფორმულით:

$$1 : (1 + L : T)$$

ან

$$1 : (1 + 0{,}09 : 4) \approx 1 : 1{,}0225 \approx 0{,}9779$$

საბოლოოდ საოჯარო გადასახდელის თანხა, რომელიც ლიზინგურ შეთანხმებაში არის შესული 906,0 ერთეულის ტოლი იქნება (15000 x 0,06375 x 0,9689 x 0,9779).

ამ შემთხვევაში წლების მიხედვით საოჯარო გადასახდელების გრაფიკს შემდეგი სახე ექნება (ცხრილი № 19).

ცხრილი № 19

საიჯარო გადასახდელების გრაფიკი წლების მიხედვით

გადასახდელების პერიოდულობა (კვარტალი)	ნარჩენი ღირებულობა პერიოდის დასაწყისისათვის (A-5)	საიჯარო გადასახდელები	მათ შორის	
			პროცენტები 2 · (0,09:4)	ამორტიზაცია 3-4
I	15000,0	906,0	—	906,0
II	14094,0	906,0	317,1	588,9
III	13505,1	906,0	303,9	602,1
IV	12903,0	906,0	290,3	615,7
პირველი წლის ჯამი		3642,0	911,3	2712,7
I	12287,3	906,0	276,8	629,6
II	11657,7	906,0	262,3	643,7
III	11014,0	906,0	247,8	658,2
IV	10355,8	906,0	232,9	673,1
მეორე წლის ჯამი		3642,0	1019,4	2604,6
I	9682,7	906,0	217,8	688,2
II	8994,5	906,0	202,4	703,6
III	8290,9	906,0	186,5	719,5
IV	7571,4	906,0	170,3	735,7
მესამე წლის ჯამი		3642,0	777,0	2847,0
I	6835,7	906,0	153,7	752,3
II	6083,4	906,0	136,7	769,3
III	5314,1	906,0	119,5	786,5
IV	4527,6	906,0	101,8	804,2
მეოთხე წლის ჯამი		3642,0	511,7	3112,3
I	3723,4	906,0	83,7	822,3
II	2901,1	906,0	65,2	840,8
III	4060,3	906,0	46,3	859,7
IV	1200,6	906,0	27,0	879,0
მეხუთე წლის ჯამი		3642,0	222,2	3401,8
ნარჩენი ღირებულება	321,6	328,8	7,2	321,6
სულ ხუთი წლის განმავლობაში		18448,8	3448,8	15000,0

ლიზინგით გაცემული მომსახურებები. ლიზინგი ხასიათდება მომსახურებების მრავალი სახეობით, რომლებიც ლიზინგის მიღებაზე შეიძლება გაიცეს. ამ მომსახურებების ყველა სახეობა პირობითად ორ ჯგუფად იყოფა;

ტექნიკური მომსახურებები ის მომსახურებებია, რომლებიც დაკავშირებულია: ლიზინგის ობიექტის კლიენტის მიერ მითითებულ ადგილზე ტრანსპორტირებასთან; ლიზინგით გადაცემული მოწყობილობის მონტაჟთან და გამართვასთან; მოწყობილობების ტექნიკურ მომსახურებასთან და მიმდინარე რემონტთან (განსაკუთრებით რთული, ახალი მოწყობილობების შემთხვევაში).

საკონსულტაციო მომსახურებები - მომსახურებები დებეგრის საკითხებზე, გარიგების გაფორმებაზე და სხვა.

ლიზინგური ოპერაციების სახეობები. ლიზინგური მომსახურებების თანამედროვე ბაზარი ხასიათდება ლიზინგის ფორმის მრავალფეროვნებით, ლიზინგური კონტრაქტების მოდელებით და თურიდული ნორმებით, რომლებიც ლიზინგურ ოპერაციებს არეგულირებენ. ლიზინგის არსებული ფორმები შეიძლება ორ ძირითად ხედ გავერთიანოთ - ოპერაციულ და ფინანსურ ლიზინგად.

ოპერაციული ლიზინგი - ეს არის საიჯარო ურთიერთობები, რომლის დროსაც ლიზინგის გამცემის მიერ ობიექტში გაცემული საგნების შეძენისა და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები ერთი ლიზინგური კონტრაქტის განმავლობაში საიჯარო გადასახადებით არ იფარება.

ოპერატიული ლიზინგისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი მახვენებლები:

ლიზინგის გამცემს იმედი არა აქვს ლიზინგური გადასახდელების შემოსავლის ხარჯზე ერთი ლიზინგის მიმღებისგან ანახლაურის ყველა ხარჯი.

ლიზინგური ხელშეკრულება, როგორც წესი, ფორდება 2-5 წლით, რაც გაცილებით ნაკლებია მოწყობილობის ფიზიკური ცხეთის ვადებზე და ლიზინგის მიმღების მიერ ნებისმიერ დროს შეიძლება დაირღვეს.

დაზიანების რისკი ან ობიექტის დაკარგვა ძირითადად ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობის ქვეშაა. ლიზინგურ ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებული იქნას ლიზინგის მიმღების განსაზღვრული პასუხისმგებლობა მასზე გადაცემული ქონების გაუფრთხილებისათვის, მაგრამ მისი სადღეც ქონების საწყის ფასზე გაცილებით ნაკლებია.

ლიზინგური გადასახდელების განაკვეთი ჩვეულებრივ, მაღალია, ვიდრე ფინანსურ ლიზინგზე. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ლიზინგის გამცემი, რომელსაც არა აქვს ხარჯების ანახლაურების სრული გარანტია იძულებულია გაითვალისწინოს სხვადასხვა კომერციული რისკები (გარიგების ობიექტის დაზიანების რისკი, ხელშეკრულების გრძელვადიანი დარღვევის რისკი) თავის მომსახურებებზე ფასის აწევით.

გარიგების ობიექტს უმეტესად წარმოადგენს მანქანების და მოწყობილობების ყველაზე უფრო პოპულარული სახეობანი.

ოპერაციული ლიზინგისას ლიზინგური კომპანია წინასწარ იცის მოწყობილობას, ისე რომ არ იცის კონკრეტული მიიჯარე. ამიტომ ოპერატიული ლიზინგით დაკავებულმა ფირმებმა კარგად უნდა იცოდნენ, როგორც ახალი, ისე უკვე გამოყენებაში მყოფი საინვესტიციო საქონლის ბაზრის კონიუნქტურა. ლიზინგური კომპანიები თვითონ ახდენენ ქონების, რომელსაც იჯარით გასცემენ და მას ტექნიკურ მომსახურების და რემონტს უზრუნველყოფენ.

ლიზინგური ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას, ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს: - ხელშეკრულების ვადა უფრო ხელსაყრელი პირობებით გააგრძელოს; - მოწყობილობა ლიზინგის მიმღებს დაუბრუნოს.

ლიზინგის გამცემისაგან იყიდოს მოწყობილობა სამართლიანი საბაზრო ღირებულებით გაყიდვაზე თანხმობის (თაცითნის) შემთხვევაში იმის გამო, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას წინასწარ არ შეიძლება საკმაოდ ზუსტად განისაზღვროს გარიგების ობიექტის საბაზრო ღირებულების ნაშთი, ამიტომ გარემოება ლიზინგური ფორმებისაგან კარგ ცოდნას მოითხოვს.

ლიზინგის მიმღები ოპერატიული ლიზინგის დახმარებით ცდილობს თავიდან აიცილოს ქონებასთან დაკავშირებული რისკები, მაგალითად, მორალურად მოძველების, რენტაბელობის შემცირების წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნილების შემცირების, მოწყობილობის დაზიანებისას, არამისწორი ხარჯების პირდაპირი და ირიბი გადიდებით, რომლებიც გამოწვეულია მოწყობილობის რემონტით და მოცდენით. ამიტომ, ლიზინგის მიმღები ოპერატიულ ლიზინგს იმ შემთხვევებში აძლევს უპირატესობას, როდესაც საოჯარო მოწყობილობის გამოყენებისაგან მიღებული ნაგრაუდები შემოსავლები მის საწყის ფასს არ ანაზღაურებენ.

მოწყობილობა საჭიროა მცირე დროით (სეზონური მუშაობა ან ერთჯერადი გამოყენება).

მოწყობილობისათვის აუცილებელია სპეციალური ტექნიკური მომსახურება.

გარიგების ობიექტად გამოდის ახალი, შეუმოწმებელი მოწყობილობა.

ოპერატიული ლიზინგის ჩამოთვლილმა თავისებურებებმა განსაზღვრეს მისი ასეთი დარგებში გავრცელება, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, სამთოდამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ინფორმაციის ელექტრონული დამუშავება.

ფინანსური ლიზინგი - ეს არის შეთანხმება, რომლითაც თვალსაწინოს თავისი მოქმედების პერიოდში ლიზინგური გადასახდელების გადახდას, რომლებიც ფარავენ მოწყობილობის ამორტიზაციის მთლიან ღირებულებას, ან მის დიდ ნაწილს, დამატებით დანაზოგებს და ლიზინგის გამცემის შემოსავალს.

ფინანსური ლიზინგი შემდეგი ძირითადი თვისებებით ხასიათდება: - მეზობე მხარის (გარიგების ობიექტის, მწარმოებლის ან მიმწოდებლის) მონაწილეობა; - ხელშეკრულების გაუქმების შეუძლებლობა იჯარის ე.წ. ძირითად დროში, რომელიც აუცილებელია იჯარის გამცემის ხარჯების ანაზღაურებლად. თუმცა, პრაქტიკაში ეს ზოგჯერ ხდება, რაც ადინიშნება ლიზინგის ხელშეკრულებაში, მაგრამ ამ შემთხვევაში ოპერაციების ღირებულება გაცილებით მატულობს; - ლიზინგური ხელშეკრულების უფრო ხანგრძლივი პერიოდი (ჭეშმარიტ, გარიგების ობიექტის სამსახურის გადახსნა ახლოს); - ფინანსური ლიზინგის გარიგების ობიექტები, როგორც წესი, მაღალი ღირებულებით გამოირჩევა.

ისევე, როგორც ოპერატიულ ლიზინგზე, კონტრაქტის ვადის დამთავრების შემდეგ, ლიზინგის მიმღებს შეუძლია: - იყიდოს გარიგების ობიექტი, მაგრამ ნარჩენი ღირებულებით; - უფრო მცირე ღირებით და შეკავებით განაგრძოთ გაფორმოს ახალი ხელშეკრულება; - გარიგების ობიექტი ლიზინგურ კომპანიას დაუბრუნოს.

ლიზინგის მიმღები თავისი არჩევანის შესახებ ლიზინგის გამცემს ნ თვით ადრე ან სხვა პერიოდში ხელშეკრულების ვადის დამთავრებამდე აცნობებს. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შეთანხმება (თაცითნი) გარიგების საგნის ყიდვაზე, მაშინ მხარეები წინასწარ განსაზღვრავენ ობიექტის ნარჩენ ღირებულებას. ჩვეულებრივ ის შეადგენს საწყისი ღირებულების 1-და 10 %-მდე, რაც ლიზინგის გამცემს უფლებას აძლევს დაარიცხოს ამორტიზაცია მოწყობილობის მთელ ღირებულებაზე.

რადგან ფინანსური ლიზინგი ეკონომიკურ ნაშენებით ჰგავს კაპიტალდაბანდებების გრძელვადიან საბანკო დაკრედიტების, ფინანსური ლიზინგის ბაზარზე განსაკუთრებულ ადგილს

იჭერენ ბანკები, საფინანსო კომპანიები და სპეციალიზებული ლიზინგური კომპანიები, რომლებიც ბანკთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. რიგ ქვეყნებში ბანკებს უფლება აქვთ მხოლოდ ფინანსურ ლიზინგს ეწეოდნენ. ამ ქვეყნების კანონ- მდებლობით განისაზღვრება საოჯარო ურთიერთობების ტიპი, რომელიც შეიძლება ფინანსურ ლიზინგს მიეკუთვნოს. ასე მაგალითად, აშშ-ს ფინანსური არგარიშგებლობის კომისიის ნორმების მოთხოვნის თანხმად დადგენილია შემდეგი წესები, რომელსაც უნდა უპასუხებდეს ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება:

1. ლიზინგური ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტში აქტივების ფლობის უფლება გადაეცემა ლიზინგის მიმღებს.

2. ხელშეკრულების პირობები კონკურენციულ ვაჭრობებზე ობიექტის ყიდვის უფლებას აძლევს;

3. ლიზინგის ვადა შეადგენს, საოჯარო აქტივების ეკონომიკურად დასაბუთებული სავარაუდო მუშაობის ვადის 75 ან მეტ პროცენტს;

4. მინიმალური ლიზინგური გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება არა ნაკლებ 90 % უნდა შეადგენდეს საოჯარო აქტივების რეალური ღირებულების, ინვესტიციური საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, რომელსაც ლიზინგის მიმღები უქვითავს.

ამ მოთხოვნების შეუსრულებლობისას საოჯარო ოპერაცია ოპერატიულ ლიზინგად ითვლება და არ გაითვალისწინება ბანკის ბალანსის შესაბამის სტატიებში.

ჩვენ შევეხეთ ლიზინგის ორ ძირითად სახეობაზე. პრაქტიკაში არსებობს ლიზინგური გარიგებების მრავალი ფორმა, თუმცა, მათი განხილვა არ შეიძლება, როგორც ლიზინგური ოპერაციების დამოუკიდებელი ტიპებისა.

ლიზინგური გარიგებების ფორმებში იგულისხმება ლიზინგური კონტრაქტების მყარი მოდელები. საერთაშორისო პრაქტიკაში მეტად გავრცელებულია ლიზინგური ოპერაციების შემდეგი ფორმები:

- ლიზინგი "სტანდარტი" - ლიზინგის ამ ფორმებისას მომწოდებელი მიყიდის გარიგების ობიექტს დამფინანსებელ საზოგადოება, რომელიც თავის ლიზინგური კომპანიების მეშვეობით აძლევს მას მომხმარებლებს იჯარით;

- დასაბრუნებელი ლიზინგი „lease-back" - მოწყობილობის მფლობელი მიჰყიდის მას ლიზინგურ ფირმას და ამავე დროს ამ მოწყობილობას მისგან იჯარით იღებს. გამყიდველი ასეთი ოპერაციის შედეგად მოიჯარე ხდება. დასაბრუნებელი ლიზინგი გამოიყენება იმ პირობებში, როდესაც გარიგების ობიექტის მფლობელი განაცდის მწვავე ფინანსურ სიძნელეებს და ლიზინგის მეგობარეობას აუმჯობესებს.

- ლიზინგი "მომწოდებელს" - ამ შემთხვევაში მოწყობილობების გამყიდველი ასევე ხდება ლიზინგის მიმღები, როგორც დასაბრუნებელი ლიზინგისას, მაგრამ საოჯარო ქონება გამოიყენება არა მას მიერ, არამედ სხვა მოიჯარეების მიერ. სხვა მოიჯარეები კი ვალდებულია მან მოძებნოს და მათ გარიგების ობიექტი იჯარით ჩააბაროს. სუბიჯარა ასეთი სახის კონტრაქტებში აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

- საკომპენსაციო ლიზინგი - ლიზინგის ამ ფორმისას საოჯარო გადასახდელები ხორციელდება პროდუქციის მოწოდებით, დამზადებული მოწყობილობისათვის, რომელიც ლიზინგური გარიგების ობიექტს წარმოადგენს.

- გასაახლებელი ლიზინგი - ლიზინგურ ხელშეკრულებაში მოცემული ფორმით გაითვალისწინება მოიჯარის მოთხოვნით მოწყობილობების პერიოდული შეცვლა უფრო სრულყოფილი ნიმუშებით.

ლიზინგი სახსრების მოზიდვით ითვალისწინებს ლიზინგის გამცემის მიერ ერთი ან რამდენიმე კრედიტორისაგან გრძელვადიანი სესხის მიღებას იჯარაში ჩადებული აქციების ღირებულების 80 %-ის თანხით. ასეთ გარიგებებში კრედიტორებს წარმოადგენენ მსხვილი კომერციული და საინვესტიციო ბანკები, რომლებსაც მნიშვნელოვანი რესურსები აქვთ მოზიდული გრძელვადიან საწყისებზე. ლიზინგური გარიგებების, ბანკების მიერ დაფინანსება ხორციელდება ჩვეულებრივ ორი წესით:

ა) სესხი - ბანკი აკრედიტებს ლიზინგის გამცემს, გასცემს მასზე კრედიტს ერთი სალიზინგო ოპერაციისათვის ან როგორც ზშირად ხდება, ლიზინგური შეთანხმების მთელ პაკეტზე. კრედიტის თანხა დამოკიდებულია ლიზინგის გამცემის რეპუტაციაზე და კრედიტუნარიანობაზე;

ბ) ვალდებულებების შეძენა - ბანკი ყიდულობს ლიზინგის გამცემისგან მისი კლიენტების ვალდებულებებს რეგრესზე უფლების გარეშე (უკუმოთხოვნა). ამასთან, გათვალისწინებულია ლიზინგის მიმღებთა რეპუტაცია და პროექტის ეფექტიანობა. მოცემული წესი გამოიყენება მსხვილი ერთჯერადი გარიგებებისას .საიმედო მესხებლების მონაწილეობით. საბანკო დაწესებულებები პროექტის დაფინანსების ორგანიზაციისას. ლიზინგური კომპანიის მონაწილეობით, ასევე გამოდიან გარანტად. საბანკო სესხის უზრუნველყოფის ლიზინგის გამცემის მიერ მისი მიღებისას (უფლების გარეშე უკუ მოთხოვნით ლიზინგის გამცემისადმი) წარმოადგენს ლიზინგური გარიგებების ობიექტები და ლიზინგური გადასახდელე.

აშშ-ში ფინანსურ ლიზინგზე გარიგებების 85 % ლიზინგის აღნიშნულ ფორმას მიეკუთვნება. მან ასევე მიიღო საინვესტიციო ტიპის იჯარის დასახელება, ან იჯარა მესამე მხარის მონაწილეობით. გადაუხდელობის რისკის შესამცირებლად ლიზინგის გამცემის კრედიტორები ლიზინგურ კონტრაქტებში ჩართავენ სპეციალურ პირობას, რომელიც ითვალისწინებს აბსოლუტურ და აუცილებელ ვალდებულებას, როცა გადასახდელები წარმოებს დადგენილ დროში და მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ლიზინგის გამცემის მიზეზით. ამ დროს გადასახადები არ შეჩერდება, არამედ ლიზინგის მიმღები ლიზინგის გამცემს წარუდგენს პრეტენზიას.

მსხვილმასშტაბიანი ობიექტების იჯარით ჩაბარებისას (თვითმფრინავები, გემები, საბურღი პლატფორმები, ამწე-კოშკურები) ზშირად გამოიყენება ჯგუფური (საქციო) ლიზინგი. ასეთი გარიგებებისას ლიზინგის გამცემის როლში გამოდის რამდენიმე კომპანია.

საკონტრაქტო დაქირავება - ეს არის ლიზინგის სპეციალური ფორმა, რომლის დროსაც ლიზინგის მიმღებს მიეცემა იჯარით მანქანების, სასოფლო-სამეურნეო, საგზაო-სააშენებლო ტექნიკის, ტრაქტორების, ავტოსატრანსპორტო საწარმოების კომპლექტური პარკები.

გენერალური ლიზინგი - ლიზინგის გამცემის ეფლებაა შეავსოს იჯარით გასაცემი მოწყობილობის სია, ახალი კონტრაქტების გაფორმების გარეშე.

ჩვენ დავასახელეთ მხოლოდ რამდენიმე ლიზინგური კონტრაქტის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა. პრაქტიკაში ადგილი აქვს კონტრაქტების სხვადასხვა ფორმების შერწყმას, რაც ზრდის მათ რიცხვს.

3. ლიზინგური ოპერაციების ორგანიზაცია და ტექნიკა

ლიზინგური ოპერაციების ჩატარების ორგანიზაცია და ტექნიკა განისაზღვრება ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობების თავისებურებებით. ჩვენ განვიხილავთ ლიზინგური გარიგებების განხორციელების ყველაზე უფროო გავრცელებულ წესებს.

მეიჯარე აუცილებელი მოწყობილობის მიღების მიზნით ლიზინგურ კომპანიაში წარადგენს მოთხოვნას იჯარაზე, რომელშიც მითითებულია მოწყობილობის დასახელება, მომწოდებელი (დამამზადებელი საწარმო), ტიპი, მარკა, მოწყობილობის ფასი ან მოიჯარისათვის შეძენილი სხვა ქონების და მისი გამოყენების ვადა. განაცხადში ასევე ასახულია მონაცემები, რომლებიც მოიჯარის საწარმოო და ფინანსურ საქმიანობას ახასიათებენ. მათ მიეკუთვნება: - საწარმოების საერთო მონაცემები (დასახელება, მისამართი, ძირითადი და საბრუნავი სახსრების მოცულობა და ა.შ.); - ძირითადი საქმიანობის ხასიათი (გამოსაშვები პროდუქციის სახეობა, გასაღების ბაზრები, ძირითადი მომხმარებლები, მონაცემები საექსპორტო საქმიანობაზე).

საწარმოში გამოყენებული მოწყობილობები, მათ შორის: საკუთარი და იჯარით აღებული.

მოიჯარის მიერ გამოთხოვილი მოწყობილობების დანიშნულება;

დაწვრილებითი ცნობები საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. წარმოდგენილი ცნობების საგულდაგულო ანალიზის შემდეგ ლიზინგური კომპანია იღებს გადაწყვეტილებას, რის შესახებ ლიზინგის მიმღებს წერილობით აცნობებს. წერილს თან ახლავს ლიზინგური კონტრაქტის საერთო პირობები, ხოლო მოწყობილობის მომწოდებელს ინფორმაცია მიეწოდება ლიზინგური კომპანიის მოწყობილობის შეძენის სურვილის თაობაზე. ამ შემთხვევაში ლიზინგის გამცემი მომწოდებელთან ათანხმებს მოწყობილობის ფასს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ამოწმებს მწარმოებლურობას და გარიგების ობიექტის ეფექტურობას. ლიზინგის მიმღები გაეცნობა რა ლიზინგური ხელშეკრულების საერთო პირობებს, ლიზინგის გამცემს უგზავნის ვალდებულების ამსახველ წერილს და კონტრაქტის საერთო პირობებზე ხელმოწერილ ეგზემპლარს. მასთან ერთად დებს მოწყობილობაზე შეკვეთის ბლანკს. ამ დოკუმენტის მიმწოდებელი ფირმა აღგენს და ლიზინგის მოწყობილობაზე მიმღები ვიზას უკეთებს.

ჩამოთვლილი დოკუმენტების მიღების შემდეგ, ლიზინგის გამცემი მოითხოვს ხელს აწერს და მას მოწყობილობის მომწოდებელს უგზავნის.

შეკვეთის ბლანკის ნაცვლად შეიძლება გამოყენებული იქნეს მოწყობილობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მომწოდებელსა და ლიზინგურ ფირმას შორის ან განკარგულების მიწოდებაზე, რომელშიც აღნიშნულია მიწოდების საერთო პირობები. მოწყობილობის მომწოდებელი მას ლიზინგის მიმღებს გადაუგზავნის, რომელიც მოწყობილობის მიღების ვალდებულებას თავის თავზე იღებს. მომწოდებელი, როგორც წესი, მონტაჟს და ანზორციელებს გარიგების ობიექტი ექსპლოატაციაში შეჰყავს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ იწერება მოწყობილობის ფაქტიური მიწოდების, მისი დამონტაჟებისა და მოქმედების ამსახველი აქტი, რომელშიაც აგრეთვე აღნიშნულია, რომ მომწოდებლის მიმართ პრეტენზია. მიღების აქტს ხელს აწერს ლიზინგური ოპერაციის ყველა მონაწილე და ლიზინგის გამცემი მომწოდებელთან გარიგების თანახმად ანაღდებს ღირებულებას.

ამრიგად, ლიზინგურ გარიგების საფუძვლად უდევს შემდეგი საბუთები: - ლიზინგური ხელშეკრულება; - ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ან განწესება გარიგების ობიექტის მიწოდებაზე; - გარიგების ობიექტის მიღების აქტი.

4. ლიზინგური ხელშეკრულების შინაარსი

ლიზინგური ხელშეკრულება შემდეგი ძირითადი თავებისაგან შედგება: 1. ხელშეკრულების მხარეები, 2. ხელშეკრულების საგანი, 3. მოქმედების ვადა. 4. მხარეების უფლებები და ვალდებულებები. 5. ლიზინგური გადასახდელების პირობები. 6. გარიგების ობიექტის დაზღვევა. 7. ლიზინგური ხელშეკრულების გაწყვეტის წესი.

1. ხელშეკრულების მხარეები. ლიზინგურ ხელშეკრულებაში მონაწილეობს ორი მხარე: ლიზინგის გამცემი, რომელიც საქონლის მეპატრონეს წარმოადგენს და ლიზინგის მიმღები, რომელიც გარიგების ობიექტს სარგებლობაში იღებს. მოწყობილობის გამომგებელი შეიძლება იყოს თვით ლიზინგის მიმღები ან სხვა იურიდიული პირი. თუ მოწყობილობა მიეცემა სუბიჯარის უფლებით ან გადაეცემა შვილობილი საწარმოს მოიჯარეს, მაშინ ხელშეკრულებაში მითითებულია იმ საწარმოს დასახელება, რომელიც მოწყობილობას იყენებს ყველა აქედან გამომდინარე თავისი ვალდებულებებით.

2. ხელშეკრულების საგანი. ლიზინგური შეთანხმების საგანი განისაზღვრება ან ინდივიდუალური თვისებებით (ტიპი, მოდელი, მარკა, ნომერის ნიშანი და ა.შ.), ან ტექნიკური დოკუმენტაციით. ეს მონაცემები მოცემულია სპეციფიკაციაში, რომელიც კონტრაქტის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს. აქვე მითითებულია მიმწოდებლის დასახელება, უკანასკნელი ვადა, რომლის მისვლამდეც მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს გარიგების ობიექტი მიმღებს გაუგზავნოს.

3. ლიზინგური ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ლიზინგური ხელშეკრულება, როგორც წესი, ძალაში შედის გარიგების ობიექტის ექსპლოატაციაში შეყვანის თარიღიდან და მოქმედებს დადგენილი ვადის განმავლობაში.ხშირად ლიზინგური გარიგებების პრაქტიკაში დადგინდება ე.წ."გამოხმაურების გარეშე პერიოდი" - ვადა, რომლის დროსაც ხელშეკრულება გაუქმების არ ექვემდებარება, ხელშეკრულების მხარეებს შორის მისი პირობების დაურღვევლობის გამო.

4. მხარეების უფლებები და ვალდებულებები. ხელშეკრულებების ეს თავი გარიგების მოსამზადებელ ეტაპზე ლიზინგის გამცემის ვალდებულებების დაწვრილებით ჩამონათვალს და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის უფლებებს ითვალისწინებს. კერძოდ, ლიზინგის გამცემი მოსამზადებელ ეტაპზე ვალდებულია:

გააფორმოს მიმწოდებელთან ლიზინგის მიმღებსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული კომერციული და ტექნიკური პირობები, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

მიმწოდებელს გაუგზავნოს გარიგების ობიექტის გამოსაგზავნად წინასწარ შეთანხმებული პირობების ამსახველი განწესება.

ლიზინგის გამცემს ქონების მფლობელის ძალით უფლება აქვს დათვალიეროს და შეამოწმოს კომპლექტურობა. ობიექტის ექსპლოატაციაში შეყვანის შემდეგ ლიზინგის გამცემი ვალდებულია ხელი მოაწეროს აქტის მიღების ოქმს. თუ მიღების ოქმი შეიცავს მიღების დროს აღმოჩენილ ნაკლოვანებებს ჩამონთვალს, ლიზინგის გამცემმა უნდა დაავალოს მიმწოდებელს განსაზღვრული დროის განმავლობაში მათი გამოსწორება. ლიზინგის გამცემს უფლება აქვს დასაქირავებლად ჩასაბარებელი მოწყობილობის მდგომარეობის და მისი ექსპლოატაციის სისწორის სისტემატური შემოწმება.

ლიზინგური ოპერაციის ორგანიზაციისას ლიზინგის მიმღები შემდეგ ვალდებულებებს იღებს: - მოახდინოს გარიგების ობიექტის მიღება უშუალოდ მიწოდებისას, უზრუნველყოს მიღების ყველა აუცილებელი ტექნიკური და უფლებრივი პირობები; - განახორციელოს მონტაჟი და ობიექტის

ექსპლოატაციაში შეყვანა, თუ ეს არ შელახ მიმწოდებლის ვალდებულებაში; - დაადასტუროს მიწოდების კომპლექტურობა, მოწყობილობის მუშაობის ხარისხი და საპრეტენზიო ხანდაზმულობის მიღწევა; - ნაკლოვანებების აღმოჩენისას მათი ჩამონათვალი მიღების აქტში უჩუნოს და ლიზინგის გამცემს აცნობოს.

ლიზინგის მიმღები ასევე ვალდებულია ლიზინგის გამცემს აღუთქვას აუცილებელი გარანტიები, რომელთა ჩამონათვალი ხელშეკრულებაში არის მითითებული.

5.ლიზინგური გადასახდელების პირობები. ხელშეკრულებას ამ თავში განსახღვრება ფორმა, სიდიდე, სახე და ლიზინგური გარიგებაზე გადახდის წესი. ლიზინგური გადასახდელების სახეები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ყველაზე ხშირად გამოიყენება:

ლიზინგური გადასახდელის ფიქსირებული თანხა, რომელიც მხარეების მიერ შეთანხმებულია და გადაიხდება ხელშეკრულებაში მითითებული წესით. ჩვეულებრივ შედგება გადასახდელების გრაფიკი.

გადასახდელი ავანსით. ლიზინგის მიმღები წარუდგენს ლიზინგის გამცემს ავანსს ან ხელშეკრულების მოწერასას შეიტანს გარიგების ობიექტის ღირებულების 15-20 %-ის ოდენობით, ხოლო დანარჩენ თანხას ხელშეკრულების ვადის განმავლობაში იხდის.

განუსაზღვრელი ლიზინგური გადასახდელი. ის დადგინდება არა ფიქსირებული თანხით, არამედ რეალიზაციის მოცულობის, ფასების ინდექსის და სხვა პირობებიდან გამომდინარე, პროცენტებში.

გადასახდელების წესები შეიძლება იყოს ერთდროული და პერიოდული. ერთდროული გადასახდელები ჩვეულებრივ წარმოებს მხარეებს მიერ მიღების აქტის ხელმოწერის შემდეგ და ითვალისწინებს გარიგების დაფინანსების მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესრულების პერიოდში, ან გარიგი მიწოდებაზე (წარმოებული სატრანსპორტო და სადაზღვევო ხარჯების გადახდა), პერიოდული გადასახდელები ხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. ისინი შეიძლება იყოს: - თანაბარი თანხებით ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში; - გადასახდების გადიდებული თანხებით; - გადასახდების შემცირებული თანხებით; - განსაზღვრული საწყისი შესატანით; - დაჩქარებული გადასახდელებით.

6. გარიგების ობიექტის დაზღვევა. ლიზინგის სახეობის მიხედვით ობიექტის დაზღვევა შეიძლება განახორციელოს ან ლიზინგის გამცემმა (ოპერატიული ლიზინგი) ან ლიზინგის მიმღებმა (ფინანსური ლიზინგი).

7. ლიზინგური ხელშეკრულების გაუქმების წესი. ლიზინგური ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე დაირღვეს შემდეგ პირობებში, თუ: - ლიზინგის მიმღებმა ვერ უზრუნველყო გარიგების ობიექტის მიღების აუცილებელი პირობები. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ მოახდინა მონტაჟი და მოწყობილობის ექსპლოატაციაში შეყვანა; - თავის დროზე არ იხდის საჯარო გადასახდელს; - ლიზინგის მიმღები არ ასრულებს ხელშეკრულების სხვა პირობებს; - შეიქმნა "ყორს-მაჟორული" (გაუთვალისწინებელი) გარემოებები; - ლიზინგის გამცემი თანხმაა; - ლიზინგის მიმღებმა გაფორმა ახალი კონტრაქტი, ამა თუ იმ ობიექტებზე, იმავე ლიზინგის გამცემთან.

თუ ვადაზე ადრე გაუქმდა ხელშეკრულება, ლიზინგის მიმღები ვალდებულია დაუბრუნოს გარიგების ობიექტი და აუნაზღაუროს ზარალი ლიზინგის გამცემს. ლიზინგურ კონტრაქტში ასევე გათვალისწინებულია, რომ ყველა შეჯახობანა და სხვა კონტრაქტები ფორმდება წერილობით. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან არსებობული იქნეს მხარეებთან შეთანხმებით.

თ ა ვ ი XII

კომერციული ბანკების ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები

1. აქციების გამოშვება

საქციო საზოგადოების ფორმით შექმნილი კომერციული ბანკი საწესდებო ფონდს აქციების გამოშვების და განთავსების გზით ქმნის. აქცია წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, რომელიც ადასტურებს აქციონერის უფლებას მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში, მის მოგებაში და საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონების განაწილებაში. ამიტომ ნებისმიერი საქციო საზოგადოების აქცია, მათ შორის ბანკისაც, წარმოადგენს საკუთრების ტიტულს, ან როგორც მას ხშირად უწოდებენ - საქმიან ქაღალდს. მისი მფლობელი ბანკის ქონების განსაზღვრული წილის მფლობელის როლში გამოდის.

ბანკის საწესდებო ფონდის ფორმირება, აქციის გამოშვების და განლაგების გზით, მათ შორის მოსახლეობაში გავრცელების მეშვეობით, პრინციპული სიახლეა ჩვენი ქვეყნის საბანკო პრაქტიკაში. 30-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც სსრკ-ში გაუქმეს საქციო ბანკები, არც ერთ ბანკს საწესდებო ფონდის შექმნის ასეთი ხერხი არ გამოუყენებია. საქციო საზოგადოებების აღორძინების გამო, ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონში კომერციული ბანკის გახსნა დამოკიდებულია არა სახელმწიფოს სურვილსა და ნებაზე, არამედ ბანკის დამფუძნებლების ინიციატივაზე, თავისუფალ კაპიტალზე, ხელმოწერების მისწრაფებაზე საბანკო ბიზნესში მონაწილეობის მისაღებად. მოქალაქემ, რომელსაც ფულადი სახსრები აქვს, პირველად მიიღო უფლება გამოვიდეს არა მარტო მეანაბრის ტრადიციულ როლში, არამედ ბანკის აქციონერის, ე.ი. მის თანამფლობელის როლში.

როგორი აქციების გამოშვება შეუძლია კომერციულ ბანკს? აქციების რამდენიმე სახეობა არსებობს. დივიდენდების დარიცხვისა და გადახდის წესის თავისებურებებიდან გამომდინარე, ბანკის წესდება პრივილეგირებული აქციების გამოშვებას ითვალისწინებს. მათი მფლობელი სარგებლობს მნიშვნელოვანი შეღავათით - უპირატესი უფლებით დივიდენდების მიღებაზე. უკანასკნელის ყოველწლიური სიდიდე შეიძლება აქციის ნომინალური ღირებულების მიმართ პროცენტებში დაფიქსირდეს. თუ ბანკმა წლის მაჩვენებლების მიხედვით მოგება მიიღო, რომელიც პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გასაცემად არასაკმარისი აღმოჩნდა, მაშინ თანხის დანაკლისი ბანკის სარეზერვო ფონდის ხარჯზე გაიცემა. რადგან მოცემული ფასიანი ქაღალდების მფლობელთა კომერციული ინტერესები დაცულია. მის მფლობელებს, როგორც წესი, საქციო საზოგადოებაში ხმის უფლება არა აქვთ. ბანკის მიერ ზედმეტი, პრივილეგირებული აქციების გამოშვება, რომელთაც სარეზერვო ფონდი არა აქვს, ან არასაკმარისი ოდენობით აქვს, საკმაოდ რისკიან საქმეს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, უფრო უსაფრთხოა ჩვეულებრივი აქციების ემისია. მასზე დივიდენდი მხოლოდ მოგების ნაშთის სიდიდის მიხედვით ირიცხება. აქციების მფლობელების ინტერესების დაცვის მიზნით, ჩვეულებრივი აქციების მფლობელები საქციო საზოგადოებაში ხმის უფლებით სარგებლობენ. იმის მიხედვით, ნაჭყნები იქნება თუ არა მისი მფლობელის დასახელება, ბანკი უშვებს სახელობით აქციებს და აქციებს წარმომდგენზე. პირველის

მოძრაობა ფიქსირდება აქციების სარეგისტრაციო წიგნში, რომელსაც ემიტენტი ბანკი აწარმოებს. მას ყველა სახელობით აქციაზე წიგნში შეაქვს მონაცემები: მისი შეძენის თარიღი, აგრეთვე თითოეულ აქციონერზე ასეთი აქციების რაოდენობა.

საქციო ბანკის დამფუძნებლები, განსაზღვრავენ რა, საწესდებო ფონდის საწარმოო თანხას, გამოშვებული აქციების რაოდენობას, მათ ნომინალს, სახეობას, უნდა აირჩიონ აქციების ხელმოწერის სახეობა - დახურული ან ღია. დახურული ხელმოწერა ნიშნავს, რომ ბანკი განათავსებს აქციებს დამფუძნებლების მიერ წინასწარ შეღებული სიებით და ამიტომ პირველად ბაზარზე აქციები არ ხვდებიან. ასეთნაირად დამფუძნებლები იქცევიან მაშინ, როდესაც ისინი მსხვილი პოტენციური აქციონერების სას განაგებენ, რომლებსაც შეუძლიათ საწესდებო ფონდის ფორმირებისათვის საკმაოდ დიდი თანხა შეიტანონ. ხანდახან დამფუძნებლები ირჩევენ დახურულ ხელმოწერას, რათა არ დაუშვან "უცხოები" ბანკის მართვაში და მისი მოგების განაწილებაში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, მრავალი ბანკისათვის პოტენციური აქციონერების მოძებნის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური, მათთვის უფრო მიმზიდველია აქციებზე ღია ხელმოწერა, რომლის დროსაც თავისუფალი კაპიტალის ნებისმიერ მფლობელს შეუძლია ბანკის აქციონერი გახდეს. საქციონერო საბანკო საქმეში აქციებზე ღია ხელმოწერა განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოქალაქეების დანაზოგების მოსაზიდად. თუ ბანკის დამფუძნებლებმა აირჩიეს ხელმოწერის ღია ტიპი, მაშინ საკმარისი სახასუხისმგებლო სამუშაოს ჩატარება მოუწევთ. ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების პროცედურაში შედის: 1.გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება; 2. გამოშვებაზე სრული ინფორმაციის მომცველი პროსპექტის მომზადება; 3. ცენტრალური, სახელმწიფო და ეროვნული ბანკების დაწესებულებებში პროსპექტების რეგისტრაცია; 4. პროსპექტის გამოქვეყნება; 5.ფასიანი ქაღალდების პრესაში გამოქვეყნება, მომავალ გარცელებაზე პრესაში ცნობის გამოქვეყნება 6. ფასიანი ქაღალდების განაწილების ორგანიზაცია; 7. გამოშვების საბოლოო შედეგების რეგისტრაცია; 8. გამოშვების საბოლოო შედეგების გამოქვეყნება.

ამრიგად, დამფუძნებლების მიერ ყველა მნიშვნელოვანი ფორმალურობა დაცული იქნა და მზად არიან ხელმოწერის ჩასატარებლად. ხელმოწერებისაგან რა მიიღება აქციების საფასურად? ეს საკითხი არც თუ ისე უბრალოა, თუ მხედველობაში მივიღებთ ტოტალურ დეფიციტს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვისაა დამახასიათებელი.

რასაკვირველია, აქციებზე გადახდის ძირითადი ფორმა წარმოებს ფულად ერთეულში. ამასთან, ჩამოაყალიბებელ საქციო საზოგადოებას შენატანი ნატურალურ ფორმაშიც, შენობების, სამეურნეო ინვენტარის სახით შეუძლია მიიღოს. ფულად და ნატურალურ ფორმებთან ერთად, ხელმომწერს უფლება აქვს თავისი წილი საწესდებო ფონდში არამატერიალური აქტივების სახით, ქონების იჯარაზე უფლებით, ინტელექტუალური საკუთრებით "ნოუ-ჰაუს" სახით შეიტანოს და ბოლოს. შესაქმნელი საქციო საზოგადოება ფასიანი ქაღალდების სახითაც იღებს წილს. დამფუძნებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მათ შემადგენლობას: მათ შორის არ უნდა იყოს აქციები, ობლიგაციები, სერთიფიკატები, თამასუქები, რომლებზეც ხელმომწერი ქონებრივ პასუხისმგებლობას იღებს. თუ ხელმომწერი შეიტანს თამასუქს, რომლის მიხედვითაც მან უნდა გადაიხადოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკის მიერ შექმნილ საწესდებო ფონდში მან შეიტანა თავისი ვალი, ეს კი საწესდებო ფონდის ფიქტიურ ფორმირებას წარმოადგენს.

მიღებული ფულის, ქონების, არამატერიალური აქტივების, ფასიანი ქაღალდების ნაცვლად საქციო საზოგადოებისათვის უფრო მიზანშეწონილია ხელმომწერს გადახდილ ფასეულობებზე ქვითარი მისცეს.

შენატანის ნებასმიერი ფორმის გამოყენების შემთხვევაში, ხელმომწერისათვის საკმარისია აქციების ნომინალური ღირებულების 10 % შეიტანოს და მას ეძლევა ამ აქციების გამოსყიდვის უფლება.

აქციებზე ღია ხელმოწერის შემთხვევაში ბანკის რეგისტრაციისათვის ხელმოწერმა პირებმა არა ნაკლებ 30 %-ისა, ხოლო დახურული ხელმოწერის დროს არანაკლებ 50 %-ა უნდა შეიტანონ. დამფუძნებლების მიერ ბანკის რეგისტრაციის შემდეგ ბანკის გამგეობისათვის მიზანშეწონილია გაღახდის ქვითრის მაგიერ ხელმომწერებზე დროებითი მოწმობები გასცეს. ეს დოკუმენტი ადასტურებს: ხელმოწერების მიერ აქციების ნაწილობრივ გადახდის ფაქტს, უკანასკნელის ვალდებულების შეიტანოს დარჩენილი ნაწილი დადგენილ ვადაში (არა ნაკლებ 1 წლისა), პასუხისმგებლობას შენატანის ვადების დარღვევაზე, შეღავათებს ვადამდე ადრე გადახდებზე. მეორე მხრივ, დროებითი მოწმობა - არის ბანკის ვალდებულება ყველა გადასახდელების შეტანის შემთხვევაში ხელმომწერისათვის აქციების გაცემაზე, თუ ბანკი დარწმუნებულია ხელმოწერის წარმატებით განხორციელებაში, მან აქციების ბლანკები უნდა დაუკვეთოს რიგ განვითარებულ ქვეყნებში აქციების ლიმატერიალიზაცია მოხდა, ისინი მხოლოდ ეგმ-ის მეხსიერებაში და არა ქაღალდის ბლანკებზე არსებობენ. ამიტომ "გარეგანი სახე" მათ არა აქვთ. ფასიანი ქაღალდების ლიმატერიალიზაცია ჩვენს ქვეყანაში ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან სრული კომპიუტერიზაცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ამიტომ, ფასიანი ქაღალდები "ქაღალდზე" არიან და მათი მხედველობითი აღქმა ხდება. მათი გარეგანი სახე მიმზიდველი უნდა იყოს. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ბოლო ხანებში ჩვენს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდები არაპოპულარული იყვნენ. განსაზღვრული მნიშვნელობა გააჩნია ბანკის სიმბოლიკასაც, რომელიც აქციის ბლანკზე უნდა მოთავსდეს. სხვათა შორის, რუსეთის იმპერიის, თითქმის, ყველა კომერციულ ბანკს "გერბზე" გამოხატული ჰქონდა მერკურის პალუცი - ფრთიანი კვერთხი, რომელზეც გარშემორტყმული იყო ორი გველი სფეროსებრი ბუნაგებით. კომერციის სამყაროში ეს სიმბოლო დიდი სიპატივით სარგებლობდა და როგორც წესი, ამ გერბით მომუშავე ბანკებს წარმატება ხვდათ თან.

აქციებს შეიძლება თან ახლდეს კუპონის ფურცელი, რომელიც დივიდენდების მიღების უფლებას იძლევა. თუმცა, მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია უკუპონო აქციებიც.

კომერციულ სააქციო ბანკს, შეუძლია აქციონერებზე დივიდენდების გადახდის რამდენიმე ვარიანტი გამოიყენოს. თუ აქციას კუპონები აქვს, მაშინ კუპონის წარდგენის შემდეგ ამ ოპერაციას სააქციო ბანკი ატარებს. აქციონერს, სხვა ქალაქიდან, შეუძლია ხთხოვოს სხვა კომერციულ ბანკს გადასახდელის მისაღებად შეასრულოს კომისიონერ-შუამავლის ფუნქცია ე.ი. აქციის მფლობელი ბრძანებას აძლევს კუპონს ბანკში ინკასირებისათვის. ბანკი-ინკასატორი კუპონს თანხლება წერილით აგზავნის სააქციო ბანკში. სააქციო ბანკისაგან მიღებულ ფულს შუამავალი ბანკი ირიცხავს აქციონერის ანგარიშზე ან ნაღდი ფულის სახით გასცემს. თუ აქციას არა აქვს კუპონები, მაშინ სააქციო ბანკი ყველა აქციონერს თავის ბალანსზე ანგარიშებს გაუხსნის და ამ ანგარიშებზე დივიდენდებს ურიცხავს. სხვა ქალაქული აქციონერის თხოვნით დივიდენდის თანხა სხვა ბანკში მის ანგარიშზე ჩაირიცხება, ეს უკანასკნელი ოპერაცია აქციონერის ხარჯზე საკორესპონდენტო ანგარიშების სისტემით ხდება.

კომერციულ ბანკს საკუთარ სახსრებთან ერთად, აუცილებლად უნდა ჰქონდეს სასესხო, საკრედიტო რესურსები. მათი მოზიდვა შესაძლებელია ფასიანი ქაღალდებით საბანკო ოპერაციების საფუძველზეც მოხდეს.

2. ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი საგალო ვალდებულებების გამოშვება და განაღდება

ჩვენს ქვეყანაში, თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკის კრიზისმა სხვადასხვა ტიპის არასახელმწიფოებრივ საწარმოების გაჩენამ, კაპიტალურ დაბანდებათა ბუნებრივ დაფანანსების მოცულობის შემცირებამ, მოძველებული მოწყობილობების გლობალური განახლების აუცილებლობამ, მაწის რეფორმამ მსესხებლის მხრიდან გრძელვადიან კაპიტალზე მკვეთრი მოთხოვნა განაპირობა. გრძელვადიანი საბანკო კრედიტის საბაზრო მოდელის აღორძინება, ახეთი ემისიური ოპერაციის გააქტიურებას მოითხოვს, რაც ორაციაა საბანკო ობლიგაციების გამოშვება. ეს ბანკებს საშუალებას მისცემს გრძელვადიანი ხასიათის რესურსების ფორმირება მოახდინონ. ბანკებს დიდი რაოდენობის სასესხო რესურსების მოზიდვის სხვა საშუალება არა აქვთ.

ობლიგაცია წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, რომელიც ადასტურებს მასი გამომშვები ემიტენტის ვალდებულების განაზღვრულ ვადაში, ფიქსირებული პროცენტის გადახდით აუნაზღაურის მის მფლობელს ობლიგაციის ნომინალური ღირებულება. საქციო საზოგადობებს, მათ შორის ბანკებს, უფლება აქვთ საწესდებო ფონდის არა უმეტეს 25 %-ის ოდენობის ობლიგაციები გამოუშვან, მხოლოდ ყველა გამოშვებული აქციების სრულად გადახდის შემდეგ. ობლიგაციური სესხის მიმზიდველობისას, ბანკმა ყურადღება უნდა მიაქციოს მის პირობებს - მოარჩიოს სესხის ოპტიმალური ვადა, პროცენტის ღონე. სესხებზე პროცენტი დადგენილება მთელი ვადისათვის ან ექვემდებარება ცვლილებებს. მაგალითად, გადიდების პოზიციდან პროცენტს ზევით კრედიტორს შეუძლია მიიღოს დამატებითი სარგებელი,ცერძოდ, გაზნია მოგების შანსი.

რუსეთის იმპერიის ფასიანი ქაღალდების ისტორია მოიცავდა სამ მომგებიან ობლიგაციურ სესხს: ორი სახელმწიფო (1864 და 1866) და ერთი საბანკო-სახელმწიფო სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის (1889 წ.) პროცენტის გარდა, ობლიგაციის მფლობელს მსზვილი ფულადი პრიზის მიღების შანსი ჰქონდა. ობლიგაცია, რომლის ნომერი მოგების ტირაჟში ხვდებოდა არ უქმდებოდა და ახალ გათამაშებებში მონაწილეობდა მანამ, სანამ ის არ მოხვდებოდა განაღდების ტირაჟში. ამგვარი 100 მანეთიანი ნომინალის ობლიგაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე 1000 მანეთამდე იყიდებოდა, მათ პირველად განაწილებაზე პრობლემა არ არსებობდა. სათავადაზნაურო ბანკის ობლიგაციას, მაითითებული ნომინალით ჰქონდა გამოსაშვები (პირველადი) ფასი 215 მან. ე.ი. დიდი მოთხოვნით სარგებლობდა. ისტორიისათვის ცნობილია კრედიტორების სტიმულირების სხვა ხერხებიც, მაგალითად, ე.წ. დასაფარი პრემიების დაწესება - ობლიგაციების განაღდების დროს მის ნომინალზე დანამატი.

ობლიგაციური სესხის წესებს უნდა დაემატოს კონვერსიის საკითხთან დაკავშირებული მოსაზრება. კონვერსია - არის სესხების პირობების შეცვლა- სესხის ერთი ტიპის მეორეთი შეცვლა ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი ვალის განაღდება და მეორის წარმოქმნა. კონვერსიის პროცესში სხვადასხვა მხრებია დასახული. ყველაზე უფრო ტრადიციულ ამოცანას წარმოადგენს ვალის გადავადება. როდესაც მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში რუსეთი დაალგა საქონლის, კაპიტალის და შრომის განვითარებული ბაზრის ფორმირების, ქვეყანაში გრძელვადიან კაპიტალზე უზარმაზარი დეფიციტი არსებობდა, მოუხედავად მასზე დიდი მოთხოვნისა. ამიტომ 60-70-იან წლებში სასესხო კაპიტალზე გადასახდელი და სახელმწიფო სესხის ობლიგაციაზე პროცენტი მაღალი იყო. მოგვიანებით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა შეიდარებით

სტაბილური გახდა და კაპიტალის საუზღვო კრედიტზე ფასი შეამცირა. ობლიგაციათა ემიტენტებმა ამით ისარგებლეს და ძველი სესხების კონვერსიით მოახდინეს ფართომასშტაბიანი ოპერაციები. მათ ძველი მაღალ პროცენტიანი სესხები შეცვალეს ახლით, რომელზეც უფრო დაბალი პროცენტი იქნა დაწესებული. თანამედროვე კომერციული ბანკისათვის მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მან მხოლოდ კონვერსიის ნებაყოფლობითი ფორმები შეიძლება გამოიყენოს, რომლის წარმატებაც მხოლოდ კრედიტორის და მსესხებლის ინტერესების კომპრომისის პირობებშია შესაძლებელი. რაც შეეხება იძულებით კონვერსიას, მხოლოდ პოლიტიკაში ის განიხილება, როგორც ემიტენტის ნაწილობრივი გაკოტრების ფორმა და მას, როგორც წესი, სახელმწიფო თავის სესხებზე იყენებს.

ობლიგაციური სესხების გამოშვებმა ბანკმა მაინც განაღდების მოსახერხებელი ფორმა უნდა ამოირჩიოს. ობლიგაციების განაღდება არის ვალის ნაწილ-ნაწილ დაბრუნება და აგრეთვე მათი ერთდროული გამოსყიდვა. თუ ბანკი სესხს უშვებს, მაშინ მიზანშეწონილია მისი ნაწილ-ნაწილ განაღდება, რათა ბანკის გადამხდელუნარიანობა არ დაირღვეს. ამ შემთხვევაში ემიტენტმა განაღდების ტირაჟების ჩატარების გზით წლების მიხედვით განაღდების გრაფიკი უნდა შეადგინოს. ამას გარდა, ბანკს შეუძლია დიტოვოს ობლიგაციების განაღდების უფლება მათი ბირჟაზე შესყიდვის გზით. ესა თუ ის წესი კრედიტორის და მსესხებლის ინტერესებზე დიდ გავლენას ახდენს. თუ ობლიგაციების კურსი ნომინალზე მაღალია, მაშინ ბანკისათვის ტირაჟი ხელსაყრელია. თუ კურსი ნომინალზე დაბალია, მაშინ ბანკმა ბირჟაზე ობლიგაციები უნდა შეისყიდოს.წინასალდო შემთხვევაში, ხომ კრედიტორები ტირაჟის ჩატარების დროს კურსის მიხედვით სხვაობას იღებენ. ალბათ, ემიტენტმა საობლიგაციო სესხის დაფარვის ამა თუ იმ ფორმის ამორჩევის უფლება უნდა დიტოვოს.

ბანკის ობლიგაციური სესხის პირობები კრედიტორების ინტერესების დაცვის ელემენტებს უნდა შეიცავდეს. ეს შეიძლება იყოს: ა) სხვა ბანკების სესხის პროცენტის გადახდის გარანტია; ბ) ობლიგაციის მფლობელისათვის უფლების მიცემა, საათბარო ხმის უფლებით გაერთიანდნენ საკრებულოში; გ) ობლიგაციების ამოთქვრი დაფარვა. რუსეთის იმპერიაში ობლიგაციების (საიდენტიფიკაციო ბანკების საგირავნო ფურცლები, საქალაქო - საკრედიტო საზოგადოებების ობლიგაციები) უზრუნველყოფა საკრედიტო დაწესებულებების საკუთარი კაპიტალით ხდებოდა, ასევე ამოთქვრი კრედიტის მიმღებ-მსესხებლის მიერ საკრედიტო დაწესებულებებში დაგირავებული უძრავი ქონებით. კიხინა, საკრედიტო დაწესებულება მხოლოდ გრძელვადიან ამოთქვრ კრედიტთან მკაცრი შესაბამისობით უშვებდა ობლიგაციებს. საკრედიტო დაწესებულების ობლიგაციების დროული განაღდებისათვის უფლადი სახსრების უმარიხობა წარმოიქმნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დროულად არ დაუბრუნდებოდა ადრე გაცემული ამოთქვრი კრედიტი. ამგვარ სიტუაციაში, საკრედიტო დაწესებულება იქციონერ ყიდდა საგირავნო ქონებას და ფულად ამონაგებს ობლიგაციების გამოსასყიდად აგზავნიდა. ობლიგაციების ამოთქვრი დაფარვა საობლიგაციო სესხის ლიკვიდობას, საკრედიტო დაწესებულებების ბალანსს, მიცემული ფასიანი ქაღალდების მფლობელების ინტერესების დაცვას უწყობდა ხელს. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში დაწყო უძრავი ქონების ბაზრის ფორმირების პროცესი, საბანკო ამოთქვრი კრედიტების და ობლიგაციების აღორძინება უახლოეს დროში უნდა მოხდეს. რაც შეეხება ბანკის ობლიგაციების გამოსაშვებ ფასს, ის შეიძლება გაეანგარიშოს ნომინალისაგან და მასზე დაბალი იყოს. ასეთ შემთხვევაში წარმოქმნილი უარყოფითი სხვაობა ბანკმა საობლიგაციო სესხის მთელ პერიოდს უნდა მოაკუთვნოს და არა მხოლოდ გამოშვების ერთ წელს, რაც ბანკის მიმდინარე წლიურ ანგარიშს გაუმარილებლად "დამძიმებდა".

თუ კი გრძელვადიანი რესურსების ძიების პრობლემა შეიძლება გადაწყვეტილი იქნას ბანკის მიერ ობლიგაციური სესხის საშუალებით, მაშინ მოთხოვნა უფრო "მოქნილ" ვადიან სესხებზე ემისიის შეშვებით და სხვა სახის ფასიანი ქაღალდების - დეპოზიტური სერთიფიკატების განთავსების გზით დაკმაყოფილდება.

დეპოზიტური სერთიფიკატი წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებების წერილობით მოწმობას ფულადი სახსრების დეპონირებაზე, რაც მეანაბრეს, დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ, დეპოზიტის და მისი პროცენტის მიღების უფლებას აძლევს. კომერციულ ბანკს შეუძლია სერთიფიკატი გასცეს ნაღშეკრულებით განსაზღვრული პროცენტით, გარკვეული ვადით, ან მოთხოვნამდე.

საწარმოები, მოქალაქეები, რომელთაც სურთ ბანკის დეპოზიტური სერთიფიკატი შეიძინონ, უნდა გადაიხადონ მისი ნომინალური ან საკუთარი ღირებულება. სერთიფიკატის დაუფლების ვადის საწყისია, მისი მყიდველისათვის გადაცემის თარიღი. მოთხოვნამდე სერთიფიკატის თითოეულ სრულ, მაგალითად, 12; 6; ან 3 თვით მფლობელობის შემთხვევაში ბანკი დარიცხავს სახელშეკრულებო პროცენტს მოცემული ფასიანი ქაღალდის ღირებულების ნომინალის სიდიდიდან გამომდინარე. რას შესახებაც ბანკს ბლანკის მეორე მხარეს შეუძლია გაკეთოს აღნიშვნა: თუ ბანკი უშვებს ვადიან სერთიფიკატს, მაშინ ემიტენტი მხოლოდ სახელშეკრულებო ვადის გასვლის შემდეგ ახორციელებს მის განაღდებას და პროცენტის გადახდას. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში წარმატებით გამოიყენება "მოქნილვადიანი" სერთიფიკატები - რამდენიმე თვიდან ერთ წლამდე. ბანკი -ემიტენტისათვის სასურველი სერთიფიკატი იმითაა მოსახერხებელი, რომ წინასწარ ცნობილია მისი გაცხადების ვალი, რაც გვაცვლს მოულოდნელობის ფაქტორისაგან და ემიტენტის გადახდისუნარიანობის რისკს ამცირებს.

3. საბანკო დაბანდებანი ფასიან ქაღალდებში

ჩვენს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების კვალობაზე ყოველი კომერციული ბანკის აქტივების საერთო სტრუქტურაში ფასიან ქაღალდებში დაბანდებათა ხვედრითი წონა იზრდება. აქციების, ობლიგაციების, სერთიფიკატების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ჩატარებისას ბანკს შეიძლება სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს.

ბანკის მონაწილეობა საქციო საზოგადოების კაპიტალში, საკრედიტო დაწესებულების საშუალების აძლევს დაბანდებულ კაპიტალზე მიიღოს დივიდენდები, ასევე აღნიშნული საზოგადოების თანამფლობელი იყოს. ამჟამად ნებადართულია ქალიშვილ საწარმოების შექმნა, სადაც ერთ-ერთ აქციონერს საწესდებო ფონდის ნახევარი ალეს ერთი აქცია ეკუთვნის. ბანკი ჰქმნის რა ქალიშვილ საწარმოს, შეუძლია თავისი ფუნქციების ნაწილი მას გადასცეს. ზოგიერთმა კომერციულმა ბანკმა ბალანსის "შემსუბუქების" თვალსაზრისით ქალიშვილ ლიზინგურ კომპანიებს მანქანების, მოწყობილობების იჯარით გაცემის ცალკე ოპერაცია გადასცა.

ბანკისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია სადაზღვევო საზოგადოების მთავარ დამფუძნებლად გამოვიდეს. სააქციო-სადაზღვევო საზოგადოება, მოცემული საკრედიტო დაწესებულებების კლიენტების - საწარმოების და მოქალაქეების დაზღვევას უზრუნველყოფს, რაც გაუმჯობესებს მათთვის გაცემული კრედიტების დაბრუნებას. სადაზღვევო საზოგადოებას შეიძლება ანგარიში დამფუძნებელ ბანკში ჰქონდეს, რაც ამ უკანასკნელს საკრედიტო რესურსების მძლავრი ნაკადით უზრუნველყოფს. ბანკის მიერ იმ სასაქონლო და სათანდო ბარათების აქციების შესყიდვა, რომლებიც შეწირულია საქციო საზოგადოებების ფორმით, ბირჟაზე აღგილის შეძენის საშუალებას იძლევა. ამას

შეღებად ბანკს, როგორც ბარჟის წევრს, უფლება აქვს, როგორც თავისი, ისეც კლიენტის სახელ
და ანგარიშით გაშალოს ფარდობისშეტბაიანი ოპერაციები.

აქციათა ინვესტიციები, მათი საბაზრო ფასების მკვეთრი რყევადობის განსაზღვრულ რის
შეიცავს. მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე უსაფრთხო დაბანდებად სამთავრობო სახეს
ვალდებულებების ყიდვა ითვლება.

თუმცა დსთ-ში ხერხთ საკავშირო ობლიგაციებში ინვესტიციები აბსოლუტურად უსაფრთხო
იყო. ამ კუთხით უფრო მიმზიდველია ყოფილი საკავშირო რესპუბლიკების ობლიგაციური სესხე
ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში
ზოგიერთი რესპუბლიკა - ემიტენტების ბიუჯეტის დეფიციტის მასშტაბურობა თავის თავში მალავს მათ
სესხების ლიკვიდობის ძნელად საწინასწარმეტყველო შედეგებს. ფასიანი ქაღალდების ემიტენტების
საწარმოების, ბანკების, რესპუბლიკის სამეწარმეობის შესაფასებლად მოგვიხდება მრავალდეროვანი
მეთოდების საშუალო პრესპექტების ხელმოწერის შედეგების, ანგარიშგების, საბუღალტრო ბალანსების
გამოქვეყნება, ნორმად უნდა იქცეს არა მარტო ბანკებისათვის, არამედ ყველა ემიტენტისათვის.

ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში კომერციული ბანკი
ხელმძღვანელობს არა მარტო შემოსავლების, დაბანდებების უსაფრთხოების ინტერესებით, არამედ სხვა
მნიშვნელოვანი მიზნის - თავისი გადახდისუნარიანობის და ლიკვიდობის რეგულირებისათვის იღწვის.
საკორესპონდენტო ანგარიშებზე გადახდების უნიკალურობის უზრუნველსაყოფად ბანკი სხვადასხვა ვალუტის
იყენებს. მაგალითად, საკორესპონდენტო ანგარიშზე დიდი თანხების როგორც მომავალი გადახდების
რეზერვის შესახებ, სხვა ბანკებიდან კრედიტების მიღება. თუმცა მოუხედავად თავისი მიმზიდველობისა,
მათ გარკვეული ნაკლი აქვთ. მასთან ერთად გადახდისუნარიანობის შესარჩუნების ისეთი ხერხი
გამოიყენება, როგორიცაა ბანკის დაბანდებანი მაღალლიკვიდურ ფასიან ქაღალდებში, რომლებიც
საჭიროების შემთხვევაში ადვილად რეალიზდებიან და მიღებული ამონაგების ხარჯზე
საკორესპონდენტო ანგარიშებზე გადახდები ხორციელდება. ფასიანი ქაღალდების ინვესტიციის
პროცესში ბანკმა უნდა დაიცვას დაბანდების დივერსიფიკაციის წესი ე.ი. ხერხიზული დანაკარგების
რისკის შემცირება. ამის მიღწევა ბანკს დაბანდების მრავალ ფასიან ქაღალდებს შორის განაწილებით
შეუძლია. დაბანდება მისანშიწონილია შეზღუდული იქნეს ფასიანი ქაღალდების სახეებით, ეკონომიკის
დარგებით, რეგიონებით, განაღდების ვადით, სასესხო ვალდებულებებით. თითოეული კომერციული ბანკი
რეგულარულად უნდა ანალიზებდეს ფასიანი ქაღალდების პორტფელს, შემოსავლების ლიკვიდურ-
ფასიან ქაღალდებში დაბანდებების ოპტიმალური შეზომების თვალსაზრისით.

კომერციული ბანკის აქტიურ ოპერაციებში შედის ასევე თამასუქების აღრიცხვა (დისკონტება).
თამასუქი წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, რომელიც ადასტურებს თამასუქის გამცემის უდავო ფულად
ვალდებულებას ვადის დადგომისთანავე განსაზღვრული თანხა გადაუხადოს თამასუქის მფლობელს. ამდენად,
ნებისმიერი სამეურნეო ორგანიზაცია, ყიდულობს რა საქონელს გადახდის ვადის გადავადებით, უფლება აქვს
მისცეს გამყიდველს უბრალო თამასუქი ან აქცეპტის მიმცემმა გასცეს გადასაგები თამასუქი, რომელიც
გამყიდველის მიერ არის გაფორმებული. პროდუქციის გამყიდველი იღებს რა სასესხო ვალდებულების,
თამასუქის მფლობელი ხდება, თუმცა, უკანასკნელი თვითონაც საჭიროებს ფულს საკუთარ კრედიტორებთან,
მაგალითად, მომწოდებლებთან, ბანკთან ანგარიშსწორებისათვის. თამასუქმფლობელი არ ელოდება თამასუქის
მიხედვით გადახდის დროის დადგომას. ის ცდილობს, მოძებნოს ორგანიზაცია, რომელიც მისგან, სხვას
ვალდებულების იყიდის. ვალების შემსყიდველის როლში შეიძლება კომერციული ბანკი გამოვიდეს.

თუ ბანკი თამასუქის სოლიდურობაში არის დარწმუნებული, იგი გარიგებაზე თანხმობას
აძლევს. თამასუქმფლობელი, ან უფრო ზუსტად, თამასუქწარმომდგენი სრული გადასაცემი

ვალუტით საჭირო ვალდებულების ბანკს გადასცემს, რაც ნაშთავს, თანხის მიღებაზე, საკრედიტო
ოპერაციების სასარგებლოდ უფლების დათმობას. სხვანი ვალის ვადის შემთხვევაში, ბანკი
ვალდებულების ამოიღოს მოგება. ის ყიდულობს (აღრიცხავს) თამასუქს მას ვალუტაზე დაბალი ფასით
(ანუ ქვედა მოცემული ფასიანი ქაღალდების ნომინალს). ბანკის მიერ აღებული გასამრჯელო -
აღრიცხვის თანხა, განაღდების განაკვეთის საფუძველზე გამოითვლება. ეს თანხა თამასუქის
ვადისას, ბანკის მიერ შემოსავალში აიღება.

ბანკის განაღდების ოპერაციის მაგალითის სახით განვიხილოთ შემდეგი სიტუაცია: 1400
ათასის ღირებულების თამასუქი 1991 წლის 18 სექტემბრამდე ვადით, კომერციული ბანკის მიერ
1991 წლის 24 მაისს იყო აღრიცხული. ამ ოპერაციის შესრულებისას, ბანკმა საღრიცხვო
განაკვეთი 6,5 %-ის ოდენობით დაადგინა. თამასუქის მფლობელის თხოვნით ბანკმა მას თანხა
სრული ფულით გადაუხადა. როგორია ბანკის შემოსავალი მოცემული ოპერაციის შედეგად ე.ი.
როგორია განაღდების თანხა? რამდენი გადაიხადა ბანკმა თამასუქზე?

ამ მაგალითის ამოხსნა იყოფა რამდენიმე მოქმედებად: 1. ბანკმა უნდა განსაზღვროს რა ვადით
ახლის ის რესურსების ინვესტირების განაღდების ოპერაციებში. ეს ვადა ამ დროის ტოლია რა
დროც გავიდა თამასუქის აღრიცხვის დღიდან, მის გადახდამდე. აღვნიშნოთ აღრიცხვის დღე
წელიდით, ხოლო მრიცხველში თვის პირველი რიცხვიდან ამ დღის რიგითობაა, ხოლო
მნიშვნელში - წელიწადში თვის რიგითობა (მეზუთე თვის 24 რიცხვი ე.ი. 24 მაისი) ამგვარადვე
გამოვსახოთ გადახდის დღე (ე.ი. 18 სექტემბერი, გამოვაკლოთ მეორეს პირველი).

18 : 9 - 24 : 5 = (18-24) : (9-5) = ((18 + 30)-24) : ((9-1)-5) = (48-24) : (8-5) = 24 : 3

გამოკლების შედეგად ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ დროის ხანგრძლივობა მოცემულ თარიღს შორის
შეადგენს 3 თვეს და 24 დღეს ან 114 დღეს (თვეში 30 დღის ჩათვლით) თუმცა, დისკონტური ბანკისათვის
ხელსაყრელია გამოთვლების მხედველობაში მაისის აღრიცხვის და გადახდის დღეც რის გამოც ამ
თარიღებს შორის დროის ხანგრძლივობა შეადგენს 115 დღეს. განაღდების თანხის გამოთვლა. ამრიგად,
როგორი იქნება აღრიცხვის თანხა 400 მანათის ღირებულების თამასუქის ვალუტასა 115 დღის
განმავლობაში წლიური 6,5 %-ით? აღრიცხვის თანხა გამოითვლება ფორმულით:

CY = WH : WD ,

სადაც: **CY** - აღრიცხვის თანხა;

WH - საპროცენტო ნომერი;

WD - მუდმივი მამრავლი.

თავის მხრივ:

WH = (BB x WW) : 100 % ; **WD = 360 დღე : YC**

სადაც: **BB** - თამასუქის ვალუტა;

WW - საპროცენტო პერიოდი;

YC - განაღდების განაკვეთი.

საბოლოოდ:

CY = (BB x WW x YC) : 100% x 30 დღე = (1400 მან. x 115 დღე x 6,5%) : :100% x 360 დღე = 29,07 მან.

მესამე - თამასუქით ფასის გამოთვლა (QB)

QB = BB - YC = 1400 მან. - 29,07 მან. = 1370,93 მან.

ამრიგად, განხილულ მაგალითში ბანკი ამგვარად მოიქცევა: თამასუქის წარმომდგენს სალარიდან გადაუხდის 1370,93 მანეთს. თავის შემოსავალზე ჩარიცხავს 29,07 მანეთს. საბუღალტრო ბალანსში აქტიურ ანგარიშზე არასახელმწიფოებრივ სავალო ვალდებულებებში დაბანდებანი უჩვენებს თანხას, რომელიც თამასუქის ვალუტის ტოლია (1400 მან.) საიდ ქალალდს საცავში მოთავსებს.

თამასუქის ყიდვით ბანკმა მასზე გადახადის მოთხოვნის უფლება მიიღო. ამის შესახებ ბანკმა მევალეს უნდა შეატყობინოს. დისკონტერ-ბანკი უგზავნის თამასუქის გამცემს ამგვარი შინაარსის შეტყობინებას: "მოწვალეო ბატონებო! კომერციულ ბანკს აქვს პატივი, შეგატყობინოთ, რომ მასთან იმყოფება თქვენი თამასუქი 1400 მანეთის ოდენობის თანხით 1991 წლის 18 სექტემბერს გადახდის ვადით გაცემული მცირე საწარმოზე .... მითითებულ თამასუქზე გადახდა უნდა შედგეს ვადის გათვალისწინებით ჩვენი ბანკის სალაროში" შეტყობინების მოცემული ტექსტი ე.წ. იდეალობრივ თამასუქებს შეესაბამება. თუ თამასუქის მიხედვით გადახდის ადგილს წარმოადგენს სხვა ქალაქი, მაგ.: ტოლიატი, მაშინ მოცემულ ვალდებულების ეწოდება სხვა ქალაქის თამასუქი და ანგარიშსწორების სქემა რთულდება. შეტყობინებით ტექსტს დაემატება: "გადახდა მითითებულ თამასუქზე უნდა მოხდეს ვადის გათვალისწინებით ბანკის სალაროში (ხრული დახახელება საკრედიტო დაწესებულებისა) ქალაქი ტოლიატი".

იდეალობრივ თამასუქებზე გადახდის ვადის დადგომისას მევალე მოდის ბანკის სალაროში, სადაც არის ეს ფასიანი ქალალდი, იგი საცავიდან გადაიტანეს სალაროში. აღნიშნულ პირს სალაროში 1400 მანეთი შეაქვს და მას ხელზე მიეცემა თამასუქი ბანკის აღნიშვნით: "ფული სრულადაა მიღებული. კომერციული ბანკი". ბანკისათვის ოპერაციის ჩატარება მისი აქტივების გადაჯგუფებას ნიშნავს: 1400 მანეთით მცირდება ნაშთი ანგარიშზე "არასახელმწიფოებრივ სავალო ვალდებულებებში დაბანდებანი" და ამ თანხით იზრდება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთი. თუ ბანკი ყიდულობს თამასუქს გადარიცხვით და ამგვარად იღებს მასზე გადასახადს, მაშინ "სალაროს" ანგარიშის მაგიერ გამოიყენება სხვაგვარი ანგარიშები: კლიენტების საანგარიშსწორებო ანგარიშები, ასევე ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშები (უკანასკნელი, სხვა საკრედიტო დაწესებულებებთან ანგარიშსწორების შემთხვევებში).

თამასუქით ოპერაციების ჩატარებისას ბანკი არ უნდა შეცდეს ანუ იყიდოს ისეთი თამასუქი, რომელზეც სარგებლის გადახდა ნაკლებად მოსალოდნელია. თუმცა, გადასაცემ და უბრალო თამასუქზე დებულებით, ასევე კანონით გაკოტრების შესახებ უნდა იქნეს გათვალისწინებული თამასუქის მფლობელის უფლებების დაცვა. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადაში გადახდა არ მოხდა. თამასუქი გადაქცეულა ნოტარიუს. ამ აქტს "პროტესტი" ეწოდება, ხოლო ამგვარი თამასუქი "გაპროტესტებული" თამასუქია. გაპროტესტებული თამასუქის მფლობელს შეუძლია სასამართლო აღმასრულებელს მიმართოს, რომელიც მევალეს ბანკროტად გამოაცხადებს. მევალის ქონება გაიყიდება აუქციონის მეშვეობით. მევალის ქონების გაყიდვით მიღებული ფონდები იგზავნება მოცემული პირის ვადაგადაცილებული ვალდებულებების დასაფარავად. სალიკვიდაციო კომისიის ხარჯების გადასახდელად, ვალების გადახდევინების პროცედურა და გაკოტრებული დაწესებულებების ლიკვიდაცია უნდა იყოს გაკოტრების შესახებ კანონით განსაზღვრული, რომელიც ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში პრობლემის სახით არსებობს.

კომერციული ბანკს, რომელიც სხვადასხვა თამასუქებით დისკონტირების ახდენს, შეუძლია ამავე დროს, რამდენიმე განაღდების განკვეთი გამოიყენოს. მათი დიფერენციაციის კრიტერიუმებია: ა) თამასუქის გადახდამდე დარჩენილი ვადის ხანგრძლივობა, ბ) თამასუქის გადამხდელის საიმედობის ღონე; გ) სხვა ბანკების მიერ გამოყენებული საალრიცხვო განაკვეთების ღონე. ბანკების ოპერაციები, თამასუქების აღრიცხვაზე და ხელახალ აღრიცხვაზე საალრიცხვო

ბაზარს ქმნან. ამ ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ქვეყნის ცენტრალურ ბანკს. სწორედ მას შეუძლია იმ თამასუქების ხელახალი აღრიცხვის გზით, რომლებსაც კომერციული ბანკები წარმოადგენენ, განახორციელოს ბანკების რეფინანსირება. კომერციული ბანკის თამასუქების ყიდვა-გაყიდვა, ამ ოპერაციებიდან, არამარტო შემოსავლის მიღების საშუალებას ახლევს კომერციულ ბანკს. სად უფრო მაღალია დაბანდების ლიკვიდობის ხარისხი 5 თვის ვადით აღრიცხულ თამასუქში, თუ ხუთში 5 თვემდე დაფარვის ვადით? ალბათ ბოლო შემთხვევაში აქტივების ლიკვიდობის ხარისხი დაბალია: დაბანდებები ფულად ხომ, მხოლოდ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ გადაიქცევან. ბანკის მიერ ნაყიდი თამასუქი პრაქტიკულად ამ წუთშივე შეიძლება მიყიდოს სხვა ბანკს (კომერციულს, ცენტრალურს). ამიტომ საალრიცხვო ოპერაციას დიდი მნიშვნელობა აქვს დისკონტერ-ბანკის ბალანსის ლიკვიდობის რეგულირებისათვის, მისი შემდგომი რეფინანსირებისათვის, თამასუქების ხელახალი აღრიცხვის მეშვეობით. ფასიანი ქალალდებით განხილულ აქტიურ ოპერაციებს ბანკი, თავისი სახელით და შესაბამისად, თავის ხარჯზე ახორციელებს. თუმცა, ბანკს სხვა პირების დავალებით შეუძლია მნიშვნელოვანი თანხები აიღოს ფასიანი ქალალდებით გარიგებებზე.

4. ბანკის საშუამავლო ოპერაციები

ბანკი საკომისიო საწყისებზე მონაწილეობას იღებს მისი კლიენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქალალდების პირველად განთავსებაში. მაგ., რომელიმე საზოგადოების ბანკს მოსწავლება საემისიო ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება, სადაც დაფიქსირებულია მხარეების უფლება და ვალდებულებები. საემისიო ხელშეკრულების შედგენა შემდეგი სქემით ხდება: მის პრეამბულაში მიზანშეწონილია მოთავსდეს მონაცემები, რომლებიც ემისიის მიზანს, მის თანხას ახასიათებენ. დახასიათებული დოკუმენტით პირველ განყოფილებაში მითითებულია შეთანხმების მონაწილეების სრული დასახელება, მათი მისამართები. მეორე განყოფილებაში მოცემულია ფასიანი ქალალდების აღწერა. აქ ხელშეკრულების შეიძლება დამატებულ იქნეს დოკუმენტი - "სახესხო ობლიგაციების გამოშვების და განაღდების პირობები", აქციების გამოშვების წესი", რომელშიც ემიტენტი ფასიან ქალალდებს უფრო დაწვრილებით ახასიათებს.

მესამე განყოფილებაში მოცემულია ამომწურავი ინფორმაცია ემიტენტის მიერ ბანკისათვის ფასიანი ქალალდების გადაცემის წესის შესახებ: გადაცემის ვადები, მათი ნომინალური ღირებულება, აქციების (ობლიგაციების) ეგზემპლარების რაოდენობა.

ხელშეკრულების მეოთხე განყოფილებაში მითითებულია ფასიანი ქალალდების განაწილებლად ბანკის ვალდებულებები, ფასიანი ქალალდების განაწილების პერიოდი. ამ შემთხვევაში თუ ფასიანი ქალალდების ემისია ხდება სამანი გარანტიების პირობებში. ამ განყოფილებაში გარანტიის სახეა და თანხაც წესისწორ ხდება შეთანხმება. თუ ემისია არამარკეტების შეთანხმებაში გათვალისწინებულია, მაშინ ბანკი ვალდებულებას იღებს გაყიდოს აქციების და ობლიგაციების მაქსიმალური რაოდენობა, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლისას - ემიტენტს დაუბრუნოს ის ფასიანი ქალალდები, რომლებიც არ გაიყიდა. ამ განყოფილებაში ფიქსირდება გარიგების მოსახლეობა ფასწარმოქმნის პრინციპები. მსხვილმასშტაბიანი მითითებულია თქმის შეთანხმების მონაწილე რომლის ბალანსზე ასახულია გარიგებიდან შემოსავლები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ფასიან ქალალდებზე ხანგრძლივი ვადით.

მეხუთე განყოფილებაში მითითებულია ბანკის მიერ ფასიანი ქალალდების რეალიზაციიდან მიღებული თანხების ემიტენტისათვის გადაცემის წესი და ვადები. ხელშეკრულების მეექვსე

განყოფილებაში უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი მდგომარეობა - ემიტენტის, ბანკის გაკოტრება, რაც მხარეებს არ ანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. ბანკი ფასიანი ქაღალდების მფლობელის წინაშე ემიტენტის ვალდებულებებზე პასუხს არ აგებს.

მეშვიდე განყოფილებაში მოყვანილია გადახდის ვადები და საკომისიოების დაგასამრჯელოების ხიდიდე, რომელსაც ბანკი ახდევინებს ფასიანი ქაღალდების განსწილებაში შეშამავლობისათვის. თუ გარიგება ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ, ემიტენტის მიერ ბანკო კრედიტის მიღების, მაშინ განხილული დოკუმენტის მერვე განყოფილებაში მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ მის განუყოფელ ნაწილს მხარეების საკრედიტო შეთანხმება წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ემისიური ხელშეკრულების დამატება არის. საკრედიტო შეთანხმებაში ფიქსირდება სესხის ოპერაციების მონაწილეობის უფლებები და ვალდებულებები, კრედიტის გაცემის და განაღდების წესი, მისი უზრუნველყოფა, სესხის პროცენტის ხიდიდე და მისი გადახდის პრინციპები,ჯადაგადაცილებული დავალიანებების განაღდების მექანიზმი, მისი წარმოქმნის შემთხვევები და ა.შ. საკრედიტო ხელშეკრულების დამოუკიდებელი იურიდიული ძალა გააჩნია.

მეცხრე განყოფილებაში საუბისიო ხელშეკრულების მხარეები მისი შესაძლებელი დარღვევის მიზეზებს აღნიშნავენ. ეს შეიძლება იყოს ბანკის მიზეზით ემიტენტის ანგარიშზე ფასიანი ქაღალდების კრედიტით გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების გადარიცხვის დაყოვნება. ხელშეკრულება ირღვევა საკომისიო გადახდაზე, ბანკის დაჯილდოებაზე და ა.შ. ემიტენტის უარის შემთხვევაში. გარიგების მონაწილეებმა ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას უნდა დაფიქსირონ ყოველი მხარის მოქმედება, კერძოდ, წინასწარ ხდება შეთანხმება, რომ ასეთ სიტუაციაში დაზარალებულ მხარეს პირობის დარღვევისთვის ჯარიმის გადაუხდიან. ბანკი გამოდის პარტნიორად, არა მარტო ფასიანი ქაღალდების ემიტენტთან, არამედ მათ მეიდვილებთან ან გამყიდველებთან საინვესტიციო ურთიერთობებში. ამ შემთხვევაში მხარეები შეთანხმების აფორმებენ. მასში ბანკს შეუძლია თავის თავზე აიღოს ვალდებულება შემდეგი მომსახურებების შესრულების: დამკვეთის ანონვით ჩატარდეს გასაყიდი ფასიანი ქაღალდების შეფასება; დამკვეთის სახელზე და მის ანგარიშზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა; დამკვეთის ფასიანი ქაღალდების განლაგება; დამკვეთისათვის ბაზარზე ფასიანი ქაღალდების კურსზე ინფორმაციის მიწ ლება; დამკვეთის ინფორმირება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე (მთლიანად ქვეყანაში ცალკეულ რეგიონებში, ქალაქებში, ფასიანი ქაღალდების სახეობაზე) მიმდინარე საორგანიზო მდგომარეობის შესახებ. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განხორციელება დამკვეთთან ერთობლივი მოქმედებები. დამკვეთისათვის კონსულტაციების გაწევა ნებისმიერ საკითხებზე, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოპერაციებთან არის დაკავშირებული. შეთანხმება ითვალისწინებს ბანკისათვის ამა თუ იმ ოპერაციის შესრულებაზე დავალების მიცემის პროცესის აღწერას; აქვე განისაზღვრება დამკვეთის გარანტიები იმ ოპერაციების გადახდაზე, რომელსაც ბანკი ახდენს. გარანტიას შეიძლება ჰქონდეს დამკვეთის საერთო გადახდისუნარიანობის ფორმა, ბანკის ანგარიშზე გარიგების თანხის სრული ან ნაწილობრივი დარიცხვით შეთანხმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ბანკო-საკომისიოების დადგენის პრინციპების ფიქსაცია. მხარეები შეთანხმდებიან იმაზე, რომ ბანკი, შეთანხმებს რა დავალებების პირობების დამკვეთთან, ფასიანი ქაღალდების განკარგულებელი ხდება და ოპერაციების შესრულებას იწყებს.

შეთანხმებაში განისაზღვრება ბანკის დამკვეთის წინაშე ანგარიშგების ფორმები და ვადები. ბანკი ვალდებულებას იღებს, დამკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით, ვალდებულების შესრულებაზე შეტყობინება გაგზავნოს. მასში ის უჩვენებს ადგილს, სადაც მოხდა გარიგება (ბირჟის გარეთ ბაზარზე, ბირჟაზე) გარიგების რეგისტრაციის თარიღს, შეუსაბამება თუ არა

გარიგების პირობები დამკვეთის დავალება. გარიგების ფასს, ბანკის საკომისიოს ხიდიდეს. ამის გარდა, ბანკსა და დამკვეთს შორის შეთანხმებაში დამატებითი შესწორება შეიტანება, დამკვეთის რომელ ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს და რომელი ანგარიშიდან ჩამოიწერება ფული ნაყიდი ფასიანი ქაღალდების ასანაზღაურებლად. ბანკს ხელშეკრულებით შეუძლია აიღოს თავის თავზე ვალდებულება იმ ფასიანი ქაღალდების შენახვაზე, რომლებიც შეძენილია დამკვეთისათვის. და ბოლოს, მხარეები განსაზღვრავენ დავის გადაწყვეტის პროცედურას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დამკვეთის დავალებების შესრულების პროცესში.

5. ფასიანი ქაღალდებით საგირავნო ოპერაციები

კომერციულ ბანკს მოკლევადიანი სესხის გასაცემად შეუძლია მსესხებლისაგან გირაოს სახით ფასიანი ქაღალდები მიიღოს. გირაოს შეფასება ხდება ფასიანი ქაღალდების საბაზრო კურსით და არა მათი ნომინალით. რათა შემცირდეს დანაკარგების რისკი, ბანკისათვის მიზანშეწონილია გირაოს ღირებულებების 50-70 % ხაზღვრებში გასცეს სესხი, მაგრამ ასეთი ფრთხილი მიდგომისას ბანკი შემთხვევითობისაგან არაა დაზღვეული. ეს გირაოს განხილული ფორმის სპეციფიკურობით აიხსნება. მოცემული ფასიანი ქაღალდების საბაზრო კურსის დაწევის შემთხვევაში, ისინი შეიძლება უცებ გაუფასურდეს. აი, რატომ უნდა დაიცვას კომერციულმა ბანკმა შემდეგი წესები.

მსესხებელთან საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებისას, ბანკისათვის მიზანშეწონილია გაითვალისწინოს ისეთი მდგომარეობა, რომ თუ დაგირავებული ქაღალდების საბირჟო ფასის დაიწევს, (მაგალითად, საბირჟო ფასმა, რომლის მიხედვითაც სესხის გაცემისას გამოანგარიშება გირაოს ღირებულება, საბაზრო ფასთან შედარებით 5 და უფრო მეტი პროცენტით დაიწია), კლიენტი ვალდებულია ბანკს განსაზღვრული დამატებითი გირაო წარუდგინოს. თუ კლიენტს არ უნდა, ან არ შეუძლია ამის გაკეთება, მან უნდა გაანაღდოს ვალის უგარანტიო ნაწილი, ან მთელი სესხი დაბრუნოს. საკრედიტო ხელშეკრულებაში საჭიროა, ხაზი გავსვათ იმას, რომ კლიენტის მიერ ბანკის მოთხოვნილების შეუსრულებლობის, ასევე ვადაგადაცილებული ვალის წარმოქმნის შემთხვევაში ბანკი (კლიენტისათვის ყოველგვარი შეტყობინების გარეშე) ყიდის ყველა საგირავნო ქაღალდს ან მის ნაწილს და ფულად ამონაგებს უგარანტიო ვადაგადაცილებული ვალის დასაფარავად აგზავნის. იმ შემთხვევაში, თუ ამონაგების თანხა მოცემულ ვადაზე ნაკლები იქნება, მაშინ კლიენტი ვალდებულია ბანკის მიმართ მთელი თავისი ქონებით აგოს პასუხი.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ფასიანი ქაღალდების გირაოს სპეციფიკა გამოიხატება იმაში, რომ მსესხებლის პასუხისმგებლობა გირაოს ღირებულებით კი არ ამოიწურება, არამედ მთელ მის ქონებაზე ვრცელდება, მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გირაოთი კრედიტების გაცემის შემთხვევაში, მხოლოდ ასეთი მიდგომა იცავს ბანკის კომერციულ ინტერესებს.

თავი XIII

სავალუტო ბაზარი და ბანკების სავალუტო ოპერაციები

1. სავალუტო ბაზრის ცნება, ვალუტის კოტირება, სავალუტო პოზიცია

ჩვენი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გარდაქმნა მოითხოვს კომერციული ბანკების საქმიანობაში, მათი საგარეო და საშინაო კავშირების მთელ მრავალფეროვნებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას. საერთაშორისო გარიგებების განხორციელებისას , საკითხი სავალუტო ოპერაციების შესახებ განიხილება, როგორც ამ გარიგებებში სბანკო მონაწილეობის ფორმა.

ბევრი კომერციული ბანკი, მიიღებს რა ლიცენზიას სავალუტო ოპერაციების ჩასატარებლად, ამ ოპერაციების განხორციელების პროცესში სიძნელეებს აწყდება. ამიტომ, აუცილებელია შესწავლილ იქნეს საზღვარგარეთის ბანკების საქმიანობა სავალუტო ბაზარზე და მასზე სავალუტო ოპერაციების ჩატარების მექანიზმი. გაფართოებული საერთაშორისო კავშირები, სამეურნეო ცხოვრების გახსდილი ინტერნაციონლიზაცია იწვევს ერთი ეროვნული ფულადი ერთეულის მეორეზე გაცვლის ობიექტურ აუცილებლობას, ამ აუცილებლობის რეალიზაცია ხდება განსაკუთრებული სავალუტო ბაზრის მეშვეობით, სადაც მოთხოვნა-მიწოდების გაკვლინით სავალუტო კურსის სტიქიური ფორმირება ხდება.

სავალუტო ბაზარი. სავალუტო ბაზარი, ამ ცნების ვიწრო გაგებით, არის განსაკუთრებული ინსტიტუციონალური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, სადაც გარიგებების უმეტესობა ბანკებს შორის (ასევე ბროკერების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობით) დაიდება. სავალუტო ბაზარი, ამ ცნების ფართო გაგებით, არის ურთიერთობები არა მარტო მის სუბიექტებს შორის (ე.ი. ძირითადად ბანკებს შორის), არამედ ბანკებსა და კლიენტებს შორის.

სავალუტო ბაზრის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები ის არის, რომ აქ ფულადი ერთეულები ერთმანეთის საპირისპიროდ დგანან, მხოლოდ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ჩაწერების სახით, სავალუტო ბაზარი უპირატესად ბანკთაშორის ბაზარს წარმოადგენს, რადგან სწორედ ბანკთაშორისი ოპერაციების მიმდინარეობისას ხდება ვალუტის კურსის ფორმირება, ოპერაციები სრულდება კავშირების და კომუნიკაციების სხვადასხვა საშუალებების დახმარებით. სავალუტო ბაზრის როლი ეკონომიკაში მისი ფუნქციებით განისაზღვრება:

საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალების საერთაშორისო ბრუნვის მომსახურება; მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე სავალუტო კურსის ფორმირება;

სავალუტო რისკისა და სპეკულაციური კაპიტალის განთავსებისაგან დაცვის მექანიზმი;

სახელმწიფოს ინსტრუმენტი ფულად-საკრედიტო და ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისათვის. სავალუტო ოპერაციების განხილვისას ამოსავალ მომენტს წარმოადგენს "ვალუტის კოტირების" და "სავალუტო პოზიციის" ცნებების განსაზღვრება.

ვალუტის კოტირება. ვალუტის კოტირება - მისი კურსის განსაზღვრაა. სრული კოტირება მოიცავს მყიდველის და გამყიდველის კურსს, რომლის შესაბამისად ბანკი ეროვნულ ვალუტას საზღვარგარეთის ვალუტაზე ყიდის ან ყიდულობს. გამყიდველისა და მყიდველის კურსს შორის სხვაობა მარჟას წარმოადგენს. მარჟა, ბანკის შემოსავლის წყაროა, რომლის საშუალებითაც ის ფარავს გარიგების განხორციელების ხარჯებს და მნიშვნელოვან წილად ემსახურება სავალუტო რისკის დაზღვევას.

უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტასთან კოტირების ორი მეთოდი არსებობს - პირდაპირი და ირიბი. ქვეყნების უმრავლესობა პირდაპირ კოტირებას იყენებს. პირდაპირი კოტირებისას უცხოური ვალუტის ერთეულის ღირებულება ეროვნულ ფულად ერთეულში გამოიხატება. ირიბი კოტირებისას ერთეულად მიიღება ის ეროვნული ფულადი ერთეული, რომლის კურსი უცხოური ვალუტის განსაზღვრულ რაოდენობაში გამოიხატება. ირიბი კოტირება, უმეტესად, ინგლისში გამოიყენება, რაც შეეხება აშშ-ს, აქ შიგა მიზნებისათვის გამოიყენება პირდაპირი კოტირების პრინციპი, ხოლო საერთაშორისო სფეროში, ამერიკული ბანკები ირიბი კოტირების მეთოდს იყენებენ. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში გირვანქა სტერლინგისათვის ირიბი კოტირების მეთოდს არ იყენებენ.

განვიხილოთ ვალუტის პირდაპირი და ირიბი კოტირებით გამყიდველისა და მყიდველის კურსის განსაზღვრის მაგალითები.

1 მაგალითი.

ნიუ-იორკი ლონდონზე (პირდაპირი კოტირება):

1 გირვანქა სტერლინგი - 1,6427 აშშ-ის დოლარი - მყიდველის კურსი,

1 გირვანქა სტერლინგი - 1,6437 აშშ-ს დოლარი - გამყიდველის კურსი .

ნიუ-იორკის ბანკი მიისწრაფის გაყიდოს გირვანქა სტერლინგები და ამასთან, მიიღოს მეტი ეროვნული ვალუტა (1,6437), ხოლო მისი ყიდვისას გადაიხადოს ნაკლები ოდენობა (1,6423)

2 მაგალითი.

ნიუ-იორკის - მაინის ფრანკფურტზე (ირიბი კოტირება),

1 აშშ-ის დოლარი - 1,7973 მარკა - გამყიდველის კურსი,

1 აშშ-ის დოლარი - 1,7983 მარკა - მყიდველის კურსი.

ნიუ-იორკის ბანკს გფრ-ის მარკების გაყიდვისას, თითოეული დოლარის საყიდლად, რაც შეიძლება ცოტა მარკების გადახდა უნდა (1,7973) და სამაგიეროდ, ყიდვის დროს სურს, რაც შეიძლება მეტი იყიდოს (1,7983).

კოტირების პროცედურა, რომელიც თითოეული ვალუტის მოთხოვნა-მიწოდების ოპტიმალური შედარების გზით ბანკთაშორისი კურსის განსაზღვრაში და რეგისტრაციაში მდგომარეობს, "ფიქსინგი" ეწოდება. ფიქსინგის საფუძველზე გამყიდველისა და მყიდველის კურსები დგინდება, რომლებიც ოფიციალურ ბიულეტენებში ქვეყნდება. ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის ოპერაციებში კოტირება უმეტესად აშშ-ს დოლარის მიმართ ხდება, რადგან ის საერთაშორისო საგადასახადო და სარეზერვო საშუალებას წარმოადგენს.

ვალუტის კოტირება სავაჭრო-სარეწველო კლიენტურისათვის, რომელიც დაინტერესებულია უცხოური ვალუტის კოტირებით ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში, დაფუძნებულია კროს-კურსზე. კროს-კურსი - ეს არის ორ ვალუტას შორის თანაფარდობა, რომელიც მესამე ვალუტასთან ურთიერთობიდან (ჩვეულებრივ აშშ-ის დოლართან) გამომდინარეობს.

კროს-კურსის გამოთვლა.

კოტირების მონაცემები:

აშშ-ს დოლარი / გფრ-ის მარკა - 1,7973-1,7983

აშშ-ს დოლარი / შვეიცარიის ფრანკი - 1,5617 - 1,5627

კლიენტს სურს შვეიცარიის ბანკიდან გფრ-ის მარკები შეიძინოს. ამიტომ შვეიცარიის ბანკმა გერმანიის ბანკისაგან წინასწარ უნდა იყიდოს მარკები აშშ-ს დოლარებზე შემდეგი კურსით:

1 აშშ-ის დოლარი - 1,7973 მარკა. იმისათვის, რომ მიიღოს აშშ-ს დოლარები, რომლებსაც შვეიცარიის ბანკი გადაუხდის გერმანიის ბანკს, მან აუცილებლად უნდა გაყიდოს შვეიცარული ფრანკი. ეს უკანასკნელი კლიენტისაგან მიღებული აქვს აშშ-ს დოლარებზე, კურსით: აშშ-ს 1 დოლარი - 1,5627 შვეიცარული ფრანკი, შესაბამისად,

X შვეიცარული ფრანკი = 1 მარკას.

1,79973 გფრ-ის მარკა = 1 აშშ-ს დოლარს

1 აშშ-ს დოლარი = 1,5627 შვეიცარულ ფრანკს.

$$X = (1 \times 1{,}5627) : 1{,}7973 = 0{,}8695$$

ამ შემთხვევაში, თუ კლიენტს შვეიცარიის ბანკისათვის მარკების მიყიდვა სურს,მაშინ:

X შვეიცარული ფრანკი = 1 გფრ-ის მარკას

1,7983 მარკა = 1 აშშ-ს დოლარს.

1 აშშ-ს დოლარი = 1,5617 შვეიცარულ ფრანკს.

$$X = (1 \times 1{,}5617) : 1{,}7983 = 0{,}8684$$

გფრ-ის მარკა = 0,8684 შვეიცარულ ფრანკს-მყიდველის კურსი.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. ციურიხში კლიენტს სურს იყიდოს გირვანქა სტერლინგი შვეიცარული ფრანკით.

სავალუტო კურსებია:

გირვანქა სტერლინგი/აშშ-ს დოლარი - 1,6427 - 1, 6437

აშშ-ს დოლარი/შვეიცარიის ფრანკი - 1,5617 - 1,5627

შვეიცარიის ბანკი ციურიხში შვეიცარიის ფრანკს ყიდის აშშ-ს დოლარზე.

სავალუტო კურსებია: გირვანქა სტერლინგი/აშშ-ს დოლარი - 1,6427-1,6437

აშშ-ს დოლარი = 1,5627 შვეიცარულ ფრანკს და ლონდონში გირვანქა სტერლინგს ყიდულობს აშშ-ს დოლარის კურსით:

გირვანქა სტერლინგი = 1,6437 აშშ-ს დოლარს,

X შვეიცარული ფრანკი = 1 გირვანქა სტერლინგს,

გირვანქა სტერლინგი = 1,6437 აშშ-ს დოლარს,

აშშ-ს დოლარი = 1,5627 შვეიცარულ ფრანკს.

$$X = 1{,}6437 \times 1{,}5627 = 2{,}5687$$

გირვანქა სტერლინგი = 2,5687 შვეიცარულ ფრანკს-გამყიდველის კურსი.

თუ კლიენტს სურს გირვანქა სტერლინგი შვეიცარიის ბანკს მიყიდოს, მაშინ შვეიცარული ფრანკი = გირვანქა სტერლინგს.

გირვანქა სტერლინგი = 1,6427 აშშ-ს დოლარს,

აშშ-ს დოლარი = 1,5617 შვეიცარულ ფრანკს

$$x = 1{,}6427 \times 1{,}5617 = 2{,}5664$$

გირვანქა სტერლინგი = 2,5654 შვეიცარული ფრანკის – მყიდველის კურსი.

სავალუტო პოზიცია. ბანკი ვალუტით გარიგების პროცესში ერთ ვალუტას მეორის ნაცვლად იღებს. ბანკის მოთხოვნილების და ვალდებულების თანაფარდობა უცხოურ ვალუტაში მას სავალუტო პოზიციას განსაზღვრავს. თუ მოთხოვნები და ვალდებულებები ერიმანეთს ემთხვევა, სავალუტო პოზიცია შეიძლება ორი სახის იყოს: მოკლე და გრძელი. პოზიციას, რომლის დროსაც გაყიდულ ვალუტაზე ვალდებულებები მოთხოვნებს აჭარბებენ, ეწოდება მოკლე, თუ მოთხოვნები ვალდებულებებს აჭარბებენ-გრძელი. მაგალითად, ბანკმა გახსნა პოზიცია აშშ-ს დოლარების 1,7998 გერმანულ მარკებზე გასაყიდად. ამ გარიგების შედეგად ბანკს მოკლე პოზიცია ექნება. აშშ-ს დოლარებში, ხოლო გრძელი - მარკებში. ღია სავალუტო პოზიცია სავალუტო რისკის წარმოქმნასთან არის დაკავშირებული. მან შეიძლება ბანკს, როგორც დამატებითი შემოსავლები, ისე ზარალი მოუტანოს.

ბანკები ცდილობენ სავალუტო რისკის ლიკვიდირებას. ამისათვის ორი მეთოდი არსებობს – ტექნიკური და ადმინისტრაციული. პირველი მეთოდით სავალუტო რისკისაგან დასაცავად ბანკი იღებს ვალუტას ნაღდი ფულით გარიგების პირობებით და ამავე დროს, მას გარკვეული ვადით ყიდის. მაგალითად, ბანკისათვის აუცილებელია ანგარიშზე "უშა" ნაშთები ჰქონდეს შვეიცარულ ფრანკებში. ბანკი ყიდულობს ნაღდი ფულის გარიგების პირობებით 100 მლნ.შვეიცარულ ფრანკს და ამავე დროს ყიდის მათ გარკვეულ ვადაში. მეორე, ადმინისტრაციული მეთოდისას, შემოაქვთ ღია სავალუტო პოზიციით ლიმიტები. ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დაწესებისათვის უკანასკნელი თვეების პერიოდში, დღის განმავლობაში ვალუტის კურსის საშუალო ღღიურ ცვლილებებს ითვალისწინებენ. აქედან გამომდინარე, ღია პოზიციის ღღიური ლიმიტის თანხა მოსალოდნელი ზარალისა და მოგების შეზღუდვებით განისაზღვრება. ითვალისწინებენ რა, რომ სავალუტო კურსის ცვლებადობის ჩარჩოები პერიოდის ზრდასთან ერთად იზრდება, შესაძლებელი ღია პოზიციების სიდიდე მეორე დღეზე გადატანის უფლებით, როგორც წესი, ღღიურ ლიმიტებზე უნდა იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ეს პოზიცია დღის განმავლობაში არ არის დახურული, მეორე დღისათვის არის გადატანილი და განსაზღვრული სიდიდით მისი დახურვის ნებართვა არსებობს (როგორც წესი, დღის განმავლობაში ნებადართული ზარალის თანხის საზღვრებში), მაშას ასეთი პოზიცია, როგორც ღია, არ შეიძლება განხილულ იქნეს სავალუტო კურსის ცვლილების რისკის გათვალისწინების გარეშე. ბანკები, როგორც წესი, ხშირად იყენებენ ასეთ სქემას.

ბანკის სავალუტო განყოფილება სხვადასხვა სავალუტო პოზიციებზე მუდმივ კონტროლს ახორციელებს ყველა შესრულებული სავალუტო ოპერაციების ელექტრო გამომთვლელ მანქანებში შეყვანის გზით. ეს უკანასკნელი როგორც გრძელ, ისე მოკლე სავალუტო პოზიციებზე მონაცემებს იძლევა სხვადასხვა ვალუტაში. თუ ბანკ რომელიმე უცხოურ ვალუტაში აქვს გრძელი ან მოკლე პოზიციები, მაშინ აუცილებელია საერთო მნიშვნელის გამონახვა, რომლის დახმარებითაც შედეგები შეიძლება შეჯამდეს. საბანკო პრაქტიკაში, როგორც წესი, ის აშშ-ს დოლარია. ამასთან დაკავშირებით სავალუტო პოზიცია შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ (ცხრილი 20).

ევროპის წამყვანი ბანკები სავალუტო ოპერაციებს დილის 9 საათზე იწყებენ. ოუმცა, დოლარის სამუშაო დღე, როგორც მინიმუმი, ერთი საათით ადრე იწება. ყველა დოლარმა დღის განმავლობაში ცხრილი 20

ვალუტის დასახელება	გრძელი პოზიცია	მოკლე პოზიცია	აშშ-ის დოლართან კურსი
გირვანქა სტერლინგი	3 286 400 დოლ.	2 000 000	1, 643 2
გფრ-ის მარკა	2 781 177 დოლ.	5 000 000	1, 797 8
შვეიცარული ფრანკი	3 392 952	2 171 906 დოლ.	1, 562 2
ფრანგული ფრანკი	1 312 228 დოლ.	8 000 000	6, 096 5
იტალიური ლირა	672 948 დოლ.	900 000 000	1337, 40
იაპონური იენა	244 800 710	1 784 652 დოლ.	137,17
ჯამი აშშ-ის დოლარებში	4 096 195		

სავალუტო ოპერაციების ჩატარების სტრატეგია და ტაქტიკა უნდა გამოიშუშაოს. დილერის სტრატეგიის და ტაქტიკის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს: ნიუ-იორკში და შორეულ აღმოსავლეთში ბაზრების დაკეტვის დროს, სავალუტო კურსები, ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები და ბანკის საკუთარი სავალუტო პოზიცია. ბანკის სავალუტო განყოფილების მუშაობა იწყება დილის 9 საათზე და მთავრდება 17 საათზე. ამ დროის განმავლობაში ბანკი არა მარტო თავის კლიენტის დავალებებს ასრულებს, არამედ თავის საკუთარი რესურსებითაც ახდენს ოპერირებას.

2. სავალუტო ოპერაციები

ოპერაციები "სპოტი". ვალუტით ვაჭრობა ნაღდად, ან ვადიანი ოპერაციების სახით წარმოებს. ნაღდი ვალუტით ოპერაციების ძირითადად "სპოტ"-ის პირობებით ახორციელებენ, რაც გულისხმობს, რომ ანგარიშსწორება განხორციელდება მეორე დღეს, ვარიგების შემდეგ, იმ კურსით, რომელიც დაფიქსირებულია ხელშეკრულების დადების მომენტში. ეს სახსრების ნებისმიერ ქვეყანაში გადაგზავნის და აგრეთვე გარიგების დამთავრების საშუალების იძლევა. ოპერაცია "სპოტ"-ის ჩატარების ბაზად ბანკებს შორის საკორესპონდენტო ურთიერთობები გამოიყენება. სავალუტო ოპერაცია "სპოტ"-ი ყველა სავალუტო გარიგების დაახლოებით 90 % შეადგენს. მათი განხორციელების მთავარი მიზანია: - უცხოურ ვალუტაზე ბანკის კლიენტის მოთხოვნების უზრუნველყოფა; - სახსრების ერთი ვალუტიდან მეორეში გადადინება; - სპეკულაციური ოპერაციების ჩატარება.

ბანკები ოპერაცია "სპოტ"-ს იყენებენ საზღვარგარეთის ბანკებში "ნოსტრო"-ს მინიმალურად აუცილებელი სამუშაო ნაშთების შესანარჩუნებლად, ერთი ვალუტის ზედმეტობის შემცირების და სხვა ვალუტაში მოთხოვნების დაფარვის მიზნით. ამით ბანკები არეგულირებენ თავიანთ სავალუტო პოზიციებს, არგარიშებზე დაუფარავი ნაშთების დაგროვების თავიდან აცილების მიზნით. უცხოური ვალუტის მიწოდების მცირე პერიოდის მიუხედავად, კონტრაგენტები ამ გარიგებით სავალუტო რისკს ენეგიან, რადგან "მცურავი" სავალუტო კურსის პირობებში, კურსი შეიძლება 2 სამუშაო დღეშიც შეიცვალოს. სავალუტო გარიგებების ჩატარება მოითხოვს. მათი შესრულების ტექნიკა რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. მოსამზადებელ სტადიაზე სავალუტო ბაზრების მდგომარეობის ანალიზი

ხდება, სხვადასხვა ვალუტის მოძრაობის ტენდენციები გამოვლინდება, მათი ცვლილების მიზეზები შეისწავლება. ამ ინფორმაციის საფუძველზე დილერები, იღებენ რა მხედველობაში საკუთარ სავალუტო პოზიციებს, კომპიუტერული ტექნიკის დახმარებით განსაზღვრავენ ეროვნული ვალუტის კურსს უცხოურ ვალუტასთან შედარებით.

ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს სავალუტო ოპერაციების მიმართულება, ე.ი. კონკრეტულ ვალუტაზე, რომელზეც გარიგება ხდება გრძელი ან მოკლე პოზიციის უზრუნველყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილ ბანკებში, ბაზარზე ვალუტების მდგომარეობის ანალიზს სპეციალური ჯგუფები, ეკონომისტ-ანალიტიკოსები ატარებენ, ხოლო დილერები ყურადღებას რა მათ ინფორმაციას, დამოუკიდებლად ირჩევენ სავალუტო ოპერაციების ჩატარების მიმართულებას. საშუალო ბანკებში ანალიტიკოსების ფუნქციას თვით დილერები ასრულებენ. ისინი უშუალოდ ახორციელებენ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს და გარიგებებს აწყვეტენ. გარიგების პროცედურა გულისხმობს გასაცვლელი ვალუტის ამორჩევას; კურსების ფიქსაციას; გარიგების თანხის დადგენას; სახსრების გადარიცხვის ვალუტირების; ვალუტის მიწოდების მისამართის მითითებას. დასკვნით ეტაპზე გარიგების ანგარიშების მიზედვით განხორციელება და მისი დოკუმენტური დადასტურება ხდება.

ვადიანი გარიგებები. ვადიანი ოპერაციები ეწოდება სავალუტო გარიგებებს, რომლებზეც ანგარიშსწორება გაფორმებიდან 2 სამუშაო დღეზე მეტი დროის შემდეგ ხორციელდება. მათი გამოყენების მიზანია: - ვალუტის კურსის ცვლებადობისაგან დაზღვევა; - სპეკულაციური მოგების ამოღება.

ბანკთაშორის ვადიან გარიგებებს "ფორვარდული" გარიგებები ეწოდება. გარიგების გაფორმების მომენტში ფიქსირდება ვადა, კურსი და თანხა, მაგრამ ვადის დადგომამდე (ჩვეულებრივ 1-6 თვე) არავითარი თანხები ანგარიშებზე არ ირიცხება.

ვადიანი გარიგებების თავისებურებებს მიეკუთვნება: - გარიგების გაფორმების მომენტსა და მის შესრულებას შორის დროის ინტერვალის არსებობა; - ვალუტის კურსი გარიგების დადების მომენტში განისაზღვრება.

საბირჟო კოტირების ბიულეტენში ქვეყნდება გარიგება "სპოტ"-ის კურსი და "ფორვარდული" გარიგების კურსის განსაზღვრისათვის პრემიები ან დათმობები სხვადასხვა ვადებით, როგორც წესი, 1,3 ან , თვე; თუ "ფორვარდული" გარიგებისას ვალუტის კოტირება უფრო ძვირად ხდება, ვიდრე დაუყოვნებლივ მიწოდებაზე "სპოტ"-ის პირობებით, მაშინ მისი კოტირება პრემიით ხდება. დათმობა ან დისკონტი საპირისპირო მოვლენას ნიშნავს, კინაიდან კურსს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია პრემია ან დათმობა, "აუტრაიტ"-ის კურსი ეწოდება. პრემიის შემთხვევაში ვადიანი ვალუტა უფრო ძვირია, ვიდრე ნაღდი კურსით, დათმობისას-იაფია. რაღესაც აქვს პრემიას და დისკონტის მნიშვნელობა, "აუტრაიტ"-ის კურსი გამოითვლება.

მაგალითი. ცხრილი 21

ვადა	გარვანქა სტერლინგი / დოლარი	დოლარი / გულდენი	დოლარი / ლირა
სპოტი	1,5060-1,5070	2,5130-2,5145	1530,70-1531,70
1 თვე	35-30	20-12	5,00-6,50
2 თვე	67-62	48-40	10,50-12,50
3 თვე	94-89	77-67	15,50-18,50
6 თვე	168-153	188-173	30,00-33,00
12 თვე	270-240	410-370	54,00-64,00

მონაცემებიდან ჩანს, რომ დოლარი ხელმისაწვდომია დისკონტით გულდენის საწინააღმდეგოდ, მაგრამ პრემიით ლირის საწინააღმდეგოდ გირვანქა სტერლინგი ხელმისაწვდომია დისკონტით დოლარის საწინააღმდეგოდ. უნდა აღინიშნოს, რომ გამყიდველის კურსი მყიდველის კურსზე ყოველთვის მაღალია. "ფორვარდული" ოპერაციების შემთხვევაში ეს სხვაობა მეტია, ვიდრე "სპოტ"-ის ოპერაციების დროს. ეს მიიღწევა მყიდველის კურსზე დიდი რიცხვების დადგენით და გამყიდველის კურსზე მცირე რიცხვებით, დისკონტის შემთხვევაში, და პირიქით, პრემიების შემთხვევაში.

მაგალითი. დოლარი/გულდენი

კურსი "სპოტ" -	2,5130 - 2,5345
დისკონტი (3 თვე) -	77 - 67
კურსი "ფორვარდი"-	2,5053 - 2,4078

"სპოტ"-ის კურსით მარჯა ტოლია 0,0015, ან 15 პუნქტით, "ფორვარდის" მიმართ - 0,0025, ან 25 პუნქტით.

მაგალითი. დოლარი / ლირა

კურსი "სპოტ" -	1530,70 - 1531,70
პრემია (3 თვე) -	15,50 - 18,50
კურსი "ფორვარდი" -	1546,20 - 1550,20

არჯა ტოლია 1,00 , "ფორვარდით" - 4,00,

დისკონტის ან პრემიის ფორვარდის კურსით განსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს მოკლევადიან დეპოზიტებზე პროცენტულ განაკვეთებს შორის სხვაობა, ხოლო პრემიის ან დისკონტის სიდიდე შეესაბამება საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობას ვადიან დეპოზიტებზე შესაბამის ვალუტაში ვადით, რომელიც "საფორვარდო" გარიგების ვადის ტოლია. პრემია, ან დისკონტი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

W / D = ((CV DB x KC - CWDA x WKF) x CP) : 100 x 360

სადაც: **W** - პრემია (" I " ნიშნის დროს);

D დისკონტი (" - " ნიშნის დროს)

CWDB - საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე ბ ვალუტაში;

B - კოტირებადი ვალუტა;

CWDA - საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე ა ვალუტაში;

A კოტირებადი ვალუტა;

KC - "სპოტ" კურსი;

WKF - "ფორვარდის" მიახლოებითი კურსი, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

WKF = ((CWDB - CWDA) x KB x CP) : 100 x 360

სადაც: **CP** - "ფორვარდი"-ს გარიგების ვადა.

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში იქმნება სიტუაციები, როცა "ფორვარდული" გარიგებები მიწოდების თარიღზე იდება, რომელიც სტანდარტული ვადებისაგან (1, 2, 3, 12 თვე) განსხვავდება. მაშინ "აუტრაიტის" კურსი გამოითვლება შემდეგი სქემით. უახლოეს სტანდარტულ პერიოდებს შორის კურსების სხვაობა მათ შორის არსებული ღღეების რიცხვზე იყოფა და მიღებული შედეგი

მრავლდება იმ ღღეთა რიცხვზე, რომელიც არის მიწოდების თარიღსა და მის მომდევნო, უახლოეს სტანდარტულ პერიოდს შორის. მიღებული რიცხვი შემდგომი სტანდარტული პერიოდის კურსის მნიშვნელობას აკლდება.

მაგალითი. აუცილებელია 3 მარტის დისკონტის გამოთვლა 25 აპრილის პრემიასთან.

დისკონტი/პრემია 1 თვის	0,0101
დისკონტი/პრემია 2 თვის	0,0203
„სპოტ"-ის მიწოდების თარიღი 3 მარტს	= 7 მარტი
მიწოდების თარიღი 1 თვის 32 ღღის ვადით	= 7 აპრილი
მიწოდების თარიღი 2 თვის ვადით	= 9 მაისი
25 აპრილი - 9 მაისი	= 14 ღღე

0,0203 - 0,01010 = 0,0102 : 32 = 0,00032 ღღეში

14 x 0,00032 = 0,0045 14 ღღეში

0,0203 - 0,0045 = 0,0158 = გამოანგარიშებული დისკონტი/პრემია 3 მარტიდან 25 აპრილამდე, ე.ი. 14 ღღისა.

ზოგიერთ ვალუტაზე, მაგალითად, შვეიცარულ ფრანკზე ბანკები თვის უკანასკნელ ღღეს ადგენენ უფრო მაღალ პროცენტს, ვიდრე თვის ჩვეულებრივ ღღეებში, რაც ართულებს დისკონტის პრემიის გამოანგარიშებას ვალუტის არასტანდარტული მიწოდების გარიგებებზე. აუცილებელია, გამოითვალოს დისკონტი/პრემია 24 მარტიდან (მიწოდების თარიღი 28 მარტი) 29 აპრილისათვის:

დისკონტი 1 თვით (31 ღღე)	- 0,0097
პრემია თვის უკანასკნელ ღღეს 1 ღღე	- (+ 0,0015)
დისკონტი ჩვეულებრივ 30 ღღეზე	- 0,0112

ჩვეულებრივი 1 ღღისათვის დისკონტი შეადგენს -0,012 : 30 = 0,00037

დისკონტი 28 მარტიდან 29 აპრილამდე ტოლია:

- 0,0097 (28 მარტი - 28 აპრილი)

+ (-0,00037) (28 აპრილი - 29 აპრილი)

- 0,01007

გარიგებები "ოფციონით". უცხოური ვალუტით ვადიან გარიგებებს შორის გამოყოფენ გარიგებებს "აუტრაიტით" - განსაზღვრულ თარიღზე მიწოდების პირობით და გარიგებებს "ოფციონით" - დაფიქსირებული მიწოდების თარიღით. ოფციონით გარიგებისას, ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს ამოირჩიოს უფრო ხელსაყრელი პირობები ვალდებულებების შესასრულებლად. ამ უფლებისათვის მეორე მხარე პრემიას იღებს, რომელიც დამოკიდებულია ოფციონის ხანგრძლივობაზე, გარიგების გაფორმებისას კურსების სხვაობასა და მოცემულ ოპერაციაში წინასწარ დაფიქსირებულ კურსებზე. მათი მიზანია, ვალუტის კურსის ცვლებადობისას, დანაკარგები შეზღუდოს, ე.ი. საგალუტო რისკებისაგან შემოსავლების და გასავლების დაზღვევა ვალუტაში.

იმის მიხედვით, თუ მონაწილეთაგან რომელს და რანაირად აქვს უფლება შეცვალოს გარიგების პირობები, ანსხვავებენ: მყიდველის ოფციონს ან წინასწარი პრემიით გარიგებას, გამყიდველის ოფციონს ან გარიგებას უკუ პრემიით, დროებით ოფციონს.

/მყიდველის ოფციონის შემთხვევაში, ან წინასწარი პრემიით გარიგებისას, ოფციონის მფლობელს უფლება აქვს მიიღოს ვალუტა განსაზღვრულ დღეს, შეთანხმებული კურსით. მყიდველი ინარჩუნებს უფლებას უარი თქვას ვალუტის მიღებაზე და ამის გამო გადაუხადოს გამყიდველს პრემია. გამყიდველის ოფციონით ან უკუ პრემიით გარიგებით ოფციონის მფლობელს შეუძლია მიაწოდოს ვალუტა დათქმულ დღეს, განსაზღვრული კურსით. გარიგებაზე უარის თქმის უფლება ეკუთვნის გამყიდველს და ის მყიდველს გასამრჯელოს სახით პრემიას უხდის.

ოფციონით გარიგებების ნაირსახეობას წარმოადგენს დროებითი ოფციონი, რომელსაც ისტორიულად წინ უძღოდა სტელაჟური ოპერაცია სპეკულაციური გარიგებების ერთდროული ჩატარების მიზნით, ვალუტის კურსის აწევის ან დაწევის ვარაუდით. ბანკის მიერ კლიენტისათვის წარმოდგენილი ასეთი ოფციონი წარმოადგენს ოფციონს (ამორჩევის უფლება ან საგანი) დროის პერიოდის მიმართ, რაც იქნება განხორციელებული ვალუტის მოწოდება და ასეთი გარიგება განსაზღვრულ ვადამდე უნდა იყოს შესრულებული. ამ ოპერაციაზე პრემიის გადამხდელს უფლება აქვს მოითხოვოს გარიგების შესრულება დროის ნებისმიერ მომენტში, ოფციონის პერიოდში წინასწარ დაფიქსირებული კურსით. ამრიგად, გარიგების მონაწილე იხდის ოფიციალური გარიგების შედეგად მიღებულ პრემიას, ვალუტის კონვერსიისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი მიმდინარე კურსის ამოსარჩევად. აღნიშნულ შემთხვევაში, პრემია არ ასრულებს გასამრჯელოს როლს, რადგან ოფციონის ვადის პერიოდში გარიგების შესრულებაზე უარის თქმა არ შეიძლება, გარიგების შესრულებისას კონტრაგენტები აზუსტებენ, თუ მათ შორის რომელი გახდა გამყიდველის და რომელი მყიდველის როლში. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი გადაიხდის პრემიას, და მეორე ან იყიდის ან გაყიდის ვალუტას. ეს გარიგება იმდენად ხელსაყრელია მონაწილეებისათვის, რამდენადაც მეტია ვალუტის კურსის მერყეობა.

„სვოპ“ ოპერაციები. "სვოპ" გარიგებები წარმოადგენენ სავალუტო ოპერაციებს, რომლებშიც შეზამებულია ნაღდი გარიგების "სვოპ"-ის პირობით ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა იგივე ვალუტის ვადით, ერთდროული გაყიდვა ან ყიდვა "ფორვარდის" კურსით. ამ ოპერაციების ჩატარების რიგითობას თავისი დანიშნულება აქვს. ასე მაგალითად, გარიგებას, რომლის დროსაც "სპოტ"-ის პროგრამით უცხოური ვალუტის გაყიდვა ხდება მისი ერთდროული ყიდვით "ფორვარდის" პირობებით, რეპორტი ეწოდება, გარიგება, რომლის დროსაც ადგილი აქვს უცხოური ვალუტის "სპოტ"-ის პირობებით ყიდვას და ამავე დროს მისი "ფორვარდის" პირობებით გაყიდვას-რეპორტი.

"სვოპ" გარიგებები ორი ბანკის, ჩვეულებრივ ერთი დღიდან 6 თვემდე ვადით მოლაპარაკებით ხორციელდება. ეს ოპერაციები შეიძლება მოხდეს კომერციულ ბანკებს შორის, კომერციულ და ცენტრალურ ბანკებს შორის და თვით ცენტრალურ ბანკებს შორის. ცენტრალურ ბანკებს შორის ოპერაციები, ეროვნული ვალუტით ურთიერთ დაკრედიტებაზე შეთანხმებას წარმოადგენენ. 1969 წლიდან ვალუტის ურთიერთ გაცვლის მრავალმხრივი სისტემა შექმნილია ბაზელის საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მეშვეობით, "სვოპ"-ის ოპერაციის გამოყენების ბაზაზე.

"სვოპ"-ის ოპერაციის და დროებითი ოფციონის გარიგებების შედარებისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დროებითი ოფციონით გარიგებები სავალუტო რისკებისგან სრულ დაცვას ახორციელებენ, იმ დროს, როდესაც "სვოპ"-ის ოპერაციები მხოლოდ ნაწილობრივ იცავენ სავალუტო რისკებისაგან. ეს იმითაა განპირობებული, რომ "სვოპ"-ის ოპერაციებას ჩატარებისას, სავალუტო რისკი წარმოიქმნება გარიგების დადების დღეს და ვალუტის მიწოდების პერიოდს შორის, დისკონტის და პრემიის ურთიერთსაწინააღმდეგო მხარის ცვლილების გამო.

"სვოპ" ოპერაციები რამდენიმე სახეობად იყოფა, თუმცა, მათ "სვოპ"-ის კლასიკურ სავალუტო გარიგებასთან საერთო არა აქვთ, ე.ი. "სვოპ" + "ფორვარდ"-ის გარიგებასთან, რადგანაც მხოლოდ ვალდებულებების ან მოთხოვნების გაცვლას წარმოადგენენ. მაგალითად, კლასიკური ოპერაცია "სვოპ"-ი იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მხარე შეთანხმდება ერთმანეთთან ფულადი გადასახადები აწარმოონ. ოპერაცია "სვოპ"-ი საპროცენტო განაკვეთებით გულისხმობს ორ მხარეს შორის შეთანხმებას პროცენტებით, განსაზღვრული თანხით, ერთ ვალუტაზე ურთიერთ გადახდების წარმოებაზე, მაგალითად, როდესაც ერთი მხარე მეორეს უხდის პროცენტებს "ლიბორ" მცურავი ბანკთაშორისი განაკვეთებით, ხოლო პროცენტებს იღებს ფიქსირებული განაკვეთით. "სვოპ"-ის ოპერაცია ვალუტით, ნიშნავს ვალუტის ფიქსირებული თანხების გაცვლას, ე.ი. ორივე მხარე ცვლის ვალდებულებებს ხესხებზე. უკანასკნელი ორი ოპერაცია შეიძლება გაერთიანებული იქნას, ე.ი. ერთდროულად წარმოადგინონ "სვოპ"-ი ვალუტით და "სვოპ"-ი საპროცენტო განაკვეთებით. ეს ნიშნავს, რომ ერთი მხარე ვალის ძირითად თანხას იხდის ერთ ვალუტაში და პროცენტებს "ლიბორის" მცურავი განაკვეთებით, სხვა ვალუტაში ეკვივალენტური თანხის მისაღებად და ფიქსირებული განაკვეთით პროცენტების მისაღებად.

ით ერთი მხარის მიერ გადასახდელების შეწყვეტისას, მაგალითად, მისი გაკოტრების შემთხვევაში, მეორე მხარე აღმოჩნდება იმ მდგომარეობაში, რომლიდანაც ის თავს იზღვევდა, როდესაც "სვოპ" გარიგებას ახორციელებდა. "სვოპ" ოპერაციებში ასეთი რისკის შესამცირებლად შუამავლების სახით ბანკებს იყენებენ. ეს ოპერაციას საბანკო საკომისიოს თანხით ადიდებს.

სავალუტო ოპერაციების საბანკო ოპერაციებთან ამგვარ ურთიერთკავშირს გარიგებების მონაწილეებისათვის კარგი მოგება მოაქვს. ასე, მაგალითად, "სვოპ" გარიგება - ბანკების დეპოზიტური შეთანხმებაა. ა ქვეყნის ბანკს ქვეყნის ვალუტა სჭირდება განსაზღვრული დროით. ის აფორმებს "სვოპ" გარიგებას, ე.ი. "სპოტ"-ი "ფორვარდი" ბ ქვეყნის ბანკთან გარდა ამისა, ბ ქვეყანაში ბანკის მოთხოვნით ის თავისთან დეპოზიტზე ბ ქვეყნის ვალუტაში იღებს თანხას და უხდის პროცენტებს იმ განაკვეთით, რომელიც დაწესებულია ასეთი დეპოზიტებისათვის ა ქვეყანაში. ასეთი ოპერაცია ბ ქვეყნის ბანკისათვის სასარგებლო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი დეპოზიტზე ბ ქვეყნის ვალუტაში ა ქვეყნის ბანკში მალალი იქნება, ვიდრე მოგება ვალუტების უკუ კონვერსიიდან და ინვესტირებისაგან ბ ქვეყანაში მიღებული სახსრებიდან ფორვარდულ ბაზარზე ერთდროული დაფარვით.

ხანდახან "სვოპ" ოპერაციები ოქროთი ტარდება: მათი მიზანია შეინარჩუნონ საკუთრების უფლება მასზე და ამავე დროს შეიძინონ გარკვეული ვადით უცხოური ვალუტა.

საარბიტრაჟო გარიგებები. საარბიტრაჟო გარიგებები ხორციელდება საქონლით, ფასიანი ქაღალდებით და ვალუტით. სავალუტო არბიტრაჟი სხვადასხვა ქვეყნების ბაზარზე, ვალუტის კურსის სხვაობით, მოგების ამოღების მიზნით (ამ შემთხვევაში ის ატარებს სახელწოდებას "სივრცობრივი არბიტრაჟი") ხდება. მისი ჩატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ვალუტის თავისუფალი შექცევა - იმის გამო, რომ ვალუტის ბაზარზე ყიდვა-გაყიდვა პრაქტიკულად ერთდროულად ხდება, განსაკუთრებით ეგმ-ის და თანამედროვე კავშირ- გაბმულობის საშუალებების განვითარების გამო, პოზიციის ხანგრძლივი შენარჩუნებისაკენ, რომლის კურსი იზრდება, ან მოკლეზე-ვალუტაში, რომლის კურსსაც შეცირებისაკენ ტენდენცია გააჩნია.

არბიტრაჟის სხვა სახეობა - "საპროცენტო" - ვარაუდობს სისხხო კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე მოგების მიღების საპროცენტო განაკვეთების სხვაობით. საპროცენტო არბიტრაჟის, როგორც მუდმივად მოქმედი საერთაშორისო მექანიზმის, ფორმირება მოხდა 50-იან წლებში,

ევროვალუტის გამოჩენით და განვითარებით, რაც აიხსნებოდა ბაზრებზე ვალუტების თავისუფალი კონვერსიებით და მათი ერთი ბაზრიდან მეორეზე გადაყვანით.

საპროცენტო არბიტრაჟის ჩატარების შემთხვევაში აუცილებელია არა მარტო საპროცენტო განაკვეთებში სხვაობის გათვალისწინება, არამედ პრემიების სიდიდეებისაც, რადგან სხვაობამ საპროცენტო განაკვეთებზე უნდა დაფაროს ოპერაცია "ფორვარდის" ოპერაციების ჩატარებისას პრემიების გადახდასთან დაკავშირებული დანაკარგები. თუ ინვესტორები, სავალუტო რისკებისაგან თავიანთი შემოსავლების დასაცავად, არ იყენებენ "საფორვარდო ბაზარს", მაშინ აუცილებელია განხილული იქნას უცხოური ვალუტის კურსის მოძრაობა, რადგან არასასურველ მხარეზე მისმა უმნიშვნელო ცვლილებამ შეიძლება ზარალი გამოიწვიოს.

თანამედროვე პირობებში სავალუტო არბიტრაჟი ადგილს უთმობს საპროცენტო არბიტრაჟს. სავალუტო არბიტრაჟის ჩასატარებლად დიდძალი თანხაა აუცილებელი იმის გამო, რომ ინფორმაციის თანამედროვე საშუალებები და ბანკების ქსელის განვითარება სავალუტო კურსს სხვადასხვა ბაზარზე ათანაბრებს, ეროვნული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის არასტაბილობის საკითხებში შეუთანხმებლობის გამო, მაინც არსებობს სხვაობა საპროცენტო განაკვეთებში, თუმცა სასესხო კაპიტალის ბაზარზე ინტეგრაციის პროცესები ძლიერდება.

3. სავალუტო რისკების დაზღვევის პრაქტიკა

სავალუტო რისკის საკითხები და მათი დაზღვევის მეთოდები მეტად აქტუალურია საწარმოების და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ. უცხოურ ვალუტათა კურსების ცვალებადობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც მათ სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე შესამჩნევ გავლენას ახდენს. საწარმოების სავალუტო ფონდებში ანარიცხების მოცულობის გადიდების შესაბამისად იზრდება ჯამური საკურსო დანაკარგებიც და სავალუტო რისკის შეზღუდვის მეთოდების ამორჩევის საკითხები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

1988 წლის 1 მარტიდან საგარეო-ეკონომიკური ბანკის მიერ ორგანიზებული იყო ცალკეული საგარეო-ეკონომიკური გარიგებების სავალუტო რისკების კომერციული დაზღვევა, ნებაყოფლობითი პრინციპის საფუძველზე სავალუტო რისკის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც წარმოიშვება კონვერტირებად ვალუტაზე საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების ჩატარების დროს. საგარეო- ეკონომიკური ბანკი ატარებდა საგარანტიო ოპერაციებს, რომლებიც მიმართულია საგარეოქ ვაჭრობის ორგანიზაციების სასარგებლოდ გადახდების (შემოსავლების) სტაბილური სამანეთო-ეკვივალენტის უზრუნველყოფისაკენ.

საგარეო-ეკონომიკური ბანკი საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე წარმოქმნილ რისკებს საფორვარდო ოპერაციების ჩატარებით ფარავდა. ორგანიზაციები არ ეწევიან სავალუტო რისკს დაფარვის ფორვარდულ ოპერაციებზე.

გაერთიანებების მხრიდან უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე განაცხადების ნაწილი ერთმანეთს ფარავენ (შემოსულობებისა და გადასახდელების სავალუტო სტრუქტურის დამთხვევის ნაწილში). გაერთიანებათა შემოსულობებისა და გადასახდელების სავალუტო სტრუქტურების არ დამთხვევის შემთხვევაში, საგარეო ეკონომიკური ბანკი რისკს ფარავდა საერთაშორისო საფორვარდო ბაზარზე ჰეჯირების გზით, ე.ი. სავალუტო რისკების დაზღვევის მეთოდებიდან

ყველაზე უფრო ეფექტიანის გამოყენებით, რომელიც გაერთიანებისათვის ხელმისაწვდომი არაა. მაგალითად, თუ ერთი გაერთიანება მიმართავს განაცხადით ბანკს დოლარების საყიდლად 3 თვის ვადით, ხოლო მეორე გაერთიანება განაცხადით, იგივე ვადით გერმანული მარკების საყიდლად, მაშინ საგარეო-ეკონომიკური ბანკი ყიდულობს ბანკთაშორის ფორვარდულ ბაზარზე დოლარებს გერმანული მარკების საპირისპიროდ, ამით ის სრულად ახდენს საკუთარი სავალუტო პოზიციის ჰეჯირებას, რითაც მთელი ქვეყნისათვის რისკის დაზღვევას ახორციელებდა. საგარეო-ეკონომიკურ ბანკს სავალუტო რისკის დაზღვევა შეეძლო მაშინაც, როდესაც შემოსულობების და გადასახდელების სავალუტო სტრუქტურა არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ასე მაგალითად, თუ სავაჭრო ბალანსს აქვს უარყოფილი სალდო 100 მლნ. დოლარის ოდენობით, მაშინ ის 12 თვის ვადით კომერციული კრედიტების მოზიდვით შეიძლება დაიფაროს. მაშინ ბანკი რისკის დასაზღვევად ფორვარდულ ბაზარზე 12 თვის ვადით ყიდულობს 100 მლნ.დოლარს იმ ვალუტების საპირისპიროდ, რომლებიც შედიან საზღვარგარეთის ვალუტების "კალათაში".

საგარეო-ეკონომიკური ბანკი ორგანიზაციებიდან ყიდულობდა (ყიდდა) უცხოურ ვალუტას, ამ ვალუტის მანეთთან მიმართებაში სპეციალური ფორვარდო კურსით. ამის შემდეგ ორგანიზაცია პასუხს არ აგებს სავალუტო რისკზე, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან მანეთთან მიმართებაში იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც იქნება საგარეო-ეკონომიკურ ბანკთან ამგვარი გარიგების დადებასა და უცხოურ ვალუტაში გადახდის ვადის დადგომამდე. საგარეო-ეკონომიური ბანკი იმის გარანტიას იძლეოდა, რომ მომავალი შემოსავლები (გადასახდელები) თავისუფალ კონვერტირებად ვალუტაში ორგანიზაციის საანგარიშსწორებო ანგარიშებზე, მანეთებზე, იქნებოდა ასახული, ასევე სავალუტო გეგმის მუხლებში სპეციალური ფორვარდული კურსით, რომელიც მათ შორის ფორვარდული გარიგების დადების დღეს იქნება. ამგვარად, ორგანიზაციას შესაძლებლობა ექნებოდა მომავალი შემოსავლების (გადასახადების) თანხა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, წინასწარ დაეგეგმა სამანეთო ეკვივალენტით, ამ ვალუტის კურსის ცვლილების მიუხედავად.

საგარეო-ეკონომიკური ბანკი, ორგანიზაციის დავალებით ახორციელებდა აღნიშნულ საგარანტიო ოპერაციებს საგარეო სავაჭრო გარიგებებზე და ეს გარიგებები დადებული იყო 7 დღიდან 1 წლამდე ვადით მოსალოდნელ შემოსავლებზე (გადასახდელებზე) არა ნაკლები 50 ათასი მანეთის თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში საერთაშორისო სავალუტო ბაზრის მდგომარეობის მიხედვით, საგარეო-ეკონომიკური ბანკი აღგენდა ვადებს და ვალუტის ჩამონათვალს, რომლებითაც ამგვარ საგარანტიო ოპერაციებს აწარმოებდნენ ანგარიშსწორების ანგარიშით გარანტიის ვადის გასვლის დღეს, აუცილებლად ხდებოდა სხვაობის დარიცხვა (ან ჩამოწერა) სამანეთო ეკვივალენტის თანხისა, რომელიც დაფიქსირებული იყო სადაზღვევო გარიგებებში და შემოსულობების (გადასახდელების) სამანეთო ეკვივალენტის თანხას შორის (უცხოურ ვალუტაში, მიმდინარე კურსით).

საგარეო-ეკონომიკური ბანკის მიერ ყოველდღე განისაზღვრებოდა ზაზღვარგარეთის ვალუტის ფორვარდული კურსები მანეთთან მიმართებაში. ოპერაციების შემოსავალი (გადასახადი 1, 2, 3, 6, 9, 12 თვეების ვადით) სახეობების მიხედვით და ყოველდღიურ საერთაშორისო სავალუტო ოპერაციების ცნობარში, "სავალუტო ბაზრებზე მდგომარეობის შესახებ" მომდევნო დღეს ქვეყნდებოდა.

ცალკეულ შემთხვევებში სავალუტო რისკების საგარანტიო ოპერაციების ვადა შეიძლება გაგრძელებულიყო ორგანიზაციის შეკითხვაზე, საგარეო ეკონომიკური ბანკის თანხმობის

შემთხვევაში. ამასთან, ახალი სამანეთო ეკვივალენტი შეიძლება თავდაპირველად შეთანხმებული ეკვივალენტისაგან განსხვავებული ყოფილიყო.

დაზღვევის შესახებ ჩვეულებრივ ხელშეკრულებასთან ერთად საგარეო-ეკონომიკური ბანკი "ოფციონის" პირობებით მომსახურებას სთავაზობდა. ამასთან განსაკუთრებული საკომისიოს (გარიგების ღირებულების 3 %) გადახდის შემდეგ კლიენტს შესაძლებლობა ეძლევა ამორჩევისა ან დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად ფორვარდული კურსით ეწარმოებინა ანგარიშსწორება ან გაეუქმებინა ხელშეკრულება და განეხორციელებინა ანგარიშსწორება მიმდინარე კურსით (თუ ის ხელსაყრელად ითვლებოდა). "ოფციონების" გამოყენება ამ სახეობის ოპერაციებზე დიდი საკომისიო გასამრჯელოს გათვალისწინებით, გამართლებულია მხოლოდ სავალუტო კურსებთა შესამჩნევი ცვლილებების პირობებში.

საგარეო-ეკონომიკური ბანკის მიერ საგარანტიო ოპერაციების მოხდენის პრაქტიკამ გამოავლინა რიგი პრობლემები. ასე მაგალითად, ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიშიდან განსხვავებების ჩამოწერისას წარმოიშვებოდა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო მათზე მითითებული განსხვავების დასაფარავად სახსრების უკმარისობასთან. ამის გარდა, რიგ ორგანიზაციებს მომავალი შემოსავლების და გადასახდელების თარიღების ზუსტად განსაზღვრის საშუალება არა აქვთ. ფაქტიური დანახარჯების განხორციელების თარიღის სადაზღვევო გარიგებაში დაფიქსირებულ თარიღთან არ დამთხვევის შემთხვევაში ორგანიზაციამ შეიძლება დამატებითი დანახარჯები განიცადოს. ამის გამო, საგარეო-ეკონომიკურმა გაერთიანებებმა წამოაყენეს წინადადება დაზღვევაზე ანგარიშსწორებისას ანგარიშსწორების მაგიერ საგარეო-ეკონომიკურ ბანკში სპეციალური ანგარიშები გამოიყენონ.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საგარეო-ეკონომიკური ბანკი აზღვევს იმ რისკებს, რომლებიც ვალუტის კურსის ცვლილებასთან, ანუ "კალათის" კომპონენტების ერთმანეთის მიმართ ცვლილებასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ამჟამად საგარეო, ეკონომიკურ ბანკს არ გააჩნია საშუალება დაფაროს ის რისკები, რომლებიც მანეთის კურსის საბაზისო ცვლილებებით არის გამოწვეული, ე.ი. ისეთი ცვლილებებით, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ ვალუტების წონითი შესაძლებლობების გადასინჯვის შედეგს - მანეთის "კალათის" კომპონენტების ან სხვა მოქმედებების,რომლებიც დაკავშირებულია სახბანკის მიერ მანეთის კურსის დადგენის მეთოლოგიის ან ტექნიკის შესაძლებელ ცვლილებებთან.

ფორვარდული ოპერაციები ხორციელდება ბანკის მიერ სპეციალური ფორვარდული კურსებით, რომელთა გამოთვლა ხდება ვალუტის დაუყოვნებლივი მიწოდების კურსებთა საფუძველზე, მაგრამ შეიცავს ფორვარდული ოპერაციების დაზღვევის ღირებულებას ყველაზე უბრალო და ხელმისაწვდომი ხერხით - დაუყოვნებლივი ყიდვის მეშვეობით ან ოპერაციისათვის. აუცილებელი ვალუტის გაყიდვა და მისი დეპონენტზე მოთავსება გარიგების ვადით. ამასთან, ამგვარი ოპერაციის ღირებულება განისაზღვრება ორ ვალუტაზე, საპროცენტო განაკვეთების სხვაობიდან გამომდინარე. უცხოური ვალუტის ფორვარდული კურსების მანეთის მიმართ განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი უცხოური ვალუტის, დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების შედარება მანეთების დეპოზიტების საანგარიშსწორებო საპროცენტო განაკვეთებთან, რომლებიც შეიძლება განსაზღვრული იქნეს, როგორც საპროცენტო განაკვეთების საშუალო სიდიდე შესაბამისი ვადებით ვალუტებზე, რომლებსაც სახბანკის სავალუტო "კალათა" მოიცავს. უცხოური ვალუტის ფორვარდული კურსების მანეთთან მიმართების განსაზღვრის ამგვარი წესი უზრუნველყოფს ამ კურსების კავშირს უცხოური ვალუტების ფორვარდულ

კურსებთან საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე და ამით საგარეო-ეკონომიკურ ბანკს საშუალებას აძლევს ეფექტურად დააზღვიოს ეს ოპერაციები საერთაშორისო ბაზარზე.

ზშირად, უცხოური ფირმები, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ბაზრების მექანიზმს იყენებენ, ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ გაერთიანებებს საშუალებას აძლევენ სხვადასხვა ვალუტაში კონტრაქტის ხელსაყრელი ვარიანტი ამოირჩიონ. გაერთიანებები (ან საწარმოები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებს) ამ შემთხვევაში რთულ მდგომარეობაში არიან, რადგან სათანადო რეკომენდაციები და აუცილებელი ინფორმაცია არ გააჩნიათ. თუ საგარეო-ეკონომიკურ ბანკს ფორვარდული კურსები აქვს, მაშინ გაერთიანება უბრალო არითმეტიკული ოპერაციის მეშვეობით თავის საგარანტიო გადასახადს ან მანეთებში შემოსავლებს განსაზღვრავს. საგარეო-ეკონომიკური ბანკის ფორვარდული კურსების სისტემა ემსახურება ასევე დაწესებულებების და ორგანიზაციების ორიენტაციას საექსპორტო კონტრაქტების დადებისამყარ ვალუტებში, ხოლო იმპორტის - სუსტ ვალუტებში. მოცემული დაზღვევის მეთოდის თავისებურება წარმოადგენს იმას, რომ საგარეო-ეკონომიკური ბანკი აზღვევს ორგანიზაციებს ზარალის რისკისაგან, რომლებიც დაკავშირებულია სავალუტო კურსების ცვლილებლობასთან, მაგრამ არა დაუდევრობით დაკარგული მოგების რისკისაგან, რომლის რეალიზაცია ხდება ორგანიზაციების ანგარიშსწორების ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის გზით.

საგარეო-ეკონომიკურ ბანკს ასევე არ შეუძლია საერთაშორისო ფორვარდულ ბაზარზე 1 წლის ვადამდე ზემოდ გარიგებების დაზღვევა, რადგან ეს ბაზარი კარგადაა განვითარებული 1 წლის ვადიანი ოპერაციებით და მხოლოდ ზოგიერთ ვალუტაზე 5 წლამდე ვადით. ამრიგად, საგარეო-ეკონომიკური ბანკი გარიგების ფართო სპექტრზე რისკის დაფარვას თავის თავზე არ იღებს იმ გარიგებებზე, რომლებიც მოიცავს მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების და ა.შ. მიწოდებას. მათი გაყიდვა, ჩვეულებრივ გრძელვადიანი და საშუალოვადიანი კრედიტით ხდება. საგარეო-ეკონომიკური ბანკის მომსახურებების გამოყენება კონტრაქტების სავალუტო რისკების დაზღვევაზე ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. იმის გადაწყვეტა, გამოიყენება თუ არა საგარეო ეკონომიკური ბანკის მომსახურებები თითოეული გაერთიანების ხელმძღვანელობის საქმეა. სავალუტო რისკების დაზღვევის საქმეში ინფორმაციის და ვალდებულებების არ არსებობამ გამოიწვია საგარეო-ეკონომიკური ბანკის მომსახურებების სუსტი გამოყენება. მეორე მიზეზი გახდა, ორგანიზაციების სავალუტო პოლიტიკის მკაფიო კონცენტრაციის არ არსებობა; გარიგების შეღებების წინასწარი ფიქსაციისაკენ, ან კურსის მერყეობის გამო დამატებითი მოგების მიღებისაკენ მისწრაფება.

ცალკეული სახეობის სავალუტო რისკი წარმოიქმნება საწარმოების და ორგანიზაციების მიერ სანაო ორგანიზაციებზე თავიანთი სავალუტო ფონდების შენახვის შემთხვევაში. სავალუტო ფონდების სანაო ანგარიშებზე შენახვა დაკავშირებულია სავალუტო რისკის ორ სახეობასთან: სხვა ვალუტების მიმართ მანეთის კურსის დაცემის რისკთან (ე.ი. "სამანეთო კალათის" სავალუტო ღირებულების დაცემასთან); უცხოური ვალუტის ურთიერთ კურსების ცვლილების რისკთან, რომლებიც თითოეული ვალუტის მანეთებში კორექტირებას იწვევს ("კალათის" გარეგანი ღირებულებების შეუცვლელად).

სავალუტო ფონდების შენახვასთან დაკავშირებული სავალუტო რისკის ორი ნარსახეობიდან მანეთის ოფიციალური კურსის საზღვარგარეთის ვალუტებთან მიმართებაში ცვლილების რისკისაგან სანალისო ანგარიშებში საკლებადაა დაცული, ხოლო საზღვარგარეთის ვალუტების ურთიერთ კურსების ცვლილების რისკისაგან - ნებისმიერი სავალუტო ანგარიშები (სანალისო და სანალისგარეშე), რომლებზეც თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა მანეთებთან არის ანახული. შესაბამისად, დაწესებულებებისათვის მოხსნილია სავალუტო სახსრები "თავისუფალი კონვერსიით მანეთებში" შეინახონ. ამასთან, მათ მომსახურე ბანკს უნდა მოსთხოვონ შესაბამისი შესწორებების შეტანა.

4. სავალუტო რისკების დაზღვევის მეთოდები

საგალუტო რისკების დაზღვევის პრობლემა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, როგორც სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებისათვის, რომლებიც საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან, ისე ბანკებისათვის, რომლებიც უცხოური ვალუტით გარიგებებს ახორციელებენ. ამასთან, ბანკებმა ამ სფეროში ორმაგი ინტერესი გამოავლინეს: საკუთარი სავალუტო ოპერაციების დაზღვევა და კლიენტებისათვის ანალოგიური ფუნქციების განხორციელება. ეს პრობლემა განსაკუთრებით გამძაფრდა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც საერთაშორისო პრაქტიკაში საყოველთაოდ და მყარად დამკვიდრდა. მცურავი სავალუტო კურსების გამოყენება და ამავე დროს, ჩვენი ეკონომიკისათვის და "მეურნეებისათვის" საგარეო ვაჭრობის და სავალუტო ოპერაციების მონოპოლიის შელეგად ეს პრობლემა ფაქტიურად არ არსებობდა.

თუმცა უკანასკნელ წლებში სიტუაცია იცვლება, ამასთან რადიკალურად. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განვითარებამ გამოიწვია საწარმოებში საკმაოდ მნიშვნელოვანი სავალუტო ფონდების წარმოქმნა. საგარეო-ეკონომიკურმა ბანკმა სავალუტო კურსების შეცვლის გამო ამ ფონდების გაუფასურების დასაცავად, კლიენტებს შესთავაზა მომსახურების ახალი ფორმა "პეჯირება". ერთი მხრივ, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისა, ხოლო მეორე მხრივ - საბანკო ქსელის შემდგომმა განვითარებამ გამოაცოცხლა საგარეო- ეკონომიკური ბანკის საქმიანობა. კერძოდ, მრავალი კომერციული ბანკის წინაშე, რომლებიც იღებენ ლიცენზიებს კლიენტების სავალუტო მომსახურებების განსახორციელებლად, სავალუტო რისკების დაზღვევის უზრუნველყოფის ამოცანა წამოიჭრა. შემთხვევითი არაა, რომ კომერციული ბანკებისათვის, უცხოურ ვალუტაზე ოპერაციების განხორციელებაზე ლიცენზიის გაცემის წესი პირდაპირ ითვალისწინებდა სავალუტო რისკების შეფასების ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას.

სავალუტო რისკების დაზღვევაში დაინტერესებული საწარმოებისა და ბანკების წინაშე მთელი რიგი ურთიერთ დაკავშირებული საკითხები იდგა, რომლებიც მოითხოვდნენ დეტალურ განხილვას.

სავალუტო კურსი - ის არის ერთი ვალუტის ფასი, რომელიც სხვა ვალუტაშია გამოსახული. ამ ფასის სიდიდის საკითხი საკმაოდ უბრალოდ წყდება მაშინ, როდესაც ვალუტის კურსს "ოქროს პარიტეტი" ედო საფუძვლად, ე.ი. ვალუტებს შორის თანაფარდობა გაწონასწორებულია მათი ოქროს შემადგენლობით. ოქროს პარიტეტიდან კურსის გადახრა შეღარებით უმნიშვნელო იყო და შემოიფარგლებოდა ე.წ. ოქროს წერტილებით (კლასიკური ოქროს სტანდარტის დროს) ან სპეციალურად დადგენილი რყევის საზღვრებით (როგორც ეს ბრეტონვუდის სავალუტო შეთანხმებით იყო გათვალისწინებული). კარდინალური ცვლილებები მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 1976 წელს მიღებული ოქროს შემცველობის ფიქსირების გაუქმების გადწყვეტილებით და "მცურავი" (საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე დამოკიდებულებით) სავალუტო კურსების შემოღებით.

თავიანთი ვალუტების ნამდვილად "თავისუფალი" ცურვა გამოაცხადა ათეულობით ქვეყანამ, რომელთა შორისაც მეტად ან ნაკლებად სტაბილური მდგომარეობა აქვთ: აშშ-ს, ინგლისს, იაპონიას, კანადას, ავსტრალიას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებს. ბუნებრივია, რომ თავისუფლად მცურავი ვალუტებით ოპერაციები უფრო რისკიანია. ამასთანავე, თავისუფალმა ცურვამ შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო დანაკარგები, არამედ შემოსავლებიც. ამის გარდა, ამ ჯგუფში ირიცხება საერთაშორისო სავალუტო ანგარიშსწორებებში ისე ფართოდ გამოყენებული ვალუტები,

როგორიცაა: აშშ-ს დოლარი, იაპონური იენა და ინგლისური გირვანქა სტერლინგი, რაც ასევე გვაიძულებს, მიუხედავად რისკის მაღალი ხარისხისა, ამ ვალუტებით განვახორციელოთ გარიგებები.

მრავალ მიზეზთა გამო, ბევრი განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებიც კი ირჩევენ არა თავისუფალ, არამედ ე.წ. მართვად ან კონტროლირებად ცურვას, როდესაც ცენტრალური ბანკები პერიოდულ ინტერვენციებს ახორციელებენ სავალუტო ბაზარზე, რათა თავიდან აიცილონ თავიანთი ეროვნული ერთეულის კურსის არასასურველი ცვლილება ან მოკლე პერიოდის განმავლობაში (ერთი დღიდან ერთ კვირამდე) ოფიციალურად ადგენენ განსაზღვრულ კურსს. ამ პერიოდში გამოცხადებული თანაფარდობით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვას ახდენენ. "კონტროლით ცურვას" ახორციელებენ 30 ქვეყნის ვალუტები (არგენტინის, ბრაზილიის, ინდოეთის, ისლანდიის, მექსიკის, ახალი ზელანდიის, თურქეთის და სხვ.). ამ ქვეყნებთან ოპერაციები ნაკლებად სარისკოა.

ბევრი განვითარებადი სახელმწიფოსათვის უმჯობესია, საერთოდ არ გაუშვას თავიანთი ვალუტა დამოუკიდებელ ცურვაში. ისინი მხოლოდ აფიქსირებენ თავიანთი ფულადი ერთეულის პარიტეტს რომელიმე "მცურავ" ვალუტასთან მიმართებაში და ამგვარად, მისი კურსი მესამე ქვეყნის ვალუტის მიმართ იცვლება ზუსტად იგივე შეფარდებით, როგორც "წამყვანი" ვალუტის კურსი (ვალუტა-ლიდერის). "ერთობლივად მცურავი" ვალუტების უმრავლესობა ამერიკულ დოლარზეა დამოკიდებული: 33 ქვეყნის ვალუტა (ძირითადად ლათინური ამერიკის) მასთან მყარი შეფარდებით არის "მიჯაჭვული", ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, კიდევ 9 სახელმწიფოს (ბაჰრეინის, გაიანის, გაერთიანებული არაბეთის საემიროების, ჰაუდის არაბეთის, ტაილანდის და სხვა) ვალუტების კურსის, კორექტირება შეიძლება, მაგრამ მხოლოდ 2,25 %-ის ფარგლებში. სხვა ვალუტა-ლიდერების რიცხვში ფრანგული ფრანკი იმყოფება, რომელსაც თან "მიჰყავს" 14 თავისი ყოფილი აფრიკული კოლონიების ვალუტები, ასევე: გერმანული მარკა, ინდური რუპია, სამხრეთ აფრიკის რენდი და ავსტრალიური დოლარი, რომლებთანაც მიჯაჭვულია ერთი-ორი ვალუტებთ ნაკლებად განვითარებული მეზობლის ვალუტა. ასეთ ვალუტებზე გარიგებების რისკების შეფასების დროს, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ვალუტა-ლიდერის სტაბილურობის ხარისხი. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ამ ქვეყნების მთავრობებს სრულად შეუძლიათ თავიანთი ვალუტის და ვალუტა-ლიდერის თანაფარდობა შეცვალონ, (მაგალითად, 1991 წელს პოლონური ზლოტის დევალვაცია დოლარის მიმართ). ან "ლიდერი" შეცვალონ (როგორც ეს გააკეთა ეკვატორულმა გვინეამ).

ქვეყნების დიდი ნაწილი ადგენენ ეროვნული ფულადი ერთეულის კურსს ერთდროულად რამდენიმე ვალუტის მიმართ, რომლებთაც აქვთ თავიანთი მკაფიოდ განსაზღვრული წილი ე.წ. "სავალუტო კალათაში". ამ მეთოდის მიზანია ფაქტორების გავლენის ნეიტრალიზაცია რომელიმე ერთი ვალუტისადმი დამოკიდებულების შემცირება, ასევე კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფა ("კალათაში" შემავალი ვალუტების კურსების, სხვადასხვა მიმართულების რყევების ურთიერთ დაფარვის ხარჯზე). ამგვარი "კალათების" საფუძველზე განისაზღვრება, მაგალითად, ფინური მარკის, შვედური კრონის, ავსტრალიური შილინგის, ჩინური იუანის და რიგი სხვა ვალუტების კურსი, მათ შორის რუსული რუბლის.

ზოგიერთი ქვეყანა კურსს განსაზღვრავს ვალუტების "კალათების" საფუძველზე, რომლებიც საერთაშორისო ანგარიშსწორების ერთეულებს წარმოადგენენ: ნასესხობის სპეციალური უფლება და ევროპული სავალუტო ერთეული-ეკიუსთან. ნასესხობის სპეციალურ უფლებასთან "მიჯაჭვულია" ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის ვალუტა, მაგალითად, ირანის, ბირმის, ჩაირის

და სხვა. ეკონ კი საერთო ბაზრის წევრი ქვეყნების ვალუტის კურსების განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს. მ.წ.წ.წ.ის კაბინეტის მართვის პერიოდში, ინგლისი უარს ამბობდა ამ სისტემაში ჩართვაზე, თუმცა განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, ეს ნაბიჯი, ალბათ, გარდუვალი იქნება, რაც შეეხება ევროგაერთიანების ახალ წევრებს, კერძოდ, საბერძნეთს, ესპანეთს და პორტუგალიას (მომავალში ალბათ ავსტრიას, მალტას, თურქეთს და შვეიცარიას). მათი შესვლა ევროპულ საფასიანო სისტემაში განხორციელდება ეტაპობრივად და თანაბარუფლებიანი პარტნიორობის მიზეზებზე დამოკიდებული.

საფასიანო კურსების განსაზღვრის სისტემის თავისებურებებს ევროპის ქვეყნებში წარმოადგენს ის, რომ თვით ეკონ წარმოადგენს "კალათას", რომელიც იგივე ვალუტებისაგან შედგება. ამის გამო, მიზანშეწონილია აღვნიშნოთ, რომ ისინი "ცეროვენ" კონვექტიურად, ე.ი. მათი კურსი მესამე ვალუტის მიმართ მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე განსაზღვრება. ერთმანეთთან ფიქსირებული უმნიშვნელო მერყეობის შეფარგლებით. ამრიგად, გარიგებები მხოლოდ ევროგაერთიანების ქვეყნების ვალუტებზე შედარებით მცირია, მათი კურსის ცვლილების თვალსაზრისით. თუმცა ეს რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, თუ ნავარაუდევია გარიგებების მოხდენა ამ ვალუტების გაცვლით მესამე ქვეყნის ვალუტაზე (პირველ რიგში ეს ეხება აშშ-ს დოლარს).

შემდგომი საფასიანო ინტეგრაციის გეგმების შესაბამისად ვარაუდობენ, რომ ევროპის გაერთიანების ქვეყნები ახლო მომავალში მეტად დაეყრდნობიან ურთიერთშორის საფასიანო კურსებს, შემდგომში კი საერთოდ ერთიან ვალუტაზე გადავლენ. ამგვარი ხერხები მნიშვნელოვნად შეამცირებენ საფასიანო რისკს ამ ვალუტებით ოპერაციების განხორციელებისას.

საფასიანო რისკი - ეს არის დანაკარგების შეშიშრება, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან. მათი ყიდვა-გაყიდვის გარიგების განხორციელებისას. საფასიანო რისკის წარმოშობა დამოკიდებულია "საფასიანო პოზიციის" მდგომარეობაზე, ე.ი. უცხოური ვალუტის გაყიდვაზე მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის თანაფარდობაზე. რაღაცნაირი დამთხვევების შემთხვევაში (კონკრეტულ ვალუტაში და ყიდვა-გაყიდვის გარიგებების ვადაში), პოზიცია ითვლება "დახურულად" და არავითარი რისკი არ წარმოიშვება (რადგან ზარალის შესაბამისი თანხა, კითხვა, გაყიდვებზე დაფარული იქნება ზუსტად იგივე მოგების თანხით ამ ვალუტის ყიდვისას, რომლის კურსმა განიცდა ცვლილება). რისკი ჩნდება მხოლოდ "ღია" პოზიციის შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნების და ვალდებულებების თანხები ერთმანეთს არ ემთხვევა. ასეთ შემთხვევაში, ბანკს მომავალში ამ ვალუტის ახალი კურსით ყიდვა და ძველით - გაყიდვა მოუწევს (თუ მისი ვალდებულების თანხა მოთხოვნების თანხაზე მეტია "მოკლე პოზიციაა"), ან მოუწევს ძველი კურსით მიღება, მაშინ, როცა მისი გაყიდვა შეიძლება მხოლოდ ახალი კურსით. (თუ კონტრაგენტების მიმართ მოთხოვნების თანხა მეტია, მაშინ "გრძელი პოზიციაა"). დანაკარგები წარმოიშვება იმ შემთხვევაში, თუ კურსის ცვლილება გამოიწვევს იმას, რომ ვალუტის გაცემა ადრე დადებული გარიგებით მოხდება ანგარიშსწორების მომენტში არსებულ კურსზე დაბალი კურსით, ან პირიქით, ადრე ნაყიდი ვალუტის მიღება უნდა მოხდეს უფრო მაღალი კურსით, ვიდრე იმ მომენტში იყო. ამრიგად, რისკის ხარისხი უშუალოდ აისახება მომავალი საფასიანო ოპერაციების შეღებებზე.

საფასიანო ოპერაციები, ე.ი. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე გარიგებები ჩვეულებრივ იყოფა "საკასო" და "ვადიან" გარიგებებად. ამგვარი კლასიფიკაცია, ასახავს რა საფასიანო გარიგებების ორ ნაირსახეობას, მაინც არ იძლევა საშუალების განსაზღვრული იქნას რიგი თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული ვალუტებით გარიგებების კონკრეტული სახეობებისათვის.

თუ ნაყიდი ვალუტა მყიდველის განკარგულებაში გარიგების მოხდენის დღეს, ან მომდევნო დღეს უნდა გადავიდეს, მაშინ ასეთი გარიგებები მიეკუთვნება "ოვერნაიტ"-ის ტიპის გარიგებებს, რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება გარიგების დადების შემდეგ ორი დღის განმავლობაში ხდება, "სპოტ"-ის გარიგებები ეწოდება. გარიგებების ეს ორი ტიპი გაერთიანებულია ცნებით - "საკასო" ოპერაციები. ასეთი მოკლე პერიოდის განმავლობაში საფასიანო კურსი, როგორც წესი, ძალიან ასწრებს რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს და რისკი პრაქტიკულად არ წარმოიშვება, ან მინიმუმამდეა დაყვანილი. სხვა საქმეა, როდესაც ხდება ვადიანი ("ფორვარდული") გარიგებები, რომლებიც ითვალისწინებენ ვალუტების გაცვლას წინდაწინ დადგენილი ვადებით, (როგორც წესი, ერთი კვარტალიდან 5 წლამდე), მაგრამ იმ კურსით, რომელიც დაფიქსირებულია გარიგების მომენტში.

ვადიანს მიეკუთვნება, აგრეთვე, "სვოპ" (Swop) ტიპის გარიგებები, რომლებიც ოპერაციების "სპოტ" და უბრალო "ფორვარდის" კომბინაციას წარმოადგენენ.

, ბუნებრივია, განსხვავდება იმ კურსისაგან, რომელიც გამოიყენება "სპოტ" გარიგებებისას. საერთაშორისო პრაქტიკაში ვალუტების კოტირებისას ფორვარდულ გარიგებებში ჩვეულებრივ მითითებულია არა თვით ფორვარდის კურსი, არამედ მხოლოდ სხვაობა "სპოტ" კურსის მიმართ (დათმობა ან პრემია). ფორვარდული კურსის განსაზღვრისათვის აუცილებელია, ის შესაბამისად, გამოვაკლოთ ან მივუმატოთ "სპოტ"-ის კურსს. მონაცემები ამ განკუთვნებზე ქვეყნდება სპეციალიზებულ გამოცემებში, როგორიცაა "Wall Street Journal" (აშშ), "Financial Times" (ინგლისი), "Zycie Gospodarecze" (პოლონეთი) ან "უცხოური კომერციული ინფორმაციის ბიულეტენი".

რასაკვირველია, რუსეთის კომერციულ ბანკებს შეუძლიათ კლიენტებს შესთავაზონ თავიანთი კურსები "ფორვარდ" გარიგებებზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ, უწინარეს ყოვლისა, მოუწევთ საფასიანო კურსებთა დინამიკის პროგნოზირების პრობლემის გადაწყვეტა.

საფასიანო კურსებთა დინამიკის პროგნოზირება საკმაოდ გართულდა მცურავი კურსების სისტემის გავრცელების გამო.

ბუნებრივია, საფასიანო კურსების ცვლილების სიდიდის მეტნაკლებად ზუსტად განსაზღვრა შეიძლება, როგორც წესი, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთთან: ერთიდან რამდენიმე დღე, ან რამდენიმე კვირა. დანარჩენ შემთხვევაში, ხრულიად დაბაკმაყოფილებლად ითვლება ვალუტის კურსის ცვლილების, მისი შემცირების, ან გაზრდის მთელი მიმართულების წინასწარმეტყველება - რაც თავისთავად საკმარისია საფასიანო რისკის დაზღვევით მომგებიანი ოპერაციების ჩასატარებლად. თუმცა, ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობის არა მარტო მიმართულებისა, არამედ მთავარი ცვლილების სიდიდის ზუსტი პროგნოზების შესაძლებლობის, რაც ნაწილობრივ საფასიანო ბაზრის პრაქტიკითაც მტკიცდება. ამის გამო, მიღებულია, რომ წარმატებების საწინდარს წარმოადგენს საფასიანო კურსებთა დინამიკის წინასწარმეტყველება ნახევარი წლის ვადით (180 დღე). ეს საჭიროა გარიგებებზე კურსის დადგენის მიზნებით: "ფუნდამენტური" და "ტექნიკური".

"ფუნდამენტური" მიდგომა გამომდინარეობს იქიდან, რომ საფასიანო ბაზარზე კურსებთა ცვლილების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ბალანსირებული განაკვეთები სადეპოზიტო- სასესხო ოპერაციებზე, ინფლაციის ტემპი და მიმდინარე ოპერაციებით საგადასახადო ბალანსის მდგომარეობა. ამრიგად, ამ ფაქტორების ცვლილების ცოდნა, ერთი მხრივ, და ამ ფაქტორების გავლენის ხარისხი საფასიანო კურსის სიდიდეზე (ე.ი.კორელაციის კოეფიციენტების სიდიდეზე), მეორე მხრივ, ეკონომიკური მოვლენების აგების გზით პროგნოზების შესადგენად საკმარისია. გამოყენებული მოვლენები შეიძლება საკმაოდ რთული იყოს, თუ

გავითვალისწინებთ, რომ თვით გავლენის ფაქტორების რიცხვი სინამდვილეში არ შემოიფარგლება ზემოდ აღნიშნული სამი ფაქტორით. ამის გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამგვარი პროგნოზისათვის მნიშვნელობა აქვს ფასების სახეობებს, რომლებიც ინფლაციის გამოანგარიშებისას გამოიყენება (საბითუმო ან საცალო, საექსპორტო ან საიმპორტო), საპროცენტო განაკვეთებს (ნორმალური ან რეალური, მოკლე ან გრძელვადიანები) საგადასახადო ბალანსს (სავაჭრო, საბაზრო, მიმდინარე ოპერაციებით) და ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნას მოდელების შედგენისას.

თეორიულად ასეთი ეკონომიკური მოდელების აგება საკმაოდ დასაბუთებულია, სავალუტო კურსის დინამიკის პროგნოზირებისათვის მათი გამოყენების თვალსაზრისით. სამწუხაროდ პრაქტიკამაც გვიჩვენა, რომ თუმცა, თეორია გამართლებულია, მაგრამ ის ყოველისშემძლე არაა. როგორც წესი, ამგვარ მოდელებზე დაფუძნებული პროგნოზების გამართლება არ ხდება, განსაკუთრებით მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საბანკო ოპერაციების განსახორციელებლად. ალბათ, ძირითად მიზეზს წარმოადგენს მყარი, რაოდენობრივად გამოხატული სავალუტო კურსის შესაბამის ფაქტორებთან საკორელაციო დამოკიდებულების არ არსებობა. ამის გარდა, თვით პროცესი რთულდება კიდევ იმით, რომ კურსის შემქმნელი ფაქტორების სიდიდეების პროგნოზირება ხშირად წინასწარ ხდებოდა, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო მათი გავლენა მანამდე, სანამ იგი გამოვლინდებოდა სავალუტო კოტირებაზე.

ამის გამო, პრაქტიკულად უფრო მისაღებია მეორე, თეორიულად დაუსაბუთებელი, მაგრამ უფრო საიმედო შედეგების მომცემი, "ტექნიკური" მიდგომა. ეს მიდგომა ეფუძნება რწმენას, რომ გრაფიკებს, რომლებიც სავალუტო კურსების დინამიკის ილუსტრირებას წარმოადგენს, თავისთავად შეუძლიათ მოგვცენ გასაღები მომავალში კურსების მოძრაობის შესაძლებელი მიმართულებების გამოსარკვევად. აღმოჩნდა, რომ ყველაზე უფრო საიმედო პროგნოზები მიიღება ან სავალუტო კურსების დინამიკის დროებითი მაჩვენებლების ექსტრაპოლაციის საფუძველზე, ან მისთვის ადრე დამახასიათებელი კურსის მოძრაობის ტენდენციების მოსალოდნელი გამეორება. ამ მიმართულების ძირითადი მეთოდის "ჩატარების" (ინგლისურად chart -გრაფიკა) არსი კურსთა დინამიკის გრაფიკულ ანალიზის ჩატარებაში მდგომარეობს. მათ მოძრაობაში პროგნოზირების მიზნით მსგავსი მომენტების გამოსავლენად, ამასთან ვარაუდობენ, რომ ერთხელ აღნიშნული სავალუტო კურსის მერყეობის თანმიმდევრობა შემდეგშიც გამოვლინდება. (ამასთან, რაც უფრო ნაკლები იცით რეალურად არსებულ ეკონომიკურ დამოკიდებულებაზე, მით უკეთესია).

"ჩარტების" ანალიზის დროს განსაზღვრულ ფიგურებს გამოყოფენ განსაზღვრული კონფიგურაციის გრაფიკის ტეხილებს: "დროშა" ან "ალამი", "სამკუთხედი", "რკალი", "თავი მხრები" და ა.შ. შევნიშნავთ, რომ წერტილები, რომლებიც მიმდინარე კურსის მდგომარეობას ასახიერებს, გრაფიკზე განსაზღვრული ფიგურების ("ჩარტი") სახით განლაგდება. სავალუტო დილერს შეუძლია საკმაოდ თავდაჯერებულად განსაზღვროს ის მომენტები, როდესაც მოცემული ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა აუცილებელია. უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზირების დამამთავრებელ ეტაპზე საექსპერტო შეფასება ხდება, ვალუტის კურსზე ზეგავლენის მქონე (საფინანსო, საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური) ერთობლიობა ფაქტორების ხარისხობრივი ანალიზით. საექსპერტო შეფასება მოწოდებულია კურსების ცვლილების შესაძლებლობა გაითვალისწინოს, რაც სხვა მეთოდებით შეუძლებელია, თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სავალუტო კურსებთა პროგნოზირების უნივერსალური მეთოდი არ არსებობს. პრაქტიკაში შემდეგი მეთოდების და მიდგომების გამოყენება ხდება:

"ტექნიკური" მიდგომა, და უწინარეს ყოვლისა, "ჩარტების" მეთოდია, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურია სავალუტო კურსის დინამიკის მოკლევადიანი პროგნოზისათვის;

ბი, ყველაზე მეტად ინფორმირებული მონაწილეების მიერ, სავალუტო ბაზარზე, მოვლენების განვითარების პერსპექტივების შეფასების შედეგია. ფორვარდული კურსები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც მოკლე და საშუალო ვადიანი საიმედო პროგნოზებისათვის;

ეკონომიკური მოდელები, რომლებიც ეფუძნება მოცემულ მომენტში დომინირებულ კურსის შემქმნელ ფაქტორებს - ყველაზე უფრო წარმატებით გამოიყენება საშუალოვადიანი პროგნოზისათვის;

მყიდველობითი შესაძლებლობის პარიტეტის პრინციპი, როგორც სავალუტო კურსის საფუძველი, გრძელვადიანი დაგეგმვის ძირითად მეთოდს წარმოადგენს.

პროგნოზების შედეგები, რომლებიც ნებისმიერი მეთოდით მიიღება, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების საფუძველს იმის შესახებ, თუ როგორ დავაღწიოთ თავი ზარალს, ან როგორ მივიღოთ პოტენციური მოგება.

სავალუტო რისკების დაზღვევის მეთოდები - ეს არის ფინანსური ოპერაციები, რომლებიც საშუალებას იძლევიან სრულად ან ნაწილობრივ ავარიდოთ თავი ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებებით, ან მივიღოთ სპეკულატური მოგება, რომლის საფუძველია საცდელი ცვლილებები. დაზღვევის ამგვარ მეთოდს ან ხელსაწყოს (ინგლისურად hedge - დაცვა) შეიძლება მივაკუთვნოთ:

1) სტრუქტურული გაწონასწორება (აქტივებისა და პასივების, კრედიტორული და დებიტორული დავალიანებების);

2) გადასახდელების ვადის ცვლილება;

3) ფორვარდული გარიგებები;

4) "სვოპ"-ის ტიპის ოპერაციები;

5) ოფციონური გარიგებები;

6) ფინანსური ფიუჩერსები;

7) უცხოური ვალუტით დაკრედიტება და ინვესტირება;

8) სავალუტო დავალიანების რესტრუქტურიზაცია;

9) პარალელური სესხები;

10) ლიზინგი;

11) უცხოურ ვალუტაში მოთხოვნების დისკონტირება;

12) "სავალუტო კალათები";

13) ფილიალების მიერ "ზრდად" ვალუტაში გადასახდელების განხორციელება;

14) თვითდაზღვევა;

მხედველობაში მისაღებია, რომ 2, 3, 4, 5, 6 და 11 მეთოდები მოკლევადიანი პეჯირებისათვის იმ დროს, როდესაც 7, 8, 9, 10, 13 და 14 მეთოდები რისკების გრძელვადიანი დაზღვევისათვის გამოიყენება. 1-12 მეთოდების წარმატებით გამოყენება ყველა შემთხვევაში შეიძლება აუცილებელია აღინიშნოს, რომ 9 და 13 მეთოდები პრინციპში ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ კომპანიებისათვის ან ბანკებისათვის, რომლებსაც საზღვარგარეთ ფილიალები აქვთ. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ამ მეთოდის გამოყენება ("სვოპ"-ი, "ოფციონი", "ფიუჩერსი" და სხვა) ჯერ კიდევ საკმაოდ ძნელია, ან უბრალოდ, შეუძლებელია, ჩვენს პირობებში არასრულყოფილი კანონმდებლობის გამო, ან საბაზრო სტრუქტურების განუვითარებლობის გამო. ამიტომ, ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ მეთოდებს, რომლებიც რუსულ კომერციულ პრაქტიკაში გვხვდება.

ჰეჯირების ძირითადი მეთოდების არსი მდგომარეობს სავალუტო-გაცვლითი ოპერაციების განხორციელებაში მანამ, სანამ მოხდება კურსის არასასიკეთო შეცვლა ან ამგვარი ცვლილებების გამო ზარალის გაკომპენსირება ვალუტით პარალელური გარიგებების ხარჯზე, რომელთა კურსიც იცვლება საწინააღმდეგო მიმართულებით. თუმცა შესაძლებელია რამდენიმე სხვა ვარიანტიც.

სტრუქტურული გაწონასწორება გამოიხატება მისწრაფებაში, შეინარჩუნონ აქტივების და პასივების ისეთი სტრუქტურა, რომელიც სავალუტო კურსის ცვლილების გამო ზარალის მოგებით დაფარვის საშუალებას იძლევა. ეს მოგება მიიღება იგივე ცვლილებით, ოღონდ ბალანსის სხვა პოზიციებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამგვარი ტაქტიკა მიმართულია იმითკენ, რომ "დახურული" პოზიციების მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობა გვქონდეს. რაც იწვევს სავალუტო რისკების მინიმუმამდე დაყვანას. მაგრამ, რადგანაც ყველა პოზიციის "დახურვა ყოველთვის შესაძლებელი და მიზანშეწონილი არ არის, ამიტომ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ სტრუქტურული გაწონასწორების აქტივებისათვის. მაგალითად, თუ საწარმო ან ბანკი მანეთის დევალვაციის გამო ელოდება სავალუტო კურსის მნიშვნელოვან ცვლილებებს, ამან დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს თავისუფალი ნაღდი ფულის კონვერტირება გადასახდელ ვალუტაში. რუბლის მიმართ ეს ბუნებრივია, შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ამის უფლების არსებობისას (რომელიც ასახულია ბალანს გარეშე ჩაწერებით ანგარიშებზე ან რაიმე სხვა ზერხით) ან შიდა სავალუტო ბაზრის შექმნის შემდეგ. თუ საუბარი გვაქვს სხვადასხვა უცხოურ ვალუტებს შორის თანაფარდობაზე, მაშინ ამგვარ სიტუაციებში, გარდა კურსდაკუმული ვალუტის კონვერსიისა უფრო საიმედო ვალუტაში, შეიძლება განვახორციელოთ, ვთქვათ ფასიანი ქაღალდის უფრო საიმედო საინვესტიციო პასუხისმგებლობით შეცვლა. ერთ-ერთ უბრალო და ამავე დროს ყველაზე უფრო გავრცელებულ საშუალებას ბალანსირება სავალუტო ნაკადების შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენს, რომლებიც შემოსავლებს და გასავლებს ასახავს. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ყოველთვის კონტრაქტის დადების შემთხვევაში, რომელიც უცხოური ვალუტის მიღებას ან პირიქით, გადახდას ითვალისწინებს, საწარმოო ან ბანკი უნდა მაისწრაფოდეს შეაჩეროს თავისი არჩევანი იმ ვალუტაზე, რომელიც დაზღვევას მას სრულიად ან ნაწილობრივ დაზუროს უკვე არსებული - "ღია" სავალუტო პოზიციები.

გადასახდელის ვადის ცვლილება, რომელსაც ჩვეულებრივ ტაქტიკა ეწოდება "ლიდზე ენდ ლეგზი" (leads and laqs - ინგლ. გასწორება და ჩამორჩენა), წარმოადგენს ანგარიშსწორების განხორციელების ვადებით მანიპულირებას, რომელიც გამოიყენება ვალუტის ფასის ან ვალუტით გადასახდელების კურსის მკვეთრი ცვლილების მოლოდინში. ამგვარი ტაქტიკის ყველაზე უფრო გამოსაყენებელ ფორმას წარმოადგენს: ხაქონლების და მომსახურებების ვადაზე ადრე გადახდა (მოსალოდნელი აპრეციაციის დროს, ე.ი. სავალუტო გადასახადების კურსის ზრდა) ან, პირიქით, გადახდის დაყოვნება (მისი მოსალოდნელი დეპრეციაციამდე), ე.ი. კურსის დაცემამდე); დაჩქარება ან შენელება მოგებების რეპატრიაციაციებისა, კრედიტების ძირითადი თანხების დაფარვა, დივიდენდების და პროცენტების გადახდა; მიმღების მიერ უცხოური ვალუტების სახსრების კონვერსიის ვადების ერთგულ ვალუტაში ამონაგების რეგულირება. ამ ტაქტიკის გამოყენება საშუალებას იძლევა დაიხუროს "მოკლე" პოზიციები უცხოურ ვალუტაზე მის აპრეციამდე (სავალუტო კურსის ზრდა) და შესაბამისად "გრძელი" პოზიციები - მის დეპრეციაციამდე. ამგვარი მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა, მნიშვნელოვნად განპირობებულია საგარეო სავაჭრო კონტრაქტების საფინანსო პირობებით. სხვანაირად, რომ ვთქვათ, კონტრაქტებში საჭიროა წინასწარ იქნას გათვალისწინებული ვადამდე ადრე გადახდა და მკაფიოდ იქნას ჩამოყალიბებული ჯარიმის სიდიდე თავის დროზე გადაუხდელობის გამო. გადახდის დაყოვნება კი

კურსის მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით, გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი კურსით გადახდის შედეგად მიღებული ეკონომია გადაფარავს ჯარიმის სახით დარიცხულ თანხას.

საფორვარდო გარიგებები წარმოადგენენ ამჟამად ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებულ ჰეჯირების მეთოდს, რის გამოც ჰეჯირების ქვეშ ხანდახან გულისხმობენ მხოლოდ სავალუტო რისკების დასაზღვევ ფორვარდულ ოპერაციებს, რომელიც გამოიყენება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებზე რისკების ასაცილებლად. ვალუტის მიწოდება გათვალისწინებულია ორ დღეზე მეტ ვადაში. ყველაზე უფრო მეტად, ამ გარიგების შემთხვევაში, გამოიყენება 1, 2, 3 ან 6 თვე. (თუმცა, როგორც ზემოთ იყო მითითებული, ასეთი გარიგებების ვადა შეიძლება იყოს რამდენიმე წელიც). "ფორვარდული" გარიგების არსი, დაზღვევის შესაძლებლობის კუთხით, გამოიხატება იმაში, რომ იმპორტიორს, ეშინია რა გადასახდელი ვალუტის კურსის ამაღლების, უფლება აქვს წინდაწინ მიმართოს ბანკს და იყიდოს ეს ვალუტა მიწოდების ვადით, რომელიც გადახდის ვადასთანაა მიახლოებული. რასაკვირველია, გარიგება მოხდება "ფორვარდ" კურსით, რომელიც შეიძლება იყოს ან ვალუტის აპრეციაციის მოლოდინის გამო, ან აუცილებლად იქნება "სპოტ" კურსზე მაღალი. შესაბამისად, იმპორტიორი ასეთ შემთხვევაში გასწევს დამატებით ხარჯებს, რომელიც არსებითად ამგვარი დაზღვევის გადასახადს წარმოადგენს.

თუ იმპორტიორი ქვეყნის ვალუტა არაკონვერტირებადია, მაშინ ამგვარი გარიგებები შეიძლება მხოლოდ ორ უცხოურ ვალუტას შორის განხორციელდეს, რასაც საგარეო-ეკონომიკური ბანკი აკეთებს. ასეთ შემთხვევაში ვალუტის მყიდველმა ბანკს უნდა წარუდგინოს გარანტია სხვა კონვერტირებადი ვალუტის გარიგების გასანაღდებლად. ასეთი გარანტია შეიძლება იყოს, მაგალითად, საგარეო-სავაჭრო კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს მოცემული კლიენტის მიერ ვალუტის მიღების ადრე გაყიდული საქონლის საფასურად.

ფორვარდული ოპერაციების დახმარებით სავალუტო რისკების დაზღვევა შეიძლება განხორციელდეს ექსპორტიორის მიერაც, რომელიც უბრალოდ საწინააღმდეგო გარიგებებს ახდენს: გადასახდელი ვალუტის კურსის დაცემას საშიშროების გამო, ის ყიდის თანხას, რომელიც მას ერგება ერთგულ (ან სხვა უცხოურ) ვალუტაში ვადით, რის გამოც თავისი სავალუტო რისკი ღიაკვს სულამდე და გადაქვს ის ბანკზე.

გარდა ზემოდ აღნიშნული უბრალო ფორვარდული გარიგებისა (ე.წ. "აუტრანტი"-სა outright) ამ მრავალსახეობას შეიძლება მივაკუთვნოთ, უფრო რთული ნაირსახეობა - "სვოპ"-ის გარიგებები.

"სვოპ" ტიპის ოპერაცია მდგომარეობს "სპოტ"-ის პირობებით უცხოური ვალუტის ყიდვაში შემდგომი საწინააღმდეგო ოპერაციით "ფორვარდ" პირობებით. ამგვარი გარიგებების შეღებად ბანკები იძენენ ვალუტას, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო ანგარიშებისათვის და თავიანთი სავალუტო რეზერვების დივერსიფიცირების ხდებენ, ინარჩუნებენ რა "დახურულ" სავალუტო პოზიციებს.

შესაძლებელია სხვა კომბინაციებიც, კერძოდ, "ორშაგი ფორვარდ"-ის ტიპის გარიგება, (ან "ფორვარდ-ფორვარდი"). ასეთ შემთხვევაში კლიენტი, რომელმაც ადრე გაიფორმა გარიგება "ფორვარდ" თავის ბანკთან, მაგრამ ვალუტის მიწოდების ვადის დადგომამდე მიხვდა, რომ სავალუტო ბაზარზე მოსალოდნელი ცვლილებები არ მოხდება ნაგარაუდევ დროში, ახალი პირობებით დამატებით გარიგებას აფორმებს, მხოლოდ ადრე გაფორმებულის პროლანგაციით. "სვოპ" ტიპის ოპერაციები ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ფართოდ არ შემოღებულა პრაქტიკაში. ეს განპირობებულია, უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მოქმედი სავალუტო წესდება საწარმოების მიერ

უცხოური ვალუტის შეძენაზე მკაცრ რეგლამენტაციას ახდენს, რაც განპირობებულია დოკუმენტალურად დაფიქსირებული საგადასახადო ვალდებულებებით უცხოეთის კონტრაგენტის მიმართ. ამასთანავე საკმაოდ მაღალი ალბათობის ხარისხით შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ სიტუაციების ძირეული ცვლილებები საბაზრო ურთიერთობების განვითარების მიხედვით. ამგვარი ოპერაციების განხორციელების დიდი ხნის პრაქტიკული გამოცდილება აქვს საგარეო-ეკონომიკურ ბანკს. უკვე შესაძლებელია ამგვარი ოპერაციები გენერალური კომერციული ლიცენზიის მქონე ბანკების მიერ განხორციელდეს.

ოფციონი წარმოადგენს კონტრაქტის სახეს, რომლის მიხედვითაც მყიდველს უფლება აქვს განსაზღვრული დროის განმავლობაში ან იყიდოს ფიქსირებული ფასით წინასწარ შეთანხმებული თანხა უცხოურ ვალუტაში ("ოფციონი" "კოლ" ტიპისა -call), ან გაყიდოს ის ("ოფციონი" "პუტი"-put) ოფციონის მფლობელი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გამოიყენოს თუ არა მისი უფლება სავალუტო კურსების დინამიკასთან დამოკიდებულებით. ყველა შემთხვევაში, რისკი, რომელსაც განიცდის ოფციონის მფლობელი, წინასწარ შეზღუდულია ოფციონის ფასით, ხოლო მოგება თეორიულად არაა შეზღუდული და პრაქტიკაშიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ოფციონური გარიგებების მეთოდის პეჯირება განსხვავდება "ფორვარდ"-ის ოპერაციისაგან იმით, რომ საწარმოს, ან ბანკის მიერ შენარჩუნებულია ამორრეის უფლება, რაც ოპერაციების ეფექტურობას ზრდის.

"ოპციონებით" ვაჭრობა შეიძლება მოხდეს უშუალოდ კომერციული ბანკების მიერ, თუმცა, როგორც წესი, ამით დაკავებული არიან სავალუტო ბირჟის დილერები. უნდა ვივარაუდოთ, რომ სავალუტო ბირჟის ზრდის მიხედვით ჩვენს ქვეყანაში სავალუტო რისკების დაზღვევა "ოფციონის" დახმარებით გაფართოვდება.

პარალელური სესხები წარმოადგენენ საწარმოების და ბანკების ურთიერთ დაკრედიტებას ეროვნულ ვალუტაში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაშია განლაგებული, ორივე სესხი ერთი და იგივე ვადით გაიცემა, თავიანთი არსით ასეთი სახის სესხები განიხილებიან როგორც "სვოპ" გარიგება, ვალუტის ყიდვით, როგორც "სპორტ" პირობებით და ამავე დროს "ფორვარდ"-ის გაყიდვით. მაგრამ პეჯირების პერიოდი შეიძლება იყოს უფრო ხანგრძლივიც ვიდრე ეს შესაძლებელია განხორციელდეს საფორვარდო გარიგებების ბაზარზე (თუ ის, რასაკვირველია, საერთოდ არსებობს), შესაბამისად მოცემულ ქვეყანაში არსებული საკრედიტო კანონმდებლობით. საგადასახადო მოთხოვნების უცხოურ ვალუტაში დისკონტირება, იგი (როგორც თამასუქების დისკონტირების ნაირსახეობა, ბანკისათვის უცხოურ ვალუტაში, დავალიანების მოთხოვნის უფლებაა) დათმობას წარმოადგენს, სამაგიეროდ, ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა გადაუხადოს შესაბამისი თანხა ეროვნულ (ან სხვა უცხოურ) ვალუტაში. ამგვარ ოპერაციებს ეწოდება "ა-ფორფეს" (ფრანგ.- a forfai მთლიანად, საერთო თანხით) გარიგებები ან ფორფერტირება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ფაქტორინგული ოპერაციებისაგან განსხვავებით ბანკი იძენს თამასუქებს მთელ თანხაზე და სრული ვადით. ამავე დროს, იგი, იღებს რა, თავის თავზე ყველა კომერციულ რისკს (მათ შორის სავალუტო და გადახდისუნარიანობის რისკს), ამ თამასუქის ყოფილი მესაკუთრისათვის რეგრესის უფლების გარეშე. თამასუქების ტრადიციული აღრიცხვისაგან განსხვავებით ფორფერტირება ჩვეულებრივ გამოიყენება ძვირად ღირებული მოწყობილობების მიწოდებისას გადახდის ხანგრძლივი ვადით (ნახევარი წლიდან 5-7 წლამდე) და სთავაზობს გარანტიას ან ბანკის ავალს.

"ა-ფორფეს" გარიგებების გარდა, დისკონტირება ხორციელდება სხვა საშუალებებითაც, რომლებიც განსაზღვრულად განსხვავდებიან (მაგალითად, რეგრესის უფლება ან სპეციალურად დაწეული სავალუტო კურსი). ასეთ შემთხვევაში პეჯირება გამოიხატება იმაში, რომ

ექსპორტიორს შეუძლია მიიღოს ვალი წინასწარ შეთანხმებული კურსით, ისე, რომ არ შეეშინდეს მისი დაცემის გადახდის მომენტში. მისთვის ხარალი იმ შეღავათის სიდიდით აქნება შეზღუდული, რომელსაც ის ფორფერტერს (ბანკს) აძლევს.

"სავალუტო კალათა" წარმოადგენს ვალუტების ნაკრებს, რომელიც აღებულია განსაზღვრული პროცენტით. ასეთ კალათაში, თუ მისი გამოყენების მიზანს წარმოადგენს პეჯირება , შეირჩეულან ვალუტები, რომელთა კურსი ჩვეულებრივ საწინააღმდეგო მიმართულებით "ცურავს", შესაბამისად, აწონასწორებენ თავიანთი "ცურვის" შედეგებს იმით, რომ მთელი კალათის ერთობლივ ღირებულების უფრო სტაბილურს ხდიან. მაგალითის სახით. შეიძლება დავახელოთ ტრადიციული ვალუტა-მოწინააღმდეგეები: დოლარი, გირვანქა სტერლინგი, გერმანული მარკა და იენა. თუმცა, შესაძლებელია სხვა ნაკრებებიც, ვთქვათ, (ევროპული სავალუტო ერთეული -( )), რომელიც შედგება ევროპის გაერთიანების ქვეყნების ვალუტებისაგან, რომელთა სტაბილურობა უზრუნველყოფილია ამ ქვეყნების განსაზღვრული ვალდებულებებით შეინარჩუნონ თავიანთი ვალუტების კურსის მერყეობის ზღვარი.

პეჯირება ხორციელდება სავაჭრო ან საკრედიტო ხელშეკრულებაში "შულტჰვალუტური შენიშვნის" შეტანით, რომლის შესაბამისად ფულადი ვალდებულებების თანხა გადაითვლება სავალუტო გადახადის და შესაბამისი "სავალუტო კალათის" შორის საკურსო თანაფარდობის ცვლილების მიხედვით. "კალათა", როგორც გარკვეული ვალუტების ნაკრებთან მიმართებაში, გადასახდელი ვალუტების საშუალო კურსის გამოთვლის მეთოდი, ამცირებს გადასახდელი თანხის შესაძლებელ მკვეთრ ცვლილებებს. ამასთან, სავალუტო რისკის თვალსაზრისით, ორივე კონტრაგენტი თანაბარ პირობებში აღმოჩნდება სუფთა ტექნიკური თვალსაზრისით, შენიშვნა გამოიხატება იმაში, რომ კონტრაქტში ფიქსირდება "სავალუტო კალათის" ღირებულება "ფასის ვალუტაში" და თანხის გადახდის დღეს გაითვალისწინება ფაქტიურად გადასახდელი თანხის ცვლილება ამ თანაფარდობის ცვლილების პროპორციულად.

საწარმოების და ბანკების მიერ თვით დაზღვევა გამოიყენება პარალელურად, ზემოთ აღწერილი მეთოდებისაგან დამოუკიდებლად. პეჯირების მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ სავალუტო კურსის ცვლილების გამო შესაძლებელი ზიანის სიდიდე წინასწარ შეაქვთ ფასში (თუ ამის საშუალებას იძლევა ბაზრის კონიუნქტურა) და სადაზღვევო ფონდის შესაქმნელად გამოიყენება.

ხეჯირებასთან ბანკს კავშირი ორმაგად ეხლინდება, რადგან, ერთის მხრივ, ბანკს, როგორც სხვა ნებისმიერ კომერციულ კომპანიას, შეუძლია გამოიყენოს სავალუტო რისკების დაზღვევის ზემოდ აღწერილი მეთოდები თავისთვის ფინანსური საქმიანობის ყოველდღიურ პრაქტიკაში საკუთარი სავალუტო რესურსების მართვისათვის, მეორე მხრივ, პეჯირების შემთხვევაში წარმოადგენს იმ მომსახურებას, რომელსაც ბანკი თავისთვის თავისთან კლიენტებს. უწინარეს ყოვლისა, საქმე გვაქვს რისკების დაზღვევის საკითხებზე კლიენტების კონსულტირებასთან, რომელიც თავისთავად საპასუხისმგებლო, რთულ და შრომატევად პროცესს წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ ექსპერტები, დიდი მნიშვნელობა აქვს "უჩვენოთ თქვენს კლიენტებს, რომ არავითარი "ოქროს წესი" ან მაგიური ფორმულა არ არსებობს და, რომ სავალუტო ოპერაციები ყოველი ნაბიჯის და გადაწყვეტილების მიღების მთელი პროცესის სისტემატურ ანალიზს ითხოვს".

ეტაპობრივად ამგვარი სამუშაო შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: განსაზღვრეთ სავალუტო რისკების ყველა ტიპები, რომელთა ზემოქმედებასაც შეიძლება დაექვემდებაროს კომპანია (ან ბანკი);

შეაფასეთ ხარალების შესაძლებელი სიდიდე (სავალუტო კურსების დინამიკის გათვალისწინებით) პეჯირებაზე ღანახარჯების გაწევის მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;

განახილეთ სავალუტო რისკისაგან "ლიდზ ენდ ლეგზის" ტიპის უბრალო წესებით ან რომელიმე საქონელზე (იგივე ვალუტით ყიდვა-გაყიდვაზე) შემხვედრი კონტრაქტის გაფორმებით სავალუტო რისკის თავიდან აცილების შესაძლებლობანი;

თუ მაინც არსებობს ჰეჯირების უფრო რთული ფორმების აუცილებლობა, განსაზღვრეთ, ღირს, თუ არა, მათი დაზღვევის უზრუნველყოფა ყველა შესაძლო 100 %-იანი რისკისაგან, ან, თუ დასაშვებია, შემოიფარგლოთ რაიმე ნაწილით.

მოცემულ შემთხვევაში, ამოირჩიეთ ჰეჯირების ყველაზე უფრო შესაფერისი ფორმა და განსაზღვრეთ თარიღი, ან შესაბამისი მოვლენები სავალუტო ბაზარზე, რომელთა შემდეგაც ჰეჯირების ოპერაცია უნდა განხორციელდეს. მაგრამ ბანკები, ჩვეულებრივი კონსულტანტებისაგან ამით განსხვავდებიან, რომ ისინი სავალუტო რისკებისაგან დასაზღვევად, არა მარტო რჩევის ძალებით არამედ უშუალოდ ახორციელებენ საჭირო ოპერაციებს. ეს ეხება, პირველ რიგში, ისეთ სავალუტო ოპერაციებს, როგორიცაა "ფორვარდ"-ი, "სვოპ"-ი, ოფციონები და ფიუჩერსები. ამის გამო, ბანკის ხანდახან უწევთ, არანულისაგული მიმართულებით სავალუტო კურსის ცვლილების რისკის თავის თავზე აღება. ბუნებრივია, როგორც ყველა კომერციული კომპანია, ბანკიც ცდილობს თავიდან აიცილოს ზედმეტი და ძალიან საშიში რისკები და ამგვარ ოპერაციებს ატარებს მხოლოდ მოგების მიღების იმედით. ამ მიზნით, ფორვარდული კურსები, რომლებიც ამგვარ ოპერაციებში გამოიყენება, იმ დონეზე დადგინდება, რომელიც ბანკთაშორის დეპოზიტებზე პროცენტის გათვალისწინებით საშუალებას იძლევა მომავალში დაიფაროს შესაძლო ზარალი. მაგალითად, ვთქვათ, "სპოტ" კურსით 15 100 დოლარზე ბანკი სამი თვის ვადით გაყიდის გერმანულ მარკებს "ფორვარდის კურსით 14 900 (ე.ი. 1,32 % დათმობით). დავუშვათ, რომ მოცემული ვადის ამოწურვისას "სპოტ" კურსი იქნება 14 800, ე.ი. დოლარის კურსი დაეცემა 1,99 %-ით ან 0,67 პუნქტით მეტი იქნება ვიდრე ეს ფორვარდული კურსით იყო გათვალისწინებული. დანაკარგები, რომლებიც ამ სხვაობით არის განაპირობებული, სრული თანხით, გადადის კლიენტისაგან ბანკზე, თუ ეს უკანასკნელი იძულებულია, საჭირო თანხა გერმანულ მარკებში "სპოტ" ბაზარზე შეისყიდოს. თუმცა, ბანკს შეუძლია ეს თანხა უკვე კიდევ სამი თვის წინ ჰქონდა და ამ დროის განმავლობაში, ეს თანხა სხვა ბანკში (რომლისთვისაც ეს სახსრები მოკლევადიანი დაკრედიტების რესურსი იქნებოდა) დეპოზიტზე შეეტანა და სამი თვის განმავლობაში ლიბორის 1,5 % განკვეთით (London Inter Bank Offered Rate - ლონდონის ბაზრის საბროკერო განკვეთი ბანკთაშორის დეპოზიტებზე) 6 % წლიური მიეღო. ამრიგად დანაკარგები ბანკს მიუბრუნდება საბოლოოდ მოგებით გარიგების თანხის 0,83 % ოდენობით (1,50 - 0,67).

ბუნებრივია, უფრო უკეთესია, როდესაც კურსის ფაქტიური ცვლილება "სპოტ" და "ფორვარდ" კურსებს შორის სხვაობით გარიგების გაფორმების მომენტში სრულად დაფარული აღმოჩნდება. იდეალურია ის ვარიანტი, როდესაც ვალუტის კურსის რეალური მოძრაობა წარიმართება არა იმ მიმართულებით, რომელიც მოსალოდნელი იყო "ფორვარდ" ბაზარზე. სავალუტო რისკების დაზღვევასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის შესრულება მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას და შემთხვევითი არაა, რომ დასაქმების ქვეყნების ბანკებში ჰეჯირების არა მეცნიერების, არამედ ხელოვნების უწოდებენ. ხელოვნებას, რომელსაც ის ბანკი უნდა ფლობდეს, რომელსაც სურს საერთაშორისო ბაზარზე წარმატების მიაღწიოს.

თავი XIV

კომერციული ბანკის სხვა ოპერაციები

1. კომერციული ბანკის სხვა ოპერაციების კლასიფიკაცია და საერთო დახასიათება

კომერციული ბანკის სხვა ოპერაციები მიმართულია მომსახურების დივერსიფიკაციისაკენ, რომლებიც გაუწევს კლიენტებს საკრედიტო-საანგარიშსწორებო და დეპოზიტურ მომსახურებასთან ერთად და ამის საფუძველზე ფარავდეს კლიენტურა, იზრდება ბანკის მომგებიანობა და ლიკვიდობა. სხვა ოპერაციების განვითარება შეუსაბამებს ბაზრისგანვითარების პრაქტიკაში არსებულ ტენდენციებს. კერძოდ, ა) ბანკის უნივერსალიზაციას, ბ) ოპერაციების სტრუქტურაში არასაბანკო საქმიანობის სახეობათა გაფართოებას; გ) იმ მოსაზრების მტკიცება, რომ ბანკები წარმოადგენენ საინფორმაციო-საკრედიტო-საანგარიშსწორებო და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას, რომლებიც გაუწევს კლიენტურას. განსაკუთრებით შესამჩნევია მოცემული ოპერაციების გაფართოება მზარდი ინფლაციის პირობებში, რაც აიხსნება ბანკის მისწრაფებით ფულის გაუფასურებისაგან დაიზღვიოს თავი სახსრების მატერიალურ აქტივებში გადადგილებით.

კომერციული ბანკების სხვა ოპერაციების კლასიფიკაცია და საჭიროებები. რსფსრ-ს კანონით "ბანკების და საბანკო საქმიანობის შესახებ" გათვალისწინებულია კომერციული ბანკების მიერ "სხვა საბანკო ოპერაციების" შესრულების შესაძლებლობა. ამ ოპერაციების შემადგენლობაში შედის: ა) თავდებობის, გარანტიების და სხვა ვალდებულებათა გაცემა მესამე პირზე, რომლებიც მათ შესრულების ფულად ფორმაში ითვალისწინებენ; ბ) ოპერაციები ძვირფასი ლითონებით; გ) ნდობითი ოპერაციები; დ) საკონსულტაციო მომსახურება; ე) სხვა ოპერაციები, რომლებიც ზემოთ არ არის აღნიშნული. რსფსრ კანონში დამატებით მითითებულია ბანკების მიერ საბროკერო მომსახურებების შესრულების შესაძლებლობებზე, საკრედიტო და სავალუტო რისკების დაზღვევის განხორციელებაზე.

ამასთან ერთად, აღნიშნული კანონის შესაბამისად აკრძალულია მატერიალურ ფასეულობათა წარმოებასა და ვაჭრობის ოპერაციები, აგრეთვე ყველა სახის სადაზღვევო ოპერაციები. (რსფსრ-ს კანონი, როგორც წესი, უშვებს გამონაკლის სავალუტო და საკრედიტო რისკების დასაზღვევად). ჩამოთვლილ აკრძალვას ბანკები, ჩვეულებრივ, გვერდს უვლიან ამ ოპერაციების განხორციელებისათვის იურიდიული პირების შექმნის გზით. კომერციული ბანკების სხვა ოპერაციები, როგორც წესი, საწესდებოა, რადგან კომერციული ბანკების უმეტეს დამფუძნებელ დოკუმენტებში მითითებულია იმ "სხვა ოპერაციების" განხორციელებაზე ან "სხვა მომსახურებების" გაწევაზე, რომლებიც ბანკის მიზნებს შეესაბამება.

ბანკის სხვა ოპერაციების ყველაზე მნიშვნელოვან საკანონმდებლო საფუძველს სამოქალაქო კანონმდებლობა წარმოადგენს. თითოეულ ოპერაციას შეესაბამება ვალდებულებების განსაზღვრული სახეობა, რომელთა რეგულირება ხდება სამოქალაქო წესების ნორმებით. ამიტომ სხვა ოპერაციების შესრულებისას კომერციულ ბანკებს სპეციალური საბანკო ტექნიკა არ სჭირდებათ. მათთვის ამა თუ იმ ოპერაციის შესასრულებლად საკმარისია საერთო სამოქალაქო

ნორმებით ხელმძღვანელობა. ქვემოთ მოყვანილ 22-ე ცხრილში მოცემულია ბანკების სხვა ოპერაციების კლასიფიკაცია, ეკონომიკური საქმიანობის და ამ საქმიანობის შესაბამისი ვალდებულებების სახეობების კრიტერიუმების განსაზღვრით.

კომერციული ბანკების მიერ სხვა ოპერაციების განვითარება და მათი კავშირი ბანკების ძირითად საქმიანობასთან. კომერციული ბანკების სხვა ოპერაციები მოიცავს სამეურნეო გარიგებების ძირითად სახეობათა უმეტესობას. სხვა ოპერაციების ობიექტს პირველ რიგში წარმოადგენს მატერიალური აქტივები და ვალდებულებები (მათ შორის ფასიანი ქაღალდების ფორმით), ასევე ფულადი სახსრები. რიგი ანაზღაურებითი ოპერაციები ატარებენ საინფორმაციო, ანალიზურ, დამწერგავ ან საცნობარო ხასიათს, რომელიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების მომსახურებასთან. ამრიგად, კომერციული ბანკი კომპლექსური მომსახურებით ხდება საწარმო, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტურის ფინანსური და სხვა შერეული სახეობის საქმიანობას.

არსებობს კომერციული ბანკების სხვა ოპერაციების მჭიდრო კავშირი საკრედიტო, საანგარიშსწორებო და დეპოზიტურ ოპერაციებთან. მაგ., მატერიალური აქტივებით შეღავათიანი საკრედიტო გარიგებები ბანკო ოპერაციებს თან ახლავს, ბანკის კონტრაგენტებს საუკეთესო პირობების გარანტიას აძლევენ, ვიდრე ანალოგიური ოპერაციების შემსრულებელი არაბანკო დაწესებულებები, და პირიქით, დამატებითი საფინანსო, საინფორმაციო და საშუამავლო მომსახურებების კომპლექსი, რომელსაც ბანკი აწარმოებს, გააფართოებს კლიენტურის წრეს და გახდის უფრო მიმზიდველს საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურებას.

ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების კომერციული ბანკების განვითარების ტენდენცია ბანკების მიერ ყველა სახის ოპერაციების შესრულების მაგალითებს მოიცავს, რომლებიც "სხვა" კატეგორიებს მიეკუთვნება. ბანკმა საანგარიშო თანხმდებიან ამგვარი მომსახურების გაწევაზე, თუმცა ამ ოპერაციებთან დაკავშირებული სახსრების დაბანდების ხვედრითი წილი დიდი არ არის (საექსპერტო შეფასებით აქტივების არა უმეტეს 15-6 %). საწარმოების სამეურნეო საქმიანობაში ინვესტიციები (დამფუძნებლობა, ერთობლივი სამეურნეო საქმიანობა) ნაკრები ბალანსის თანხის 2 %-ს არ აჭარბებს.

ცხრილი 22

კომერციული ბანკების სხვა ოპერაციები	ვალდებულებათა(ხელშეკრულების) სახეობანი
1	2
სახაზინო-საკომისიო ოპერაციები. მატერიალური ფასეულობების ყიდვა-გაყიდვა საკუთარი ანგარიშიდან	ხელშეკრულება საკომისიოზე; ხელშეკრულება ყიდვა-გაყიდვაზე; ხელშეკრულება ფაქტორინგულ მომსახურებაზე
ოპერაციები ძვირფასი ლითონებით, ბუნებრივი ძვირფასი ქვებით და მათგან დამზადებული ნაკეთობებით. ნუმიზმატიკური ოპერაციები	ხელშეკრულებანი საკომისიოზე, ყიდვა-გაყიდვის, გადაზიდვის, შენახვის, იჯარის (ფასეულობის დაცვის) შესახებ
ფასეულობების შენახვა, დაცვა და ტრანსპორტირება	ხელშეკრულებები გადაზიდვების, შენახვის, იჯარის (ფასეულობის დაცვის) შესახებ
დავალებითი ოპერაციები. ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები	ხელშეკრულებები დავალებაზე, საკომისიოზე, იჯარაზე

1	2
ბანკების და სხვა იურიდიული პირების ერთობლივი საქმიანობა	ხელშეკრულება ერთობლივ საქმიანობაზე, სადამფუძნებლო ხელშეკრულება
თავდებობის მიღება, მესამე პირის მაგიერ გარანტიების და სხვა ვალდებულებების გაცემა	ხელშეკრულება თავდებობაზე (გარანტიები)
მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებათა განხორციელება საკუთარ ხარჯზე	ხელშეკრულება იჯარაზე (სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის გაცემაზე)
საკონსულტაციო-სამართლებრივი, საინფორმაციო-ანალიზური და საცნობარო მომსახურება. სადაზღვევო ოპერაციები	ხელშეკრულება დაზღვევის შესახებ
საქველმოქმედო საქმიანობა და ფინანსური მხარდაჭერის განხორციელება	ხელშეკრულება ნაწყალობაზე, ქონების უსასყიდლო გამოყენებაზე

2. კომერციული ბანკის სხვა ოპერაციათა ორგანიზაცია

სახაზინო-საკომისიო ოპერაციები. ამ ოპერაციების შესასრულებლად კომერციული ბანკი საკომისიოების საფუძველზე, შეიძენს და გაყიდის საქონელს, ქონებას, მეცნიერულ- ტექნიკურ პროდუქციას. საკომისიო ხელშეკრულების საფუძველზე მზარდის შორის განსაზღვრება სამართლებრივი ფორმა და ურთიერთობების შემადგენლობა. კომერციული ბანკი (კომისიონერი) თავის თავზე იღებენ კლიენტების (კომიტენტების) დავალებებს საქონლის შესყიდვასა და რეალიზაციაზე. ამასთან დაკავშირებით იღებენ საკომისიო გასამრჯელოს საშუამავლო ოპერაციებისათვის. საკომისიო დაჯილდა კომისიონერ ბანკს უფლების აძლევს გააფორმოს ყიდვა-გაყიდვის გარიგება თავის სახელზე, კლიენტის ინტერესის და ანგარიშის ხარჯზე. ამგვარად, ეს ოპერაციები ბანკებს აკრძალული აქვთ და მათი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ბანკების მიერ შექმნილი იურიდიული პირების მეშვეობით. ამ მიმართულებით რუსეთის კანონმდებლობა ბანკებს უფლებას აძლევს აწარმოონ საბირჟო მომსახურებები.

20-იან წლებში, თანახმად ბანკის შესახებ დებულების (1921 წ.) და სავაჭრო სამრეწველო ბანკის წესდების (1922 წ.), აგრეთვე, რიგი სხვა ბანკების წესდების დებულებით, ნება დართული იყო ოპერაციების შემადგენლობაში შესულიყო დავალებებით საქონლის ყიდვა-გაყიდვა კონტრაგენტების დაკრედიტებით, ასევე საკუთარი ხარჯით. კომერციული ბანკების დაბანდებებმა სახაზინო-საკომისიო ოპერაციებში 20-იან წლებში საიერიცხვო-სასესხო ოპერაციების მოცულობის 8-10 % მიაღწიეს (საკუთარ ხარჯზე ვაჭრობის ჩათვლით); განსაკუთრებით მაღალი იყო ეს პროცენტი მოსკოვში, სადაც განლაგებული იყო უმსხვილესი სახაზინო ბაზრები. მაღალი ინფლაციის პირობებში, 20-იანი წლების დასაწყისში მიისწრაფოდნენ თავიანთი აქტივები გაეუფასურებისაგან დაეცვათ, ფულადი ფორმიდან სახაზინო ფორმაში მათი ტრანსფორმაციით. დიდი მნიშვნელობა აქვს სახ. ბანკის გამოცდილებას, რომელიც პურის დამზადებისა და ექსპორტის 18-20 % უზრუნველყოფდა და წარმოადგენდა ცალკეულ წლებში მოსკოვის და პეტერბურგის ბაზრებზე პურპროდუქტების ძირითად მიმწოდებელს. თავის მარაგებს იყენებდა სახაზინო ინტერვენციისათვის და ფასების დონეზე ზემოქმედებისათვის.

კომერციული ბანკის სახაქონლო-საკომისიო ოპერაციების ტექნიკა დაწვრილებით არის მოცემული საკომისიო ხელშეკრულებაში. აქ შევჩერდებით საბანკო ტექნიკის ზოგიერთ თვისებებზე. ასე, მაგალითად, სახაქონლო-საკომისიო ოპერაციებში გამოსაყენებელი ფორმები შემდეგ ხასიათს ატარებენ:

ა) უბრალო გარიგებები საკომისიო გასამრჯელოს საფუძველზე, საქონლის ცალკეული პარტიების შეძენაზე ან რეალიზაციაზე;

ბ) მსხვილი საკომისიო ხელშეკრულებები, რომლითაც ბანკი იღებს ვალდებულებას მოახდინოს მოცემული საწარმოს მთელი პროდუქციის რეალიზაცია ან განახორციელოს მისი გარანტირებული მომარაგება. ბანკების მიერ ამოღებული საკომისიოები ჩვეულებრივად დავალიანების თანხის 1-2 % შეადგენს.

საკომისიო გარიგების პირობებით ბანკის კლიენტი, როგორც წესი, ფარავს ყველა დამატებით ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან: სატრანსპორტო, სადაზღვევო, კავშირგაბმულობის, სასაწყობო, სარეკლამო და ა.შ. მომსახურებებთან. ამრიგად, ბანკის საკომისიო გასამრჯელო, თუ ხელშეკრულებით არაა გათვალისწინებული დანახარჯების განაწილების სხვა წესი, მთლიანად შედის ბანკის მოგებაში.

სახაქონლო-საკომისიო გარიგება უმეტესწილად შეუსაბამება ბანკის საკრედიტო და ფაქტორინგულ ოპერაციებს, აგრეთვე ფასეულობის ტრანსპორტირებისა და შენახვის ოპერაციებს. საკრედიტო ურთიერთობების შესაძლებელ ფორმებს წარმოადგენს:

ა) ბანკის მიერ ფასეულობების ყიდვა საწარმოს დავალებით, სამეურნეო ორგანიზაციის მიერ, კრედიტის ხარჯზე, მისი შემდგომი ანაზღაურებით;

ბ) საწარმოს დავალებით, ბანკის მიერ საქონლის რეალიზაცია, საწარმოსათვის სესხის გაცემით, რომელიც ფარავს სხვადასხვა საქმიანობაში განხილულ სახსრებს;

გ) საქონლის რეალიზაცია და მყიდველისათვის სესხის გაცემა საქონლის შესაძენად და ა.შ. ბანკის სახაქონლო-საკომისიო ოპერაციებს ხშირ შემთხვევაში თან ახლავს სესხის ერთდროული გაცემა, როგორც გამყიდველისათვის, ისე მყიდველისათვის, ამასთან, გირაოს ობიექტად გვევლინება საკომისიოდ მიღებული საქონელი.

სახაქონლო-საკომისიო და საკრედიტო გარიგებები შეიძლება შეივსოს ფაქტორინგული გარიგებებით. მაშინ ბანკი საკომისიო საწყისებზე პროდუქციის რეალიზაციისას, თავის თავზე იღებს გადახდილების გადახდის ვალდებულების და მომწოდებელს მას გადატვირთვისაგან აუნაზღაურებს. ამასთან, მყიდველისათვის შეიძლება ბანკმა კრედიტის გაცემა. საკომისიო გასამრჯელოს სადღე აქ მაღალია (გადაუხდელობის რისკის და ოპერაციაში ბანკის საკუთარი სახსრების დაბანდებების გათვალისწინებით).

ძვირფას ლითონებთან, ბუნებრივ ძვირფას ქვებთან და მათ ნაკეთობებთან დაკავშირებული ოპერაციები. ნუმიზმატიკური ოპერაციები. ძვირფას ლითონებზე კომერციული ბანკების ოპერაციებს ხანგრძლივი ტრადიციები გააჩნია. ჯერ - კიდევ 1921 წლიდან სსრკ-ის სახბანკის საწესდებო ოპერაციები მოიცავდა ბანკის ანგარიშზე ძვირფასი ლითონების ყიდვა-გაყიდვას. სახბანკი მსგავსი გარიგებების მონოპოლიურ უფლებებს ფლობდა. 1929 წლიდან ნება დართული აქვს ძვირფას ლითონებთან დაკავშირებული გარიგებების თავისუფალი განხორციელება, ხოლო 20-იანი წლების ბოლოდან დაიწყო ამგვარი ოპერაციების თანმიმდევრული შეზღუდვა: სუბიექტებთან, ბრუნვის სფეროსთან, ფასებთან დაკავშირებით. 1937-1990 წლებში სახბანკს ძვირფას ლითონებზე გარიგებების განსაკუთრებული უფლება გააჩნდა. 1990 წელს ეს მონოპოლია

გაუქმდა, თუმცა ქვეყანაში არ იყო ძვირფასი ლითონების საბითუმო ბაზარი, რაც გამორიცხავდა მასზე ფართო მასშტაბიანი საბანკო ოპერაციების განხორციელებას. ეს საბაზრო ტენდენციების განვითარებით იყო გამოწვეული. კერძოდ, რესპუბლიკის მოთხოვნებმა, საგალუტო ფასეულობათა საერთო ფონდიდან მათთვის წილის გამოყოფის თაობაზე, შეიძლება გამოიწვიოს ამ სფეროში საკუთრების სუბიექტების მომრავლება, რაც ბაზრის შექმნის აუცილებელი წანაპირობაა. ძვირფასი ლითონების ბაზრის წარმოშობა შეუძლებელია თავისუფალ ფასებზე გადასვლისა და საწარმოს მიერ მოპოვებული ძვირფასი ლითონების თუნდაც ნაწილის ბაზარზე გატანის გარეშე. მომავალი ბაზრის მოცულობა ასევე, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ სახელმწიფო რა რაოდენობით გამოუშვებს ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ მონეტებს, დაინტერესებული იქნებიან თუ არა ბანკები და სხვა ინვესტორები იმაში, რომ თავიანთი სახსრების ნაწილის რეზერვირება მოახდინონ მაღალლიკვიდური ძვირფასი ლითონების მარაგში (მაღალი ინფლაციის პირობებში) და სხვა.

ბანკები ოპერაციებს ახორციელებენ ძვირფასი ლითონებით, რომლებიც წარმოდგენილია მონეტების, ზოლების, აგრეთვე ჯართისა და ნელლეულის სახით. მათ შემადგენლობაში შედის: ა) შესყიდვა; ბ) ძვირფასი ლითონის გაყიდვა; გ) ფასეულობათა ინკასოზე მიღება; თანმდევ ოპერაციებს წარმოადგენენ: დ) შეფასება; ე) შენახვა; ვ) დაცვა და ტრანსპორტირება; ზ) სარეკლამო კომპანიების განხორციელება; თ) კონსულტაციების გაწევა; ი) ფასეულობებზე წინასწარი შეკვეთების გაფორმება და ა.შ. ანალოგიური ოპერაციები მიმდინარეობს ნუმიზმატიკურ ფასეულობებზე, ამასთან გაურცელებელ ხასიათს იღებს გაცვლითი მომსახურებები და ბანკების სახსრების ინვესტირება ნუმიზმატიკურ კოლექციებში.

მომსახურების უმეტესი ნაწილი სახელმწიფოსათვის არის განკუთვნილი. კომერციულმა ბანკებმა საკომისიო საწყისებზე შეიძლება განახორციელონ ემიტირებული სამახსოვრო მონეტების, ძვირფასი ლითონის მონეტების გავრცელება და ა.შ. ამით იქმნება ინვესტორთა დაგროვებანი და კოლექციების ფორმირება ხორციელდება. ტრადიციულია ის ოპერაციები, რომლებიც სახელმწიფოს შემოსავალს ანგრევენ.

ძვირფასი ლითონებით ოპერაციებზე სახბანკის მონოპოლიამ საშუალება მისცა მას ძირითადად შეეწარჩუნებინა მასთან დაკავშირებული ტექნოლოგია და მეთოდები, რაც კერძოდ ასახულია სახ.ბანკის საერთაშორისო-სავაჭრო მოძრაობის ინსტრუქციებში.

სახაწყობო ოპერაციები. ფასეულობების დაცვა და ტრანსპორტირება. ბანკისათვის დაგირავებული ფასეულობების გადაცემა შესანახად, როგორც გირაოს ერთ-ერთი რეჟიმი, ითვალისწინებს ბანკების მიერ სასაწყობო ოპერაციების შესრულების და შესაბამისი ინსტრუქციების შექმნას. ამიტომ, სამამულო ბანკებს 1910-1920 წლების საწესდებო ოპერაციების რიცხვში გათვალისწინებული იყო საქონლის საწყობებში ფასიანი შენახვა, (მათ შორის დაგირავებული ფასეულობების ხელშეკრულებით შენახვა) და საკუპნოების, საწყობების და უსაფრთხო ყუთების (სეიფების) გაქირავება. 1930-1980 წლებში ბანკები ფასეულობების შენახვის ოპერაციებს ახორციელებდნენ მხოლოდ ძვირფასი ლითონებით და მათგან დამზადებული ნაკეთობებით. ერთ-ერთ ასეთ ოპერაციას წარმოადგენდა მოსახლეობისაგან ნივთებისა და სხვა ფასეულობების შესანახად მიღება, რაც უცხოეთის პრაქტიკაში ფართოდ არის გავრცელებული. დასახელებული ოპერაცია წარმოადგენს საბანკო მომსახურების პრესკურანტის აუცილებელ ელემენტს. რუსეთის რიგი კომერციული ბანკების წესდებით გათვალისწინებულია ანალოგიური ოპერაციები. შემნახველი ბანკების მიერ დაწესებულია მოსახლეობისაგან ფასიანი ქაღალდების

შესანახად მიღება. მოცემული ოპერაციების შესრულების წესი განისაზღვრება, უწინარეს ყოვლისა, სამოქალაქო უფლებების ნორმებით.

ფასეულობათა შენახვაში ბანკების ოპერაციების განვითარების პროგნოზი ხდება იმის გამო, რომ ასეთ ოპერაციებზე არსებობს მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება, მაღალი ღირებულებების დოკუმენტური და მატერიალური აქტივების შენახვის ფაქტები და ბანკების საგირავნო უფლებების გაფართოება.

ფასეულობების შენახვისა და სხვა მომსახურებების რიცხვს, რომელთაც ბანკების სპეციალური სამსახურები ახორციელებენ, მიეკუთვნება: ა) ნაღდი ფულის და სხვა ფასეულობების ბანკიდან საწარმოებში მიტანა; 2) ნაღდი ფულის ინკასირების შემთხვევაში დაცვისა და სატრანსპორტო მომსახურების განხორციელება; 3) ნაღდი ფულის გადატანისას, საწარმოთა მოლარეებისა და მოსახლეობისათვის დაცვის უზრუნველყოფა; 4) დიდი ღირებულების მქონე ტვირთის გადაზიდვა და ა.შ.

ოპერაციები დავალებით. ბანკის მიერ ეს ოპერაციები ხორციელდება მეორე მხარის რწმუნებითა და ხარჯზე, გადახდის საწყისებზე, თუ კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ბანკი, რწმუნებულის სახელით შესრულებული გარიგებებიდან არ იღებს არავითარ უფლება და ვალდებულება. დავალების შესასრულებლად გაწეულ აუცილებელ ხარჯებს ანაზღაურებს რწმუნებული. ამიტომ, ხელშეკრულებით დავალების ოპერაციების განსახორციელო მოლიანად მიეკუთვნება ბანკის შემოსავალს. ისევე, როგორც საკომისიო ხელშეკრულებაში ბანკი პასუხს არ აგებს მისგან დამოუკიდებელი მიზეზით წარმოქმნილ ზარალზე. საბანკო ოპერაციები დავალებით რამდენიმე სახეობისაა.

საქონლისა და ქონების დავალებით ყიდვა-გაყიდვა (მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია, თუმცა, როგორც ადრე აღვნიშნეთ რისკის-ს ბანკებისათვის ნებადართულია საბროკერო მომსახურება) უნდა შევნიშნოთ, რომ ყიდვა-გაყიდვაზე საკომისიო ხელშეკრულება ბანკს უფრო ხელსაყრელ პირობებს უქმნის, ვიდრე დავალებით ხელშეკრულება. ბანკისათვის ხშირად უფრო ხელსაყრელია, სასაქონლო-საკომისიო ოპერაციებში, მას სახელზე და კომიტენტის დავალებით ოპერაციების გაფორმებისას, გამყიდველს არ მოუთხოს მყიდველის ვინაობა ან პირიქით (წინაღმდეგ შემთხვევაში, ბანკის - შუამავლის როლი შეიძლება დაიკარგოს).

დავალებით ოპერაციებში ეს შეუძლებელია, რადგან ბანკი გარიგებას ახდენს არა თავისი სახელით, არამედ რწმუნებულის სახელით.

დავალებით ოპერაციების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მესაკუთრეების ინტერესების წარმომადგენლობა სააქციო, სამეურნეო და სახაბართლო ორგანოებში, აგრეთვე, სხვადასხვა ქონებრივი გარიგებებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში. სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის ინტერესების წარმომადგენლობის განსაკუთრებული ფორმაა საბანკო კონტროლი სახელმწიფო და სხვა საწარმოების საქმიანობაზე: საკრედიტო დისციპლინის დაცვის, მოხმარებისათვის სახსრების გაცემის მართლზომიერების, კაპიტალური დაბანდებების განხორციელების და სხვა თვალსაზრისით. 1991 წლის თებერვალში გამოკითხული კომერციული ბანკების მხრივ 80 %-ზე მეტს მიაჩნია, რომ მოხმარებისათვის გაცემული სახსრების კონტროლი ბანკისათვის შეუფერებელია და სთავაზობენ მის გადაცემას საფინანსო ორგანოებისათვის, საგადასახადო ინსპექციისათვის და ა.შ. თუმცა ეს კონტროლი-დავალებით საბანკო ოპერაციების მაგალითია, როდესაც მაგ.: სახელმწიფო, როგორც მესაკუთრე ავალებს

ბანკს მისი სახელით განსაზღვრული იურიდიული ქმედებები განახორციელოს. ქვემოთ ამაშია, რომ ამ ოპერაციის შესრულება უსასყიდლო არ უნდა იყოს.

ბიუჯეტის საკასო შესრულება, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება მფლობელთა დავალებით ან საინვესტიციო სახსრების განმკარგულებელთა მიერ წარმოადგენს დავალებით ოპერაციის სახესხვაობას, რომელთაც სამამულო კომერციული ბანკების პრაქტიკაში ხანგრძლივი ტრადიციები გააჩნიათ და მოქმედი საბანკო კანონმდებლობით არის დამკვიდრებული. ასეთი დავალებების შესრულებისას, ბანკის მიერ ხორციელდება: ა) შემოსავლების ინკასაცია და დაგროვება; ბ) საწარმოთა სახსრების ხარჯვა; გ) დასაფინანსებელ ერთეულებზე კონტროლი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ოპერაციები, რომლებსაც კომერციული ბანკები ახორციელებენ უნდა იყოს ფასიანი და არა უფასო.

დავალებით ოპერაციების განხორციელებამ, რომელიც კლიენტურის კომპეტენციაში შედის (საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება, საკასო და ფინანსური მეურნეობა, ხელფასის გადახდა და ა.შ) საზღვარგარეთის პრაქტიკაში შეიძლება შეადგინოს ბანკების მოგების 30-40 %. ამ მოსაზრებით საინტერესო მაგალითებს იძლევა საწარმოთა უმსხვილესი გაერთიანებების სტრუქტურებში შექმნილი ბანკები. ვორონეჟის კომერციული ბანკის "ენერგია"-ს საბჭო, ამავე დროს წარმოადგენს ამ მსხვილი საწარმოების - მონაწილე ბანკების ასოციაციის მმართველობით ორგანოს, რომელიც დაკავშირებულია სსგ "ენერგია"-ს და მისი კომერციული ბანკის, როგორც ამ სტრუქტურის სამძიმის ცენტრის გარშემო.

კომერციულ ბანკებთან მოქმედებს სამეცნიერო-პრაქტიკულ-ეკონომიკური ცენტრი, რომელიც ასოციაციის წევრების შორის ეკონომიკური და მმართველობითი ხაქმიანობის გაუმჯობესების მაკოორდინირებელი ძალაა. პეტერბურგის ენერგომაშბანკმა თავის თავზე აიღო გაერთიანება "ენერგომაშის" საფინანსო დაგეგმვის ფუნქციები, რასთანაც ქვედარგების ეკონომიკის და ფინანსების განყოფილება შეიქმნა.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში მიღებულია საწარმოს მოსამსახურეებისათვის ხელფასის შემნახველი სალაროების მეშვეობით გაცემა. კომერციულ ბანკ "ენერგია"-ს ანგარიშზე რიცხავენ სსგ "ენერგია"-ს იმ საწარმოების ხელფასს, რომლებთანაც ბანკი მჭიდრო კავშირშია. ბანკში, მოსამსახურეთა ანაბრების ნაშთები წარმოადგენენ საკრედიტო რესურსების დამატებით წყაროს და მათი მეშვეობით უნდა დაიფაროს სსგ "ენერგია"-ს საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნის 20 %.

სატრასტო (ნდობითი) ოპერაციები, რომლებიც ბანკის კლიენტების - იურიდიული პირების და მოქალაქეების ინტერესებისათვის სრულდება. სატრასტო ოპერაციები თავისი შინაარსით, ზემოგანხილული ყველა დავალებით ოპერაციებზე, არსებითად ფართო ოპერაციებია. სატრასტო ოპერაციების ძირითადი სახეობანი: ქონების, ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების, მიზნობრივი ფონდებისა და სხვა აქტივების მართვა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე.

მართვაში შეიძლება შედიოდეს აქტივების განკარგვის ქვემოთ დასახელებული ყველა ან ცალკეული ოპერაციები: ა) შენახვა; ბ) რწმუნებულის ინტერესების წარმომადგენლობა (მათ შორის ფასიანი ქაღალდების მართვის საკითხებთან დაკავშირებულ აქციონერთა კრებაზე); გ) ვალდებულებების და შემოსავლების ინკასაცია; დ) განკარგულება შემოსავალზე და ინვესტირებაზე; ე) ხელშეწერით სახსრების ხარჯვა; ვ) აქტივების ყიდვა-გაყიდვა; ზ) სესხების მოზიდვა და განლაგება: ფასიანი ქაღალდების გამოშვება, პირველადი მოთავსება და ქონების, ფულადი სახსრების სესხად გაცემა, აქტივების დაზღვევა; თ) იურიდიული პირის ჩამოყალიბება,

რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; ი) ქონებაზე საკუთრების გადაცემა (ნუქება, გაცვლა, შემკვიდრეობით გადაცემა); კ) გადასახადების გადახდა და სხვა ფიქსირებული გადასახადების გადარიცხვა; ლ) ხაბუთების წარმოება, მათ შორის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული დოკუმენტური ოპერაციები (ახალი საკუპონე ფურცლების მიღება, ნომინალის შეცვლისას ერთი ფასიანი ქაღალდების მეორეთი შეცვლა და ა.შ.); მ) საკახ და საფინანსო მეურნეობის აღრიცხვა, ვალდებულებების მახედვით გაანგარიშებების განხორციელება; ნ) სხვა იურიდიული მოქმედებანი.

სამეული კომერციული ბანკებს არა აქვთ სრული მოცულობით სტრასტრო ოპერაციების შესრულების გამოცდილება. ნაწარაუდევია კომერციული ბანკების მიერ სხვადასხვა ფონდების სახსრების მართვის ოპერაციების სწრაფი განვითარება, რომელთა დაფუძნების მასშტაბები, დამოუკიდებელი იურიდიული პირების სახით, სწრაფად ფართოვდება. როგორც ცნობილია, მრავალი კომერციული ბანკისათვის ფონდების სახსრები, მათ შორის საქველმოქმედო ხასიათის საკრედიტო რესურსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და პირიქით, უკანასკნელ ღროს ხშირად ფონდების შექმნის პროექტები, რომელთა ინიციატორად გამოდიან ბანკები. ისინი მიხვდნენ ფონდების სახსრების ძირითადი მფლობელები და მათი თავმოყრით დამატებითი საკრედიტო რესურსები შექმნან. ასე, მაგალითად, ინტერ- ბანკის მიერ განხორციელებულია საერთაშორისო ფონდის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს, ბაზრისათვის კადრების მომზადების და სახსრების ინტერბანკში შენიხვას.

ქონებაზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები. როგორც საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს (განსაკუთრებით საფრანგეთის ბანკების გამოცდილება) კომერციულ ბანკებს შეიძლება დაეკისროს განსახელმწიფოების და პრივატიზაციის პროცესში საფინანსო შუამავლის ფუნქციები. ამასთან, ბანკის ეს მომსახურებები წარმოადგენს დავალებით ოპერაციების ნაირსახეობას და საკონსულტაციო ანალიზური ან საინფორმაციო ხასიათის საბანკო მომსახურების მიეკუთვნება. ამასთანავე, მოცემული ოპერაციები საერთო მიზნით არის გაერთიანებული. კომერციული ბანკის მომსახურებებს, რომლებიც პრივატიზაციისა და "სხვა ოპერაციების" კატეგორიის მიეკუთვნებიან, შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი შინაარსი: სახელმწიფო ქონების გამოსყიდვის ბაზაზე ახლად შექმნილი საქციო სზოგადოებების აქციათა გამოშვება და ღირებულ საწყისებზე პირველადი განთავსების ორგანიზაცია, აგრეთვე სესხების პირველადი განთავსება გამოსყიდვის დასაფინანსებლად; საპრივატიზაციო ქონების ღირებულების დამოუკიდებელი შეფასება, იმ საწარმოების არჩევა, რომლებიც პრივატიზაციის ექვემდებარება. საპრივატიზაციო საწარმოების ფინანსური მდგომარეობისა და პერსპექტივების შეფასება და საფინანსო გაჯანსაღებისათვის ღონისძიებათა დასახვა, წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა პრივატიზაციის დაწყებამდე ან პრივატიზაციის პროცესში; ფიზიკური და იურიდიული პირების მოძებნა, რომლებიც წარმოადგენენ გადახდისუნარიან მოთხოვნას საპრივატიზაციო ქონებაზე, დამფუძნებელი დოკუმენტების და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მომზადება, მხარეთა წარმომადგენლობის განხორციელება, მოლაპარაკების ორგანიზება და განხორციელება, დოკუმენტური და პრივატიზაციასთან დაკავშირებული საინვარიშსწორებო ოპერაციების შემოღება; ვაჭრობის ორგანიზაცია, მარკეტინგის და რეკლამის განხორციელება პრივატიზაციის პროცესში, საპრივატიზაციო ქონების შესახებ მონაწილეთა სრული კომერციული ინფორმაციით უზრუნველყოფა; დამოუკიდებელი არბიტრაჟის სახით სადავო საკითხების რეგულირება; საპრივატიზაციო საწარმოებისათვის კადრების შერჩევა და მეცადინეობათა დავალებით მათ საქმიანობაზე შემდგომი კონტროლი და სხვა.

ბანკების და სხვა იურიდიული პირების ერთობლივი საქმიანობა (მათ შორის დამფუძნებლური ოპერაციები). აღნიშნული საქმიანობა მოიცავს საბანკო ოპერაციების რამდენიმე სახეობას. მრავალი კომერციული ბანკი შეიქმნა, როგორც მსხვილი საორგანიზაციო სტრუქტურის ბანკი, რომელიც ემსახურება საფინანსო რესურსების განაწილებას. 1990 წლის დასაწყისში ასეთი ბანკები რეგისტრირებული კომერციული ბანკების 25 % მეტს შეადგენდნენ. ამასთან, რიგი დამოუკიდებელი კომერციული ბანკი სტრატეგიის ელემენტი გახდა.

რამდენიმე მსხვილ საორგანიზაციო სტრუქტურაში შესვლისკენ სწრაფვა, მათ შორის უპირატესად გამოარჩევენ ამ სტრუქტურებს, რომლებიც საბოუჯეტო დაფინანსების მნიშვნელოვან მოცულობებს, მწვავე დეფიციტურ პრობლემას, მოხმარების საგნების ბაზარზე საექსპორტო რესურსებს, სავალუტო ამონაგებს და სხვას განაგებენ. უმეტესად ეს იყო სამხედრო სამრეწველო კომპლექსის დარგები. ასეთი სტრატეგია მოწოდებულია უზრუნველყოს ბანკების ფინანსური მდგრადობა, ბრუნვადობის გარანტირებული ზრდა, რისკების დაზღვისიფიკაცია, საქმიანობის უნაკერსალური და მრავალდარგობრივი ხასიათი.

მსხვილ ორგანიზაციულ სტრუქტურაში ბანკის გამოყენების ვარიანტებია: ა) საკრედიტო-საანგარიშსწორებო ცენტრი; ბ) ჰოლდინგური სტრუქტურის ცენტრი, რომელიც ფლობს მასში შემავალი საწარმოების საკონტროლო პაკეტს; გ) ბანკი თავის თავზე იღებს გარიგებების შიდა სამთავრობო ფუნქციების შესრულებას; დ) ბანკი ცენტრია საწარმოების ასოციაციას, უმსხვილესი კონტრაგენტების და ა.შ.

ზშირად, კომერციული ბანკი გამოდის, როგორც რამდენიმე ათეული პირის, ასევე მათი ასოციაციების დამფუძნებელი. ასეთი საქმიანობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბანკის სტრატეგიად, რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზით.

მრავალდარგობრივი საწარმოების დაფუძნება ბანკებს უფლებას აძლევს გვერდი აუარონ ამა თუ იმ საქმიანობის აკრძალვას, ამით მცირდება არასაბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული რისკი. იურიდიული პირის დაფუძნება აუცილებელია, როდესაც ბანკს ქვეგანყოფილებების საპროექტო სტრუქტურების ოპერაციების მოცულობები მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწევენ და აშკარა ხდება ქვეგანყოფილების მისწრაფება მოიპოვოს დამოუკიდებლობა. ბანკთან კავშირის გაწყვეტის გარეშე. ბანკის გარშემო მცოფნი, მასთან დაკავშირებული იურიდიული პირები, როგორც ბაზარზე მასი სტრატეგიის ელემენტები იწყვენ ბანკის მოგების ზრდას (მოგების ნაწილი ბანკს, როგორც დამფუძნებელს, გადაერიცხება), აგრეთვე რისკების შემცირებას და დაზღვისიფიკაციას (საწარმოები მრავალდარგობრივ ხასიათს ატარებენ). ამის გარდა, ასეთი ალტერნატიული სტრუქტურები ბანკის გარშემო ქმნიან საკრედიტო რესურსების მოზიდვის დამატებით არხებს.

ოპერაციების განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს კომერციული ბანკების მიერ ხელშეკრულების გაფორმება ერთობლივ საქმიანობაზე პროექტების რეალიზაციის და მონაწილეების შორის ღირებულების ეფექტის გაყოფისათვის. კომერციული ბანკი თავის თავზე იღებს დამფუძნებლის ფუნქციებს, ასევე სთავაზობს საორგანიზაციო-საშუამავლო და საკონსულტაციო ხასიათის მომსახურებებს, პროექტის თანხლები იდეის დაბადების სტადიიდან რეალიზაციის დამთავრებამდე და შემდგომ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე. ამ დარგში კომერციული ბანკების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა გახდა საინფორმაციო ფონდების შექმნა, რომლებიც თავს უყრიან ერთობლივი საქმიანობის ყველაზე უფრო საინტერესო წინადადებებს, ცხადია, აფასებენ კიდეც, რაც თავის მხრივ, მოითხოვს საექსპერტო საბჭოების შექმნას, პროექტების კონკურსის პროცედურების რეალიზების და ა.შ.

განხილული ოპერაციები რეგულირდებათ ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით, მისი შინაარსი სტანდარტულია.

თავდებობების გარანტიების და სხვა ვალდებულებების გაცემა მესამე პირის მაგიერ, რომლის შესრულება ფულად ფორმაშია გათვალისწინებული, რეგულირდება სამოქალაქო სამართლის შესაბამისი ნორმებით, დავალების და გარანტიების ხელშეკრულებების მიმართ. საბანკო თავდებობების წესი განსაზღვრულია რსფსრ-ს სამეურნეო ბრუნვაში თანასწორის გამოყენების შესახებ მოქმედი დებულებით. ბანკის აღნიშნული ოპერაციები, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, "რეგლამენტირდება" "სახელშეკრულებო გარანტიებზე უნიფიცირებული წესებით" (1978 წლის რედაქცია დამტკიცებულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ).

თავდებობას (გარანტიებს) ხელშეკრულებით თავიდან (გარანტი) ვალდებულია პასუხი აგოს სხვა პირის კრედიტორის (მოვალეს) წინაშე უკანასკნელის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე სრულად ან ნაწილობრივ.თავდებობის შემთხვევაში ბანკი პასუხისმგებელია მოქალაქის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, გარანტიის გაცემის შემთხვევაში თანხილული პირის მიერ. გარანტია ეს არის თავდებობის განსაკუთრებული სახეობა, რომლის გამოყენებაც ხდება ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების შემთხვევაში. ბანკ-თავდებს (გარანტს), რომელიც ასრულებს ვალდებულებებს, გადაეცემა ამ ვალდებულებებზე კრედიტორის ყველა უფლება.

საბანკო ოპერაციების სხვა სახეობანი, რომლებიც მოიცავენა "სხვა" კატეგორიებს. ბანკები საკუთარი ძალით ახორციელებენ სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებებს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ჩვეულებრივ, ბანკები გამოდიან ბაზარზე შემდეგი წინადადებებით: ა) საბანკო საპროგრამო უზრუნველყოფით, რომლებიც საკუთარი სტრუქტურული ქვეგანყოფილებების მიერ ან მათი შეკვეთით არიან დამუშავებული; ბ) მეთოდური და საორგანიზაციო დოკუმენტები სხვადასხვა საკუთრების ფორმის საწარმოების ჩამოყალიბების და საქმიანობის პროცედურის წესების შესახებ. ბანკებს, რომლებიც დიდი ხანია ახორციელებენ კაპიტალურ დაბანდებებს, შეუძლიათ მიიღონ შეკვეთები ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტების შედგენის მარტივი ობიექტების ტექნიკური გადაადარალების, კაპიტალური რემონტისა და ა.შ. მსგავსი ოპერაციების მაგალითები სამაგალო ბანკების საქმიანობაში ცნობილია 1910 წლის დასაწყისიდან.

საინფორმაციო-საცნობარო მომსახურებების ნომენკლატურა ფართოა. მათ შემადგენლობაში შეიღა: ა) საანგარიშსწორებო და სხვა დოკუმენტების ასლების წარდგენა; ბ) თანხების მოძებნაში დახმარების გაწევა; გ) ბანკის არქივში ცნობების შეკრება; დ) კლიენტების შესახებ საცნობარო, არაკონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდება; ე) საინფორმაციო, საშუამავლო მომსახურებები, სხვადასხვა გარიგებების მონაწილე კადრების შესარჩევად, ლიზინგური ოპერაციების ჩასატარებლად მონაცემთა ბანკის შექმნა.

საინფორმაციო-ანალიზური მომსახურებები შეიცავს: ა) სამეურნეო საქმიანობის და მისი ცალკეული მხარეების ანალიზს; ბ) პროექტების და გადაწყვეტილებების სამეცნიერო- ტექნიკური და ეკონომიკური ექსპერტიზის განხორციელებას; გ) შიდა რეზერვების გამოსაძებნად დახმარების გაწევას; დ) საანგარიშსწორებო მონაცემების სიზუსტის საკონტროლო გაზომვებსა და საიმედოობას; ე) კონტრაქტების ეკონომიკური ანალიზი, ფასების და სხვა პირობების დადგენის სისწორე. ცალკეულმა ბანკებმა პატენტო ანალიზის ჩატარების სურვილიც კი გამოთქვეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს საკონსულტაციო სამართლებრივ მომსახურებას, მათ შორის სამეურნეო კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე, საწარმოებში საკრედიტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების ორგანიზაციის, საბუღალტრო აღრიცხვის და საფინანსო-

ეკონომიკური სამუშაოების შესახებ. კონსულტაციებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები შეიძლება კომპლექსურად მოიცავდეს კლიენტების საქმიანობას, კლიენტების მიერ დადებულ დიდ გარიგებებს, ან საცოცხლისუნარიანობის მთელ ციკლს მაგ., (საგარეო ეკონომიკურის).

ცნობილია კლიენტების სხვადასხვა სერვისული მომსახურებანი, რომლებიც დაკავშირებულია ნაღდი ფულის ტექნიკური ციკლის ცალკეულ ოპერაციებთან (ფულის ხელახალი გადათვლა, ხელფასის გასაცემად ფულის, მათ შორის ხურდა ფულის წინასწარი მომზადება, ნაღდი ფულით ოპერაციების ჩასატარებლად ტექნიკური საშუალებების ჯრენდით გაცემა, დაზიანებული ფულის გამოცვლა და ა.შ.).

საქველმოქმედო საქმიანობა და კულტურული, სამეცნიერო, სპორტული და ა.შ. პროგრამების სპონსორობის გაწევა. ცნობილია შემთხვევები, როცა ბანკი ფინანსურად ეხმარება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს. თანდათან ხდება ბანკის კუთვნილი სახსრების დაბანდება ისეთ მატერიალურ აქტივებში, როგორიცაა ხელოვნების ხმოშენები. ასეთი საქმიანობის არეკლამა და საფინანსო შელეგი შეიძლება იყოს ძალიან დიდი, განსაკუთრებით ინფლაციის პირობებში.

3. კომერციული ბანკების ფაქტორინგული ოპერაციები

ფაქტორინგის არსი და უპირატესობები. ფაქტორინგი (ინგლ. აგენტი, შუამავალი) წარმოადგენს საჭირო საკომისიო ოპერაციების ნაირსახეობას, რომელიც კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან არის შეზომებული. ფაქტორინგი თავისი ნებისმიერი ფორმით დაკავშირებულია გაუნაღდებელ საანგარიშსწორებო დოკუმენტებთან, რომლებიც წარმოიშვება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის საქონლის რეალიზაციისა და მომსახურების პროცესში, ანუ კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებით.

ფაქტორინგული ოპერაციების საფუძველს წარმოადგენს ბანკის მიერ მიმწოდებლის ანგარიშ-ფაქტურების ყიდვა გადატვირთულ საქონელზე და მიმწოდებლის მიერ ბანკისათვის პროდუქციის მყიდველისაგან გადახდის მოთხოვნის უფლების გადაცემა. ამიტომ, ფაქტორინგულ ოპერაციებს ასევე უწოდებენ მიმწოდებლის გაყიდვების კრედიტების ან მიმწოდებლისათვის ფაქტორინგული კრედიტის გაცემას.

თავდაპირველად ფაქტორინგი წარმოიშვა, როგორც სპეციალიზებული სავაჭრო შუამავლების ოპერაცია, მოგვიანებით კი, როგორც სავაჭრო ბანკების ოპერაცია; ფაქტორინგული ოპერაცია ცნობილი იყო ჯერ კიდევ მე-16 - მე-18 საუკუნეებში. მხოლოდ ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში ფაქტორინგულმა ოპერაციებმა თანამედროვე ფორმის კომერციული კრედიტი შეცვალეს და პროდუქციის რეალიზაციის მომსახურებისათვის მისი ფართოდ გამოყენება დაიწყეს. ეს გამოწვეული იყო ინფლაციური პროცესის გაძლიერებით და რიგი ქვეყნების ეკონომიკის არამდგრადობით. ასეთი ვითარება მოითხოვდა პროდუქტების უფრო სწრაფ რეალიზაციას, ე.ი. კაპიტალის ფულადი ფორმიდან სასაქონლო ფორმაში გადაყვანას. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფართოდ გამოყენებული ანგარიშსწორების საერთაშორისო ფორმა ყოველთვის არ იძლეოდა სახსრების დროულად მიღების გარანტიას და პროდუქციის წარმოებისათვის გაწეული დანახარჯების ანაზღაურების საშუალებას. ამიტომ, მიმწოდებლისათვის დებიტორული დავალიანების პრობლემამ უპირველესი მნიშვნელობა შეიძინა.

თამასუქის მფლობელ ფირმას, თამასუქის მიხელათ ვადაზე გადაუხდელობის შემთხვევაში უფლება აქვს კუთვნილი თანხა სასამართლოს წესით ამოიღოს; ვინაიდან სასამართლო ხარჯები ძალზე მაღალია, ფირმები იძულებულნი არიან რამოწერონ ვალები ე.ი. აზარალონ. ამის გარდა, ფირმები მიისწრაფვიან "არ გაიჭანონ ნაგავი ქოხიდან" და არ მიმართავენ სასამართლოს. შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის გზების ძიების პროცესში, ფირმებმა დახმარებისათვის ბანკებს, ან საბანკო პოლიტიკაში შემავალ სპეციალიზებულ კომპანიებს მიმართეს, რომლებიც თამასუქების და სხვა სასაქონლო საბუთების გადახდის საკითხებს არეგულირებენ, რის შედეგადაც წარმოიშვა მჭიდრო კავშირი სამრეწველო ფირმების განყოფილებებს შორის, რომლებიც კომერციული კრედიტის მოძრაობას მარეგულირებენ და ბანკებს შორის, რომლებიც კლიენტების კონსულტანტებს არეგულირებენ. ბანკები მათთან მჭიდრო კავშირში მყოფ კორპორაციებს და ფირმებს გადასცემენ მონაცემებს მათი კონტრაგენტების კრედიტუნარიანობის შესახებ, ხელს უწყობენ ანგარიშების ვადიანი გადახდის, აძლევენ ვალების ამოღების გარანტიას, აწარმოებენ კლიენტებზე დაწოლას, რათა "ბანკის მეგობარ ფირმასთან "დავას წარმოქმნის შემთხვევაში, შეახერხონ მათი მოთხოვნები. ფაქტორინგი ან ფაქტორული კრედიტი კომერციული კრედიტის ხელშეწყობის საშუალებად იქცა და დიდი განვითარება ჰპოვა უკანასკნელ ორ ათწლეულში. საქონლის მყიდველისათვის, ფაქტორინგული კრედიტის განსხვავება კომერციული კრედიტისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ის გაყიდულ საქონელზე გადახახდ ნაღდი ფულით იღებს, ხოლო კომერციული კრედიტით გაყიდვისას, მხოლოდ თამასუქის სახით. მიღებული თამასუქი მომწოდებელმა შეიძლება აღრიცხოს ბანკში და მიიღოს ნაღდი ფული, მაგრამ ნაკლები თანხით, ვიდრე ანგარიშ-ფაქტურის გაყიდვისას. მყიდველისათვის კომერციული კრედიტის დროს საქონლის შეძენა ვალით, თითქმის, არ განსხვავდება ფაქტორინგული კრედიტისაგან, ორივე შემთხვევაში მყიდველი ვალდებულებას იღებს დაუბრუნოს ვალი განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ კომერციული კრედიტისას - თამასუქის მფლობელს, და ფაქტორული კრედიტისას ფაქტორკომპანიას. თუმცა ფაქტორულ დაკრედიტებას მყიდველიც უპირატესობას ანიჭებს. ის შესაძლებლობას იღებს დაიბრუნოს ვალი უფრო ხანგრძლივი დროის შემდეგ. ასევე ნებადართულია ვალის ნაწილობრივი გადახდა, რაც სტიმულს აძლევს საქონლის ყიდვას ფაქტორული განყოფილების მეშვეობით. კომერციული ბანკები ფაქტორული კრედიტის განვითარებისას იძენენ დამატებით შესაძლებლობებს გაფართოონ ოავიანთი ოპერაციები, გაზარდონ მოგების მოცულობა და გაიძლიერონ კლიენტთან კავშირი.

არსებობს ფაქტორინგის ორი სახეობა: კონვენციური (ღია) და კონფიდენციალური (ფარული). კონვენციური ფაქტორინგის დროს მომწოდებელი მიუთითებს თავის ანგარიშზე, რომ მოთხოვნა მიეყიდა ფაქტორ-ფირმას. კონვენციური ფაქტორინგის დროს არც ერთი მომწოდებლის კონტრაგენტი არ არის გათვითცნობიერებული ფაქტორ-კომპანიის მიერ მათი გასაყიდი საქონლის დაკრედიტებაზე. ამიტომ ფაქტორინგის კონფიდენციალური ოპერაციების ღირებულება უფრო მაღალი, ვიდრე კონვენციურისა და სხვა ბანკო კრედიტებზე უფრო ძვირია. ფაქტორინგულმა ოპერაციებმა ფართო განვითარება ჰპოვეს პროდუქციის ექსპორტის დროს. საექსპორტო ფაქტორინგის დროს კლიენტი სარგებლობს 100 % გარანტიით თავისი ანგარიშებით ყველა გადასახდელის მიღებაზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფაქტორინგულ ოპერაციებს აწარმოებენ სპეციალიზებული ფაქტორ-კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ მათ ქალიშვილ ფილიალებს.

კლასიკური ფაქტორინგი, იმ სახით როგორც ის ხორციელდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ეფუძნება კომერციული კრედიტის გადახდის გადავადების (30-დან 90 დღემდე)

მოწოდებულ პროდუქციაზე ან საკრედიტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობის ისეთი ფორმის გამოყენების (გამყიდველსა და მყიდველს შორის), როგორიცაა ღია ანგარიში. ამ შემთხვევაში მომწოდებელი გადაუტვირთავს მყიდველს პროდუქციას მას მისამართზე სახაქონლო-განმკარგულებელი დოკუმენტების გაგზავნით, ხოლო ვალის თანხებს მიაკუთვნებს მის მიერ მყიდველის სახელზე გახსნილი ღია ანგარიშის დებეტს. ღია ანგარიშით მყიდველი იხდის თავის დავალიანებას. მომწოდებლის მიერ მყიდველისათვის ღია ანგარიშით კრედიტის გაცემა და ღია ანგარიშის ფორმით ანგარიშსწორება დაკავშირებულია გადაუხდელობის რისკთან ან პროდუქციის ღირებულების დაგვიანებით გადახდასთან, რადგან მყიდველი, სასაქონლო დოკუმენტების მიღებისას არ აძლევს მომწოდებელს სავალო ვალდებულებებს. ასეთ პირობებში კონტრაგენტებს შორის ურთიერთობა სარისკო ერთი ან ორივე მხარისათვის. რისკს თავის თავზე იღებს ფაქტორინგული კომპანია. ფაქტორინგული მომსახურება ხელს უწყობს ვალების დროულ ინკასირებას და გადახდის ვადის გადაცილების დანაკარგების მინიმალიზაციას, აღკვეთს საეჭვო ვალების წარმოქმნას, უზრუნველყოფს საწარმოების დახმარებას კრედიტის მართვაში. საწარმოო საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის ქმნის საუკეთესო პირობებს, რაც მეწარმეების ბრუნვისა და მომგებიანობის გაზრდის საშუალებას აძლევს. ფაქტორინგული კომპანია გადაუხდელი მოთხოვნის მესაკუთრე ხდება და თავის თავზე იღებს მათ გადაუხდელობის რისკს. მომწოდებელი, იღებს რა ფაქტურ ფირმიდან გადასახდელებს, დაღებულ ვადაში შეუძლია დაგეგმოს ანგარიშსწორება თავის კრედიტორებთან, ამ უკანასკნელისაგან იღებს შეღავათს, განსაზღვრულ ვადაში ანგარიშის გადახდისას. შეღავათი (ან "სკონტო"), ანგარიშის მიხედვით დაუყოვნებლივ (5-10 დღის განმავლობაში) გადახდაზე, დასავლეთის ძრავალ ქვეყანაში 3 %-ს შეადგენს.

ამრიგად, ფაქტორინგის გამოყენება აჩქარებს გადასახდელების მიღებას, გარანტიას იძლევა დავალიანების გადახდაზე, ამცირებს ანგარიშის წარმოების. ხარჯებს და მომწოდებლისათვის გადახდების დროულ შემოსვლას უზრუნველყოფს, მყიდველის დროებითი გაჭირვების შემთხვევაში. თანამედროვე პირობებში ფაქტორინგული მომსახურების სისტემა მოიცავს კლიენტების სხვადასხვაგვარ მომსახურებას, კერძოდ, საბუღალტრო, საინფორმაციო, სარეკლამო, გასაღების, თერიღიული და სხვა მომსახურებები. ფაქტორინგული კომპანიის კლიენტებს შეუძლიათ უარი თქვან მოხელეების შტატის შენარჩუნებაზე, რომლებიც იგივე ფუნქციებს ასრულებენ, რასაც ფაქტორკომპანია. ეს იწვევს სახსრების განსაზღვრულ ეკონომიას, რაც დაკრედიტებისაგან სარგებელთან შეთანაწყობით მომსახურების საკმაოდ მაღალი ღირებულების კომპენსაციას ახდენს.

სხვადასხვაგვარ ქვეყნების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ფაქტორინგის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, ასევე, ახლად შექმნილებისათვის, რომლებსაც წარმოების მოცულობის ზრდის პერსპექტივა აქვთ და რომლებიც განიცდიან ფულადი სახსრების უკმარისობას, დებიტორებისაგან გადასახადების დროულად გადაუხდელობის და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული ჭარბი სასაქონლო მარაგებისა და სიძვირეების გამო.

ფაქტორინგი ხელს უწყობს ანგარიშებზე სახსრების ბრუნვადობის დაჩქარებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საწარმოებისათვის ფინანსურ ურთიერთობებში ფაქტორინგული კრედიტი მსესხებლისათვის ახალ პასიებს ქმნის და აქედან გამომდინარე, გავლენას არ ახდენს მის კრედიტუნარიანობაზე.

ჩვენი ქვეყნის კომერციული ბანკების მიერ ფაქტორინგული მომსახურების ორგანიზაცია. ფაქტორინგი კომერციული ბანკისათვის მომსახურების ახალ, არატრადიციულ სახეობას წარმოადგენს, რომელიც თანდათან იწყებს ბანკის კლიენტების აღიარების მოპოვებას.

ფაქტორინგული ოპერაციები უნდა განხორციელდეს სპეციალურად შექმნილი განყოფილებების მიერ, და არა დიდ ბანკებში გარკვეული ჯგუფებით. რეკომენდებული არაა ფაქტორინგული ოპერაციების ჩატარება საოპერაციო განყოფილებების თანამშრომლების მიერ, შეთავსების პირობებით, ასევე ერთჯერადი ოპერაციების ჩატარება მუდმივი ხელშეკრულების დადების გარეშე. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ფაქტორინგული მომსახურებები შეიცავს არა მარტო მიმწოდებლის კრედიტებას, არამედ მის ფინანსურ მდგომარეობაზე და გადამხდელების კრედიტუნარიანობაზე თვალყურის დევნებას და კონტროლს.

ფაქტორინგული განყოფილებებისათვის აუცილებელი რესურსების ფორმირება შეიძლება მოხდეს საკუთარი და სასესხო სახსრების ხარჯზე. მათ შორის თანაფარდობის დადგენა ხდება ბანკის გამგეობის მიერ, შემდგომი ზრდა კი ჩატარებული ოპერაციებიდან მიღებული მოგების ხარჯზე ხორციელდება. სასესხო სახსრების ფორმირება საწარმოების, სხვა ბანკების დეპოზიტების და ბანკის საკუთარი კრედიტების მოზიდვის გზით ხდება.

კლიენტების ფაქტორინგული მომსახურება სახელშეკრულებო საწყისებზე ხორციელდება. ხელშეკრულების დადებამდე ფაქტორინგული განყოფილება ანალიზს უკეთებს მიმწოდებლის კრედიტუნარიანობას, აგროვებს და სწავლობს ინფორმაციას მისი შევალების ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მიმწოდებელი, ფაქტორინგული ოპერაციების რისკის შესამცირებლად, ფაქტორინგული განყოფილების პოზიციიდან, შემდეგ მოთხოვნებს უნდა უპასუხებდეს: აწარმოოს პროდუქცია და მომსახურებები, რომლებიც მოთხოვნილებით სარგებლობენ და საუკეთესო ხარისხისა არიან; წარმოების ზრდის მაღალი ტემპები ჰქონდეთ; წარმოებული პროდუქციის გაყიდვისას მტკიცედ დაიცვან პირობები გამოიყენონ. რეკომენდირებული არაა ფაქტორინგული ოპერაციების ჩატარება: საბიუჯეტო ორგანიზაციების მოთხოვნების წარდგენით, კერძო პირების სავალო კალდებულებებით, საწარმოების კალდებულებებით, რომლებიც არ სარგებლობენ საბანკო კრედიტით ან გადახდისუუნარონ არიან გამოცხადებული, საწარმოების ფილიალების კალდებულებით, საკომპენსაციო და საბარტერო გარიგებების დროს, საშუალო ღირებულების ეტაპობრივად ან ავანსით გადახდის შემთხვევაში. გაყიდვის შესახებ ხელშეკრულებით, რაც საც მყიდველს უფლება აქვს დაბრუნოს პროდუქცია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ასევე გაყიდვის შემდეგ მომსახურების პირობებით.

ფაქტორინგულმა განყოფილებამ ასევე უნდა შეისწავლოს ინფორმაცია მიმწოდებლის სავალო მოთხოვნილებების ხარისხზე. ამ მიზნით ხდება ანალიზი: აქცეპტზე უარის (მიზეზი, სიხშირე, სარეალიზაციო პროდუქციის თანხა სრულ მოცულობაში); მოთხოვნების წესის, რომელთა დათმობა არ შეიძლება ფაქტორული განყოფილებისათვის; რეალიზაციის მოცულობაში სეზონური ცვლილებების; ღირებულების, რომელთა საფუძველზეც გამოიწერება მოთხოვნები. ფაქტორინგული განყოფილებისათვის ყველაზე სარისკო მოთხოვნები, რომლებსაც წაუყენებენ ფაქტიური გადმოტვირთვის წინ. ამიტომ, ფაქტორული განყოფილება მკაცრად უნდა აღეკვნებდეს თვალს მოთხოვნების გამოწერის პროდუქციის გადატვირთვის ან მომსახურების გაწევის შემდეგ.

ფაქტორინგულ მომსახურებაზე ხელშეკრულების დადებისათვის მიმწოდებელმა ფაქტორულ განყოფილებას უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია დასათმობ საგადასახადო მოთხოვნებზე:

ყოველი გადამხდელის დასახელება, მისამართი და მისთვის საქონლის გაყიდვის პირობები; ყველა დასათმობი მოთხოვნების საგეგმო თანხა; ყოველი გადამხდელისათვის უკვე არსებული ვალის ოდენობა და მონაცემები მისი ანგარიშების შეთანხმების შესახებ. სხვა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მყიდველსა და მიმწოდებელს შორის ანგარიშების მდგომარეობის

შესაფასებლად, მიმოწერა ანგარიშსწორების შესახებ; ვალის ამოსაღებად აღრე მიღებული ზომები და ა.შ.

ამ ინფორმაციის ანალიზის შემდეგ ფაქტორინგული განყოფილება უგზავნის გადამხდელებს სპეციალურ წერილს, რომლითაც მათ აცნობებს მიმწოდებელთან ფაქტორინგული ხელშეკრულების დადების შესახებ ან სთხოვს მიმწოდებელს გააკეთოს ასეთი შეტყობინება, თუ ხელშეკრულება სრულ მომსახურებას არ ითვალისწინებს.

ფაქტორინგულ მომსახურებაზე, ფაქტორინგით შესრულებული მომსახურების მოცულობის მიხედვით, შეიძლება დაიდოს ორი სახის ფაქტორინგული ხელშეკრულება: 1. ხელშეკრულება სრულ მომსახურებაზე; 2. ხელშეკრულება მოთხოვნის წინასწარ გადახდაზე.

ფაქტორინგული განყოფილების და მიმწოდებლის ხელშეკრულებაში ჩაწერებია მყიდველები, რომელთა მოთხოვნები დათმობილი იქნებიან; დათმობილი მოთხოვნების საკონტროლო თანხა; ავანსის ზღვრული თანხა (ჩვეულებრივანგარიშის თანხის არა უმეტეს 80 %-სა); კრედიტზე საპროცენტო განაკვეთი; საკომისიო მოსაკრებლის პროცენტი, ანგარიშ-ფაქტურის დამუშავებისათვის; საკომისიო მოსაკრებლის მინიმალური თანხა, თუ მოთხოვნები ნაკლებ თანხაზე შემოვიდა; მიმწოდებლის მიერ მიღებული დამატებითი მომსახურების ხარჯებანი; ფაქტორინგულ ოპერაციებზე ზღვრული თანხები; რეგრესის უფლება, ფაქტორული განყოფილების მიმართ პრეტენზიების განცხადების ვადები; ხელშეკრულების პირობების დარღვევაზე მხარეების პასუხისმგებლობა; მყიდველისათვის გადახდის ზღვრული თანხა; ფაქტორული გარიგების დასრულების წესი; ხელშეკრულების დარღვევის პირობები; ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ მიმწოდებელს არა აქვს უფლება გაფორმოს ხელშეკრულება სხვა ბანკის ფაქტორულ განყოფილებასთან, მოცემული ფაქტორული განყოფილებასთან შეუთანხმებლად. რადგან ჩვენს ქვეყანაში გამოიყენება მხოლოდ კონფიდენციური ფაქტორინგი, ამიტომ ფაქტორინგულ მომსახურებაზე ხელშეკრულების დადებისას დებიტორს უნდა შეატყობინოს ფაქტორინგული განყოფილების მიერ განხორციელებულ ანგარიშსწორებებზე. ხელშეკრულებამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს მიმწოდებლის მიმართ რეგრესის უფლება. მოცემული პირობა დაკავშირებულია რისკებთან, რომლებიც წარმოიშვება გადამხდელის მიერ თავისი კალდებულებების გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში.

რეგრესის უფლებით ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მიმწოდებელი ეწევა რისკს საგადასახადო მოთხოვნებით, რომლებიც ფაქტორინგულ განყოფილებას მიაყიდეს. ფაქტორ-განყოფილებას შეუძლია მიმწოდებელს დაუბრუნოს ნებისმიერი გადაუხდელი მოთხოვნა, გადამხდელის მიერ გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში. ხელშეკრულების დადება რეგრესის უფლების გარეშე მსოფლიო პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათად ხდება. იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო მოთხოვნების წარმოშობის შესაძლებლობა მინიმალურია.

რეგრესზე უფლების გარეშე შეთანხმების შემთხვევაში, ფაქტორ-განყოფილება თავის მიერ მოწონებული გადამხდელის მხრიდან გადაუხდელობის რისკს თავის თავზე იღებს. რისკის თანხა განისაზღვრება დათმობილი მოთხოვნილებების თანხით იმ პირობით, რომ მიმწოდებლის გადაუხდელობის მიზეზს სახსრების უქონლობა წარმოადგენს; გადამხდელისათვის არბიტრაჟის მეშვეობით, ვალის გადახდევინების ყველა ხარჯებს ფაქტორული განყოფილება ეწევა. იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნები სრულიად ან ნაწილობრივ აქცეპტირებული არაა, ფაქტორულ განყოფილებას მიმწოდებელთან რეგრესის უფლება არა აქვს, რაც დამატებით

აღინიშნება ხელშეკრულებაში. მაშინ მიმწოდებლის მიერ სახსრების ანაზღაურება საგაღასახადო დავალებით ხდება. აქცეპტზე შემდგომი უარის შემთხვევაში, უარის თანხა მიმწოდებლის მიერ მის ანაზღაურებამდე აღირიცხება № 904 ანგარიშზე "სხვა დებიტორები და კრედიტორები" ანალიზურ აღრიცხვაში მიმწოდებლების მიხედვით პირადი ანგარიშების გახსნით.

ხელშეკრულება სრულ ფაქტორულ მომსახურებაზე ჩვეულებრივ დაიდება მომწოდებელსა და ფაქტორულ განყოფილებას შორის მუდმივი და ხანგრძლივი კონტრაქტების დროს. ის ითვალისწინებს, მიმწოდებლის მიერ გადამხდელების ყველა ვალების გადახდის დათმობას; რეგრესის უფლების გარეშე; ხელშეკრულების ვადებისას დებიტორული აღრიცხვის შემოღებას და კრედიტის მართვას; ფულადი სახსრების გარანტირებული დინების უზრუნველყოფას. ამ უკანასკნელის უზრუნველყოფა ხდება მხოლოდ რეგრესის უფლების გარეშე ხელშეკრულების დადებისას. მიმწოდებლის სურვილისამებრ შეიძლება განხორციელდეს მოთხოვნების წინასწარი გადახდა. რადგან უმეტესი საწარმოების ძირითად მიზანს, რომლებიც ფაქტორინგული განყოფილების მომსახურებით სარგებლობენ, წარმოადგენს მხოლოდ დამატებითი სახსრების მიღება, ამიტომ ხშირად ფორმდება ხელშეკრულება მოთხოვნების წინასწარ გადახდაზე.

ამ შემთხვევაში ფაქტორინგული განყოფილება დუყოვნებლივ უხდის მომწოდებელს მოთხოვნის მთელ თანხას ან ნაწილს (ჩვეულებრივ არა უმეტეს 80 %), გადმოტვირთულ საქონელზე, გაწეულ მომსახურეობებზე და შესრულებულ სამუშაოზე. დარჩენილი 20 % მიწოდების ღირებულების საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით გადაერიცხება მიმწოდებელს განყოფილების მიერ დებიტორისაგან, გადასახადის მაღების შემდეგ ან ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში. დებიტორისაგან შემოსული გადასახადები, მათ შორის ვადაგადაცილების სურავი ფაქტორინგული განყოფილების ანგარიშზე ჩაირიცხება. ფაქტორული განყოფილებისათვის ხელსაყრელი არაა მოთხოვნების მთელი თანხის წინასწარი გადახდა შემდეგი მიზეზებით: ჯერ ერთი, მიმწოდებლისაგან სახსრების ამოღების ფორმების აუცილებლობა წარმოიშვება აქცეპტზე უარის შემთხვევაში, ასევე ანგარიშებში სადავო მომენტების და შეცდომების გამოვლინების შემთხვევაში. მეორე, მომწოდებლის მიერ საქმიანობის შეწყვეტის ან ფაქტორინგული ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში განყოფილებებს არ გაჩნიათ წინასწარ გადახდილი თანხების სხვა სადაზღვევო დაფარვა, გარდა საგადასახადო მოთხოვნებისა. შესაბამისად, გადაუხდელი ნაშთი ადრე გადახდილი თანხების კომპენსაციისათვისაც მიზანშეწონილია. ამის გარდა იმ თანხებიდან, რომლებიც მიმწოდებელს წინასწარი გადახდის სახით უნდა გადაერიცხოს. ფაქტორინგული განყოფილება იკავებს შემდეგ თანხებს:

თითოეული გადამხდელის ანგარიშების თანხებს მისთვის დადგენილი ზღვრული თანხების გადაჭარბებისას. ცალკეულ შემთხვევებში ზღვრული თანხების დარღვევისას განყოფილება წინასწარ გადახდას წყვეტს, თუმცა, ხშირად ასეთ სიტუაციებში 50 %-მდე მცირდება წინასწარ გადასახდელი თანხები ან წარდგენილი მოთხოვნების საერთო თანხას გამოაკლდება მოთხოვნა დიდ თანხაზე; დასაფარავად მიმართული მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც წარმოიქმნა სადავო მომენტები.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში ფაქტორინგზე ზღვრული თანხების დადგენის სამ მომენტს იყენებენ:

თითოეული გადამხდელისათვის წესდება დაკრედიტების პერიოდულად გადასახდელი ლიმიტი. ამ შემთხვევაში ფაქტორინგული ხელშეკრულების შესაბამისად, გადამხდელის გადახდისუუნაროდ გამოცხადებისას მიმწოდებლისათვის ვალის დასაფარავად გადასახადები

ფაქტორინგულ განყოფილებაში მოხვდებიან მათ მიერ მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხების სრულ კომპენსაციამდე.

მიმწოდებელს ერთი თვის განმავლობაში, ერთი მყიდველისათვის გადატვირთვის ზღვრული ოდენობას უდგენენ. ასეთი ზომები მიმწოდებელს იცავს საეჭვო დებიტორული დავალიანების გამოვლენის რისკისაგან, კლიენტის ვალის თანხისაგან დამოუკიდებლად. შესაძლებელია ყოველკვირეული ლიმიტის დადგენა.

ცალკეულ გარიგებებზე დაზღვევის მეთოდი გამოიყენება, თუ მიმწოდებლის საწარმოო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია რიგი ცალკეული გარიგებების არსებობა მსხვილ თანხებზე. მოცემულ შემთხვევაში ზღვრულ თანხას წარმოადგენს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში საქონლის მიწოდებაზე შეკვეთის მთელი თანხა.

ფაქტორინგულ განყოფილებას მომწოდებლებმა უნდა შეატყობინონ ზღვრული თანხების დადგენის, მის მიერ ამორჩეულ მეთოდების შესახებ.

ფაქტორინგული განყოფილების საკომისიო გასამრჯელო ორი ელემენტისაგან შედგება:

1. გადასახადი მიღებულ კრედიტზე, მისი სიდიდე განისაზღვრება იმ პერიოდის მეშვეობით, რომელიც გასულია ფაქტორინგული განყოფილების მიერ გადასახადის მიღებასა და გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდას შორის, ფაქტორინგულ განყოფილებაში მიმწოდებლის ანგარიშზე არსებული დებიტორული ნაშთის საფუძველზე. ფაქტორულ კრედიტზე პროცენტი, ჩვეულებრივ 2-3 პუნქტით მეტია ანალოგიური ბრუნვის და კრედიტუნარიანობის კლიენტების მოკლევადიანი სესხების პროცენტზე. ეს აიხსნება ფაქტორინგული განყოფილების დამატებითი ხარჯების კომპენსირების აუცილებლობით.

2. მომსახურებაზე გადასახადი. იგი გამოიანგარიშება, როგორც ანგარიშფაქტურის თანხის პროცენტი. მისი სიდიდე დამოკიდებულია მიმწოდებლის სამრეწველო საქმიანობის მოცულობაზე, სტრუქტურაზე და მისი მყიდველების კრედიტუნარიანობაზე, ფაქტორული განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოს შრომატევადობის და რისკის შეფასებაზე. მისი სიდიდე დათმობილი ანგარიშების თანხის 0,5-დან 3 %-მდე ფარგლებში მერყეობს. რეგრესის უფლების არსებობისას 0,2 - 0,5 პუნქტით შეღავათი ეძლევათ. ხელშეკრულებაში მიმწოდებლის და ფაქტორინგული განყოფილების ვალდებულებების გათვალისწინებაც ხდება. ასე, მაგალითად, მომწოდებელი პასუხისმგებელია: დაიცვას საანგარიშსწორებო დოკუმენტების გაფორმებაზე წაყენებული მოთხოვნები; დაიცვას აქცეპტზე უარის შემთხვევაში წარმოქმნილი თანხების დათმობა და ასევე მიმწოდებლის თანხები, რომელიც შემოსულია ფაქტორინგულ მომსახურების ღირებულების გადასახდელად, მაგრამ ჩარიცხულია მიმწოდებლის ანგარიშზე. მან ასევე დროულად და სრულად უნდა დაარეგულიროს ყველა საკამათო მომენტი; განყოფილებას წარუდგინოს აუცილებელი დოკუმენტაცია საქონლის მიწოდებაზე ან მომსახურებაზე; მათ შორის, დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ გადატვირთვის შეკვეთის პირობებიხ (ვადაზე, ხარისხზე, რაოდენობაზე) მიხედვით; ინფორმაცია უნდა წარადგინოს გადამხდელზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მისი სამრეწველო საფინანსო მდგომარეობის გაუარესებას, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს განყოფილების ოპერაციის რისკიანობის ხარისხზე.

ფაქტორინგულ განყოფილებათა ვალდებულებები: 1) აწარმოოს ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული ოპერაციები; 2) მოახდინოს მიმწოდებლის და მიმღების ოპერაციების დაწვრილებითი აღრიცხვა; 3) რეგულარულად მოამზადოს ანგარიში მომწოდებლის პირადი ანგარიშის მდგომარეობაზე; 4) მოამზადოს ანგარიში საგადასახადო მოთხოვნების გადახდის

შესახებ, ყოველი გადამხდელისა და ვალის გაუხდის დანიშნის მიხედვით; განალიზის ცალკული გადამხდელების ჯგუფდაცილებული საგადასახადო მოთხოვნები, შეადგინოს იმ გადამხდელთა სია, რომელთა ანგარიშის თანხა უახლოვდება ან მეტია მათთვის დადგენილ ზღვრულ თანხაზე.

ანგარიშების შედგენის პერიოდულობა და თარიღები მომწოდებლის საწარმოო საქმიანობის სპეციფიკით განისაზღვრება. მათი შედგენა შეიძლება ყოველდღე ან თვის, რომელიმე ღღეს. ფაქტორინგული ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს: მხარეების ერთობლივი შეთანხმებით, მომწოდებლის ნებით, ფაქტორინგული განყოფილების სურვილით. ამის შესახებ მხარეები ერთმანეთს ატყობინებენ ხელშეკრულებით მითითებულ ვადებში. მომწოდებლის ფაქტიური ან შესაძლო გადახდისუნარიანობის შემთხვევაში;

პირველი ორი მიზეზით ხელშეკრულების ღარღვევისას, მომწოდებელს უნდა ჰქონდეს სახსრების ალტერნატიული წყარო და გამოსყიდის განყოფილებისათვის დათხობილი მოთხოვნები. ფაქტორული განყოფილება ტვირთებს გადამხდელებს, რომ ამ მომენტიდან გადახდები მომწოდებლის სახელგებლიდ ხორციელდეს. თუ მომწოდებელს ადრე დათხობილი ვადის მოთხოვნების შეძენა არ შეუძლია მაშინ განყოფილება ფაქტორინგული ხელშეკრულების მოქმედების ვადის შეწყვეტილ დარეგისტრირებაზე შეთანხმების პირობებს ამ პერიოდში ფაქტორული განყოფილება ავანსის პროცენტს მოთხოვნების წინასწარ გადახდაზე თანდათან შემცირებს, იმიტომ, რომ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის მომენტისე გადამხდელებისაგან მისაღები თანხა მინიმუმამდე დაიყვანოს. მომწოდებლის გადამხდელუუნარობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ფაქტორინგულ განყოფილებას წინასწარ გადახდილი თანხის კომპენსირება შეუძლია მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნების ანგარიშის ხარჯზე.

4. კლიენტების საკახო მომსახურება

კომერციული ბანკების ერთ-ერთ აუცილებელ ოპერაციას კლიენტების საკახო მომსახურება წარმოადგენს. კლიენტმა - ანგარიშსწორების წარმოება ითვალისწინებს ბანკის მონაწილეობას, როგორც ნაღდ, ისე უნაღდო ანგარიშსწორებაში. ყველა შესაძლო შესაძლებლობა ისინი სხვადასხვა ოპერაციებს წარმოადგენენ. უნაღდო ანგარიშსწორება ითვალისწინებს ბანკის კლიენტის დავალებით ფულადი ოპერაციების შესრულებას - მისი ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერას და მათ გადარიცხვას მიმღების ანგარიშზე - ასევე კლიენტის ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვას, ნაღდი ანგარიშსწორება კი - თვით კლიენტის მიერ ნაღდი ფულის გადახდა. ბანკის მონაწილეობა ასეთ ანგარიშსწორებაში შემოიფარგლება საგადასახადო სახსრების განაღდების ოპერაციებით (კლიენტის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერა და მისთვის შესაბამისი ნაღდი ფულის გაცემა) და კლიენტებისაგან მიღებული ნაღდი ფულის ანგარიშზე ჩარიცხვა.

კომერციული ბანკის ხელმისაწვდომი საშუალო ნაღდი ფულის და უნაღდო ანგარიშების ორგანული კავშირის პირობებში, კლიენტის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ბანკის სტრუქტურული ქვეგანყოფილებები ნაღდი ფულით ოპერაციების შესრულებას უზრუნველყოფენ.

კომერციული ბანკის ხაოპერაციო სალაროს მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს კლიენტების ფულადი ნიშნების მიღება-გაცემის და შესაფუთ უზრუნველყოფა. კომერციული ბანკის საქმიანობის რეგულირების პრაქტიკას შესაბამისად ხაოპერაციო სალაროში იტვირთება

ყველა ნაღდი ფულის ერთობლიობა, რომელიც ბანკში იმყოფება, რადგან ქვეყნის ცენტრალური ბანკის განსაკუთრებულ უფლების წარმოადგენს მიმოქცევაში ნაღდი ფულადი ერთეულების - საბანკნოტების და ლითონის მონეტების - გაშვება და ამოღება, ამიტომ კომერციული ბანკების საკახო ოპერაციები ხორციელდება ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, ისინი რეკომენდაციებს უწევენ საკახო ოპერაციების საერთო წესს, მათ შორის, გადაზიდვის წესს, ფულადი ნიშნების შენახვის, მათი გადახდისუნარიანობის განსაზღვრის, დაზიანებული ბილეთების და მონეტების შეცვლის წესს. ამასთან დაკავშირებით, შენობა, რომელშიც განლაგებულია კომერციული ბანკის ხაოპერაციო სალარო, ფულის საცავი, მოლარეების სამუშაო ადგილები უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამ შენობის დაცვა აუცილებლად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

ცენტრალური ბანკის განსაკუთრებული უფლება ნაღდი ფულის ემისიის განსახორციელებლად ითვალისწინებს მის მიერ კომერციული ბანკის საკახო მომსახურების ორგანიზაციას. რაც ხორციელდება ბანკის საანგარიშსწორებო ცენტრების ან მათი სალაროს ფილიალების მეშვეობით, რომლებიც არსებობენ სახელმწიფო საფუძველზე. საანგარიშსწორებო ცენტრები და მათი ფილიალები ამ ოპერაციების ჩატარებაზე გადასახადს არ იღებენ. ხელშეკრულება ითვალისწინებს:

საკრედიტო ბილეთების და მონეტების დამუშავების ფორმების და შენახვის ერთიან წესს, მიღების წესებს, ფულის გადატვირთვის, მიტანის ფორმას. კომერციულ ბანკს ფულის გატანა შეუძლია განახორციელოს როგორც საკუთარი ძალებით, ასევე სამეურვეო გაერთიანებებთან ხელშეკრულების შესაბამისად, სახბანკის ინკასატორების მეშვეობით. ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მხარეების პასუხისმგებლობა ფულის ზედმეტობის და დანაკლისის შემთხვევაში. ეს პასუხისმგებლობა დადგენილი წესის მიხედვით არის ჩამოყალიბებული.

ხელშეკრულებაში ასევე აღინიშნება კომერციული ბანკის ხაოპერაციო სალაროში ფულის ზღვრული ნაშთი. ის განისაზღვრება ნაღდი ფულის ბრუნვის მოცულობის გათვალისწინებით, ბანკის შეშაბის პირობებით, ასეთნაირად, რომ გამორიცხული იყოს კრძო და მნიშვნელოვანი გადახდება ხაოპერაციო სალაროს გამგრების ან ზემეტი ფულის გატანის თავლსაჩინოდ. ის როგორც წესი სალაროს რეზერვებზე მოთხოვნების გათვალისწინებით დადგინდება. ხაოპერაციო სალაროში ფულის ნაშთი, რომელიც დადგენილ ზღვრულ სიდიდეს აჭარბებს, ხაანგარიშსწორებო ცენტრის ხაბრენე სალაროში ჩაბარების ექვემდებარება. ამის გარდა, ზემეტი ნაღდი ფული შეიძლება ვალუტის სხვა კომერციულ ბანკს, რომელსაც ხაოპერაციო სალაროს გამგრება ესაჭიროება. დასკვნა, სალაროს ზღვრული ნაშთის გადაჭარბება, შრომის ანაზღაურებლად და სხვა ხარჯების განსახორციელებლად, სახსრების მიზიდვა გაქცის შემთხვევაში.

კომერციული ბანკის საკახო მომსახურების ჩატარება მის მიერ საანგარიშსწორებო ცენტრში საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნის ითვალისწინებს. ბანკის მიერ გაფორმებული საგადასახადო დავალების ხელშეკრულებაზე ფულის ან ფულად წყის მიღებისას, მათი ათვისება ჩამოწერება საკორესპონდენტო ანგარიშიდან, ხოლო ზემეტი თანხის ჩარიცხვისას, ამ ანგარიშზე ჩაირიცხება. ბანკების საკახო მომსახურების ორგანიზება საანგარიშსწორებო ცენტრის მიერ წესისწარა შეკრების პრინციპს ეყრდნობა. შემდეგში კვირეულის დადგომამდე 45 დღით ადრე კომერციული ბანკი ცნობა წარადგინოს სახელმწიფო ტიპიური ბანკის შესაბამის საანგარიშსწორებო ცენტრისათვის მომავალი შემთხვევის და ნაღდი ფულის გაცემის, ასევე გამგრების ხელშეკრულების ჩარიცხვის პროგნოზი მომავალი კვირეულისათვის. მონაცემები

გამოიყენება საანგარიშსწორებო ცენტრის საქმიანობის დაგეგმვისათვის, ნაღდი ფულის ემისიის მოთხოვნილების განსაზღვრისათვის, ინკასატორების შემოსავლის გრაფიკების დამუშავებისათვის.

პროგნოზის შედგენა ითვალისწინებს ფულის მიმოქცევის მარკეტინგული კვლევების ჩატარებას, რომლებიც მიმართულია ნაღდი ფულის მომავალი შემოსავლების და გაცემის მოცულობის დასადგენად, კლიენტების საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით და საბაზრო კონიუნქტურის მომავალი ცვლილებების შესაფასებლად. განაცხადი საოპერაციო სალაროს გამაგრებაზე იგზავნება ასეთი მოთხოვნის წარმოქმნამდე 5 დღით ადრე, ამასთან დაკავშირებით, სალაროს მეშვეობით ფულის ბრუნვის ოპერაციულ აღრიცხვასთან ერთად, კომერციულმა ბანკმა აუცილებლად უნდა მოაწესრიგოს შემდგომი შემოსავლების შეფასებასთან და ნაღდი ფულის გაცემასთან დაკავშირებული სამუშაოები, კლიენტების საპროგნოზო მოთხოვნების შესაბამისად.

ნაღდი ფულის ბრუნვის მოცულობაზე დამოკიდებულებით, ასევე ამონაგების კლიენტებთან მიტანის საშუალებით, ბანკში შეიძლება ორგანიზებული იქნას, როგორც ერთიანი სალაროები, რომლებიც განახორციელებენ მიღების ოპერაციების მთელ კომპლექსს, გადათვლას და ფულის გაცემას, ისე სპეციალიზებული-შემოსავლების, გასავლების ხელახალი დათვლის სალაროები.

შემოსავლის სალაროები კლიენტის წარმომადგენლისაგან ფულის მიღებას ახდენს მათი ცალობით ხელახალი გადათვლით. ამავე დროს, ბანკის ბუჰალტერია ატარებს ფულის მიღება-გაფორმების ოპერაციებს, რომლის შედეგადაც ჩაბარებული თანხა კლიენტის ანგარიშზე ჩაირიცხება. მოცემული სალაროები კლიენტებთან ფუნქციონირებენ სამუშაოდ გამოყოფილი დროის, საოპერაციო დღის განმავლობაში.

სალაროებს, რომლებიც ფულის მიღებას საოპერაციო დღის დამთავრების შემდეგ ახორციელებენ, საღამოს სალაროები ეწოდებათ. მათი ორგანიზება აფართოებს სალაროს მომსახურების შესაძლებლობებს, მეტად მოხერხებულია კლიენტებისათვის, თუმცა, მოითხოვს დამატებით დანახარჯებს: განსაკუთრებულ ფულის საცავებს, მოხელეების დამატებით შტატს (მოლარე), ხოლო საკონტროლო სალაროს აპარატის უქონლობისას, ბუჰალტერ-კონტროლიორი). საღამოს სალაროს მოლარე, გარდა უშუალოდ ფულის მიღებისა, საინკასატორო ფულიან ჩანთებსაც იღებს, ამასთან გათვალისწინებული არ არის მისი ცალობით გადათვლა. მოლარის ვალდებულებაში შედის გარე ატრიბუტების შემოწმება, რაც ადასტურებს ინკასატორების ბრიგადის მიერ ფულის მიტანის ოპერაციას ბანკში: ჩანთების გარე დაზიანების და სხვა დეფექტების არ არსებობა, პლომბის მთლიანობა, პლომბის ანაბეჭდების შესაბამისობა, ინკასატორების მიერ ჩაბარებული ჩანთების ნომრების შესაბამისობა და სხვა.

საინკასაციო ჩანთებით შემოსული ფულის გადათვლას ახორციელებენ გადასათვლელი სალაროს დამთვლელი ბრიგადის მოლარეები. მათ სამუშაოს შეადგენს ბრიგადის კონტროლიორის მიერ ყოველ მოლარეზე თითო ჩანთის გაცემა, მისი გახსნა კონტროლიორის თანდასწრებით, რომელიც იტოვებს, როგორც ჩანთას, ისე მის შიგა ჯიბეში მოთავსებულ თანმხლებ უწყისს, რომელიც გაფორმებულია კლიენტის მიერ. მის ანგარიშზე ჩაირიცხება სახსრები, რომლებიც საინკასატორო ჩანთაში ფაქტიურად არსებულ ნაღდ ფულს შეესაბამება. ეს ბანკის მოხელეებისაგან მოითხოვს მიღების პროცედურის, ჩანთების გახსნის და ნაღდი ფულის გადათვლის წესების მკაცრ დაცვას.

თავისი სტრუქტურით ბანკის მოლარეები წარმოადგენენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, რაც განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, ამ კატეგორიის მოხელეების შერჩევისას. მათი

სამუშაოზე მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს სალაროს მუშაობის მოქმედი წესების ცოდნა და მატერიალური პასუხისმგებლობის ხელშეკრულების გაფორმება. ბანკის მოხელეების მატერიალური პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვას ექვემდებარება ფულადი ნიშნების დამუშავების, ფორშირების და შეფუთვის წესი. ისინი საერთოა ქვეყნის საბანკო სისტემისათვის. მათი დაცვა სალაროს ოპერაციების დანახარჯების შემცირებისა და მათ ჩატარებაზე კონტროლის უზრუნველყოფის საწინდარია. ამ წესების თანახმად, მოლარეები ვალდებულნი არიან დაახარისხონ ფულადი ნიშნები მიმოქცევაში გამოსაყენებელ და ძველ ფულად ნიშნებად. ასეთი წესი არა მარტო უზრუნველყოფს მოლარეების მატერიალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვას, არამედ აადვილებს ბანკის გასავლის სალაროების მუშაობას კლიენტებისათვის ფულის გაცემა ხდება სავსე დასტებით და ყუთებით ზედდებულებში და ბანდეროლებში აღნიშნული თანხით. ამ დროს გამოვლენილი ფულის დანაკლისი ანაზღაურდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ.

ბანკის სალაროს გამგე, მთავარი ბუჰალტერი და ხელმძღვანელი თავიანთი თანამდებობით წარმოადგენენ მატერიალური პასუხისმგებლობის პირებს. მათ მოვალეობაში შედის ფულადი საცავის დაკეტვა სალაროს ოპერაციების დამთავრების შემდეგ და მისი გაღება მომდევნო სამუშაო დღის დასაწყისში. ცალკე საცავის არ არსებობისას, ნაღდი ფული ინახება სალაროს შენობაში. სამივე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ესწრებოდეს საცავში ფულის შენახვას და გამოტანას, ასევე უნდა შეამოწმონ (ზედნადებებზე იარლიყები, ბანდეროლებზე წარწერები, ხოლო არაფორმირებული ფულადი ნიშნები უნდა გადათვალონ) მოცემული აღრიცხვის ფულის რეალური ნაშთის შესაბამისობა. აღნიშნულ პირთაგან თითოეულს ფულის საცავის დასაკეტად ცალკე გასაღები და ბეჭედი აქვს. დასაშვებია საცავის დაკეტვა ორი გასაღებით, რომელთაგანაც პირველი სალაროს გამგეს აქვს, ხოლო მეორე - ბანკის მმართველს.

ფულადი ნიშნების დაცულობის პირობას წარმოადგენს სისტემური, არანაკლებ კვარტალში ერთხელ, რევიზია ითვალისწინებს ნაღდი ფულის სრულ გადათვლას.

კლიენტების სალაროს მომსახურების ორგანიზაციისათვის კომერციული ბანკი, რომელსაც სალარო არა აქვს, აფორმებს ხელშეკრულებას ბანკის სალაროს დაწესებულებებთან ან საანგარიშსწორებო ცენტრთან. ის ითვალისწინებს კლიენტისათვის ნაღდი ფულის გაცემის ფულადი ჩეკების საფუძველზე, რომელიც აქცეპტირებულია ბანკის უსალარო დაწესებულების მიერ. ჩეკის გაფორმება და მისი მიტანა ბანკის კურიერის მიერ ფულის გაცემის დღე ხდება.

ქვეყანაში შექმნილი საკასო მომსახურების სისტემის არსებით ნაკლს წარმოადგენს მისი დაბალი ოპერატიულობა, რომელიც გულისხმობს კლიენტის ბანკში გამოცხადებას, ასევე ოპერატიული დღის დამთავრებისას ნაღდი ფულის მიღების შესაძლებლობის არ არსებობა. მსოფლიო პრაქტიკაში ეს ხიბრელეები გადაილახება ბანკების მიერ ელექტრონული მომსახურების თანამედროვე გამოთვლელი და საოპერაციო ტექნიკის გამოყენებით.

ელექტრონული მომსახურების საბანკო სისტემის თანამედროვე მნიშვნელოვან და სწრაფად მზარდ კომპონენტს წარმოადგენს მოლარე ავტომატების გამოყენება, რომლებიც დაიდგმება ბანკის შენობის, როგორც შიგნით, ისე გარეთ, ასევე შენობისაგან მოშორებით, საცხოვრებელი მასივების რაიონებში, ცენტრებში, საწარმოებში. ისინი უზრუნველყოფენ ნაღდი ფულის მისაღებად ოპერაციების სადღეღამისო შესრულებას, რომლებიც ფორმირდება როგორც ანაბრების მიღება ნაღდი ფულით და ანგარიშიდან შესაბამისი თანხის მოხსნით, ასევე ფულის გადარიცხვით ერთი ანგარიშიდან მეორეზე. მოლარე ავტომატი წარმოადგენს რთულ ელექტრონულ-მექანიკურ მანქანას, რომლის საკვანძო ელემენტებია: პლასტმასის ბარათი, ანგარიშის მფლობელის

იდენტიფიკაციის სისტემა, ფულის მისაღები და ნაღდი ფულის გასაცემი მოწყობილობა. ასეთი ავტომატები მუშაობენ, როგორც ავტომატურად, ისე რეალური დროის რეჟიმში. ამ შემთხვევაში ავტომატი უშუალოდაა დაკავშირებული ბანკის ცენტრალურ კომპიუტერთან და უზრუნველყოფს ანგარიშზე ოპერაციების შესრულებას ნაღდი ფულის მიღებით ან გაცემით. კომერციული ბანკის მიერ ოპერაციების შესრულების ასეთი სისტემა კლიენტების საკასო მომსახურების უფრო მაღალ დონეზე გადასვლას უზრუნველყოფს.

ბანკის მიერ შესრულებული ოპერაციის შინაარსის შესაბამისად, საკასო მომსახურება წარმოადგენს იმეთ ტექნოლოგიურ პროცესს, რომელიც კლიენტებზე ნაღდი ფულის გაცემისას რაიმე შეზღუდვას გამორიცხავს. უფრო მეტიც, მათი მოთხოვნების შეუფერებელი დაკმაყოფილება ნაღდი ფულის მიღებაში წარმოადგენს კომერციული ბანკის ვალდებულებას. თუმცა, ასეთი შეზღუდვები წარმოიშვება ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორების შორის ეკონომიკური განსხვავების ძალით, რომლის მიზეზიცაა წარმოების დაცემა, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდა. ყოველივე ამან აიძულა საკანონმდებლო ორგანოები მაქსიმალური დამატებითი ზომები განმანაწილებლობითი ურთიერთობების რეგულირებისათვის.

კანონით ("1991 წლის საკავშირო ბიუჯეტის შესახებ") შემოღებულ იქნა ყველა საწარმოებისათვის სახსრების ხარჯვის წესი. წარმოების მოცულობის ზრდის ან შემცირების მიხედვით, რომელთა მოთხოვნები ბანკებმა კლიენტებისათვის უნდა გაითვალისწინონ. ამან განაპირობა რიგი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა კლიენტების საკასო მომსახურების ორგანიზაციაში. ჯერ ერთი, გასაცემი ნაღდი ფულის შემადგენლობაში გამოიყოფა შრომის ანაზღაურებლად და სხვა ხარჯებისათვის განკუთვნილი სახსრები, რომლებიც ახასიათებენ სახსრების გამოყენებას. მეორე, ამ მიზნისათვის გაცემული ნაღდი ფულის რაოდენობა იზღუდება წესით - მოხმარებისათვის მიმართული სახსრების ხიდიდის შესახებ. მესამე, წარმოიშვება აუცილებლობა შემოწმდეს კლიენტის მიერ მოხმარებისათვის მიმართული სახსრების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია.

კვარტალის ბოლო ანგარიში მოხმარებისათვის სახსრების გაცემა ხორციელდება წარმოების მოცულობის ფაქტიური ცვლილების შესაბამისად, რომლის მონაცემები კლიენტის მიერაა ნაჩვენები სპეციალურ ცნობაში. სახსრები მოხმარებისათვის, რომელიც საწარმოს მიერ დარიცხულია ნორმის ზევით, ბანკის მიერ არ გაიცემა.

წარმოებები, რომლებმაც დაუშვეს კვარტალის 2,5 თვის განმავლობაში, კვარტალის განმავლობაში გამოსაყენებელი სახსრების გამოყენება, გადაჭარბული იქნებიან სახსრების გამოყენების ყოველდღიურ კონტროლზე. ამ შემთხვევაში, მოთხოვნილი სახსრების მოცულობა უკვე გაიცემა წარმოების მოცულობის ზრდის ან შემცირების გათვალისწინებით ყოველი თვის, მონაცემების მიხედვით (წლის დასაწყისიდან ნამატი ჯამით).

კომერციული ბანკის მიერ, კლიენტისათვის მოხმარების სახსრების გამოყოფისას, ჩატარებული სამუშაო ასახავს ჩვენი ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას. იგი მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მძაფრი პრობლემების გადასაწყვეტად: წარმოების მოცულობის შემცირების შეჩერება, საქონლის გამოშვების ფიზიკური მოცულობის ზრდის რეგულირება, სამომხმარებლო ბაზარზე სასაქონლო და ფულად მასებს შორის გარღვევის აღკვეთა. თუმცა ეს ბანკისა და კლიენტის პარტნიორული ურთიერთობების ჩარჩოებს სცილდება და არსებითად იმ იძულებითი ზემოქმედების აღორძინებას ნიშნავს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბანკების ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის სისტემის პირობებში. ასეთი მეთოდები

გაუქმდა, საბაზრო რეგულირების მეთოდების განვითარების მიხედვით, რომლებიც საწარმოებს აიძულებს დაგროვების ფონდსა და განაწილების ფონდს შორის განაწილების პროპორციების ორგანიზებას.

5. სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება არის ფულადი სახსრების მიღების ოპერაციების განხორციელება, რომელიც ყველა სახეობის ბიუჯეტის შემოსავლებში შედის, მათი შენახვა და ბიუჯეტის ხარჯებში გათვალისწინებული ყველა მიზნისათვის გაცემა. შესრულების წესების თანახმად ბიუჯეტის ხარჯები შემოსული შემოსავლების საზღვრებში ხორციელდება.მსოფლიო პრაქტიკაში ასეთ ოპერაციებს მიუხედავად იმისა ნაღდი ფულით თუ ანგარიშებზე გადარიცხვის გზით ხორციელდება, ეწოდება საკასო ოპერაციები, ვადიანი ოპერაციებისაგან განსხვავებით, რომელთა მიხედვითაც განაღდება ხდება განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის საკასო შესრულება შესაძლებელია რუსეთის ცენტრალურ ბანკში. თუმცა თავისი სტატუსის შესაბამისად მათ არ შეუძლიათ განახორციელონ ოპერაციები ნაღდი ფულით და უნაღდო გადარიცხვებით, რომლებიც საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება. ამასთან დაკავშირებით ბიუჯეტის საკასო შესრულების ოპერაციებს ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს აკისრებს. ადგილობრივი ბიუჯეტების საკასო შესრულების ოპერაციები პრინციპულად არ განსხვავდებიან სამრეწველო სფეროს საწარმოების ანგარიშსწორების საკასო მომსახურებისაგან, კომერციული ბანკი ახორციელებს ბიუჯეტის ანგარიშებზე შემოსავლების ჩარიცხვის ოპერაციებს, შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშებზე მათ გადარიცხვას. ამ ანგარიშებს მიმდინარე ანგარიშები ეწოდება. ისინი გულისხმობენ გადარიცხული ფულის გაცემას შემოსავლების ფარგლებში (მკაცრ შესაბამისობაში ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულ თანხებთან და მიზნებთან,რომლებსაც საბიუჯეტო ორგანიზაცია ამტკიცებს).

რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულებისას შემოსავლების მობილიზაციისა და ბიუჯეტის გასავლების განხორციელების ოპერაციები ცალ-ცალკე სრულდება. ამისათვის გაიხსნება ცალკეული პასიური ანგარიშები, რომლებზეც ბიუჯეტის შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში (კალენდარული წელი) ირიცხება ბიუჯეტის შემოსავალში შემავალი სახსრები ამ ანგარიშებიდან გადარიცხვები არ ხორციელდება. ბიუჯეტის შესრულების პერიოდის ბოლოს ეს ანგარიშები დაიხურება აქტიური საბიუჯეტო ანგარიშებიდან ნაშთების გადარიცხვით.

აქტიური ანგარიშები ეხსნებათ კონკრეტულ დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ საბიუჯეტო ხარჯებს. სახსრების საზღვრებში, რომელთა სიდიდე კომერციული ბანკის ბალანსგარეშე ანგარიშზე გაითვალისწინება. კრედიტების სიდიდე დადგინდება საბიუჯეტო ღაგეგმვის სტადიაზე და ფაქტიურად ასახავს საბიუჯეტო სახსრების საერთო ჯამს, რომლებიც შესაბამისი დაწესებულებისათვის გამოიყოფა. მათი ხარჯის მიზნობრივი დანიშნულება ასევე ხარჯთაღრიცხვით დადგინდება,მაგრამ თვით ეს სახსრები საბიუჯეტო დაწესებულებას არ გადაერიცხება. ამ გარემოების კომერციული ბანკისათვის, რომელშიც გახსნილია აქტიური საბიუჯეტო ანგარიში, დიდი მნიშვნელობა აქვს, ასეთ ანგარიშზე ოპერაციების განხორციელება იწვევს კომერციული ბანკის აქტივების მოცულობის ზრდას. რადგან ეს ზრდა საბიუჯეტო

დაწესებულების ანგარიშზე შემოსავლებით არაა გამაგრებული, ამიტომ ეს ოპერაცია წარმოადგენს საკრედიტო ოპერაციას და ბანკი ფაქტიურად აბანდებს თავის რესურსებს საბიუჯეტო დაწესებულების დაფინანსებისას. მაგრამ სხვა კატეგორიის კლიენტებთან ურთიერთობისაგან განსხვავებით ამ სასესხო ოპერაციას უფასოდ ატარებენ- პროცენტები აქტიურ საბიუჯეტო სახსრების ნაშთებზე არ ამოიღება. ალბათ, რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ამგვარი წესის, უცილობლად აუარესებს ამ ოპერაციის შემსრულებელი კომერციული ბანკის ლიკვიდობას. ამ ნაკლოვანებათა დაძლევა ერთ კომერციულ ბანკში, როგორც აქტიური, ისე პასიურ საბიუჯეტო ანგარიშების გახსნის საშუალებას იძლევა. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში, ბიუჯეტის შესრულების მოქმედი ტექნიკიდან გამომდინარე, შემოსავლების ნებისმიერი ნაკლებობა, ავტომატურად კომპენსირდება კომერციული ბანკის რესურსების მოზიდვით, რომელსაც ბიუჯეტის აქტიური ოპერაციების ანგარიშები მიჰყავს. აქედან გამომდინარე, ფინანსური ორგანოებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბიუჯეტის შესრულებაზე, საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვით პრობლემა რეალურად არ არსებობს, იგი ავტომატურად იფარება საკრედიტო რესურსებით.

ბიუჯეტის შესრულების ასეთი წესი ერთდროიანი საბანკო სისტემის პირობებში ჩამოყალიბდა. მისი გავრცელება საბანკო სისტემაზე, რომელიც ორდონიანი პრინციპით ფუნქციონირებს, უარყოფით გავლენას იქონიებს კომერციული ბანკების ლიკვიდობაზე.

განხილული პრობლემის პრინციპიული გადაწყვეტა შესაძლებელია რესპუბლიკურ ბიუჯეტში სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების იმ წესის გავრცელების შემთხვევაში, რომელიც მოქმედებს ადგილობრივი ბიუჯეტების საკასო შესრულებისას.

თ ა ვ ი XV

კომერციული ბანკების ეკონომიკურ რისკთა შეფასების მეთოდი

1. საბანკო რისკები და მათი კლასიფიკაცია

ბაზრისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის ახალი მექანიზმების ფორმირება, სამეურნეო კავშირების დამყარება, კონკურენციისა და მეწარმეობის განვითარება, რესპუბლიკის სუვერენიტეტის ამაღლება მოითხოვს ეკონომიკური რისკების თეორიის, მათი შეფასებისა და მეურნეობის რეგულირების მეთოდების დამუშავებას ყველა საფეხურზე: რესპუბლიკურ, რეგიონალურ, ადგილობრივ, ასევე თითოეულ სამეურნეო ღონეზე, საკუთრების სახეობისა და ფორმებისაგან დამოუკიდებლად.

ამ პრობლემის გადაწყვეტაში წამყვანი როლი უნდა მიეკუთვნოს საბანკო სისტემას. ეს განისაზღვრება ეკონომიკის არამდგრადობის და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საკრედიტო ურთიერთობათა და ბანკების როლის ზრდით. ბანკები არა მარტო ქმნიან სასესხო კაპიტალის, ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბაზრებს, მონაწილეობენ სასაქონლო ბირჟებისა და ახალი სამეურნეო სტრუქტურების შექმნასა და ფუნქციონირებაში, არამედ არსებითად წარმოადგენენ საწარმოების და ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის, სასაქონლო, სასესხო და საკალუტო ბაზრების კონიუნქტურის, რეგიონის, რესპუბლიკის, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის აუცილებელი ინფორმაციის ერთადერთ მფლობელს. ეს მოწმობს ბანკების მიერ კლიენტების საგარეო და საშინაო კომერციული და პოლიტიკური რისკების შესწავლის აუცილებლობას, რაც მით უფრო მიზანშეწონილია, რომ თანამედროვე ეტაპზე არსებობს სამეურნეო ერთეულების ბანკებთან პარტნიორული ურთიერთობის ხელის შეწყობისა და გაუმჯობესების სასიკეთო პირობები, მათი ურთიერთკონტროლის პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად.

როგორც აღნიშნული იყო, კომერციული ბანკების საქმიანობაში წამყვან პრინციპს საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირობებში წარმოადგენს დიდი მოგების მიღებისაკენ მისწრაფება. ეს მისწრაფება შეზღუდულია ზარალის შესაძლებლობით. რისკი არის იმ საალბათო მოვლენების ღირებულებითი გამოხატულება, რომელთაც დანაკარგებამდე მივყავართ, რისკი მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტია მოგების მიღების შანსი. რისკები წარმოიქმნება არსებული მოსაცემების, დღევანდელი მდგომარეობის და მომავალი განვითარების შეფასებისგან გადახრით. ეს გადახრა შეიძლება იყოს პოტენციური და ნეგატიური. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია მოგების მიღების შანსზე, ხოლო მეორეში, რისკებზე მოგების მიღების ყველა შანსს ეწინააღმდეგება ზარალის შესაძლებლობა.

ამრიგად, მოგების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაკარგების (რისკების) შესაძლებლობა წინასწარ იქნება გათვალისწინებული და დაზღვეული. ამიტომ, კომერციული ბანკების საქმიანობაში ეკონომიკური რისკების პრობლემებს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს, მათ შორის ძირითადია: საბანკო რისკების შეფასების საფუძვლებისა და ბანკის ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა რისკების განგარიშების მეთოდების, ცალკეული მსესხებლის, საწარმოთა, დარგების, რესპუბლიკის, ქვეყნის მიხედვით დაჯგუფების კლასიფიკაციის დამუშავება.

საბანკო რისკების კლასიფიკაცია. ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტებს რომლებიც საბანკო რისკების კლასიფიკაციის საფუძველშია ჩადებული, წარმოადგენენ: 1. კომერციული ბანკის ტიპი ან სახეობა; 2. საბანკო რისკის წარმოშობა; ან გავლენის სფერო; 3. ბანკის კლიენტთა შემადგენლობა; 4. რისკის გაანგარიშების მეთოდი; 5. საბანკო რისკის ხარისხი; 6. რისკის დროის მიხედვით განაწილება; 7. რისკის აღრიცხვის ხასიათი; 8. საბანკო რისკების მართვის შესაძლებლობა; 9. რისკების მართვის საშუალებები.

ბანკის ტიპი ან სახეობა და რისკები. ამჟამად, ბანკის საქმიანობის მიმართულების გათვალისწინებით შეიძლება ვილაპარაკოთ სამი ტიპის კომერციულ ბანკებზე. სპეციალიზებულ, დარგობრივ და უნივერსალურ ბანკებზე. ნათელია, რომ საბანკო რისკების საკრები ამ ბანკებისათვის სხვადასხვა იქნება.

სპეციალიზებულ, მაგალითად, ინოვაციურ ბანკში მეტი იქნება გადაჭარბებული რისკები, რომლებიც დაკავშირებულია რისკიანი საწარმოების დაკრედიტებასთან, ამ პროდუქციის ტექნოლოგიასთან, რომლის რეალიზაციაც თავდაპირველად ძნელი იქნება. ეს მოითხოვს საბანკო რისკის რეგულირების განსაკუთრებულ მეთოდებსაც. კერძოდ, სახელმწიფოსაგან გარანტიის მიღებას, უძრავ ქონებაზე სავირაუნო უფლების დანერგვას და ა.შ. ჰოლდინგური დაწესებულება, რომელიც სპეციალიზდება ფასიანი ქაღალდების საკონტროლო პაკეტების ყიდვაში, რისკს შეფასებს ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების მიხედვით. ამრიგად, სპეციალიზებული ბანკები ეწევიან რისკებს იმ სპეციფიკურ საბანკო ოპერაციებში, რომლებიც შეადგენენ მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებას. დარგობრივი ბანკები მჭიდროდ არიან დაკავშირებული განსაზღვრულ დარგებთან. ამიტომ, მათი რისკების სპექტრი, სახანო ოპერაციებზე გაწეული რისკების გარდა, დამოკიდებულია უმეტესად ბანკის კლიენტების ეკონომიკურ (ე.ი. ბანკისათვის საგარეო) რისკებზე, დარგობრივ ბანკში აუცილებელია გამოითვალოს საშუალო დარგობრივი რისკის სიდიდე, რათა განისაზღვროს დარგის, საწარმოებისა და დაწესებულებების გამოუყენებელი რეზერვები და გამოშუშავდეს ბანკის ძირითადი საქმიანობის მიმართულებები. უნივერსალური ბანკები იძულებული იქნებიან თავიანთ საქმიანობაში გაითვალისწინონ ყველა სახეობა სახანო რისკების. ამ მხრივ, მიზანშეწონილია თითოეული ტიპის ბანკისათვის გამოშუშავდეს რისკის სახეობათა ოპტიმალური ნაკრები. განხილულ ვარიანტებში რისკის მაღალი ხარისხი გააჩნიათ მცირე, არასტაბილურ დარგთან და კლიენტთან მჭიდროდ მიჯაჭვულ დარგობრივ ბანკებს, ყველაზე მცირე - უნივერსალურ ბანკებს, რომლებსაც საშუალება აქვთ საქმიანობის ერთი სახეობიდან დანაკარგები, მეორე სახეობიდან შემოსავლით დაფარონ.

საბანკო რისკების გავლენის სფერო. რისკები გავლენის სფეროების წარმოშობის მიხედვით იყოფა საგარეო და საშინაო რისკებად. საგარეოს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული ბანკის ან კონკრეტული კლიენტის საქმიანობასთან. ლაპარაკია პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, გეოგრაფიულ და სხვა სიტუაციებზე და შესაბამისად, ბანკის და მისი კლიენტების დანაკარგებზე, რომლებიც წარმოიშობა ომის დაწყების, რევოლუციის, პოლიტიკური რეჟიმის არამდგრადობის, ნაციონალიზაციის, პრივატიზაციის, საზღვარგარეთ გაღასახადების გადახდის აკრძალვის, ვალების კონსოლიდაციის, ემბარგოს შემოღების, იმპორტული ლიცენზიის გაუქმების, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გამწვავების, სტიქიური უბედურების (მიწისძვრების, წყალ დიდობების, ხანძრების) შედეგად. ბანკის ეკონომიკურ საგარეო რისკებს, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდებიან მის საქმიანობას, შეიძლება მიეკუთვნოთ: ვალუტო კურსების არამდგრადობა, ინფლაცია, კლიენტის გადახდისუუნარიანობა, ბანკის კლიენტის გაკოტრება, კლიენტის უარი გადახდაზე, დადგენილ ვადაში ვალის გადაუხდელობა, კლიენტის საქონლის ფასის შეცვლა-

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, შეცდომები დოკუმენტებში ან საქონლის საფასურის გადახდაში, კლიენტების მიერ საგალუტო სახსრების მოპარვა, ყალბი ბანკნოტებით ან ჩეკებით გადახდა და ა.შ.

თავის მხრივ, შინაგანი რისკები იყოფა ბანკის საქმიანობის ძირითად და დამხმარე რისკებად. პირველები წარმოადგენენ ყველაზე გავრცელებულ ჯგუფს; ესენია: საკრედიტო, საპროცენტო, საგალუტო რისკები, ფაქტორინგულ და ლიზინგურ ოპერაციებზე რისკები, ბანკის საანგარიშსწორებო და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების რისკები. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება დანაზოგები დეპოზიტების ფორმირებაზე, მოცემული ბანკისათვის საქმიანობის ახალი, არატრადიციული სახეობების რისკი, ბანკის ბალანსგარეშე ოპერაციების რისკი, ბაზარზე ბანკის პოზიციების დაკარგვის რისკი და კლიენტთა შემადგენლობის რისკი, საბანკო რეიტინგის შემცირების რისკი და ა.შ. ისინი ბანკის ძირითადი საქმიანობის რისკისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ხშირად აქვთ მხოლოდ პირობითი, არაპირდაპირი შეფასება და დაკარგული სარგებლით განისაზღვრებიან, მაგრამ ჩამოთვლილი რისკების სახეობათა შორის შეიძლება გამოვყოთ დამატებითი ჯგუფები. მაგ., კრედიტების ახალ სახეობათა გამოჩენამ (ავალური, ლომბარდული, დისკონტიზაციური, კონსორციონალური, სააღრიცხვო და აქცეპტური) წარმოშვა საკრედიტო ოპერაციების მიხედვით რისკების ახალი სახეობები და მათი ანგარიშსწორების სხვადასხვა კერძო მეთოდები. საბანკო რისკების წარმოშობის სფეროს მიხედვით არსებობს რისკების სხვადასხვა კლასიფიკაცია: ქვეყნების რისკი, ცალკეული ბანკის ფინანსური საიმედოობის რისკი (ბანკის კაპიტალის ნაკლებობის რისკი), საბანკო ოპერაციის ცალკეული სახეობების რისკი. ცალკეული ოპერაციების მიხედვით საკრედიტო რისკის ჩამოყალიბება საკრედიტო რისკისაგან, აუნაზღაურებლობის რისკისაგან, საბანკო გარანტიების ინკასირების რისკისაგან, იურიდიული რისკისაგან, კრედიტების არარენტაბელობის რისკისაგან და ა.შ. ხდება.

ბანკის კლიენტების შემადგენლობა განსაზღვრავს ბანკის რისკისა და მისი ხარისხის გაანგარიშების მეთოდს. წვრილი მსესხებელი უფრო ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკის შემთხვევით გარემოებებს, ვიდრე, მსხვილი. ამაზე დროს მსხვილი კრედიტები, რომლებიც მიეცემა ერთ მსესხებელს ან გაერთიანებულ მსესხებელთა ჯგუფს, დარგს, რეგიონს ან ქვეყანას ხშირად იწვევს ბანკების გაკოტრებას, ამიტომ მსხვილი კრედიტების გაცემის შემთხვევაში რისკის რეგულირების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს მისი მოცულობის შეზღუდვა (იგი შეიძლება იყოს ბანკის საწესდებო კაპიტალის 10-50 %-მდე). არსებობს მნიშვნელობა აქვს ბანკისათვის სასურველი კლიენტის არჩევასაც. ჩვეულებრივ ასეთ პარტნიორებს წარმოადგენენ საწარმოები, რომლებსაც გააჩნიათ ფინანსური სიმყარის კარგი ხარისხი, ლიკვიდობის და ბალანსის გადახდისუნარიანობის მაღალი მაჩვენებლები, საკმარისი შემოსავლიანობა და კარგად უზრუნველყოფილი საკუთარი სახსრები.

რისკების გაანგარიშების მეთოდები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძლიერდება საბანკო სისტემის არასტაბილურობა. თავის მხრივ ეს გავლენას ახდენს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების და საწარმოების მდგომარეობაზე. სამეურნეო ერთეულები იწყებენ საკუთარი სახსრების შემცირებას, რაც იწვევს საკრედიტო რესურსების ნორმალური წრებრუნვის დარღვევას და ყველა საბანკო ოპერაციის რისკის ამაღლებას. ამიტომ, ამჟამად რისკების მინიმიზაციის ყველაზე გავრცელებული ერთეულია საბანკო ლიკვიდობის ეკონომიკური ნორმატივების გამოყოფა და დაცვა. მრავალი კომერციული ბანკი, განსაკუთრებით სპეციალიზებულები, საბანკო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების რისკების მხოლოდ ცალკეულ სახეობებს გაიანგარიშებენ. ჩვენი აზრით, პერსპექტიული ხდება ბანკის, ცალკეული კლიენტის, რესპუბლიკის, ეკონომიკური რეგიონის დასაშვები ერთობლივი რისკის სიდიდის განსაზღვრა.

გაანგარიშების მეთოდის მიხედვით, რისკი შეიძლება იყოს კომპლექსური (საერთო) და კერძო. კომპლექსური რისკი შეიცავს ბანკის რისკის სიდიდის შეფასებას, პროგნოზს და საბაზრო ლიკვიდობის ეკონომიკური ნორმატივების დაცვას. კერძო რისკი ემყარება რისკის კოეფიციენტების სკალის შექმნას ბანკის ცალკეულ ოპერაციებზე ან ოპერაციათა ჯგუფზე.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გამოიყენება რისკების სკალით ვალდებულებათა შემდეგი დაჯგუფება.

ცხრილი 23

№№	ვალდებულებათა დაჯგუფება	რისკის სკალა
1	ოპერაციები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით	0
2	მოკლევადიანი ბანკთაშორისი დეპოზიტები	1
3	საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრების ნ შთები	1
4	სხვა ოპერაციები	2

საბანკო რისკის ხარისხი ან რისკის წონა. საბანკო რისკის ხარისხი ითვალისწინებს რისკების სკალაზე განლაგების მიხედვით სრულ, ზომიერ და დაბალ რისკს. საბანკო რისკის ხარისხი ხასიათდება მოვლენის ალბათობით, რომელიც იწვევს მოცემული ოპერაციის მიხედვით ბანკის სახსრების დაკარგვას. ის პროცენტებში ან განსაზღვრულ კოეფიციენტებში გამოიხატება.

რსფსრ-ის კომერციული ბანკების ვალდებულებები, ანაბრების რისკის ხარისხიდან და ღირებულების ნაწილის შესაძლო დანაკარგებიდან გამომდინარე, 6 ჯგუფად იყოფა. ამასთან, აქტივების ცალკეულ კატეგორიებს და ჯგუფებს მიეკუთვნება შესაბამისი შემსწორებელი კოეფიციენტები და პროცენტები.

ცხრილი 24

№№	ოპერაციების ჯგუფი	რისკის ხარისხი, %
I	სალარო და მასთან გათანაბრებული სახსრები	0, 5
	სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშებზე	0, 0
	სახსრები ცენტრალური ბანკის სარეზერვო ანგარიშებზე	1 0
II	მთავრობის ფასიანი ქაღალდები	1 5
	სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხები	2 0
	ხელისუფლების აღგილობრივი ორგანოების ფასიანი ქაღალდები	2 5
	შენობები, ნაგებობები და სხვა ძირითადი ფონდები	2 5
III	კრედიტები სხვა ბანკებისათვის	2 5
	მოკლევადიანი სესხები (ბანკის მიერ 1 წ. ვადით გაცემულ კრედიტებს გამოკლებული სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხები)	3 0
	ფაქტორინგული ოპერაციები	5 0
IV	გრძელვადიანი სესხები (ბანკის მიერ 1 წ. ვადით გაცემულ კრედიტებს გამოკლებული სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხები)	5 0
	ლიზინგური ოპერაციები	6 0

V	სააქციო სახოგადოებების და საწარმოების ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ბანკის მიერ არის შეძენილი	7 0
	ბანკის მიერ შეძენილი მონაწილეობის სხვადასხვა უფლებები	8 0
VI	სესხების მიხედვით ვადაგადაცილებული დავალიანება	1 0 0

I ჯგუფში შედიან რისკისაგან თავისუფალი აქტივები; II ჯგუფში მინიმალური რისკიანი აქტივები; III-IV ჯგუფებში - მაღალ-რისკიანი აქტივები. მიუხედავად მოცემული დაჯგუფებისა, ერთსა და იმავე რისკს შეიძლება სხვადასხვა ხარისხი ჰქონდეს, რაც დამოკიდებულია გარანტიების შესაძლებლობებზე, დაზღვევისა და რეგულირების სხვა მეთოდებზე. მაგ., ბანკის გრძელვადიან სესხებს, რომლებიც გაცემულია ახალი საწარმოს ასაშენებლად აქვთ 100 % -იანი რისკი. სადაზღვევო ორგანოებში ამ სესხის დაზღვევას რისკის ხარისხი მცირდება 10-15 % -მდე (სესხის 50-90 %-ის მოცულობის დაზღვევის პირობებში), სახელმწიფოს გარანტიების მიღებისას სულამდე ეცემა.

საბანკო რისკის ხარისხის თავისებურებად ითვლება მისი ინდივიდუალური სიდიდე, რაც დაკავშირებულია კონკრეტული საბანკო ოპერაციის მიხედვით, საკუთარ თავზე რისკის აღებასთან. ეს თითოეული ბანკის სუბიექტური პოზიციით განისაზღვრება.

ცალკეული ორგანიზაციების მიხედვით, საბანკო რისკის ხარისხის რეგლამენტირების ცდები უნდა ატარებდეს მოქნილ ხასიათს. ასე, მაგ., თუ კომერციული ბანკი, რომელმაც "კამაზ"-ის აქციები იყიდა (რომელსაც ჰქონდა სასაქონლო დაფარვა, შემოსავლის მაღალი ხარისხი, ტექნოლოგიის მაღალი ხარისხი (5-ჯერადი ღიცვა) და კოტირება ბირჟაზე) ამ ოპერაციებს მიაკუთვნებს რისკის მაღალი ხარისხის (70 %) ოპერაციებს, მაშინ ამით რისკის სიდიდეე ოპერაციებზე და მთლიანად ბანკში არსებითად მომატებულია და რეალურისგან დაშორებულია. მაშასადამე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია ბანკის მიერ ამა თუ იმ ოპერაციების შეღებად, სახსრების დაკარგვის ალბათობის დამოუკიდებლად განსაზღვრა.

რისკის განაწილება დროის მიხედვით. რისკის განაწილება დროის მიხედვით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ბანკის ძირითადი ოპერაციები ემორჩილება წარსულ და მიმდინარე რისკებს, ცალკეულ შემთხვევაში, მომავალსაც. მიმდინარე რისკს უკავშირდებიან გარანტიების გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები, გაღასაცემი თამასუქების აქცეპტი, დოკუმენტირებული საკრედიტო ოპერაციები, აქტივების გაყიდვა რეპრესის უფლებით და სხვ. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ გარანტიების და თამასუქების გადახდა, ბანკის კრედიტის ხარჯზე, აკრედიტივის განხორციელების შესაძლებლობა ამ ოპერაციებს მომავალ რისკებთან შეაკავშირებს. გარანტიების გადახდის დროის დადგომისას, თუ ბანკმა არ გაითვალისწინა ამ დანაკარგების ალბათობა, ის ეწევა წარსულ რისკსაც, ე.ი. რისკს, რომელიც აიღო ბანკმა თავის თავზე უშუალოდ გარანტიის გაცემისას. დროის მიხედვით რისკის განაწილება ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკის მომავალი დანაკარგების პროგნოზის დროს. ამ ფაქტორის გათვალისწინებისას, შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას ძველი რისკების დამატება და ბანკის მომავალი საქმიანობის შეცდომები.

ოპერაციების აღრიცხვის ხასიათი და რისკები. აღრიცხვის ხასიათის მიხედვით საბანკო რისკები იყოფა: რისკებად საბალანსო ოპერაციებზე და ბალანსგარეშე ოპერაციებზე. ზმირად საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოიშვება საბალანსო ოპერაციებზე, ბალანსგარეშე ოპერაციებზეც ვრცელდება, მაგ., საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში აქ დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად განისაზღვროს ერთი დამატე საქმიანობის შესაძლო დანაკარგების ხარისხი, რომელიც მიმდინარეობს ერთდროულად, როგორც საბალანსო, ისე ბალანსგარეშე ანგარიშგებაზე.

მაგალითად, სავალუტო ოპერაციებზე (ფასიანი ქაღალდების ანალი სახეობებით) რისკის ხარისხის შეფასება უნდა მოხდეს არა მარტო სავალუტო რისკიდან, არამედ ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების რისკიდან გამომდინარეც, ასევე ცალკეული დაბალანსირებული ოპერაციების, სახაზინო ვალდებულებების, ეკროდეპოზიტების, საბირჟო ინდექსების და ა.შ. რისკიდან გამომდინარე.

საბანკო რისკების მართვის შესაძლებლობები. მართვის შესაძლებლობების მიხედვით რისკები შეიძლება იყოს ღია და დახურული. ღია რისკები არ ექვემდებარებიან რეგულირებას, დახურული ოპერაციები კი - რეგულირდებიან. ზოგიერთ ოპერაციაზე შემოღებულია რისკებით სპეციალური შეზღუდვა. მაგ., უცხოური ვალუტის ანგარიშებზე ყოველი სამუშაო დღის ბოლოს აუცილებლად უნდა დაიხუროს პოზიცია, ვალუტაში ე.ი. უნდა მოხდეს გაუფასურებული ვალუტის გადათვლა იმ ვალუტაში, რომლის კურსიც იზრდება.

რისკების მართვის საშუალებები. რისკების მართვის ძირითად საშუალებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: რისკების აწონვის პრინციპის გამოყენება; საგარეო რისკების აღრიცხვა (დარგობრივი, რეგიონალური, დასაზღვევი); ბანკის კლიენტის ფინანსური მდგომარეობის სისტემატური ანალიზის განხორციელება; მისი კლიენტის გაღახდისუუნარიანობა; კრედიტუნარიანობა; რეიტინგი და სხვა, რისკების დაყოფის პრინციპის გამოყენება, კრედიტების რეგიონალიება, დივერსიფიკაციის პოლიტიკის გატარება (კრედიტების ფართო გადანაწილება მცირე თანხებში, რომლებიც ბევრ კლიენტს ეძლევა ბანკის ოპერაციების საერთო მოცულობის შენარჩუნებით); მსხვილი კრედიტების გაცემა მხოლოდ კონსოლიდალურ საფუძველზე (რისკების დაყოფა ბანკთაშორის შეთანხმებების მიხედვით); მცურავი საპროცენტო განაკვეთების გამოყენება; დეპოზიტური სერთიფიკატების შემოღება; ბანკის მიერ ხელახლა აღრიცხვის ოპერაციების გაფართოება; კრედიტებისა და დეპოზიტების დაზღვევა; საგირავნო უფლების შემოღება; რეალური, პერსონალური და "ცრუ" გარანტიების გამოყენება და ა.შ. რისკების მართვის, ზემოთ ჩამოვლილი, საბანკო პრაქტიკაში გავრცელებული სხვა საშუალებები ბანკებს საშუალებას აძლევს არ ჩაიგდონ თავი გაუთვალისწინებელი დანაკარგების საფრთხეში, მოცემული კლასიფიკაციის და ელემენტების, რომლებიც ეკონომიკურ კლასიფიკაციას უდევს საფუძვლად, მიზანია არა საბანკო რისკების ცალკა სახეობის ჩამოთვლა, არამედ განსაზღვრული სისტემის შექმნა, რომელიც ბანკებს საშუალებას მისცემს არ გამორჩეთ მათი ცალკეული ნაირსახეობები, აგრეთვე საბანკო დაწესებულებების კომერციულ და საწარმოო სფეროში რისკების ერთობლივი სიღრმე განსაზღვროს.

შემდგომში ჩვენს მიერ საბანკო რისკების კლასიფიკაცია განიხილება მხოლოდ ცალკეული ბანკის, მსესხებლის, ქვეყნის (რესპუბლიკის, ეკონომიკური რეგიონის) რისკების შეფასების კომპლექსური მეთოდების თვალსაზრისით.

2. საკრედიტო რისკები და მათი გამოანგარიშების მეთოდები

ბანკის საინვესტიციო ოპერაციების მეცნიერული მართვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ამა თუ იმ რისკის დასაშვებლობის ხარისხისა და გამართლებულობის განსაზღვრა და დაუყოვნებლივი პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მიმართული არიან ან საბანკო სიტუაციების გამოყენებისაკენ, ან იმ სისტემის გამოშუშავებისკენ, რომელიც ამცირებს ბანკის დანაკარგების გამოვლენის შესაძლებლობას, რაც ამა თუ იმ ოპერაციების ჩატარებასთან არის დაკავშირებული.

ლიკვიდობის და რისკის კოეფიციენტები. ლიკვიდობას კოეფიციენტებს დაცვა, რისკის თავიდან აცილების ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებელ მეთოდად რჩება. ნაწილობრივ, ეს საკითხი ჩვენ უკვე განვიხილეთ. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ეკონომიკური თანაფარდობები და ნორმატივები გამოიყენება, მაგალითად, გერმანიაში საკრედიტო ოპერაციების კანონის თანახმად დაშვებულია შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. ნებისმიერი საკრედიტო ინსტიტუტის კრედიტები და აქციები არ შეიძლება საწესდებო ფონდის მოცულობაზე 18-ჯერ მეტი იყოს (საწესდებო კაპიტალი = შეტანილი კაპიტალი + ღია რეზერვები). უცხოურ ვალუტაში და ძვირფას ლითონებში ღია პოზიციები ყოველდღე, ბანკის დაკვეთის საწესდებო ფონდის 30 %-ს არ უნდა აჭარბებდნენ.

2. გრძელვადიანი კრედიტები და კაპიტალდაბანდებები რეგიონალიზირებული უნდა იქნეს გრძელვადიან საფუძველზე; რეგიონალიზირების სახსრებად გამოიყენება: საკუთარი კაპიტალი; ვალდებულება 4 წელზე მეტი მოქმედების ვადით; 10 %-მდე მოთხოვნამდე და ვადიანი ანაბრები, რომლებიც ბანკების მიერ არაა შეტანილი; 60 %-მდე საშემნახველო ანაბრები.

3. ბანკის ბალანსის ცალკეული პასიური მუხლებისა და კონტურში შემავალი ბანკების აუცილებელ კონსოლიდაციის შორის თანაფარდობის დაცვა. კუკის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, კრედიტის მოცულობა, რომლებიც რისკების გათვალისწინებითაა გაანგარიშებული, საკუთარი კაპიტალის მინიმუმ 8 %-ით უნდა იქნეს გარანტირებული. ამასთან, ძირითადი კაპიტალი შედგება შემოტანილი კაპიტალისა და ღია რეზერვებისაგან, ხოლო სარეზერვო, საკუთარი კაპიტალი შეიცავს; დაფარულ რეზერვებს, რომლებიც გადასახდებითაა დასაბეგრი; დანამატ ფასიანი ქაღალდების ხელახალ კოტირებაზე; საბალანსო ღირებულების საერთო კორექტირების, ასევე საბალანსო ღირებულების კორექტირების, ცალკეული ქვეყნების რისკებთან დაკავშირებით. თანახმად მითითებული კანონისა, კრედიტი, საკრედიტო ინსტიტუტის საწესდებო კაპიტალის არა უმეტეს 15 %-ს შეადგენს; ყოველი, ცალკე აღებული მსხვილი კრედიტი არ უნდა აჭარბებდეს საწესდებო კაპიტალის 50 %-ს; ვალის გადახდა ხდება მხოლოდ სანაზღაურო.

ნათელია, რომ ხუთი ყველაზე მსხვილი კრედიტი 8-ჯერ არ აჭარბებს საწესდებო კაპიტალს. მალიანია კრედიტების შესახებ ატყობინებენ ფედერალურ ბანკსა და მსესხებლის ყველა კრედიტორს.

შეგახსენებთ, რომ რისფრ-ში ლიკვიდობის ნორმატივები გაიანგარიშება როგორც თანაფარდობა, ბანკის კაპიტალისა და მის ვალდებულებებს შორის, კრედიტების ჯამისა და ანგარიშსწორების, მიმდინარე ანგარიშების, ანაბრების და დეპოზიტების ჯამს შორის; ლიკვიდური აქტივების ჯამისა და ანგარიშსწორების, მიმდინარე ანგარიშების, ანაბრების და დეპოზიტების ჯამს შორის; ლიკვიდური აქტივების ჯამისა და ბანკის მოთხოვნამდე ანგარიშებით ვალდებულებათა, ბანკის აქტივების, რომელთა დაფარვის ვადა 1 წელზე მეტია, და ბანკის დეპოზიტური ანგარიშებით ვალდებულებათა და 1 წელზე მეტი ვადით კრედიტების ჯამს შორის.

ჩვენის აზრით, განსაკუთრებულ ინტერესს, რისკის შეფასების მხრივ, იწვევს ბანკის კაპიტალის საკმარისობის და ერთ მსესხებელზე რისკის მაქსიმალური მაჩვენებლები. თვალში საცემია მათი მსგავსება კუკის ფუძემდებლურ კოეფიციენტთან, რომელიც გამოხატავს, თანაფარდობას ბანკის საკუთარ ფონდებსა და გაწეულ რისკებს შორის. ამასთან, საკუთარი ფონდები შეიცავენ ბანკის კაპიტალს, რეზერვების, ემისიური პრემიებს, ბანკის მოგების, გალასახდების გამოკლებით და სხვადასხვა რეზერვებს.

რისკები განისაზღვრებიან შეწონასწორებულად ბანკის ცალკეული ოპერაციების მიხედვით, მისი ბუნებიდან, ხანგრძლივობიდან და კონტრაგენტიდან გამომდინარე.

ფაქტიურად კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლები ახლოსაა კუკის კოეფიციენტთან, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბანკთა ზოგიერთი სპეციფიკური რეზერვების გამოკლებით (ქვეყნის რისკზე, ვადიან ვალებზე, გადაფასებებზე და ა.შ.).

რაც შეეხება ბანკის ერთ მსესხებელზე რისკის მაქსიმალური სიდიდის გაანგარიშებას, ეს უკუმაჩვენებლია კუკის კოეფიციენტთან და კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლებთან მიმართებით.

ბანკის საერთო რისკი, განხილული მეთოდიკიდან გამომდინარე, მეთოდოლოგიურად უფრო სწორია, ჩვენის აზრით, განისაზღვროს ბანკის რისკის საერთო სიდიდის დასაშვებლობის ხარისხი:

$$H = ((P1 + P2 + P3 + \dots + \dots + Pn):K)xE$$

სადაც: **H** - ბანკის საერთო რისკის დაშვების ხარისხია;

P - ბანკის რისკები ყველა ოპერაციის მიხედვით (ან აწონდაწონილი აქტივები რისკის გათვალისწინებით);

E. - ბანკის საგარეო რისკები,

K - ბანკის კაპიტალი.

ეს მაჩვენებელი ასახავს განსაზღვრულ პერიოდში ბანკის რისკის მაქსიმალურად დასაშვებ ხარისხს, რომელსაც მოსდევს ბანკის კრახი, მისი მაქსიმალურად დასაშვები მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს.

განვიხილოთ რისკის საერთო სიდიდის დაშვების ხარისხის კონკრეტული გაანგარიშება, კომერციულ ბანკზე "კასრიბას" მაგალითზე, 1991 წლის 15 აპრილის მდგომარეობით.

H = ((15,8x0,5/100 + 3181,8x30/100 + 218,4x50/100) : (5502,4-7,6-122,6-74,1)) x 1,4 = ((0,08+9544,1+109,2) : 5298,1) x 1,4 = (9653,4:5298,1) x 1,4 = 1,8 x 1,4 = 2,5

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ კომერციულ ბანკ "კასრიბას" შესაძლებლობა აქვს გააფართოვოს ბანკის აქტიური ოპერაციები და მნიშვნელოვნად აამაღლოს რისკის სიდიდე 10 ერთეულამდე. მაშასადამე, ბანკს ცოტა ხანს შეუძლია არ აკონტროლოს თავისი რისკები, არამედ მთავრობის ყურადღება კლიენტებთან, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას, ასევე, კონკრეტული მსესხებლის რისკის დაკრედიტების გაანგარიშებას.

ერთი მსესხებლის დაკრედიტების რისკი. ერთი მსესხებლის დაკრედიტების რისკის განსაზღვრა განსხვავებულია. ზოგიერთი ბანკი თვლის, რომ საკმარისია თითოეული კლიენტისათვის, განისაზღვროს კრედიტუნარიანობის კლასი.

კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მეთოდიკის ძირითადი და დამატებითი მაჩვენებლების კრიტერიალური დონის შესაბამისად. საწარმოს ბალანსის ლიკვიდობის კოეფიციენტების, ბალანსის დაფარვის, გადახდისუნარიანობის, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის, საკუთარი და მოზიდული სახსრების, საწარმოს შემოსავლიანობის დონის, ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის მიხედვით გამოიყოფა მსესხებელთა 3-5 კლასი.

მე-4, 5 კლასების მსესხებლები ითვლებიან კრედიტუნარიანებად და ბანკები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რათა მათ გამო არ გასწიონ გადაუხდელობის რისკი (საკრედიტო და საპროცენტო რისკის ერთობლიობა) მათთან არ უნდა მუშაობდეს. დარჩენილთაგან ბანკისათვის უპირატესია პირველი კლასის მსესხებელი, რომლის სესხის გადახდის რისკი არაა დიდი და არ მოითხოვს დაკრედიტების მკაცრი პირობების გამოყენებას, გარანტიებს, საგირავნო უფლების დაზღვევას. თუმცა მასზე შეიძლება იმოქმედოს გარე ფაქტორებმა, რომლებიც დაკავშირებულია კომერციულ, პოლიტიკურ და გეოფიზიკურ რისკებთან, მაგალითად, სავალუტო კურსების არამდგრადობამ, ინფლაციამ მისი მეიდველის ან მსესხებლის გადახდისუუნარობამ, მეიდველის მიერ გადახდაზე ან საქონლის მიღებაზე უარის თქმამ, დადგენილ ვადაში მეიდველის მიერ ვალის გადაუხდელობამ, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ნედლეულზე, მასალებზე, ნახევარფაბრიკატებზე ფასის შეცვლამ, დოკუმენტებში ან გადახდაში შეცდომებმა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებამ ან დატაცებამ, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებამ, მიწისძვრებმა, წყალდიდობებმა, ხანძრებმა და სხვ. ამიტომ, ჩვენი აზრით, ბანკი პირველი კლასის მსესხებლის შემთხვევაშიც კი უნდა ფლობდეს მეთოდიკას და ინფორმაციას მისი კომერციული და სხვა რისკების სიდიდეზე.

მე-2, 3 კლასის მსესხებლებთან ბანკები უფრო მკაცრ ურთიერთობებს ამყარებენ. კერძოდ, აღგენენ გირაოს გარანტიების სესხის უზრუნველყოფის აუცილებლობას და მათზე კონტროლს, ახორციელებენ კრედიტების გეგმური სიდიდეებით მკაცრ შეზღუდვას, დაკრედიტების პირობის დარღვევისას მკაცრ პასუხისმგებლობას და კრედიტის ოპერატიული გადახდევინების მექანიზმს იყენებენ.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ცალკეული კლიენტის რისკის შეფასების ორიენტირად გამოყენებულია ანალოგიური სისტემა, ე.წ. ბანკის მიერ საწარმოების საკრედიტო კატირება, მას ადგენენ საწარმოს ბრუნვის მოცულობიდან, მისი საკრედიტო შეფასებიდან, გადახდისუნარიანობის შეფასებიდან, ხელმოწერის ხარისხიდან "იმიჯიდან" გამომდინარე. რაოდენობრივი ანალიზიდან გამოიყვანება ხარისხობრივი შეფასება, რომელიც საშუალებას იძლევა საწარმო მიეკუთვნოს ექვსი ჯგუფიდან, ერთ-ერთს: სახელმწიფო; საზღვარგარეთული; "ჯარგი"; საწარმო, რომელიც სიძნელეებს განიცდის, (ბანკის ნაწილობრივი მმართველობის ქვეშ მყოფი); არაკატირებადი საწარმო. ამ შეფასების საფუძველზე ბანკები აგებენ საკრედიტო ურთიერთობებს კლიენტთან, მსჯელობენ მოცემული კლიენტის რისკის ხარისხზე, ასევე მართავენ რისკებს, (ცენტრალური ბანკის მიერ რეფინანსირებული კრედიტების წილს ადიდებენ, იყენებენ მცურავ საპროცენტო განაკვეთებს, გარანტიებს, დაზღვევას, რისკების განაწილებას და ა.შ.).

რსფსრ-ს ცენტრალური ბანკი, როგორც აღნიშნულ იქნა, რისკის მაქსიმალური სიდიდის ნორმატივის გაანგარიშებას გვთავაზობდა ერთი მსესხებელზე. ეს სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს ბანკის აქტივების თანხის 10 %-ს.

ბანკის მსესხებლის კრედიტების მიხედვით ვალდებულებების ერთობლივი თანხა, ამ მსესხებლისათვის ბანკის მიერ გაცემული ბალანსგარეშე ვალდებულებების თანხების 50 %-ის გათვალისწინებით, თუ ბანკის კაპიტალს 20 %-ით აჭარბებს, განიხილება, როგორც მსხვილი კრედიტი.

მსხვილი კრედიტი. განხილული ნორმატივები მიმართულია ბანკების მიერ მსხვილი კრედიტების გაცემის შეზღუდვისაკენ, ერთი მხრივ, ბანკის შესაძლო დანაკარგების რეგლამენტაციისკენ რაც დაკავშირებულია კონკრეტულ მსესხებელთან, - მეორე მხრივ, თუმცა, ჩვენის აზრით, ეს ნორმები დროებითი ხასიათისაა, რადგან არ ითვალისწინებენ, ჯერ ერთი, მსოფლიო სპექტრის საგარეო ფაქტორებს, რომლებიც კონკრეტულ კლიენტზე ახდენენ გავლენას

(პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, კომერციულ), მეორე - ტენდენციების, რომლებიც ალრმავებენ ბანკის მსესხებლის კომერციული საქმიანობის შინაგან რისკთა განვითარებას. ამ ფაქტორების აღრიცხვა, ჩვენის აზრით, მოითხოვს ცალკეულ მსესხებელთან ბანკის საკრედიტო ურთიერთობების მეთოდოლოგიური მიდგომის გამომუშავებას, რაც ითვალისწინებს კლიენტის საქმიანობაში, ეკონომიკური კაშხისის პირობებში, დაბანდებების დამოკიდებულების კომერციულ, პოლიტიკურ, საბაზრო და სხვა რისკებზე. სძიებული მიდგომა შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

$$K3 = Kp \times ((R1 + R2 + \ldots + \ldots Rn) : KBL) \times E$$

სადაც: **K3** - ბანკის ცალკეული მსესხებლის რისკის კოეფიციენტია;

Kp - მაკორექტირებელი კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის კრედიტუნარიანობას (მისი ახალგაზრდული მნიშვნელობა მერყეობს 1-ლი კლასის კლიენტისათვის -1; მე-2 კლასის - 2-დან 3-მდე; მე-3 კლასის - 4-დან 5-მდე);

მსესხებლის საბაზრო დამოუკიდებლობის ხარისხი, მისი სამრეწველო პოტენციალის ღირებულება, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა, აქციონერთა შემადგენლობა, ხელმძღვანელის საქმიანი აქტიურობა და საორგანიზაციო თვისებები, საკუთარი სახსრების, სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების საკმარისობა, წინა პერიოდის ვადაგადაცილებული ვალების ღირებულება და ა.შ.

R1 ... Rn - რისკების სიდიდე, რომელიც მოცემულ საკრედიტო ოპერაციებთან არის დაკავშირებული;

KBA - საკრედიტო დაბანდებათა თანხა მსესხებლის მიმართ;

E - აკორექტირებელი კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ბანკის მოცემული კლიენტისათვის საგარეო ფაქტორების მოქმედების.

ის განისაზღვრება, როგორც:

$$EF : (F1 \ldots + \ldots Fn)$$

სადაც **EF** ყველა შესაძლო ზემოქმედი საგარეო ფაქტორის ჯამია;

F1 ... Fn - საგარეო ფაქტორების ჩათვლით, ასევე ფაქტორები, რომლებიც ახასიათებენ რეგიონის რისკს, სავალუტო კურსების არამდგრადობის, კლიენტის, მეთვალყურეობის მეთვალყურეობით უზრუნველობის, კლიენტის მიერ საქონლის მიღებისა და გადახდილ უროს თქმის, კლიენტის მიერ ანგარიშების გადახდის ვალების დარღვევის, ხელშეკრულებებზე, მასალებზე, საქონელზე, პრიორიტეტზე ფასების შეცვლის, კლიენტის პრიორიტეტის კონკურენტუნარიანობის, ღირებულების, ჭურჭლების, კლიენტების მხრიდან სესხებზე მოთხოვნილების, ბანკში არსებულ საკრედიტო რესურსებს და ა.შ. დაუშვათ ბანკმა "კახაბა"-ს გასცა საკუთარი კრედიტის ახალი სახეობა 1მლნ მანეთის ოდენობით, მაშინ კრედიტის ამ სახეობის რისკის სიდიდე გრძელვადიანი კრედიტის თანხის კორექტირებით რისკის ხარისხზე მოკლევადიან კრედიტებით (30 %); ბანკის მიერ გაცემული გარანტიებით, თავდებობით (50 %); საინვესტიციო დოკუმენტებით, რომლებიც ელოდებიან აქტივის (25 %) მაკორექტირებელი კოეფიციენტი მსესხებლის შიგა რისკებზე - 2,5; საგარეო რისკებზე კი - 1,4. მაშინ მსესხებლის რისკის კოეფიციენტი ტოლი იქნება.

$$K = 2,5 \times ((1000000 \times 30/100 + 1000000 \times 50/100 + 1000000 \times 25/100) : 1000000) \times 1,4 = 2,5 \times ((3000000 + 500000 + 250000) : 1000000) \times 1,4 = 2,5 \times 1,05 \times 1,4 = 3,7$$

მაგალითად, ბანკს, რომ მოცემულ მსესხებელზე რისკის კოეფიციენტი შეადგინა შედარებით ნაკლებ სიდიდეს და შეიძლება გაიზარდოს დასაშვებ ზღვრულ დონემდე - 10. ამგვარი ანგარიშწორებისათვის აუცილებელია მრავალფაქტორიანი მოდელის შედგენა, რომელიც განსაზღვრავს ამ სავარაუდო რისკის კოეფიციენტს, რომელსაც მოცემული ბანკი ემსახურება. მოდელი უნდა შეიცავდეს ალგორითმს, რომელიც აუმჯობესებს რისკის მრავალმხრივ და სხვადასხვა მხარეს მიმართულ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს, როგორც სისტემის, კლიენტის და მოცემული ბანკის შინაგანი და საგარეო კავშირების გათვალისწინებით, ასევე კლიენტის დამოკიდებულების სხვა მსესხებლებზე. ეს საშუალებას იძლევა მოეხსნას ტექნიკური დატვირთვა ბანკის მოხელეს, სისტემატურად მოდელის მისი კალიბრაცია, გაუარესდეს მისი შესაძლებლობა დამოუკიდებელი, შემოქმედებითი გადაწყვეტილების მისაღებად, დაეუფლოს თანამედროვე მეთოდებსა და ტექნიკური საშუალებებს, შეძლოს გადაწყვეტილებათა სუბიექტურობის აღმოფხვრა.

ეკონომიკურ - მათემატიკური მოდელის მრავალ კრიტერიუმიან საშუალებას მიგვცემს, გათვალისწინებული იქნეს ბაზრის ეკონომიკაზე გადასასვლელი პერიოდის სპეციფიკა, ამოდელის ხარისხი, საიმედოობა, სტაბილურობა, ეფექტურობა, შემცირეს ბანკის ცდომილება; მოხდეს ცალკეული შეთანხმება მსესხებელსა და ბანკს შორის, ყველა კლიენტისა ერთმანეთთან და ბანკთან დაკრედიტების შემთხვევაში, მოხდეს შესაძლო დანაკარგების და რისკების დაზღვევა; გათვალისწინებულ იქნეს უცხოური აუდიტი და ანგარიშწორების თავისებურებანი; განისაზღვროს ვაწრო ადგილები ბანკის საქმიანობაში; მოხდეს ორიენტირება საერთაშორისო კონიუნქტურასა და ქვეყანას, რეპუბლიკას, ეკონომიკური რეგიონის გადიდებული კომერციული რისკის პირობებში; კონტროლი გაწეულ ეკონომიკური ბანკის მუშაობის ხარისხს. მიღებას შექმნა უნდა ეფუძნებოდეს სინთეზის დიალექტიკური დისკრეტული მატრიცების სისტემის ცალკეული ნაწილის გამოყენებას, რომლებიც ხაზს უსვამენ, ურთიერთ კავშირსა და ურთიერთგავლენას.

პროგრამის ალგორითმი შეიძლება შეიცავდეს შეზღუდვებს, განსაზღვრული პირობების გამორიცხვას, ამოცანების ამოხსნის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტის განხილვას. მაგალითად, მხოლოდ საქართველოს, კომერციული რისკების, ან მხოლოდ საგარეო ფაქტორების, ან კლიენტის მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის გავლენის ანალიზს და ა.შ. მეთოდიკა უნდა შეეფარდებოდეს ალგორითმების აღწერის კონკრეტიკას და პრაქტიკის განხორციელების პროცედურებისაგან, მას უნდა ემოქმედებდეს გამოყენებითი პროგრამების პაკეტები და მისი ინსტრუქციები. ბანკის ეკონომისტ-ანალიტიკოსის და მისი ხელმძღვანელებისათვის ამგვარი, აქტიზატორებული ალგორითმის შექმნა, საინფორმაციო- მრჩეველი სისტემის დარეგვა თითეული კომერციული ბანკის საქმიანობაში საშუალებას იძლევა ქვეყნის მასშტაბით გადაწყდეს ერთიანი საინფორმაციო სამსახურის პრობლემა, რათქმა უნდა, შესაბამისი სარგებლობისათვის, ასე ინფორმაციის მომზადებისათვის, საზღვარგარეთული ფირმებისათვის საეცალური საინფორმაციო, კრებულების შექმნისათვის. ბანკს ამგვარი საქმიანობა, მისი მხრიდან განსაკუთრებული ხარჯების გარეშე გამოიწვევს მისი ოპერაციების მომგებიანობის არსებით ამაღლებას. მომხმარებლისათვის საჭირო სპეციფიკური, ძვირადღირებულ მომსახურების ინფორმაციის გაყიდვების ბარეზე.

მოცემული მრავალვარიანტული მოდელიდან ჩანს, რომ ბანკის რისკის შეფასების საზღვრებ, ცალკეული მსესხებლის დარეგისტრირებისას, დამოკიდებულია ინფორმაციის ხარისხზე, რომელსაც ემყრდნობა შეფასება. ბანკის ყოველი ცალკეული დაწესებულებისათვის შეიძლება შეიქმნას ფართო, თანამედროვე, საიმედო საინფორმაციო ბაზა. შესაქმნელი ბაზის მონაცემების ფასეულობა გამოიხატება მისი გამოყენების შესაძლებლობაში ძირითადი ურთიერთკავშირებით

გაანგარიშებისა და ინტერპრეტაციის შემთხვევაში, რომელიც პროგნოზირებას ახდენს მსესხებლის შესაძლებლობისა, დააბრუნოს გაცემული სესხი და პასუხი აგოს თავის ვალდებულებებზე დროის გარკვეულ მონაკვეთში.

შესაბამისი გარდაქმნების ზუსტი პროგნოზირებისათვის აუცილებელია განხორციელდეს მუშაობა სამი მიმართულებით: თეორიული გამოკვლევების ჩატარებით; კონსულტაციების მიღებით; ექსპერიმენტალური გამოკვლევების ჩატარებით.

თეორიულმა გამოკვლევებმა უნდა განსაზღვრონ ძირითადი მაჩვენებლები ქვეყნის, რეგიონის, რესპუბლიკის, ნებისმიერი დაწესებულების მონაცემების ბაზის ფორმირებისათვის, უკვე არსებული სტატისტიკური გამოკვლევების საფუძველზე, რომლებიც ეხება, რეგიონის თითეული საწარმოს გარეგან რისკებს. გარეგან რისკებს მიეკუთვნება შემდეგი ფაქტორები. პოლიტიკური: ომი, ოკუპაცია, აჯანყებები, უწესრიგობები, რაც გამოწვეულია ტერიტორიალური პრეტენზიებით, იდეოლოგიური შეუთანხმებლობებით; ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტით, რეგიონალიზმით, პოლიტიკური პოლარიზაციით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რისკებით და ა.შ.

სოციალური: სამოქალაქო ომები, უწესრიგობები, შემოსავლების არაერთგვაროვანი განაწილება, კავშირის საომარი განწყობილება, რელიგიური უთანხმოებები, სოციალურ ჯგუფებს შორის ანტაგონიზმი.

ეკონომიკური: ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდის ხანგრძლივი შემცირება, გაფიცვები, პროდუქციაზე ფასების სწრაფი ზრდა, საექსპორტო შემოსავლების შემცირება, პროდუქტების ან ენერგიის იმპორტის მოულოდნელი ზრდა და ა.შ.

საგარეო ფაქტორების ძირითადი მაჩვენებლების გარდა, თეორიულმა გამოკვლევებმა უნდა გამოყონ რისკის, როგორც პროცესის ძირითადი ფაქტები: რისკისკენ მიდრეკილების პერიოდი; ფაქტორები ან მოვლენები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ რისკის მატერიალიზაცია და მათი შესაძლებლობების ხარისხი, რისკის რეგულირების მეთოდები მათი შემცირების მიზნით; რისკის ზუსტი შეფასება.

ჩვენი ქვეყნის კომერციულმა ბანკებმა შეიძლება მიმართონ საზღვარგარეთის ბანკების დახმარებას, ცალკეული მსესხებლებისათვის გარეშე რისკების განსაზღვრის მიზნით ან გამოიყენონ წლიური ხელმოწერა რეიტერსის ეკონომიკური სიახლეების სამსახურისათვის მონაცემების შესაბამისი ბაზის ჩამოსაყალიბებლად.

ბანკის მოხელეებს შეუძლიათ გამოიყენონ სამინისტროების და უწყებების, წამყვანი ექსპერტების კონსულტაციები, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროსი და საგარეო ვაჭრობის სამინისტროსი; რუსეთის ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს სხვა ბანკებს მიაწოდოს ინფორმაცია საერთაშორისო საფინანსო ბაზრების საქმიანობასთან დაკავშირებით; კომერციულ ბანკებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუცვალონ და განიხილონ კლიენტების საგარეო და საშინაო რისკების სიღიდეთა განსაზღვრის პრობლემები, რომლებიც კომერციულ საწყისებზე მუშაობენ, ასევე უნდა გამოიკვლიონ თავიანთი კლიენტების საგარეო და საშინაო რისკები საინფორმაციო ბაზის მნიშვნელოვანი შეფასება მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტებსაც შეუძლიათ.

ექსპერიმენტული გამოკვლევები გულისხმობს ბანკის შიგნით ექსპერტიზების სერიების ჩატარებას. ექსპერიმენტის მიმართ მოთხოვნები: ბანკისათვის ყველაზე უფრო ტიპიური საკვლევი კლიენტურის საგულდაგულო ამორჩევა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; მონაცემების დუბლირების არ ქონა; ინფორმაციის დაყოფა მუდმივად და ცვლადად; საწარმოსაგან, ბანკისაგან,

ექსპერტისაგან ინფორმაციის მიღება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური აქტუალობის შესახებ, შრომითი კოლექტივის კვალიფიკაციის, სამეურნეო ორგანოს საფინანსო მდგრადობის, სარეწველო ერთეულით მართვის ხარისხის, განვითარების სტრატეგიის ცვალებადობისა და საინვესტიციო პოლიტიკის, კვალების არსებობის, მათი დონის, საწარმოს განვითარების რეალური პროგნოზის ხარისხის შესახებ შეთავაზებულ პირობებში და ა.შ.

ყველა ეს მეთოდი საშუალებას იძლევა შეიქმნას მონაცემების საიმედო ბაზა კონკრეტული მსესხებლის რისკის შესაფასებლად. შემდეგი ეტაპია აუცილებელი ინფორმაციის შერჩევა. მისი განახლების ორგანიზაცია და შენახვა მაქსიმალურად ხელმისაწვდომ პირობებში. ინფორმაციის საუკეთესო შენახვას უზრუნველყოფს კომპიუტერი ან მიკროფილმი. რადგან რისკების შეფასება ღრმად ინდივიდუალური საქმეა თითოეული ცალკე აღებული ბანკისათვის, ამიტომ უნდა მიექცეს ყურადღება, იმას რომ ბანკის ინფორმაცია და გამოცდილება არ აღმოჩნდეს დაკარგული ან კონკურენტის ხელში. ბანკის სპეციალისტებისათვის საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ იმ კადრების დენადობას, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია ინფორმაცია ბანკის ან კლიენტის რისკების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რისკებს, რომლებიც წარმოიშვებიან ერთობლივი საწარმოს ან გარიგების საზღვარგარეთელი მონაწილეების მიერ ოპერაციების განხორციელებისას. ამ შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს იმ ქვეყნის რისკის შეფასება, რომელშიც იმყოფებიან გარიგების მონაწილეები. ასევე შეფასდეს ცალკეული ქვეყნის წილი ერთობლივი საწარმოს საქმიანობაში ან საზღვარგარეთ გადახდევების განხორციელების დროს და ა.შ. ეკონომიკური ანალიზი არ შეიძლება ჩამოვაშოროთ პოლიტიკურ ანალიზს. ქვეყნის რისკი უბრალოდ დაჯამება არაა პოლიტიკური და ეკონომიკური რისკებისა. ის წარმოიშვება პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების ურთიერთმოქმედების შედეგად. დავალიანების გადახდის შესაძლებლობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა ჩატარდეს ყოვლის მომცველი ანალიზი. კერძოდ, ეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება უნდა ეფუძნებოდნენ პოლიტიკურ ანალიზსა და პროგნოზს.

ყველა სხვადასხვა მიმართულების და მრავალმხრივი ფაქტორების აღრიცხვა საშუალებას იძლევა სწორად განისაზღვროს საერთო რისკის დასაშვები ხარისხი, ცალკეულ მსესხებლისა და მთლიანად ბანკის მიმართ, განხილული მათემატიკური მოდელების მიხედვით.

3. ქვეყნის (რესპუბლიკის), ეკონომიკური რეგიონის დაკრედიტების რისკი

ბანკი იყენებს ქვეყნის ამ რესპუბლიკის რისკის შეფასებას იმისათვის, რომ მან გაუსწროს ბაზარს სარეწველო მაჩვენებლების მიხედვით, დაიკავოს ბაზარზე განსაზღვრული პოზიციები, ასევე მიიღონ რისკების პოლიტიკური, საბაზრო, სავალუტო და სხვა შეფასება. თუმცა, თუ ბანკი საშუალო საბაზრო კურსთან ახლოს მუშაობს, ის შეძლებს სხვა ქვეყნების ბანკების მიერ თავისი ქვეყნის (რესპუბლიკის) რისკის შეფასების გამოყენებას. ქვეყნის რისკის შეფასება აუცილებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკი აპირებს მუშაობას საშუალო საბაზრო კურსის ზევით.

თუ რისკის საბანკო შეფასება აღმოჩნდება უფრო ზუსტი, მაშინ ბანკის დანაკარგები ნაკლები იქნება და ის გააკონტროლებს უფრო ფართო დაშორებას ფასებს შორის. ამ მიზნით ბანკმა უნდა

შეგროვების და ფლობის ზუსტ ინფორმაციას და უფრო ღრმა მიდგომას ამ ინფორმაციის ინტერპრეტაციის მაძარით, საერთაშორისოსთან შედარებით, ასევე უნდა გაანდეს მოწინავე ტექნოლოგია, ანალიტიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები.

ქვეყნის რისკის შეფასების თავისებურებანი. ქვეყნის ან რეზიდენტის რისკის შეფასების სართულე კომერციულ ბანკებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ეს შეფასება არ შეიძლება დაეფუძნოს აქტივების ბალანსების ანალიზიდე და რამდენიმე ძირითად თანაფარდობიდე, ის უნდა მოიცავდეს ცალკეული სექტორების გაბნილად განხილვას და პროგნოზირებას. ეს მოითხოვს არა მარტო რთული ტექნოლოგიის დაუფლებას, არამედ ამ ცალკეული სექტორების ურთიერთმოქმედების შეცნობის სწორი დასკვნების მისაღებად, წინასწარ განსაზღვრული ცალკეული სექტორების, სპეციალური ოსტატობისა და ამ პრობლემებით დაკავებული მოხელეების პროფესიული ოსტატობის მაღალი მოთხოვნილებების საფუძველზე.

მეორე სართულს წარმოადგენს ქვეყნის ან რეზიდენტის რისკის შეფასების მუდმივი და ხარჯიანი პროცესის აუცილებლობა. ამას მივყავართ შეფასების მაღალ ღირებულებასთან. ერთი ქვეყნისათვის რისკის შეფასების მაახლოებითი ღირებულება, ხარჯიანი პროგნოზით, რეგიონული ეკონომიკური ტენდენციების გამოკვლევით, სასაქონლო ბაზრის ტენდენციითა და მსოფლიო მრეწველობით წარმოადგენს დაახლოებით 20 ათას ღოლარს წელიწადში. ღანახარჯებში გათვალისწინებულია ბანკის ცალკეული ქვეგანყოფილების დახლოებით 20 ადამიანი, წლიური სამუშაოს სრული ანაზღაურებით. ისინი მოიცავენ პირდაპირ ხარჯებს, რაც სჭირდება მოგზაურობებს, ინფორმაციას, კომპიუტერული პროგრამების ყოველწლიურ ამორტიზაციას, სხვა ქვეგანყოფილებების მომსახურებას, ექსპერტების სწავლების ქვეყნის რისკის განსაზღვრისას, ასევე არაპირდაპირი ხარჯებისგან - შერეული პროგრამების განხორციელებისას: გალიცენზიული კერძისა და კომპიუტერის პროგნოზირება, ბანკის მოგების წლიური გეგმა და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, ბაზრის, სახელმწიფოსა საქმიანობის შესახებ, ინფორმაციის მაწოდება და ა.შ.

ხანდახან ბანკებ მიმართავენ სპეციალიზებული საკონსულტო მომსახურების, რომლებიც საკომისიო ჯილდოს საფასურად, წარმოადგენენ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს. ბანკები აუცილებლად ამოწმებენ მიღებულ ინფორმაციის საუცილებელი კორექტივების შეტანით, ან მას იყენებენ თავიანთი ანგარიშების შესამოწმებლად და დასაბუთებლად. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ანგარიშებს პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრი ცვლილების და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში.

ქვეყნის რისკის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ფუნდამენტალური გამოკვლევების შედეგებს. ასე მაგ, დაფასთანების გადახდის შესაძლებლობა რიგ განვითარებად ქვეყნებში განისაზღვრება, ან უკიდურეს შემთხვევაში, იმეორება საკმაო ბაზრების ტენდენციურობის გავლენის ქვეშ: სამუნდო ზამბახში და ხილეში; ყავა ბრაზილიაში, კოლუმბიაში და ა.შ. უმეტეს განვითარებად ქვეყნებში ნავთობზე ფასების ტენდენციები გავლენას ახდენენ დაფასთანების გადახდის შესაძლებლობაზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მრეწველობის სახეობების შორის ხარჯების სწორი ტრანსპორტირების პერიოდული შესწავლა, რადგან კრედიტების რისკის სარგებლის გადახდებზე ყოველთვის არ შეიძლება ეკონომიკის განსაზღვრელ ქვეყანას. რეგიონული გამოკვლევები სასარგებლოა, მაგ, რეგიონული დაჯგუფების გავლენის განსაზღვრისათვის, ამ დაჯგუფების წევრების ქვეყნის ეკონომიკაზე.

მსოფლიო ეკონომიკაში ძირითადი ტენდენციები მოლიანად და მსოფლიო სავაჭრო და საფასანსო ბაზრებზე, საწარმოებიც უნდა განსაზღვრის, უკიდურეს შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ და ყურადღება უნდა მიექცეთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ამასთან, ერთი და იმავე ქვეყნისათვის, ქვეყნის რისკი იცვლება კრედიტის გადახდის ვადის, სესხის მიღების ტიპისა და კრედიტის მიზნის მიხედვით, ამრიგად, არ შეიძლება ქვეყნების კლასიფიკაცია უბრალოდ, როგორც ცუდი და კარგი რისკის მქონე ქვეყნებად. ზოგიერთ ქვეყანას გააჩნია კარგი რისკი მხოლოდ მოკლევადიანთან საქმიანი ურთიერთობების განსახორციელებლად და არა არაგარანტირებული კარძო კრედიტებისათვის, რომელსაც ცალკეულ ფირმებს და ერთობლივ საწარმოებს აძლევენ, ანალოგიურად პროექტების დაკრედიტება რისკით მისაღები იქნება იმ ქვეყნებში, სადაც ბანკები გაეცნობიერნენ მრავალ სხვა გარემოებას. მრავალი რისკის შეფასება აუცილებელია დაკრედიტების ამორტიზაციის მისაღწევად და რისკის მართვის ორგანიზაციისათვის. გუთვალისწინებელ მოვლენებს შეუძლიათ ძლიერ შეცვალონ წარმოდგენა ქვეყნის რისკზე და ხშირად დროის ძალიან მოკლე შუალედში. ცალკეზე უფრო მნიშვნელოვანი ქვეყნებისათვის საკმარისი არაა რისკის შეფასება წელიწადში ერთხელ. ისინი უნდა ამეოდნენ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და რისკი ყოველთვის ხელახლა უნდა შეფასდეს, როგორც კი მოხდება გუთვალისწინებული შემთხვევა, ან ნაკლები გახდება, რომ წინადადებები, რისკის შესახებ, რომლებიც წინათ, რისკის შეფასებისას გამოიყენა, სწორი არ არის.

ყოველდღიური დაკვირვება შეიძლება კომპიუტერული ეკონომეტრიკული მოდელის დახმარებით განხორციელდეს.

ბანკის შინაგან საქმიანობასა და საერთაშორისო საბანკო საქმიანობას შორის მნიშვნელოვან განსხვავების წარმოადგენს ის, რომ ზრდა შინაგან საბანკო საქმიანობაში მიიღწევა სახსრების ერთდროული აკუმულაციისა და დაკრედიტების ხარჯზე. ეს არ შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული ერთობლივი საშუალებების რისკისა და სხვა საერთაშორისო ოპერაციებას შეფასებისას. ასე, 70-იან წლებში საერთაშორისო საფინანსო ბაზრის ზრდა საშუალოდ წლის განმავლობაში 29 %-ს შეადგენდა. ახალი კრედიტების მოცულობა, რომელიც უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული, რათა მხარი დაეჭირათ მონაწილეთა მუდმივი საბანკო საბაზრო წილისათვის, იზრდებოდა ორჯერ მეტად ყოველ სამ წელში. ბანკები, რომლებსაც სურდათ გაეღიდებინათ თავიანთი მონაწილეობის საბაზრო წილი, ზრდიდნენ მსხვილ კრედიტებს, თითქმის, ყოველ ორ წელიწადში. სამჭარე შემცირდა 80-იან წლებში, მაგრამ მაინც დიდი დარჩა. ასეთ გარემოებაში ქვეყნის რისკის შეფასებისას, საერთაშორისო ბანკირები შეიძლება არასაკმარად ობიექტურები იყვნენ. ქვეყნის რისკის შეფასებისას მსესხებლის ბანკს აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება.

რისკი შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოველდღიური საკრედიტო ურთიერთობის ოპერაციების განხორციელებისას, სავალო კრიზისის შემთხვევაში, პოლიტიკის შემუშავებისათვის, დაკრედიტების ზღვრების დადგენისას, გრძელვადიანი დაგეგმვის დროს, სავალუტო კურსის მართვისას და ბანკისა და მისი ოპერაციის აღგილის შეფასებისას, ქვეყნის რისკის შეერთების გზით სხვა რისკებთან, რომლებსაც ეწევიან ერთობლივი საწარმოები და ოპერაციის სხვა მონაწილეები.

ბანკისათვის მნიშვნელოვანია რისკების შეფასების კარგი ექსპერტის რეპუტაციის მოპოვება.

ქვეყნის რისკი - ესაა უცხოური დაკრედიტებისას დანაკარგებისადმი მიდრეკილება, რომელიც გამოწვეულია სხვა სახელმწიფოს მოვლენებით ამ მოვლენებს რაღაცნაირად უნდა მართავდეს მოცემული სახელმწიფოს მთავრობა.

ქვეყნის რისკი მიეკუთვნება კაპიტალებს და არა ვალდებულებებს, თუმცა, შეიძლება არსებობდეს უცხოური ვალდებულებების რისკი ბანკის სისტემაში, რომლებსაც ფილიალები აქვს საზღვარგარეთ, მაგ., ღომინიკალურ რესპუბლიკაში საფასანსო ბანკისა და ბანკში მოთხოვნების

მოზღვევების, ბანკს შეუძლია დაზურის თავის კარი და უარი თქვას გადახდებზე. კანადის ბანკის აღგილობრივი განყოფილებებისათვის სიტუაცია სხვა გვარია, რადგან მათი რესურსები გარანტირებულია დაწესებულებით. ამრიგად, დაწესებულება შეიძლება იძულებული გახდეს ქვეყანაში შემოიღოს მტკიცე ვალუტა, რათა გადაიხადოს თავისი ვალდებულებები. ვალდებულებების ასეთი რისკი, თუმცა ძალიან ჰგავს ქვეყნის რისკს, საჭირო ვალდებულებების რისკის მიკუთვნება.

უცხოურ კაპიტალებს შორის ქვეყნის რისკის განსაზღვრა შეიცავს მხოლოდ კრედიტების. უცხოური დაკრედიტების რისკი განსხვავდება პორტფელი უცხოური ინვესტიციების რისკისაგან, რადგან ბანკების უმეტესობა და სხვა დაწესებულებები ორივე ტიპის რისკს ეწევიან. მისაღებია მკაფიოდ გაიყოს ეს ორი ცნება, ტერმინი "ქვეყნის რისკი" შემოიფარგლოს უცხოური დაკრედიტების რისკით. ბაგემელი მსესხებლისათვის კრედიტის გაცემა აშშ-ს დოლარებში, ქ.ნიაუ უცხოური ბანკის განყოფილებაში უკავშირდება ქვეყნის რისკს, იმ დროს, როდესაც თვით ბანკის განყოფილება (შენობა, ავეჯი, მოწყობილობა, ნაღდი ფული სალაროში, საქმიანი კავშირების პირობითი ღირებულება, საქმიანობის შესაძლებლობა) უკავშირდება უცხოური ინვესტიციების რისკს.

ქვეყანაში უცხოური დაკრედიტების ყველა სახეობა - ეს იქნება მთავრობისათვის, ბანკებისათვის, კერძო საწარმოებისათვის, თუ კერძო პირებისათვის გაცემული კრედიტები, უკავშირდება ქვეყნის რისკს. ამრიგად, ქვეყნის რისკი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სუვერენული რისკი, რომელიც წარმოადგენს სუვერენული ვალდებულების მქონე მთავრობის დაკრედიტების რისკს.

მხოლოდ იმ მოვლენების, რომლებსაც თუნდაც რაღაცნაირად სახელმწიფო მართავს, შეუძლიათ მოგვევანონ ქვეყნის მატერიალიზებულ რისკთან. გადაუხდელობა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის არასწორი მართვის შედეგად მთავრობის გაკოტრებასთან, მიეკუთვნება ქვეყნის რისკს, ხოლო ფირმის არასწორი მართვისას - კომერციულ რისკს.

თუ სტაბილური უბელურებები გაუთვალისწინებელია, ისინი არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ქვეყნის რისკი, მაგრამ, თუ მათ აქვთ პერიოდულობის ტენდენცია. მაგ. ტაიფუნები სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, მაშინ მთავრობას შეუძლია მანიმუმამდე დაიყვანოს მათი გავლენა.

ფრთხილი ბანკირები, ქვეყნის რისკის შეფასებასას, მათ ღიდ ყურადღებას აქცევენ.

ქვეყნის რისკის კლასიფიკაცია.

ქვეყნის რისკის კლასიფიკაციის საფუძველში ჩაღებულია შემდეგი კრიტერიუმები:

რისკის ობიექტი	- კაპიტალი, ვალდებულებები.
კაპიტალის ტიპი,	
რომელიც ეწევა რისკს	- კრედიტები, პორტფელი ინვესტიციები
გეოგრაფია	- რუსეთის რისკი, გფრ-ის რისკი და სხვა.
მოვლენების ბუნება	- პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, გეოფიზიკური
მსესხებლის ტიპი	- დამოუკიდებელი რისკი, სამთავრობო რისკი, ფირმის რისკი, კერძო პირის რისკი.
მსესხებლის მოქმედება	- გადახდაზე უარის თქმა, ვალდებულებების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების გადასინჯვა, გეგმის გადასინჯვა და ა.შ.
რისკის ხარისხი	- მაღალი, დაბალი, საშუალო.

ყველაზე მნიშვნელოვანია მსესხებლის მოქმედების აღრიცხვა, გადახდაზე უარის თქმის ან ვალდებულებების შეუსრულებლობას, მკვლევ ატყობინებს კრედიტორს, რომ ის აღარ შეიტანს გადასახდელს პროცენტებზე, რადგან არ შეუძლია ან არ სურს გადახდა, (ვალდებულებების შეუსრულებლობა), ან ობიექტ, რომ არ ცნობს ვალს (გადახდაზე უარის თქმა). რადგან გადახდაზე უარის თქმა აშკარაად გვხვდება, აქ შეჩერდებით მხოლოდ ვალდებულებების შესრულებაზე.

ხელშეკრულების გადასინჯვა ნიშნავს, რომ კრედიტორმა უნდა მიიღოს ნაკლები, ვიდრე დაგეგმილი იყო, რადგან პროცენტის განაკვეთი შემცირდა ან ვალუტის ნაწილი არ იქნა გადახდილი.

გეგმის გადასინჯვა ან მორატორიუმი ნიშნავს კრედიტის ვადების გაგრძელებას, როგორც თანხის ყოველწლიური განაღდების შემცირების ხარჯზე და მასი განაწილება წლების მეტ რაოდენობაზე, ვიდრე თავდაპირველად იყო შეთანხმებული (გეგმის გადასინჯვა) ასევე იმის ხარჯზეც, რომ არსებობს შეღავათიანი ვადა ვალის თანხის დასაფარავად (მორატორიუმი) მოსაწილეობის წილი (ან გაწევრება) ორგან რჩება, როგორც თავდაპირველად იყო შეთანხმებული.

შეიძლება წარმოიშვას დანაკარგები გამოუკენებელი, ხელსაყრელი შესაძლებლობის შედეგად, თუ კრედიტორმა გასცა ვალის თანა უფრო მალალი პროცენტით, ხალო გადახდა მოხდა თავდაპირველად შეთანხმებით, ყოველთვის შეიძლება გამოიწვიოს შემოსავალი, თუ ლიკვიდობის მოძრაობის ფუნქციური სჭირს განსხვავებული იქნა ლიკვიდობის საერთაშორისო მოქმედებისაგან არსებობს დამატებითი ადმინისტრაციული ხარჯები - ხარჯები მოლაპარაკებებისათვის, გეგმის ან მორატორიუმის გადასინჯვის შესახებ წევრებთან. ამ ხარჯებისაგან ზარალები კრედიტორი, მაგრამ ეს ხარჯები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ხარჯის ნაწილი, რომელიც ახალი თანხის პროცენტს შეადგენს.

ტექნიკური დანაკარგები წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს არ შეუძლია შეასრულოს ვალის ერთი ან რამდენიმე ვალდებულება, დროებითი გადახდისუუნარობის, ადმინისტრაციული შეფერხების ან სახსრების უკმარისობის გამო. აქციები კეთდება სიტყვაზე "დროებით", ჩვეულებრივ არსებობს რაღაც ეჭვი იმის შესახებ, რომ შეკვეთ, ბოლოს და ბოლოს, შეძლებს შეასრულოს ვალის გადახდაზე თავისი ვალდებულებანი. ის ასევე იხდის პროცენტს, ხანდახან საჯარიმო კურსით, როგორც გადასახდის მომხმარებაზე. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორის თვალსაზრისით, ეფექტი იგივეა, როგორც მორატორიუმის შემთხვევაში; ხელსაყრელი შესაძლებლობის გამოუყენებლობითა და მოგების დაკარგვით, გამოწვეული დანაკარგები, ასევე დამატებითი ხარჯები, მსესხებლის წახალისებლად თავისი ვალდებულებების შესასრულებლად.

თუ მთავრობის მიერ შემოღებული შეზღუდვა, რომელიც კრძალავს გაცვლას, გადასახდების გადაგზავნა შეუძლებელი გახდება, რისკის ასეთი ტიპი მატერიალიზდება მხოლოდ კერძო მსესხებლებისათვის. თუ მთავრობას არ შეუძლია გადაიხადოს თავისი საკუთარი ვალები, რადგან მას არა აქვს უცხოური ვალუტის საკმარისი რაოდენობა, რისკი დაკავშირებულია გადაუხდელობასთან, ხელშეკრულების გადასინჯვასთან, გეგმის გადასინჯვასთან, მორატორიუმთან, ან ტექნიკურ დანაკარგებთან.

განსაკუთრებით არსებითია ქვეყნის რისკის მკაფიო განსაზღვრა ექსპორტისა და სავალუტო ამონაგების შემცირების და მთლიანად პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში. თუ ორი წლის წინ ჩვენმა ქვეყანამ მიიღო კრედიტების ყველა სახეობა, გადაუხდელობის რისკზე დაბალი დანამატით წლიურის 1,8 %; შესაბამის საბანკო განაკვეთებზე ზემოთ, მაშინ რისკის გაზრდის გამო, ეს დამატება გაიზარდა წლიურის 3,4 %-მდე. ამას ემატება აუცილებელი გარანტიები სხვა ქვეყნების მთავრობებისაგან, რადგან მთელი იმპორტის შეწყვეტა ან მორატორიუმის გამოცხადება ამჟამინდელ პოლიტიკურ პირობებში ჩვენთვის შეუძლებელია.

ამავე დროს უცხოური ბანკები ყოველთვის არ არიან თანახმა თავიანთი თავზე აიღონ ერთობლივი საწარმოების დაკრედიტების რისკები სახელმწიფოებრივი გარანტიების გარეშე. ამგვარი მდგომარეობის მიზეზებია: არასრულყოფილება საერთაშორისო პოლიტიკის, ქვეყნის განვითარებულობის (კერძოდ საგარანტიო უფლების დაუმუშავებლობა) თვალსაზრისით, სამეურნეო მექანიზმის ნაკლოვანებები (სიმწვავეები მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, საკმაოდ კვალიფიცირებული ძალების ნაკლებობა და ა.შ.) მოპატიჟებული რისკები, რაც დაკავშირებულია პროექტების სავალუტო თვითანაზღაურების არადამაკმაყოფილებლობასთან; საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ან უბრალოდ, მისაღები კომერციული და საფასნიო ინფორმაციის არქონა პარტნიორებზე, პოტენციალურ გარანტიებზე და სხვ.

რესპუბლიკის რისკი. ამ კომერციულ ბანკებში, რომლებიც ემსახურებიან ერთობლივ საწარმოებს ან აქვს (გენერალური) ლიცენზია საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე, მიზანშეწონილია ბანკის რისკების კორექტირება მოხდეს სადაზღვევო რისკით. ეს ეხება ქვეყნის ყველა კომერციულ ბანკებსაც, რესპუბლიკას, ეკონომიკური რეგიონის და ა.შ. რისკებთან მიმართებაში, რომ განისაზღვროს ბანკის საერთო რისკის დაზიანების ხარისხი, საჭიროა შეგა რისკების კორექტირება რესპუბლიკის რისკებით მოხდეს:

$$E : H = ((P1 \ldots + \ldots Pn) : K) \times E \quad ,$$

რაც ნიშნავს, აიგოს ეკონომიკური ურთიერთობები ურთიერთ შორის სხვადასხვა რესპუბლიკის და რეგიონების კლიენტებთან სარისკო ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით. ასე, მაგალითად, ღიობე ბანკის სარენტაბელო შეფასების თანახმად, მხოლოდ 12 ეკონომიკური ფაქტორის მიხედვით, გარდვევა რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკებს შორის ძალიან მაღალია. შეფასების, საფუძვლად დაეყო კრედიტორული ღირებულება: 0 – დაბალი, 5 – საშუალო, 10 – მაღალი. შედეგად უკრაინის, ბალტიისპირეთის, რსფსრ-ს და საქართველოს კლიენტები და ბანკები საზღვარგარეთული და სამხრეთ კომერციული და საბანკო ოპერაციების მონაწილეებისათვის წარმოადგენენ უფრო სახურველ პარტნიორებს, ვიდრე სხვა რესპუბლიკების კლიენტები და ბანკები. უფრო მეტიც ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება განისაზღვროს შესწორების კოეფიციენტი ყოველი რესპუბლიკის კომერციული ბანკის დაკრედიტების რისკის შესაფასებლად შემდეგი ფორმულით:

$$E = EF : (F1 \ldots + \ldots Fn) \quad ,$$

სადაც E – ქვეყნის, რესპუბლიკის ან რეგიონების რისკის კოეფიციენტია;

EF – ყველა გათვალისწინებულ ფაქტორის ზემოქმედების მაქსიმალურად შესაძლებელი ჯამი (მოც. მაგალითში ის ტოლია 10 x 12 = 120);

F1 . . . Fn – ყოველი ფაქტორის ზემოქმედების ხარისხი.

ცალკეული ბანკის მსესხებლის, საწარმოების ჯგუფის, დარგის, რესპუბლიკის, ქვეყნის რისკის შეფასების სფეციალების დამუშავებამ და ამგვარი ინფორმაციის გაცემამ, გარკვეული საკომისიო ჯილდოს სანაცვლოდ, კლიენტის პირველი მოთხოვნისთანავე, ბანკების საშუამავლო ოპერაციებში უნდა დაიკავოს ძირითადი ადგილი. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ბანკები, არსებითად, წარმოადგენენ საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და რესპუბლიკის ეკონომიკური რეგიონების მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის ინფორმაციის ერთადერთ მფლობელს, რადგან ბანკები აუცილებლად შეიცავენ თავისი და თავის კლიენტების გადახდისუნარიანობის, მეთოდიკის შედგენისა და თავისთა კლიენტების შინაგანი და გარეგანი კომერციულ და პოლიტიკურ რისკთა სიღრმის განსაზღვრის ხარჯები უფრო იაფი დაუჯდებათ, ვიდრე მსგავს საქმიანობაზე სპეციალიზებული ფირმების შესაბამისი ხარჯები, კლიენტების საკრედიტო

რისკების განსაზღვრა ბანკებისათვის არაფერი ღირებება იმიტომ, რომ ისინი თავისთვის მაინც ატარებენ ამ სამუშაოს. ეს უზრუნველყოფს სპეციალიზებულ კომპანიებთან, ბანკის საკონკურენტო ბრძოლაში წარმატების მიღწების საკმაო წყაროს და ბანკების მდგრადობას საბაზრო ეკონომიკაში.

4. დაზღვევა, როგორც რისკების მართვის საშუალება

დაზღვევის ისტორიიდან. თუ ისტორიას მივმართავთ, შეიძლება დავასაბუთოთ, რომ დაზღვევა-საზოგადოებრივი კლავეწარმოების აუცილებელი ელემენტია. სადაზღვევო ფონდების შექმნის შესაძლებლობა წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების განვითარების სტადიაზე, როდესაც საწარმოო ძალების დონეზე სახსრების საწილი სამომავლოდ გადადების საშუალების იძლეოდა. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად დაზღვევა გახდა დიდწილადაც დღეს ასე ცნობილი დარგი. დაზღვევა გამოყო დასაზღვევ ხელა განცალკევებულმა სადაზღვევო ფონდმა თუმცა მოიცავა კვლა სადაზღვევო კომპანიებს, საჭიროდ ჩაითვალა სალუწყისო სადაზღვევო ორგანიზაციებში კონკრეტული საწარმოებისა და ინდივიდუალური დაზღვევების მცირე რისკების შეწყვეტის ქვეშ ერთიანი მიდგომის შემუშავება. განვითარებული მრეწველობის ქვეყნების სადაზღვევო ფონდის სტრუქტურა, სქემის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:



სქემა 11

დაზღვევა ახრულებს მნიშვნელოვან, საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციებს. სადაზღვევო ფონდების ძირითადი წყარო მომართულია საზოგადოებრივი პროდუქტის დაკარგული ელემენტების ანაზღაურებისაკენ, ამით კვლავწარმოების პროცესის განახლების წინაპირობები იქმნება. მეორე არსებითი ფუნქციაა - ფულადი კაპიტალის დაგროვება, რომელის უმეტეს ნაწილს შეადგენს მოსახლეობის ფულადი დანაზოგები.

ჩვენს ქვეყანაში, საქმე სახელმწიფოს შესახებ კანონის მიღებაა, სახელმწიფო დაზღვევის მონაწილეა ლიბერტი. რუსეთის სახელმწიფო დაზღვევის სახით სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის გვერდით, ქვეყნის ცალკე კუთხეში, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების გვერდით ფუნქციონირებს მრავალრიცხოვანი სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც საქმიანურ საუძველზე შექმნილა.

მიუხედავად სამამულო დაზღვევის დემონოპოლიზაციისა, მისი განვითარება ფერხდება. ძირითად წინააღმდეგობას სადაზღვევო საქმის განვითარების გზაზე წარმოადგენს: დაზღვევაზე კანონმდებლობის, ასევე ღია სტატისტიკური ინფორმაციისა და სადაზღვევო ზელმძღვანელობის არქონა.

სადაზღვევო ფონდები, როგორც საკრედიტო რესურსების წყარო. სადაზღვევო ფონდები, რომლებიც ამეურნეობათ სპეციალიზებული სადაზღვევო ორგანიზაციების განკარგულებაში, იღებენ კაპიტალის ფორმას. სანამ კაპიტალის ანალოგიურად, სადაზღვევო საქმეში ჩადებული დაზღვევის კაპიტალი, იყოფა საკუთარ კაპიტალად, რომელიც შეიქმნა აქციონერების შენატანებისაგან და მოზიდულობებისაგან. მოსახლეობიდან და კომერციული დაწესებულებებიდან შემოსულობანი, დროის მიხედვით არ ემთხვევა ანაზღაურების მოსწრება და რაოდენობა. ეს ხასრები იძლევა სადაზღვევო კომპანიას გარკვეულებაში და მოზიდულ კაპიტალს წარმოიქმნის. მოზიდული კაპიტალი იზრდება სადაზღვევო ფონდის ზრდის შედეგად და თვითგაზრდის წყაროობით, რადგან გამოიყენება, როგორც დამატებითი შემოსავლების წყარო.

დამზღვევის შემოსავალთა პოზიციების მიხედვით მეორეა შემოსავლები დაბანდებისაგან. თავისუფალი საფინანსო ხასრების ეფექტური დაბანდების, ამონაგების მაქსიმალური საიმედოობის შემთხვევაში, მაღალი შემოსავლები მოაქვს. მაგ., გფრ-ში დაბანდების თანხა (საფინანსო სინდიკატიები) 1985 წელს შეადგენდა 527 მლნ მარკაზე მეტს, ე.ი. თითქმის, 4,5-ჯერ მეტს, ვიდრე შეგროვებული შენატანები (96 მლნ მარკა) ამ ინდუსტრიებიდან მოიტანეს 34 მლნ. მარკის შემოსავალი, რაც შეადგენს კაპიტალის 8 %-ს და წლიური შენატანის 35 %-ზე მეტს.

ამრიგად, დამზღვევები დასავლეთის ქვეყნებში ზშირად განაცდიან დანაკარგებს სადაზღვევო საქმიანობაში (ტექნიკურში) და მხოლოდ საერთო ბალანსი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლების საფინანსო ხასრების კაპიტალდაბანდებისაგან ღებით ეფექტს იძლევა.

ცხრილი 25

1983 წლის დაზღვევის დანაკარგები და ტექნიკური მაჩვენებლები.

ქვეყანა	დანაკარგები	საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	საზოგადოების ტექნიკური საქმიანობის შედეგი
აშშ	81,0	31,0	- 12,0
კანადა	75,8	27,0	- 3,1
გფრ	81,9	17,9	+ 0,7
საფრანგეთი	83,4	29,0	-12,4
ჰოლანდია	75,2	30,2	- 5,4
ავსტრალია	82,5	24,8	- 7,3
იაპონეთი	73,7	42,0	- 15,7

კაპიტალის სიდიდის მიხედვით სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ შეეჯიბრონ მხოლოდ კომერციულ ბანკებს, დანაჩენი ფინანსური ინსტიტუტების საკმაოდ უკან ჩამოტოვებით, რადგანაც კაპიტალის ნაწილი დაზღვევს შეადგს ბანკში, ამიტომ ის წარმოადგენს ბანკის რესურსს, აქტიური ოპერაციების ჩასატარებლად. მეორე ნაწილი მიმართულია საინვესტიციო ღონისძიებებისათვის. სადაზღვევო ორგანიზაციებს კანონით ეძლევათ საკრედიტო ოპერაციების წარმოების უფლება, ამაც დროს საცოცხლის დაზღვევის კომპანიებს, საპენსიო ფონდებსა და სასესხო-სამეშახელო ასოციაციებს გააჩნიათ გრძელვადიანი დაფინანსების ყველაზე მეტი შესაძლებლობები, რაოაც სერიოზულ კონკურენციას უწევენ კომერციულ ბანკებს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში

დამზღვევების საქმიანობა დაბანდების დარგში ამჟამად, ერთის მხრივ, არ ფასდება, მეორეს მხრივ, გაჩნია შეზღუდული შესაძლებლობები (ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში, აქციები). როგორც წესი, დამზღვევი დაბანდებიდან იღებს შემოსავალს მხოლოდ ერთ სახეობას, კერძოდ, პროცენტს, საფინანსო სადაზღვევო სხვრების სახალხო მეურნეობის მიზნებისათვის გაცემის შემთხვევაში (ანაბრები ბანკებში).

კომერციული ბანკების ოპერაციების დაზღვევა. ბანკო საქმიანობაში წარმოქმნილი რისკისაგან დაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს დაზღვევა. დაზღვევის საშუალებით თავდება რისკების ორი ძირითადი კატეგორია: ეკონომიკური ანუ კომერციული რისკები და პოლიტიკური რისკები. პირველი დამოკიდებულია კონკრეტული მესხებლის საქმიანობის წარმატებებზე, მეორენი სახელმწიფოს მოქმედებებზე.

დასავლეთის მრავალი სახელმწიფო ექსპორტის სტიმულირებისათვის, სახელმწიფო სადაზღვევო აგენტების საშუალებით, ახორციელებს პოლიტიკური რისკებისაგან საექსპორტო კრედიტების დაზღვევას. კერძო კომერციული სადაზღვევო საზოგადოებები ამგვარი სახეობის დაზღვევის ჩვეულებრივ არ მიმართავენ.

კომერციული ბანკის ოპერაციებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს აქტიური და პასიური ოპერაციების რისკები. აქტიური ოპერაციების რისკის არსი გამოიხატება დანკრედის საშიშროებაში, რაც ძირითადად ეფასება კრედიტორის კეთილსინდისიერების გადაუხდელობის შედეგად გასესხებული სხვრების დაბრუნების დარღვევის ერთერთი ძირითადი მიზეზი ფინანსების წერტილის ეკ კლასიფიკაციის შეუსრულებელი პროცესის დარღვევა. გადაუხდელობის წარმოშობის ერთ რიგებში მიეკუთვნება საფინანსო სიძნელეებით, მეორეში და ამ. აქტიური ოპერაციების რისკი შეიძლება ასევე დაფუძნის დარღვევების გამოს გაჩენების, სანაცვლო ოპერაციების სპეციალიზირებას გამოწვევის შედეგად. კლიენტის ფინანსური მდგომარეობა საკრედიტო გარიგების გაფორმების მომენტში არ წარმოადგენს მომავალში სესხის სხვრების დაბრუნების გარანტიას.

საკრედიტო რისკის შემცირება ან აღმოფხვრა მიიღწევა კრედიტების დაზღვევის საშუალებით.

კრედიტების დაზღვევის ობიექტებად, როგორც წესი, ითვლება კომერციული კრედიტები (კრედიტი, რომელსაც მიმწოდებელი აძლევს მყიდველს), საბანკო სესხები, რომლებიც ეძლევათ მიმწოდებელს ან მყიდველს, კრედიტზე ვალდებულება და თავდებობა, გრძელვადიანი ინვესტიციები და სხვა. გამყიდველის ან ბანკ-კრედიტორის ინტერესების დაცვა გამოიხატება იმაში, რომ მესხებლის გადამხდელუუნარობისას ან სხვა მიზეზებით, ვალის გადაუხდელობისას, დამზღვევი ორგანიზაცია თავის თავზე იღებს წარმოდგენილ კრედიტზე დავალიანების განაღდების. საერთაშორისო პრაქტიკაში კრედიტების დაზღვევა, როგორც დაზღვევის სპეციალური სახეობა, წარმოიშვა მე-10 საუკუნეში და ამის მიზეზი იყო კრიზისები, ეკონომიკური არასტაბილურობა. დაზღვევის ამ სახეობის თანამედროვე ფორმები მხოლოდ მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. დაზღვევა ორგანიზაციის სამიზნე პრაქტიკაში კრედიტების დაზღვევა 1990 წლიდან ხდება. დაზღვევა ხორციელდება ნებაყოფლობით საფუძველზე ორი ეროვნული კრედიტის გაუნაღდებლობის გამო, მესხებელია პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა, კრედიტის გაუნაღდებლობის რისკის ნებაყოფლობითი დაზღვევა.

პირველ შემთხვევაში დამზღვევად გამოდის მესხებელი, დაზღვევის ობიექტად ითვლება მისი პასუხისმგებლობა, კრედიტის გამცემი ბანკის წინაშე, კრედიტის დროული და სრული განაღდების გამო. (კრედიტით სარგებლობის პროცენტის ჩათვლით).

მეორე შემთხვევაში დამზღვევია ბანკი, ხოლო დაზღვევის ობიექტი ყველა ან ცალკეული მესხებლის პასუხისმგებლობა ბანკის წინაშე კრედიტისა და კრედიტით სარგებლობის პროცენტების, დროული და სრული განაღდების გამო.

დაზღვევის ხელშეკრულების გასაფორმებლად (ეს შეიძლება იყოს დაზღვევის პოლისი ან სადაზღვევო მოწმობა) დამზღვევი წარუდგენს დასაზღვევს დოკუმენტების განსაზღვრულ ნაკრებს, მათ შორის: დამზღვევის განცხადება, ორგანიზაციის წესდება; საკრედიტო ხელშეკრულების ასლი; ბალანსი; კრედიტების მიწოდების კონტრაქტი; კრედიტის განაღდების ვადების ცხრილი; კრედიტის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტები; პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური ექსპერტიზის ასლი და სხვ.

დოკუმენტების ჩამონათვალს ადგენს დამზღვევი. დოკუმენტაციის წარდგინების ძირითადი მიზანია სადაზღვევო რისკის ხარისხის განსაზღვრა. კლიენტის შესწავლის შემდეგ დამზღვევი ადგენს სადაზღვევო პრემიას, შესატანს, დასაზღვევ თანხის პროცენტებში და დოკუმენტირებულს, კრედიტის გაცემის ვადის მიხედვით. რაც უფრო დიდია ვადა, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს სადაზღვევო და მეტია დაზღვევის თანხა, მით მეტია სადაზღვევო პრემია. თუმცა, არსებობს პრემიის მიმართ დაზღვევის საერთო პირობებიდან გამომდინარეობს, პრაქტიკულ საქმიანობაში დამზღვევი გამოდის, როგორც საშიშროების ხარისხიდან ასე დასაზღვევი რისკის კოეფიციენტიდან, ერთის დარგისათვის, ერთის საწარმოსათვის. ამიტომ საერთო პირობების ფარგლებში დამზღვევს შეუძლია წამოაყენოს დაზღვევის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც მოგვიანებით სადაზღვევო პრემიის, როგორც ზრდაში ასე შემცირებაში.

პრემიის გადახდის შემდეგ ძალაში შედის სადაზღვევო ხელშეკრულება, ჩვეულებრივ, დაზღვევის მოცემულ სახეობაზე პრემიები გაიცემა ერთდროულად. თუ დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შემოვა გადასახდელ თანხაზე ნაკლები, მაშინ ასეთი ხელშეკრულება ითვლება გაუქმებულად, ხოლო შემოსული გადასახადი უბრუნდება დამზღვევს.

დაზღვევაში ყველაზე უფრო არსებით მომენტს წარმოადგენს:

დამზღვევის პასუხისმგებლობის სიდიდე, სადაზღვევო შემთხვევის განსაზღვრა და ზარალის ანაზღაურება.

თანამედროვე სამეწარმეო პრაქტიკაში კრედიტების დაზღვევის პასუხისმგებლობის რეჟიმის ამჟამინდელი ფორმა. არსებობს სადაზღვევო საზოგადოებები, რომლებიც დასაზღვევად იღებენ მსესხებლის მიერ გადაუხდელი თანხის 100 %-ს, მაგრამ არ ახდენენ კრედიტით სარგებლობისათვის გასაცემ პროცენტებს. სხვა დამზღვეველები პირიქით, დამზღვევს უხდიან ანაზღაურებას, მსესხებლის მიერ გადაუხდელი კრედიტისა და მისი პროცენტების ჯამის 50-დან 90 %-მდე. დამზღვევის კონკრეტული პასუხისმგებლობის ზღვარი და ანაზღაურების გადახდის ვადა, როგორც წესი, დგინდება ინდივიდუალურად. დამზღვევის პასუხისმგებლობა წარმოიშვება თუ დამზღვევმა არ დაუბრუნა კრედიტი ბანკს, საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი თანხა 20 ან ზოგ სადაზღვევო საზოგადოებებში 30 დღეში, საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის დადგომიდან.

დაზღვევის პირობები მკაფიოდ აღგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც დამზღვევი ვალდებულია განსაზღვროს შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ. ჩვეულებრივ მოქმედებს 5 დღიანი ვადა მოხდარი შემთხვევის შესატყობინებლად. სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე განისაზღვრება დაზღვევის პასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით, საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გაუნაღდებული ვალის თანხიდან გამომდინარე.

მაგ., დამზღვევმა განსაზღვრა პასუხისმგებლობის სიდიდე კონკრეტული მსესხებლის მიმართ 50 %-ით და დაზღვია ვალი ბანკის მიერ მოცემული კლიენტისათვის გაცემულ კრედიტზე 1 მლნ. მანეთის ოდენობით. კლიენტმა სრულად არ დაბრუნა კრედიტი, დაფარა მხოლოდ 500 000 მანეთი. მოცემულ შემთხვევაში დამზღვევი ბანკს აუნაზღაურებს ზარალს 500000 მანეთის ოდენობით.

დაზღვევის პირობებში გათვალისწინებულია ზარალის ანაზღაურების წესი. ამაზე ღრის დამზღვევი ორგანიზაცია ატოვებს უფლებას უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაღახდაზე.

თავის უარს დამზღვეველი უკავშირებს, ჯერ ერთი, დამზღვევის მიერ მცდარი მონაცემების მიწოდებას, რომლებიაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდათ სადაზღვევო რისკზე მსჯელობისას. მეორე, თუ დამზღვევმა, არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რასაც მას აკისრებენ დაზღვევის პირობებით.ხელშეკრულების გაფორმებისას ეს პირობები მხარეების მიერ შემდგომი კამათების თავიდან ასაცილებლად კონკრეტულად უნდა ჩამოყალიბდეს.

თუმცა, სადაზღვევო მეთვალყურეობის უქონლობის, დაზღვევის ახალი სახეობის განვითარებასას, შეიძლება თან ახლდეს ბოროტი განზრახვები. განსაკუთრებით მალალ სადაზღვევო პრემიებს მიეკუთვნოთ სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ "გამოუშვაველი" მოგების მიღებისაკენ; წარმოებით დანაზარჯების მომატება სადაზღვევო გადასახადების ხარჯზე იწვევს საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დაუსაბუთებელ ზრდას, რაც ინფლაციურ პროცესებს კიდევ უფრო აძლიერებს.

ყველაზე მთავარი გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ კომერციულ ბანკებს არ შეუძლიათ თავისი საშიშროების გარეშე გამოიყენონ კრედიტების დაზღვევა, როგორც ბანკო საქმიანობის მიმდინარეობისას წარმოქმნილი რისკისაგან დაცვის ერთ-ერთი ფორმა. სადაზღვევო აუდიტისა და პრესაში სადაზღვევო საზოგადოების ბალანსების ფართო გაშუქების არ არსებობა, უკანასკნელთა გადახდის უნარიანობას ეჭვის ქვეშ აყენებს. ამ ნაკლოვანებების გათვალისწინებით კრედიტების დაზღვევის სასიცოცხლო ციკლი შეიძლება მოკლევადიანი აღმოჩნდეს.

დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში დაზღვევა, როგორც ერთ-ერთი საშუალება ბანკო რისკების დაცვისა, სხვაგვარად არის აგებული. როგორც წესი, დაზღვევის ობიექტია დამზღვევის ქონება, სიცოცხლე, შრომისუნარიანობა, განსაზღვრულ ასაკამდე მიღწევა და ა.შ.

უეჭველია, რომ დაზღვევა, ფუნქციონირებადი საწარმოსაგან განსხვავებით, არასოდეს იცის, თუ როგორი დანაზარჯები ექნება მას მომავალში. მისი გარიგება წარმოადგენს თითქ ხდა უსაფრთხოების მიყიდვის დამზღვევისათვის თავისი მომავალი ნაღდი ფულიდან. მაგრამ ქონების, სიცოცხლის დაზღვევისას, დამზღვეველს გააჩნიათ მაინც სტატისტიკური მონაცემები, სხვა დამზღვევების მრავალ წლოვან გამოცდილებას და სადაზღვევო მათემატიკას, ალბათობის თეორიას ეყრდნობა.

ამ დრის, როდესაც ჩვენის მახედვით დაკლიანების გაუნაღდებლობის დაზღვევისას, დაზღვევა არ ემორჩილება დიდი რიცხვების კანონის მოქმედებას, ხოლო ეს სახეობა დამზღვევისათვის განსაკუთრებით საშიში ხდება. უმეტეს შემთხვევაში, ქონების, სიცოცხლის, უბედური შემთხვევების და ა.შ. დაზღვევა აუცილებელი პირობაა. კრიზი პირებზე მცირე ფირმებზე, რომელთა საქმიანობას წარმატება და შემდგომი ფუნქციონირება დამოკიდებულია ერთ პროექტებზე. კრედიტის გაცემისას კომერციული ბანკები ჟორმებენ გრძელვადიან შეთანხმების სადაზღვევო ორგანიზაციებთან კლიენტების დაზღვევაზე. ამ შეთხვევაში შეთანხმებულია გარიგების მოცულობა ბანკის მიერ წარმოქენული პირობები, საკომისიოები და სხვა. დამზღვეველის პასუხისმგებლობა ემთხვევა ბანკის მიერ წარმოდგენილი კრედიტის მოცულობას.

დაზღვევა ხორციელდება დამზღვევის ხარჯზე მოცემულ ბანკში მისი ანგარიშიდან სადაზღვევო პრემიების ჩამოწერის გზით. ამასთან, კომერციული ბანკი ასეთი დაზღვევიდან იღებს დამატებით მოგებებს, საკომისიოებისა და ფულად ბაზარზე საკრედიტო რესურსების გაიაფვით მიღებული შემოსავლის სახით. ამ შემოსავალს იღებენ სადაზღვევო ორგანიზაციისათვის სადაზღვევო თანხების გადარიცხვისა და ბანკის კლიენტის ანგარიშიდან შესაბამისი სახსრების ჩამოწერას შორის ვადების შეუსაბამობის შელეგად.

ჩათვლით. აქტიურ ანგარიშებზე გაითვალისწინება: ნაღდი ფული ბანკის სალაროებში, მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტები, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, კაპიტალურ დაბანდებებზე დანახარჯები, დებიტორული დავალიანება, სხვა აქტივები და განზოგადული სახსრები.

ბალანსგარეშე ანგარიშებზე ნაჩვენებია ფასეულობების და დოკუმენტების მოძრაობა, რომლებიც შემოსულია ბანკში შესანახად, ინკასირებისათვის და საკომისიოდ. ამ ანგარიშებს მიეკუთვნება აგრეთვე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ნიშნები, მკაცრი აღრიცხვის ბლანკები, აქციების ბლანკები, აქციები დავალებით და შესანახად, სხვა ფასეულობები და დოკუმენტები.

კომერციული ბანკების საქმიანობა - დამფუძნებლური საქმიანობა აისახება აქტიურ-პასიურ ანგარიშზე " აქციები, საპაიოები და სხვა ფასიანი ქაღალდები", რომელიც გახსნილია ბალანსის 21-ე განყოფილებაში. მოცემული ანგარიშის აქტივში ძირითადად გათვალისწინებულია სხვა ორგანიზაციებისა და ბანკებისაგან შეძენილი აქციები, ამ მიზნისათვის გაცემული ავანსები; პასივში - კლიენტებისაგან ფასიანი ქაღალდების შესაძენად მიღებული სახსრები. ე.ი. ფულადი ამონაგები აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან.

ყველა საბალანსო ანგარიში იყოფა პირველი რიგის ანგარიშებად - გამსხვისებული, სინთეზური ანგარიშები, და მეორე რიგის ანგარიშები - დეტალური, ანალიზური ანგარიშები. პირველი რიგის ანგარიშები აღინიშნება ორი ციფრით; ისინი ბალანსში სულ 98-ია. მეორე რიგის ანგარიშის ნომერი შედგება სამი ნიშნისაგან და აიგება ერთი ციფრის მიმატებით მარჯვნიდან პირველი რიგის ანგარიშის ნომერზე. მაგალითად, 01 - ბანკის ფონდები, 010 - საწესდებო ფონდი, 011 - სარეზერვო ფონდი, 012 - სპეციალური ფონდები და ა.შ.

კომერციული ბანკების ყველა საბალანსო ანგარიში დაჯგუფებულია მე-14 განყოფილებაში შინაარსის, ეკონომიკური ერთგვაროვნობის და ნაწილობრივ ლიკვიდობის პრინციპით. ბალანსგარეშე ანგარიშების ნომენკლატურა - ოთხნიშნაა, მისი განმასხვავებელი ნიშანია ორი ცხრიანი ანგარიშის ნომერში. მაგალითად, 9921 - მოკლევადიან სესხებზე ჯილდებულებები, 9924 - "იჯარით გაცემული მანქანები, მოწყობილობები, სატრანსპორტო და სხვა საშუალებები". ბალანსგარეშე ანგარიშები დაჯგუფებულია მე-10 განყოფილებაში. ბალანსის ანგარიშების ნომენკლატურის ცოდნა და მისი "კითხვის" შესაძლებლობა წარმოადგენს სწორი საბანკო მენეჯმენტის აუცილებელ პირობას.

ბანკის ბალანსის ანალიზის, განსაკუთრებით მისი ლიკვიდობის მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი სახსრების მოცულობის განსაზღვრას. ბანკის საკუთარი სახსრები განსაზღვრება, როგორც ყველა მისი ფონდის (01 ანგარიში: საწესდებო, სარეზერვო, სპეციალური და სხვ), კომერციული რისკის სადაზღვევო რეზერვების (821 ანგარიში), საკუთარი სახსრების კაპიტალური დაბანდებების დასაფინანსებლად (935 ანგარიში + 936), ბანკის მოგებათა (ანგარიშები 96 - 97 + 98ი - 98ა) ანგარიშებში 890 (ი-ა) საკუთარი სახსრების ჯამი. ამრიგად, განისაზღვრება ბანკის საკუთარი სახსრების თანხა (ბრუტო). საკუთარი სახსრების ცხრა ბრუტო, საკუთარი სახსრების ნეტო ცნებაზე ფართოა, გაჩნდილი კაპიტალიზირებული სახსრების ხარჯზე. ამობილიზაციის პროცესში საბანკო ოპერაციების შემოსავლებსა და ლიკვიდობას ამცირებენ. ამიტომ ამგვარი ამობილიზაციის გამოშვებული მიზნები უნდა გამოვლინდეს და აღიკვეთოს.

ბანკის საკუთარი რესურსების მაჩვენებლების სწორი განსაზღვრა პირველხარისხოვან როლს თამაშობს ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ანალიზისას, რადგან ამ მაჩვენებლის საფუძველზე დადგინდება ლიკვიდობის ნორმატივები, რომლებსაც ცენტრალური ბანკები აწესებენ

კომერციული ბანკების მოღვაწეობის კონტროლისა და რეგულირებისათვის. საკუთარი სახსრების ჯამის (ნეტოს) გამოთვლა შემდეგნაირად ხდება:

C (ნეტო) = ანგ. 010 + 011 + 012 + 014 + 016 + 017 + 161 + 821 + 013 + 015 - 92 - 191 + 8903 - 890ა - 825 - 900ა - 901 - 904ა - 930 - 931 - 933 - 934 - 932ა I 935 I 936 - 937 - 94 - 950 - 905ა - 902(ა-ბ) - 907(ა-ბ) + 983 - 98ა + 96 - 97

ამასთან, ბუღალტერიაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ბანკის საკუთარი სახსრები, რომლებიც განიხილება საკრედიტო რესურსების სახით, უნდა მოიცავდნენ საკორესპონდენტო ანგარიშზე დებეტურ სალდოს სხვაობას ბანკის შემოსავლებსა და გასაცემებს შორის (შიდაკვარტალურ თარიღებზე), ეკონომიკური სტიმულირების ფონდს და ამავე დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი შემცირება ბანკის მიერ განხორციელებული ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაზე დახარჯული თანხით, ასევე, ბანკის მიერ მომწოდებელი დაწესებულებებისათვის ფაქტორინგულ ოპერაციებზე გადარიცხული თანხების გარდამტის თანხა მიიდვლის მიერ ანახლურებულ (907 (ა-ბ) ანგარიში) თანხებზე.

კომერციული ბანკების ბალანსების განმასხვავებელ ნიშნებს წარმოადგენენ პასივებში საკუთარი სახსრების შედარებით მცირე ხვედრითი წონა და მოკლევადიანი რესურსების მიჯნარე. ამ პირობებში, როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია განსაზღვრული თანაფარდობა საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის, კომერციული ბანკები, როგორც წესი, ინარჩუნებენ საკუთარი სახსრების მინიმალურად დასაშვებ დონეს. ამასთან, ძირითად წყაროდ აქტიური ოპერაციების დასაფარავად, გამოდიან მოკლევადიანი რესურსები. კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წონა კომერციული ბანკების აქტივში მცირეა.

ლიკვიდობის ხარისხის გათვალისწინებით ბალანსის მუხლების დაჯგუფებისას გამოიყოფა შემდეგი აქტივები:

1. სალაროს აქტივები (ნაღდი ფული, რეზერვები ცენტრალურ ბანკში, სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშზე), სხვა კომერციული ბანკების ანგარიშებზე სახსრები, ფასიანი ქაღალდები. მოცემული განყოფილების მუხლები ლიკვიდობის თვალსაზრისით ასახავენ " პირველად რეზერვებს".

2. სახსრების დაბანდება ფასიან ქაღალდებში, კომერციულ თამასუქებში, სახელმწიფო, სამთავრობო ორგანიზაციების, ჭელისუფლების აღგილობრივი ორგანოების ფასიან ქაღალდებში და ა.შ. ამ აქტივების ნაწილი შეიძლება ოპერატიულად გადაიქცეს სალაროს ნაღდ ფულად, მცირე დანაკარგების რისკით და ამასთან დაკავშირებით "მეორად რეზერვებს" წარმოადგენენ. ამ აქტივებს მიეკუთვნება: მოკლევადიანი კომერციული თამასუქები, პირველი კლასის კრედიტუნარიანი მსესხებლების მიერ გამოწერილი, რომლებიც რეალიზდებიან ფულად ბაზარზე (რეფინანსირება), მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. ეს განყოფილება შეიცავს მუხლებს, რომლებიც მაახლოებულია ლიკვიდურ აქტივებთან: ერთიდან ხუთ წლამდე ვადით გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან.

3. კრედიტები, რომლებიც გაცემულია საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე ინდივიდუალური მსესხებლებისათვის (მოიჯარეები, გლეზური მეურნეობები და სხვა), სხვა კომერციული ბანკებისათვის, ბალანსის ეს აქტივები მიეკუთვნებიან ნაკლებ ლიკვიდურ დაბანდებებს, რადგან ბანკი ეწევიან რისკებს მათ დროულ განაღდებაზე და პირველი კლასის ლიკვიდური სახსრებად გარდაქმნაზე.

4. კაპიტალდაბანდება: სახსრების ინვესტირება მოძრავ და უძრავ ქონებაში, ფილიალების, ერთობლივი საწარმოების შექმნა და სხვა.

ბალანსის მუხლების დაჯგუფება საბანკო ოპერაციების ეკონომიკური არსის თვალსაზრისით შეიძლება შემდეგნაირად მოხდეს:

შესაძლებლობებიდან. ასე, მაგალითად, აქტივების ექვსი ჯგუფიდან რისკის კოეფიციენტი მერყეობს 0,5 %-დან მაღალლიკვიდური სახსრების პირველ ჯგუფში (სალარო, ფულადი სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშზე) და სანკო სისტემის საკრედიტო რესურსების რეზერვირების ფონდში (816 ანგარიში) და 100 % მეექვსე ჯგუფში (ხანგრძლივი ვადაგადაცილებული დავალიანება ანგ. 62 + 63 + 78).

რაოდენობრივი ურთიერთ კავშირის გამოსავლენად ბალანსის სხვადასხვა მუხლებს, განყოფილებებს და ჯგუფებს შორის გამოიყენება კოეფიციენტების მეთოდი. ამასთან, ანალიზის სისრულისათვის ანალიზური აღრიცხვის მონაცემებსაც უნდა მიექცეს ყურადღება. კოეფიციენტების მეთოდები საჭიროა ცენტრალური ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების ლიკვიდობის დონის კონტროლისათვის. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა უარი თქვა მუდმივი, სტაბილური ლიკვიდობის პრაქტიკაზე და ვარაუდობს ამ კოეფიციენტების ყოველწლიურ გადახინჯვას ეკონომიკური მდგომარეობის, სეზონური და კონიუნქტურული მერყეობის მიხედვით, ამით გავლენას მოახდენს დაკრედიტების გაფართოებაზე ან საკრედიტო რესტრიქციის პოლიტიკას განახორციელებს. საკოეფიციენტო მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას რეფინანსირების ოპერაციების რაოდენობრივი შეფასებისათვის. რეფინანსირების კოეფიციენტები გამოიანგარიშება, როგორც ბანკთაშორისი კრედიტების შეფარდება სხვა ბანკებისაგან მიღებული კრედიტების, საკრედიტო დაბანდებების საერთო მოცულობასთან, ასევე მოზიდულ საკუთარ სახსრებთან ან ბალანსის საერთო ჯამთან:

Kр (რეფინანსირების კოეფიციენტი) = ანგარიში 823 / Kо ან WC, C, A (W)

სადაც, **Kо** – საკრედიტო ანაბრების საერთო მოცულობა;

WC – მოზიდული სახსრები;

C – საკუთარი სახსრები;

A (W) – ბალანსის ჯამი აქტივით ან პასივით.

1991 წ. Kр კომერციულ ბანკებში შეადგინა 21,6 %. ამერიკული კომერციული ბანკების მუშაობის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება მრავალრიცხოვანი კოეფიციენტები და მაჩვენებლები, რომლებიც გაანგარიშება ბანკების ბალანსების მონაცემების მიხედვით. მრავალი მათგანი ადაპტირებულია სამამულო კომერციული ბანკების პრაქტიკასთან.

ცხრილი 26

კოეფიციენტების და მაჩვენებლების დახასიათება. მათი მოკლე შინაარსი	კოეფიციენტების და მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდიკა
1	2
1. ლიკვიდობის კოეფიციენტები გვიჩვენებენ თუ რამდენად შეიძლება დაიფაროს დეპოზიტები სალაროს აქტივებით, შეანაბრეების მიერ თავიანთი სახსრების ამოღების შემთხვევაში	1. სალაროს აქტივების საშუალო ნაშთები (მრიცხველი) / დეპოზიტურ ანგარიშებზე საშუალო ნაშთები მოკვთხვამდე (მნიშვნელი)
	2. სალაროს აქტივების საშუალო ნაშთები / ყველა დეპოზიტურ ანგარიშებზე საშუალო ნაშთები

1	2
კოეფიციენტები და მაჩვენებლები, რომლებიც ბანკის აქტიურ ოპერაციებს ახასიათებენ	
2. აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, აქტივების რომელ ნაწილს მოაქვს შემოსავალი (%)	შემოსავლის მომთანი აქტიური ანგარიშების საშუალო ნაშთები / ყველა აქტიურ ანგარიშებზე საშუალო ნაშთები
3. დეპოზიტების გამოყენების კოეფიციენტი გვიჩვენებს, დეპოზიტების საერთო მოცულობის რამდენი პროცენტია მოთავსებული კრედიტში. კოეფიციენტი 75%-ზე ზემოდ გვიჩვენებს ბანკის აგრესიულ საკრედიტო პოლიტიკას. 65 %-ზე დაბალი კოეფიციენტი მიუთითებს უკუმოგებაზე	
4. მოზიდული სახსრების გამოყენების კოეფიციენტი ხასიათდება, მოზიდული სახსრების რომელი ნაწილია (%) მიმართული კრედიტზე	საშუალო დავალიანება კრედიტებზე / ყველა მოზიდული სახსრების საშუალო სიდიდე
5.. ინვესტიციის პორტფელში არსებული თითოეული სახეობის ფასიანი ქაღალდების წილის დამახასიათებელი მაჩვენებელი	
სამთავრობო ფასიანი ქაღალდების მაღალი წილი მიგვითითებს ლიკვიდობის საკმარისობაზე და შემოსავლის სტაბილურობაზე	გაანგარიშება თითოეული სახის ფასიანი ქაღალდის ჯვედრითი წონა (%) ინვესტიციის საერთო მოცულობაში
6. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ იგივე ფასიანი ქაღალდების განწილებას დაფარვის ვადების მიხედვით. გვეხმარებიან განვსაზღვროთ როგორც მიმდინარე პრობლემები, ასევე ის პრობლემები რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მომავალში ამა თუ იმ სახეობის ფასიანი ქაღალდების წილის ცვლილებების გამო ინვესტიციის საერთო მოცულობაში	განაღდების ვადების და სახეობების მიხედვით ხდება ფასიანი ქაღალდების განწილება
7. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ კრედიტების გაცემას მსესხებლების კატეგორიების მიხედვით. გვეხმარებიან ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შეფასებაში მისი რასკის, რენტაბელობის, ლიკვიდობის თვალსაზრისით, რადგან მსესხებლის კატეგორიას კრედიტუნარიანობის განსაზღვრული დონე გააჩნია	გამოიანგარიშება სხვადასხვა კატეგორიის მსესხებლებისათვის (მრეწველობა და ვაჭრობა; საბოლოო მოიხმარებელი; სოფლის მეურნეობა) გაცემული კრედიტის ჯვედრითი წილის გამოანგარიშება კრედიტის საერთო მოცულობაში
8. სხვადასხვა კატეგორიის მსესხებლების მიერ კრედიტის დაფარვის ვადის დამახასიათებელი მაჩვენებლები	
№ 10 მაჩვენებელთან შედარებით გაცემული კრედიტების არსებულ ჯარიმებთან შეფასებისობის საერთო სურათის შეფასება ხდება	კრედიტები ნაწილდება მსესხებლის კატეგორიების (მრეწველობა და ვაჭრობა; საბოლოო მოიხმარებელი; სოფლის მეურნეობა) და განაღდების ვადების მიხედვით
ბანკის დეპოზიტური ბაზის დამახასიათებელი კოეფიციენტები და მაჩვენებლები, აგრეთვე საკუთარი კაპიტალი	

1	2
9. ყველა დეპოზიტების სახეობების მიხედვით დაჯგუფება	განისაზღვრება დეპოზიტების თითოეული სახეობის ხვედრითი წონა (დეპოზიტები მოკითხვამდე, ვადიანი დეპოზიტები, საშემნახველო დეპოზიტები) დეპოზიტების საერთო თანხაში
10. დეპოზიტების დაჯგუფება (საშემნახველო და ვადიანი) ვადების მიხედვით, საშუალებას იძლევა განისაზღვროს რა თანხის დეპოზიტები ექნება ბანკს ერთი წლის შემდეგ, 5 წლის შემდეგ, გაანგარიშების მონაცემები გამოიყენება № 8 მაჩვენებელთან ერთად	ვადიანი და საშემნახველო დეპოზიტები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1 წლამდე, 1-დან 5 წლამდე, 5 წლის ზევით. თითოეულ ჯგუფზე განისაზღვრება ჯამის თანხა
11. „ ბენრკეტის“ კოეფიციენტები აღნიშნავენ მოზიდული სახსრებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობას განსაზღვრული თარიღისთვის	დეპოზიტებზე საშუალო ნაშთები / საკუთარი კაპიტალის საშუალო დონე
	სასესხო სახსრების საშუალო ნაშთი / საკუთარი კაპიტალის საშუალო დონე
12. საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი	აქტივების თანხა, რომელიც რისკს ექვემდებარება / საკუთარი კაპიტალი
გაიანგარიშება საანალიზო პერიოდის დასასრულს: კოეფიციენტი (საკუთარი კაპიტალი აქტივებთან) უმეტეს ბანკებისათვის უნდა იყოს არა ნაკლებ 7 %, ხოლო რეგიონალური ბანკებისათვის შეიძლება შეადგენდეს 5-6 %	საკუთარი კაპიტალი / აქტივები
13. შემოსავლიანობის და დანახარჯებზე კონტროლის მაჩვენებლები. ფაქტორები, რომლებიც ბანკის შემოსავლებზე გავლენას ახდენენ შეესაბამებიან აქტივებს	1. მიღებული პროცენტები / საშუალო ნაშთები აქტივებზე; 2. გადახდილი პროცენტები / საშუალო ნაშთები აქტივებზე; 3. მიღებული პროცენტები - გადახდილი პროცენტები / საშუალო ნაშთები აქტივებზე;
ანგარიშები გვიჩვენებენ, რამდენად შემოსავლიანია აქტიური ოპერაციები	4. დანაკარგები კრედიტის ჩამოწერიდან / საშუალო ნაშთები აქტივებზე და ა.შ.;
მიღებულ შედეგებს ადარებენ ანალოგიური ბანკების მონაცემებს	5. ბანკის მოგება / საშუალო ნაშთები აქტივებზე
14. მიღებული შემოსავლები და გასავლები შეესაბამება შემოსავლის მომტან აქტივებს. მარჟის გაოთვლა	ა) მიღებული პროცენტები / შემოსავალების მომტან აქტიურ ანგარიშებზე საშუალო ნაშთები
უფრო დაბალ მარჟას შეუძლია გვიჩვენოს, რომ ბანკი, ძვირად ღირებული დეპოზიტების მოზიდვით, მონაწილეობს დაბალ შემოსავლიან ოპერაციებში – მცირე რისკით	ბ) გადახდილი პროცენტები / შემოსავლის მომტან აქტიურ ანგარიშებზე საშუალო ნაშთები
და პირიქით, თუ მარჟა მაღალია ეს იმის მიზეზია, რომ ან დიდია დეპოზიტების, ან აქტივები ჩართულია მაღალმოგებიან სარისკო ოპერაციებში	გ) მიღებული პროცენტები - გადახდილი პროცენტები / შემოსავლის მომტან აქტიურ ანგარიშებზე საშუალო ნაშთები

1	2
15. რესტრუქტურიზაცია	ბანკის მოგება / საკუთარი კაპიტალი საშუალო დონე
ითვლიან ბანკის საკუთარი კაპიტალის „ეკონომიკურ“ ს. 13-16 %-იანი დონე ითვლება ნორმალურად	
16. კრედიტების ჩამოწერიდან ზარალი. კოეფიციენტები უჩვენებენ დანაკარგების დასაბუთებულ ნორმას კრედიტებზე, ასევე საკრედიტო პორტფელის ხარისხს	კრედიტების ჩამოწერიდან ზარალის ასანაზღაურებელი სახსრები / სესხებზე დავალიანება წლის ბოლოს; ფაქტიურად ჩამოწერილი კრედიტები / სესხებზე საშუალო დავალიანება
17. დივიდენდები	გადახდილი დივიდენდები / ბანკის მოგება
კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ ბანკის მოგების რომელი წილი მიდის აქციების მიხედვით გაღახდაზე	
30-40 %-იანი დონე ტიპიურია ამერიკული კომერციული ბანკებისათვის	

წარმოდგენილი მაჩვენებლების ნაკრები სავსებით მისაღებია ჩვენი კომერციული ბანკების მაერ ანალიზის ჩასატარებლად მოგების ზრდის რეზერვების გამოძებნების მიზნით, ლიკვიდობის შესანარჩუნებლად და ბანკების რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

3. ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ძირითადი მიმართულებები

კომერციული ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ანალიზის პროცესში საკითხი დგება ფაქტიური ლიკვიდობის განსაზღვრისა, მისი ნორმატივებთან შესაბამისობისა. იმ ფაქტორების გამოვლინისა, რომლებიც იწვევენ ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი ლიკვიდობის კოეფიციენტების გადახრას ფაქტიური მნიშვნელობებიდან.

ძირითად ხარისხობრივ ფაქტორებს, რომლებიც ლიკვიდობას განსაზღვრავენ, წარმოადგენენ მოზიდული დეპოზიტების სახეობები, მათი წყაროები და სტაბილურობა. ამიტომ დეპოზიტური ბაზის ანალიზი არის საწყისი მომენტი ბანკის ლიკვიდობის ანალიზისა და მისი საიმედობის შენარჩუნებისა.

პასიური ოპერაციების შესაბამისი ანალიზის მეთოდის გამოყენებით შეიძლება ამ ოპერაციათა მოცულობებში ცვლილებები გამოვლინდეს, განისაზღვროს მათი ბანკის ლიკვიდობაზე ზემოქმედება. ბანკის რესურსებში ძირითადი ადგილი უჭირავს მოზიდულ დეპოზიტებს, ანგარიშსწორების და მიმდინარე ანგარიშებს. 1991 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომერციული ბანკის რესურსებში მოზიდული სახსრების წილად მოდიოდა, 76,1% მოზიდული სახსრები, მოთხოვნამდე ვადებით. ე.ი. ლიკვიდობის ხარისხი, ანალიზისათვის შეიძლება დაიყოს შემდეგ ქვეჯგუფებად: 1. ვადიანი დეპოზიტები; 2.მოკითხვამდე დეპოზიტები; (სახელმწიფო ბიუჯეტის და საბიუჯეტო ორგანიზაციების სახსრები, საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების, მოიჯარეების, მეწარმეების, მოსახლეობის საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშები, ასევე

სახსრები ანგარიშებზე); 3. ფასიანი ქაღალდების გაყიდვით შემოსული სახსრები; 4. კრედიტორები; 5. სხვა ბანკების კრედიტები.

ცალკეული ქვეგეგმების ხვედრითი წონა მოზიდული სახსრების საერთო თანხაში ახასიათებს რესურსის თითოეული სახეობისა და შესაბამისი კონიუნქტურული კონტრაგენტების ადგილს და როლს საკრედიტო პოტენციალში. კომერციული ბანკების 1991 წლის იანვრის ბალანსის მოზიდული სახსრების სტრუქტურების ანალიზმა გვაჩვენა, რომ მათ ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებების დეპოზიტები - 50,7 %, კოოპერატივების სახსრები - 3,9; სახოგადოებრივი ორგანიზაციების - 2,8; მოსახლეობის - 0,6 %. დიდი ხვედრითი წონა უკავათ ბანკთაშორის კრედიტებს. მოზიდული სახსრების სტრუქტურის ცვლილება საწარმოების და პირადი სექტორის სასარგებლოდ, თითოეული ბანკისათვის მისაღებია მათი შემოსავლიანობის მიხედვით.

კომერციული ბანკის მიერ სადეპოზიტო პოლიტიკის განხორციელების პროცესში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მათემატიკური ინსტრუმენტები.

1. ანაბარზე მანეთის შენახვის საშუალო ვადის განსაზღვრისათვის, რომელიც ანაბრების სტაბილურობას დინამიკის მიხედვით გამოსახავს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანაბრების, როგორც მოკლევადიანი დაკრედიტების რესურსების შესაფასებლად.

$$Cd = (Ocp : B) \times D \quad ,$$

სადაც: **Cd** - შენახვის საშუალო ვადა დღეებში;

Ocp - ანაბრების საშუალო ნაშთები;

B - ანაბრების გაცემის ბრუნვა;

D - პერიოდში დღეების რაოდენობა;

2. ანაბრების ხაზით შემოსული სახსრების ჩაწოლის დონის განსაზღვრისათვის:

$$Yo = ((Ok - OH) : W) \times 100 \quad ,$$

სადაც: **Ok** - ანაბრების ნაშთი წლის ბოლოს;

OH - ანაბრების ნაშთი წლის დასაწყისში;

W - შესაძლებელი ანაბრებზე;

3. გეგმური ამონაგებიდან სახსრების წილის განსაზღვრისათვის, რომელიც ჩაწოლილია ანგარიშსწორების ანგარიშზე, რომელიც საწარმოს ზარალის გარეშე შეიძლება მოთავსებულ იყოს ვადიან დეპოზიტურ ანგარიშზე:

$$Doc = ((W_{გეგ.} \times (O_{საშ.} : W_{ფაქტ.}) \times 100$$

სადაც: **Doc** - საწარმოს გეგმურ ამონაგებში იმ სახსრების წილია, რომელიც შეიძლება მოთავსდეს საგეგმო პერიოდში ვადიან დეპოზიტურ ანგარიშზე;

O საშ. - ანგარიშსწორების ანგარიშზე სახსრების საშუალო ნაშთი გასული წლის შესაბამისი პერიოდის მიხედვით (3, 6, 9, 12 თვე) გამოითვლება, როგორც საშუალო ქრონოლოგიური, ფაქტიური ნაშთების საფუძველზე, თვიურ ან კვარტალურ თარიღებზე;

W ფაქტ. - ანგარიშსწორების ანგარიშზე ფაქტიური შემოსავლები (ფაქტიური რეალიზაცია გასული წლის შესაბამის პერიოდში);

W გეგ. - საგეგმო პერიოდში ანგარიშსწორების ანგარიშზე მოსალოდნელი შემოსავლები (რეალიზაციის გეგმა).

სადეპოზიტო პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს პროცენტი. რაც უფრო ხაიმელია პასივები, ე.ი. რაც მეტია დეპოზიტების ვადა და თანხა, მით უფრო მეტი პროცენტის გარანტიას იძლევა ბანკი. ამის მართალი, დეპოზიტის პროცენტმა უნდა გაითვალისწინოს ინფლაციის დონე.

სამეულო კომერციული ბანკების სადეპოზიტო პოლიტიკა იწყებს საზღვარგარეთული პრაქტიკის ინსტრუმენტების გამოყენებას. ეს არის სადეპოზიტო სერთიფიკატი წარმომდგენზე, რომელიც გამოჩნდა 1990 წლის ბოლოს, რომელიც ბაზარზე, მიმოქცევაში შეიძლება იყოს, როგორც ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი. ჩვენი აზრით, მათ ორი უპირატესობა აქვთ. ჯერ ერთი - დეპოზიტური სერთიფიკატები დეპოზიტური პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტებისაგან განსხვავებით წარმოადგენენ საბირჟო თამაშის საგანს და შესაბამისად, მყიდველმა შეიძლება დამატებითი მოგების იმედი აქონიოს ბაზრის კონიუნქტურის ხელსაყრელი ცვლილებების შემთხვევაში. მეორე, საწარმოების დეპოზიტების გაყინვის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების განხორციელების შემთხვევაში სერთიფიკატის შეძენა, რომელსაც ბაზარზე თავისუფალი მსვლელობა ექნება, მათ მფლობელებს მისცემს თავისუფალი მანევრირების საშუალებას. ამ სიტუაციაში სერთიფიკატი გადაიდგს ალტერნატიული საშუალება ხდება.

ბანკებს უნდა ჰქონდეთ თავდაცვითი სტრატეგია დეპოზიტების მდგრადობის შესანარჩუნებლად. ასეთი სტრატეგიის ნაწილია მარკეტინგი - კლიენტების მომსახურების ხარისხის ამაღლება, რათა ისინი ბანკს ერთგულნი დარჩნენ კრიზისული სიტუაციის დროსაც. შემნახველი დეპოზიტების ვადის და მათი საშუალო თანხების გადიდება, ასევე ანელებს დეპოზიტების მერყეობას კრიზისის დროს.

ბალანსის ლიკვიდობის ანალიზის პროცესში მიზანშეწონილია გამოვლინდეს ლიკვიდობის პრინციპების დაცვის ხერხები, დეპოზიტების ვადებსა და აქტიურ ოპერაციებში განლაგებული სახსრების ვადებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის შენარჩუნებით. ანალიზი მიზანშეწონილია ჩატარდეს შემდეგი კოეფიციენტების გამოანგარიშების გზით.

K1 - ლიკვიდობის კოეფიციენტი შეზღუდული ლიკვიდობის რესურსებისათვის (სახსრები მოთხოვნამდე ანგარიშებზე, სახსრები ვადიან ანაბრებზე 6 თვემდე ვადით);

K2 - ლიკვიდობის კოეფიციენტი საშუალო ლიკვიდობის რესურსებისათვის (სახსრები ვადიან ანგარიშებზე 6 თვიდან 1 წლამდე ვადით).

K3 - ლიკვიდობის კოეფიციენტი მაღალი ლიკვიდობის რესურსებისათვის (სახსრები ვადიან ანგარიშებზე 1 წლიდან 4 წლამდე ვადით).

სამივე ლიკვიდობის კოეფიციენტი შეიძლება გამოთვლილი იქნას ერთი ფორმულით:

$$KL = (ZK : P) \times 100 \quad ,$$

სადაც: **KL** – ლიკვიდობის კოეფიციენტია (K1, K2, K3).;

ZK - დავალიანება სესხებზე, რომლებიც გაცემულია შესაბამისად 6 თვით, 1 წლიდან 4 წლამდე;

P - მოზიდული დეპოზიტების, მოცემული კოეფიციენტების შესაბამისად 6 თვის, 1 წლამდე, 1 წლიდან 4 წლამდე ვადით.

ეს კოეფიციენტები, როგორც წესი, უნდა იყოს 100 %-ზე დაბლა.

ლიკვიდობის შენარჩუნების დამატებით ფაქტორებს წარმოადგენენ კრედიტის შეზღუდული სიდიდე, რომელიც გაცემულია ერთ მსესხებელზე ბანკის დაწესებულების საკუთარი სახსრების

ნაწილის სახით და კრედიტის გაცემა შესაძლებელია დიდი რაოდენობის კლიენტებისათვის. დაკრედიტების საერთო მოცულობის შენარჩუნებისას, რაც სესხების დაბრუნების ვადის დარღვევის შემთხვევაში ბანკის დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანას იწვევს.

ჩვეულებრივ, საზღვარგარეთის ბანკებს, სახელმწიფოს მონაწილეობით, პრაქტიკაში მიღებული აქვთ ლიკვიდური ფულადი დაგროვებების "ტრანსფორმაცია", უწინარეს ყოვლისა, დეპოზიტების საშუალო და გრძელვადიან კრედიტებში. ზოგიერთი ბანკი ამცირებს მოკლევადიან სესხებს საშუალო და გრძელვადიანი დაკრედიტების ერთდროული გადიდებით. კერძოდ, საბინაო მშენებლობისას, აღწევენ რესურსების ტრანსფორმაციის მაღალ კოეფიციენტს მოკლევადიან და გრძელვადიან კრედიტებში. კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$K = ((R - S) : R) \times 100 ,$$

სადაც: **R** – მოკლევადიანი რესურსები;

S – მოკლევადიანი სესხები;

K – რესურსების ტრანსფორმაცია, ვადით, შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მიზეზი საბანკო ლიკვიდობის გამწვავებისა. ამიტომ აუცილებელია რესურსების ტრანსფორმაცია რეგულირება დაზღვევის და მოკლევადიანი რესურსების ნაწილის (10-20 %) რეზერვირების გზით.

საზღვარგარეთის და სამამულო კომერციული ბანკების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ლიკვიდობის განსაზღვრის მთავარ ფაქტორებს წარმოადგენს მოზიდული დეპოზიტების ტიპი (ვადიანი ან მოთხოვნამდე), მათი წარმოშობის წყარო და სტაბილურობა. როგორც ცნობილია, რუსეთის ცენტრალური ბანკი კომერციული ბანკებისათვის, ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ე.ი. შესაძლებლობის დროულად, სრულად და შეუფერხებლად დაფარის ვალდებულებები, აწესებს განსაზღვრულ აუცილებელ შეფარდებას ბანკის საკუთარ სახსრებსა და მოზიდულ რესურსებს შორის. ბალანსის ლიკვიდობის ანალიზის პროცესში შეიძლება გამოვლენილი იქნეს გადახრები, როგორც მინიმალური დასაშვებ მნიშვნელობებზე, ისე მათ მნიშვნელოვან გადიდებაზე. პირველ შემთხვევაში კომერციულ ბანკებს ევალებათ ერთი თვის ვადაში მოიყვანონ ლიკვიდობის შესაბამისი მაჩვენებლები ნორმატიულ მნიშვნელობასთან შესაბამისობაში. ეს შესაძლებელია, უწინარეს ყოვლისა, ბანკთაშორისი კრედიტების, საკრედიტო დავალიანებების და სხვა მოზიდული სახსრების შემცირების გზით, ასევე ბანკის საკუთარი სახსრების გაზრდის გზით. თუმცა, მზედველობაში უნდა გვქონდეს, რომ დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, ახალი აქციების გამოშვების გზით, გამოიწვევს დივიდენდების შემცირებას და მეპაიეების განწყენებას.

თუ ლიკვიდობის ძირითადი ნორმატიული კოეფიციენტის ფაქტიური მნიშვნელობა აღმოჩნდება გაცილებით მეტი, ვიდრე დადგენილი მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობა, მაშინ ასეთი ბანკის საქმიანობა მისი მეპაიეების მიერ უარყოფითად შეფასდება მოგების მისაღებად გამოუყენებელი შესაძლებლობების თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევნიშნოთ, რომ ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი უნდა ჩატარდეს ბანკის შემოსავლის ანალიზთან ერთად. კომერციული ბანკების მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბანკები იღებენ მეტ მოგებას, როცა ფუნქციონირებენ ლიკვიდობის ნორმატივების მინიმალური მნიშვნელობის ზღვარზე, ე.ი.

სრულად იყენებენ საკრედიტო რესურსების სახით, ფულადი სახსრების მოზიდვის, მათთვის ბოძებულ უფლებებს. ლიკვიდური აქტივების მდგომარეობის ანალიზი ხორციელდება ფაქტიური მნიშვნელობების ნორმატიულად დადგენილი თანაფარდობებიდან გადახრის მეშვეობით. ეს არის ბალანსის აქტივის მუხლების სხვადასხვა ჯგუფების და კაპიტალის, დეპოზიტური ანგარიშების თანაფარდობა, ლიკვიდური აქტივების გამოყოფა და შედარება ბალანსის აქტივების საერთო თანხასთან.

თუ გაცემულ კრედიტებსა და ანგარიშსწორების მიმდინარე ანგარიშების თანხებს, ანაბრებს და დეპოზიტებს შორის თანაფარდობა სისტემატურად მაღალია ნორმატიულად დადგენილ ოდენობაზე, მაშინ ბანკმა უნდა შეცვალოს თავისი სტრატეგია და ტექტიკა სადეპოზიტო პოლიტიკის აქტივიზაციის მხარეს, განავითაროს ანაბრების მოზიდვის თანმხლები საბანკო მომსახურებები რესურსების პოტენციალის გაფართოების მიზნით.

4. საბანკო რისკების ანალიზი

კომერციული ბანკების პოლიტიკა აიგება სხვადასხვა სიტუაციების შეფასების და გაღამუშავების დაწვრილებითი ანალიზის ბაზაზე, ბანკის რისკების განმსაზღვრელი ყველა ფაქტორის ანალიზით. თითოეული ბანკის ამოცანაა - რისკის მინიმუმამდე დაყვანა. როგორც ცნობილია, საბანკო რისკში იგულისხმება საკრედიტო, საპროცენტო რისკების, ლიკვიდობის რისკების, ბანკის გადახდისუნარიანობის, ასევე ის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის უუნარობასთან, აანაზღაუროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ერთობლიობა. ყველა რისკი ურთიერთ კავშირშია. აშკარაა, რომ საკრედიტო რისკს შეუძლია გამოიწვიოს ლიკვიდობის რისკი და ბანკის გადახდისუუნარობის რისკი, ასევე ბანკის უუნარობა აანაზღაუროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები. საპროცენტო განაკვეთის რისკი თავის თავად დამოუკიდებელია, რადგან დაკავშირებულია ბაზარზე საკრედიტო რესურსების კონიუნქტურასთან და მოქმედებს, როგორც გარეგანი ფაქტორი, რომელიც არაა ბანკზე დამოკიდებული. თუმცა, მას შეუძლია საკრედიტო რისკის და რისკების მთელი ჯაჭვის გაღრმავება თუ ბანკი არ შეეგუება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ღონის ცვლილებებს.

ჩვენი კომერციული ბანკების ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საკრედიტო რისკის მართვა საბალანსო მონაცემების და საკრედიტო პორტფელის ანალიზის საფუძველზე. კრედიტების დაჯგუფება სარისკო კლასებად, მათი ანალიზი, მათი მინიმუმამდე დაყვანის წესების დამუშავება და საბანკო ინტერესების დაცვა ამცირებს საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის შერბილებას თან ხდევს უარი კრედიტების კონცენტრაციაზე განსაზღვრულ დარგებში ან საწარმოებში, რომლებიც განიცდიან წარმოების ჩავარდნით გამოწვეულ ზარალს; ასევე, ერთ მსესხებელზე რისკის მაქსიმალური სიდიდის დაცვა; ხალხური სიბრძნის გამოყენებით - "არ შეიძლება ბევრი კვერცხების ჩალაგება ერთ კალათში". თუმცა, საბალანსო მონაცემები საშუალებას არ იძლევა ასეთი ინფორმაციის მიღებისა და მით უმეტეს, ამგვარი კლასიფიკაციის ავტომატიზირების, ამ მიზნებისათვის აუცილებელია გამოყენებულ იქნეს მონაცემების ანალიზური და უსისტემო აღრიცხვა.

ქვემოთ მოცემულია კომერციული ბანკი " კუნცევო-ბანკის" კრედიტების დაჯგუფება 1991 წლის 1 იანვრისათვის:

ცხრილი 27

მსესხებლები	საკრედიტო ანაბრების მოცულობა ათ.მან.	საკრედიტო ანაბრების ზვედრითი წონა საერთო მოცულობაში, %
1	2	3
I სახელმწიფო საწარმოთა კრედიტები. მათ შორის:	72 157	69,9
საიმედობის მაღალი ხარისხით (კრედიტის გეგმური სიდიდის ფარგლებში)	69 922	67,7
გადიდებული რისკით (კრედიტის გეგმურ სიდიდეზე მეტი)	2 235	2,2
II თავისუფალი ეკონომიკის სტრუქტურების კრედიტები (კოოპერატივებს; ერთობლივ საწარმოებს, მცირე საწარმოებს) მათ შორის:	30 700	29,7
საიმედობის მაღალი ხარისხით (ე.ი. გარანტიების ან სადაზღვევო პოლისის და ხელშეკრულება-კონტრაქტების არსებობისას)	11 942	11,6
გაზრდილი რისკით (გარანტიის ან სადაზღვევო პოლუსის გარეშე, მაგრამ ხელშეკრულება-კონტრაქტის არსებობისას)	12 618	12,2
ზღვრული რისკით (გარანტიების გარეშე; გაფორმებული ხელშეკრულება არ არსებობისას)	6 140	5,9
III კრედიტები, რომლებიც გაცემულია იმ პირებისთვის რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას მათ შორის:	373	0,4
საიმედობის მაღალი ხარისხით (თავმდების და უძრავი სამუშაო ადგილიდან შემოსავლის არსებობისას)	41	0,04
გაზრდილი რისკით (თავმდების არსებობის და უძრავი სამუშაო ადგილის არ არსებობისას)	210	0,2
ზღვრული რისკით (თავმდების და უძრავი სამუშაო ადგილის არ არსებობისას)	122	0,16
ჯამი	103 230	100

სარისკო კლასებად კრედიტების დაჯგუფებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ ყველა ამ ბანკის საკრედიტო ანაბრების, თითქმის, მეხუთედი წილი (20, 66 %) იმყოფება გაზრდილი ან ზღვრული რისკის ზონაში. ეს დამაფიქრებელი სიდიდეა. თუმცა, არ არსებობს იმის საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ის მთლიანად აღმოჩნდება გადაგადაცილებული სესხების ანგარიშზე. მხოლოდ მისი რაღაც წილი იქნება გადაუხდელი, მაგრამ იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რომელი წილია გადაუხდელი ბანკს საინვორმაციო ბაზა არ იძლევა, მის ნაკლოვანებებზე ზემოთ იყო ლაპარაკი. მოხდენილი კლასიფიკაცია სასარგებლოა იმით, რომ აკლებს იმ კრედიტების მოცულობას, რომლებიც საშიშ ზონაში აღმოჩნდნენ, და ამრიგად, აიძულებს ბანკის

მოხელეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწორედ ამ კრედიტებს და მოახდინონ საკრედიტო რისკის მინიმუმამდე დაყვანა. საკრედიტო რისკების ანალიზის პროცესში სასარგებლოა გამოყენებულ იქნეს საკოეფიციენტო მაჩვენებლები. კომერციულ ბანკ "კუნცევო-ბანკში" მათ შემდეგი რიცხვითი მნიშვნელობები გააჩნიათ":

მაჩვენებლების დასახელება	1 იანვრისთვის 1991 წ.
1. ვადაგადაცილებული სესხების ნაშთები, საკრედიტო ანაბრების ნაშთები	2,3
2. კლასიფიცირებული კრედიტები, საკრედიტო ანაბრების ნაშთები	20,7
3. სარისკო აქტივები (კლასიფიცირებული კრედიტები)	17,8
4. კლასიფიცირებული კრედიტები, საწესდებო ფონდი	21,3
5. კრედიტები ზღვრული რისკით, საწესდებო ფონდი	62,6
6. საკრედიტო ანაბრების ზრდის ტემპები, (შედარება 1991 წლის 1 იანვრის და 1990 წლის 1 იანვრის)	84,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბანკისათვის ვადაგადაცილებული კრედიტების ზვედრითი წონა საკრედიტო ანაბრების საერთო მოცულობაში შეადგენს 2,3 %, რაც არ გამოდის დასავლეთის კომერციულ ბანკებში მიღებული ნორმები (4-5 %-მდე) ჩარჩოებიდან. საწესდებო ფონდს 2-ჯერ უფრო მეტად აჭარბებს გაზრდილი და ზღვრული რისკიანი კრედიტები. კრედიტები ზღვრული ხარისხის რისკით საწესდებო ფონდის 2,13 შეადგენს. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია კომერციული ბანკისათვის, რომელიც შექმნილია სპეციალიზებულ ბიზნესბანკის ბაზაზე. მოცემულ სიტუაციაში აუცილებელია სარეზერვო ფონდის შექმნა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ჩამოიწეროს უმოქმედო კრედიტები, წინააღმდეგ შემთხვევაში სარისკო კრედიტების მაღალი დონე ბანკს საკუთარი სახსრების დაკარგვით ემუქრება, რაც თავის მხრივ, იწვევს თვით ბანკის გადახდისუუნარობას. საკრედიტო ანაბრების ზრდის ტემპების შემცირება ამ ბანკის მონაცემების მიხედვით მოწმობს ერთდროულ შემცირებას ან მომავალში საკრედიტო რისკის სტაბილიზაციას.

საკრედიტო რისკის თავისებურ ამორტიზატორად გვევლინება კომერციულ ბანკებში შექმნილი სარეზერვო ფონდი, რომელთა დანიშნულებაა ჩამოწერილ კრედიტზე ზარალების კომპენსაციაა. საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაციის მაჩვენებლების დახმარებით ადრე ჩატარებული ანალიზი ხორციელდება იმისათვის, რომ რეალურად შეფასდეს ფორმირებული სარეზერვო ფონდის მოცულობა. ამჟამად, ყველა კომერციული ბანკი ახორციელებს გადარიცხვებს სარეზერვო ფონდში იმ ნორმატივებით, რომლებიც მტკიცდება მეპაიეთა კრების მიერ. გადარიცხვების წყაროა მოგება, რომელიც რჩება ბანკის განკარგულებაში, ბიუჯეტში გადასახდელების გადარიცხვის შემდეგ. მოსკოვბანკის მონაცემების მიხედვით, ამ ნორმატივმა 1990 წელს შეადგინა დარჩენილი მოგების 17,7 %. ამის გარდა, ახლად შექმნილ ბანკებს უფლება ეძლევათ გადარიცხონ სარეზერვო ფონდში საბალანსო მოგების 25 %.

ჩვენი აზრით, სარეზერვო ფონდის ფორმირების ასეთი პრაქტიკა შორსაა სრულყოფილისაგან. ჯერ ერთი, ნორმატივები არავითარ შემთხვევაში არ უთანხმდება ჩამოწერილ კრედიტებზე ფაქტიურ დანაკარგებს წინა წლების მიხედვით. მეორე - არაკორექტულს წარმოადგენს ნორმატივის გამოთვლა მოგების პროცენტებში. დიახ, სარეზერვო ფონდის

ფორმირების წყარო მოგება, მაგრამ ნორმატივის დარიცხვის ბაზა უნდა იყოს ბანკის საკუთარი კაპიტალი. ამიტომ საჭიროა გამოყენებული იქნეს საზღვარგარეთის გამოცდილება, კერძოდ ამერიკული კომერციული ბანკებისა და მთხოვნის გადარიცხვები სარეზერვო ფონდში იმ სიდიდეებით, რომლებიც არ გადაჭარბებენ საშუალო ფაქტიურ დანაკარგის ვადა- გადაცილებულ სესხზე უკანასკნელ 5-6 წლის მანძილზე. პატარა ბანკებისათვის, საკუთარი კაპიტალით 100 მლნ. მანეთამდე, მიზანშეწონილია შესარხევებელ ფონდში მოგებიდან, სტაბილური ნორმატივებით საკუთარი კაპიტალიდან.

5. კომერციული ბანკის მოგების ანალიზი

კომერციული ბანკების საქმიანობის შედეგების ანალიზის საინფორმაციო ბაზად გამოიყენება ბალანსის 24-ე თავის "შემოსავლები და გასავლები ბანკებისა" ანგარიშები, ასევე ანალიზური აღრიცხვის მონაცემები 960 ანგარიშების "სააპერაციო და სხვადასხვა შემოსავლები", 970 "სააპერაციო და სხვადასხვა ხარჯები". ბანკის წინასწარი სააპერაციო შემოსავლების და გასავლების მუხლები შეიძლება დაჯგუფებულნი იყვნენ ერთგვაროვანი ნაწილების მიხედვით. მაგალითად, დარიცხული და მიღებული პროცენტები, მომსახურებებზე მიღებული საკომისიო შემოსავლები, საწარმოების, ორგანიზაციების, ბანკის საქმიანობაში მონაწილეობიდან მიღებული შემოსავლები, სხვადასხვა შემოსავლები, გაფიცული პროცენტები, საკომისიოები, ჯერიანი და ბანკის სხვა ხარჯები.

საბანკო შემოსავლების ანალიზით განისაზღვრება თითოეული შემოსავლის ხვედრითი წონა საერთო ჯამში (ან შესაბამისი ჯგუფის მოგებაში). შემოსავლის მუხლების დინამიკა შეიძლება წინა პერიოდებს შეეფარდოს. ბანკის შემოსავლის სტაბილური და რაციონალური ზრდა წარმოადგენს ბანკის კვალიფიციური მართვის შედეგს. და პირიქით, აქტიური ოპერაციების მართვის გაუარესება გამოიხატება შემოსავლების ზრდის შემცირებაში. საკრედიტო ოპერაციების შემოსავლის ანალიზი შეიძლება მაჩვენებლით, რომელიც გამოითვლება როგორც სააპერაციო შემოსავლებისა და გაცემული კრედიტების საერთო თანხის თანაფარდობა. ანალოგიურად, ხდება ბალანსის გასავლების ანგარიშების ანალიზი. განისაზღვრება ყოველი გასავლის როლი და ადგილი მათ საერთო თანხაში, ასევე კლიენტების მომსახურებაზე გასავლების საშუალო თანხა.

ბანკის მოგების (რენტაბელობის) ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს მოგების საკუთარ კაპიტალთან (საწესდებო ფონდთან) შეფარდება. კომერციული ბანკებისათვის მისი საშუალო მნიშვნელობა 1991 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 10,2 %. ბანკს შეიძლება ამ მაჩვენებელს სხვადასხვა ბანკების მაჩვენებლებს ადარებენ, ასევე ადარებენ მას ეკონომიკის სხვა სექტორების მაჩვენებლებთან საკუთარი სახსრების განლაგების შემოსავლიანობის ხარისხის შესაფასებლად.

შემოსავლის მაჩვენებელი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

მოგება : სააქციო კაპიტალი = (მოგება : ყველა აქტივები) x (ყველა აქტივები : სააქციო კაპიტალი)

რაც ნიშნავს: საბანკო საქმიანობის "რენტაბელობა" პირდაპირ დამოკიდებულებაშია აქტივების "შრომისუნარიანობასთან", მათი უკუგებასთან, შემოსავლის და კაპიტალის საერთაშორისო კოეფიციენტებთან, სხვა სიტყვებით, ბანკისათვის ხელსაყრელია რისკის ზღვარზე ფუნქციონირება. ე.ი. აქტივების საკუთარი კაპიტალით მცირედ უზრუნველყოფა.

მოგება : ყველა აქტივები = (მოგება (მარჯა) : ბანკის მოლიანი შემოსავალი) x (ბანკის მოლიანი შემოსავალი : ყველა აქტივები)

ოავის მხრივ ე.ი. "აქტივების შემოსავლიანობაზე" მოქმედებს მარჯა. მარჯა გვიჩვენებს, თუ ბანკის მოლიანი შემოსავლის რა წილი რჩება მის განკარგულებაში. ეს შედეგი დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე: პროცენტებზე, რომლებიც მიღებულია და გადახდილია საბანკო ოპერაციებზე, შემოსავლის გადასახადზე, რომელიც ბიუჯეტშია გადარიცხული, მიმდინარე ხარჯებზე და სხვა. ყველა ეს ფაქტორი ბანკის ხელმძღვანელობის დაძაბული ყურადღების ქვეშ არის, რადგან მათ შეუძლიათ გვაჩვენონ მთავარ კითხვაზე: როგორ გაიზარდოს საბანკო საქმიანობის შედეგი. სწორედ ამ დეკითხს ეძღვნება ანალიზი.

ბანკის მიერ მიღებული მოგების ფაქტორული ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მისი ზრდის რეზერვები. მოსკოვმბანკის საქმიანობის შედეგების ფაქტორულ ანალიზს 1990 წლის 1-ლი იანვრისათვის (გაანგარიშებების შედეგები ნაწყვეტია პროცენტულად) შემდეგი სახე აქვს:

მოგება : სააქციო კაპიტალი = (მოგება : ყველა აქტივები) x (ყველა აქტივები : სააქციო კაპიტალი)

8,9 % = 0,5 % x 17,8

ოავის მხრივ:

მოგება : ყველა აქტივები = (მოგება : მოლიანი შემოსავალი) x (მოლიანი შემოსავალი : ყველა აქტივები)

ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის მოგების შემცირებაზე, მიეკუთვნებიან დებიტორებზე გადახდილი პროცენტები, ადმინისტრაციული სამეურნეო ხარჯები, ბიუჯეტში გადასახადების გადახდა, ჩამოწერილი კრედიტებისათვის რეზერვები (შესაბამისად მათზე 1989 წელს ერთობლივი შემოსავლის 79,8 %, 3,7 %, 13 % მოდიოდა, ანუ მოგების 60 %). აქტივების ეფექტურობა (2,5 %) მიღებული პროცენტების ხარჯზე (2,41 %) და არაპროცენტული შემოსავლისაგან (0,9 %) შედგებოდა.

ამრიგად, მოსკოვმბანკის პირველი წლის საქმიანობის "რენტაბელობა" მაღალი აღმოჩნდა - 8,9 % . ამასთან, ბანკი მუშაობდა კაპიტალის საკმარისობის კარგი მაჩვენებლით, რომელიც სარისკო ზღვარს (20:1) არ აჭარბებდა.

ბანკის შემოსავლიანობის ზრდის რეზერვები უნდა მოვძებნოთ აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებასა და ბანკის ხარჯების რაციონალიზაციაში. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების სააპერაციო ხარჯების მინიმუმამდე დაყვანის ნაწილში სასურველია პასივების სტრუქტურის პრომონიზაცია. ეს შეიძლება განხორციელდეს ძვირი ბანკთაშორისი დებიტორების ხვედრითი წონის შემცირების ხარჯზე (43,6 % ყველა გადახდილი პროცენტებია სხვა ბანკების სესხებზე მოდის).

ამაჟე დრის აქცენტი გადადის უფრო ოავ ხელმისაწვდომ ინსტრუმენტებზე: საწარმოების და მოქალაქეების ანაბრებზე (შესაბამისად მათზე მოდიოდა 1989 წელს მხოლოდ 56,2 % და 0,2 % პროცენტების გადახდის ყველა ხარჯების).

რაც შეეხება აქტივების გამოყენების ეფექტიანობას, აქ საჭიროა ყურადღება მიექცეს აქტივების სტრუქტურის ოპტიმიზაციას. აზრი აქვს "მოშუშად" აქტივების წილის გაზრდას ანუ იმ აქტივებისა, რომლებიც პროცენტის სახით შემოსავლის მოძრავია. ასეთი აქტივები, აქტივების

საერთო მოცულობაში 1989 წელს შეადგენდნენ მხოლოდ 69,5 %-ს. ამის გარდა, ბანკის შემოსავლის, არანაკლებ მნიშვნელოვან, წყაროს წარმოადგენენ სხვადასხვა საკომისიოები, ანარიცხები, საბანკო მომსახურებებზე ერთჯერადი გადასახადები. თუმცა, შემოსავლის ეს წყაროები მოსინკომბანკის მიერ გამოიყენებოდა არასაკმარისად, მათ წილზე მოდიოდა ბანკის მიერ მიღებული ყველა შემოსავლის მხოლოდ 4 %, შესაბამისად, მოსინკომბანკმა უნდა გააფართოვოს ფასიანი მომსახურებების სპექტრი, რომლისაც თავის კლიენტებს სთავაზობს.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების გავლენა და გაცემული კრედიტების მოცულობების ცვლილება შეიძლება გაანალიზდეს ამერიკული კომერციული ბანკების გამოცდილებით, შემდეგი ფორმულების გამოყენებით:

1. საპროცენტო განაკვეთის გავლენა შემოსავალზე:

$$(R2 - R1) \times V2 = PR$$

სადაც: P – შემოსავალი;

R – საპროცენტო განაკვეთის დონე;

V – გაცემული კრედიტის მოცულობა;

1 და 2 – შესაბამისად წინა და მიმდინარე პერიოდები.

2. წარმოდგენილი კრედიტის მოცულობის ცვლილების გავლენა შემოსავალზე.

$$(V2 - V1) \times R2 = PR$$

3. ორივე ფაქტორის გავლენა შემოსავალზე:

$$(R2 - R1) \times (V2 - V1) = PRV$$

ანალოგიურად შეიძლება გამოვთვალოთ ფაქტორების გავლენა ღებოზიტებით გადახდილი პროცენტების მოცულობის ცვლილებაზე.

ბანკის შემოსავლიანობის ზრდის ფაქტორს წარმოადგენს იმ აქტივების შემცირება, რომლებსაც შემოსავლები არ მოაქვთ. აქტივების დაჯგუფება შემოსავლიანობის ნიშნით საშუალებას იძლევა გამოიყოს აქტივები, რომლებსაც შემოსავლები არ მოაქვს. სალაროების, საკორესპონდენტო და სარეზერვო ანგარიშების გარდა მათ მიეკუთვნება ძირითადი სახსრები და იმობილიზებული საკუთარი სახსრები. საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, რომ აქტივების მნიშვნელოვანი მოცულობა, რომლებსაც შემოსავლები არ მოაქვთ, ამცირებს რენტაბელობას, მაგრამ ზრდის ლიკვიდობას. ბანკის საკუთარი რესურსების მაღალი ხვედრითი წონა პასივების სტრუქტურაში ბანკისათვის ამცირებს რესურსების საერთო ღირებულებას და შესაბამისად, ზრდის მის მომგებიანობას ბანკის საქმიანობის მართვის ხარისხის მიუხედავად. ამიტომ ასეთ ბანკებს შეიძლება ჰქონდეთ დიდი მოგება მცირე შემოსავლიანი მარჟის შემთხვევაში.

საშედეგო ანგარიშების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოითვალოს მინიმალური შემოსავლიანი მარჟა, ე.ი. განკვეთებში გარღვევა აქტიურ და პასიურ ოპერაციებზე, რომელიც საშუალებას აძლევს ბანკს დაფაროს აუცილებელი ხარჯები, მაგრამ არ მოუტანს მოგებას. ბანკის

მინიმალური შემოსავლების კოეფიციენტის გასაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი მონაცემები:
1. ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები; 2. სხვა დასხვა ხარჯები; 3. ბალანსის აქტივის თანხა;
4. აქტივის მუხლების თანხა, რომლებსაც შემოსავლები არ მოაქვთ:

$$K \text{ მინ. მარჟის} = \frac{\text{ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები} - \text{სხვა შემოსავლები}}{\text{ბალანსის აქტივის თანხა - აქტივი, რომელსაც შემოსავალი არ მოაქვთ}} \times 100$$

რაც უფრო დაბალია ეს მაჩვენებელი, მით მეტია შესაძლებლობა გაიზარდოს მოგება, და მით მაღალია ბანკის კონკურენტუნარიანობა. ბანკის ყოველწლიური მოგების მატების შეფასებისას აუცილებელია გამოვიდეთ იქიდან, რომ ის ინფლაციის ტემპებზე დაბალი არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. ინფლაციის ტემპების წინ გასწრებამ შეიძლება გამოიწვიოს რეალური შემოსავლების დაცემა და საქციონერო კაპიტალის გაუფასურება.

6. საბანკო აუდიტის საფუძვლები

საბანკო აუდიტი - ესაა ბანკის, როგორც საქციო კომერციული საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობის შემოწმება. საბანკო აუდიტის ძირითადი ამოცანაა შესამოწმებელი ბანკის საფინანსო მდგომარეობაზე დასკვნის გაცემა, მისი შემოსავალი, ლიკვიდობა, საბანკო ოპერაციების რისკების ხარისხი. ამგვარი დასკვნა ქვეყნდება წლიურ ანგარიშგებასთან. ოფიციალურ ბალანსთან, მოგებისა და ზარალის ანგარიშებთან ერთად. სააუდიტორო შემოწმებები, როგორც წესი, ხორციელდება კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც იღება ბანკის ხელმძღვანელობასა და დამოუკიდებელ სააუდიტორო ფირმას შორის. სააუდიტორო ფირმები ახრულებენ არა მარტო საკონტროლო, არამედ საკონსულტაციო ფუნქციებსაც. სააუდიტორო შემოწმებები შეიძლება ჩატარდეს ცენტრალური ბანკის დავალებითაც. არსებობს საერთაშორისო აუდიტი. განსხვავებით, ჩვეულებრივი ზემდგომი ორგანოების რევიზიებისაგან, სააუდიტორო შემოწმებები ხასიათდება კომპლექსურობით, დამოუკიდებლობით, ასევე ბანკის დამფუძნებლების ინტერესებიდან გამომდინარე რეკომენდაციების დამუშავებით. აუდიტის მეთოდები მოიცავს საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიას, ოპერაციების ფაქტიურ შემოწმებას, საბუღალტრო აღრიცხვას, ჩანაწერების დოკუმენტებთან შედარებას, ასევე ფაქტიური მონაცემების ურთიერთდაკავშირებულ ოპერაციებზე შემხვედრ შემოწმება.

საბუღალტრო დოკუმენტებით განისაზღვრება ოპერაციების შესრულების შესწავლის პროცესში კანონიერება და სისწორე, ხდება დოკუმენტების უტყუარობის, მათში მოცემული ანგარიშების სისწორის შედარება, საბუღალტრო კოტირების დასაბუთება. ამასთან არ გამოირიცხება დოკუმენტების სრული შემოწმება ყველაზე უფრო რთულ და საპასუხისმგებლო ოპერაციებზე, რომელთა შესრულების დროსაც შესაძლებელია ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (მაგალითად, სალაროს, სავალუტო, სადეპოზიტო, საპროცენტრო, საკომისიო, საგარანტიო ოპერაციები). დოკუმენტების სრული შემოწმება მიზანშეწონილია ჩატარდეს ოპერაციებზე, რომლებიც კლიენტების დავალებების შესრულებასთან არ არიან დაკავშირებული და ამიტომ მათ მიერ არ კონტროლდება. მაგ., დოკუმენტები, ბანკთაშორის ოპერაციების შემოსავლებზე და გასავლებზე ბანკის საწესდებო ფონდის ფორმირებაზე. ყველა დანარჩენ

შემთხვევაში აუცილებელია დოკუმენტების შემოწმების არჩევითი მეთოდი. მისი გამოყენებისას შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული უზუსტობის შემცირება და საქმეების რეალური მდგომარეობის დამახასიათებელი, თუ მოხდება დოკუმენტების სწორი შერჩევა. დოკუმენტების სწორი შერჩევა ხდება შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი დარღვევები შეიძლება გამეორებულ იქნეს. რეკომენდირებულია არაა დოკუმენტების შესამოწმებლად რომელიმე პერიოდის ცალკეული დღეების ამორჩევა.

სალაროს და მემორიალური დოკუმენტები საბუჰალტრო აღრიცხვის შესაბამისობა დადგინდება მათი ოპერაციების გამოთვლის გზით და ბალანსზე ბრუნვების შედარებისას. სალაროს შემოსავლის დოკუმენტების ოპერაცია უნდა შეესაბამებოდეს სალაროს შემოსავლის ჟურნალის სადებიტო ბრუნვას.

დოკუმენტები მოწმდება, როგორც მათში ასახული ოპერაციების კანონიერებაზე, ასე მათი გაფორმების სისწორეზე, ე.ი. ბლანკების ფორმების გამოყენება, ფულის გადახდელებისა და მიმღების ანგარიშების სწორი წერება, ოპერაციის თარიღები. განსაკუთრებით საგულდაგულოდ მოწმდება გასავლის სალაროს დოკუმენტები. შერჩევითი შემოწმების შედეგად, მაზანშეწონილია შედარდეს დოკუმენტების კომპლექტების ცალკეული ეგზემპლარები, რომლებიც ბანკში ან კლიენტებთან ინახება. ამასთან შესაძლოა დარღვევებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევების გამოვლენა, დავალებების და მათი ასლების ფიქსაცია დოკუმენტების გამოყენების შემთხვევები. დოკუმენტების შესამოწმებლად გამოიყენება ლოგიკური ანალიზი, გამოკვლევა ტარდება დოკუმენტებში შიგა წინააღმდეგობების გამოსავლენად, ასევე ბანკის რეალური საკრედიტო რესურსებიდან ფულადი გადახადების ხასიათის გამოსავლენად. ნაწილობრივ გამოიყენება სხვა მეთოდებიც დოკუმენტების ურთიერთკავშირი, შემხვედრი შემოწმებები.

ფაქტიური შემოწმება ხდება ოპერაციების ჩატარების რეალობის დადგენის მიზნით. ის ხორციელდება დოკუმენტებით საფინანსო ორგანიზებში, ბანკში მისი მეპასეების და კლიენტების საბუჰალტრო აღრიცხვით. ფულისა და სხვა მატერიალური ფასეულობების მიღება და გაცემა განსაზღვრება გამოკითხვის გზით ან თვრიდეული და ფიზიკური პირების ცნობებით. ანაზღაურებული სამუშაოების ფაქტიური შესრულება ძირითადი საზრებისა და მოწყობილობების შეძენა დასტურდება ობიექტის დათვალიერებისას, მასალებზე და ხელფასზე ფულის ხარჯვის დადგენის შემთხვევაში, შესაბამის ობიექტებზე ანაზღაურებული მომსახურეობები ასევე მოწმდება ნატურაში.

ოპერაციების შემოწმების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ანალიზური ანგარიშების ბრუნვის გამოანგარიშება და მათი სინთეზური აღრიცხვის მონაცემებთან შედარება.

ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის ურთიერთშემოწმების პროცესში ზუსტდება ანგარიშების გახსნის სისწორე და მათი ნაშთების შესაბამისობა კლიენტების და კორესპონდენტ-ბანკების აღრიცხვასთან. მოწმდება, არის თუ არა მომჭერ ანგარიშებს შორის ფიქსაცია ანგარიშები. ამ მიზნით, ყოველი პირადი ანგარიშის მონაცემებს ხელმოწერების ნიმუშების ბარათების და ბეჭდის ანაბეჭდებს, ასევე გახსნილი ანგარიშების რეგისტრაციის წიგნებს აღარებენ. საგულდაგულოდ მოწმდება სახესხო ანგარიშების ანალიზური აღრიცხვა. ვადაც და ვადაგადაცილებულ სესხებზე შესაძლო ფიქსაცია სახესხო ანგარიშების გამოსავლენად პირადი ანგარიშების ნაშთების შედარება ხდება საწარმოების ბალანსების მონაცემებთან, ვადაც ვალდებულებებთან, ბალანსგარეშე ბანკი აღრიცხვასთან, კლიენტების ანიშნობის მონაცემებთან.

საველტორო შემოწმებისას საბუჰალტრო ჩანაწერების დოკუმენტებთან შედარება ხდება საბუჰალტრო აღრიცხვის მახედვით. ადგენენ მათ დახმარების ერთი ოპერაციების აღრიცხვაში და დოკუმენტებში დარღვევების და ჩანაწერების ბოროტად გამოყენების გამოსავლენად, (ადარებენ მასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს და დოკუმენტებს). მაგალითად, ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია (აქციები, ობლიგაციები) ბალანსგარეშე აღრიცხვით უნდა იყოს გამოხატული, როგორც ფასიანი ქაღალდების ბლანკების გასაღები. ის საბალანსო ანგარიშებშეც ასახება, როგორც ხდება ფულის შემოსვლა სალაროში, ან როგორც ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების მატება უნაღდო გადარიცხვების შემთხვევაში. ნაღდი ფულით რეალიზებული ფასიანი ქაღალდების ღირებულება თანხით უნდა შეესაბამებოდეს სალაროს შემოსავლის ორდერს.

საწესდებო ფონდში საპაი შენატანები ბალანსზე აღირიცხება საპაი შენატანის გაღახდის წესის და ბანკებისათვის მისი გადაცემის ფორმის მიხედვით, ასევე ბალანსგარეშე აღრიცხვით, როგორც გამოცხადებული საწესდებო ფონდის გადაუხდელი ნაწილის შემცირება.

კლიენტებისათვის გარანტიების გაცემა ბალანსგარეშე აღრიცხვით გამოისახება. ბალანსების ლაკვიდობის განსაზღვრისას ამ აღრიცხვის მონაცემები (გაცემული გარანტიების ღირებულების 50 %) შედის ბანკის ვალდებულებაში, საანგარიშსწორებო, მიმდინარე და სხვა პასიურ ანგარიშებზე ნაშთების შესაბამისად.

კომერციული ბანკების საქმიანობის საველტორო შემოწმება ეყრდნობა ანალიზური და სინთეზური აღრიცხვების შემოსავლების და გასავლების ასახვის სისწორის გამოკვლევას. ანგარიშების შედეგების აგების სქემა, შემოსავლების და გასავლების შემადგენლობა, მათი აღრიცხვის წესი და მოგების (შემოსავლის) განგარიშება განისაზღვრება ცენტრალური ბანკის მიერ, შემოსავლების აღრიცხვა ხორციელდება 960 ანგარიშზე: "სალარო და სხვადასხვა შემოსავლების" შესაბამის, ერთგვარივანი შემოსავლების სახეობებზე: 1. პროცენტის დარიცხვა და მიღება; 2. პროცენტება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკრედიტო რესურსებზე, რომლებიც მომართულია ბიუჯეტის დროებითი დავალიანების (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფასების სხვაობის გადასახადი) ანაზღაურებლად; 3. საკრედიტო რესურსების გადასახადი და გასავლების აღრიცხვა ხდება 970 ანგარიშზე "სალარო და სხვადასხვა ხარჯები", ასევე ხარჯების შესაბამის სახეობებზე: 1. დარიცხული და გადახდილი პროცენტები; 2. სხვა ბანკებიდან მიღებულ საკრედიტო რესურსების პროცენტები; 3. მომსახურებებზე და საკორესპონდენტო ურთიერთობების შემთხვევაში გადახდილი საკომისიოები და სხვა.

სალარო შემოსავლების შემოწმებისას ყურადღება და სარეალო გამოირჩევა სესხზე პროცენტების დარიცხვა და მიღება, საკომისიოები მომსახურებებზე, გადასახადები ფულადი ამონაგების ანგასაცემზე. უწინარეს ყოვლისა, ყურადღება ექცევა საპროცენტო განაკვეთების გამოყენების სისწორეს, საპროცენტო რიცხვების უწყისებით დარიცხულ პროცენტებს, საკრედიტო შეთანხმებებით და საკრედიტო განყოფილებების განკარგულებით დარიცხულ პროცენტებს. ბანკის დაწესებულებებში, რომლებიც გამოთვლითი ცენტრები ემსახურებიან, პროცენტების დარიცხვა ეგმ-ით ავტომატურად ხდება, ამ დროს მანქანაში შედიან საპროცენტო განაკვეთების სიდიდეზე ინფორმაცია.

ბანკის მიერ გაწეულ მომსახურებებზე ურთიერთგადახდათა სისწორე განისაზღვრება გაწეული მომსახურების სახეობების და მოცულობის შესახებ ინფორმაციის ხელუქლებზე და საბანკო საკომისიოების დადგენილი სიდიდიდან გამომდინარე. საბანკო მომსახურების მრავალ სახეობაზე საკომისიოები ინდივიდუალურია ბანკის ხარჯების, რისკის ხარისხის,

მოთხოვნილების და წინადადებების გათვალისწინებით. ლიზინგურ და ფაქტორინგულ ოპერაციებზე საკომისიო შეიცავს საკრედიტო რესურსების ღირებულებას, რომელთა მოსაწილეობითაც ხდება ამ სახეობების საბანკო მომსახურების განხორციელება.

ფულადი ამონაგების ინკასაციაზე გადასახადების გადახდევინებისას ბანკები დაღგენილ ტარიფებს იყენებენ. ბალანსში, შემოსავლის მოცემული სახეობის სისწორის შემოწმებისას, აუცილებელია შემოწმდეს ინკასირებული ამონაგების თანხა, ანგარიშსწორებისათვის მიღებული ტარიფების სისწორე და გადასახადის კუთვნილი თანხა. ასევე მოწმდება სხვა შემოსავლების სისრულე, სისწორე, დროულობა, მათი ასახვა საბუჰალტრო აღრიცხვაში, იმის გათვალისწინებით, რომ შემოსავლების შემცირება მოჰყვება დასაბეგრი მოგების გადარიცხვების შემცირება ცენტრალიზებულ, სარეზერვო და ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში, მეპაიეებისათვის გასაცემი დივიდენდების შემცირება. და პირიქით, აღრიცხვაში შეცდომების და სხვა მიზეზების გამო შემოსავლების გაღიდება იწვევს უკუ შედეგებს, მაგ., მოგებიდან დაუსაბუთებელ გადახდებს, რომელთა დაბრუნება საკმაოდ რთულია.

საოპერაციო ხარჯების შემოწმება მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პროცენტების, საკომისიოების, სავალუტო ოპერაციების ხარჯების, მმართველობითი აპარატის ხარჯების, სხვა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების განსაზღვრის და აღრიცხვის სისწორეს. შრომის ანაზღაურების სიდიდისა და მმართველობითი აპარატის შენახვის ხარჯების დაღგენა ხდება, როგორც წესი, საქციო კომერციული ბანკის მეპაიეების მიერ გადახდილი პროცენტების შემოწმების დროს. მხედველობაში მიიღება ის, რომ დეპოზიტურ ანაბრებზე პროცენტების სიდიდე, ვადები და მათი გადახდის პირობები დეპოზიტურ ანაბრებზე ხელშეკრულებით განისაზღვრება, ბანკთაშორის კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთის სიდიდე, ასევე, ფიქსირდება ხელშეკრულებაში. გამოიყენება იგივე მეთოდები, რომლებიც სასესხო ანგარიშებზე პროცენტების დარიცხვისას გამოიყენება. დანარჩენი საოპერაციო და სხვა ხარჯების შემოწმებისას ძირითადად მოწმდება ამ ოპერაციების ჩატარების კანონიერება, აღრიცხვაში მათი სრული და სწორი ასახვა. საოპერაციო ხარჯების ნაწილის სიდიდე გაიანგარიშება ტარიფების და ნორმების მიხედვით, შემმოწმებელი უნდა დარწმუნდეს ხარჯების აღრიცხვის სისწორეში, იმაში, რომ არ არსებობს, ბანკების მუშაობის შელამაზების მიზნით ან შემდგომში ხარჯების რეზერვირებისათვის, ხარჯების დაფარვის ფაქტები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დებიტორულ დავალიანებას, რომელიც წარმოიქმნება გაფლანგვის, დატაცების და სხვა ბოროტი განზრახვის შედეგად.

დავალიანების ხასიათის საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ დეტალურად მოწმდება დებიტორებთან ანგარიშსწორება. ამავე დროს ამორჩევის მეთოდით, მოწმდება დებიტორული ჩანაწერები დებიტორების და კრედიტორების ანგარიშზე. ამასთან დაკავშირებით. ბანკის საიმედოობის შესანარჩუნებლად დიდი მნიშვნელობა აქვს კომერციული ბანკის შიდა კონტროლს, რომელსაც სარევიზიო სამსახური ახდენს. მისი მოვალეობაა აღრიცხვის სისტემის და მეთოდების სრულყოფა, ყველა ოპერაციის სრული და ზუსტი ასახვა აღრიცხვაში. შიდა სარევიზიო სამუშაოს მიზანი უნდა იყოს, არა მარტო შესაძლო დანაშაულების და გაფლანგვების გამოვლენა, არამედ ბანკში ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც არ დაუშვებს ბანკში სახსრების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს. ხალხური სიბრძნის მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, საჭიროა თაგლის დაკეტვა მანამ, სანამ ცხენს მოიპარავენ.

მოგების განაწილების შემოწმებისას უნდა გავითვალისწინოთ დაღგენილი ნორმატივები და ყოველ კვარტალური ვადები. ეს ოპერაციები 950 ანგარიშის დებეტში "სახსრების განკუთვნება ბანკის

მოგების ხარჯზე" ასახება. დარიცხული ფონდები გათვალისწინებულია 016 ანგარიშზე "ეკონომიკური სტიმულირების ფონდები". ამასთანავე მოგება, რომელიც ბანკის განკარგულებაში რჩება, განისაზღვრება სახელშეკრულებო ბიუჯეტის შემოსავალში, ცენტრალიზებულ ფონდებში და რეზერვებში ნორმატიული გადარიცხვების შემდეგ. წინასწარ, ფონდების განაწილებამდე, მოგება კორექტირდება ჯარიმების, პენსიების თანხის ხელდათ.

ამრიგად, დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმების მიერ საბუჰალტრო აღრიცხვის სისწორის შემოწმება და ანგარიშგების შედგენა ხელს უწყობს მოგების გაანგარიშების სისწორეს და დივიდენდების განაწილებას, რაშიც დაინტერესებული არიან მეპაიეებიც და კრედიტორებიც, რომლებიც ფულად სახსრებს და სხვა ქონებას საქციო კომერციულ ბანკებში ანდობენ. ბანკები უნდა მაისწრაფოდნენ თავიანთი ანგარიშების გამოქვეყნებისაკენ, ინვესტორების და კრედიტორების მოსაზიდად, თავიანთი ფინანსური სიმტკიცის და საიმედოობის შესახებ პოტენციური კლიენტების ინფორმირებისათვის.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
წინასიტყვაობა ქართული გამოცემის რედაქტორის 4
თავი I. კომერციული ბანკის არსი და მისი საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები 5
1. თანამედროვე მოსაზრებები ბანკის არსის შესახებ 5
2. კომერციული ბანკის, როგორც საწარმოს სპეციფიკა 10
3. კომერციული ბანკის სტრუქტურა და მისი საქმიანობის წარმატების ფაქტორები 21
თავი II. საბანკო მენეჯმენტი 30
1. მენეჯმენტის ცნება, მისი ძირითადი პრინციპები 30
2. საბანკო მენეჯმენტის თავისებურებანი 31
3. საბანკო მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებანი 33
თავი III. საბანკო მარკეტინგი 39
1. საბანკო მარკეტინგის ცნება 39
2. საბანკო მარკეტინგის ხერხები 41
3. საბანკო მარკეტინგის შემადგენელი ნაწილები 42
თავი IV. კომერციული ბანკის ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა 46
1. ბანკის ბალანსის ლიკვიდობა და მისი გადახდისუნარიანობის ცნება 46
2. რუსეთის გამოცდილება კომერციული ბანკების ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის მართვის სფეროში 56
3. ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები 56
4. კომერციული ბანკების ბალანსის ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის რისკების მართვა 63
5. კომერციული ბანკის დონეზე ლიკვიდობისა და შემოსავლიანობის მართვის მექანიზმი 67
თავი V. საგადასახდელო ბრუნვის ორგანიზაცია და ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობები 74
1. უნაღდო საგადასახდელო ბრუნვის ორგანიზაცია 74

2. უნაღდო ანგარიშსწორების ძირითადი ფორმები 78
3. ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობები 83
4. უცხოურ ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობები 85
თავი VI. კომერციული ბანკების რესურსები. ბანკების პასიური ოპერაციები 89
1. კომერციული ბანკების რესურსები 89
2. კომერციული ბანკების პასიური ოპერაციები 94
თავი VII. კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალი 100
1. საკრედიტო პოტენციალი, როგორც ცნება და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა 100
2. საკრედიტო პოტენციალის სახსრების ფორმირების და განაწილების საბანკო პოლიტიკა 106
თავი VIII. მსესხებლის კრედიტუნარიანობა და მისი განსაზღვრის მეთოდიკა 101
1. კომერციული ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის ცნება 110
2. საზღვარგარეთის კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები 111
3. კომერციული ბანკების კლიენტების კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში 115
4. მსესხებლის კრედიტუნარიანობის კლასის განსაზღვრების მეთოდიკა 121
თავი IX. დაკრედიტების სისტემა და მისი თანამედროვე ფორმები 124
1. დაკრედიტების თანამედროვე სისტემის ზოგადი თვისებები 124
2. საწარმოები მოკლევადიანი დაკრედიტების პრინციპული სქემა 129
3. კონტოკორენტული კრედიტი და მოკლევადიანი დაკრედიტების სხვა ფორმები 137
4. ბანკების ოპერაციები გრძელვადიან დაკრედიტებაზე 146
5. კონსორციული სესხები 150
თავი X. კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ფორმები 155
1. კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის ფორმების

არსი 155
2. გირაო და საგირავნო სამართალი 157
3. მოთხოვნების დათმობა და საკუთრების უფლებების გადაცემა 164
4. გარანტიები და თავდებობა 166
5. საწარმოთა კლასიფიკაცია რისკის დონის მიხედვით, ფინანსური მდგომარეობისა და კრედიტის უზრუნველყოფის ხარისხის გათვალისწინებით 170
თავი XI. კომერციული ბანკის ლიზინგური ოპერაციები 183
1. ლიზინგის წარმოშობისა და განვითარების ისტორია 183
2. ლიზინგის ცნება და ლიზინგის ძირითადი სახეობანი 185
3. ლიზინგური ოპერაციების ორგანიზაცია და ტექნიკა 195
4. ლიზინგური ხელშეკრულების შინაარსი 196
თავი XII. კომერციული ბანკების ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები 198
1. აქციების გამოშვება 198
2. ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი საკალო ვალდებულებების გამოშვება და განაღდება 201
3. საბანკო დებანდებანი ფასიან ქაღალდებში 203
4. ბანკის საშუამავლო ოპერაციები 207
5. ფასიანი ქაღალდებით საგირავნო ოპერაციები 209
თავი XIII. სავალუტო ბაზარი და ბანკების სავალუტო ოპერაციები 210
1. სავალუტო ბაზრის ცნება, ვალუტის კოტირება, სავალუტო პოზიცია 210
2. სავალუტო ოპერაციები 214
3. სავალუტო რისკების დაზღვევის პრაქტიკა 220
4. სავალუტო რისკების დაზღვევის მეთოდები 224
თავი XIV. კომერციული ბანკის სხვა ოპერაციები 235
1. კომერციული ბანკის სხვა ოპერაციების კლასიფიკაცია და საერთო დახასიათება 235
2. კომერციული ბანკის სხვა ოპერაციათა ორგანიზაცია 237
3. კომერციული ბანკების ფაქტორინგული ოპერაციები 245
4. კლიენტების საკასო მოსახურება 252
5. სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება 257

თავი XV. კომერციული ბანკების ეკონომიკურ რისკთა შეფასების მეთოდი 259
1. საბანკო რისკები და მათი კლასიფიკაცია 259
2. საკრედიტო რისკები და მათი გამოანგარიშების მეთოდები 264
3. ქვეყნის (რესპუბლიკის), ეკონომიკური რეგიონის დაკრედიტების რისკი 271
4. დაზღვევა, როგორც რისკების მართვის საშუალება 277
თავი XVI. კომერციული ბანკის ბალანსის ანალიზი და საბანკო კრედიტის საფუძვლები 283
1. კომერციული ბანკის ბალანსი და მისი აგების პრინციპები 283
2. ბანკის ბალანსის ანალიზის სახეები და მეთოდები 286
3. ბანკის ბალანსის ლიკვიდობის ძირითადი მიმართულებები 291
4. საბანკო რისკების ანალიზი 295
5. კომერციული ბანკის მოგების ანალიზი 298
6. საბანკო აუდიტის საფუძვლები 301

საბანკო საქმე

(ქართულ ენაზე)

თბილისი
1996

ფასი სახელშეკრულებო

ფორმატი 60x84/16, ოფსეტური ბეჭდვა,
სააღრიცხვო ფორმა - 31,1. ტირაჟი 500 ცალი,
შეკვეთა № 14, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
გამომცემლობა, თბილისი, ლადო გუდიაშვილის, 7.